977/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

1

1977

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 53-ე | № 1 | იანვარი 1977 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი


ირაკლი აბაშიძე — სამი ლექსი . . . . . . . . . . 3
მორის ფოცხიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . 5
გრიგოლ ჩიქოვანი — მიწა. რომანი. გაგრძელება . . . . . . 9
მიხეილ ქვლივიძე — ახალი ლექსები . . . . . . . . 38
ოთარ კუპრავა — სირიაჩქონის ტყის სიზმარი. რომანი . . . . . 42
კოლაუ ნადირაძე — ლექსები . . . . . . . . . . 65
ბადრი ცირამუა — ლექსები . . . . . . . . . . 68
რევაზ დანელია — ლექსები . . . . . . . . . . 70
ნიკო კეცხოველი — კიდევაც დაიზრდებიან... მოთხრობა. გაგრძელება . . 72
კონსტანტინე სიმონოვი — ქვეითი ჯარისკაცები. მოთხრობა. თარგ. ამირან
გაბესკირიამ . . . . . . . . . . 83
რევაზ ჯაფარიძე — ევროპაში და ევროპის გარშემო. ნარკვევი . . . 94


### ცხოვრებისეულ პრობლემებზე


ალექსი მინდაძე — ფიქრები ექიმის ავტორიტეტის შესახებ . . . . 113


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


ელგუჯა მაღრაძე — გულითა მართლითა . . . . . . . . 127
რევაზ მიშველაძე — კრიტიკოსის მძიმე უღელი . . . . . . 140
ლადო ბახტრიონელი — გ. ციციშვილის მონოგრაფია „შალვა დადიანი“ . 147
ყაისინ ყულიევი — ჩემი საქართველო. დასასრული . . . . . 156
აკაკი ვასაძე — მხატვრული გრძნობა და პოეტური სახე . . . . 166
ლ. ჭრელაშვილი, ა. შავხელიშვილი — თუშური ფოლკლორის საკით-
ხებზე . . . . . . . . . . 177
მიხეილ კეკელია — უჩვეულო მსჯელობა „ჩვეულებით სამართალზე“ . . 184



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

წიგნების მიმოხილვა

გურამ თევზაძე — რეცენზენტი და წიგნი . . . . . . . . . 189

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **გიორგი ნატროშვილი**

**სარედაქციო კოლეგია:**

**ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, გ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.**

ტექრედაქტორი **რ. ნაკვეტაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

**ტელეფონები:** რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 1/XII-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/I-77 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 00007. ტირაჟი 11.650. შეკვ. 4007.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

# სამი ლექსი

## გახუმრება ჩემი გვარის შორეულ წინაპართან

უდაბნოები
    შემართული ყალყზე ცხენები.
რისხვა ხალიფის,
        რისხვა ზეცის,
        რისხვა ჰალაბის...
    დიაღ. ბოროტი ჩურჩულებენ ქართლში ენები,
რომ შენში ჩქეფდა დამპყრობელი
        სისხლი არაბის.

    რაღაც მეცნობა...
    მაგრამ არა —
    მე დღეს მონა ვარ!
    მე მტანჯავს ქართლის
        მწველი მიწა,
            ქართლის მწველი ცა...
უსურვე მგოსანს, დღეს მის მგოსანს,
            შენს შთამომავალს,
რომ საქართველო შენებრ ეპყრას 300 წელიწადს

## ვ დი. განაგრძე!

    მიდი, განაგრძე,
    მიჰყევ, ეცადე;
    მხოლოდ სიმშვიდით,
        მხოლოდ სიფრთხილით: —
შენ სადაც მოხველ ამ პლანეტაზე,
    იქ გაჩნდა სწორედ შენი სიკვდილიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილი შენი მუდამ მთელემარი,
სიცოცხლე შენი მუდამ მღვიძარი,
ორივ —
მცხრალიც და მოუსვენარიც
ორივ შენს სულში ერთი ხნის არი.

სიკვდილი არ კლავს,
თუ არ გაგიქდა;
მიდი, განაგრძე, მიდი, განაგრძე —
ის შენ იქ გიცდის,
ბოლო ნაბიჯთან,
ის შენ არ დაგდევს მთელ ქვეყანაზე.

მიდი, განაგრძე, მიჰყევ, ეცადე,
თესე,
აშენე,
კოცნე,
ამწვანე!
ის შენ არ დაგდევს ამ პლანეტაზე,
ის მხოლოდ პოეტს სდევს და აწამებს.

## ახალგაზრდულად...

არ დავბერდები, გულო, არასგზით,
(სხვა გზა რომ მქონდეს,
სხვა შესაფარი;)
ვიწამლებ ჩემი მტკვრით და ალაზნით,
ჩემი ზეკარით, ჩემი ლათბარით.

ვიწამლებ ჩემი მცხეთის ლამპრებით,
კოლხურ აისის ოქროს კონებით
ჩემი გეგუთის
თეთრი ზღაპრებით,
ჩემი თბილისის შემოდგომებით.

არ მოვხუცდები, გულო, არასგზით,
ლტოლვის, სიცოცხლის,
სუნთქვის დასტურად...
კუზოს კარამდის, კუზოს კარამდის
გულო, დაღლილო, ახალგაზრდულად!

ახალგაზრდულად
კვლავ მზეს ვეფეროთ,
წლებსაც,
ჩვენზე რომ ლახვრად დაძრულა...
ახალგაზრდულად, გულო, ბებერო,
ცოტაც, სულ ცოტაც, ახალგაზრდულად!

**მორის ფოცხიშვილი**

## გუდრონი

მოდის გუდრონი
და მინდვრებს ლირწავს,
ყვავილებს უნდა
წაართვას მიწა...
ვინც ვერ გაუძლო
უბინო და
უცხო ცდუნებას,
სათბურში, როგორც
სავარძელში,
მოეწყო მყუდროდ, —

ვაზო, შენ ერთი
არ ღალატობ
ვაზურ ბუნებას,
ვაზო, შენ მაინც
არ დაუთმობ
სარეცელს გუდრონს.
ხამშობლოს მგონი
პოეტები
შენ ერთს გადრიან, —
ვაზო, შენა ხარ საქართველო,
ცხადზე ცხადია!

## მუსიკალური

მუსიკალური მდინარე,
მუსიკალური შეღამება,
ჩემს მუსიკალურ იარებს
მუსიკალურად ეხამება.

გულზე ხემივით მეხება
გზა, როგორც ძველი სინანული,
მუსიკალური შეხვედრა,
მუსიკალური სიყვარული!

ვინა თქვა ჩემი სიბერე,
სიბერე ერთი სტრიქონია,
ჩემს დაუწერელ სიმღერებს
იასამნები იპოვნიან.

ვიღაც შორიდან მიცინის
დღემდე ცივი და უკარება, —
მუსიკალური სიკვდილი,
მუსიკალური უკვდავება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თამარ — ივერია — თამარ

ფიქრი უსიტყვოდაც
ლოცვად აღიქვება,
უფრო უმძაფრესად
ლოცვაც არ ითქმება,
როცა შენს ტაძრებთან ვდგავარ, —

კვლავ შენს სადიდებლად,
კვლავ შენს სადიდებლად,
კვლავ შენს სადიდებლად,
თ ა მ ა რ!

თაზაროვანო და
თამარისეულო,
კამაროვანო და
ლაჟვარდ ღირსეულო,
გ ზ ა ო, დაჭიმულო ლარად, —
ცეცხლო ცეცხლთაგანო,
სისხლო სისხლთაგანო,
სხივო სხივთაგანო,
თ ა მ ა რ!

არა გარდასულო,
არა განძარცვულო
და არც დამარხულო, არა, —

სანთლად ანთებულო,
სვეტად აღმართულო,
მადლო მადლისაო,
თ ა მ ა რ!

თამარ — საქართველოს
ნათელო რწმენავ,
თამარ — უბიწოთა
უბიწო ენავ,
თამარ — მუზად ქმნილო,
ქცეულო ქნარად,
თამარ დედოფალო,
თ ა მ ა რ!

თამარ, ივერიის
მწყემსად გაჩენილო,
თამარ, ბეთანიის
ფრესკად დარჩენილო,
თამარ, დედაჩემო,
სულო — სასწაულო,

ჩემი სასოების
სასწორ-საწყაულო!

თამარ — შვილო ჩემო!
თამარ — ციხევ ჩემო!
თამარ — სიხარულო!
თამარ — სიყვარულო!
თამარ — სიცოცხლეო!
თ ა მ ა რ!

კვლავაც დარდო ჩემო,
მწუხრის ნაკადულო,
ფიქრებ დადაგულო,
ბოკვრებ დაკარგულო,
კვლავ რომ ძუ ვეფხვივით დაობ,

ყველა მთაწმინდელის,
ყველა ათონელის,
ყველა კახაბერის დაო!

არა წამიერო,
მრავალჟამიერო,
მარად ამიერო, მარად, —
იმერ-ამიერო,
იმერ-ამიერო,
მრავალშვილიანო თამარ!

ზარო — გამგებელო,
ცვარო-საკმეველო,
ცრემლო, გარდაქმნილო ფარად, —
თამარ — მეომარო,
თამარ — მეგობარო,
თამარ — სჯულმდებელო,
თ ა მ ა რ!

ჩემო შეცოდებავ,
ჩემო თვალთახედვავ,
ვაზო — ამაღლებავ,
აზრო — განახლებავ,
კმარა მოთმინება, კმარა —

თამარ — მსაჯულო და
თამარ — განმკითხველო,
მიუკარებელო თამარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ — ტანჯული და
თამარ — მშვენიერო,
თამარ — ბედკრული და
მაინც ბედნიერო,
შენი უფალი და ყმა ვარ, —

ყველა სამართალის,
ყველა წმინდა ვალის,
ყველა სათნო ქალის სახელო —
თ ა მ ა რ!

გული უალოდაც
ცეცხლად აღიქვება,
სულზე უმძაფრესად
სიტყვა არ ითქმება,
როცა შენს შვილებთან ვდგავარ, —

ჩვენ არ ჩაგვიქრება,
ო, არ ჩაგვიჭრება,
შენი გაზაფხული,
თ ა მ ა რ!!!

შენთვის მითრთოლია,
შენთვის მიბრძოლია,
კვლავ შენს მეციხოვნედ ვდგავარ, —

თამარ — ივერია!
თამარ — საქართველო!
თ ა მ ა რ — აღმაფრენა!
თ ა მ ა რ!!!

## მარტიროს სარიანი

მისი უკანასკნელი სიტყვები იყო
„გიყვარდეთ ერთმანეთი!“

მარტი როს
ფშატებში ატირდება,
მარტიროს,
პალიტრიდან
იცი გადმოფრენა,

მეძახის ატმისფერი სომხეთი —
შენი ატმისფერი გამოფენა!

მაღლა მზეა და
დაბლა მელანი, —
ცრემლი, რომელსაც
ჰქვია სევანი.

„გიყვარდეთ!“ —
ეს გზა
მაფხიზლებს თითქოს,
ვგრძნობ, შენმა სევდამ
უნდა მატიროს.
მარტიროს,
ვხედავ
შენს ნახატ სტრიქონს, —
სისხა და მასისს,
მარტიროს!

„გიყვარდეთ!“ —
მახრჩობს
ვედრება ძველი,
სანთლის შუქი სდის
ბიბლიურ სიტყვას...
გამოჭრილი მაქვს
ყვირილით ყელი:
მადლობა ღმერთს რომ
ნამდვილად გვიყვარს!

„გიყვარდეთ!“ —
ცისკარს
მოაქვს ნუგეში
და ნახნავებში
ოქრო იღვრება.

გულივით მიძგერს
ჩანგი უბეში,
სული თბება და
ჩნდება სიმღერა!
. . . . . . . .
. . . . . . . .
ვიცი, რას ნიშნავს
ოსტატის ლოცვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფშატებში ტირის მარტი როს,
მე ჩემმა ღმერთმა
უფლება მომცა,
ფრთებზე გემთხვიო,
მარტიროს!

მაღლა მზეა და
დაბლა მელანი, —
ცრემლი, რომელსაც
ჰქვია სევანი.

## სიკვდილი

მზე საათივით უკეთია
ზეცას მაჯაზე,
ტიკტიკებს დრო და
სულს ხავსივით
ერევა რული...

ვაიმე, ვატყობ, არაფერი
აღარ მაპრაზებს,
ვაიმე, ვატყობ,
არაფერზე
არ მომდის გული.

ამოდის მთვარე,
დაჰფენიათ ვერცხლი ძახველებს,
გრიგალმა, როგორც
სიყვარულმა,
გადიგრიალა...

ვაიმე, ვატყობ,
არაფერი აღარ მაღელვებს,
ვაიმე, ვატყობ,
მიხორცდება
ყველა იარა.

მზე საათივით უკეთია
ზეცას მაჯაზე.

## ზმები ზედაზნური მზისა

არაფერი,
ო, სრულიად
არაფერი,
ცა და ისევ
ცა და
ცა...
სადაცაა
შენი შუქით
გადავქრები,

სადაცაა
შენი ცეცხლი
გადამწვავს.

გადაჭრილი
ვენებივით
თბილი გზები,
მზე და ისევ
მზე და
მზე...

მზეო, ვიცი,
ზედაზენზე
მიმიძღვები,
მზეო, ვიცი,
ისევ ვნახავ
ზედაზენს!

არაფერი,
ო, სრულიად
არაფერი,

ცა და ისევ
ცა და
ცა...

სადაცაა
შენი შუქით
გადავქრები,
სადაცაა,
შენი ცეცხლი
გადამწვავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# მიწა

## რომანი

ლონგინოზ ლომჯარია საქმის ერთგული, დაუღალავი და პატიოსანი კაცი იყო. ამავე დროს ხელგაშლილი, ადამიანის მოყვარული, სხვისთვის პერანგს გაიხდიდა. თავის ფულს არ უფრთხილდებოდა, სუფრაზე უკანასკნელ მანეთს დახარჯავდა. სახელმწიფოს კაპიკს კრუხივით აჯდა. ხათრითა და ძმაკაცობით რაც არ ეკუთვნოდა, შვილსაც არ გაუკეთებდა. მუშისათვის გაუჩინარს გააჩენდა, საქმისთვის თავს დადებდა. ცოტა გაახარებდა, ცოტა შეაწუხებდა. ეს თავის დიდ ნაკლად მიაჩნდა. არ იცოდა, ასეთი გაჩნდა, თუ ასეთი გახადა ქვეყანამ. ხელმოკლედ ცხოვრობდა ხელგაშლილი კაცი. სიღარიბეს არ უჩიოდა. ბევრი კარგი ჰქონდა გაკეთებული და ეს მიაჩნდა სიმდიდრედ.

ერთი ძმა ჰყავდა. ერთი დედის მუცლიდან იყვნენ შობილი, ერთი ძუძუ ჰქონდათ ნაწოვი, ერთ დარჯაკში იყვნენ გავლილი და მაინც თხა და მგელივით არაფრით ჰგავდნენ ერთმანეთს.

ის ძმა ხელმოსათბობ ადგილზე მუშაობდა და მაინც უფრო სარფიან ადგილს ეძებდა. ლონგინოზს დასცინოდა. მე რომ ისეთ ადგილზე ვმუშაობდე, როგორც შენ, ქონება ბანში ამომივაო.

ლონგინოზი განაწყენებული უპასუხებდა: მე რომ შენი ჭკუით ვიარო და ეშმაკის კვალს დავადგე, ღმერთმა ერთი დღე არ მაცოცხლოსო.

ამ ნიადაგზე ძმებს ძმობა არ ჰქონდათ. ლონგინოზს გული ტკიოდა, რატომ აქვს ჩემს ძმას სინიდისი გარეცხილიო. იპოლიტეს კი გული მოსდიოდა — რატომაა ჩემი ძმა ასეთი წყალწაღებულიო.

მშენებლობის სამმართველოს უფროსი დიდად აფასებდა ლონგინოზის მუშაობას. ასევე აფასებდა ანდრო განგიაც. მან მოიყვანა მშენებლობაზე. სულს ანდობდა. მისი მუშაობა და პატიოსნება სხვებისათვის სამაგალითოდ მოჰყავდა.

ლონგინოზს ერთ ხელში ცივი მჭადისა და ჭყინტი ყველის ნატეხი ჩაებღუჯა, მეორე ხელით წელზე ქამარს ირტყამდა (მუდამ ეჩქარებოდა და სასაუზმოდ დროს არ კარგავდა) და ოთახიდან გადიოდა, რომ ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მაშინვე მიხვდა, ტარო-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი". № 12, 1976 წ.

ელ ქარდა რომ რეკავდა. მშენებლობის სამმართველოს უფროსის მეტს ასე ალიონზე არავის დაჭირდებოდა. ახლავე მოვდივარო, უთხრა ქარდას, მჭადი და ყველი მაგიდაზე დაადგო და შურდულივით გაიჭრა ეზოში.

ხმაზე შეატყო, ტარიელ ქარდას შეწუხებული რომ იყო და თვითონაც შეწუხდა. მიხვდა, რაზე წუხდა. სახლიდან გამოსულმა ეზო გაირბინა, ფარდულში შეიჭრა. იქ ეყენა თავისი „რაში". მოტოციკლეტს შეარქვა რაში. ოთხცილინდრიანი ძრავით მომუშავე მანქანა იყო. ჩვეულებრივად ასეთ ძლიერ ძრავს სამარულო მოტოციკლეტს უყენებენ, მაგრამ ლონგინოზს არც სიჩქარე ყოფნიდა და არც დრო. ამიტომ დაუყენა ასეთი ძრავა. მოტოციკლეტი ასოც კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებდა საათში. ლომჯარიას მოტოციკლეტის ხმას რომ გაიგონებდნენ ქალაქში და მშენებლობაზე, მოფრინავს ლონგინოზ ლომჯარია თავის რაშითო, იტყოდა დიდი და პატარა.

ლონგინოზი ჩაცმა-დახურვაში ზედმეტად კოხტაობდა. მდიდრულად და მოდაზე არ იცვამდა და იხურავდა, კარგად შეკერილი ტანისამოსი უყვარდა. ყველაფერი ისე მორგებულად ედგა ტანზე, ეცვა ფეხზე და ეხურა თავზე, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგექცია. ჯაობებში, ჭანჭყობებში, გვალვის ბუღში და ქარში ათენებდა და აღამებდა, მის ფეხზე და ტანზე კი ტალახის მწიკვლსა და მტვრის ცახეს ვერ ნახავდი. თავითფეხამდე რაც ზედ ეცვა, პრკიალ-პრკიალი გადასდიოდა.

მამლის ყივილის მაგივრობას მისი მოტოციკლეტი უწევდა ლონგინოზის უბანს, ის აუწყებდა ხალხს გარიჟრაჟს. მისი ძრავას ტკაცატკუცს რომ გაიგონებდნენ ტკბილ ძილში წასული კაცები და ქალები, მაშინ იღვიძებდნენ და დგებოდნენ საქმის მოჩქარენი. ისინი კი, ვისაც არ ეჩქარებოდათ, გვერდს შეიცვლიდნენ და ისევ ძილს მიეცემოდნენ. იცოდნენ, იმ ტკაცატკუცის შემდეგ კიდევ რამდენი დრო ჰქონდათ ძილისათვის.

ლონგინოზმა ჯიქურ გადაალაჯა მოტოციკლეტს, სატერფულს ფეხი დაჰკრა. ტკაცუნი გაიღო ძრავმა. მოქნეული ხმალივით ადგილზე შეატრიალა მორჩილი მანქანა, გამაყრუებელი ხმაურით გაენთო ქუჩას და მთელი უბანი შესძრა.

ტარიელ ქარდა ბოლთას სცემდა კაბინეტში. ლონგინოზის მოტოციკლეტის ტკაცატკუცი რომ შეესმა, ფანჯარასთან შედგა.

თენდებოდა.

მზე შინდისფრად ამოდიოდა შორს, მთების გადაღმა. მზის თავზე რუხი ღრუბლები ეკიდა. მზე სხვადასხვა ფერს უკიდებდა ღრუბლებს. რაც უფრო მაღლა იწევდა ზეციური ფუნჯი, იმ რუხ ღრუბლებს და მიწას სხვადსხვა საღებავებს აფენდა.

ქარდას არასოდეს არ უნახავს ასეთი განთიადი, ცისა და მიწის ასეთი მრავალფერი ელვარება, ცისა და მიწის ასეთი გაღვიძება. ამ ფერებს შეუმჩნევლად შეერწყა მუსიკის ჟღერა, სიცოცხლის, სინათლის ძახილი, გაიშალა, ამაღლდა, ძალა შეიკიდა. თითქოს როიალის ხმამაც შეიკიდა ცისა და მიწის საღებავები.

მზე ამობრძანდა.

ქარდამ თვალი დახუჭა.

ჩაქრა ფერები.

მიწყდა მუსიკის ხმა.

გაახილა თვალი. ზურგი შეაქცია ფანჯარას და მდუმარედ იდგა.

კიბეზე ლონგინოზის ჩექმების სწრაფი ბაგაბუგი ავარდა. კარი გაიღო. შემოვიდა აქოშინებული მომმარაგებელი. მისმა სწრაფმა თვალმა მაშინვე შენიშნა მშენებლობის სამმართველოს უფროსის გაფითრებული სახე, უძილობით შეშუპებული თვალები.

მომმარაგებელმა დაარწმუნა ქარდა, რომ საქორქიოში, საღვამიჩაოში, საგვიჩიოში, ნაბადაში, საბაჟოში, ყულევში, ქვალონში და ჭალადიდში, არც

ერთ ოჯახში არ ეტყოდნენ უარს მშენებლებისათვის ოთახის მიქირავებაზე. ბარაკებს კი ერთ თვეში გადავიტან ჭალადიდის მასივებში და ავაშენებო. ეს სოფლებიც ისევე მოელოდნენ მიწას, როგორც ჭაობიანი და მცირემიწიანი მრავალი სოფელი. მიწისათვის ოთახს კი არა, სულს არ დაიშურებდნენ, გაიჭირვებდნენ, შევიწროვდებოდნენ.

ლომჯარია ისე გადააჯლა თავის მოტოციკლეტს და სამმართველოდან უსმელ-უჭმელი პირდაპირ ოთახების დასაქირავებლად გაეშურა. პატარა ფოთს გვერდი აუარა. იგი შორს იყო ჭალადიდის უბნიდან და მისი მასივებიდან. იქიდან ფეხით ვერავინ ივლიდა სამუშაოზე. ავტობუსები და სატვირთო მანქანები ამ გზაზე სამოგზაუროდ კი არა, ქალაქს არ ყოფნიდა.

პირველად საქორქიოში შეაგდო თავისი რაში. ფოთის რაიონში ყველა სოფელი ცნობდა მისი ძრავას ხმას. ისიც იცოდნენ, რა სისწრაფით დააქროლებდა მოტოციკლეტს, მაგრამ არასოდეს ასე ხაფად არ შეუგდია სოფელში მანქანა.

ყველა გარეთ გამოეფინა. ატყდა ეზოდან ეზოში, სახლიდან სახლში, შუკიდან შუკაში, ბოსტნებიდან და ყანებიდან გადაძახილები: ლონგინოზ ლომჯარია მოფრ..ნავს, რაღაც კარგი ამბავი არ მოაქვსო.

ატყდა ძაღლების ყეფა-წკავწკავი.

მოტოციკლეტის თავბრუდამხვევი სრბოლით დაყენებული მტვრის გრძელი და სქელი კუდი თემშარაზე გაწვა, გაიშალა, გაიძენძა, გადაეფინა ეზოებს, ბურუსში გაახვია სოფელი. მტვერში არ ჩანდა ლონგინოზი და მისი მანქანა, მხოლოდ ტკაცატკუცით ხვდებოდნენ საით მიჰქროდა იგი.

ლონგინოზ ლომჯარია გურული იყო, მაგრამ გურულს არ ჰგავდა, არც სიმკვირცხლით, არც სიფიცხით, არც სიტყვა-პასუხით, ყველაფერი ეს თავისი რაშისათვის ჰქონდა მიკუთვნებული.

არც ერთ სახლში არ შესულა. პირდაპირ სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს ჭუტა ქორქიას მიადგა. საბჭოში თავმჯდომარისა და მდივნის მეტი ასე ადრე არავინ იყო მისული. ლონგინოზს მეტი არც არავინ უნდოდა. თითოეულ მოსახლეს ხომ არ ჩამოუვლიდა. ამისათვის მთელი კვირა დაჭირდებოდა.

მოკლედ უამბო თავმჯდომარესა და მდივანს მოსვლის მიზეზი.

— რას იტყვი, ჭუტა, თითო ოთახს არ მოგვაქირავებენ? — ჰკითხა ბოლოს თავმჯდომარეს.

— ასეთი საქმისათვის ოთახს კი არა, მთელ ოდას მოგაქირავებენ, — არც დაფიქრებულა, ისე უთხრა ჭუტა ქორქიამ. — დღესვე ჩამოვუვლით მე და ანეტა ყველა მოსახლეს. ახლავე იგულე სამოცი ოთახი დაქირავებულად, შენ ხარ ჩემი ბატონი. თითო ოთახში ორისამი კაცი დაბინავდება. დაახლოებით ასოც კაცს მიიღებს, შენ ხარ ჩემი ბატონი, საქორქიო.

— დიდებულია, — წამოიძახა ლომჯარიამ და სოფლსაბჭოს მდივანს ანეტას თვალი ჩაუკრა. — ლონგინოზი ქალების მუსუსი იყო. სარზე რომ კაბა ჩამოგეცვა, იმას ჩაუკრავდა თვალს.

ანეტა მკვრივად ჩასხმული, ეშხიანი ქალი იყო. ლონგინოზი კი არა, ბევრი მამაკაცი უპრაწავდა თვალს. ანეტა შეჩვეული იყო ამას. თვითონ აგერ ორმოც წელიწადს გადაცილებულ ქალს, ჯერ არავიზე შევარდნია გული.

ანეტას უყურადღებობით ცოტა გულნატკენი, თავისი საქმის წარმატებით ფრთაშესხმული კიდევ უფრო დიდი სისწრაფით მიაფრენდა მოტოციკლეტს საქორქიოდან სალვამიჩაოში, იქიდან საგვიჩიოში, საგვიჩიოდან ნაბადაში, ყულევში, ყორათში, ქვალონში, ჭალადიდში.

იმდენი ოთახი დაიბევა, ლაწჩხუთის მუშა-მოსამსახურეებს კი არა, მთელ მშენებლობას ეყოფოდა. — „ვინ მეტყოდა უარს საქვეყნო საქმეზე მოსულ კაცს! — კმაყოფილებით ფიქრობდა ლონგინოზი. ახლა სხვა საფიქრალი და საზრუნავი გაუჩნდა: — რით გადმოვიყვანო ამდენი მუშა და გად-

მოვიტანო ბარგი-ბარხანა? რანაირად ჩამოვარიგო ამდენ სოფელში? ამდენ სახლში? ან რა ვაჭამო და რა ვასვა?“

არ შეაწუხა ამ საფიქრალმა. ბუნებით ოპტიმისტი იყო. მისთვის არ არსებობდა საქმე, რომლის გაკეთება არ შეეძლო. მონდომება ნახევარი საქმეაო, მუდამ ახსოვდა ეს ანდაზა. მონდომება არ აკლდა. ლონგინოზის ბუნებაში იყო რაღაც ბავშვური, გულწრფელი, ისეთი, რაც პატარაობისასაა ადამიანში მაგრამ, ზოგს მთელი სიცოცხლე გაჰყვება. ეს ბავშვური ხდიდა ასეთ ენერგიულს, სიცოცხლისმოყვარულსა და დაუცხრომელს.

არ ყოფილა დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიეყვანოს. გაკეთებული ბევრი ჰქონდა. თორმეტი წლისას მამა ოსმალეთთან ომში დაეღუპა. ობლად დარჩენილ და-ძმისათვის თვითონ უნდა გაეწია მამობა. სწავლობდა და მუშაობდა. მის ხელში კალამი და წიგნი თოხმა და სახნისმა შესცვალა. სკოლა მაინც დაამთავრა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ზაჰესის მშენებლობაზე მუშაობდა შავმუშად და იქიდან ეხმარებოდა დედას. შემდეგ რიონჰესს აშენებდა. იქ უკვე ათისთავი იყო. შემდეგ ამიერკავკასიის შავი ზღვის რკინიგზა გაჰყავდა, ჯერ სენაკიდან ინგურამდე, მერე ინგურიდან კელასურამდე. ჭრიდა გვირაბებს, აშენებდა ხიდებს.

კოლხიდის დაბლობების მშენებლობაზე რომ მოვიდა, სამუშაოთა მწარმოებელი იყო. ლანჩხუთის უბანში დანიშნა ანდრო განგიამ. თვითონ ლანჩხუთელი იყო და გაეხარდა, მისი რაიონის, მისი კუთხის დაჭაობებული მიწების დასაშრობად რომ გაგზავნეს. მისი მასივი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა გეგმას. მთელს უბანში პირველი ადგილი ეჭირა. მალე მიიქცია სამმართველოს ყურადღება. მშენებლობაზე ბევრი რამ აკლდა ადამიანებს: ცუდად მარაგდებოდა სასურსათო ფარდულები და მაღაზიები. სასადილოებში არ შეისვლებოდა. ხორციანი კერძი კვირაში ერთხელ თუ გამოერეოდა. წყალ-წყალა წვნიანი, ფეტვის ფაფა, ლობიო, ქაფშია ან ქაშაყი და ცუდად გამომცხვარი შავი პური. არც ბინები ვარგოდა. ზაფხულში ბარაკებში ცხელოდა, ზამთარში არ თბებოდა და ციოდა. არ იყო აბანო, არ იყო განათება. ხშირად ლამფებისათვის ნავთიც არ ჰქონდათ. ბნელში წვებოდნენ და ბნელში დგებოდნენ.

განგიამ გადაწყვიტა ლონგინოზ ლომჯარიას მომარაგების უფროსად დანიშვნა. მშენებლობის სამმართველოს უფროსს მოეწონა მთავარი ინჟინრის აზრი, მაგრამ ლონგინოზმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: რა ჩემი საქმეა მომარაგება. მე დაბადებით მშენებელი ვარ, ყველა მშენებლობაზე მოწინავე ხაზზე ვიყავიო.

ქარდამ და განგიამ მალე დაარწმუნეს, რომ მომმარაგებელი და მშენებელი ერთ საქმეს აკეთებს, რომ მომარაგებაც მოწინავე ხაზია. ეს თვითონაც კარგად იცოდა ლონგინოზმა. ისიც იცოდა, რომ მშენებლებს არა მარტო საჭმელი და ბინა უჭირდათ. არ ჰქონდათ საკმარისი მანქანა-იარაღები. მანქანა კი არა, ბარი და წერაქვი, ნაჯახი და ხერხი არ ყოფნიდათ.

ხვეწნა-მუდარით მოყვანილი მუშა მალე ანებებდა მშენებლობას თავს და იქ მიდიოდა, სადაც ბინაც იყო, საჭმელიცა და ტექნიკაც. ცარიელი ენთუზიაზმით ვერ გააჩერებ მუშასო, ასე დაასრულა ანდრო განგიამ საუბარი ლონგინოზთან.

იმ დღიდან ლომჯარია სამეურნეო მომარაგებასაც განაგებდა და ტექნიკურსაც. იშვიათად ნახავდი კაბინეტში. ერთთავად გზაში იყო გაბმული. მშენებლობაზე თვითონ მიდიოდა, მასივებს ჩამოუვლიდა. ათისთავებს, სამუშაოთა მწარმოებლებს, მუშებს თვითონ ეკითხებოდა, რა უჭირდათ, რა ულხინდათ.

საოცარი მეხსიერება ჰქონდა. არაფერს არ იწერდა, ზუსტად ახსოვდა, სად რა მანქანა ან მანქანის ნაწილი

იყო საჭირო, სად ხე-ტყის მასალა, რომელ ფარდულისა და მაღაზიისათვის რა სურსათი მიეცა. თვითონ აწერინებდა განაწესსა და განკარგულებას, თვითონ აგზავნიდა საწყობში, ტრესტში, კომისარიატში, სამმართველოში, თვითონ ამოწმებდა შეასრულეს თუ არა დავალება.

ყველა გაკვირვებული იყო, რანაირად ასწრებდა ყველაფერს.

შეღამებულზე დაბრუნდა სოფლებიდან. მშენებლობის სამმართველოს უფროსს მოახსენა, ოპერაცია „ბინა“ წარმატებით დავამთავრეთ.

— ხვალ მეორე ოპერაციის „ტრანსპორტის“ შესრულებას შევუდგები, — ლომჯარია ყველა საქმეს თავის კოდს არქმევდა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ საქმეს ამით უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევდა, უფრო პასუხსაგებს ხდიდა. ამით თავის თავს მეტ მობილიზაციას უკეთებდა და საქმეს წინ წევდა.

— როგორა ფიქრობ, ლონგინოზ, ოპერაცია „ტრანსპორტი“ ასეთივე წარმატებით დამთავრდება? — ჰკითხა სერიოზულად, მაგრამ კეთილი ღიმილით ქარდამ.

— განა ლონგინოზ ლომჯარიას ჰქონია, წარუმატებლად დამთავრებული ოპერაცია?! — ასეთივე ღიმილით მიუგო ლონგინოზმა. მის თვალებს ეშმაკი ვერ გამოაპარებდა ვერაფერს.

მეორე დღესაც, როგორც ყოველთვის, ისევ გარიჟრაჟზე გაისმა ლენინის ქუჩაზე ლომჯარიას ოთხცილინდრიანი მოტოციკლეტის ტკაცატკუცი და მთელი უბანი გააღვიძა. არ შეჩერებულა სამმართველოს წინ, მთელი სისწრაფით ჩაუქროლა შენობას. მხოლოდ ტარიელ ქარდას კაბინეტის გაღებულ ფანჯარას მოჰკრა თვალი. — „ისევ დამასწრო“ — იცოდა, გუშინ და დღეს რა ჯავრს მოყავდა ასე ადრე ქარდა, რა გვემა აყენებდა ასე ადრე ლოგინიდან.

ჯერ ნავსადგურს მიადგა. იქ ორი სატვირთო მანქანა დაიბევა, მერე ქალაქის საბჭოს, საცდელ სადგურს, მექანიკურ ქარხანას, თევზის ქარხანას, საწყობებს. ქალაქში თორმეტ მანქანას მოუყარა თავი. მერე მშენებლობაზე გაეშურა, იქიდან ახალ სენაკში, ახალ სენაკიდან ხობში, არ დაუტოვებია იმ რაიონების კოლმეურნეობები.

ორი დღის შემდეგ მანქანებისა და ურმების გრძელი ქარავანი მიაყენა ლანჩხუთის უბნის მშენებლობას. ერთ დღეში გადაიყვანა მუშა-მოსამსახურეები თავისი ბარგით, ჩამოარიგა დაქირავებულ ოდებში.

მერე მანქანები და ურმები უკან გააბრუნა, დატვირთა სამუშაო იარაღებით, არაფერი დატოვა საწყობებში და ფარდულებში, მაღაზიებში, წაიღო ამბულატორია, აფთიაქი, წაიღო ის ბარაკები, რომელთა დაშლა მოასწრეს.

სამი დღე არ გამოჩენილა სამმართველოში. არც შინ მისულა. მეოთხე დღეს ტალახში ამოსვრილი, მტვერში ამოვინგლული, გაუპარსავი, დაუბანელი და დაუვარცხნელი ეახლა მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

ქარდას ასეთ დღეში არასოდეს არ უნახავს ლომჯარია. ეს კოხტაპრუწა კაცი მოჩვენებას ჰგავდა. გამხდარიყო, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ ლონგინოზი რისი ლონგინოზი იქნებოდა, შრომას რომ დავარდნოდა. არც დაღლა შეიმჩნია, არც შიმშილი, (ასე ეგონა თვითონ) ჯარისკაცივით გამოეჭიმა ქარდას, მარჯვენა ხელი მკვირცხლად აისროლა საფეთქელთან და რიხიანად უპატაკა:

— ამხანაგო მშენებლობის სამმართველოს უფროსო, ოპერაცია „ტრანსპორტი“ ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა... — ძლივს მოასწრო ამის თქმა, მუხლმა უღალატა და სკამზე დაეშვა. ქუდქვევიდან ჭუჭყიანი ოფლი სახეზე ჩამოედინა.

— ოპერაცია კი დაგიმთავრებია გამარჯვებით, მაგრამ თავი მოგიკლავს, ლონგინოზ, — უთხრა ქარდამ.

— შრომას ჯერ კაცი არ მოუკლავს, ტარიელ ბატონო, — წამოდგა ლონგინოზი იმის დასამტკიცებლად, რომ შრომას არ მოუკლივართ.

— დაჯექი, ლონგინოზ,— უთხრა ტარიელ ქარდამაც მეთაურის კილოთი.

ლომჯარია ჯარში იყო ნამსახური. მშენებლობის სამმართველოს უფროსთან ისე იქცეოდა, როგორც ჯარისკაცი მეთაურთან. ამდროს უსათუოდ გაეღიმებოდა ქარდას. იცოდა, ლონგინოზს ჯარიდან რომ გამოჰყვა ეს ჩვევა. უხდებოდა კიდეც. მარდად, ზუსტად, ჯარისკაცულად აკეთებდა ამას. ქარდას ახლაც გაეღიმა. ისე კოხტად და სწრაფად დაჯდა ეს ჯანღონისაგან დაცლილი კაცი, რომ არ შეეძლო არ გაღიმებოდა, არ გაკვირვებოდა.

— აი, რა, ამხანაგო ლომჯარია. აქედან პირდაპირ აბანოში გაეშურე. მგონი შინ აბაზანა არა გაქვს.

— დიახ. ასე გახლავთ, — წამოდგა ლონგინოზი. უფროსთან ბრძანების მოსმენა დამჯდარს არ შეეძლო.

— აბანოდან საპარიკმახეროში, მერე შინ. ისადილებ და პირდაპირ ლოგინში. თორმეტი საათი ძილი.

— არის თორმეტი საათი ძილი, — გაიმეორა ლონგინოზმა, — მაგრამ რა გამაჩერებს თორმეტი საათი ლოგინში?!

— უნდა გაჩერდე. ოპერაცია „ტრანსპორტის“ შესრულების ყველა დეტალი ვიცი. ამაზე არაფერს გკითხავ.

ლომჯარიას ისევ ისე ჩამოსდიოდა ჭუჭყიანი ოფლი სახეზე. ისევ ნიკაპზე ერთდებოდა.

მშენებლობის სამმართველოს უფროსი თვალს არ აშორებდა. არ იცოდა, რა განგებას ეკავა ფეხზე ეს კაცი.

— შეგიძლია წახვიდე, — უთხრა ტარიელ ქარდამ.

უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო უცებ დამეგობრდნენ.

უჩასა და ანტონის ოჯახებმა ერთნაირი უბედურება გადაიტანეს. ორივეს დედა ციებამ და დაჭაობებულ მიწაზე აუტანელმა შრომამ დამარხა. ახლა ორივე ერთად ებრძოდა ჭაობს.

ერთ ექსკავატორზე მუშაობდნენ. ანტონი თანატოლივით ექცეოდა თანაშემწეს. ისე შეეწყვნენ ერთმანეთს, გადაწყვიტეს, ერთ ოთახში დამდგმარიყვნენ, ერთად ეჭამათ და ესვათ.

ყულევში დაიკავეს ოთახი. დედაარხის გათხრაზე უნდა ემუშავა მათ ექსკავატორს. ყულევიდან არც ისე შორს იყო არხის ტრასა. ეს სოფელი იმიტომაც აირჩიეს, რომ ზედ ზღვისპირას იყო გაშლილი.

აქ ერთვოდა ზღვას მდინარე ხობისწყალი და სოფელს შუაზე ჰყოფდა, აქეთ-იქით გადაწოლილ იფნების ქვეშ მდინარეში ნავები იყო ჩაბმული. იფნების უკან ცოტა მოშორებით ჭადრები იდგა. მათ ჩრდილში გამართულ ერთრიგად ჩამწკრივებულ გრძელ მერხებზე მოხუცები ისვენებდნენ, ან ბავშვები თამაშობდნენ.

ჭადრების გაყოლებით თლილი მესრით შემოღობილ ეზოებში ხავერდივით ლივლივებდა კოინდარი. ეზოს სიღრმეში ოდები იდგა. ოდების წინ ვარდებისა და ყვავილების ფერად-ფერადი ბუჩქები რიკულებიან აივნებს ეკვროდა და ოდებს მეტ ეშხსა და ლაზათს აძლევდა. მარცხნივ, ცოტა უკან სამზადები იდგა, სამზადებს იქით საქათმე და სასიმინდე, შემდეგ ბოსტნები და ყანები მოჩანდა.

ყულეველი მოხუცები სათევზაოდ ნავებით გადიოდნენ. თევზი ზღვიდან ხობისწყალშიც ამოდიოდა. მდინარე განიერი არ იყო. ზედ რამდენიმე საცალფეხო ხიდი იყო გადებული.

ყულევის უძველესი ნავსადგურიდან არაფერი დარჩენილა. არც იფიქრებდი თუ აქ ოდესმე ნავსადგური იყო. შიგ სოფელში ჭაობს ვერ ნახავდი. სოფლის ერთ-ერთი ნაკლი ის გახლდათ, რომ სასმელი წყალი არ ვარგოდა. ზღვა შუა სოფლიდან ისე მოჩანდა, როგორც ხელისგული. მოჩანდა როგორ უერთდებოდა ხობისწყალი ზღვას. მოჩანდა ქვევით ცისფერი ზღვა, ზევით ლურჯი ცა.

უჩა შამუგიას და ანტონ ბაჩილოს მასპინძლები ცოლ-ქმარი იაკობი და ესმა არაჰამიები იყვნენ. ქალიშვილი

გათხოვილი ჰყავდათ. ვაჟი ფოთის რკინიგზის სადგურში მუშაობდა.

გამოყრუებულ სახლში სიხარულით მიიღეს მოხუცებმა მდგმურები, დღე ისე გავიდოდა, ხმის გამცემს ვერ ნახავდნენ მეზობლებში. წისქვილში ან სოფლსაბჭოში თუ გამოელაპარაკებოდა ათასში ერთხელ იაკობი ვინმეს. ან კვირადღეს ხობისწყლის პირას ჭადრების ჩრდილში გამოსულ მოხუცებს.

ყულევი პატარა სოფელია. კოლმეურნეობა არა აქვთ. სხვაგან სად შეხვდება კაცი კაცს!

იაკობი თევზს იჭერდა. ესმა ნესვს იწევდა. იაკობი და ესმა თევზსა და ნესვს ფოთის ბაზარში გზავნიდნენ გასაყიდათ და ამით ირჩენდნენ თავს. სხვა შემოსავალი არ ჰქონდათ. შვილებს თვითონ უჭირდათ, თავი ძლივს გაჰქონდათ, მშობლებს ვერაფრით ეხმარებოდნენ.

ცოლ-ქმარმა მდგმურებს წინა ოთახი გამოუყვეს. იატაკი, ფანჯრები და რაფები დარეცხეს, საკიდარი, მაგიდა და სკამები დაუდგეს. ესმამ ლოგინი თვითონ დაუგო. შეილივით მიიღო ორივე. კვირა დღეს საუზმით, სადილითა და ვახშმით უმასპინძლდებოდა. თევზით, ყველით, ამოლესილი ლობიოთი, ზოგჯერ შემწვარი ქათმით და ბაყას საწებელით. ამ ოჯახში პურს თითქმის არ ხმარობდნენ. მჭადი და ღომი ცვლიდა პურს. ანტონ ბაჩილო მალე შეეჩვია ორივეს.

იაკობ არაჰამიას ოდა სოფლის ცენტრში, ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე იდგა. მის ოჯახში ორი ახალგაზრდა მამაკაცის ჩასახლების ამბავი უცებ გაიგეს სოფლის ქალიშვილებმა.

თუ წინათ მერხებზე მოხუცები სხდებოდნენ და ბავშვები თამაშობდნენ, ახლა საგანგებოდ მორთული ქალიშვილები გამოეფინენ ორივე ნაპირზე.

ქალიშვილების ყურადღებით გაამაყებული უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო ყოველთვის გაპარსული, დაბანილ-დავარცხნილი და სუფთად ჩაცმული მიდიოდნენ სამუშაოდ. ქალიშვილებს მხოლოდ სალამს მისცემდნენ და გულგრილად ჩაუვლიდნენ, მაგრამ მაინც ლამაზი ქალის ღიმილს სითბო კი არა, ცეცხლი შეუძლია შეუნთოს კაცის გულს და იმის შიშით, რომ ეს ცეცხლი არ მოდებოდათ და ცდუნება აეცდინათ, დილით ადრე მიდიოდნენ სამუშაოდ და საღამოთი გვიან ბრუნდებოდნენ.

ქალიშვილები უთენია იბა, როგორ გამოვიდოდნენ ჭადრების ქვეშ, ან გვიან საღამომდე როგორ დარჩებოდნენ ხობისწყლის ნაპირებზე. ასე გაუცრუვდათ იმედი სიყვარულმოწყურებულ ფერიებს.

სხვა ოდებში ჩასახლებული მუშები არავის მოსვლია თვალში. ზოგი ხანშიშესული იყო, ზოგი ულამაზო და ზოგიც ცოლ-შვილიანი. ასე დარჩნენ თავის უიღბლო ბედს დამორჩილებული ქალიშვილები.

ისინი ყულევში ვერ თხოვდებოდნენ. სოფლის ბიჭები ჩვიდმეტ-თვრამეტ წელს რომ მიაღწევდნენ, სამუშაოდ ქალაქში მიდიოდნენ, ან საბჭოთა მეურნეობებში, ან მშენებლობებზე. ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებში შედიოდა და უკან აღარ ბრუნდებოდა. ქალიშვილები შინ რჩებოდნენ. ყველა ქალიშვილს არა ჰქონდა სწავლის გაგრძელების საშუალება. სამუშაოდ კი მშობლები არ უშვებდნენ.

ვისზე გათხოვდებოდა სოფელში დარჩენილი ქალიშვილი? ყულევში ათასში ერთხელ შემოივლიდა ვინმე სტუმრად, სოფლიდანაც ათასში ერთხელ წავიდოდა ვინმე. აქაური ქალიშვილები გარიგებით თხოვდებოდნენ სხვა სოფლებში. ასეთი ქორწინება ბევრ შემთხვევაში სიყვარულსა და ცოლ-ქმრულ ბედნიერებას მოკლებული იყო.

ამიტომ აუფანცქალდათ გული უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს დანახვაზე. ჯანმრთელ და სიცოცხლით სავსე ქალიშვილების გულს, ისიც ზღვისპირად გაზრდილებისას და ოდიშელებისას, ერთი ნაპერწკალი აафეთქებს.

უჩა შამუგიას და ანტონ ბაჩილოს დანახვამ მათ გულს ნაპერწკალი კი არა, ცეცხლის ალი შეუნთო. შორიდან ტრფიალით რომ ვერ მიიქციეს ვაჟების ყურადღება, რიგრიგობით მიდიოდნენ იაკობისას. ზოგი რას იმიზეზებდა მოსვლის საბაბად და ზოგი რას. ერთნი ფქვილის სასესხებლად იყვნენ მოსულნი, მეორენი ლობიოსი, წიწაკის, ფულისაც და ვინ მოსთვლის კიდევ რისი. გაცნობით კი გაიცნეს უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ გაცნობით დამთავრდა.

ქალიშვილების ერთი ნაწილი მაინც არ შედრკა, იმედი არ დაკარგა, სხვა ხერხს მიმართა: ზღვაზე გაზრდილებს, ფეხის ადგმის დღიდან ცურვას რომ იწყებდნენ, საროს ტანი ჰქონდათ, მოქნილი, ხორბლისფრად დაფერილი, ქიხითა და ვნებით სავსე.

ქალიშვილებმა კარგად იცოდნენ თავის ტანის ფასი და სამუშაოდან დაბრუნებული უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო კვირა საღამოს საბანაოდ პირველად რომ გავიდნენ პლიაჟზე, ქალიშვილებიც სწორედ მაშინ გამოეფინენ სოფლიდან. გზად კაბას იხდიდნენ და ხელით მიჰქონდათ. ქალაქელი ქალიშვილებივით საბანაო კოსტუმები ეცვათ, კოთისა და მალთაყვის პლაჟზე რომ უნახავთ ისეთები, ოღონდ საკუთარი ხელით შეკერილები. მზისა და ზღვისაგან გამოხუნებული თმა მხრებზე ეყარათ. იცოდნენ, რომ ქალის ლამაზი ტანი უკაბოდ კიდევ უფრო ლამაზია. მხრებისა და წელის რხევით მიკოხტაობდნენ. ფეხს მსუბუქად ადგამდნენ მიწას. ზღვისაკენ დახრილი მზე ფარავდა მათ თმასა და ტანს. უჩასა და ანტონს არ უყურებდნენ, ცალი თვალი მაინც მათკენ ეჭირათ. ახლა მაინც არ მოგვაქცევენ ყურადღებასო.

პირველად უჩამ დაინახა ისინი და სახტად დარჩა.

— ტყაშმაფები! — წამოიძახა გაოცებულმა.

— ვინა?! — მიბრუნდა ბაჩილო იქით, საითაც უჩა იყურებოდა. [illegible] ვერ მიხვდა რამ გააოცა უჩა. ანტონი ყირიმისა და სოჭის პლაჟებზე ნამყოფი იყო. ქალის ბევრი ლამაზი ტანი უნახავს იქ, ქერათმიანიცა და შავთმიანიც.

უჩასთვის მართლაც ტყაშმაფებს ჰგავდნენ ქალიშვილები. ტყის დედოფლებივით მოჩანდნენ ჩამავალი მზის მეწამული ფერით გაშიშვლებულები, მხრებზე ჩამოშლილი დალალებით, ნარნარი სიარულით.

— ვისზე თქვი, უჩა, ტყაშმაფებიო?! — ჰკითხა ანტონმა.

— იმ ცირებზე.

ქალიშვილებმა სულ ახლო ჩაუარეს. ისე ახლო, რომ მათი ტანის სურნელიც კი ეცათ. თვალი ვერ მოაშორეს, ვიდრე ზღვაში არ გადაეშვნენ.

— რას ნიშნავს ტყაშმაფა, უჩა? — ჰკითხა მეგობარს ბაჩილომ.

— ტყის მეფე ქალს, — უპასუხა უჩამ, — მაგრამ ტყეს ერთი მეფე ქალი ჰყავს, ერთი ტყაშმაფა. აქ კი შეხედე, რამდენია.

— ტყის მეფე ქალი?!

— ჰო. ტყეს ქალი მეუფეობს. მას ემორჩილება ნადირი და ფრინველი. ქალი ლამაზია, ტანშიშველი, გრძელი თმა მხრებზე აფენია. ტყაშმაფა უმართავს და უშლის ხელს მონადირეს. თუ მოეწონა მონადირე, სიყვარულს შესთავაზებს.

— ტყის მეფე შესთავაზებს სიყვარულს მონადირეს?!

— სიყვარულმა არ იცის მეფე და მონა, — თქვა უჩამ დინჯად.

— ეს კარგადა თქვი, უჩა.

— არც რჯული იცის, არც რწმენა.

— ბიჭოს, — შენ ფილოსოფოსობ, — გაიცინა ბაჩილომ.

— ტყაშმაფას თუ არ თანაუგრძნო კაცმა, შურს იძიებს.

— ვინ არ თანაუგრძნობს ტყაშმაფას, თუ ასეთი ლამაზია.

— მზეთუნახავია. სიყვარულით გაუმაძღარი.

— ის ტყაშმაფებიც სიყვარულით გა-

23468

უმაძღრებია? — ჰკითხა ბაჩილომ და ქალიშვილებისაკენ გაიხედა.

ქალიშვილები და დელფინები ერთად ცურაობდნენ.

ქობულეთიდან მოყოლებული ყულევამდე უამრავი დელფინი ბუდობდა ზღვაში. ჯგროდ დაცურავდნენ, ყვინთავდენ ნაპირთან ახლოს, წყლიდან ამოხტებოდნენ, თავდაყირა გადადიოდნენ.

დელფინებსა და ქალიშვილებს დიდი მეგობრობა ჰქონდათ. ქალიშვილები ზღვისაკენ საბანაოდ რომ გაეშურებოდნენ, დელფინები ნაპირთან უფრო ახლო მოვიდოდნენ. მხიარულად ჭყიოდნენ. ისე შეტრფოდნენ ქალიშვილებს, ის დღე ისინი რომ არ ბანაობდნენ, დღე არ იყო მათთვის. მოსვენებას კარგავდნენ, წრიალებდნენ, შფოთავდნენ, ჭყივილით უხმობდნენ, ნაპირს არ შორდებოდნენ, ვიდრე ქალიშვილები სოფლიდან არ გამოვიდოდნენ და მაშინ ისეთ ზარ-ზეიმს ატეხდნენ, მათი შემყურე არ შეიძლებოდა არ გაოცებულიყო.

შევიდოდნენ თუ არა ქალიშვილები ზღვაში, დელფინები ჯერ მუცელქვეშ შეუცურდებოდნენ, სიხარულით ჭყიოდნენ, ცხვირს ადებდნენ ტანზე, თითქოს კოცნიდნენ. იყო ერთი ტკრციალსიცილი, ჭყივილი და ტყლაშუნი.

— ამ ქალიშვილების სიყვარულით გაუმაძღრობაზე ვერაფერს გეტყვი, ანტონ, მაგრამ ნამდვილი ტყაშმაფის სიყვარული თუ არა გაიზიარა მონადირემ, ნადირობაში ხელს მოუცარავს და შურს იძიებს.

— ამ ტყაშმაფებმა ტანის ისეთი რხევით ჩაგვიარეს, მგონი სიყვარულს გვთხოვენ, — უთხრა ანტონმა შაშუგიას, — ჩვენ ყურადღებაც არ მივაქციეთ.

— არ გეხუმრები ანტონ, — უთხრა უჩამ, — დაუნდობელია თურმე სიყვარულში გაწბილებული ტყაშმაფა.

— სიყვარულში გაწბილებული ყველა ქალი დაუნდობელია, უჩა.

— არ გეხუმრები, ანტონ, — უთხრა ისევ უჩამ, — აი, რა ქნა ერთმა ტყაშმაფამ.

— მართალ ამბავს ამბობ, თუ თქმულებას? — გაიცინა ანტონმა.

— ბავშვობაში მართალი მეგონა და ტყაშმაფის შიშით ტყეში ღრმად არ შევდიოდი.

— პოლესიაშიაც ბევრი თქმულებაა და პატარობისას მეც მქონდა ტყის შიში. მეშინოდა ჩერვონოესი და ვიგონოვსკოეს ტბებისაც, იქ მცხოვრები ალების.

— ძველად სოფელ ჯვარში ერთი განთქმული მონადირე ცხოვრობდა. გვარად ზურხაია. ზურხანი რქმევია. ისეთი ტანადი და ლამაზი ყოფილა, ქალებს მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდათო. ზურხაიას ძალიან ლამაზი ცოლი ჰყოლია და უზომოდ ჰყვარებია. ამიტომ სხვა ქალს ზედაც არ უყურებდა. ერთხელ, ნადირობისას, ყვირის მთაზე ტყაშმაფა შემოჰყრია. შემდგარა ქალი. თვალი ვერ მოუშორებია ზურხაიასათვის. მონადირეც გაოცებულა ტყაშმაფის სილამაზით. თავის ცოლზე მშვენიერი ქალი თუ იყო ქვეყანაზე, არ გონებია. ხომ არ მეჩვენებაო, უფიქრია ზურხაიას. ახლო მისულა. ვინ ხარო უკითხავს და ხელით შეხებია მკერდზე, რომ დარწმუნებულიყო, ქალი იყო თუ მოჩვენება. ტყაშმაფას ის ხელი დაუჭერია და ძუძუზე მიუდვია. ოქროსფერი თმა ძუძუებზე რომ ეფინა, თავის აქნევით უკან გადაუყრია. მთლად შიშველი ყოფილა თავით ფეხამდე. ზურხაიას გონება არევია, შეშინებია ქალის სილამაზისა. ტყაშმაფას ეს რომ დაუნახავს, კისერზე მკლავები შემოუხვევია მონადირისათვის. შემიყვარეო, უთხოვია. ძუძუებით ეკვროდა თურმე ზურხაიას. ჩემი სიყვარული რათ გინდა ასეთ ლამაზსო, უკითხავს ზურხანს. მინდაო. არ მოშვებია სიყვარულის ჟინით გადარეული ქალი. მონადირესაც გადადებია ვნების ცეცხლი — უღალატნია ცოლისათვის. მთელი დღე ოქროს სარეცელზე წოლილა ტყაშმაფასთან. ვნებით თავბრუდახვეულს ტყაშ-



სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული

მაფის ბრძანებით ფიცი დაუდვია, ცოლს აღარ გავეკარები ამიერიდანო. იმ დღიდან ცოლთან ნანადირევი კი მიჰქონდა, მაგრამ მის სარეცელს არ ეკარებოდა. გათენდებოდა თუ არა, წინ ძაღლს გაიგდებდა, თოფს გადაიკიდებდა და ისე გავიდოდა შინიდან, ცოლს არც შეხედავდა. ავიდოდა თუ არა ყვირის მთაზე, ტყაშმაფას ლოგინს მიაშურებდა. ერთმანეთის სიყვარულით ვერ ძღებოდნენ. ცოლს ეჭვი კლავდა, გრძნობდა, რომ ქმარს სხვა ქალი უყვარდა. ზურხაიამ თურმე ნადირობაზეც აიცრუა გული. შეურაცხყოფილი ცოლი ლოგინად ჩავარდნილა. სანთელივით ილეოდა დღითი-დღე. მაშინ კი შეცოდებია ზურხაიას ცოლი, მობრუნებია გაციებული გული, დაბრუნებია ცოლის სარეცელს. იმ დღიდან ტყაშმაფასთან აღარ წასულა. ერთ საღამოს მონადირის ძაღლი ყეფით გაჭრილა ეზოდან. ზურხაის თოფისათვის წამოუვლია ხელი და ძაღლს დადევნებია. ძაღლი ფერდობზე გადმომდგარ ირმების ჯოგისაკენ გარბოდა. დაუნახავთ თუ არა ირმებს მონადირე, შებრუნებულან და ყვირის მთის თავზე აჭრილან, სადაც ტყაშმაფის სარეცელი იყო. ირმების წინ გამომწვევად მდგარ ერთ-ერთ ფურირმისათვის ის იყო თოფი უნდა ესროლა ზურხაიას, რომ ირემს ქალის ხმით დაულაპარაკნია. თოფი დაუშვი, ფიცის გამტეხის ტყვია არ მომხვდება. ზურხაია მაშინვე მიმხვდარა, ვინ იყო ის ფურირემი. თოფი მაინც არ დაუშვია. მაშინ ფურირემს ტყაშმაფის სახე მიუღია. კიდევ უფრო ლამაზი იყო თურმე ყვირის მთაზე დაფრქვეული, მზის სხივებით დაფერილი, მონადირე ის იყო მუხლზე უნდა დაცემულიყო და პატიება ეთხოვა, რომ ტყაშმაფას უბრძანებია: ტყუილად ირჯები, შეწყნარებას ნუ ელი. რა მექნა, ქვა არ მედო გულში, ცოლის ცოდვა ვერ ავიტანეო, უთქვამს ზურხაიას. ამიერიდან გულიც ქვად გექცევა და სულიცო. ამის თქმა და მონადირე თავისი ძაღლითურთ ქვად ქცეულა.

— რა ულმობელი ყოფილა, ტყაშმაფა. ვაი თუ, ის ტყაშმაფებიც ასეთი გულისანი არიან, — ისევ ქალიშვილებისაკენ მიიხედა ბაჩილომ.

— არ ვიცი, ისინი რანაირი გულისანი არიან, — უთხრა უჩამ. — ის კი ვიცი, კაცმა ან არ უნდა დაიფიცო, ან თუ დაიფიცავ, ფიცი არ უნდა გატეხო. ახლაც ყვირის მთის თავზე დგას მონადირისა და ძაღლის ქანდაკი. წელიწადში ერთი დღით ჩაუდაგმს სულს ზურხაიასა და მის ძაღლს ტყაშმაფა და დალამებამდე ისმის ყვირის მთის თავზე ძაღლის ყეფა-წკავწკავი და თოფის სროლის ხმა.

— კარგი თქმულებაა, — მოუწონა ბაჩილომ მეგობარს ნაამბობი. — ჩემი ცისანა ძალიან რომ არ მიყვარდეს, ამ სოფლის ტყაშმაფებიდან ერთს მეც დავუდებდი ფიცს.

— ქვად რომ გაქციოს?!

— ასეთი ლამაზი ქალისათვის კი ღირს ქვად გადაქცევა.

— მაშ, არ გყვარებია ცისანა.

— არა. ვიხუმრე, უჩა, — უთხრა ბაჩილომ. — ცისანა ჩემთის ის შენი ოქროსთმიანი ტყაშმაფაა. ვერ გავტეხავ ფიცს.

— ვერც მე გავტეხავ ფიცს, ანტონ, მაგრამ ასეთ ტყაშმაფებს გულგრილად მაინც ვერ ჩავუვლი.

— ვერც მე ჩავუვლი.

მაინც გულგრილად ჩაუვლიდნენ ხოლმე შამუგია და ბაჩილო და ქალიშვილებმა სამუდამოდ დაკარგეს იმედი, ხელი ჩაიქნიეს. ის ჭადრები და მერხები კვლავ მოხუცებმა და ბავშვებმა დაისაკუთრეს. ქალიშვილები პლაჟზედაც აღარ გამოდიოდნენ. აბა რა იცოდნენ მათ, რომ უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს გულს სიყვარულის ალი დიდი ხნის შენთებული ჰქონდა.

შამუგია და ბაჩილო ამ ალმა უფრო დაახლოვა. მათი ფიქრი ერთ საქმეს დატრიალებდა: რაც შეიძლება მეტი კუბამეტრი მიწა ამოეღოთ არხიდან.

რაც უფრო მალე ამოაშრობდნენ ჭალადიდის უბანს, მით უფრო ადრე მიიღებდნენ სამოსახლო მიწას.

ბაჩილო ცდილობდა მალე ესწავლებია შამუგიასათვის ექსკავატორის მართვა, რომ მანქანას ორ ცვლად ემუშავა.

ერთხელ სამუშაოდან დაბრუნებულმა უჩამ გულისჯიბიდან ბევრი ტარებით ნაპირებ შემოცრეცილი და გახუნებული ციას სურათი ამოიღო და თავის საწოლთან კედელზე მიაკრა. მერე საერთო რვეულიდან ფურცელი ამოხია, ზედ ფანქრით მსხვილად დააწერა: „1937 წლის 12 ოქტომბერს მე და ანტონ ბაჩილომ ჩვენი ექსკავატორით „კოპელით" 300 კუბამეტრი მიწა ამოვიღეთ დედაარხიდან". ციას სურათის ქვევით რვეულის ფურცელი კედელზე მიაბნია ქინძისთავით. მერე ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. სურათს შეხედა და გაუღიმა:

— პირობას გაძლევ, ცია, ყოველ დღე მეტი მიწა ამოვიღო დედაარხიდან.

ბაჩილო ხელ-პირის დასაბანად გარეთ იყო გასული. სწორედ იმ დროს შემოვიდა, უჩა რომ პირობას აძლევდა საცოლეს. შამუგია ისე იყო გართული, არ გაუგია ანტონის შემოსვლა. ბელორუსს ჯერ არა ჰქონდა ციას სურათი ნანახი და მაინც მიხვდა კედელზე მიკრული სურათი უჩას საცოლისა რომ იყო. ის კი ვერ გაიგო რვეულის ფურცელზე რა ეწერა.

— და ყოველ დღე გიპატაკო...

— რას უპატაკებ, უჩა შენს საცოლეს?

— რომ ყოველ დღე მეტ კუბამეტრ მიწას ამოვიღებთ არხიდან, — უთხრა უჩამ.

— ბიჭოს, ეგ რა კარგი აზრია, — მოეწონა ბაჩილომ. — მოდი, მეც გავაკრავ ჩემი ცისანას სურათს, — გულისჯიბიდან ცისანას სურათი იშიშვლა. უფრო დიდხანს ნატარები, ნაპირებშემოცვეთილი, გახუნებული. იმავე სიმაღლეზე მიაკრა თავის საწოლის კედელზე იმავე საერთო რვეულიდან ამოხია ფურცელი და ზედ ფანქრით მსხვილად დააწერა: „1937 წლის 12 ოქტომბერს მე და უჩა შამუგიამ ჩვენი ექსკავატორით „კოპელით" 300 კუბამეტრი მიწა ამოვიღეთ დედაარხიდან. პირობას გაძლევ, ცისანა, ყოველდღე მეტი მიწა ამოვიღოთ დედაარხიდან და ყოველ დღე გიპატაკო", — უთხრა უჩას კილოზე სურათს, მერე შამუგიასაკენ მიბრუნდა, ხელი ჩამოართვა.

— მოდი, ახლა ერთმანეთს მივცეთ პირობა, რომ სიტყვას შევასრულებთ.

— უნდა შევასრულოთ, ანტონ, — უთხრა უჩამ. — ისე მიყვარს ჩემი ცია, შემიძლია ოცდაოთხი საათი ვიმუშაო.

— მეც ასე ვარ შეყვარებული, — გამოუტყდა ანტონ ბაჩილო. — დიდი სიყვარული ცოდნია კოლხიდელ ქალს.

— მედეას და იაზონის ამბავი თუ იცი?

— ვიცი.

— ვინ გიამბო?

— ისიდორე სიორდიამ.

— სიორდიამ?! — გაუკვირდა უჩას. — ამ კაცს სიყვარულზე თუ შეეძლო ლაპარაკი, არ მეგონა. ანტონ, მე მას ვერაფერი გავუგე. კარგად მუშაობს. საქმე კი არ უყვარს. ხან ქაჯსა ჰგავს, ხან ადამიანს. რა უზის სულში ვერ გაიგებ.

—სულში ეშმაკი უზის. კაცი რომ არ მოეწონება, მის გვარს უბის წიგნაკში იწერს. რისთვის იწერს, რატომ იწერს?

— ალბათ, კარგი საქმისათვის არ იწერს.

— ალბათ.

— ფუი, სიყვარულზე ვლაპარაკობდით და ეშმაკის სულზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, — თქვა უჩამ.

შამუგია ახლო მივიდა ცისანას სურათთან, ბაჩილოც ახლო მივიდა ციას სურათთან, დააკვირდნენ, მერე ერთმანეთისაკენ მიბრუნდნენ.

— ასეთი ქალები სასწაულს ჩაადენინებენ კაცს, — ერთდროულად უთხრეს ერთმანეთს. — მედეაზე უფრო

დიდ სასწაულს ჩაადენინებენ, — თქვეს და გაიცინეს.

ტარიელ ქარდა და კოჩა ყორშია ქალაქის საავადმყოფოს რეანიმაციის პალატაში რომ შევიდნენ, ვასო ბრეგვაძეს ეძინა. იმ დღეს ბრეგვაძე წყალმა რომ გაიტაცა და ხეს დაატაკა, თავის ქალის ფუძე გაუტყდა, ოთხი ნეკნი ჩაემტვრა და მარცხენა ხელი იდაყვის სახსარში ამოუვარდა, ამას ზედ ტვინის შერყევაც დაერთო.

რამდენიმე დღე უგონოთ იწვა. არავინ ელოდა მის გადარჩენას, მაგრამ ჯანმა შეუნარჩუნა სული. ხელი თაბაშირში ედო. მკერდი და თავპირი შეხვეული ჰქონდა. მარტო თვალები და ტუჩები უჩანდა.

ორი კვირა არავის უშვებდნენ მასთან. დღეს პირველად დართეს ნება ტარიელ ქარდასა და კოჩა ყორშიას. ის იყო ქარდამ და ყორშიამ უკან გაბრუნება დააპირეს, ავადმყოფმა თვალი გაახილა და გაიღიმა.

— გაგაღვიძე, ვასო, — შეწუხდა ქარდა.

— მუუუ... იიი... მუუუ... — ტვინის შერყევის შემდეგ უფრო უკიდებდა ენას. — არა უშავს. დაბრძანდით.

— როგორა ხარ, ვასო? — ჰკითხა ქარდამ. დაჯდა და სკამი საწოლთან ახლო მიიჩოჩა.

— მუუუ... იიიი... მუუუუ... მგონი აღარ მოვკვდები, — მარჯვენა, ბანჯგვლიანი მკლავი უმოძრაოდ ედო ლეიბზე.

მშენებლობის სამმართველოს უფროსმა და პარტორგმა თვალი მოარიდეს. მკლავი სისხლისაგან დაცლილი მოეჩვენათ.

— მუუ... იიიი... მუუუ... ანდრო განგია როგორაა?

— კარგად, — უთხრა პარტორგმა. — ყოველ დღე ნახულობდა შენს ექიმს.

— შენმა ავადმყოფობამ ციებაც კი დაავიწყა ანდროს, — გაუცინა ტარიელ ქარდამ.

— მუუუ... იიიი... მუუუ.... მითხრა ექიმმა, ანდროს აღარ აციებსო, — ლაპარაკი უჭირდა, თავს ძალას ატანდა. თვალებში სისხლი ჰქონდა ჩაქცეული, ცუდად ესმოდა მათი ხმა. — მშენებლობაზე როგორ მიდის საქმე?

— დიდებულად, — უთხრა ქარდამ. — ლანჩხუთის უბნის ყველა მუშა-მოსამსახურე ჭალადიდის უბანში გადავიყვანეთ, — ტარიელ ქარდა გვიან მიხვდა, რომ არ უნდა ეთქვა ბრეგვაძისათვის ლანჩხუთის უბნის მშენებლობის გაუქმება. მაგრამ მის თვალებში კმაყოფილების ღიმილი დაინახა და განაგრძო: — აი, მორჩები, ვასო და კვლავ მხარში ამოუდგები ვაჟას.

— მუუუ... იიიი... მუუუ... მაინც მენანება ლანჩხუთის უბნის მშენებლობის მიტოვება.

— დროებით მიტოვება, — უთხრა პარტორგმა. — ლანჩხუთის უბანს ისევ დაუბრუნდებით, ვასო.

— მუუუ... იიიი მუუუ.... კი მინდა დავუბრუნდე, მაგრამ ჩემისთანა ხეიბარი...

— ექიმმა თქვა, ორ თვეში საღ-სალამათს დაგიბრუნებთ თქვენს ინჟინერსო, — უთხრა ქარდამ.

— გული კი მეუბნება ამას, მაგრამ გონება არ მაძლევს იმედს.

— გულს დაუჯერე, ვასო, — გაუცინა პარტორგმა.

— მუუუ... იიიი.... მუუუ... გული ზოგჯერ მატყუებს, შემაცდენს, — გაიღიმა თვალებით. — აი, თუგინდაც იმ ღამეს თათბირზე... რასაკვირველია, ანდრო მართალია. ყველაფერს ერთად მოვეჭიდეთ. მუუუ... იიიი... მუუუ... მე წინააღმდეგი ვიყავი. ეს იცოდა იმ ყმაწვილმა, ცოლს რომ არ ატანენ და მაინც მომცა სისხლი, რა გვარია? — ჰკითხა კოჩა ყორშიას.

— შამუგია.

— მუუუ... იიიი... მუუუ... დავუჯერებ გულს, რომ შამუგიამ მალე შეირთოს ცოლი.

ბანჯგვლიანი მკლავი ისევ ისე უმოძრაოდ ედო ლეიბზე. მაგრამ მშენებლობის სამმართველოს უფროსმა და პარ-

ტორგმა იცოდნენ, რომ ის მკლავი იმუშავებდა — ვასო ბრეგვაძე დაუჯერებდა გულს.

„ანდრო თუ ყოველდღე მოდიოდა ჩემი ამბის გასაგებათ, დღეს ტარიელსა და კოჩას რატომ არ მოჰყვა?! — გაუელვა თავში ბრეგვაძეს ეჭვმა, როგორც კი მშენებლობის სამმართველოს უფროსი და პარტორგი პალატიდან გავიდნენ. — რამ შემაკრთო?! ანდრო იქნებ მშენებლობაზეა... რა უნდა მოსვლოდა? აღარ აციებსო. რატომ ექიმი არ შემოდის, რომ მას ვკითხო ანდროს ამბავი. რა უნდა ვკითხო?! ანდრო გახარებული იქნება. ოცნება აუსრულდა. რა მემართება, რატომ ვფიქრობ ანდროზე ასე შეშფოთებით?!. რაღაც ცუდი ამბავია ანდროს თავზე. რა უნდა დამართოდა ანდროს?! დასწყევლოს ეშმაკმა, რა მემართება?! შეუმცდარი წინათგრძნობა მაქვს. რაღაც ცუდი ამბავია ანდროს თავზე. ღმერთმა დაუფაროს ცუდი. რატომ არ დაუცადეს ანდროს ქარდამ და ყორშიამ?! უსათუოდ ერთად მოვიდოდნენ, რაიმე რომ არ უჭირდეს ანდროს“.

გვიან საღამოს ექთანს დაარეკინა განგიას ბინაზე, შემდეგ სამმართველოში. კიდევ უფრო დაეჭვდა და შეშფოთდა. ღამე ცუდად ეძინა. დილით ექიმი რომ შემოვიდა, მაშინვე ანდროს ამბავი ჰკითხა, აქ ხომ არ წევს განგიაო. წუხელ თბილისში წასულა მივლინებითო, უთხრა ექიმმა. არ მოეწონა ექიმის კილო, არც სახე. — რატომ მომარიდა თვალი?!

ყველაფერს იფიქრებდა ბრეგვაძე ანდროზე, დახრჩობას, როცა რიონმა დამბა გაარღვია, გაციებასა და ავადგახდომას, მაგრამ არა იმას, რაც მოხდა.

მშენებლობის სამმართველოს უფროსი, პარტორგი და სხვა თანამშრომლები, რაკი დარწმუნდნენ, ბრეგვაძის სიცოცხლე საფრთხეში აღარ იყო, სანახავად აღარ მიდიოდნენ, რომ მას განგიას ამბავი არ ეკითხა. სანიტრის ხელით ამოუგზავნიდნენ მოსაკითხსა და წერილს ან ტელეფონით გაიგებდნენ მისი ჯანმრთელობის ამბავს.

ამან კიდევ უფრო დააეჭვა ბრეგვაძე.

„ორი კვირა გავიდა. ამდენი ხანი ანდროს თბილისში რა გააჩერებდა. — ბრეგვაძემ იცოდა, თბილისში უსაქმოდ მთავარი ინჟინერი ერთ დღეს არ დაკარგავდა. რას უცდის თბილისში?! ან კია წასული? ჰო, რაღაც კარგი ამბავი არ არის ანდროს თავზე“.

ბრეგვაძეს როგორც იქნა, ადგომის ნება მისცეს. პალატიდან გასვლისაც. შეეძლო ექიმის სამორიგეო ოთახში შესულიყო და სამმართველოში ან ბინაში დაერეკა, მაგრამ შიში აკავებდა. წინათგრძნობის შიში.

აღარავის ეკითხებოდა განგიას ამბავს, არ უნდოდა ამაზე ფიქრი. სუსტად იყო, ფეხზე ძლივს იდგა. ვერ გადაიტანდა ანდროზე ცუდ ამბავს. იცოდა, რა ხდებოდა ქალაქში. უნდოდა, თავი დაერწმუნებია, რომ ეს ანდროს არ შეეხებოდა და მაინც შიშობდა. შიში რომ მოეშორებია, ფიქრი რომ მოეშორებია, მთელი დღე წიგნს კითხულობდა.

ექიმი უშლიდა ბევრ კითხვას. არ უჯერებდა ექიმს.

თავისთვის არაფერს იმეტებდა. ხელფასის ნახევარს დისშვილებს უგზავნიდა თბილისში. ერთი კოსტუმი, ერთი პალტო და ფეხსაცმელი ეცვა წლობით. თავისი ცოდნითა და განათლებით სადაც ისურვებდა, იქ შეეძლო ემუშავა და ეცხოვრა მშვიდად კარგ პირობებში.

თბილისში წყალთა მეურნეობის კომისარიატში განყოფილების უფროსი იყო. კარგი ბინა და ხელფასი ჰქონდა. უყვარდა თეატრი, კინო, უყვარდა მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა წრე. ესწრებოდა დისპუტებსა და საღამოებს. მოსვენებული ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ კოლხიდის დაბლობების ჭაობების დაშრობა რომ დაიწყო, დაჰკრა ფეხი და იქ წავიდა სამუშაოდ. ბევრ გაჭირვებას იტანდა მშენებლობაზე: ბარაკში

ცხოვრობდა. არ ჰყავდა მომვლელი. საცვლებსა და ლოგინის თეთრეულს თვითონ ირეცხავდა. საჭმელს თვითონ იკეთებდა ან მუშათა სასადილოში ჭამდა. ტყეში და ჭაობში ათენებდა და აღამებდა. თავისი საქმით მაინც კმაყოფილი იყო.

განგია მისი ახლო მეგობარი იყო. კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. იცოდნენ, ერთმანეთის ხასიათი და ზნე. რაშიც ერთი აზრი არ ჰქონდათ, დაობდნენ. მათი დავა ყოველთვის პრინციპული იყო. სწორედ ის მოსწონდა განგიას ვასო ბრეგვაძის ხასიათში, რომ იგი ცოტა ახირებული, ცოტა ჭირვეული, მოუსვენარი და ჯიუტი იყო, მაგრამ უანგარო, საქმისათვისა და ადამიანისათვის თავდადებული, ადამიანის სიკეთისათვის არაფერს არ დაერიდებოდა, სიმართლისათვის არც ნათესავს დაინდობდა, არც მეგობარს, არც უმცროსს და არც უფროსს. ისე შევიდა ხანში თავის თავისათვის ვერ მოიცალა.

მშენებლობაში თუ წარმოებაში, იგი მუდამ დიდი, ფართო მასშტაბების მომხრე იყო. თუ ამისათვის საკმარისი ტექნიკა, სახსრები არ გააჩნდათ, არ იყო მუშახელი, არ იყო დრო, მოითხოვდა ეშოვათ ტექნიკა, სახსრები, მუშახელი. რაც შეეხება დროს, აქ ბრეგვაძეში იყო რაღაც პარტიზანული, ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით. იგი ხვალინდელი დღით ცხოვრობდა და მუშაობდა.

ისიდორე სიორდია მშენებლობაზე შეურისაძიებლად მივიდა, მაგრამ იმ ადგილს, სადაც მამამისი, მენშევიკური სახალხო გვარდიის ათმეთაური ტატაჩია სიორდია დაახრჩო ჭაობმა, ახლოს არ ეკარებოდა. ახლოს კი არა, რიონის მარჯვენა ნაპირზედაც კი არ გადადიოდა.

როცა მარჯვენა ნაპირზე — ქალადიდის უბანში ლანჩხუთის უბნიდან ჯაფარიძე რაიმე საქმეზე გაგზავნას დაავალებდა, სიორდია სხვას ეხვეწებოდა, გამეგზავნეო.

ახლა, ლანჩხუთის უბნის მშენებლები ქალადიდის უბანში რომ გადავიდნენ, ისიდორე სიორდიას ორი გზა დარჩა ან გადასულიყო ქალადიდის უბანში, ან მშენებლობიდან წასულიყო. წასვლით ვერ წავიდოდა. ვერ გატეხდა მამის სამარესთან დადებულ ფიცს. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მივიდა ისიდორე იმ ჭაობთან, ტატაჩიას სული რომ მიიბარა. მარტო ვერ გაბედა მისვლა. არც იცოდა სად, რა ადგილას იყო ის ჭაობი. სოფელში უთხრეს, მეკარვე გუდუია ესვანჯიამ იცისო მამაშენის საძარე და ესვანჯიას თხოვა ეჩვენებია.

ხალხისაგან განდგომილმა ტყის კაცმა ასე უთხრა სიორდიას:

— კარგი საქმისათვის არ მოსდევდა მამაშენი, ლენინის გამოგზავნილ კაცს, ვარდენ ბუკიას. ჩემს კარავში მოდიოდა ვარდენი. კარავში ხალხის საქმისათვის იკრიფებოდნენ ბოლშევიკები. მამაშენს უნდა გაეცა ისინი. ჭაობმა აქ გადუჭრა გზა, აქ შეუკრა ხელფეხი, აქ დაასამარა ხალხის მოღალატე. შენც არ გაიხადო, ბიჭო, საკოცნელი პირი საფურთხებლად — მამაშენის გზას არ დაადგე! — ვინც არ მოეწონებოდა გუდუიას, „ბიჭოთი“ მიმართავდა.

გუდუია ესვანჯიას პირველი შეხედვისთანავე არ მოეწონა ისიდორე. შუბლშეკრული უყურებდა. მამამისი ნახული არ ჰყავდა. მამამისიც ასეთი იქნებოდაო, გაიფიქრა. იმ ჭაობს შორიდან ჩაუვლიდა. ბინძურ ადგილად თვლიდა ტატაჩიას სამარეს. ბუნებით გულკეთილი იყო ცხოვრებით გაუბედურებული კაცი და მაინც წაიყვანა სიორდია მამამისის სამარესთან. ჭაობთან ახლოს არ მივიდა. აი, იქაა სამარეო, შორიდან უჩვენა.

ისიდორემ ჭაობთან მისვლა ვერ გაბედა. შორიახლო შედგა. ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. ჭირის ოფლად გაილვარა, მკვდრის ფერი დაედო, ყულაბის პირივით ვიწრო თვალებიც გაუღართოვდა, ზედა ქუთუთო აეწია.

— რა დაგემართა, ბიჭო?!

— მეე? — კიდევ უფრო ათრთოლდა სიორდია.

ჭაობი ყრუდ ბუყბუყებდა და შიშის ზარს სცემდა ისიდორეს. იმ გაფართოებულ თვალებს არიდებდა. ზედა ქუთუთო დაეშვა.

— მიდი მამის სამარესთან. მუხლი მოიყარე. თუ არ ნახავდი, რისთვის წამოდი?!

— მსთვს, რომ შურ ვძო. ვფცავ ღმერთს, ბაბა, არ შევარჩენ შენს დაღუპვას ამ დედაგაღლეტლ ჭაობს. ამოვაშრობ. სულს ამოვხდ. ჰატ! — მუშტი მოუღერა. მამამისის მუშტივით ერთციცქნა მუშტი, მაგრამ უმალ უკან წაიღო ხელი და მამასავით დიაცური, გამკინავი ხმით წამოიყვირა: — სორდა ვარ სდორე, ჰატ!

— გეტყობა სიორდია რომ ხარ. იცოდე, მამაშენის გზას არ დაადგე, — კვლავ გაუმეორა ესვანჯიამ და ტყვიასავით მძიმე, მკლავის სიმსხო კორძებიანი კეტი, განუყრელად რომ ატარებდა, მუქარით შეანჯღრია. — თორემ კაცი თუ არა, განგება მოგიღებს ბოლოს, — ზურგი შეაქცია და კარვისაკენ გაბოტა.

ჭაობთან მარტო დარჩენილი ისიდორე ვირთხასავით შეხტა, ქარივით გაენთო სხვა გზით, ლაწალუწი გაუდინა ტოტებს, ლერწმებს, ბარდებსა და ბუჩქებს. შიშისაგან დაზაფრულს მთლად აებნა გონება, თვალის სინათლე დაკარგა, ხეს შეასკდა და მჩვარივით დაეცა მიწაზე.

ეს ჭაობი და გუდუია ესვანჯიას კარავი მის მასივში შედიოდა. დედაარხს აქ უნდა გაევლო. სიორდია დედაარხის სამუშაოთა მწარმოებელი იყო ამ მონაკვეთზე.

ვაჟა ჯაფარიძემ დანიშვნის ბრძანების მიღებას არ დაუცადა. მშენებლობის სამმართველოს უფროსთან საუბრისა და ლანჩხუთის უბნის კლუბში კრების ჩატარების მეორე დღესვე შეუდგა მთავარი ინჟინრის მოვალეობის შესრულებას. საჭირო იყო რაც შეიძლებოდა მალე ჭალადიდის უბნის პროექტისა და სამუშაოების შეცვლა. ამ საქმისთვის მთავარ ინჟინერს უნდა ეხელმძღვანელა.

ვაჟას ანდრო განგიას ამბის გაგებისა და ქარდასთან საუბრის შემდეგ ლანჩხუთის უბნის მიტოვება აღარ აწუხებდა, არ უნდოდა თავისი საქციელის გახსენება და ამაზე რომ არ ეფიქრა, როგორც იტყვიან, ოცდაოთხი საათი მუშაობდა. სხვებსაც მოსვენებას არ აძლევდა.

სეროვასთან მხოლოდ ის პირველი ერთი ღამე გაატარა, შფოთიანი, მღელვარე. მას შემდეგ მთელი დღეები და ხშირად ღამეებიც ვერ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ვერ მიდიოდნენ რუსუდანისა და პეტრეს სახლში ღამის გასათევადაც ბარაკებში ან ტყეში ეძინათ.

— რახა ჰგავს ეს?! — უთხრა ერთხელ მშენებლობიდან გვიან ღამით დაბრუნებულ ვაჟას ვახშმისას რუსუდანმა. — ის მიწა და ჭაობი არსად გაიქცევა. ხაუკუნებები თუ დაიცადა, პატარა ხანს ახლაც დაიცდის. ვის უნახავს, ახალ ჯვარდაწერილები ერთი კვირა მაინც არ იყვნენ ერთად, არ იგრძნონ ცოლქმრული ბედნიერება. შენ თუ არ გინდა ეს ბედნიერება, ცოლს რას ერჩი?!

— რუსუდან დეიდა, — უთხრა ვაჟამ და მადლიერებით შეხედა რუსუდანს. — ძალიანაც რომ მოვინდომო, გალინა თვითონ არ გამაჩერებს შინ და არც ის გაჩერდება.

— მართალს ამბობს, ვაჟა, რუსუდან გრიგორიევნა, — ხელი გადახვია სეროვამ რუსუდანს, — მიწა და ჭაობი დაიცდის, მაგრამ ადამიანი მეტს ვეღარ დაიცდის, — ვაჟას გაუღიმა — მართლაც დღე და ღამე ვერ ვხედავთ ერთმანეთს, მაგრამ მაინც სულ ერთადა ვართ. ხომ, ვაჯა?

— ეს როგორ?! — ვერ გაიგო პეტრემ სეროვას სიტყვების აზრი: — დღე და ღამე ვერ ხედავთ ერთმანეთს და მაინც სულ ერთად როგორღა ხართ?!

— ერთადა ვართ, პიოტრ რაჟდენოვიჩ, — სიცილით უთხრა სეროვამ. —

სულითა და გულით ვართ ერთად. ხომ ასეა, ვაჟა.

— ჰო, ასეა, — დაუმოწმა ვაჟამ.

— შენ ახლა ამაზე არ ფიქრობ, ვაჟა, — უთხრა რუსუდანმა.

— შეიძლება, — დაეთანხმა ვაჟა. მართლა არ ფიქრობდა ამაზე, ყურსაც არ უგდებდა დეიდასა და პეტრეს. გონებით ისევ საქმეს დასტრიალებდა — მოასწრებდნენ თუ არა ლანჩხუთის უბნიდან გადატანილი ბარაკების დროზე დადგმას ჭალადიდის უბნის მასივებში.

იმ სოფლებიდან, ლონგინოზ ლომჯარიამ ლანჩხუთის უბნის მშენებლობიდან გადმოსული მუშები რომ ჩაასახლა, ბევრს ძალიან გაუჭირდა თავის მასივში ფეხით სიარული. არც სამანქანო და არც საცალფეხო გზა არ იყო მასივებს შორის. მუშები უგზოობის და სიშორის გამო, გვიან ცხადდებოდნენ სამუშაოზე და ადრე ბრუნდებოდნენ სოფელში, რომ არ შემოღამებოდათ.

ღამით ურანში და ჭაობში გზა ეკარგებოდათ. ერთი შეგვიანებული მუშა ღამით გზას ასცდა და იძულებული გახდა, მგლებს რომ არ დაეგლიჯათ, თოკით ტოტზე მიბმულს გაეთენებია ხეზე. სხვა მუშა ალალბედზე გადარჩა. ბნელში ჭაობში შეაბიჯა, ისაზრა და ვიდრე ჭაობი მუხლამდე მიწვდებოდა, უკან გაიწვა. შეშინებული გათენებამდე არ გაიძრეულა. მეორე დღეს უფალს მადლობას უხდიდა, ნადირმა რომ არ შეჭამა.

იმათ, ვისაც კოლხიდის ტყეებზე და ჭაობებზე სხვადასხვა თქმულებები და ლეგენდები ჰქონდათ გაგონილი, ზოგს ტყის საზარელი ბინადარი ოჩოკოჩი ელანდებოდა, ზოგს მესეფი და ზოგსაც კაცებს დახარბებული ტყაშიმაფა. ვერავინ ბედავდა ღამით ტყეში გავლას.

— ნუ უსაყვედურებთ, ვაჟას რუსუდან გრიგორიევნა, — თხოვა სეროვამ. — შეიძლება ახლა არ ფიქრობს ამაზე, მაგრამ ამ ფიქრისათვის სხვა დროს პოულობს. ხომ ასეა, ვაჟა? — შეხედა ვაჟას ცისფერი, კრიალა თვალებით.

ვაჟამ გაუცინა. ბევრჯერ ფიქრობდა სხვა დროს ამაზე და ეს უნელებდა ანდრო განგიაზე დარდს, უმსუბუქებდა მუშაობას, აძლევდა ბიძგს, აკეთებინებდა მეტს.

„საოცარია. ამბობენ, სიყვარულს ბედნიერება არ მოაქვსო, — ფიქრობდა ვაჟა და უკვირდა, რატომ ფიქრობენ ასე ადამიანებიო. — ანდროს უყვარდა ადამიანი, უყვარდა სიცოცხლე და ბედნიერი იყო“.

— ვაჟა, მე ვიცი რაზე ფიქრობ ახლა, — უთხრა სეროვამ.

— კარგია რომ იცი. მაშასადამე სწორად ვფიქრობ.

— სწორად ფიქრობ, ვაჟა, — ისევ შეხედა სეროვამ და გაუღიმა.

მთავარ ინჟინერს საფიქრებელი ბევრი ჰქონდა. ლანჩხუთის უბნის მშენებლობის კონსერვირებამ და იქ მომუშავე ხალხის ჭალადიდის უბნის მშენებლობაზე გადმოყვანამ იმის მაგივრად, რომ უფრო შეეკავშირებია მშენებლობის მთელი კოლექტივი, უკუ გავლენა მოახდინა მშენებლებზე. თითქმის დაშლის კარამდე მიიყვანა, დააკარგვინა რწმენა.

ამას ხელს უწყობდნენ ის უკმაყოფილო ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ ბევრნი იყვნენ ლანჩხუთის უბნიდან გადმოსულ მუშებში.

ისიდორე სიორდიას ამღვრეული წყალი ძალიან ნელა იწმინდებოდა. ტატაჩიას ნაშიერი თავის დამქაშებთან — კირილე ებრალიძესთან, თენგიზ ქერქაძესთან და ერმილე ჯაყელთან ერთად თავის საქმეს ფარულად განაგრძობდა. ისიდორე ისე იყო ჯაფარიძეზე გაბოროტებული, თავის საქციელს ანგარიშს ვერ უწევდა. თან ჭაობზე ანგარიშის გასწორება, შურისძიება უნდოდა, თან მშენებლობის საქმეს ხელს უშლიდა.

მუშების რწმენის დაკარგვას ანდრო განგიას ამბავიც დაემატა. ვერ ამხელდნენ ამით გამოწვეულ უკმაყოფილებას, მაგრამ ჩუმად ერთმანეთს მა-

ინც უზიარებდნენ თავის გულისტკივილს.

ლანჩხუთის უბნიდან გადმოსული მუშების ბარაკების აშენება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს ლონგინოზ ლომჯარიას ეგონა. არ იყო საკმარისი ხე-ტყის მასალა. ბარაკების დაშლისა და გადატანის დროს, ლონგინოზმა ყურადღება ყველაფერს ვერ მიადევნა. გულმოსული მუშები დაუდევრად შლიდნენ სახლებს. იმტვრეოდა კედლებისა და იატაკის ფიცრები, ყავრები, ჰერი, ლამფები, კარ-ფანჯრები.

ჭალადიდის უბნის მასივებში უნდა გაეყვანათ დედაარხი, კოლექტორები, დრენაჟები, გაეყვანათ გზები, აეგოთ ხიდები, გაებათ სატელეფონო ქსელი, დაეყენებინათ ბორნები რიონზე, ხობისწყალზე, ცივზე, გაეკაფათ და ამოეძირკვათ ტყე.

ხელახლა უნდა შემდგარიყო ჭალადიდის უბნის ტექნიკურ-ეკონომიური პროექტი. მშენებლებისათვის უნდა გახსნილიყო დამატებით მაღაზიები, ფარდულები, სასადილოები, ამბულატორიები, სტაციონარები, აფთიაქები.

კოლხური ციება შავი ჭირივით მძვინვარებდა მთელ მშენებლობაზე. ამ საშინელ სენს განსაკუთრებით ძნელად იტანდნენ რუსები და უკრაინელები, რომლებიც აქ საკმაოდ ბევრნი იყვნენ.

გარიყრაეზე სამუშაოდ გასული ვაჟა ჯაფარიძეს არც ჭამა ახსოვდა და არც სმა. ან სად შეჭამდა და დალევდა. სეროვამ იცოდა ეს. წუხდა, მაგრამ ვერაფრით ეხმარებოდა. დილიდან დაღამებამდე სეროვა ტოპოგრაფებთან, გეოლოგებთან, ჰიდროლოგებთან და მგეგმავებთან ერთად ტყეში და ჭაობში იყო. თვითონაც ვერ ჭამდა და სვამდა დროზე და წესიერად, ქმარს როგორ მიაწვდიდა საჭმელს ან სად ნახავდა.

მთავარი ინჟინერი დილით რომ ერთ მასივში იყო, შუადღისას მეორეში გაჩნდებოდა, საღამოს — მესამეში. იქიდან ხან სამმართველოში მიეშურებოდა, ან ხობისა და ახალ სენაკის რაიონში.

მშენებლობას მუშახელი არ ყოფნიდა. ხუთი ათასი კაცის ადგილზე სამი ათასიც არ მუშაობდა.

ზამთარი კარზე იყო მომდგარი. თუმცა აქ არც დიდი თოვლი იცოდა, არც ყინვა. უმეტესი სამუშაოები ზამთარშიაც გრძელდებოდა.

დედაარხზე კვირა ისე არ გავიდოდა, ნაპირი რომ არ ჩამოშვავებულიყო, როგორც ჩანდა, ტრასა სწორად არ იყო არჩეული და შეცვლას საჭიროებდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტათ ეგ საკითხი.

ისიდორეს კი ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა შურისძიების დღე, როდის გაივლიდა იმ ჭაობზე დედაარხი. ხელებსაც კი იფშვნეტდა ამაზე ფიქრისას. ერთი საათით არ შორდებოდა არხის მშენებლებს. აჩქარებდა, აძალებდა, ამოეღოთ მეტი მიწა. გაეკაფათ და ამოეძირკვათ მეტი ხე და ბუჩქი. არავინ იცოდა, რამ დაგეშა ასე შრომაზე. ასეთი მონდომებით ლანჩხუთის უბნის მშენებლობაზე არ მუშაობდა და აქ რად იდგამდა წელებზე ფეხს და სხვებსაც ღდინს აცლიდა.

გუდუია ესვანჯიას კარავი დედაარხის ტრასიდან შორს არ იყო. გუდუია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც თავის კარავში დარჩა. რა არ შესთავაზა ვარდენ ბუკიამ: მიწა, ოდა, ფულადი დახმარება, რათა სოფელს დაბრუნებოდა, ხალხს დაბრუნებოდა, მაგრამ არც დაპირებამ და არც ხათრმა არ გასჭრა.

ოცდაათიან წლებში ვარდენ ბუკია ხობის რაიკომის მდივნად აირჩიეს და კოლმეურნეობები რომ ყალიბდებოდა, მაშინაც სცადა გუდუია ესვანჯიას ტყიდან გამოყვანა. ვერც მაშინ გასჭრა თხოვნამ და რჩევამ. ვერა და ვერ ახადა ვარდენმა მის დახურულ გულს სარქველი.

ახლა ხალხი თვითონ რომ მოვიდა ტყეში, გუდუია კარავში ველარ გაჩერდა. რა უნდათ, რისთვის მოვიდნენ?! ექსკავატორების ხრჭიალი და რახრახი, ტრაქტორების თახთახი მოსვენებას არ აძლევდა. ნაღმების აფეთქებების ხმამ

მთლად გადარია. შორიდან ისმოდა ეს ხმები. თვითონ ახლოს მისვლა ვერ გადაწყვიტა. ერთხელ სიორდია ესტუმრა.

— მომეხმარე გუდ პატენ, ემ დედაგაღლეტლ ჭაობს მოკვლაშ, — უთხრა გუდუიას მისალმების შემდეგ ლაქუცით. — მე ტაჩ სორდას შვილ ვარ.

— გიცანი ვინცა ხარ, — უთხრა პირქუშად გუდუიამ. — აკი იყავი ჩემთან, — იმ ჭაობს ჩემთვის არაფერი დაუშავებია. მამაშენი მოსაკლავი იყო და იმიტომ მოკლა, — გუდუიამ ზურგი შეაქცია, კარავში შევიდა და კარი მოიხურა.

სიორდია არ განძრეულა. გარინდული იდგა. კურდღლის ყურები კიდევ უფრო დაუგრძელდა და გაუწითლდა. უცნაური სანახავი იყო კურდღლის ყურებიანი ვირთხა. ახლაღა შეეკითხა თავის თავს, რატომ მოვიდა გუდუიასთან და პასუხი ვერ გასცა. რანაირად დაეხმარებოდა იგი იმ ჭაობზე შურისძიებაში?! გაახსენდა, რა სიძულვილით შეხვდა ესვანჯია, პირველად რომ მივიდა მასთან. გაახსენდა სამართებლივით ბასრი მისი სიტყვებიც: — „შენც არ გაიხადო საკოცნელი პირი საფურთხებლად. მამაშენის გზას არ დაადგე“. — ისიღორე ცივად შეტრიალდა და მას მერე აღარ გაკარებია გუდუია ესვანჯიას, არც მის კარავის ახლოს ჩაუვლია. მაგრამ მალე აქ ჩაიარეს ტოპოგრაფებმა, გეოლოგებმა და მგეგმავებმა სეროვას ხელმძღვანელობით. ისინი დედაარხის ახალ ტრასას ეძებდნენ და იკვლევდნენ. აღარ შეიძლებოდა არხის გათხრის ძველი ტრასით გაგრძელება. ნაპირების ჩამოშვავებას ბოლო არ უჩანდა. სხვა გზაზე უნდა დაეყენებინათ დედაარხი.

საღამოზე უკან გამობრუნებული ჯგუფი გუდუიას კარავს მიადგა. ყველა გაოცდა ასეთ დაქცეულ და უდაბურ ადგილას კარავი რომ დაინახეს. ვერ წარმოედგინათ ამ უღრანში და ჭაობში თუ შეეძლო ადამიანს ცხოვრება.

გუდუია კარავში არ იყო. კარი ღია დაეტოვებია. ეტყობოდა, შორს არ იყო წასული და გადაწყვიტეს დაეცადათ მეკარვისათვის. ისეთი დაღლილები, მშვირები, გატალახიანებულები და დაკაწრულები იყვნენ, ფეხის გადადგმა უჭირდათ. ისეთ ჭაობებში და ბარდნარებში მოუხდათ გავლა, არც ერთ მასივში რომ არ ენახათ.

ის იყო კარვის წინ ჩამოსხდომა დააპირეს, რომ აგვარიდან გუდუია გამოვიდა. თხის ტყავის ძიქვა-ხალათი ეცვა. თმა და წვერი უფრო გაზრდოდა. ისევ ისეთი ჯანღონით სავსე იყო. თვალებში კვლავ ის სევდა ედგა. ხელში ტყვიასავით მძიმე ისევ ის მკლავის სიმსხო კეტი ეჭირა. აქეთ-იქით ორი შველი მოჰყვებოდა.

ეჭვით შეავლო თვალი სტუმრებს. — „რა უნდათ?! — მიხვდა რომ მშენებლები იყვნენ. — ჩემთან რისთვის მოვიდნენ, რა ესაქმებათ?! — ცივად, უნდობლად შეჰყურებდა. მერე რა შეატყო, ეს დაუპატიჟებელი სტუმრები სიტყვის დაძვრას ვერ ახერხებდნენ, თვითონ აიდგა ენა:

— რამ შეგაშინათ, ადამიანი არ გინახავთ?!

ადამიანიო რომ გაიგონა, სეროვას გულზე მოეშვა, ყურმოკვრით იცოდა ოჩოკოჩის ამბავი. ის იქნებაო, იფიქრა. გაუღიმა, მაგრამ ეს მაინც შიშის ღიმილი იყო და თვითონაც მიხვდა ამას.

ორმოცი წელიწადია ქალს არ გაუღიმია გუდუიასათვის. იდგა და გაკვირვებული უყურებდა უცხო მანდილოსანს, კაცის ტანისამოსი რომ ეცვა, ქუდიდან ოქროსფერი თმა რომ მოუჩანდა. უყურებდა გაკვირვებული, სევდიანი. სეროვამ დაინახა ეს სევდა, გაკვირვება, მოაგონდა რაც ჰქონდა გაგონილი გუდუია ესვანჯიაზე და შიშის ღიმილი სითბოს ღიმილმა შესცვალა მის სახეზე.

ორმოცი წელიწადი არ იცოდა გუდუიამ რა იყო ღიმილი. ნადირები მეგობრობდნენ გუდუიასთან, ულიმოდნენ, გულს უხსნიდნენ, როგორც ეს ორი შველი მხრებში რომ ედგა და ახლა გაკვირვებითა და შიშით შეჰყურებდნენ მოსულებს დიდი, ჭკვიანი თვალე-

ბით. ამათი გულის ამბავი იცის გუდუიამ, ადამიანის გული კი გადაავიწყდა და აი, ახლა ამ ქალის გული იგრძნო, ამ ქალის ღიმილი იგრძნო. უცებ ყველაფერმა გაიღიმა გუდუიას ირგვლივ. იღიმებოდა ოქროსთმიანი ქალი, იმ ქალის გვერდით მდგარი კაციცა და ქალიც. იღიმებოდა ტყე, ცა, მზე.

— ბაბუ, გზა ვერ გავიკვლიეთ ყულევისაკენ, — უთხრა სეროვამ.

— რა გინდათ ყულევში?!

— დედაარხისათვის ახალ ტრასას ვეძებთ, — უთხრა სეროვამ.

გუდუია ესვანჯიამ არ იცოდა, რას ნიშნავდა დედაარხი და ახალი ტრასა.

— იქნებ თქვენ გაგვიკვლიოთ, ბაბუ, გზა, — თხოვა სეროვამ.

გუდუია გადაჩვეული იყო ასეთ მომართვას, თხოვნას. ვარდენ ბუკიას მეტს არავის არაფერი უთხოვია მისთვის. ახლა ეს ქალი თხოვს, მაგრამ რა ესაქმება ამ ხალხს მასთან, ან გუდუიას მათთან?! უნდოდა გაებრუნებია ისინი ისე, როგორც ისიდორე სიორდია გააბრუნა, მაგრამ რაღაც აკავებდა. იქნებ ამ ქალის ღიმილი, მისი თხოვნა. სხვების მისკენ ასეთივე თხოვნით მოპყრობილი თვალები.

— მე რატომ უნდა გაგიკვლიოთ გზა? — ამის თქმა არ უნდოდა. წამოცდა და მაშინვე ინანა.

— თქვენ უნდა გაგვიკვლიოთ, ბაბუ. უნდა დაგვეხმაროთ. უთქვენოდ ჩვენ ვერ გავიკვლევთ, — თხოვა ისევ სეროვამ. — თქვენ კარგი გული გაქვთ. უარს არ გვეტყვი.

— მე გული არა მაქვს, — არც ამის თქმა უნდოდა გუდუიას. არ იცოდა, რა ემართებოდა. ბრაზობდა თავის თავზე.

— თქვენ კარგი გული გაქვთ, ბაბუ, — გაუმეორა სეროვამ.

გუდუია ხმას არ იღებდა. იდგა და უკვირდა, რატომ არ მოწონდა თავის ნათქვამი. რატომ შეერხა დახურული გულის სარქველი.

— ამ შვლებმა მითხრეს, ბაბუ, რომ თქვენ კარგი გული გაქვთ, — მხიარულად გაუცინა სეროვამ.

— შვლებს ჭკუა არ აქვთ. ვინ მისცა შვლებს ჭკუა.?!

— მათ თვალებში ჩანს ჭკუა, ბაბუ. ადამიანს გულიც აქვს და ჭკუაც.

— ჭკუა კი, გული არა აქვს.

— გულმა მოგვიყვანა ჩვენ აქ, ბაბუ.

„გულმა მოგვიყვანა ჩვენ აქ, ბაბუ", — განმეორდა გუდუიას გონებაში სეროვას სიტყვები.

— ხომ დაგვეხმარებით, ბაბუ?

არ ეშვებოდა სეროვა. სხვები ჩუმად იდგნენ. ჩუმად იდგა ხანში შესული ტოპოგრაფი ქალი ნატალია იურევა, გეოლოგი თეოფილე თარგამაძე, ჩუმად იდგა ორი მუშა, ზურგზე ზურგჩანთა მოკიდებულები. არ ჰქონდათ დახმარების იმედი.

— ღამე მაინც გაგვათენებიე, ბაბუ.

— კარავში ვერ დაეტევით.

— კარავში არა. გარეთ დავწვებით, — უთხრა თეოფილე თარგამაძემ.

— გარეთ კოღო შეგჭამთ.

— შეჩვეულები ვართ, — უთხრა ნატალია იურევამ, დაქანცული და გაწამებული, ციებისაგან გაყვითლებული, გამხდარი სახე მიაპყრო გუდუიას. რეზინის მაღალყელიანი ჩექმები ეცვა და ძიქვის ტოტები შიგ ჰქონდა ჩატანებული, ხალათის საყელო ყველა ღილზე შეკრული, თავი წაკრული. ასე იმიტომ იყო ჩაცმული, რომ კოღოებს არ დაეკბინა.

გუდუია პირველად ხედავდა რუს ქალებს. უკვირდა, საიდან მოვიდნენ ასეთი ქალები, რა რჯულისანი არიან, რაში ესაქმებოდათ ჭაობის დაშრობა.

გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ მისი კარავისაკენ წამოვიდოდნენ მშენებლები, ახლოს არ მოეშვა. არ უნდოდა მის ყურშებო დაეშროთ ჭაობი, არ უნდოდა ხალხის დანახვა. არ იცოდა, თუ მშენებლებში უცხო ხალხიც იყო, ისიც ქალები, მამაკაცურად ჩაცმული ქალები. მეჯოგეებს ცოლებიც კი არ აკითხავდნენ ამ ულრანში და ეს გადამთიელი ქალები რამ მოიყვანაო აქ".

გუდუიას გონება რამდენი ხანია გა-

დაეჩვია ფიქრს. ახლა რამ აუშალა ფიქრი?!

— რას გვეტყვი, ბაბუ? — არ ეშვებოდა სეროვა. — დაგვრთავთ ნებას თქვენი კარვის წინ გავათიოთ ღამე?

სეროვა ისე იყო დაღლილი და გაბრუებული მთელი დღე სიარულით, ქალ-ბარდში ძრომით, ჭაობებში გზის გაკვლევით, სიცხისა და შხამიანი მცენარეების დამათრობელი სუნით, კოღოების წუილითა და ბაყაყების ყიყინით — ძლივს იდგა ფეხზე. ყველაფერი სტკიოდა: ზურგი, წელი, მხრები, ფეხები, ყველაფერ ამას შეჩვეული იყო. ასეთ დღეში ბევრჯერ ჩავარდნილა, მაგრამ ასე არასოდეს არ გაწამებულა. ერთი სული ჰქონდა, როდის დაჯდებოდა და მუხლს მოიყრიდა.

გუდუიამ დაინახა, რომ ქალს არაქათი აღარ ჰქონდა.

— გაათიეთ, — უთხრა სეროვას.

კარვის უკან აგვარაში კამეში ყოყინებდა, მოწველას ითხოვდა.

ერთი კამეჩი და ერთი თხა ჰყავდა გუდუიას. თხას კარვის ახლო აბამდა, რომ მგელს ან ტურას არ დაეგლიჯა. კამეჩს ვერ ავნებდა მგელი.

კარვის უკან სიმინდის ყანა და ბოსტანი ჰქონდა. ამით ინახავდა თავს, არც ფრინველზე ნადირობდა და არც ოთხფეხზე. არასოდეს არ მოუკლავს არც შინაური პირუტყვი და არც ნადირი, არც ფრინველი. ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს, გველსაც კი არ ერჩოდა. კურდღელი, შველი და ტახი ისე ჰყავდა შემოჩვეული, ზედ კარავთან მოდიოდნენ დიდთოვლობისას. გუდუია თვითონ იკლებდა საჭმელს და დამშეულ ნადირს უმასპინძლდებოდა.

კამეჩის რძისაგან ყველი ამოჰყავდა, თხის რძეს სვამდა. ლობიო, ბოსტნეული, ღომი და მჭადი იყო მისი საჭმელი. თევზიც კი ეცოდებოდა ამ გულდახურულ კაცს და ამიტომ იშვიათად იჭერდა.

გუდუია კამეჩსა და თხას რომ წველავდა, იმ ოქროსთმიანი ქალის თვალებს ხედავდა. იმ ძიქვიან, ციებისაგან გაყვითლებული ქალის გამხდარ სახესაც ხედავდა და ისევ მეორდებოდა ბერიკაცის გონებაში: „გულმა მოგვიყვანა ჩვენ აქ“.

როცა რძე გვიმრაში გაწურა და ორი ნიგით, ერთში კამეჩის რძით, და მეორეში თხის რძით აგვარადან გამოვიდა, სტუმრები მოლზე სუფრას შლიდნენ. სეროვამ გუდუია დაინახა თუ არა, წამოდგა და მიეგება.

— ბაბუ, სუფრაზე დაგვეწვიე.

ისე თხოვა, გუდიას ენა დაება, ვერც უარი უთხრა და ვერც დაეთანხმა. იდგა და უყურებდა სეროვას. ყველა უცდიდა, რას ეტყოდა. გუდუია გრძნობდა, რომ მის პასუხს უცდიდნენ. არც კარავში შედიოდა და არც სუფრასთან მიდიოდა.

— ქალი გთხოვს, მეგობარო. უარს ნუ ეტყვი, — უთხრა თეოფილე თარგამაძემ.

„მეგობაროვო, —გაიფიქრა გუდუიამ. — მე ვარ მისი მეგობარი?! მე მიწვევენ სუფრასთან?!“ — გაკვირვებით უყურებდა ყველას.

— გთხოვთ, — უთხრა თეოფილე თარგამაძემ.

სეროვამ აღარ დაუცადა გუდუიას პასუხს. ნიგები ჩამოართვა.

— თქვენ კი, ბაბუ, რძით გაგვიმასპინძლდით, — უთხრა გასამხნევებლად და უფრო თამამად გაუღიმა. — სხვადასხვა ჭურჭელში რად გისხიათ რძე?!

— ეს კამეჩისაა, ეს თხის.

გუდუია თვალს არ აშორებდა სეროვას. ასე თბილად მისი სოფლის მეზობელი ქალები არ დალაპარაკებიან. ასეთი ხმა არ ჰქონია არც ერთ ქალს.

— თხისაა?! — გაუხარდა სეროვას. — როგორ მიყვარს თხის რძე. ბებიაჩემს ჰყავდა თხა. მისი რძითა ვარ, ბაბუ, გაზრდილი. აუდულარს ვსვამდი. უი, რა კარგია. ამას მარტო მე და ნატალია დავლევთ. კარგი, ბაბუ, — სუფრისაკენ გაუძღვა. — გაწურულია რძე? — ჰკითხა სუფრაზე დაწვევაზე უარის თქმა, რომ არ დაესწრო.

— გაწურულია, — უთხრა გუდუიამ

ღა მორჩილად გაჰყვა. სუფრასთან რომ მივიდა, მეორე ნიგა დადგა, მიტრიალდა, კარავში შევიდა, იქიდან ტაბაკი და კველა გამოიტანა. — ტაბაკზე დააწყვეთ საჭმელი. კველაზე დაჯექით, — ეპვით აღარ უყურებდა სტუმრებს.

სწრაფად აიღეს მოლიდან კონსერვები, ძეხვები, პური, თუნუქის თეფშები, ჭიქები, ტაბაკზე დააწყვეს და დადგეს.

— პირველად ვხედავ ასეთ მაგიდას, — თქვა ნატალია იურევამ, — ამ სიმაღლე კაცი როგორ უზიხართ ასეთ დაბალ მაგიდას?!

— ეს მეგრული მაგიდაა, — აუხსნა იურევას თეოფილე თარგამაძემ. — მეგრელები პირდაპირ ტაბაკზე აგებენ ღომს, ალაგებენ საჭმელს. ტაბაკზე დაგებულ ღომს სხვა გემო აქვს. მათთვის ტაბაკი მაგიდაც არის და თეფშიც.

გუდუიას გაუკვირდა, რომ ტაბაკს ახსნა ჭირდებოდა.

ყველა ტაბაკის ერთ მხარეზე იდგა. ყველა ვერ დაეტეოდა კველაზე. გუდუიამ კარვის ლაფაროდან მორი მოიტანა და ტაბაკის მეორე მხარეს დადო კველის მაგივრად.

— არც ასეთი დაბალი სკამი მინახავს, — გაიცინა ნატალია იურევამ, კველაზე რომ დაჯდა და დაღლილი ფეხები ძლივს რომ მოიკეცა. — შენ გინახავს, გალინა?

— ამდენი ხანია აქ ვცხოვრობ და არც მე მინახავს, — უთხრა სეროვამ. — იმანაც ძლივს მოიკალათა კველაზე იურევას გვერდით, მაგრამ მაშინვე წამოდგა: — არა, ნატაშა, მე ბაბუს გვერდით დავჯდები. მოდით, ბაბუ, მორზე დავჯდეთ.

— მე ნაჭამი ვარ, — უთხრა გუდუიამ.

— ცოტა მიირთვით ჩვენთან ერთად, — ხელი მოკიდა და მორზე დასვა, თვითონ გვერდით მიუჯდა. ძეხვის ბუტერბროტი გაუკეთა. — მიირთვით, ბაბუ, — ხელში ჩაუდო ბუტერბროტი.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა ნატალია იურევამ.

— გუდუია ჰქვია, — უთხრა სეროვამ. — მე გვარიც კი არ ვიცი თქვენი ბაბუ. ესვანჯია ხართ არა. ხომ ასეა.

— ასეა. ვის რად უნდა ან ჩემი სახელი, ან გვარი.

— ნუ ამბობთ ეგრე, ბაბუ, — თხოვა სეროვამ.

— აქ მარტო ცხოვრობთ? — ჰკითხა ნატალია იურევამ.

სეროვამ თვალით ანიშნა, ნუ ეკითხებიო, მაგრამ იურევამ ვერ დაინახა.

— მარტო ვცხოვრობ.

— მარტო? ამ უსიერში?!

— მარტო ჯობია, — ყრუდ მიუგო გუდუიამ.

ყველა თანაგრძნობით ფიქრობდა ამ გატყიურებულ კაცზე, მაგრამ არ ეკითხებოდნენ, რატომ ცხოვრობო მარტო. არ უყურებდნენ, რათა არ დაენახა თანაგრძნობა და არ გაჯავრებულიყო. ყველა მიხვდა, რაღაც დიდი, მოუნელებელი ჯავრი, რომ ღრღნიდა ამ კაცს და ამ ჯავრს გაეგდო ტყეში.

შიოდათ, მაგრამ უმადოდ ჭამდნენ. გუდუს ბუტერბროდი ისევ ხელში ეჭირა, ერიდებოდა, დაედო ტაბაკზე. ეწყინებაო ამ ქალს, ფიქრობდა. იჯდა ჩუმად და უყურებდა, რომ მისი ხათრით ჭამდნენ, თორემ ჭამა არ უნდოდათ, მიხვდა, რომ მადის გაფუჭების მიზეზი თვითონ იყო. ბუტერბროდი დადვა, ადგა და თხის რძე ჩამოასხა ჭიქებში და სეროვასა და იურევას დაუდგა.

— რა გემრიელია, — თქვა აღტაცებით სეროვამ მოსვა თუ არა. — არ გაციებულა. უსუნეთ თეოფილე, ბალახის სუნი უდის, ბებიაჩემი თხის რძეს არ უდიოდა ბალახის სუნი, — უნდოდა, უხერხული დუმილი დაერღვია, გუდუია გამოეწვია სალაპარაკოდ. მთელი ტანი ტკიოდა ისევ, ლაპარაკი უჭირდა და მაინც ლაპარაკობდა .გუდუიას სიბრალული ალაპარაკებდა. — ხომ ბალახის სუნი უდის, ნატაშა? — მიმართა იურევას. შენ ჭიქასაც ასეთი სუნი უდის?

— ერთი თხისაა და ასეთი სუნი ექნება, — გაეღიმა გუდუიას.

პირველად გაიღიმა და თვალი ვერ მოაშორა სეროვამ. უცებ მოხიბლა გუდუიამ.

— თხა როგორ გიყენიათ ამ ტყეში, მგელი და ტურა არ დაგლეჯს?! — ჰკითხა იურევამ.

— ძაღლი პატრონობს თხას.

სადაც თხას დააბამდა გუდუია, ძაღლიც იქვე შორიახლო მიუწვდებოდა. პატრონივით გულქეთილი იყო. მგლისა და ტურის გარდა არავის დაუყეფდა. ახლაც ცნობისმოყვარეობით ერთი შეხედა სტუმრებს — ამდენი ხალხი ერთად არასოდეს არ უნახავს, მერე გაბრუნდა და თხასთან წავიდა.

— ძაღლი მოერევა მგელს? — ჰკითხა გუდუიას სეროვამ.

— მოერევა.

— კამეჩისათვის კი შესაფერი ადგილია, — თქვა თეოფილე თარგამაძემ.

გუდუია არც იურევას უსმენდა და არც თეოფილეს.

ტყეში ბინდი და ღრუბელი ერთბაშად ჩამოწვა.

ხეებზე ვასაკების კრაული ისმოდა.

— დიდი ხანია აქ ცხოვრობთ? — ჰკითხა თეოფილემ.

— არ მახსოვს რამდენი ხანია, — ცალყბად მიუგო გუდუიამ. აღარ უნდოდა სტუმრებთან ჯდომა, მათი ლაპარაკისა და შეკითხვების მოსმენა.

წამოყინქლა. თბილი წვეთები წებოსავით ეცემოდათ ოფლიან სახეზე, ხელებზე.

არ ამდგარან. არც ჭამდნენ. ყველა ცალ-ცალკე გუდუიაზე ფიქრობდა.

„არ ახსოვს, რამდენი ხანია აქ ცხოვრობს" — სეროვა თანაგრძნობითა და ტკივილით შეჰყურებდა თხის ტყავისაგან შეკერილ გუდუიას ძიქვა-ხალათს, თოვლით, ქარიშხლით, სიცხითა და ტალახით დამსკდარ შიშველ ფეხებს. ბანჯგვლიან მკერდს, დაკოჟრილ, დათვის ტორის ოდენა ხელებს, განიერ წვერსა და გრძელ თმას მხრებზე რომ ეყარა. — რა აძლებინებს აქ? რა დარდმა მოიყვანა აქ?"

— წავალ, ცეცხლს დავანთებ. ამაღამ არ გადაიღებს. კარავში დაიძინებთ, — წამოდგა გუდუია. გრძნობდა, რომ სტუმრები მისი ბედით შეწუხებული იყვნენ, მისი დუმილით, ვერც თვითონ ლაპარაკობდა და გაეცალა მათ.

— კარავში არ დავეტევით, ბაბუ, — დაადევნა სეროვამ.

— უნდა დაეტიოთ, — მობრუნდა გუდუია. — ამაღამ ძაღლი არ გაიგდება გარეთ.

— გმადლობთ, ბაბუ.

— რაო?!

— არაფერი, ბაბუ.

გუდუიას აღარ ახსოვდა, რა იყო მადლობა.

ქალები გუდუიას განიერ ტახტზე დაწვნენ. ტახტს დათვის ტყავი ეფინა. ტყავი დიდი იყო, გრძელბეწვიანი.

ნატალია იურევას მაშინვე ჩაეძინა.

სეროვას თვალს კი რული არ ეკარებოდა. გუდუიაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. რა ჭირდა ამ კაცს ისეთი, რომ ხალხს განუდგა? რატომ შეაფარა ტყეს თავი? თვალწინ ედგა გუდუიას სევდით სავსე, მორჩილი თვალები, უწყინარი, თავის ბედს შერიგებული თვალები. გადაწყვიტა, გამოეყვანა ტყიდან გუდუია. ამ ფიქრით დაიმედებულს, (თუმცა არ იცოდა, რა გზით, როგორ შეძლებდა ამას) ტკბილად ჩაეძინა.

კაცები პირდაპირ სოხანეზე იწვნენ გაუხდელად. გუდუიას აივანზე ეძინა. აივანი ვიწრო იყო და წვიმა მთელი ღამე ასხამდა. გუდუიას მაინც მაგრად ეძინა. მისთვის დარი და ავდარი სულ ერთი იყო. არც სიცივე აწუხებდა და არც სიცხე.

გათენებული არ იყო, რომ ადგა.

აღარ წვიმდა.

ცა მღვრიე-ლურჯად ლივლივებდა. ხეებზე წვიმით განბანილი ფოთლები მქრალად ციმციმებდა. წვიმის ბრჭყვიალა მძივები ფრინველთა ფრთხიალით შერხეული ფოთლიდან ფოთოლზე ეცემოდა.

ფოთლებში დიდი და პატარა ფრთოსნების სტვენა, ჭიკჭიკი, ჟივილი, ჭუკჭუკი, ჟღურტული და ჭახჭახი ისმოდა.

გუდუია აქ, კარვის წინ ბევრჯერ შეგებებია ასეთ განთიადს. შეჩვეული იყო ამ ხმებს და მაინც მიიპყრო მისი გულისყური ტყის ხმამ. თავი ხეების თავზე ადადო. ამომავალი მზის შუქი ეფინა სახეზე. არ უღიმოდა ტყეს, არც მზეს, იდგა გულაგდებული, გულცივი, ნელ შუქზე აბედისფერი სახე უფრო უსიცოცხლოდ უკრთოდა.

შვლები ფეხებთან ეწვნენ. ძაღლი მოშორებით იდგა. სამივეს იქით ეჭირა თვალი, საითაც პატრონს.

ასეთი დაინახა კარვიდან გამოსულმა სეროვამ გუდუია. ბერიკაცს წინიდან ანათებდა მზე. უკან მხრებზე და მთელ ტანზე ბნელი ჩრდილი ეფინა და უფრო დიდი, ზორზოხი ჩანდა. კეტზე დაბჯენილი იდგა.

სეროვას გუდუია ქადაგად მდგარი ეგონა. შეშინდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამ კაცს ქვეყნად არაფერი წამდა. არც მზე, არც ღმერთი, არც განგება, არც ადამიანი.

გუდუია ესვანჯია გარინდული იდგა.

სეროვამ ზღურბლთან შეიცადა, რომ არ დაერღვია ეს გარინდება. ყური და გული მოსტაცა ტყის ხმამ.

გუდუია თხის კიკინმა გამოიყვანა გარინდებიდან.

გამოერკვნენ შვლებიცა და ძაღლიც.

გუდუია კარვისაკენ მიბრუნდა. დაინახა აივანზე გამოსული სეროვა. ქუდი არ ეხურა. ოქროსფერი თმა მხრებზე ეფინა.

— დილამშვიდობისა, ბაბუ, — მიესალმა სეროვა და აივნიდან გამოვიდა. — თქვენი თხა მინდა ვნახო. პატარაობისას ბებია ხშირად მაწველინებდა თხას. შეიძლება მე მოვწველო?

— მოწველე, — უთხრა გუდუიამ. აივნის კედლიდან ნიგები ჩამოხსნა. აგვარისაკენ წავიდა. წინ ძაღლი გაუძღვა, უკან შვლები გაჰყვნენ.

თხა აგვარაში ება. კამეჩი აგვარის გარეთ იდგა და პატრონს ელოდა. დაინახა თუ არა გუდუია, მოკლედ შეყოყინა. შეკიკინა თხამაც. ასე ხვდებოდა ორივე ყოველ დილით გუდუიას.

პატრონი ჯერ თხას მოწველიდა, მერე კამეჩს. სეროვას აგვარის სიმყარე გაუღო. გუდუიას მაგივრად ქალი რომ მივიდა ნიგით ხელში, თხა გაკვირვებით მიაჩერდა.

სეროვა მოეფერა — შუბლზე და ზურგზე ხელი გადაუსვა. მერე ჩაიმუხლა. თხამ მაშინვე გაშალა უკანა ფეხები. სეროვამ ცურქვეშ ნიგა შეუდგა. ორივე ხელით სწრაფად დაიწყო წველა. ისე სწრაფად და მარჯვედ, თითქოს ყოველ დილა-საღამოს წველიდა თხას.

კისერმიღრეცილი თხა კვლავ გაკვირვებით უყურებდა თავისი ჭრელი თვალებით, მორჩილად იდგა.

— შენ ჩემო ლამაზო, ჰკვიანო, ჭრელთვალებავ, — ეუბნებოდა თხის მორჩილებით კმაყოფილი და აღტაცებული სეროვა. კმაყოფილი იმითაც, რომ წველა არ დავიწყებოდა. წველიდა იმ პირველი სიხარულით, ბებიამ რომ მოაწველინა თოთხმეტი წლის გოგოს.

გუდუია უყურებდა და არ იცოდა, რატომ უხაროდა, რატომ სიამოვნებდა ამ ოქროსთმიან ქალის თხის მოწველა. რა იყო ამაში სასიხარულო, სასიამოვნო? თვალი არ მოუშორებია სეროვასათვის, ვიდრე წველა არ მოათავა.

— რა ჰქვია, ბაბუ, თქვენს თხას? — ჰკითხა სეროვამ გუდუიას წელში რომ გასწორდა და ნიგა გაუწოდა. — რამდენი მოიწველა, რა მსუქანი რძე ჰქონია.

— ჩაქა ჰქვია.

— გმადლობთ, ჩაქა, — ისევ მოუსვა შუბლზე ხელი. მერე გუდუიას შეხედა. ისე შეჰყურებდა, როგორც შვილი მამას. შეჰყურებდა თითქოს მკაცრს, უხეშს, უგულოს, შეჰყურებდა თანაგრძნობით, ტკივილითა და სითბოთი.

ამ შემოხედვამ გუდუიას სისხლი გაულღვიძა, იგრძნო რაღაც თბილი, კეთილი, რომლის სახელი არ იცოდა, მაგრამ გული შეურხია.

ეს დაინახა სეროვამ. შეეცოდა მოხუცი. ყელში რაღაც მძიმე მოაწვა. მღელვარება რომ დაეფარა, ჰკითხა:

— ხომ გამოგვყვები დღეს, ბაბუ?

— გამოგყვებით.

სხვებმაც ადრე გაიღვიძეს. გარეთ გამოვიდნენ კარვის მძიმე ჰაერით მოთენთილები. უცებ გამოცოცხლდნენ სუფთა ჰაერზე. კოღოები აღარ წუოდნენ. ვიდრე რიგრიგობით ხელ-პირს იბანდნენ, თმას ივარცხნიდნენ, გუდუია საუზმის მომზადებას შეუდგა. კარდალით ასადუღებლად რძე დაკიდა ლარჭაზე. ჭადის დასაცხობათ ცომის მოზელვას შეუდგა. გალინა არკადიევნა ეხმარებოდა. ჭყინტი ყველი დაფშვნა, პიტნითა და მარილით შეკმაზა. ტაბაკი აივანზე გაიტანა.

ნახევარ საათში სუფრა გაშლილი იყო. გუდუიამ თვითონ მოიწვია სტუმრები სუფრაზე, თვითონ გამოელაპარაკა. ისინი გუშინდელივითი ხასიათგაფუჭებულები აღარ იყვნენ. მადიანად შეექცეოდნენ მჭადსა და ყველს. რა მშვენიერია, რა გემრიელია, თითებს ჩაიკვნეტს ადამიანი, ამბობდა ნატალია იურევა. ცხელ მჭადს ბლომად აყოლებდა ყველს.

— არ მეგონა ყველს თუ პიტნას უშვებოდნენ, — უთხრა გუდუიას. — რა მწვანილს არ ნახავ ქართულ სუფრაზე: წიწმატი, ტარხუნა, რეჰანი, ქონდარი, ქინძი, პრასი. ჩვენში წარმოდგენაც არ აქვთ სიცოცხლის ამ ელექსირებზე.

— ჰო, ნატაშა, ქართულ სუფრაზე ყველაფერი ელექსირია. წიწაკაც კი, — უთხრა სეროჟამ. — დეიდა რუსუდანი ისეთ საჭმელებს აკეთებს, ჭკუას დაგაკარგვინებს.

— ვიცი, დეიდა რუსუდანის გაკეთებული კერძების გემო. ხანდახან ისეთი საუზმე მოაქვს სამმართველოში, სვავებივით დავესევით.

გუდუიამ ვერ გაიგო, რატომ არ იცოდა, იურევამ, რომ პიტნას საჭმელში ხმარობენ, არ იცოდა, რა იყო ელექსირი. მხოლოდ, იმას მიხვდა, რომ რაღაც კარგი იყო. კმაყოფილი უყურებდა, რა მადიანად შეექცეოდნენ სტუმრები მჭადსა და ყველს. უკვირდა, რა იყო ასეთი მოსაწონი მჭადსა და პიტნიან ყველში.

გუშინ საღმოს თხის რძეც კი მოეწონა ოქროსთმიან ქალს. ამ დილით ყველი და მჭადი მოსწონს პირყვითელ ქალს. გუდუია კარავში შევიდა და დერგიდან ყველი ამოიღო. მოჰქონდა ტაბაკისაკენ, ყველი ისეთი მსუქანი იყო, რძე გადიოდა და გუდუიას ძიქვაზე ეწვეთებოდა. ტაბაკზე დადო, ქამარზე ჩამოკიდებულ ქარქაშიდან დანა ამოიღო, ყველი დიდ ნაჭრებად დაჭრა და ტაბაკზე დაალაგა.

სეროჟამ პირველმა აიღო ყველი. უქებიჩა.

— ასეთი ყველი დეიდა რუსუდანთანაც არ მიჭამია, — თქვა აღტაცებით. — რა ჰქვია, ბაბუ ამ ყველს?

— კაზლა ყველი ჰქვია, „ეს რა ხალხია, კაზლა ყველის სახელი არ იციან“.

— იცით, ბაბუ, — ჭამა მიატოვა და მიმართა გუდუიას ნატალია იურევამ. — ძველად თურმე ერთი დიდი მეცნიერი ექიმი ცხოვრობდა. ჰიპოკრატე ერქვა. ის ექიმი წერდა — ყველი ძლიერიაო.

— ძლიერი? — ვერ მიხვდა გუდუია, რას ნიშნავდა ძლიერი ყველი. — ყველს რა ძალა აქვს?!

— დიდი ძალა ჰქონია, ბაბუ, — განაგრძო ნატალია იურევამ. — ყველი ჭლექიან ავადმყოფს უხდება, იმასაც, ვისაც ღვიძლი ტკივა, სისხლნაკლოვანსა და ბევრ სხვა ავადმყოფსაც. ყველს დიდ პატივსა სცემენ ხალხები. კანადაში, ოკეანის გაღმაა ეს ქვეყანა, ასტონიანი ყველის ძეგლი დგას. ფრანგებმაც დაუდგეს ძეგლი ყველს.

— ჰომეროსის — „ოდისეაში“ პოლიფემი თხებსა და ძროხებს რომ მოწველიდა, — ჩაერია საუბარში თეოფილე თარგამაძე, — რძეს კვეთს გაუკეთებდა, ყველს გაწურავდა და კალათაში აწყობდა.

— კალათაში რა უნდა ახლად ამოყვანილ ყველს?! — გაუკვირდა გუდუიას. — ყველს დერგში დებენ.

— ძველად ალბათ, სხვა წესით ამზადებდნენ ყველს.

მჭადი რამდენიმე წუთში მოათავეს. კიდევ უნდოდათ ჭამა. გუდუიას არ ეგონა, რომ ასე მოეწონებოდათ მჭადი და ერთი კეცის მეტი არ დააცხო. ჩანთიდან შავი პური ამოიღეს და რძეს ის შეატანეს.

საუზმეს რომ მორჩნენ და ტაბაკი აალაგეს, გუდუიას შეხსენება არ დაჭირებია, თვითონ შეუდგა სამგზავროდ მზადებას. ძაღლი დააპურა, თხა კარვის ახლოს დააბა ბუჩქებში. წალდი გზის გასაკაფად ქამარში გაირჭო. თავისი კეტი აიღო და სტუმრებს გაუძღვა.

მიდიოდა წინ ფეხშიშველი. თხის ტყავის ძიქვა ისე ჰქონდა დამოკლებული, წვივებს აცილებოდა. ხალათის სახელურებიც იდაყვებს აცილებოდა. მიდიოდა გრძელი, დინჯი ნაბიჯით. მკლავის სიმსხო, ტყვიასავით მძიმე კეტს ყოველ ნაბიჯზე ისე მაგრად დაკრავდა ნაწვიმარში, მთელი გოჯით ჩადიოდა მიწაში. საგზალი და წყალი არ მიჰქონდა. დღეში ორჯერ ჭამდა — დილასა და საღამოს. ეგონა მისი სტუმრებიც ორჯერ ჭამდნენ.

სეროვა ცდილობდა ფეხი აეწყო, გვერდით გაჰყოლოდა, სალაპარაკოდ გამოეწვია, მაგრამ მის ნაბიჯს ვერაფრით ვერ აუწყო ფეხი და სხვებთან ერთად უკან მიჰყვებოდა.

ამ დღიდან მოყოლებული მთელი ორი კვირა დაჰყვებოდა გუდუია სეროვას პარტიას. ისეთ გაუვალში უკვლევდა გზას, ისეთ ეკალ-ბარდში, ეშმაკი რომ ვერ გაძვრებოდა.

მზიანი დღეები იდგა, მაგრამ არ ცხელოდა. პარტია თავის საქმეს დილიდან შეღამებამდე გულდასმით აკეთებდა. გუდუია მარტო გზის გამკვლევი არ იყო, თავისდაშეუმჩნევლად წაეხმარა ერთხელ მიწის გათხრაში, ტრასის გაკაფვაში და მას მერე გულმოდგინედ მუშაობდა. გადაჰქონდა ნიველირი, ეჭირა ტაჰომეტრიული ლარტყი, თლიდა პალოებს და არჭობდა მიწაში. ამზადებდა საჭმელს, საიდანღაც მოჰქონდა დასალევი წყალი. მოშინაურდა. ენა აიდგა, თვალებში სევდა შეუნელდა, სახეზე აბედისფერო აღარ ედო. შეღამებულზე კარავში რომ დაბრუნდებოდნენ, ან მჭადს გამოაცხობდა, ან ღომს გააკეთებდა. ანკესს ყოველ ღამე აბამდა ხობისწყალში. კობრი და ღლავი მუდამ ჰქონდა.

ყველაფერში სეროვა ეხმარებოდა. ცომს თვითონ ზელავდა, თევზს წვავდა, ჭურჭელს რეცხავდა, თხასა და კამეჩს წველავდა, ყველი ამოჰყავდა და ყველაფერ ამას ისე მარდად და ლამაზად აკეთებდა, რომ გუდუია თვალს ვერ აშორებდა, გულში უღიმოდა. სახით ვერ იღიმებოდა. ორმოცი წელიწადი არ გაუღიმია მის სახეს და გადაჩვეული იყო ღიმილს.

ნატალია იურევა კარავს ალაგებდა, ეზოს ჰგვიდა.

ერთ საღამოს ვახშმის შემდეგ, (იმ დღეს კვირა იყო და ადრე დაბრუნდნენ კარავში) სეროვამ დრო შეარჩია, აივანზე მჯდარ გუდუიას გვერდით მიუჯდა და შეაპარა: ჩვენს პარტიაში მომუშავეს სპეცტანსაცმელი უნდა ეცვას ჩვენსავითო. ორი დღის ყოყმანის შემდეგ, გუდუიამ მისთვის ჩამოტანილი სპეცტანსაცმელი, ქირზის ჩექმები და საპონი გამოართვა სეროვას და ხობისწყალზე წავიდა. დიდი ხანი იბანდა და იხეხავდა ტანს. მდინარიდან რომ დაბრუნდა, ერთბაშად კარავთან არ მოვიდა, ვერ შეეჩვია უცებ ტანსაცმელსა და ჩექმებს, ჯერ აგვარაში იტრიალა, მერე შეშას ჩეხდა დიდხანს. სეროვამ და მისმა ამხანაგებმა იგრძნეს, რატომ ვერ მოდიოდა გუდუია კარავში და იმ ღამეს ჩვეულებრივზე უფრო ადრეც დაწვნენ. მეორე დილით ცდილობდნენ, არ შეეხედათ გუდუიასათვის, რათა არ გაემჟღავნებიათ თავისი გაკვირვება და სიხარული. ვერ წარმოედგინათ ტყის კაცს თუ ასე მოუხდებოდა ადამიანური ჩაცმა. ერთი კვირის შემდეგ სეროვამ ფოთიდან ბრეზენტის კაპიშონიანი ლაბადა ჩამოუტანა. მერე ხელფასიც გამოუწერა და ფულის მისაღებად კანტორაში უნდა წამომყვეო, უთხრა.

ფული რა იყო აღარ ახსოვდა გუდუ-

იას. კანტორაში წასვლაზე უარი თქვა. როცა სეროვამ ფულის მნიშვნელობა აუხსნა, რაში მჭირდება ფულიო, უთხრა გუდუიამ. ორმოცი წელიწადი არ მიხმარია ფული და ვცხოვრობდი, ახლაც ასე ვიცხოვრებო. სეროვამ ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ თავისი მაინც გაიტანა. ამდენი რომ გამუშავეთ, უფლება არა გვაქვს ხელფასი არ მოგცეთო, ამისათვის პასუხისგებაში მიგვცემენო. გუდუიას არ უნდოდა, სეროვას რაიმე უსიამოვნება შემთხვეოდა და დაეთანხმა კანტორაში გაყოლოდა. ამას რომ მიაღწია სეროვამ, გაუპარსავი და გაუკრეჭავი კანტორაში მისვლა არ შეიძლებაო, უთხრა. კანტორა რა იყო არ იცოდა გუდუიამ და მაინც დათანხმდა იქ წასვლაზე. უშვილო კაცს არ ესმოდა რა იყო მამის გრძნობა, მაგრამ სეროვა შვილივით შეიყვარა. რაც უნდა ეთხოვა, ყველაფერს აუსრულებდა. მისთვის სულს არ დაიშურებდა.

გაპარსულ-გაკრეჭილმა, ჩაცმულ-დახურულმა სარკეში რომ ჩაიხედა, თავისი თავი ვერ იცნო. არ ახსოვდა, რამდენ წელიწადი გავიდა მას შემდეგ რაც უკანასკნელად ნახა თავისი თავი სარკეში. მას აქეთ მდინარეში ან გუბეში თუ მოჰკრავდა თვალს თავის ორეულს.

ყორათის კანტორაში რომ მიიყვანა სეროვამ, ექსკავატორის, ბულდოზერის, მიწის საწოვის, ტრაქტორის, სატვირთო მანქანისა და არხზე მომუშავე უამრავი მუშის დანახვამ თავგზა აუბნია.

სოფლის შემდეგ, სადაც ურემი და ცხენი იყო კაცის დამხმარე, სადაც ეტლი წელიწადში ერთ-ორჯერ თუ შევიდოდა, მეტი არაფერი უნახავს. ახლა ეს მანქანები მიწას რომ გულს უთხრიდა, ეს ჭრელი ხალხი, ქალი და კაცი ერთმანეთში არეული, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, მოჩვენება ეგონა.

თვალზე ხელს ისვამდა, ხვნეშოდა, შფოთავდა, ყველასი ერიდებოდა, ყველას გზას უთმობდა, ეშინოდა, ფეხი არავის დავადგაო, მხარი არავის გავკრა, არვინ წავაქციო, არვინ გამომელაპარაკოსო.

კანტორაში ხელფასი რომ მიიღო, მერე სეროვამ მშენებლობის დასათვალიერებლად წაიყვანა. უჩვენებდა, რა იყო გაკეთებული და რას აკეთებდნენ.

— ბაბუ, ჭაობებს რომ დავაშრობთ იმდენი მიწა შეგვემატება, აღარ ეტყვის ქალი — უმიწაწყლო კაცს — ცოლად ვერ წამოგყვებიო.

გუდუიას სახე, თვალები სევდამ მოიცვა

— მაშ, აღარ ეტყვის ქალი კაცს, უმიწაწყლოს არ გამოგყვებიო? — ჰკითხა და ჩუმად, რომ სეროვას არ გაეგონა, ამოიოხრა.

— აღარ ეტყვის, ბაბუ.

— ვარდენ ბუკიას იცნობ?

— არ ვიცნობ, ბაბუ.

— ტარიელ ქარდას?

— ტარიელ ქარდა ყველა ამ სამუშაოების უფროსია.

— რას ამბობ?! — გაეხარდა გუდუიას. — თექვსმეტი წლის წინათ, ვარდენ ბუკია და ტარიელ ქარდა მეუბნებოდნენ, მალე ისეთი დრო დადგება, ჩვენს ქვეყანაში უმიწაწყლო კაცი აღარ იქნებაო.

— მართალი უთქვამთ, ბაბუ.

— ეს თურმე ლენინს უთქვამს. ვარდენ ბუკიამ ჩამოიტანა ამბავი და ჩემს კარავში ბოლშევიკებს უყვებოდა. მერე იმ ბოლშევიკებმა ჩემს სოფელში მენშევიკების მთავრობა ჩამოაგდეს. რატომ არ იცნობ, ვარდენ ბუკიას?!

— არ შევხვედრივარ, — სეროვა იცნობდა ვარდენ ბუკიას, მაგრამ დაუმალა მისი ამბავი.

— მე მაშინ არ მეგონა, რომ უმიწაწყლო კაცი არ იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში.

— ახლა გჯერა, ბაბუ? — ღიმილით ჰკითხა სეროვამ.

— თუ ამ ჭაობებს მართლა დააშრობთ, მაშინ ყველას ეყოფა მიწა.

— და უცოლოდაც არავინ დარჩება, არა, ბაბუ? აქ ჩვენთან ბევრი მუშაობს ისეთი, უმიწობის გამო ცოლს

რომ ვერ თხოულობენ. ჰო, ბაბუ, აწი აღარავინ დარჩება უცოლოდ.

— არავინ დარჩება, უთხრა გუდუიამ და თვალი მოარიდა სეროვას.

იმ დღიდან მოყოლებული გუდუია ესვანჯია თვითონ სთხოვდა სამუშაოს გალინა არკადიევნას.

ტექნიკურ-ეკონომიური პროექტის შედგენას მთელი შემოდგომა და ზამთარი დაჭირდა. გუდუია ესვანჯია ერთი დღე არ მოშორებია სეროვას პარტიას. ყინვისას ცეცხლს უნთებდა ტყეში, ორი კაცის საქმეს აკეთებდა და საჭმლის გაკეთებასაც ასწრებდა.

პარტიის ყველა წევრმა გულით შეიყვარა გუდუია. მორიდებით ექცეოდნენ, პატივს სცემდნენ. გაზაფხულის ერთ მზიან დღეს სეროვამ ვაჟას მანქანაში ჩაისვა. არ უთხრა სად მიჰყავდა. ფოთში ამოაყოფინა თავი. მანამდე გუდუია თავის სოფელსა და ყორათის ტყეს არ გასცილებია.

პირველად ხედავდა ქალაქს. მაინც არ გააკვირვა. არც ნავსადგურში მდგარმა სხვადასხვა ქვეყნის ხომალდებმა, გააკვირვა. არც რკინიგზის სადგურმა და მატარებელმა. არც მოკირწყლულმა და მოასფალტებულმა ქუჩებმა და ტროტუარებმა, არც ქვისა და აგურის სართულებიანმა სახლებმა, არც მანქანებმა და ხალხმა, გაჩქარებით რომ მიეშურებოდნენ სხვადასხვა მხარეს.

მანქანაში მშვიდად, აუღელვებლად იჯდა და მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა.

სეროვამ მთელი ქალაქი შემოატარა. გააცნო სად რა იყო, რა დანიშნულება ჰქონდა. გუდუია დუმდა. არც გაკვირვებას ამჟღავნებდა და არც რაიმე სურვილს. არაფერს ეკითხებოდა სეროვას.

ბოლოს მანქანა მშენებლობის სამმართველოს წინ შეაჩერა სეროვამ. თვითონ მართავდა „ემკას“ და მხოლოდ ეს მოსწონდა გუდუიას. გალინა არკადიევნა მანქანიდან გადავიდა, კარი გაუღო გუდუიას და შენობაში შეყოლა შესთავაზა. გუდუიას არ უკითხავს, სად მივდივართ, ვისთანო.

მეორე სართულზე ავიდნენ. დერეფანში სამმართველოს თანამშრომლები და მშენებლობიდან მოსულები მიმოდიოდნენ. შედიოდნენ და გადიოდნენ ოთახიდან ოთახში. კარებზე აბრები იყო მიჭედებული. გუდუია ხალხის ლაპარაკითა და ჩაცმულობით მიხვდა, რომ ისინი მშენებლები იყვნენ. სეროვას თბილად ესალმებოდნენ, უღიმოდნენ. ყოველთვის უხაროდათ აქ სეროვას მოსვლა. მას ხალისი, სიცოცხლე შემოჰქონდა სამმართველოს ერთი შეხედვით მოსაწყენ, ერთფეროვან ცხოვრებაში.

სეროვასაც ახარებდა სამმართველოს თანამშრომლების ნახვა, მუდამ ჰქონდა თითოეული მათგანისათვის რაღაც სათქმელი, მოეძევებოდა მათთვის ორიოდე თბილი, ალერსიანი, მხიარული სიტყვა. ახლა არც ამჩნევდა მათ. პირდაპირ მშენებლობის სამმართველოს უფროსის კაბინეტისაკენ მიჰყავდა გუდუია.

— ტარიელ გრიგორიევიჩი თავისთანაა? — ჰკითხა მდივან გოგონას, მოსაცდელ ოთახში რომ შევიდნენ.

— თავისთან გახლავთ, გალინა არკადიევნა, — თავაზიანად უთხრა მდივანმა და მიესალმა.

— მარტოა?

— დიახ, მარტოა.

მდივანმა კარი გაუღო. სეროვა შევიდა და გუდუია შეიყვანა. ბერიკაცმა გადააბიჯა თუ არა ზღურბლზე, გაოცებული შედგა. მაშინვე იცნო ტარიელ ქარდა. გუდუიას იგი ძიქვა-ხალათში გამოწყობილი ახსოვდა, წვერმოშვებული, მკერდზე ფალასკებგადაჭიმული და იღლიის ქვეშ კარაბინდაკიდული, ნაბადმოსხმული და ყაბალახით თავწაკრული.

ახლა მაგიდას წვერგაპარსული, მთლად გაჭაღარავებული, კოსტუმიანი კაცი უჯდა.

გუდუიამ კი იცნო ტარიელ ქარდა, მაგრამ ტარიელმა ვერ იცნო გუდუია. აბა რას იცნობდა! მას მეხსიერებაში

ჩარჩა თმა-წვერმოშვებული, თხის ტყავის ტანსაცმლიანი, ფეხშიშველი, თავშიშველი ოჩოკოჩი, მკლავის სიმსხო, კორძებიანი კეტი რომ ეპყრა ხელთ. ახლა კი მის თვალწინ მშენებლის სპეცტანსაცმელში გამოწყობილი, გაპარსული და გაკრეჭილი კაცი იდგა.

— ვერ იცანით თქვენი ძველი მეგობარი, ტარიელ გრიგორიევიჩ?! — ჰკითხა სეროჟამ.

ტარიელ ქარდამ იცნო და თან ვერც იცნო. დაძაბული დაკვირვებით უყურებდა. წამოდგა, ახლო მივიდა გუდუიასთან, დააკვირდა. კიდევ და კიდევ დააკვირდა. იცნო. მხოლოდ თვალებით იცნო. სევდიანი თვალებით.

— თვალებით, თვალებით ვიცანი, — უთხრა სეროჟას, მოეხვია გუდუიას. — გუდუია ესვანჯია ხარ. ოჩოკოჩი, — ხელი ჩამოართვა. დიდი ხანი ანჯღრევდა და თვალს არ აშორებდა. — როგორ გამოცვლილხარ, გუდუია!

— მეც ოჩოკოჩი მეგონა, ტარიელ გრიგორიევიჩ, პირველად რომ დავინახე ტყეში მისი კარვის წინ.

— მიხარია. სულითა და გულით მიხარია, ჩემო გუდუია შენი ნახვა, — შეხედა მის ტანსაცმელს: — შენც აშრობ ჭაობს! დიდებულია, — მაგიდასთან მიიყვანა და დასვა. ბავშვივით გაიხარა. — ვარდენ ბუკიამ ვერ გამოგიყვანა ტყიდან, — სეროჟას მიუბრუნდა: — თქვენ გამოიყვანეთ? თქვენ შესძელით ეს? ტყაშმაფამ, ოქროსთმიანმა ქალმა გამოგიყვანა ოჩოკოჩი ტყიდან. ამბობენ, ტყაშმაფას ეშინიაო ოჩოკოჩის. თქვენ არ შეგეშინდათ? — შეუჩერებლად ლაპარაკობდა. ხან გუდუიას შეხედავდა, ხან სეროჟას. — მოხარული ვარ. მადლობელი ვარ, გალინა არკადიევნა. ახლა ხომ გჯერა, გუდუია, რომ მიწა ყველას ეყოფა?

— მჯერა, ტარიელ, — უთხრა გუდუიამ. გულში კი მწარედ გაიფიქრა, აწი მე რა შავქვად მინდა მიწაო. მაგრამ გუდუია სხვებისათვის აშრობდა ჭაობს, რომ სხვებს ჰქონოდა მიწა.

— მაინც როგორ გამოიყვანეთ, გალინა არკადიევნა, გუდუია ტყიდან? — წინ ეჯდა გუდუია ესვანჯია და არ ჯეროდა. — დაჯექით, — ახლაღა შესთავაზა სეროჟას დაჯდომა, სკამი გამოუწია მაგიდიდან.

„ქალმა გამაგდო ტყეში, — გაიფიქრა გუდუიამ. — ქალმა გამომიყვანა ტყიდან“.

— შემოდგომა და ზამთარი მუშაობდა ჩემს პარტიაში, — უთხრა სეროჟამ ქარდას და გუდუიას გვერდით დაჯდა.

— ალბათ, არხიდან იმდენ მიწას იღებს, რამდენსაც „კოპელი“ ან „პრისტმანი“.

— თითქმის, ტარიელ გრიგორიევიჩ, — გაიცინა სეროჟამ და გუდუიას შეხედა. — მის ხელებს დახედეთ. ექსკავატორის ციცხვს მიუგავს.

— გახსოვს, გუდუია, რუს ჯარისკაცს, ორლოვს რომ ვასაფლავებდით, დამფუძნებელი კრების წევრი, ევგენი ქვანია კინაღამ რომ გადმოიღე მაგ ხელებით თემის ერობის შენობის აივნიდან?

— მახსოვს, ტარიელ ბატონო, — უთხრა გუდუიამ და მერე უცებ ჰკითხა: — ამ სამი წლის წინათ ერთი კაცი მოვიდა ჩემს კარავში. ჭაობებს ვაშრობთო. ანდრო განგია მქვიაო. თქვენთან მუშაობს ის კაცი?

მშენებლობის სამმართველოს უფროსს ანდრო განგიას ხსენებაზე შუბლი შეეკრა. უცებ ვერ გასცა პასუხი. წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. გუდუიასაკენ არ მიბრუნებულა, ისე უპასუხა:

— ჩვენთან აღარ მუშაობს. სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს.

— ცუდად მოქცეულან. რატომ გადაიყვანეს? ასეთი მოწადინებული კაცი არ მინახავს.

— ჰო, ცუდად მოიქცნენ, გუდუია. ძალიან ცუდად, — გუდუიას წინ შედგა: — იმ ღამის შემდეგ, შენს კარავში უკანასკნელად რომ შევიკრიფენით, ვეღარ მოვიცალე, ვეღარ მოვედი შენთან.

— შემდეგ მე ვის რაში ვუნდოდი?

— გუდუია თავდახრილი იჯდა. ქარდას არ უყურებდა. ახლაღა ეტკინა გული, რომ შემდეგ აღარ ჭირდებოდათ ტარიელსა და მის ამხანაგებს.

ქარდამ შეატყო ტკივილი. შერცხვა თავისი თავის.

— ვარდენ ბუკია რამდენჯერმე იყო შენთან, გუდუია.

— ვარდენი კი იყო.

ტარიელს უნდოდა აეხსნა, თვითონ რატომ ვერ მივიდა გუდუიასთან, რატომ ვერ მოიცალა, მაგრამ ახლა ამის ახსნას აზრი აღარ ჰქონდა.

— ვარდენ ბუკიამ ვერ გამოგიყვანა ტყიდან და ამ უცხო ქალმა გამოგიყვანა?! — ჰკითხა კმაყოფილებით ქარდამ.

— არა. მე არა, ტარიელ გრიგორევიჩ, — ჩაერია საუბარში აქამდე გაჩუმებული სეროვა. — საქმემ გამოიყვანა. გუდუიას თავი არ აუწევია.

— მე არაფერი მესაქმება თქვენს საქმესთან, — უთხრა გუდუიამ სეროვას უკმაყოფილოდ. მერე შეხედა: — ადამიანის კეთილმა გულმა გამომიყვანა. ამ ქალის მოსვლამდე არ მჯეროდა ადამიანის კეთილი გულის.

— მოგწონს შენი სამუშაო , გუდუია? — ჰკითხა ქარდამ.

— კაცმა სამუშაო არ უნდა დაიწუნოს.

— რა კარგად თქვით, გუდუია ბაბუ, — უთხრა სეროვამ.

⊡ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

# ახალი ლექსები

## ავტოპორტრეტი

განაბულ თვალებში — ფოცხვერის სიფიცხე,
ცხრა სიტყვის დათმობა ერთ საქმის გულისთვის...
მიცნობდეთ:
            პოეტი მიხეილ ქვლივიძე —
„საყოფაცხოვრებო ავანტიურისტი!"

მიხვდით ამ გამოთქმის იდუმალ შინაარსს?
ხომ არ გეუცხოვათ სიტყვების ჯავარი?
სიტყვებს ნუ ენდობით... მთავარი ისაა,
რომ სიტყვა კი არა,
                    საქმეა მთავარი!

საქმეა — ცხოვრების თარგი და ხარისხი
და ჩემი სიცოცხლის ეშხი და ღვიძლია,
და სიტყვით კი არა,
                    მე საქმით აგიხსნით
ყველაფერს, რაც ვიცი და რაც შემიძლია!..

   ვიცი უმიზეზოდ დანაღვლიანება,
მაგრამ აფეთქებაც ვიცი უეცარი,
ხან — თვინიერი ვარ, ხან — გიჟი, თავნება,
ხან — ბრძენი, ხანაც კი — ყოვლად უმეცარი.
გინდათ,
        ეს ცხოვრება ვაქციო არაკად,
ქვეყანა ზღაპრული ფერებით დავხატო?
ლამაზი საცოლე წავგვარო არაკაცს
და კაცი — ბედნიერ მეუღლედ გავხადო?!
გინდათ,
        იმ ხეიბარს, ძლივს რომ დაჩანჩალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ დავაპყრობინო თეთნულდის მწვერვალი?
გინდათ,
გავუჯიბრო თვით ვანო მაჩაბელს
ვინმე ახალგაზრდა უცნობი მწერალი?!
გინდათ,
ოქრო-ვერცხლით გავავსო ქოხები,
ქურდებს ნაქურდალი წავართვა ქონება?..
თქვენ მხოლოდ მერწმუნეთ,
მენდეთ და მომყევით
და მართლა ზღაპრული გახდება ცხოვრება!

მე ზოგჯერ მგონია, (რა ჩემი ბრალია, —
კეთილი განზრახვა ვის უნდა ეწყინოს?)
ფეხმძიმე ცხოვრების ბებიაქალი ვარ
და მინდა ლამაზი შვილი შეეძინოს!..

რა დროს ლექსებია! რა დროს ლაქლაქია,
შესაკეთებელი მოგველის ყავარი?!
დღეს კაცი ფასდება მარტოდენ საქმით და
საქმეა,
საქმეა,
საქმეა მთავარი!..

ვაგლახ,
რა მოკლეა ეს წუთისოფელი, —
არ ჰყოფნის მას ჩემი ნიჭი და სიფიცხე...
მიცნობდეთ: ასე ვთქვათ, კეთილისმყოფელი
„ავანტიურისტი" — მიხეილ ქვლივიძე!

# სარკესთან

მე ძლიერი ვარ წინაპართა უხსოვარ ცოდნით...
(ვინა თქვა, თითქო ყველაფერი წარმავალია:
საუკუნეთა წიაღიდან ჩვენამდე მოდის
ის, რაც არასდროს, არავისგან არ გვისწავლია!..)
რა ვიცი?
ვიცი, მოძმისაა, ის, რაც ჩემია,
და ჩალის ფასად ნივთიერი მიღირს ქონება,
და გამარჯვებულს არასოდეს არა მჩვევია
დამარცხებულის დამცირება და დამონება!

რა ვიცი?
ვიცი, მეგობრობის ყადრი რა არი.
მამულზე ფიქრი, როგორც ჩრდილი, ყველგან დამყვება.
არ ვაპატიებ ქედმაღლობას ქვეყნად არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვითონ ჩემი თავმდაბლობა მეამაყება!..
იმან იჩივლოს, უთვისტომომ, ვინც დროს ეშვილა,
ვისაც უდროოდ დავიწყება არ ასცილდება, —
მე კი ჟამთასვლა არ მაშინებს, რადგან ჩემშია
ჩემი წინაპრის უნარი და გამოცდილება!..

მე ძელქვას ვგავარ, სიბერეში ახლად შეფოთლილს,
და პოეზია არის ჩემი დასაფიცარი...
გაჩენის დღიდან მოძმის სულში ვიყურებოდი
და ბოლოს მასში
საკუთარი თავი ვიცანი!

## ეს ლექსი

ეს ლექსი მაშინ კი არ გაჩნდა (ამ ამბის მოწმე
და მონაწილეც მე ვიყავი — მგზავრი დაღლილი),
როცა იორთან ქარი ნელა არხევდა წნორებს
და მთაზე, რიყის კენჭებივით, ჩანდა ნახირი...

ეს ლექსი ახლა დაიბადა, ამ წუთში სწორედ,
როცა, მკითხველო, ჰპოვა შენში გამოძახილი,
და სწორედ ახლა ქარი არხევს იორთან წნორებს
და მთაზე, რიყის კენჭებივით, მოჩანს ნახირი...

* * *

*ს. ჩიქოვანის ხსოვნას*

არ მოფრენილან წელს მერცხლები შენს აივანზე...
იქნებ მოფრინდნენ? ვაგლახ, სიმონ, შენ მათი ნახვა
აღარ გეღირსა,
ვერ იგრძენი,
ვერ გაიაზრე
და ამის ჯავრი სამუდამოდ საფლავში ჩაგყვა.

## ამაოება

მეზობლები ფულს აგროვებენ —
ჩვენს სახლში მარტოხელა კაცი გარდაიცვალა წუხელ.
და უცებ გამახსენდა: წინადღით ეზოში შემხვდა,
პაპიროსი მთხოვა
და მოვაწევინე.

* * *

„ძნელი ყოფილა, ძნელი ყოფილა
დავიწყებისთვის წერა..."
ი. ჭავჭავაძე

სწორი ხარ, ძმაო,
მართლა ძნელია
დავიწყებისთვის წერა!
დაბერდები და... ვინც უნდა იყო,
შემოგხედავენ ცერად;

მერე სამჟეო გადაგექცევა
მიწის უჩინარ სოროდ...
რა გაეწყობა,
დავიწყებისთვის,
დავიწყებისთვის ვცხოვრობთ.

* * *

თუ ლექსის კაცი ხარ, თუ გქვია „პოეტი",
თუ გსურს ემსახურო ერს, —
ჭირსა და ლხინს უნდა ეძებდე ყოველთვის
და არა ხმასა და ფერს!

ხმები და ფერები მოვლენ თავისთავად,
დაიცხრობ ძიების ჟინს,
დიდებაც გაიგებს ბოლოს შენს მისამართს,
თვითონ მოგაკითხავს შინ...

* * *

რა აზრი აქვს ხმელი პურის
გაფიცხებას, გაცხელებას, —

სიმტვრალეში ღაწყებულის
სიფხიზლეში გაგრძელებას?!

## „თბილისის დრო"

ვაშა!.. მე ისევ თბილის-ქალაქის
დროითა ვცხოვრობ! რაშა-ვირერა!

სხვა რომ არ იყოს, ე რ თ ი საათით
გავიხანგრძლივე ჩემი ცხოვრება!

## მ უ ს ი კ ა ს

ო, მაპატიე იმ წლების ცოდვა, როცა შენი არაფერი მესმოდა
და შენი სუნთქვით გაჟღენთილ დარბაზებში
მარტო იმას ვუცქეროდი,
რა ლამაზად გამოიყურებოდნენ
მანამდე ჩემთვის შეუმჩნეველი
ქალიშვილები...

* * *

ამბობ: „მართლის თქმა ევალებაო მწერალს!.."
და გულს გვიხეთქავ ამ უცნაური თვისებით...
შენ კი არა წერ, — აუტანიხარ წ ე რ ა ს,
ჯვარი გწერია, არ მოიტეხო კისერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ კუპრავა

# სირიაჩქონის ტყის სიზმარი

რომანი

ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის მესამოცე წლისთავს

## პირველი ნაწილი

წლევანდელ ზაფხულს მე და ჩემი ქალიშვილი თოვლისა აბაშაში ვატარებთ.

თოვლისას იქნებ სხვა მხარეს მიუწევდა გული!

მე კი აბაშა მირჩევნია ყველაფერს.

აქ, საღრე, ღობის მარგილზე, გატეხილ დოქს ან ქოთანს რომ ვნახავ, ასე მგონია: მარგილი მიწიდან თავისთავად ამოზრდილა და წინაპრის ნახელავი ამოუზიდავს...

მიწის შესაჭმელად რომ არ ემეტებოდათ, საყვარელი ცხენის თავისქალასაც ჭიშკრის მთავარ ბოძზე მიუჩენდნენ ადგილს.

ეს კი, ვითომ, ავითვალისაგან იფარავდა ოჯახს.

მარკოზა მეწისქვილეს წლობით ნაძებნი და მერე ნაკოდი დოლაბი რომ გაუტყდებოდა, ეგონა, მარჯვენა წამეცალაო: დოლაბს განა წყალში გადააგდებდა: მთავარ ნაწილს და ჩამონატეხს ერთმანეთს მიუსადაგებდა და იქვე, წისქვილთან დააბინავებდა.

და ეს ისე უხდებოდა წისქვილის გარემოს, როგორც შავგვრემან ქალს — ოქროს საყურე, ხევსურს — ფარი, ომგამოვლილ ვაჟკაცს — ხმლის დანაკრავი... როგორც დას ძმის დატირება...

აქ ყველა ჩემიანია, ყველა ოჯახში დუღს თითო კოჭობი და შიგ ჩემი წილიც იხარშება. ვიცი, ჩემს გასაჭირს ცივად არავინ ჩაუვლის. რამე რომ გამიჭირდეს, საკმარისია ერთი დავიძახო: „ე-ჰე-ჰე-ჰე, ჯიმალეფი! მოჯგირეფი!..“ და ყველა ჩემთან გაჩნდება.

მე აბაშა ზედ გულზე მახატია.

არც თოვლისას ეჯავრება აბაშა.

მაინც მინდა როგორმე უფრო შევაყვარო, უფრო ნათელი ფერებით დავახატო გულზე.

ყველაფერს ვაწონებ, გადამეტებით ვუქებ.

ცუდლარი რომ ცუდლარია, კალმახი

მისდღემში სიზმრადაც რომ არ მოლანდებია, ისიც კალმახით ავავსე.

— სად არიან ახლა კალმახები? — მეკითხება თოვლისა.

— ალმა გასცურეს, ქვირითს დაჰყრიან და ცის ვარსკვლავებზე უმრავლესნი დაბრუნდებიან (მეტი არ იქნა შენი მტერი!).

აბაშის ბაღში გავისეირნეთ.

ბაღში სამი საფლავია.

თვითეულზე სურათი და წარწერაა:

„ფედია ფრანგიშვილი
1896-1921“

„დავით კაჭარავა
1902-19..“

(გარდაცვალების თარიღის ბოლო ორი ციფრი თითქმის გადაშლილია. ქვის თუ რკინის დარტყმით უწვალებია ვიღაცას, ვერ გაარჩევ. მაგრამ მე ზეპირად ვიცი, „25“ უნდა ეწეროს, — 1925 წლის 18 მაისს, თავისსავე სახლში რევოლვერით თავი მოიკლა დავით კაჭარავამ. რაღაც წუთების წინ, ვიდრე რევოლვერის ტუჩს საფეთქელთან მიიდებდა და სასხლეტს გამოსწევდა, ფეხმძიმე ცოლს ვითომ ხუმრობით უთხრა: მე თუ ადრე მოვკვდი და ბიჭი დაიბადა, დათიკო დაარქვიო. მერე გოგო დაიბადა და ცოლმა ქმრის ანდერძი იმითღა შეასრულა, რომ ბავშვს, რაკი გოგო იყო, დათიკოს ვერ დაარქმევდა, და ათიკო დაარქვა; ქალის სახელს მიამსგავსა კაცის სახელი. დავით კაჭარავას თვითმკვლელობის მიზეზად მაშინ ათას რამეს ამბობდნენ და დღემდეც არაა იმ ათასიდან ნამდვილად მიჩნეული ერთი რომელიმე. ეს ჩვენ არ გვეხება, ჩემო თოვლისა, ჩვენ ჩვენს გზას მივყვეთ და მივეხმატკბილოთ.).

მესამე საფლავის წარწერაა:

„ვერა კიზირია
1904-1923“

სურათში ვერიკო თოთხმეტი წლისაა.

თოთხმეტისაა ახლა ჩემი თოვლისაც.

— ვინ არის? — მეკითხება.

საფლავის ქვა დუმს.

თოვლისას თვალები მთხოვენ, — ავალაპარაკო ის...

წელან ცამ ცოტა წამოიტირა.

ვერიკოს საფლავის ქვის ჩუქურთმებში წვიმის წყალი გაჩერებულა.

ბეღურა დაასკუპდა ზედ და სვამს.

ჩუქურთმის წყალს სვამს ბეღურა.

თოვლისა კი ჩემი მოსმენით იკლავს ვერიკოს ამბის გაგების წყურვილს.

აქ გადამეტებული ქება არ დამჭირდება:

ვერიკოს მამა იყო ჯაბა კიზირია, დედა — ელენე, ძმები — ლევანი და მოსე.

კოდორში სახლობდნენ. სამთვალიანი, ისლით დახურული, ქვის დაბალ ბოკონებზე დამჯდარი ოდა და წკნელით მოღობილი, ტალახით შელესილი სამზადი ედგათ, ისიც ისლიანი. ორივე სახურავის ისლს დასავლეთის, უმზეო მხარეზე, ხანდაზმულობის მწვანე ხავსი ჰქონდა მოკიდებული.

ეზო ლამაზი იყო, ხეხილით შემორგული.

ერთი უშველებელი თუთის ხე რომ ედგათ, მთელი სოფლის ბავშვებს ჰყოფნიდა პირის ჩასატკბილებლად.

ვერიკომ ეს სურათი, ახლა საფლავის ქვაში რომ არის ჩასმული, გადაიღო 1918 წელს, ხუთიოდე დღით ადრე, ვინემ მის ძმებს აბაშის მენშევიკური მილიციის რაზმი ალყაში მოიმწყვდევდა და სამუდამოდ მოაშორებდა მშობელი კერის კვამლს.

დუმან საფლავები.

და მე მინდა ავამეტყველო ისინი თოვლისას გასაგონად.

* * *

ვერიკოს ძმები შინ ალყაში რომ მოიმწყვდიეს და გასაფრთხილებლად ერთი გაისროლეს, უფროსმა ძმამ ლევანმა წამისწამში მოასწრო დისთვის რაღაც ქაღალდების პატარა კონის და ორიოდე სიტყვის გადაცემა: ფედია ფრანგიშვილს მიუტანე აბაშაში, ბიქტორი განახებსო...

ვერიკომ ქაღალდების კონა შალქვეშ დამალა...

გარედან კიდევ მოისმა გასროლის ხმა და მილიციის უფროსის ადილარ გვაზავას ძახილი:

— ჯაბა კიზირია! გამოიყვანე შენი ბიჭები, თორემ ცეცხლს წაგიკიდებ!

ძმებს ბრალად ედებოდათ ქუთაისში, სასტამბო შრიფტის მალულად გადატანისას, მილიციასთან შებრძოლება და ერთი მილიციელის მოკვლა.

ეს დასახვრეტი საქმე იყო.

ახლა ორივე ფეხით იყვნენ ჩავარდნილი.

ის კი უკვირდათ, ვის უნდა გაეცა წუხელ შუაღამისას მოსულნი?!

ბორანთან მარტო მებორნე პეპუ იყო... და... (აჰა!) კიდევ ვიღაც გამასოფლელი უცნობი აქეთ გამოჰყვა ბორანს...

ადილარ გვაზავა ალისფერ ცხენზე იჯდა.

როკავდა ცხენი მოუსვენრად, თითქოს მიწას მოწყვეტას ლამობდა, ლაგამს ხრავდა.

მნახველი უსათუოდ იტყოდა: ეს ის ცხენი ხომ არ არის, ადამიანმა პირველად რომ გახედნაო...

ძმებმა რევოლვერები ამოიღეს, მაგრამ საპასუხო სროლა არ დაუწყიათ.

ელენემ ლოყები ჩამოიკაწრა და ასევე დარჩა გაშეშებული.

— გავიქცეთ, — მხარი გაჰკრა ლევანმა მოსეს.

უკანა კარი ოდნავ გამოსწიეს.

იქიდან ცხენების ფრუტუნი მოისმა და თოფმომარჯვებული ორი მილიციელიც გამოჩნდა.

შუკიდანაც გამოჩნდა ერთი თოფიანი.

ალყაში იყვნენ. გაბრძოლებას აზრი არ ჰქონდა.

ჯაბა აივანზე გავიდა და გოროზად გახედა მილიციის უფროსს.

— ჯაბა კიზირია, სისხლი არ დამაღვრევინო! — შემოაგება მომხდურმა გლეხ-კაცს.

— სისხლი რა სახსენებელია! — ნაძალადევი სიმშვიდით გაეპასუხა ჯაბა და კიბეზე განგებ ნელნელა იწყო ჩასვლა: ეგება ბიჭებმა გაქცევა მოასწრონო...

კიბის რიკულებზე დაკორძილი ხელისგული გააცურა და, რატომღაც, ახლადა იგრძნო, — რიკულებიც კორძიანი ყოფილა.

ადრე ეს არასოდეს შეუნიშნავს.

შავღრუბელივით დადგა ადილარის წინ.

ადილარის ცხენმა უკან გაიწია.

ალაგეზე მეზობელი გადმოვიდა და ჯაბას ამოუდგა ქამარში წალდგაჩრილი.

სხვა სახლები მოშორებით იდგა, მაგრამ იქიდანაც შენიშნეს მეზობლის გასაჭირი.

გზაზე რამდენიმე ქალი და კაცი გამოჩნდა, ჯაბას სახლისკენ მომავალი.

ადილარმა, — ეზოში ფეხი არავინ შემოდგასო, — და ერთხელაც შეახალა ცას ტყვია; ცხენდაცხენ წრედ შემოუარა ეზოს.

ელენემ სული მოიბრუნა და ადილარს შეაჩერდა:

— ადილარ, რას ემართლები ჩემს ბიჭებს! ღმერთს შეხედე!.. მირონს ეცი პატივი!..

ელენეს ხმაში მუდარა არ ერია, ეს სიტყვები მრისხანებით იყო გაჟღენთილი.

ადილარს წარბი არ შეხრია, მობოდიშებისნაირად წარმოსთქვა ჰაერში, უმისამართოდ:

— მთავრობა მავალებს, ბატონო, მთავრობა!,. და რა ვქნა!..

მერე აივანზე გამოსულ ძმებს თვალი თვალში გაუყარა და თანმხლებთა ასამოძრავებლად ბრძანა:

— ხელები გაუკარით!..

მთელი რაზმი უკვე აქ იყო — ხუთი თუ ექვსი ცხენოსანი.

მათში ერთი ჯაბას მოგვარე ერია; სულ თავს მალავდა, თავი მაღლა არ აუწევია...

მილიციის უფროსის ბრძანება ბრძანება იყო.

თვითონ ადილარის გარდა, ყველანი დაქვეითდნენ.

ორი მილიციელი აივანზე ავიდა. ძმებს იარაღი მშვიდად ჩამოართვეს...

უმხედრო ცხენები ეზოში აქეთ-იქით გაიფანტნენ, მერე ერთ ადგილას მოგროვდნენ და თავი მიადეს ერთმანეთს.

ლევანმა ნაყანევისკენ გაიხედა, სადაც წუხელ ჩამოტანილი თოფები ჰქონდათ ძმებს დამარხული და ჩალამიყრილი.

იმ ჩალას ცეცხლი ეკიდა.

ლევანი მიხვდა, ამას ვერიკო გააკეთებდა.

თვითონ ვერიკო ახლა ჭიშკართან იდგა და ტიროდა.

ლევანსაც ცრემლი მოაწვა ყელში, თავი შეიმაგრა, მერე ჯორკოზე ჩამოჯდა და მაღალყელიანი, ახალთ-ახალი ჩექმები გაიძრო, მის ნაცვლად მამის ძველი, დაგლეჯილი წუღები ჩაიცვა.

რაღად დასჭირდებოდა ლევანს მაღალყელიანი, ახალთ-ახალი ჩექმები!..

ძმების დანაშაული წინასწარმეტყველებდა დახვრეტას. მაგრამ ეს არც ჯაბამ იცოდა, არც — ელენემ, არც — ვერიკომ, არც იმ მეზობელმა, ქამარში წალდგაჩრილი რომ ამოუდგა ჯაბას. შეიძლება ეს არც ადილარ გვაზავამ იცოდა, მას ჰქონდა დავალება: დაეპატიმრებინა ლევან და მოსე კიზირიები და სასწრაფოდ გადაეგზავნა ქუთაისის ციხეში.

ძმებს — ლევანს და მოსეს — ბრალად ედებოდათ მილიციელის მოკვლა-მეთქი. მართლა ბრალად ედებოდათ, თორემ იმ შეხლა-შემოხლაში, საღორიას ტყიდან სასტამბო შრიფტის წამოღების დროს რომ შეხვდათ ბოლშევიკებს მილიციელებთან და რაზმელებთან, ვინ იცის, ვისი გასროლილი ტყვია მოხვდა მილიციელს.

ეზოში დაბმულ ხბოს თოკი ააჭრეს და ძმებს ხელები მაგრად გაუკოჭეს ზურგსუკან.

ადილარ გვაზავამ ძმების წინ ცხენი აათამაშა და უნაგირიდან გადმოიხარა:

— ნუ მაძებნინებთ!..

ძმები მიხვდნენ, რის ძებნასაც გულისხმობდა მილიციის უფროსი.

ნაყანევზე ხმელი ჩალა უკვე ჩანავლებულიყო.

მოსემ ადილარის მოქნეულ მზერას ხმალივით აუკრა თვალი და სიტყვა:

— ინანებ ბოლოს, იცოდე!..

— ნუ მაძებნინებთ! — ახლა წარბების მაღლა აქაჩვით გაიმეორა ადილარმა. — ვნახავთ, ვინც ინანებს!..

ელენე შვილებთან იდგა და მთელი სხეული უკანკალებდა.

— ნუ გეშინია, ნანა, დავბრუნდებით, — თითქოს დაამშვიდა მოსემ მოხუცი, წელში მოტეხილი დედა.

დედმამის გულში იმედის ერთი ნაპერწკალი კიაფობდა: მოსე და ლევანი ადრეც დაუჭერიათ, მაგრამ მობრუნებულან ძმები.

მშობლებმა ახლა არ იცოდნენ, რას უდრიდა ეს დაჭერა.

ადილარ გვაზავა შეპყრობილთა საყურადღებოდ თავისას იმეორებდა:

— ნუ მაძებნიებთ, თორემ, მამის სული ნუ წამიწყდება, ცეცხლს წავუკიდებ ამ სახლს!..

— მამაშენი კაცი იყო! — შეახალა ადილარს ქამარში წალდგაჩრილმა გლეხკაცმა, რომელიც ლოდის ნატეხივით იდგა ჯაბასთან.

ადილარმა ცხენი ეზოში გაარბენინა და მილიციელებს გასძახა:

— გაჩხრიკეთ!..

...მილიციელები რომ წავიდნენ და გათოკილი ძმები წაიყვანეს, ჯაბა კიზირიას სახლი და კარმიდამო ქორისაგან დანგრეულ, აწეწილ და გაოხრებულ ნაბუდარს ჰგავდა.

მხოლოდ ნაყანევში ჩანავლებული ჩალა ბოლავდა ხელშეუხებლად.

იმ ჩალის ცეცხლით ერთმა მილიციელმა თუთუნს მოუკიდა და ეგ იყო...

ჭიშკარში გასვლისას ძმებმა ვერიკოს გაუღიმეს.

და ამ გაღიმებამ უფრო მოუკლა გული ვერიკოს.

ის ახლა ლაფაროში ობლად მიმჯდა-

რიყო და ლოყაზე გადმომდინარი ცრემლი ყელში ჩასდიოდა.

გზადაგზა სოფლელები ღობეს მოსდგომოდნენ და სველი თვალებით ეთხოვებოდნენ ჯაბა კიზირიას ვაჟებს.

სოფლის ბოლო მოსახლეს რომ გასცდნენ და ბორნისკენ დამბას მიჰყვნენ, მაშინ ერთხელ მოიხედეს ძმებმა.

და, ორივეს მაგიერ, ლევანს აღმოხდა რაღაც უცნაური ამოკვნესა თუ ამოოხვრა:

— ახავაი, მარჯა!..

მოსე და ლევანი ამ გზიდან არასდროს დაბრუნებულან, ეს იყო მათი უკანასკნელი გზა, მოუბრუნებელი გზა...

• • •

თოთხმეტი წლისა იყო მაშინ ვერიკო.

ეს სურათი, ახლა საფლავის ქვაში რომ არის ჩასმული, ხუთი დღის წინათ გადაიღო.

სურათში ვერიკო გაღიმებულია, რადგანაც ხუთი დღის წინ სატირელი არაფერი ჰქონდა.

მეორე დღესვე დაადგა აბაშის გზას: ძმის დანაბარები უნდა შეესრულებინა, ენახა ფედია ფრანგიშვილი (ფედია ფრანგიშვილს ნათლობით თედორე ერქვა, ერთხელ რუსმა მეგობარმა ფედია დაუძახა და მას მერე შემორჩა ეს სახელი. ახლა აბაშაში მის სახელობის ქუჩასაც ასევე — ფედია ფრანგიშვილის ქუჩა ეწოდება).

იქნებ ძმების ამბავიც გაეგო!..

გუშინ საღამოსვე ქუთაისში რომ წაუყვანიათ, ეს ამბავი მეზობელმა მოიტანა კოდორაში. მაგრამ დის გული მაინც ეპოტინებოდა რაღაც იმედს: „იქნებ მოტყუვდა ის კაცი".

ძმების ჩამოტანილი ცისფერი პალტო და გვერდზე გადასაბნევი ტუფლები ეცვა, ისიც ცისფერი. ძმებმა მოფიქრებულად შეურჩიეს თავიანთ უმცროს დას მისივე თვალების ფერი სამოსელი.

ბორანთან მისვლამდე ერთი მეგობარი გოგონა შემოხვდა:

— ამ საღამოს წარმოდგენა გვაქვს, ვერიკო!

იცის ვერიკომ, რომ საღამოს წარმოდგენა აქვთ. მაგრამ ახლა ამისთვის არ სცალია. დღეს მისი გზა ცრემლიანია...

...სცენად ერთი მეზობლის უმოაჯირო, დაბალი აივანი აქვთ, ფარდად — ორი ზეწარი, კულისობას ოთახები უწევთ.

მაყურებლები ეზოში სხდებიან: ვინც სკამს მოიტანს შინიდან — სკამზე, დანარჩენები — პირდაპირ მიწაზე ან რაიმე წამოწეულზე...

დღევანდელ წარმოდგენაში ვერიკო სამ როლს ასრულებს: ძროხის მწყემსი გოგონასი, თავადის ბიჭისა და დედაბრისას.

ეს სამნი სცენაზე ერთმანეთს არ ხვდებიან. თანაც ერთს სამი როლი იმიტომ მისცეს, რომ ვერიკოსნაირი „კარგი მსახიობი" ბევრი არა ჰყავთ.

ვერიკო სადმე მეგობრებთან დღეობაზე, ან ნათლობაზე რომ არის, ან სკოლაში — ცოტას ლაპარაკობს, იტყვის მხოლოდ აუცილებელს, მეტწილად დუმს. სცენაზე კი სოცრად იცვლება; იმ ადამიანის სიცოცხლით ცოცხლობს, რომლის როლსაც ანსახიერებს; იმდენს ლაპარაკობს, რამდენიც იმ ადამიანს უნდა ელაპარაკნა.

მხოლოდ ვერიკოს გამოუდის ყოველგვარი გარდასახვა, ხმისა და გარეგნობის შეცვლა...

სხვა ხალისი ჰქონდა ადრე ვერიკოს. გუშინდელ დღემდე მოჰყვა ის ხალისი.

გუშინ ჩაუგუბდა გულსა და სულში ბინდი და ბურანი.

იცის, რომ საღამოს წარმოდგენა აქვთ...

ვერიკოს აი ეს პატარა გზა რომ არ ჰქონოდეს დღეს გასავლელი, გზა — კოდორიდან აბაშამდე, ძმები არ დაეჭირათ და უშფოთველი ცხოვრებით ეცხოვრა ჯაბა კიზირიას ქალებს, — ის უდაოდ ითამაშებდა წარმოდგენაში.

ამ მძიმე გზის გავლა რომ არ დაბედებოდა დღეს ვერიკოს!..

იცის, რომ წარმოდგენა აქვთ. მაგრამ ამისი თავი არა აქვს დღეს!..

პიესა ერთმა მოხუცმა უამბო ბავშვებს. „ჯამუ“ ჰქვია პიესას. ცოტა თვითონაც შეალამაზეს თავისებურად.

მწყემსი გოგონას როლში ვერიკო თავის ტანსაცმლით გამოდის, თავადის ბიჭს ბიჭურად ჩაცმული ანსახიერებს: თავისი გრძელი ნაწნავები ბოხოხში აქვს შემალული, წარბებს ნახშირით დაიმსხვილებს, ულვაშებსაც დაიჩენს ოდნავ, ლოყებში აქეთ-იქით თხილს ან კენჭებს ჩაიდებს და ნამდვილი მსუქანი ბიჭია.

დედაბრის როლში დედაბრულადაა გამოჩაჩული, შუბლი და ლოყები დანაოჭებული აქვს და, თუ ნესვობის დროა, ნესვის ქერქისგან, ან მუყაოსგან გამოჭრილი მეჩხერი კბილები უდევს პირში. ლაპარაკობს ჩიფჩიფით. და ნამდვილი დედაბერია.

ერთხელ ვერიკოს დედაც ჩაჯდა მეზობლის ქალებში და ბავშვების თამაში ნახა.

მაშინ ლევანი და მოსე სოფელში იყვნენ, დაჭერისა არ ეშინოდათ. ისინიც უყურებდნენ წარმოდგენას.

ამბავი სასაცილო იყო და იცინოდნენ.

დედამ „თავადის ბიჭი“ რომ ნახა, იკითხა: ვინ თამაშობსო?

სანამ ვერიკომ პირიდან კურკები არ გამოჰყარა და საკუთარი ხმით არ დაილაპარაკა, ელენემ არაფრის დიდებით არ დაიჯერა, რომ „ბიჭი“ ვერიკო იყო.

ასევე ვერ იცნო დედამ თავისი ქალიშვილი დედაბრულად გამოწყობილი: რას ამბობთ, ჩემს ვერიკოს ჩაკიწკიწებული კბილები აქვს, ეს ვიღაც მართლა დედაბერიაო...

რა ბედნიერნი ყოფილან მაშინ!

ეცხოვრათ ისევე ღარიბად, ლუკმაპურის მონატრულებს, — ოღონდ ერთად ყოფილიყვნენ დედ-მამა და დაძმები.

მორჩა... გათავდა... ვერიკოს მსახიობობის გული უკვე აღარა აქვს და, ალბათ, არც აღარასოდეს ექნება...

— სად მიდიხარ, ვერიკო?

ბაზარში მიდის, სათამაშოდ არ სცალია. თქვენ ითამაშეთ, იცინეთ და ჩვენი საცოდავი მეზობლებიც გააცინეთ, გაახსენეთ, რომ მათაც შეუძლიათ იცინონ...

ვერიკოს სიცილის გული უკვე აღარა აქვს.

ვერიკო სკოლაშიც არ წასულა დღეს...

* * *

...სამაგიეროს გადახდაც კარგი იცის ვერიკომ: ერთი ლუკა მღვდელი იყო კოდორში, ყოვლად უცხვირპირო, გულღრძო კაცი. ოღონდ თვითონ ყოფილიყო მაძღარი და მთელი სოფელი მაძღარი ეგონა.

ორი წლის წინ ჯაბამ მისგან ხუთი ბათმანი სიმინდი ისესხა და ვერ დაუბრუნა.

ვერ დაუბრუნა, რადგანაც კავით მონაჩიჩქნი ყანის მოსავალმა ყველაზე მეტად მაინცდამაინც მას უმტყუნა იმ წელს.

მღვდელმა უჩივლა და მოუგო.

ჯაბას არც ფულად შეეძლო ვალის გასწორება.

მღვდელმა, რაკი კანონმა მას დაუჭირა მხარი, ჯაბას კიდევ ხუთი ბათმანი სიმინდი მისცა და ბავშვების მარჩენალი ძროხა წაართვა.

იმ ძროხას ახლა ლუკას ცოლი წველის.

ამ ცოლს, ფოფოდიას, ცოტა უცნაური სახელი ჰქვია — პისტი.

პისტის ლაპარაკი სოფელში არავისსას არა ჰგავს. ხმაც თავისებური აქვს ამ ქალს; ასო „თ“-ს კი ისე შეცვლილად წარმოსთქვამს, ვინც პირველად გაიგონებს, გაეცინება. არც „თ“-ს ჰგავს ეს ბგერა და არც „ფ“-ს. სიტყვების მარაგიც საკუთარი აქვს და წყევლაც თავისებური ეხერხება. ტკბილი საუბარი მისგან არავის მოუსმენია.

ლუკას და პისტის შვილი არა ჰყავთ. შარშან ზამთარში ლუკა ქელეხიდან ბრუნდებოდა.

უთოვლო, მაგრამ ცივი ზამთარი იდგა.

რიონს ერთი შენაკადი აქვს, ეს შენაკადი მოუნათლავია, სახელი არ ჰქვია, მაგრამ სიღრმე კი მიუცია მისთვის გამჩენს. ლუკას, ყურებს თუ არა, წვერის ბოლოს მაინც დაუსველებდა.

მოჰყვება ლუკა წყლის პირს და გაღმიდან ესმის ცოლის ხმა:

— ლუკაია, ვო ლუკაია, ბეჩა!..

ლუკა შეჩერდა: ხომ არ მომესმაო?!. კარგად მიაყურადა, გაღმა გაიხედა, მაგრამ ღამეში ვერაფერი დალანდა.

ეს ისეთ ადგილას მოხდა, სადაც არც ხიდი იყო და არც ფონი.

ცოლის ხმა კი უფრო გარკვევით მოესმა:

— მიშველე, ბიჭო!..

„ბიჭოს“ ახლაც, ამ სიბერეშიც ხშირად ეძახდა ცოლი ქმარს.

— სად ხარ, თოლიგე, საიდან იძახი, ა? — გაეპასუხა აქედან ქმარი.

— იმქვეყნიდან ვიძახიიი... იმქვეყნიდააან, — წაუმღერა ქალმა გაღმა და ეს წამღერება ტირილს უფრო ჰგავდა.

— რა მოგივიდა, ქალო, გამაგებინე, რა გინდა ამ ღამეს იქ!

ქალის პასუხს ახლა მეტი სასოწარკვეთილება მოჰყვა:

— ჭაობში ვიძირები!.. ვერ ამოვდივარ!..

გაღმა მხარე მართლა ჭაობიანი იყო. იმ წინეებზე ერთი ქალი დაიხრჩო. ეს იცოდა ლუკამ.

ისიც გაახსენდა, ერთხელ თხის საძებრად რომ გავიდა პისტი გაღმა.

ნამდვილად ახლაც თხის საძებრად გავიდოდაო, — გაიფიქრა, კისერი მაშალივით გაჭიმა და გაჰყივლა:

— იპოვე, თოლიგე?.. იპოვე?..

— შენ გიპოვა სიკვდილმა და წყვარამმა, — ამ სიტყვებს უკვე განწირულის კივილი მოჰყვა, — დიდუუუ!... დიდუუუ!...

ლუკამ გარკვევით გაიგონა ბუყბუყი, ჭაობში ჩაძირული ადამიანის უკანასკნელი ამოსუნთქვა თუ დაყვირება რომ გამოსცემს. ხურჯინი უაზროდ მოისროლა და ტანსაცმლიანად შესტოპა წყალში.

— მოვდივარ, თოლიგე... დაიცადე... — ყვიროდა წყალდაწყალ ლუკა.

წყალი მკერდამდე ასწვდა, მიდიოდა წელში მოხრილი, ხელებს ბაყაყურად უსვამდა...

გაღმა გასულს თვალწინ მდუმარე ჭაობი გადაეშალა, არავითარი ხმა, ლერწმის შრიალიც კი არ ისმოდა ირგვლივ.

და ირწმუნა ლუკამ ცოლის დაღუპვა.

— ვაი, ვუი ჩემს თავს, შე საცოდაო პისტი!.. — დაიწყო მოთქმა, თავში ხელებს იცემდა.

ქარმა დაუბერა და შეაძაგძაგა ერთთავად გაწუწული კაცი.

ახლომახლო არც სახლობდა ვინმე, არც სულდგმული ჩანდა.

ახლა შიშმა შეიპყრო ლუკა და აქეთ უფრო ჩქარა გამოსცურა წყალი. ხურჯინი სულაც არ გახსენებია, სირბილით და სველი წუღების ჭყაპაჭყუპით გასწია სოფლისკენ.

სახლები რომ გამოჩნდა, ყვირილი მორთო:

— ძუკუ!.. ერასტი!.. ძმებო.. მეზობლებო!.. მიშველეთ, დავიღუპე!..

მეზობლები შემოეხვივნენ. ლუკა უკან ჭაობისაკენ იქაჩებოდა: პისტი დაიხრჩოო.

შეწუხდნენ, მაგრამ რა უნდა ეღონათ: ამ წკვარამ ღამეში ვერაფერს გავხდებით, დილით მოვძებნოთო, და ლუკა შინ წაიყვანეს.

ქალები მოსთქვამდნენ, დასტიროდნენ ძვირფას პისტის (ახლა გახდა მათთვის პისტი ძვირფასი. ადრე ჩუმჩუმად კუდიანს ეძახდნენ). მამაკაცები ცდილობდნენ ლუკას დამშვიდებას...

ლუკამ, ვიდრე ეზოში ფეხს შედგამდა, თავში ხელები გამეტებით წაიშინა და საწყალობლად აზლუქუნდა:

— რა მინდა სახლში, მეზობლებო! რა ჭირი მინდა ჩემს სახლში, ვინ დამხვდება!..

ამ დროს ოდის კარი გაიღო და ქალის ხმა მოისმა:

— აბა სად ჯანდაბაში გინდა წახვიდე! დათვერი ხომ უზომოდ!.. ჰაიტ!..

ეს ნამდვილი პისტის ხმა იყო.

ლუკას თვალები ღია ჰქონდა, ხმას კი არ იღებდა, კანკალს აეტანა,

მეზობლებმა დაასკვნეს: ალს გაუტყუებია წყალგაღმა და, კიდევ კარგი, მთლად არ გადაკარგაო...

წყალი გააცხელეს, ფეხები დაუთბილეს, თბილად დააწვინეს. მლოცველი ქალი ჯამში ნახშირს თლიდა და შეშინებულის შესალოცს ბუტბუტებდა, წყევლიდა ავსულს და ეშმაკს...

მეტს რაღას იღონებდნენ, პისტი დაამედეს და დილამდე დაემშვიდობნენ.

ამ ხნის მანძილზე ვერიკოს და მის მეგობარ გოგო-ბიჭებს უკვე მოესწროთ ჰაობიანიდან აღმა არბენა და ხიდის გამოვლით სოფელში დაბრუნება.

სიცხიანმა ლუკამ ის იყო თვალები მილულა, რომ გარედან, ზედ ფანჯრის ჭურჭუტანასთან, ხმა გაისმა:

— ლუკაია, აგერ ვარ შენი პისტი. ამოვედი იმ ლაფიდან...

ლუკა წამოხტა და კერასთან ჩამომჯდარ ცოლს შეაჩერდა შეშლილის თვალებით.

პისტიმ გარედან თავისივე ხმა რომ გაიგონა, დაზაფრული მივარდა ქმარს:

— ვაი, ლუკა! დავიღუპეთ!..

და ხმა ჩაუწყდა.

გარეთ კი პისტის ორეულს არ ჩასწყვეტია ხმა, იგი ახლა მუდარით ამბობდა:

— ლუკა! მე ვარ შენი ცოლი პისტი, გამიღე კარი. ეს ქალი, გვერდით რომ გიზის, ავი სულია, ეშმაკია, ჩუმად გალანდებს თავს. არ მოტყუვდე, ბიჭო! ეგერ კერიასთან რომ აქანდაზია, აიღე იმით ნაკვერჩხალი და თვალში შეაყარე. თორემ ისე არ მოგეშვება, რომ დაიძინებ, ყელში სამართებელს გამოგისვამს. პირდაპირ თვალებში შეაყარე. არ აგიცდეს, თორემ მერე საშიშია, მერე ვერ მოერევი...

ლუკამ ცოლს შეხედა, ტახტიდან გადმოვიდა და აქანდაზისაკენ მართლა წაიღო ხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიშველეთ!.. არ გაგიჟდე, ლუკაია!.. — იკივლა შინ ნამდვილმა პისტიმ.

ვერიკო და მისი ამხანაგები ჭუჭრუტანიდან იჭყიტებოდნენ და სიცილს ძლივს იკავებდნენ.

— არ დაუჯერო, ლუკაი! — წააქეზა გარედან მეორე „პისტიმ“ გონებაარეული კაცი, — შეაყარე ნაღვერდალი. მე აგერ ვარ შენი პისტი. სანამ მას ნაღვერდალს არ შეაყრი, ვერ შემოვდივარ. დაბმული ვყავვარ მაგ ავსულს...

ახლა ვერიკოს ხმა უფრო ჰგავდა პისტის ხმას, ვინმემ თვით ნამდვილი პისტისა — საკუთარს.

ლუკას მეტი ძალა უკვე აღარ შესწევდა, იატაკზე თავდაღმა დავარდა...

დილით მეზობლებმა ლუკა სამკურნალოდ წაიყვანეს ჯერ აბაშაში, მერე ქუთაისში...

ეს იყო გასული წლის ზამთარში.

ასე იცის ვერიკომ ავკაცობისათვის სამაგიეროს გადახდა. მაგრამ ახლა ვის გადაუხადოს ძმების სამაგიერო?.

* * *

აბაშაში ადრეც ყოფილა, ხან დედას გამოჰყოლია, ხან — მამას, ხანაც ძმები წამოიყვანდნენ და აუცილებლად აჩვენებდნენ ჩინელ ილუზიონისტს, რომელიც „მოჭრილ თავს“ ალაპარაკებდა: ჯოხზე წამოცმულ ყიყლიყო-კამფეტს უყიდდნენ.

ერთხელ მარულაზეც ჰყავდათ ძმებს ვერიკო.

მაშინ ცხენებით წამოვიდნენ კოდორიდან. ლევანი და მოსე ნათხოვარ ცხენებზე ისხდნენ, ვერიკო — თავიანთ წითელ ცხენს მოაგელვებდა.

თანშეზრდილი ჰყავდა ვერიკოს ის ცხენი. მერე გაუჭირდათ და გაყიდეს, — ვალი ჰქონდათ დანასავით მობჯენილი ყელზე.

რა საყვარელი ცხენი იყო!..

ბორანსაქეთ ქართა სანავარდო რომ არის, იქ გაეჯიბრნენ და-ძმანი ერთმანეთს ცხენოსნობაში.

ვერიკოს ვაჟურად ეცვა.

მიუშვეს და გაფრინდნენ ყიჟინით.

ვერიკო გაჭენებული ცხენიდან გადმოხტებოდა, მიწას ფეხს დაჰკრავდა და უმალვე კვლავ უნაგირს მოევლებოდა; თმა ჩამოეშალა და, ალბათ, ამორძალს ჰგავდა (ამორძალზე თქმულება ვერიკოს ბებიასგან ჰქონდა გაგონილი).

ხან მუცელზე მოექცეოდა ცხენს, ხან კისერზე შემოევლებოდა და მეორე მხრიდან ისევ უნაგირზე დასკუპტებოდა...

მებორნე პეპუ გაგიჟდა: ეს რა ალქაჯი გვეზრდება! შენ გენაცვალე, ჩემო ბიძია, შენ გაიხარეო!..

ვერიკომ დაჯაბნა ძმები ცხენოსნობაში.

მერე აბაშაში მარულა ნახეს, შეაგვიანდათ და ღამე ბიძასას დარჩნენ, ახლა მარტო მოვიდა ვერიკო აბაშაში. თავის ბიძაშვილს, ბიქტორს ეძებს. ბიქტორმა უნდა ნახოს ფედია ფრანგიშვილი. ასე დააბარა ძმამ.

რკინიგზის სადგურის უკან, ოცდახუთი ჭადრის გასწვრივ, მუშტრის მომლოდინე ეტლები გამწკრივებულან.

თავჩაქინდრული დგანან გამხდარი, გაძვალტყავებული ცხენები.

მეეტლეებს გრძელტარიანი მათრახი იღლიაში ამოუჩრიათ, ბაქანზე მიდიმოდიან, სწორედ ახლახან ჩამომდგარი მატარებლიდან გამოსულთ მომსახურებას სთავაზობენ.

ვერიკო მატარებლის ქვეშ გაძვრა და მოედნისაკენ გასწია.

მგზავრები მეეტლეებს მათრახით სცნობენ: ვისაც გრძელტარიანი მათრახი უჭირავს — მეეტლეა.

ფეხსაცმლის მწმენდავები ერთთავად სუჯუნელი ებრაელები არიან. მათ ცალკე რიგი დაუკავებიათ ჭადრებქვეშ, მუშტრის მოსახმობად ჯაგრისებს ყუთზე ყურისწამღებად არაკუნებენ. და... თავიანთი დღე და მოსწრება ტალახიან ამინდს ნატრობენ. ლადი მებონიას დუქანთან დათვია დაბმული. ბავშვები ყოველთვის იქ იყრიან თავს. ახლაც გარს შემორტყმიან. რომელიმე მდიდრის შვილი თუ გადაუგდებს დათვს ტკბილეულს, თორემ გლეხის ბიჭები დარცხვენილნი დგანან და საცოდავად იბუზებიან.

ვერიკოც შეჩერდა: ბიქტორი იქნებ აქ იყოსო. ერჩია იგი აქვე შეხვედროდა, რადგანაც მის სახლამდე საკმაოდ შორი გზა იყო გასავლელი.

დათვი იღრინება და აქეთ-იქით დაძუნძულებს, სანამდე ჯაჭვი გასწვდება.

მის ირგვლივ მიწა მოკალოვებულივითაა.

დათვს ბრჭყალები წაჭრილი აქვს და პირზე ალიკაპი ადევს. (რაღა დათვობაა! მაშ, დააძრე მგელს კბილები და გაუშვი ცხვარში!), ამიტომ, ზოგჯერ, ვინმე ჯანიანი ბიჭი ბედავს მასთან დაჭიდებას.

ასეთი დაჭიდებაც უნახავს ვერიკოს.

ერთი მოცლილი ახლაც ემზადება დათვთან დასაჭიდებლად...

მაგრამ ვერიკოს სეირის ყურების დრო არა აქვს.

ბიქტორი აქ არ არის. ვერიკო გაეცალა იქაურობას.

ნოემბრის სუსხიანი ქარი ეღობება გზადაგზა, მაგრამ ვერიკოს არ ცივა.

არ ცივა იმიტომ, რომ ძმების ნაყიდი პალტო აცვია, ცისფერი, მისივე თვალების ფერი.

დღეს პარასკევია, ბაზრობის დღე.

სოფლებიდან მოდიან დაბეჩავებული გლეხები და მოაქვთ მცირე რამ დანაზოგი, ფულად უნდა აქციონ და კარზე მომდგარ ზამთრისათვის ბავშვებს კალოშები უყიდონ, ცოტა თბილად ჩააცვან...

ზუზუნებს, ხმაურობს აბაშა, სადღაც ღორი ჭყვირის.

„კლავენ ნეტავ, თუ გაყიდეს და ბაწრით ურემზე აბამენ!..“

დგანან ჭადრები და უსმენენ...

ვიღაც უცხოელებმა ჩაუარეს ვერიკოს, უცხოურად ლაპარაკობენ. ვერიკოს მხოლოდ ხმა ესმის მათი, შინაარსი გაუგებარია...

ქართველი მილიციელი გამოეჭიმა უცხოელებს.

მილიციელი თითქმის ყოველ ნაბიჯზეა, ქვა რომ ააგდო, მათ დაეცემა...

დგანან ჭადრები და უსმენენ ერთმანეთში ათქვეფილ ხმებს: ქართულს, გერმანულს, ინგლისურს...

ადრე, ოდესღაც, სხვა უცხო ხმებიც სმენიათ; მაგრამ აბაშის ბებერ ჭადრებს ამ ოცდახუთიდან უხუცესებს ახსოვთ იმ უცხო ხმაზე — ამოკვნესაც...

ამიტომაც არიან მშვიდად...

ორი თუ სამი ჭადრის განიერ ტანზე მრავალნაირი, ჩამოფხრეწილი ძველი აფიშაა შერჩენილი. მხოლოდ ერთია ახალი. იგი ეპატიჟება ხალხს კლუბში, კრებაზე...

შრიალებენ, ჩურჩულებენ, ღრუბლებს ედებიან ბებერი ჭადრები...

* * *

ვერიკომ მილიციას სულ ახლოს ჩაუარა.

არავითარი ხმა არ მოდიოდა ცივი კედლებიდან.

მილიციის უფროსი ადილარ გვაზავა გამოჩნდა.

კიბეზე ჩამოსვლისას მისი გრძელი ხმლის ბოლო საფეხურს ხვდებოდა და რაკუნობდა. ამ ხმით დათვალა ვერიკომ საფეხურები: სულ ექვსი ყოფილა...

ადილარს ყურადღება არ მიუქცევია ვერიკოსთვის, თავის ლამაზ ცხენს ზურგზე მოევლო და ორი მილიციელის თანხლებით გზაზე გავიდა. იქნებ კიდევ ვინმეს დასაჭერად მიდიოდა!

ვერიკომ ნაბიჯებს აუჩქარა.

ბიცოლამ ეზოში შემოსული ვერიკო რომ ნახა, ყველის ამოყვანას თავი მიანება, ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და ბავშვს შეეგება. შენ შემოგევლოს შენი ბიცოლა, შენს სანთლად ჩემი თავიო..

მას მეგრული უფრო ემარჯვებოდა და ახლაც მეგრულად გალობდა თაფლიანი პირით. მხოლოდ სუჯუნელ ებრაელებთან ან სამიქოელებთან თუ დაამტვრევდა ზოგჯერ ორიოდ ღერ ქართულს. ამიტომ ვერიკო ყოველთვის მეგრულად ელაპარაკებოდა ბიცოლას.

ბიქტორი შინ არ იყო. სადაცაა დაბრუნდებაო.

ლევანისა და მოსეს ამბავი ბიცოლას გუშინვე გაეგო, საგზალი მიუტანია ქუთაისში წასაყვანათვის.

— წუხელ წაიყვანეს, ნანა! საცოდავ დედაშენს სული როგორ უდგას! ვაი ჩემს თავს და ჩემი გაჩენის დღეს, — იცრემლებოდა ქალი.

შინ შევიდნენ.

ბიცოლამ ვერიკო დასვა, მერე ტაბაკი ჩამოხსნა კედლიდან: ჩემს ვერიკოს ეშიებაო...

ამ დროს ბიქტორიც მოვიდა და პატარა ტომრით დარჩეული წაბლი მოიტანა, სულ ტალახში იყო ამოგანგლული, ბუძგარები შემოკვროდა ტანსაცმელზე.

ვერიკომ და ბიქტორმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

—სად ამოისვარე ასე, სირიაჩკონში ხომ არ ყოფილხარ, — გაეხმიანა ვერიკო ბიქტორს, — ან ამდენი წაბლი რად გინდა?

— ეს წაბლი, ჩემო ვერიჩკა, უნდა გავყიდო. სწავლის ფული მაქვს შესატანი. გარიცხული ვარ...

ბიქტორს მამა გარდაცვლილი ჰყავდა, ათი წლის წინათ, 1908 წელს, და ობლობაში იზრდებოდა.

მათი ოჯახის ავლადიდება კურდღელს აეკიდებოდა.

ვერიკომ ბიქტორის ნათქვამი კი გაიგონა, მაგრამ სიტყვა მაინც აბაშაში ჩამოსვლის მიზეზს შეახო:

— ფედია ფრანგიშვილი უნდა მაჩვენო. ლევანმა დამაბარა რაღაც. უბეში ფრანგიშვილისათვის გადასაცემი პროკლამაციები რომ ედო ეს არ უთქვამს.

ზედმიწევნით უყვარდა ვერიკოს სიფრთხილე, რადგანაც ცხონებულ ბებიასგან მოსმენილი ჰქონდა სიტყვის შენახვის აფხაზური ხალხური ამბავი.

ძლიერ მოსწონდა ვერიკოს ეს ამბა-

ვი და მთელი ცხოვრების გზაზე გაჰყვა კიდეც მისი ჭეშმარიტება.

ეს ხაპარ კიუტბას ამბავია:

ხაპარ კიუტბა ნადირობიდან ფერწასული და დაღვრემილი დაბრუნდა. მხოლოდ ცოლს გაანდო საიდუმლოდ, გულის ცხრაკლიტულში დასამალავად: კაცი შემომაკვდა და ღალიძგასთან დიდი წიფელი რომ არის, იქ ორმოში ჩავმალე, ზედ ფოთლები მივაყარეო... თან მუდარით დასძინა: ეს ამბავი სადმე რომ წამოცდეს, დამიჭერენ და მომკლავენ, ოჯახი დაგვექცევაო..

ცოლმა ბევრი ივაგლახა.

ღამე ცრემლში დაახრჩო.

დილით წყაროზე წავიდა წყლის მოსატანად.

იქ რა მოხდა ვისთან რა ილაპარაკა, ჩვენ არ ვიცით.

საღამო ხანს ხაპარ კიუტბას ჭიშკარს სოფლის თავკაცები და სხვა ჯარი ხალხი მოადგა.

კაცისმკვლელი გაბაწრული მიიყვანეს მკვლელობის ადგილას და იქ, დიდი წიფლის ძირას, ორმოში ნახეს ფოთლებწაყრილი — არა მოკლული ადამიანი — მოკლული ჯიხვი...

— ამდენი ხალხის მოტყუება რად იკადრე, ხაპარ! — იწყინეს ბერიკაცებმა.

ხაპარმა მათ დინჯად უპასუხა:

—ნუ გამინაწყენდებით, მოხუცნო! მე მხოლოდ ცხონებული პაპაჩემის ნაანდერძევის გამოცდა მეწადა: ყველაფერს სხვას ნუ მიანდობ შესანახად, თუნდაც ეს სხვა — შენი ძალიან ახლობელი იყოს! ზოგი რამ შენ თვითონ შეინახე გულში, ან სკივრში!..

მოხუცებს მოეწონათ ხაპარის პასუხი.

ერთმა დაასკვნა: საიდუმლოს შენახვა ყველაზე კარგად შეუძლია იმას ვინც იგი არ იცისო...

* * *

აბაშას კლუბი კარგი აქვს, მაღალჭერიანი, ქანდარიანი. ოღონდ ხეირიანად ვერ არის გაწყობილი: სცენის ფარდა ძველია (კლუბის გამგე მეძველია) და ალაგ-ალაგ სხვა ნაჭრებითაა დაკერებული, კარგად თუ არ დააკვირდი, ვერ იცნობ, რომელი იყო თავდაპირველი. ეს ფარდა თოკის ჩამოქაჩვით არ იხსნება, — ორმა ადამიანმა უნდა ჩაავლოს ხელი აქეთ-იქიდან და გასწიოს.

სამჩარჩოიანი ფანჯრის ყველა მინა დიდი ხნის ჩამტვრეულია. ზამთრობით ბრეზენტს აფარებენ.

დარბაზში, სკამების ნაცვლად, ხის მერხებია გამწკრივებული.

ქუჩიდან — განიერი, ნახევარწრიული კიბე ადგება კლუბს. კარს ზემოთ გაკრულია აბრა: „აბაშის კლუბი".

ამავე ხელით ნაწერი აბრები აკრავს მებონიას დუქანსაც, ბანკსაც, რაჭველების თონესაც, კოწიას სადალაქოსაც...

ეტყობა, ყველა წარწერას ერთი ავტორი ჰყავს.

დღეს სცენის ფარდა ადრევე გახსნეს.

სცენაზე მუშამბიანი მაგიდაა, ზედ, ყოველი შემთხვევისათვის, ლამპა დგას. ლამპის შუშის თავი წატეხილია და ძაბრივით დახვეული, ალის ენით შერუჯული ქაღალდი აქვს წამომხობილი.

ხალხი აუჩქარებლად, თითო-ოროლად მოედინება კლუბისაკენ.

უთადარიგოდ განლაგებულ გრძელ მერხებზე უმეტესად ხნიერნი და მდიდრულად ჩაცმულნი სხდებიან.

ახალგაზრდები და ჩამოძონძილტანსაცმლიანები იატაკზედაც მშვენივრად გრძნობენ თავს.

მათგან, უმრავლესობა, თითქმის ძალის ძალადაა მოყვანილი, — მენშევიკების აგენტები სოფელ-სოფელ, ჭიშკარ-ჭიშკარ დილიდანვე დადიოდნენ და „ეპატიჟებოდნენ" გლეხებს კრებაზე (მენშევიკურ მთავრობას შიში ჰქონდა, — ხალხი, მასა, ბოლშევიკებს არ გადაებირებინა, და ასეთ კრებებს თუ ლექციებს ხშირად მართავდნენ, რომ თავიანთი უპირატესობა დაემტკიცებინათ).

ვერიკო და ბიქტორი ერთ კუთხეში, მერხზე მოკალათდნენ.

დარბაზი თითქმის გაივსო...

სცენის მაგიდას რამდენიმე კაცი მიუჯდა.

— რომელია? — ჩასჩურჩულა ვერიკომ ბიქტორს (ფედია ფრანგიშვილი იკითხა).

—აქ იქნება სადმე. რომ გამოჩნდება განახებ...

სცენაზე, მენშევიკი სავლე ბოკუჩავა წამოდგა და გვერდით მსხდომთ ჰკითხა:

— დავიწყოთ, ბატონებო?

მისი ხმა დარბაზსაც გასწვდა და პასუხიც დარბაზიდან მოისმა:

— დაიწყე! რას უცდი! მეტი აწი არავინ მოვა!

ეზოდან ფანჯრისკენ გადმოზნექილ ხის ტოტებზე ბიჭები ბეღურებივით ჩამოსკუპულან და თვალი სცენისაკენ უჭირავთ. ისინი კონცერტსაც და რაიმე წარმოდგენასაც ყოველთვის აქედან უყურებენ უფასოდ და საჩივარს არასოდეს ამბობენ. ალბათ: დარბაზში პირველი რიგის მერხი რომ დაუთმონ, მაინც ამ ხის ტოტს ამჯობინებენ.

ეს ხე ლამაზიცაა და ნაყოფსაც ისხამს, ოღონდ მის ნაყოფს დამწიფებამდე არასდროს მიუღწევია ამავე ბავშვების „წყალობით“.

თავმჯდომარემ დარბაზიდან წამოძახებული — დაიწყე, რას უცდიო — საერთო დასტურად მიიღო და გამოაცხადა:

— მოვუსმინოთ, ბატონებო და აქ დამსწრენო („აქ დასწრებაში“ ალბათ დაბალ ფენას გულისხმობდა), ბატონ მალაქია გუგუშვილს...

დარბაზში ტაში დაჰკრეს და ეს ტაშის ხმა ჰგავდა ყავრის სახურავზე მეჩხერი და მსხვილი კოხის დაცემის ხმას.

მალაქია ტრიბუნასთან დადგა, ჭიქაში წინასწარ დასხმული წყალი მოსვა; სუნზედაც და გემოზედაც მიხვდა, რომ წყალი ძალიან დიდი ხნისა იყო, მაგრამ პირიდან გადმოსხმა უკვე უხერხული იქნებოდა, ამიტომ — გადაყლაპა.

მერე დაიწყო წვრილი, საკრიმანჭულო ხმით:

— ხალხნო და ჯამაათნო! მე ერთი კვირაა, რაც უცხოეთიდან დავბრუნდი, და მინდა მოგახსენოთ მცირე რამ ჩემი შთაბეჭდილებების თაობაზე... და დავუკავშირო იგი ჩვენი ტანჯული სამშობლოს ბედსა და მომავალს...

— გისმენთ!.. საინტერესოა! — რბილად დაუკრა კვერი მომხსენებელს კრების თავმჯდომარემ, ამით დამსწრეთა ყურადღებაც დაძაბა, თან ფანქარი ფრთხილად შემოჰკრა ჯერ აუნთებელ ლამპის შუშას — სიჩუმე და ყურადღება მოითხოვა.

დარბაზმა სული განაბა.

კარგახანს ილაპარაკა მალაქიამ და მერე, რომ დაიღალა, თვითონვე დაიწყო კითხვების დასმა და პასუხის გაცემაც:

— ზოგნი, ესე იგი ბოლშევიკები, ხსნასა და იმედს ხედავენ რუსეთის რევოლუციაში. რას ნიშნავს ეს, თანამემამულენო? ეს ნიშნავს: ჩვენივე ხელით გამოვნასკვოთ მარყუჟი და შიგ თავი გავუყაროთ (ეს სიტყვები განსაკუთრებით დახვეწილად წარმოსთქვა). რუსეთის რევოლუციამ დააბეჩავა მშრომელი ხალხი! შიმშილით, შიშით და უსასყიდლო შრომით სული სძვრებათ...

— მართალს ბრძანებთ! — მოისმა დარბაზიდან.

წინა რიგში მსხდომებმა მოიხედეს. ამ სიტყვების წამომძახებელი იყო გიმნაზიელის ტანსაცმლიანი ყმაწვილი, ალბათ „ახალგაზრდა მარქსისტი“.

მერხებზე თუ იატაკზე გამწკრივებული ღარიბ-ღატაკნი სმენად ქცეულიყვნენ...

— მართალი ბრძანებაა! — ბეჭედი დაარტყეს ორატორისა და რეპლიკის წამომძახებლის აზრს თეთრ საყელოზე, ხედ ყორყთან შავპეპელა გამონახკვულმა „ბატონებმა“.

მალაქია ლაპარაკის ეშხში შევიდა:

— რა არის, თანამემამულენო, პრო-

ლეტარიატის დიქტატურა? ეს არის წითელი ჭირი, რომელიც კაცობრიობას, ემუქრება და-ღუ-პვით! ჩვენი მთავარი საზრუნავია დავუმეგობრდეთ კაპიტალისტურ სამყაროს. აი, ეს არის ერთადერთი გზა ხსნისა...

— ტყუილია! — მოულოდნელად გასკდა ბომბი დარბაზში.

კრების თავმჯდომარე წამოდგა:

— ვთხოვთ აბრძანდეს, ვინ ამბობს ამას?

შუადარბაზიდან ზლაზვნით წამოიმართა მეეტლე გერასიმე. იმდენ ხანს დგებოდა, არ იქნა და არ გათავდა. ლამის ჭერს აარტყა თავი.

— თქვენ სცდებით, — ლმობიერად მიმართა მოწინააღმდეგეს მომხსენებელმა.

— თუ ვცდები, აგერ ანტიფოს ჰკითხეთ, — დაიმოწმა მეეტლემ მეეტლე.

ანტიფო მოიღუშა:

— კაცო, შენ შენი თქვი. მე რას მიმოწმებ! მე თუ მკითხავ, არაფერიც არაა აქ ტყუილი...

ლამპა უკვე აენთოთ. არავის შეუნიშნავს, ვინ და როდის აანთო. პრეზიდიუმში მსხდომთა თვალწინ ლიცლიცებდა და თავმჯდომარეს დარბაზში მსხდომთა გარჩევას უძნელებდა.

— აგერ, მე მკითხეთ, — ვერ მოითმინა ერთმა ყაბალახიანმა გლეხკაცმა.

ბიქტორმა იცნო ბოლშევიკ მამანტი ხაბეიშვილის ერთი ღობის გამყოფი მეზობელი და გაიფიქრა: ბოლშევიკის მეზობლობა კარგად დატყობიაო. ბიქტორი აბაშაში ყველა ბოლშევიკს იცნობდა, ერთხელ დახმარებია კიდეც ფედია ფრანგიშვილს, რომელმაც მას რაღაც ქაღალდების მალულად წაღება დაავალა.

ყაბალახიანს სიტყვა არ გაუწყვეტია:

— გერასიმე მართალს ამბობს. ანგლია, ფრანცია, გერმანია შორსაა ჩვენგან, რუსი ახლოსაა...

— სიახლოვე რა შუაშია... — თავდაპირველი სიდინჯითვე განაგრძო მომხსენებელმა, — თქვენ არ გინახავთ, როგორ იტანჯება მშრომელი ხალხი იქ. და, მით უმეტეს, არ გინახავთ რანაირ ფუფუნებაშია მშრომელი ხალხი უცხოეთში.. ისინი მოგვიტანენ ჩვენ ბედნიერებას.. ცივილიზაციას...

ერთმა დაკონკილჩოხიანმა ჩუმად ჰკითხა თავის გვერდით მჯდომს:

— რას ნიშნავს მაგ ბოლო სიტყვა?

მეორემ ჩუმადვე უპასუხა:

— ახალ ჩოხა-ახალუხს შეგიკერავენ, კინოს გაჩვენებენ, სათვალეს წამოგასკუპებენ ცხვირზე...

— შენ შენს ცხვირს მოუარე! — ახლა უკვე იყვირა პირველმა.

ყველამ მისკენ გაიხედა.

გაბრაზებული კაცი წამოდგა და ლანძღვა დაუწყო გვერდით მჯდომს, რომელმაც ცხვირი სამასხროდ უხსენა. მას მართლა უშველებელი, ჭარხალივით ცხვირი ჰქონდა. გვერდით მჯდომმა რა იცოდა, რომ ამ კაცმა თავისი ცხვირის გამო ამასწინათ ბიძაშვილი კინაღამ მოკლა...

დარბაზი შეჩოჩქოლდა და აზიმზიმდა, შიგადაშიგ სიცილიც ერია ამ ჩოჩქოლსა და ზიმზიმში.

მომხსენებელს თავისი სათქმელიდან არ გადაუხვევია:

— კაპიტალიზმი მოგვცემს პურს, ჩასაცმელ-დასახურავს...

დარბაზში რამდენიმე წამოძახილი გადაეჯვარედინა ერთმანეთს:

— მაგას რევოლუცია მოგვცემს...

— მე ჩემი მჭადი მომეცი და ის მეყოფა...

ერთი წვერწამოზურძგნული გლეხი მთელი ტანით წამოიმართა იატაკიდან. არავის არ გაუგია, ისე გაბრაზებულა თურმე, გულზე გამსკდარა. გაიმართა წელში და სიტყვაც წელგამართული წამოისროლა:

— მე, ჩემო ბიძია, ამ კრებისთვის სულაც არ მეცალა. ჩემი დარდი მქონდა და ჩემი ჯირკი. ძალით წამომიყვანეთ და სიტყვაც მათქმევინეთ. აბა?!.

ყველა მას მიაჩერდა.

— ჩემი აზრი მკითხეთ. მე მირჩევნია, ყველა თავისთვის იყოს. არავისი უფროსობა არ მინდა, კარგ მეზობელს

მე ვცემ იქით პატივს, ოღონდ მამუშავე ჩემთვის. რა მაქვს სხვისი შესახვეწი, ა. მიწა არ მივარგა, წყალი თუ ჰავა... ე, ილაპარაკეთ აწი თქვენ...

დაამთავრა გლეხკაცმა, კი არ დამჯდარა, გვერდით მოკალათებულ ორ-სამ ბავშვს ზედ თავზე გადაალაჯა და დარბაზი დასტოვა...

ხალხს თითქოს ალალმა დაუქროლაო, ხმა ჩაუწყდა. ყოველივე ეს მოხდა უეცრად, მოულოდნელად და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

გლეხკაცი რომ წავიდა, აქა-იქ ჩურჩული ატყდა:

— ვინაა?..

— მოეშვით. გიჟია. მე ვიცნობ, — თქვა ერთმა.

— თუ იცნობ, რატომ არ მიჰყვები?

კრების თავმჯდომარემ (თუმცა დარბაზი არ ხმაურობდა) კიდევ შემოჰკრა ფანქარი ლამპის შუშას და შემოემტვრა კიდეც.

— ვაიმე! — შეიცხადა ვიღაც ქალმა. ლამპა ალბათ მისი იყო.

დარბაზში აქამდე დაგუბებული ხარხარი რიონივით წამოვიდა და წამოგრიგალდა.

კრების თავმჯდომარეს ფანქრიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

დარბაზის მიბნელებულ კუთხიდან ვიღაც ოხუნჯმა მთლად გაამასხრა იგი:

— ამდენი ღონე თუ გაქვს, შე კაცო, ეგერაა დაბმული მეზობიას დათვი...

თავმჯდომარეს ვითომ არ გაუგონია ეს სიტყვები, ჩვეულებრივად დაიძახა:

— სიწყნარე იყოს და გაგონება!..

უშუშო ლამპა ხრჩოლავდა.

მომხსენებელს აქეთ-იქიდან ურჩიეს:

— ახლა სხვა ალაპარაკეთ, მალაქია ბატონო. ძალიან ნუ გადაიღლით თავს...

მალაქია ტრიბუნას მოშორდა და, რომ დაჯდა, სკამი ჩაუტყდა, გადაყირავდა; ძლივს წამოაყენეს...

ამან სულ გადარია დარბაზი. მაგრამ ხორხოცს გადააჭარბა „ახალგაზრდა მარქსისტების“ ხმამ:

— მალაქიამ ილაპარაკოს!..

— მალაქიას მოვუსმინოთ!..

— მალაქია მართალია!..

კაცი ვერ გაიგებდა: მალაქიას მომხრენი იყვნენ უმრავლესნი, თუ მისი ყველა მოწინააღმდეგე ვერ ბედავდა ხმის ამოღებას და ამიტომ ჩანდნენ უმცირესად?..

ხალხში ვიღაც-ვიღაცეებმა ხელის ფარნები აანთეს და სცენას მიაშუქეს.

თავმჯდომარის დაუკითხავად წამოდგა დარბაზიდან და ტრიბუნასთან მივიდა მაღალი ჭაბუკი. გვერდზე ჩაჭრილ-ჩაღილკილოებული შავი პერანგი ემოსა და გაპრიალებული ჩექმები ეცვა; წელზე ერტყა ფოჩებიანი თეთრი ზონარი; თმა შუბლზე ჩამოშლოდა. მოკლედ შეკრეჭილი შავი ულვაში ორხ, შეტყუპებული, ნახშირიანი თითის დანადებივით აჩნდა ტუჩებს ზემოთ.

მივიდა ტრიბუნასთან და ფოლადნარევი ხმით გასძახა ხალხს:

— დაწყნარდით, ამხანაგებო!

სიტყვა „ამხანაგებო“ მეხივით დაეცათ მენშევიკებს. იცნეს, ვინც იყო ეს ჭაბუკი. მის ნათქვამს იოლად ვერ მოუნახავდნენ ფონს, ვერ გადასჭრიდნენ...

დარბაზს სიჩუმის ანგელოსმა გადაუარა...

— ესაა ფედია ფრანგიშვილი, — გადაულაპარაკა ბიქტორმა ვერიკოს.

ვერიკოს მართლაც ასეთად ჰყავდა წარმოდგენილი თავისი ძმების თანამებრძოლი.

და ამ ამღვრეულ გზაზე ვერიკომ თითქოს სინათლე იხილა.

სიტყვა „ამხანაგებო“, რა თქმა უნდა, არ მოეწონათ „ბატონებოს“ ძახილს შეჩვეულთ.

— შენი ამხანაგები შენსკენ მოიკითხე, — ვერ დაფარა წყენა ერთმა ფრაკიანმა.

— მე თქვენ არ გელაპარაკებით, — თითებგაშლილი ხელი გაიწვდინა ფედიამ მოწინააღმდეგისაკენ, თითქოს მისი ხმის შეჩერება სურდა ამ ხელით, — შეგიძლიათ გაბრძანდეთ.

კლუბში სიბნელე შესქელდა და შედედდა, იგი გარედან კი არ შემოჭრილა, შიგვე, დარბაზშივე გაიზარდა, კუნ-

ჭულებიდან წამოვიდა და გვერდიგვერდ მჯდომთაც გაუძნელა ერთმანეთის დანახვა.

ხელის ფარნები ახლა არ ლიცლიცებდნენ კედლებზე.

თავმჯდომარემ ასანთს გაჰკრა და ისევ აანთო უშუშო ლამპა, რომელიც ვიღაცას ჩაექრო.

ამან ბევრი ვერაფერი დააკლო სიბნელეს.

ფედიას ხმა სიბნელეში უფრო ომახიანად გაისმოდა. იგი ახლა მთელ დარბაზს ელაპარაკებოდა:

— ჩვენი ერთადერთი, უტყუარი და ჭეშმარიტი გზაა — გზა რუსეთის რევოლუციისა. ჩვენ უნდა მივყვეთ მას. მალაქია გუგუშვილმა აქ დასვა რამდენიმე კითხვა, მაგრამ სათანადო პასუხი ვერცერთს ვერ მოუნახა. რას ნიშნავს „ვეძიოთ ხსნა რუსეთის რევოლუციაში?“ ეს ნიშნავს — ვიაროთ სწორი მიმართულებით, ლენინური გზით!.. „რა არის პროლეტარიატის დიქტატურა?“ ეს არის მონობის უღლის მსხვრევა, მჩაგვრელთა სრული მოსპობა. არ უნდა იყვნენ მჩაგვრელნი და ჩაგრულნი. თვით პროლეტარიატმა უნდა განაგოს საკუთარი ბედი...

— ეს როგორ? — მოესმა ფედიას დარბაზიდან და წარმოთქმულ აზრს უფრო გასაგები აზრი მოაბა:

— შენს ჯამში სხვას არ უნდა ჩააყოფინო ხელი!..

— ვინ გაგიგონებს, ამხანაგო!.. — ეს უკვე რომელიღაც თანამებრძოლის ნაცნობი და ახლობელი ხმა იყო ფედიასთვის. მიხვდა, შემკითხველს სხვებისთვის გაგებინება უფრო აინტერესებდა, თორემ თვითონ ისედაც კარგად იცოდა პასუხი, ამიტომ ფედიამაც სხვების გასაგებად განმარტა:

— ვინ გაგვიგონებს? აი, სწორედ ამისთვის დაიღვარა მშრომელთა სისხლი რუსეთში და გაიმარჯვა რევოლუციამ... კარგადაც გააგონეს... რევოლუცია უსისხლოდ არ მოხდება...

— დასაღვრელი სისხლი სადა აქვს, ჩემო ფედია, იონას! — წამოიხითხითა დარბაზში ვიღაცამ და ხელი გაიშვირა სცენასთან, იმ პატარა შუქში თითქოს განგებ კედელზე აყუდებულ კაცისკენ.

იონა მართლაც ძვალი და ტყავი იყო. მისი მნახველი უდაოდ იტყოდა: ამ სხეულში სისხლის წვეთიც არ უნდა იყოსო. ბაღლინჯო რომ მიესვათ მისთვის, ალბათ არ უკბენდა.

ხალხმა იონას შეხედა და კვლავ ატყდა ხორხოცი.

ფედიამაც გაიცინა და უცებვე დაიბრუნა პირვანდელი გამომეტყველება, ამით მიახვედრა დანარჩენები: გავიცინეთ და გვეყოფა, ახლა საქმეს მივყვეთო...

დარბაზიდან ოთხი თუ ხუთი მამაკაცი წამოდგა.

კრების თავმჯდომარე სავლე ბოკუჩავა უგემურად წრიალებდა თავის სკამზე, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ეძებდა. ვის? მილიციას!

დარბაზში ოთხი თუ ხუთი მამაკაცი წამოდგა. ორი სცენაზე ავიდა დაუკითხავად და პრეზიდუმში, მერხის თავისუფალ ყურეზე დაიკავა ადგილი. დანარჩენები სცენასთან ახლოს დადგნენ გულზე ხელგადაჯვარედინებულნი.

ფედიამ კმაყოფილებით გადახედა თანამებრძოლებს: მამანტის, სევეს, ტოჩის, მიხას... გული გაუმაგრდა.

— მენშევიკებს სურთ გაყიდონ საქართველო. მაგრამ ჩვენ უნდა აღვუდგეთ მათ წინ. ამისათვის საჭიროა მივბაძოთ თბილისის, ბაქოს, ქუთაისის, ხაშურის, ბათუმის, ხონის, თუნდაც აგერ, ა. სენაკის მშრომელებს. შევუერთოთ მათ ხმას ჩვენი ხმაც. მდინარე ნაკადულებისაგან შესდგება და მერე კი ძლიერია, ქვა-ღორღი გზას ვერ გადაუკეტავს, გაარღვევს ყოველგვარ ჯებირს და ზღვას შეუერთდება. მდინარე — მთლად საქართველოს პროლეტარიატია, ნაკადი ჩვენა ვართ — აბაშის მკვიდრები, ქვა-ღორღი — აი ესენი არიან, მენშევიკები (ხელი გაიშვირა კრების თავმჯდომარისა და მალაქია გუგუშვილისაკენ, მალაქია ჩატეხილი სკამის ძგიდეზე იყო ჩამომჯდარი და იატაკზე

გაფარჩხული ფეხებითღა იმაგრებდა თავს წაქცევისაგან).

— გავიგეთ, გავიგეთ, ფედია! განაგრძე!..

— რუსეთის რევოლუციამ თვალი აუხილა პროლეტარიატს! — ეს რომ თქვა ფედიამ, ხალხიდან ახლა სხვა ხმა მოისმა:

— რად მინდა თვალის ახელა, თუ სიბნელეში მამყოფებ!..

ვერავინ გაიგებდა: ამის წამომძახებელი უშუშო ლამპისაგან დაუძლეველ სიბნელეს გულისხმობდა, თუ სხვა რამეს, უფრო ღრმას და ქარაგმის მიღმა მიმალულს!

ფედიამ ამ სიტყვების მთქმელში დაინახა ადამიანი, რომელიც ჯერ არც მენშევიკების მხარეს იყო დამდგარი ორივე ფეხით, და არც ბოლშევიკებისა; მერყეობდა, ვერ გაერკვია ეპოქის მაჯისცემა. ახლა მასთან შეკამათება შორს წაიყვანდა საქმეს. ამიტომ ფედიამ მზერა „ახალგაზრდა მარქსისტებისაკენ“, გიმნაზიელებისაკენ გადაიტანა და „ხელთათმანი“ მათ გადაუგდო:

— რა სურთ ამ კუდაბზიკა ახალგაზრდა მარქსისტებს? ესაოდა, საქართველოზე გული ჩვენდა შეგვტკივაო! ხსნას ვიღაც გადამთიელებში ეძებენ... არა, ამხანაგებო, ასე არაფერი გამოგივათ...

— შენ შენს თავზე ილაპარაკე, — მიაძახა ფედიას კოხტად გამოწკეპილმა, სუფთად პირგაპარსულმა, პენსნეიანმა, მსუქანმა ახალგაზრდამ.

ფედიამ შეუბღვირა.

პენსნეიანს თავისმა მეგობარმა სახელოზე ჩამოქაჩა: წავიდეთ აქედან, ამათგან ჭკვიანურს ვერაფერს გავიგებთო.

ორივენი კარისაკენ წავიდნენ.

ფედიამ მათ მწარედ დაადევნა:

— კიდევ კარგი, დროზე მოიაზრეთ წასვლა!..

მეწისქვილე მარკოზამ, რომელიც თავისი ქაღარით ფქვილში ამოგანგლულს უფრო ჰგავდა და აქამდე ჩუმად იჯდა, ახლა ამოიდგა ენა და კარისკენ მიმავალთ მანაც წაუბიძგა სიტყვიერად:

— წადით, ბიძიებო, გვაცალეთ... გაგვაგებინეთ, ვინაა სწორი და ვინ მტყუანი.

ერთი ბერიკაცი ცალი ხელით თავის არგანს დაეყრდნო, მეორე მოხრილ წელზე მოიკიდა და კარებისკენ წალასლასდა: თქვენ რომ აკეთებთ, იმაზე მეტს მე სიზმარს ვნახულობო...

დარბაზი თანდათან შეთხელდა.

თვალები სიბნელეს შეეჩვია და ახლა, ამ პატარა შუქზედაც, ყველასთვის ყველაფერი ნათლად მოჩანდა.

თავდაპირვანდელი პრეზიდიუმიც აიშალა. სცენაზე მხოლოდ ფედია და მამანტი ხაბეიშვილი დარჩნენ.

ფედიამ, რაკი მოწინააღმდეგეთა წასვლა შენიშნა, არ დააყოვნა:

— ამხანაგებო, სთხოვეთ ყველას, თქვენს გვერდით მჯდომს, ვისაც ჩვენი საუბარი არ მოსწონს, დასტოვოს კლუბი!..

გლეხებმა და გლეხისშვილებმა ხელოვნურად დატკბილული სიტყვებით მენშევიკებს გასასვლელი კარებისაკენ „ხალიჩა გაუფინეს“.

ის მეეტლე გერასიმე მთელი თავისი ახმახი ტანით ისევ წამოიმართა და გვერდით მოყუჩებული ვიღაც ახალგაზრდა კისრის მხრიდან საყელოში ჩავლებული ხელით მაღლა ააკონწიალა:

— ადექი და გადი ახლავე აქედან, სანამ ცხვირი ადგილზე გაქვს!..

ახალგაზრდას ადგომა არ სჭირდებოდა, რადგანაც მას იატაკზე ფეხი უკვე არ ედგა.

უმრავლესობა გავიდა, დარჩნენ გლეხები, რკინიგზის მუშები, ხელოსნები, მოსწავლეები...

უშუშო ლამპა ჩასაძირად განწირულ გემივით ხრჩოლავდა, მაგრამ მას ფანჯრიდან ეშველებოდა ნოემბრის ცაში გაყინული მთვარე.

და კლუბში, ასე თუ ისე, შეიძლებოდა ძმას ძმა ეცნო.

დარბაზში ბევრი ადგილი დაცარიელდა, მაგრამ ხის ტოტებზე შემომსხდარი ბავშვები შიგ შემოსვლას მაინც არ აპირებდნენ. იატაკზე მსხდომნიც ისევ

იატაკზე დარჩნენ, დაენანათ გამთბარი ადგილის დატოვება.

ახლა უფრო ლაღად გაშალა ფრთები ფედიამ: წინა რიგებში გადმოსხდომა შესთავაზა მიმოფანტულად დარჩენილთ; ბევრი არ ულაპარაკია, თავის სადღეისო მთავარ მიზნამდე მოკლე გზით მივიდა.

— ასეა საჭირო, ამხანაგებო! აბა ჭიას ბარით ვერ მოკლავ...

აქ ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე თითქოს ყველაფერი სულ თავიდან დაიწყო:

— აქ ბევრნი ხართ ახალგაზრდები და მე მინდა სწორედ თქვენ მოგმართოთ. თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, ხონში შექმნილია ახალგაზრდათა რევოლუციური კომკავშირული ორგანიზაცია „სპარტაკი". ჩვენც უნდა მივბაძოთ მათ. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ბოლშევიკებს, უფროს ამხანაგებს მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, — ფედიამ რაღაც გაზეთი ამოიღო გულისჯიბიდან, გაშალა, მაგრამ ზედ თითქმის არც დაუხედავს, ისე განაგრძო. როგორც შემდეგ გაიგეს ახალგაზრდებმა, ეს იყო გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის" გასული წლის, ესე იგი 1917 წლის 17 სექტემბრის ნომერი: — მე თქვენ გაგაცნობთ მანიფესტს კავკასიის მთელი მშრომელი ახალგაზრდობისადმი, — ახლა უკვე ჩახედა გაზეთს, თვალს აყოლებდა რუსულ სტრიქონებს და სახელდახელოდ თარგმნიდა ქართულად. — ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი" მოგმართავთ თქვენ, ყველას, იმათ, ვისთვისაც ძვირფასია პროლეტარიატის ინტერესები და მომავალი, ვინც, დაინტერესებულია ადამიანის განთავისუფლებით მონობისა და ჩაგვრისაგან, ვისაც თავგზა არ დაბნევია შოვინიზმის სულშემხუთავი გაზისაგან, — დავირაზმოთ, შევქმნათ საკუთარი ადგილობრივი და საერთო ორგანიზაციები, შევუერთდეთ III ინტერნაციონალის დიად ოჯახს და ყოველთვის და ყველგან დავუჭიროთ მხარი ინტერნაციონალური პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას... „სპარტაკის" ორგანიზაცია, რომელიც აღსავსეა იმედით და მისწრაფებებით, იწყებს თავის მოღვაწეობას და მოუწოდებს კავკასიის ყველა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტს, რა თქმა უნდა, აბაშის ახალგაზრდობასაც, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი და დაეხმაროს ინტერნაციონალისტურ ორგანიზაციებს კავკასიაში...

— ფედია, მართლა წერია მაგ გაზეთში აბაშა?

ფედია ცოტა ხანს გაჩუმდა, დარბაზში გამეფებულ სიჩუმეს სიჩუმე შეჰმატა და მერე უფრო დინჯად, შთამაგონებლად ალაპარაკდა:

— აბაშა არ წერია. მე ჩავამატე. მაგრამ ეს მოწოდება აბაშის ახალგაზრდებსაც ეხება, — მერე პირდაპირ საქმეზე გადავიდა: — ვის სურს შეიქმნას აბაშაში „სპარტაკის" უჯრედი და ვინ არის მსურველი გახდეს ამ უჯრედის წევრი?

ვერიკოს თვალები გაფართოებოდა და, ნერწყვის გადაყლაპვა რომ მოუნდა, მიხვდა, პირიც ოდნავ გაღებული ჰქონიყო...

დარბაზიდან წამოდგა მაღალი ტანის, გამხდარი ყმაწვილი და სცენაზე ავიდა.

უმეტესობამ იცნო თანასოფლელი — კარგი მოჩხუბარი და მობურთავე დავით კაჭარავა.

— მე შემოვალ!..

ვერიკო და ბიქტორი ახლა მეორე რიგის მერხზე დამსხდარიყვნენ. ბიქტორს, მაინცდამაინც, უხეშად გადაღუნულ ლურსმნიან ადგილზე მოუხდა დაჯდომა და წრიალებდა, აწუხებდა ლურსმანი. გვერდით ვერიკო ეჯდა, მეორე მხრიდან სხვები აწვებოდნენ, გასაწევ-გამოსაწევი არსაით იყო, ერთი სული ჰქონდა, ამდგარიყო... და ადგა კიდევაც, დავითს რომ მოჰკრა თვალი, თავის ალალ ბიძაშვილს. შენ აქ დამიცადეო, დაუბარა ვერიკოს და ისიც სცენაზე ავიდა.

— მეც მიმიღეთ!..

...კლუბიდან გამოძევებული „ახალგაზრდა მარქსისტებიდან“ ერთ-ორს გზა მილიციის გავლით ედო. მილიციის უფროსიც შემთხვევით იქვე იდგა და მოახსენეს: ადილარ ბიძია, კლუბში კრებაა, მთავრობის საწინააღმდეგოს ლაპარაკობენო...

ადილარს ეს ცნობა ადრევე ჰქონდა მიღებული და ყურიც არ შეუბერტყავს. ახლა მაინც გაიხედა კლუბისკენ და მზერას დამცინავი ღიმილიც თან გააყოლა: „მე, ჩემო ბიძიებო, მაგათნაირ ღლაპებს არ ვებრძვი. ღორჯოებთან მაქვს საქმეო!..“

...კლუბის სცენაზე ჯერ მხოლოდ სპარტაკელობის ორი მსურველი იდგა — დავით და ბიქტორ კაჭარავები.

ფედია უკმაყოფილოდ გაჰყურებდა დარბაზს; ეს ორი რას ეყოფაო!.. — ფიქრობდა. მაგრამ სცენაზე მალე ამოვიდა მესამეც, მერე — მეოთხე, მეხუთე...

ესენი ყველანი ვაჟები იყვნენ.

და უცებ ფედიამ თვალები მოიფშვნიტა ორ-ორი თითით: დარბაზიდან სცენისკენ წამოვიდა შვლის ნუკრივით გოგონა, დამფრთხალი თვალებით.

მაღალი კისერი, შუბლზე ჩამოშლილი კულულები, გაბუტული ტუჩები, დარხეული ტანი, გრძელი, ჩამოსხმული ფეხებით — ყველაფერი ეს ერთბაშად დაინახა ფედიამ უშუშო ლამპის და მთვარის შუქში. ეს მკრთალი სინათლე უფრო ზღაპრულ, სიზმარეულ იერს აძლევდა გოგონას.

სცენაზე ამობაკუნდა და ხუთ ყმაწვილს მეექვსედ ამოუდგა.

— ვინა ხარ, გოგონა? რა გქვია? — ჰკითხა ფედიამ.

გოგონამ თავი ოდნავ დახარა და უპასუხა:

— ლევან და მოსე კიზირიების და ვარ...

ფედიასთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

ლევანმა, მოსემ და ფედიამ ერთად დაიწყეს ბოლშევიკური ცხოვრება და საქმიანობა სამი თუ ოთხი წლის წინათ...

ფედიამ ვერიკოს ძმების დაპატიმრების ამბავიც იცოდა და იცოდა ისიც, რომ მოსე და ლევანი სწორედ წუხელ გადააგზავნეს ქუთაისის ციხეში, რომ ძმებს ბრალად ედებოდათ მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა და დახვრეტა არ ასცდებოდათ...

მათ გადარჩენაზე უკვე ფიქრობდა ბოლშევიკური ორგანიზაცია, მაგრამ გახდებოდნენ რამეს?!

ფედია გოგონას მიუახლოვდა, თავზე ხელი ისე გადაუსვა, თითქმის არც შეხებია მის თმას, და რაღაცნაირად გულშიჩამწვდომად, დაბნეულად, თითქოს მარტო თავისთვის ჩაიჩურჩულა:

— რა კარგი დაიკო ჰყოლიათ ჩემს ლევანს და მოსეს!.. რა კარგი ვაჟკაცები იყვნენ!..

სცენაზე უკვე ექვსი მომავალი სპარტაკელი იდგა.

ესეც ეცოტავებოდა ფედიას.

ახლა მამანტი ხაბეიშვილი წამოდგა სცენაზე და დარბაზს მიმართა:

— ახალგაზრდებო, კიდევ ვის სურს გახდეს სპარტაკელი?

ხის ტოტიდან პირდაპირ ფანჯარაში გადმოძვრა ბუთხუზა ბიჭი და სცენისკენ წავიდა.

ფედიამ თავისი უმცროსი ძმა იცნო და, ცოტა დააკლდა, არ შეუწყრა, რომ უკანვე გაებრუნებინა. მაგრამ უცებ გაახსენდა ქუჩუს სიყოჩაღე და პირშენახულობა: ერთხელ რევოლვერის ტყვიები ჩაუწყო სასკოლო ჩანთაში და დაავალა, იცოდე, გზაში არ გახსნა და ისე მიუტანე ამა და ამ კაცსო. ქუჩუმ სტვენა-სტვენით და ატმის კურკის წაბურთავებით ჩაუარა თეთრგვარდიელებს, მილიციელებს და მშვენივრად შეასრულა დავალება. თუმცა არც მიმხვდარა, ამით მშრომელთა რევოლუციურ საქმეში თავისი პაწაწინა წვლილი რომ შეიტანა.

ეს გაახსენდა ახლა ფედიას და ძმისთვის არაფერი უთქვამს, ექვს გვარს მეშვიდეც მიამატა.

სცენაზე მეტი არავინ ამოდიოდა.

დარბაზში ყმაწვილი ბიჭები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, კარგად ვერ გაეგოთ — რას მოასწავებდა ყოველივე ეს? რატომ უნდა ასულიყვნენ სცენაზე? რა უნდა გაეკეთებინათ?..

ვერ გაეგოთ და ამიტომაც ისხდნენ ადგილზევე გაბუსულნი.

— ფედია, საბავშვო სახლის გახსნას ხომ არ აპირებ, ა? — მოისმა დარბაზიდან.

ფედიამ ხმაზე იცნო ავქსენტი გოზოლეიშვილი, შუახანს მიღწეული, ოხუნჯობაში შებერებული კაცი, და გაწყრა:

— აქსე, მასხრობის ხასიათზე თუ ხარ, მარკოზას წისქვილში წადი. აქ ხელს ნუ გვიშლი...

— კაცო, ჩემი წისქვილი რა სამასხრო ადგილი ნახე! აუუ!.. — იწყინა მეწისქვილემ...

რაკი სპარტაკელობას სხვა არავინ აპირებდა, მამანტიმ ფედიას რაღაც ანიშნა და მერე კრება დახურულად გამოაცხადა.

— თქვენ დარჩით ცოტა ხნით, — მიმართა ფედიამ შვიდეულს.

ხალხი დარბაზიდან გაიკრიფა, მხოლოდ ერთი ყმაწვილიღა დარჩა ადგილზე.

— შენ რაღას უცდი? — ჰკითხა ფედიამ.

— რასა და... შვიდნი რომ დარჩნენ, მეც დავრჩები, რადა... მეც მიმიღეთ...

„ბარემ ერთიც რომ მოგვმატებოდა, კენტი იქნებოდნენ", გაიფიქრა ფედიამ და სურვილი ისე სწრაფად აუხდა, ვერც მოიაზრებდა კაცი: კარში თავქუდმოგლეჯილი შემოვარდა ერთი ბიჭი და სცენაზე მყოფთ გასძახა:

— მილიცია!..

სულ ერთ წუთში მილიციის უფროსი ადილარ გვაზავა გამოიჭიმა კარში, შემოიხედა, თვალები შემოაბრიალა, დაიმუქრა და ... — უცეცხლოდ დაიძახა და უკანვე გაბრუნდა; გულში კი გაივლო ვაი ამათ პატრონს (გულისხმობდა ფედიას და მამანტის), მართლა ღლაპებთან თამაში არ დაუწყიათო?!

(დაიცა ცოტა, ადილარ გვაზავა! ეს „ღლაპები" გაგიწამებენ სიცოცხლეს!)

ვერიკომ იცნო თავისი ძმების დამჭერი...

ფედიამ აბაშის პირველ სპარტაკელთა სიას მეცხრე გვარიც მიამატა, იმ, ამბის მომტანი ბიჭის გვარი.

კლუბიდან დაფანტულად გამოვიდნენ.

ლამპის ჩასაქრობად და კარების დასაკეტად დარჩა ის ქალი, წეღან, ლამპის შუშის გატეხვისას რომ შეჰკივლა დარბაზში. თავისივე წინდახედულება მოსწონდა ამ ქალს ჩუმად, — კონცერტების ან წარმოდგენის დროს ასანთებში დიდი ჭაღი რომ არ აუნთო ამათ, ამ, თავისი აზრით, უსაქმურ მოლაყბეებს, თორემ ჭაღსაც გატეხავდნენ...

ვერიკომ ფედიას მობოდიშებით სთხოვა: თუ შეიძლება, თქვენთან საიდუმლო სათქმელი მაქვს და მომისმინეთო.

განცალკევდნენ.

ძმების დანატოვარი პროკლამაციების კონა გადასცა და ისიც აცნობა, ეზოში თოფები რომ იყო დამალული...

— კარგი, ჩემო ვერიკო, — შინაურულად, ტკბილად უთხრა ფედიამ.

როგორღაც, სრულიად მოულოდნელად, უცებ, თავისთავად გაუშინაურდნენ ერთმანეთს ფედია და ვერიკო.

და ეს არც გაჰკვირვებია არცერთ მათგანს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

ფედია და ვერიკო!

ვერიკო — თოთხმეტი წლისა, ფედია — ოცდაორის.

(რა ბედნიერება იქნებოდა, იმთავითვე ია-ვარდი რომ ყოფილიყო დაფენილი მათი ცხოვრების გზაზე!..).

უკვე გვიანი იყო.

ვერიკო ბიცოლასას დარჩა და მთელი ღამე მოსვენებას არ აძლევდა ფედიას ნათქვამი: რა კარგი ვაჟკაცები იყვნენო ლევანი და მოსე...

„იყვნენო!..“

ვითომ რას ნიშნავს ეს?

იყვნენ და აღარ არიან?..

დილით ვერიკოს ეგონა, ყველაზე ადრე ავდექიო, მაგრამ ბიქტორს დაესწრო და ხეზე ამ გვიანობამდე შერჩენილი, ღამეჭკნარი ვაშლები დაეკრიფა.

ვაშლი უზმოზე ჭამეს.

ვერიკომ ერთი ცალი ძლივს გაათავა, გემო არც კი გაუგია...

ჭაღარა დიასახლისი ბავშვებისთვის რძეს ადუღებდა...

დღეს, ათი საათისთვის თვითონ ფედია ფრანგიშვილის სახლში ჰქონდათ დათქმული შეხვედრა.

ფედია რკინიგზის გადაღმა სახლობდა, ხეთა ტოტებით გადახურულ შუკის სიღრმეში.

შუკა შუკა იყო და, რა თქმა უნდა, გამჭოლად არ გადიოდა, გზად გამვლელი ხალხი იქით არ შეუხვევდა, მთავრობისა და წესრიგის მცველები კი მხოლოდ რაიმე სათავიანთო საქმეზე თუ შემოუხვევდნენ და არ მოერიდებოდნენ აქაურ ტალახს...

უნდა მისულიყვნენ თითო-ოროლად, ვინმეს საეჭვოდ რომ არ სცემოდა თვალში „სტუმართა სიმრავლე“.

ვერიკო და ბიქტორი ნაყანევიდან მიადგნენ ფრანგიშვილების ოდასახლს.

ფედიამ აივნიდანვე შენიშნა ისინი.

ვერიკოს დილით პირი რომ დაებანა, ალბათ კარგად არ შეემშრალებინა, და სველი კულული შუბლზე მძიმედ ჩამოსწოლოდა.

ფედიამ თვალი ვერ გაუსწორა გოგონას, თითქოს შერცხვა, მოერიდა, მოჯადოვდა და თვითონვე უკვირდა — რატომ ხდებოდა ეს ასე?!.

და გაახსენდა ადამისჟამინდელი მითი, სადღაც წაკითხული თუ ზამთრის გრძელ ღამეს მოხუცთაგან მონასმენი: როგორ მოინუსხა და მიწას განერთხო ადამიანთა დასაგლეჯად მოვარდნილი, ისრის ჭრილობით გაავებული ვეფხვი — ზღვათა მეფის მშვენიერი ასულის დანახვაზე...

დანიშნულ დროზე ყველანი მოგროვდნენ.

ფედიამ ახალგაზრდები ერთ პატარა, ბუხრიან ოთახში მიიწვია.

უფროსნი, ხელმძღვანელი, პარტიული ამხანაგები — პარტიის აბაშის კომიტეტის წევრები, ფედიას ჩათვლით, ხუთნიღა იყვნენ, მაგრამ კრება მაინც უფლებამოსილად იქნა მიჩნეული.

ეს ფედიამ დაასაბუთა. ის ლაპარაკობდა ხმადაბლა და ჩქარა:

— კომიტეტის წევრებიდან იაგორა ავადაა, სამსონი, ლუკა და იროდი თბილისში გაემგზავრნენ პარტიული დავალებით, ლევანი და მოსე კიზირიები დაპატიმრებულნი არიან...

ეს რომ თქვა ფედიამ, ვერიკოს შეხედა და ტუჩზე იკბინა, — ლევანი და მოსე როგორღაც სხვანაირად უნდა მეხსენებინაო.

ვერიკოს სახის არცერთი ნაკვთი არ შერხევია, გაშრა, გაშეშდა და, ფედიას თვალებს მიჩერებული, გაუნძრევლად დარჩა...

კრების თავმჯდომარედ აირჩიეს წლოვანებით უფროსი, თმაშესირმული, მამანტი ხაბეიშვილი, მდივნად — ვერიკო.

ოქმისთვის ქაღალდი და ფანქარი ვერიკოს თავისი ჩანთიდან მისცა ქუჩუ ფრანგიშვილმა — ფედიას ძმამ. ჩანთას რომ ჩხრეკდა, შემთხვევით „რაგატკა“ ამოჰყვა ხელში, შერცხვა და უმალვე შიგ ჩააბრუნა...

ვერიკო, ცოტა არ იყოს, უხერხულად შეიშმუშნა, — ხელი ლამაზი ჰქონდა, მაგრამ ოქმი არასდროს დაეწერა.

იმ ხუთ ბოლშევიკიდან, რიგრიგობით, ერთ-ერთი სულ ფანჯარასთან იდგა და გარეთ იცქირებოდა.

ახალგაზრდები ამის აზრს მაშინ ვერ მიხვდნენ და ფიქრობდნენ: ალბათ კიდევ ვინმეს ელოდებიანო...

ფედიამ მომავალ სპარტაკელებს გააგებინა, რომ — ახალგაზრდობის პირველი დამოუკიდებელი რევოლუციური ორგანიზაცია დაარსდა გასული წლის 3 სექტემბერს — პარტიის თბილისის კომი-

ტეტის გადაწყვეტილებით, თბილისის რევოლუციური ახალგაზრდობის დამფუძნებელი კრების მოსაწვევად შექმნილი საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობით. ხოლო დამფუძნებელი კრების დადგენილებით ამ ორგანიზაციას ეწოდა — „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი".

— ამავე დამფუძნებელმა კრებამ განიხილა და მიიღო „სპარტაკის" წესდება, დასახა მისი პოლიტიკური ხაზი და გამოსცა ვრცელი მანიფესტი კავკასიის მთელი მშრომელი ახალგაზრდობისადმი. მანიფესტი კავკასიის მშრომელ ახალგაზრდებს მოუწოდებს ყველგან შექმნან ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას...

ფედია ახალგაზრდებს ესაუბრა ამ ორგანიზაციათა თანდათანობით გაერთიანების აუცილებლობაზე...

ცხრანი — ახალგაზრდები — თავმოპწონედ ისხდნენ და თვალებში შესცქეროდნენ უფროს ამხანაგებს. უფროსმა ამხანაგებმა სავსებით შესაძლებლად მიიჩნიეს მათგან, ამ ახალგაზრდებისგან, „სპარტაკის" აბაშის უჯრედის შექმნა.

კომკავშირის წევრად მიღებისას ცხრა ახალგაზრდას სათითაოდ უყარეს კენჭი.

რვამ ხუთ-ხუთი ხმა მიიღო.

ქუჩუ ფრანგიშვილს ორი აღუდგა წინ, ჯერ ძალზე ნორჩიაო. ორმა დასტური განაცხადა მის მიღებაზე. მეხუთე იყო თვით ქუჩუს ძმა ფედია და მისი აზრი გადასწონიდა ამ თანაბარ შეპირისპირებას. იტყოდა ფედია — მივიღოთო, მიიღებდნენ, იტყოდა — არ მივიღოთო, დარჩებოდა ქუჩუ მეგობრებს გამოთიშული.

ვიდრე ფედია ხმას ამოიღებდა, მან ერთი სიკვდილი უკვე გაათავა, ჯიბეში ხელთ ფანქარი მოხვდა და შიგვე ჩაიმტვრია თითებით.

მერე, როგორც იყო, ამოშაქრა ფედიამ ძმის გულის გასახარელი:

— პატარა კია, მაგრამ გული აქვს დიდი. გამოცდილი მყავს, მიბარებული სიტყვის შენახვა იცის... მივიღოთ...

ფედია იღიმებოდა.

— ჩაწერე, ვერიკო, — მიმართა მდივანს ანდრომ.

ვერიკომ უნებლიედ გაიხედა იმ მხარეს, საიდანაც ეს ხმა მოუვიდა. მისი გულუბრყვილო მზერა ანდროს მოხვდა და ანდროს ცეცხლმა დაუარა სხეულში. ვერიკოს კი ეს სრულებითაც არ შეუტყვია, არ უგრძვნია...

ასე ჩამოყალიბდა აბაშაში ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციის — „სპარტაკის" პატარა უჯრედი ათას ცხრაას თვრამეტი წლის 12 ნოემბერს (ახალი სტილით. მაშინ სულ ორიოდე თვის გამოსული იყო დეკრეტი რუსეთში წელთაღრიცხვის სიახლის შესახებ).

სია:

1. დავით კაჭარავა — 18 წლისა,
2. ბიქტორ კაჭარავა — 18 წლისა,
3. ღუღუნი ტორჩინავა — 17 წლისა,
4. ბართლომე ტყებუჩავა — 16 წლისა,
5. ეფრემ მესხია — 16 წლისა,
6. ტაგუ ჯანელიძე — 15 წლისა,
7. ვერა კიზირია — 14 წლისა,
8. დუტუ ქორქია — 13 წლისა.
9. ქუჩუ ფრანგიშვილი — 11 წლისა.

— რა უნდა გავაკეთო ახლა? — ჩუმად ჰკითხა დუტუ ქორქიამ ტაგუ ჯანელიძეს.

— ალბათ გვეტყვიან, — ჩუმადვე უპასუხა ტაგუმ.

ბუხარში ცეცხლი არ ქრებოდა, რადგანაც შეშას ხშირშირად, დაუზოგავად ამატებდა თვით მასპინძელი — ფედია.

ფედიას დედამ თხილით, ჩურჩხელებით, მსხლითა და ვაშლით სავსე ხონჩა შემოიტანა და ერთ კუთხეში, ერთად მიყუჟულ ბავშვებს დაუდგა ტაბლაზე.

გული ეწვოდა ჭაღარა ქალს, ამ ბავშვების შემყურეს და ეს სიტყვიერადაც

გაუმხილა თავის უფროს ვაჟიშვილს:

— ფედია, დედა, ამ ბავშვებმა რა უნდა გააკეთონ! მოეშვი! ჯერ ისწავლონ, მომაგრდნენ! რაც შენ ციხეში მჯდარხარ, ესენი როგორ აიტანენ იმდენს! მამაშენი რომ იყოს ახლა აქ და ქუჩუს ხედავდეს, ხომ გადაირევა საცოდავი! შენ და მარიამიც ეყოფით სავალალოდ...

(ფრანგიშვილების ოჯახიდან, ფედიას გარდა, ერთადერთი ქალიშვილი მარიამიც რევოლუციონერი იყო. მარიამზე და მის მეუღლეზე — გრიგოლ გეგელიაზე სხვა წიგნი დაიწერება.)

ფედიას დედა ვერიკოსთან მივიდა, მიეალერსა, გულში ჩაიკრა გოგონას თავი.

— შენ ვისი ხარ, შვილო?..

ფედიამ დედას შეხედა და მის თვალებში ცრემლი შენიშნა. ჯერ არასდროს ენახა დედის ცრემლი... ვერიკოს მაგივრად გასცა პასუხი:

— ლევანის და მოსეს დაა, დედა, — ეს ბოლო სიტყვა, „დედა“, იმდენად თბილად წარმოთქმული გამოუვიდა, თვითონვე ეუცხოვა საკუთარი ხმა.

დედას ლევანის და მოსეს ხსენებაზე გულში თითქოს კიდევ ჩაწყდა რომელიღაც ძარღვი:

— ჩემი ლევანი და მოსე!..

აქამდე კარგად არ სცოდნია, — როგორ ჰყვარებია ფედიას მეგობრები, შვილებში გამოსარჩევად არ ნდომებია. ეს ახლა იგრძნო მთელი სიმწვავით ქალმა.

მისმა სიტყვებმა — „ჩემი ლევანი და მოსეო“ — სულ მთლად აწეწა ვერიკოს ისედაც აფორიაქებული სული და ქარში საწრიალოდ მიუშვა...

დედას მეტი არაფერი უთქვამს, ბავშვებს ხილი ახლოს მიუწია, — მიირთვითო — და რაღაც დარდჩახლართული ბუტბუტით წავიდა კარისაკენ.

ფედიას დედამისი ახლა უფრო მოტეხილი და დაბერებული ეჩვენა...

კრება თავის საქმეს მიჰყვა.

ისევ ფედია ლაპარაკობდა ნაღვლიანი, მაგრამ მაინც რკინაგარეული ხმით:

— უჯრედს სჭირდება ხელმძღვანელი. თქვენში ყველაზე უფროსი დავითია. ავირჩიოთ ხელმძღვანელად. რას იტყვით?

მოიწონეს.

ახლა კომკავშირლებმაც მიიღეს მონაწილეობა კენჭისყრაში.

დავითმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ენა აუბორძიკდა და ისევ გაჩუმება არჩია.

ენა რომ დამორჩილებოდა, ალბათ იტყოდა: მე ხელმძღვანელობისა რა გამეგება, ჯერ არც ის ვიცი, რა უნდა ვაკეთოთო...

ფედია დავითს არ დალოდებია:

— კომკავშირულ ბილეთებს, ბეჭედს და წესდებას ჩამოვიტანთ ქუთაისიდან. ამ საქმეზე ქუთაისში გაემგზავრებიან დავით და... — ფედიამ თვალი გადაავლო ახალგაზრდებს და მზერა შეაჩერა ტაგუ ჯანელიძეზე, რადგან ტაგუ ტანადაც სხვებზე მაღალი ჩანდა და შედარებით ცოტა გვარიანადაც ეცვა.

ტაგუს ტუჩები აუკანკალდა და გაურკვევლად რაღაც ამოილუღლუღა.

მეგობარს ღუღუნი ტორჩინავა შეეხიდა და კრებას მოახსენა, რომ ტაგუს დედა ავად ყოფილა და ტაგუს მეტი მიმხედავი არავინ ჰყოლია...

მაშინ, დავითთან ერთად ქუთაისში გამგზავრება დაევალა თვითონ ტაგუს ქომაგს — ღუღუნის.

აბაშა სენაკის მაზრაში შედიოდა, მაგრამ იმხანად სენაკში ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული „სპარტაკის“ უჯრედი. ამიტომ მიმართეს თვალი და გული აბაშელმა ბოლშევიკებმა ქუთაისისაკენ

ფედიამ დავითს და ღუღუნის ორი თუ სამი მისამართი დაუსახელა ქუთაისში და დააზეპირებინა, — სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ჩაწერილის ტარება სახიფათოაო.

ქუთაისში მეორე დღესვე უნდა გამგზავრებულიყვნენ ფოსტის დილიჟა-

წით. ვითომ საავადმყოფოში ბიძის სანახავად მიდიოდნენ...

ესეც ესე...

ახლა, მთავარი წინ იყო.

ფედია კედლისაკენ შებრუნდა, ხალათის ღილკილოები შეიხსნა, პერანგზე შიგნიდან მიკერებული ჯიბე მოსძებნა და რაღაც საგულდაგულოდ შეხვეული ამოიღო. შემდეგ დიდხანს, ფრთხილად შალა ქაღალდი და ბოლოს მის ხელში გაზეთიდან ამონაჭერი ფურცელი გამოჩნდა. ეს იყო „პრავდიდან“ ამოჭრილი, ლენინის სურათი.

ლენინის სახელი მაშინ ალბათ ჩვილ ბავშვსაც ჰქონდა გაგონილი, თვით სურათი კი პირველად იყო გამოქვეყნებული ლენინისგანვე ძლივსძლივობით გამოძალული ნებართვით.

— ამხანაგებო, ეს არის რუსეთისა და მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სურათი...

სურათი ხელიდან ხელში გადავიდა...

ვერიკო დიდხანს აკვირდებოდა მას, მერე თვალები ფედიას შეანათა:

— მათხოვეთ... მე ჩვენთვის, სპარტაკელებისათვის, დროშას შევკერავ და ზედ ამ სურათს ამოვქარგავ..

ფედიამ გაიღიმა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა: ვერიკოს ნააზრევს ეკუთვნოდა ეს ღიმილი, თუ პირადად და საკუთრივ ვერიკოს. თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მხოლოდ ეს კი დასძინა: ლენინის სურათი რომ გინახონ, ციხე არ აგცდებაო. მერე, რაკი სიტყვამ მოიტანა, ყველას საყურადღებოდ თქვა:

— ამხანაგებო, ძმებო, აქედანვე იცოდეთ და გულზე დაიწერეთ: „სიფრთხილე!“ ყველანი ხედავთ, როგორი არეული დროა, მამა შვილს ვერ ენდობა, ძმა — ძმას. ყოველ ნაბიჯზე გვითვალთვალებენ მენშევიკთა აგენტები, მილიციელები, რაზმელები... ან შესახედავად ჩვენნაირადვე ჩაცმულ-დახურულნიც... ვიყოთ ეჭვიანები და გვეგონოს, რომ ხუთ კაცში ორი გამცემია...

ფედიას კრება ნელინელ გაჰყავდა ბოლოში:

— დაგვრჩა კიდევ ერთი საკითხი, ეს ეხება კოდორში დამალულ თოფებს და, აი, ამ პროკლამაციებს, რომელიც თავისი დავალებით წუხელ გადმომცა ამხანაგმა ვერიკომ...

ეს გადამეტებულად ოფიციალური ნათქვამი გამოუვიდა. ვერიკოს ტყვიასავით მოხვდა გულში მისადმი მომართული სიტყვა „ამხანაგი“.

სახე უნებლიედ შეეფაკლა.

სხვას რომ მოემართნა მისთვის ასე, რად ეწყინებოდა?!. ფედიასაგან ეწყინა.

ალბათ უფრო სხვანაირ, არაოფიციალურ, ალერსიან სიტყვას ითხოვდა ფედიასაგან გოგონას არსება.

ფედიას ვერიკოს განაწყენება არც შეუტყვია და არც სიტყვა გაუწყვეტია:

— იარაღები საიმედოდ ყოფილა დამალული და სადღეხვალიოდ მისი გადმოტანა საშური არ არის. პროკლამაციებს კი დღესვე გაგინაწილებთ და თქვენ უნდა გაიტანოთ ხალხში.

ფედიამ აქ მოკლედ და გასაგებად აუხსნა ახალგაზრდებს, თუ როგორ და ვისთვის უნდა მიეტანათ საიდუმლო, მებრძოლი ფურცელი; როგორ უნდა ცდილიყვნენ შემოეკრიბათ სხვა ახალგაზრდებიც, გაეზარდათ უჯრედის წევრთა რიცხვი...

ფურცელს ბოლოში მიწერილი ჰქონდა: „წაიკითხე და გადაეცი სხვას!“

დავითს და ლულუნის რაკი ხვალ ქუთაისში გამგზავრება უწევდათ, ფედიამ, პროკლამაციების ნაცვლად, ხელმომჭირნეობით სამყოფი სამგზავრო ფული გაუწოდა.

ბიჭებმა ჯერ იუხერხულეს და იუარეს, მაგრამ მაშინვე მიხვდნენ, —ფულზე აქ უარის თქმა ნიშნავდა ქუთაისში გამგზავრებაზედაც უარს. დაუთვლელად ჩაიდეს ფული ჯიბეში.

დანარჩენ შვიდ სპარტაკელს, თითოეულს ხუთ-ხუთი პროკლამაცია გადაეცათ...

სულ ბოლოს: მომავალი შეკრების დროდ დათქვეს იმ დღის სწორი — პარასკევი. პარასკევი ბაზრობის დღე იყო და ისედაც ხალხმრავლობაში თვალ-

ში საცემი არ იქნებოდა აბაშაში მათი გამოჩენა.

ყველა საკითხი ამოიწურა.

მამანტიმ ვერიკოს სთხოვა, ხმამაღლა წაეკითხა ოქმი.

ვერიკოს თითქმის სიტყვა-სიტყვით ჩაეწერა ყველაფერი.

— ყოჩაღ, ჩემო ვერიკო! — შეაქო ფედიამ და ამ ტკბილი სიტყვით, ვერიკოს გულში ერთბაშად გამოისყიდა ის — „ამხანაგით" დაშვებული „დანაშაული".

ოქმის ფურცლები გამოართვა ვერიკოს, ერთხელაც დახედა, მერე დაჭმუჭნა და აბრიალებულ ბუხარში შეაგდო.

ახალბედა რევოლუციონერთაგან ბევრმა ვერ გაიგო: ან რად დაწერეს ოქმი, ან, თუ დაწერეს, რად წვავდნენ?..

ბუხარში ცეცხლი მოღონიერდა. თითქოს ქაღალდზე დაწერილი სიტყვები ასო-ასო სკდებოდნენ და ტკაცუნებდნენ ღადარში ჩაყრილი წაბლივით.

ქუჩუ ფრანგიშვილს მოეჩვენა, რომ ყველაზე მაგრად მისი გვარი გასკდა...

**■ გაგრძელება იქნება □**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კოლაუ ნადირაძე**

# ქვიშხეთის საღამოები

*გამოთხოვება ცაცხვებთან*

უკანასკნელად თქვენს ახლო ვზივარ,
უკანასკნელად გეხვევით ხელით.
სძინავს მთელ სოფელს, ცის კიდურს
ვზვერავ,
არვინ მომელის, არავის ველი.

ვუცქერ ქართლის ცას და იკანკლეთი,*
როგორც გვირგვინი, დამნათის თავზე.
ქვეყანას ჩემსას დაჰყურებს ღმერთი,
და ვარსკვლავებით სული მაქვს სავსე!

იყოს კურთხეულ ეს ნეტარება,
და ეს საღამოც უკანასკნელი,
ეს ჩემი მყუდრო ბედნიერება,
და ღვთაებრივი ეს ქართლის ველი!

კურთხეულ იყოს ეს უძრაობაც,
და დადუმება ბუნების წამით!
შეგრძნობა ჩემი არარაობის,
მოახლოვება მარადი ღამის!

მე ისევ ისე ვზივარ თქვენს გვერდით,
და მაგ შტოების შრიალი ნელი, —

ეს არის ჩემად კუთვნილი ხვედრი,
გალობა, თქმული ბუნების ენით!

წავალ მეც სადმე ჩავიკარგები,
ვერ დავესწრები თქვენს აყვავებას,
თქვენგან ნიავით ნაზ მოფერებას,
და ვერც თქვენს ჩურჩულს, ჩემო კარგებო!

იყავით მშვიდათ! აქ მრჩება გული,
რადგან აქ, თქვენთან, ისეთ სიმწყავით
არ განმიცდია ღალატი, შური,
მოძმეთა მტრობით, მათი სიავით!

იყავით მშვიდათ, ჩემო კარგებო!
თქვენ ხომ შესტრფოდით წვიმებს და
დარებს!
ქარიც გალხენდათ მძლავრი ჰანგებით,
და მზეს და ცისკრებს უღებდით
კარებს!

წავალ, და მუდამ მემახსოვრება
აქ თქვენთან ერთად განვლილი დღენი,
თქვენი ხმაური და მღელვარება,
ფოთოლთა ლოცვა და მდუმარება,
და უნაზესი ალერსი თქვენი!

* ირმის ნახტომი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნოემბრის ღამით

როცა სიცივით მსუნთქავ ნოემბრის თავს დამესხმება
ღამე გვიანი,
ღამე ფოთოლთა ცვენის, კაეშნის, ღამე მსუსხავი და
ავდრიანი, —
მე თქვენზე ფიქრი მაღონებს, მტანჯავს თქვენზე
ცრემლებო ადამიანის...

როცა მარტო ვარ, როგორც აქამდე ეგებ არავინ ქვეყნად
ყოფილა,
არ ვიცი, რატომ ეს მწვავე გრძნობა მბურღავს და მისგან ვარ
შეპყრობილი,
ზოგჯერ სიამის გულში მომგვრელი, ზოგჯერ დამწველი და
ულმობელი!

ნოემბრის ღამევ! შენს მბორგავ თარეშს ქარიშხლებს შენსას
და შენსა წვიმებს
ვუსმენდი ხშირად შენებრ მშფოთვარე და ვუთანხმებდი ამ
გულის სიმებს —
ფიქრებს ცრემლებზე ადამიანთა, ფიქრებს ესოდენ მწვავეს
და მძიმეს!..

ცრემლებო შვების, ბედნიერების,
გამარჯვებისა და ნეტარების,
ცრემლებო ტრფობის და შთაგონების, —
ო, რა რიგ ძუნწად და იშვიათად
ამშვენებთ თვალებს ადამიანის!

ცრემლებო გლოვის და მწუხარების,
ტანჯვის,
დაკარგვის,
და განშორების,
რა რიგ ხშირი ხართ,
და რა რიგ მწველი!
მაგრამ ფიქრი მდევს მამხნევებელი:
რა იქნებოდა რომ ქვეყნად შობილს,
გაჩენის დღიდან სიკვდილსა მისჯილს,
არ შერჩენოდა —
მცირე ესოდენ —
წყალობა ცისა ხელუხლებელი?!...
ჭმუნვათა, ჭირთა მანელებელი?
როცა სიცივით ნსუნთქავ ნოემბრის თავს დამესხმება ღამე გვიანი,
ღამე ფოთოლთა ცვენის, კაეშნის, ღამე მსუსხავი და ავდრიანი, —
მე თქვენზე ფიქრი მაღონებს, მტანჯავს, თქვენზე, ცრემლებო ადამიანის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბადრი ცირამუა

## გუშინ

გიყურებდი სევდიან სიმღერებთან შთენილი,
ყელზე გება მანიაკი, ხატაური გეცვა;
გიყურებდი წარმავალი, ზენიტგარდავლენილი,
ფერიების თმებივით ნაზი იყო ზეცა.

შორს თვალსაწიერს იქით მიშხუოდა ენგური —
ჩემი დაუდგრომლობის, იმედების სახე;
დარჩენილი კარავთან, როგორც ძაღლი ერთგული,
ვიდექ მარტო... და ჩემი უმწეობა ვნახე.

კიდევ ცოტა ხანი და ოქროცურვილ ბაღებს,
მოვიტოვებ ვით ყრმობის უმიზეზო ყვირილს,
სულის ბოლო ცხრაკლიტულს ზამთრისპირი აღებს,
ალბათ ვერ მოვესწრები მარტის თოვლის ტირილს.

გიყურებდი სევდიან სიმღერებთან შთენილი,
ყელზე გება მანიაკი, ხატაური გეცვა,
გიყურებდი წარმავალი, ზენიტგარდავლენილი,
ფერიების თმებივით ნაზი იყო ზეცა.

* * *

კვლავ ზაფხულია და ხასხასებს მწვანედ ტყე-ველი
და მეჩვენება შეუვალი, შეურყეველი
სიმწვანე ველთა სიანკარე ფოთოლ-ბალახის,
სიმდიდრე ქვეყნის, სიფაქიზე თვალთა სანახის,
სინებიერე თუ სიმორცხვე სადმე ქალ-ვაჟის,
ბავშვების მუდამ უზრუნველი მინდვრად თამაში...
კვლავ ზაფხულია და ხასხასებს მწვანედ ტყე-ველი
და მეჩვენება შეუვალი, შეურყეველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რა შეუმჩნევლად გარბის წუთი, დღე და თუნდ წლები,
გვაკლდება ყველა, მაინც ნათელ ფიქრების წყებით
მივილტვით წინ და ყოველ დილას, ყოველ საღამოს
ჩვენი ცხოვრება მარადი და დაუსაბამო
გვგონია, ძმაო, და სიკვდილზე ფიქრიც აღარ გვსურს,
არა და, ლტოლვა აახლოვებს მუდამ დასასრულს.

■ ■ ■

აქ სიწყნარეა საწერ მაგიდას გარინდებული ჩუმად ვუზივარ,
სიმარტოვეზე სიმღერებს ვუთხზავ, სოფელს კეთილს და კიდეც კუზიანს.

სუფევს სიმშვიდე, უსიერიდან ოდნავი ჩქამიც აღარ მოისმის,
შენ მოხვალ ალბათ ყვავილთა ჯარით და ჰარმონიით საღამოისთვის...

მოიტან ისევ გუშინდელ მოტივს, შემაქცევ ლამაზ ზღაპრის მოყოლით,
გამიმეორებ ფრაზებს ლამაზებს, გულით თქმულსა და კიდეც ნოგონილს,

რწმენით ამავსებ, სიმხიარულით, სიცოცხლის უნარს გამიასკეცებ,
მიწას მომწყდარი წეროს შრიალით ყვავილთა თოვლზე ძალით მაცეკვებ!

ახლა კი ირგვლივ სიწყნარე სუფევს, ოდნავი ჩქამიც აღარ ნოისმის,
მე მოვიწყინე და გელოდები ძველი მოტივით, საღამოისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ დანელია

## თეთრი ვარსკვლავი

— ჩემი ბოჩოლა, —
მიტიტინებს თეთრბაბთა გოგო.
თეთრი ვარსკვლავი მიდენის ნახირს.
— რა ლამაზია...
ვენაცვალე მე იმის მომგონს! —
ქალაში დადის ერთი ბიჭი და გაიძახის,

## განძი

ია-იებმა განძი წამგლიჯეს,
განძი —
ბალღობის წრფელი დღეები,
წამართვეს ჩემი ჭრელი ხალიჩა
მფრინავი... ჩემი შავი დევები
ვიცი, არსად არ დააბიჯებენ.

ია-იებო,
დამიბრუნეთ როგორმე განძი!

## საკვირველება

მიმწუხრის ღიმი...
აღმოსავლეთს ცა ამღელვარდა
და ცისარტყელას ჩაუკრა თვალი.
აკივლდა ფერი
და დააგდო ზეცა მუხლებზე.
...გზას მიჰყვებოდა ლამაზი ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წასვლა

მზე...
როსმე მეც უნდა მოვკვდე,
ჩვილის ღიმილით და ჩავიღიმო...
დამიძველდება მეგრული ოდა,
ჩემზეც იტყვიან: ის ერთდროს იყო...
ეს ჩემი ლექსი წაჰყვება ნიავს,
ჭალისპირს ისევ აჰყვება ქარი,
გადიკარგება ცასფერი ია —
ჩემი ყოფილი სატრფო და ქალი.

არც არაფერი ჰყავდაო იმას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო კეცხოველი

# კიდევაც დაიზრდებიან...

## თავფარავნელი ჭაბუკი

ზღვის გაღმა ერთი სანთელი,
გამოღმა კელეპტარობდა.

ხალხური

გულთოვლის მთის ჩრდილო ფერდობზე მოდიოდნენ და მათ წინ გადაშლილი იყო ჯავახეთის დიდი ვაკე, რომელიც სანახევროდ გადაეკვეთა აბულსამსარის კლდოვან ქედს. ეს ქედი ახლო რომ ნახო, ქვაყრილი გეგონება, მაგრამ შორიდან მშვენიერ ქედად ჩანდა; აბულსამსარის ჩრდილო-აღმოსავლეთით თავკვეთილი და გოდორები აღმართულიყო.

თავფარავანი კეჩუთის ქედისა და აბულსამსარის მიერ შექმნილ ქვაბულში მდებარეობს, ზღვის დონიდან 2080 მეტრის სიმაღლეზე. ირგვლივ მთებით არის შემოზღუდული, ხოლო სოფელ ფოკასთან, სადაც ტბა ფარავნიდან მდინარე ფარავანი გამოდის, კარიბჭესავით არის გახსნილი. ტბის სიგრძე 9,6 კილომეტრია, უდიდესი სიგანე — 6 კმ. ფართობი 37 კმ-ია. ფსკერი ლამიანია და მდიდარია ორგანული ნივთიერებით. ტბა ხშირად მღვრიეა, ჩრდილოეთის ქარი აღელვებს და რადგან ღრმა არ არის, ტალღა ლამსა სწვდება და ზევით ამოაქვს.

ნაპირები, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთით, მაღალი და დამრეცია, დადაბლებული და დაჭაობებულია რადიონოვკასა და ტამბოვკას შორის; ჭაობები ჩვეულებრივ ისლებით არის დაფარული, რომელსაც ზაფხულის ბოლოს დუხობორები თიბავენ ან გაჭირვების მარაგად, ან საქონლის საგებად. ნაპირებიდან ტბას მრავალი ნაკადი შეერთვის, უმთავრესად ხევხმელები, რომლებიც გაზაფხულის დასაწყისშივე ახმაურდება ხოლმე; ამ დროს ეს ნაკადულები წყალუხვია, მაგრამ ზაფხულის მეორე ნახევრიდან შრება და კვლავ ცოცხლდება წვიმების დროს.

ტბა ფარავანი ერთ-ერთი ისეთი ტბათაგანია, რომელიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ. იგი ზამთარში, დეკემბრის მეორე ნახევრიდან იყინება და მაისში ყინული უკვე ლხვება. ყინულის სისქე მეტრამდე აღწევს, მკაცრ ზამთარში — მეტსაც კი. სწორედ ეს აძნელებს თევზის მეურნეობის საქმეს, თევზს ჟანგბადი არ ჰყოფნის. სამხრეთით კი, სადაც ფსკერის წყაროები ბევრია, ტბა ვერ იყინება და მისი წყალი აქედან მდიდრდება ჟანგბადით. ზაფხულის თვეებში ზედაპირი ჟანგბადით უფრო მდიდარია, ვიდრე ფსკერის შრეები, ზამთარში კი იმდენად მცირეა, რომ ზოგჯერ თევზს ძალიან უჭირს.

ტბაში, როგორც ვთქვით, დიდი რაოდენობით არის ორგანული ნივთიერება. ზოგიერთი მეცნიერის გამოკვლევით ორგანული ნივთიერების რაოდენობა აქ 700 ტონაზე მეტია.

ტბაში მაღალი მცენარეები ცოტაა; სხვა ტბებს ლელი, ლაქაში, ისლი, ლისი და მისთანანი ჩვეულებრივად ქობასავით აქვს შემოვლებული, აქ კი ლელი, მატიტელა, ლისი და მისთანა მცენარეები მხოლოდ ქარისაგან და-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 12. 1976 წ.

ფარულ სამხრეთ-დასავლეთის ნაპირზე შეიმჩნევა. რაც შეეხება წყალმცენარეებს, ისინი აქ საკმარისად ბევრია; ჩვეულებრივად ერთუჯრედიანი ან ძაფნაირი წყალმცენარეები სჭარბობს.

რაკი ტბა შედარებით თავთხელია და მზის სხივი ფსკერამდე აღწევს, წყალმცენარეებიც და ზოობენთოსიც კარგად ვითარდება. ცოტა არ არის წურბელებიც.

თავფარავანის ტბაში თევზებიდან გვხვდება ტბის კალმახი, ფარავნის კობრი, ხრამული, მტკვრის წვერა, აღმოსავლური ფრიტა, ლადოგის რიპუსი (ხელოვნურად მომრავლებული); ტბის ირგვლივ ქანები ერთნაირი არ არის, ჩრდილოეთით, იქ, სადაც როდიონოვკაა, ალუვიური ტბის ნალექებია, ხშირად დაჭაობებული ან ნესტიანი მდელოა. ასევეა აღმოსავლეთი ნაპირი, სოფელ თავფარავანის სამხრეთით . დასავლეთით მას ანდეზიტების სქელი შრე მოსდგომია: სანაპირო მდიდარია ქანთა სხვაობით, მაგრამ რადგან მაინც ძირითადად ერთი ტიპისაა, ფარავნის წყლის მინერალიზაცია სუსტია. წყალში ბლომად არის ნატრიუმი, საკმაოდ არის კაჟი და მცირედ — მაგნიუმი.

—კარგი, ეგ ყველაფერი ჯერჯერობით გვეყოფა, ეს დუხობორები საიდან სადაო?!

— ეჰ, მაგათი ბედიც, ჩემო გივი, ცხრაჯერ სატირალია. ეგენი ქრისტიანული ეკლესიიდან არიან განდგომილნი, სექტანტები არიან, არც მართლმადიდებელი ეკლესია სწამთ, არც მღვდელი; ამიტომ იყო, რუსეთის მეფემ სტავროპოლისა და კრასნოდარის ოლქებიდან რომ გადმოასახლა სამხრეთ საქართველოსა და სომხეთის ჩრდილოეთის მთებში; ჩვენში სოფლები: როდიონოვკა, ტამბოვკა, გორელოვკა, სპასკაია, ორლოვკა, ეფრემოვკა, ბოგდანოვკა და ანლანდელი დმანისი, რაიონის ცენტრი, წინათ ბაშკიჩეთად წოდებული, 1921 წლამდე მარტო დუხობორებით იყო დასახლებული.

მეოცე საუკუნის დასაწყისში კანადაშიც დაიწყეს გადასახლება. თავიანთი ფორნებით მოდიოდნენ, ზოგნი ბათუმისაკენ, ზოგნიც ფოთისაკენ. გზაზე ბევრი გაჭირვება ნახეს, დიდი მწერალი ლევ ტოლსტოი გამოექომაგათ. დღეს ეს პრობლემა უკვე აღარ დგას.

მას შემდეგ, რაც ბაშკიჩეთი, შემდეგში დმანისი, რაიონის ცენტრად გადაკეთდა, მოსახლეობაც გამრავლდა, შეიცვალა, აქ ქართველებიც ცხოვრობენ, სომხებიც, რუსებიც, მუსლიმანებიც.

— დუხობორებს აქ ცხოვრება არ გაუძნელდათ?

— შედარებით კარგად მოეწყვნენ, მესაქონლეობას მოჰკიდეს ხელი. ძროხებიც ჰყავდათ და, რაც მთავარია, — ცხენიც. აქ მათ გამოიყვანეს ჯიში თავისებური, დოხაბორული ცხენისა, რომელიც ამიერკავკასიაში ეტლში შესაბმელად საუკეთესოდ ითვლებოდა. მას ჰყიდიდნენ თბილისში, ბაქოში, ლენინაკანში, განჯაში, ერევანში. დუხობორებს მოჰყავდათ კარტოფილი, ქერი, ამზადებდნენ ყველსა და ერბოს და აი კარგად მოაღწიეს ახალ დრომდე.

ერთი კი უნდა ითქვას: ადრე ჯიუტობდნენ, მაგრამ დღეს სხვა ქარი ქრის მაგათ სოფლებშიც.

საქართველოში სხვა სექტანტებიც ცხოვრობენ: მოლოკნები. ფარავნის დასავლეთ ნაპირზე რომ ვლადიმეროვკაა, ის მოლოკნებისაა. მოლოკნების უმრავლესობა ლორი-ბამბაკის მხარეში დასახლდა. ბევრი ცხოვრობდა თბილისშიც, განსაკუთრებით დიღუბეში. მოლოკნებიც რუსეთის იმპერიის სამხრეთის მხარეებიდან არიან გადმოსახლებულნი.

გრანდიოზული იყო მგზავრთა წინაშე გადაშლილი ჯავახეთის ზეგანი, რომლის სიგრძე ორმოც კილომეტრამდეა და სიგანე თვრამეტოცამდე: ლამაზად მოჩანს სოფლებიც; ჩვენი მგზავრების ყურადღება უპირველესად ტბების სიმრავლემ მიიქცია. მთელი ზეგანი ტბებით არის მოვარაყებული. მაგრამ აბულსამსარი მაინც საკვირველად ჩანდა. გეგონებოდათ ვერცხლის განიერ ქამარში აუარებელი ფირუზის ქვები ჩაუსხამთო. მგზავრთა პოეტურ აღმაფრენას შალვამ ფრთები შეაკვეცა. როცა მოუყვა, თუ რა არის ეს ფირუზები".

საქართველოში ჯავახეთი ტბების საბუდარია. 56 დიდსა და პატარა ტბას ითვლიან,ბევრი მათგანი ტბადაც არ ითქმის, რადგან იმდენად მორევია ჭაობის ბალახი, რომ წყლის სარკე აღარცა ჩანს. ასეთი ტბა ნატბევარი უფროა. ზოგი ტბისთვის ნაპირიდან ისე შეუტევია ლაქაშსა და ლელს, რომ წყლის სარკე ოდნავადღა ეტყობა. ეს კი მომაკვდავი ტბაა; ზოგი უკვე შებერებულია. მათს ნაპირზე, მართალია, ჭაობებიც გაჩენილა, ლაქაშიც და სხვა წყლის მრავალძარღვაც, მაგრამ წყლის სარკე მაინც საკმაოდ დიდია. ჭარმაგ ტბებად ითქმის ისეთი ტბები, რომელთაც წყლისა და ჭაობის მცენარენი ჯერ არ შერევიან.

ჯავახეთში პატარა ტბები ან აღარ არის და უკვე დაჭაობებულა, ან გაქრობის გზაზეა.

რასაკვირველია, მარტო მცენარე ვერას დააკლებდა ტბას. სხვა ფაქტორებიც რომ არ უწყობდეს ხელს მათს მოსპობას. ჯავახეთის ზეგანი მართალია, ბაზალტებით, ანდეზიტებითა და სხვა მაგარი ქანებით არის აგებული, მაგრამ მის აგებულებაში ვულკანური ფერფლი, ტუფები და ქვიშებიც მონაწილეობს. შემდინარე წყლებს შეაქვთ ეროზიის პროდუქტი და თანდათანობით ავსებენ მის ფსკერს. აქ წყლის მცენარეებიც სწრაფად ჩნდება, რაც უსწრაფებს ტბას სიცოცხლეს.

აქაურ ტბათა უმრავლესობა ვულკანური

წარმოშობისაა, უფრო სწორად, ვულკანური მოქმედების შედეგად შექმნილ რელიეფის ჩაღრმავებულ ადგილას წარმოშობილია. ზოგჯერ ლავას გადაუღობია მდინარისათვის გზა და ტბა გაჩენილა, წყალს კი ეს ლავა დღემდე ვერ გამოურღვევია. ზოგი ტბა კრატერში შექმნილა. თავკვეთელის მწვერვალზე 1969 წელს კიდევ იყო ტბა, თუმც მას შეიძლება „მომაკვდავი ტბა“ შერქმეოდა.

ჯავახეთის მნიშვნელოვანი ტბებია: თავფარავნის ტბა (ფარავანი), რომელსაც ატმოსფერული ნალექები (თოვლი, წვიმა), მიწის ქვეშა წყლები და მდინარეები ასაზრდოებს; ზოგ ტბას, მაგალითად, საღამოს ტბას კვებავს მდინარე ფარავანი, რომელიც ფარავნის ტბიდან ხოფ. ფოკასთან გამოდის და ხაღამოს ნახოვლართან უერთდება საღამოს ტბას; მდინარე ფარავანი გზას საღამოს ტბიდანაც აგრძელებს, გაივლის სოფლებს —დიდსა და პატარა არაქალას და ხოფ. ხაზხეს ქვევით იერთებს მდინარე ბუღდაშენს. საღამოს ტბა ფარავანის ტბაზე ზღვის დონიდან ასი მეტრით დაბლა მდებარეობს.

დიდი ტბაა აგრეთვე ტბა ხანჭალი (ხანჩალი). ზევიდან რომ დახედო, მართლაც ხანჯალივით წაგრძელებულია. ეს ტბაც ვულკანურ ქვაბურში მდებარეობს, შავი ზღვის დონიდან 1930 მეტრის სიმაღლეზე. სიგრძე შვიდ კილომეტრამდეა, უდიდესი სიგანე ორკილომეტრნახევარია. ტბა საკმარისად თავთხელია, სიღრმე ერთ მეტრსაც ვერ აღწევს. ზოგან წყალი კაცს მუხლამდე სწვდება. ნაპირები ვულკანური ქანებით, ტუფებით, ანდეზიტებით, არის აგებული. ტბა ატმოსფერული ნალექებით იკვებება, თოვლის დნობის დროს მას პატარ-პატარა ნაკადულები უერთდება, მაგრამ ივლის-აგვისტოში ისინი შრება. საკმაო რაოდენობით არის ფსკერის წყაროებიც. ტბა ხანჭალი მალე ამოივსება ქვიშაღორღით და მომაკვდავ ტბათა სიაში მოექცევა.

ტბის ნაპირი მთლიანად დაჭაობებულია. იგი დიდია (დაახლოებით თოთხმეტ-თხუთმეტი კვ. კილომეტრი, ე. ი. ათასხუთასი ჰექტარი), მაგრამ მაინც მომაკვდავ ტბათა ჯგუფს მიეკუთვნება. მისი ნაპირი, ანე რომ ვთქვათ, ტბის სიკვდილის სხვადასხვა სტადიის ჭაობით არის დაფარული. მთის მდელოების მოსაზღვრედ ისლიანი ჭაობის ფართო ზოლია, რომელშიც იმერული ისლის ჯგუფებიც გვხვდება. ლელი, ლისი და ლაქაში წყალშიც ღრმად შეჭრილან და, როგორც ჩანს, მალე შეავიწროებენ ტბას. გარდა მრავალნაირი წყალმცენარისა, გვხვდება წყალში ჩაყურყუმალავებული წყლის მცენარეებიც (წყლის ვაზი, წყლის თეთრი ბაია და სხვა). ბაყაყი, წურბელა, ტბის გველი და სხვა ამგვარი რამ აქ აუარებელია.

ხოზაპინის ტბას ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზეა, ნაწილი თურქეთისაზე. საზღვარი ტბაზე გადის. ეს ტბა ზღვის დონიდან ასორმოცი მეტრით დაბლაა ხანჭლის ტბაზე. ტბას მდინარე კარწახი უერთდება. შემჩნეულია, რომ უკანასკნელ ხანებში ტბა მატულობს, მისი ნაპირის ჭაობიანი ზოლი დღეს უკვე წყლით არის დაფარული.

— დღესაც ეგრეა?

— დღეს არ ვიცი, თხუთმეტი წელია არა ვყოფილვარ.

— აგერ, აი იმ გიჟი მთასა და გოდორებს გადაღმა ტაბისყურია.

...მათ წინ კი, ხელისმინდორზე ტბა ფარავანი ელვარებდა, ჩვენი ყველაზე დიდი ტბა. ძველთაგანვე ტბა ცნობილი და სახელმოხვეჭილია, ბევრი ლეგენდა და თქმულება შეუთხზავთ მასზე. ვახუშტი მას მოკლედ ახასიათებს, მაგრამ ეს „მოკლე იმდენად სრულია, რომ მასში ჩვენი ხალხის მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობაც მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ჩანს.

„ხოლო ტბაფარავანისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარემო მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მრწოლლენი, ხვასტაკნი, რემანი ქართლისა და კახეთისანი და ნეხვი მისი გამდინარისგან თოვლისა შესდის ტბას მას, და იტყვიან მას უგემურობასა. აქა არს წყარო რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მაძღარი ფრიად ანუ დაცოვნილ, მოაღონბს სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხლი. კვალად ამ ტბას ერთვის წყალი შაორისა, მდინარედ გამომდინარე კლდიდამ და სავსე არს კალმახითა...“

ხედავთ, იმდენი მდგარა ცხვარი და სხვა საქონელი, რომ წყალს ნეხვი შეჰქონდა ტბაში და ამის გამო თევზის „უგემურობას იტყვიანო“.

— შარშან ვიყავი იქ, — ჩაერთო საუბარში შალვა, — ახლა მეთევზეობა კარგად არის დაყენებული. ტბაში სევანის იშხანი, კობრი, რიპუსი და ბევრი სხვა კარგი თევზია გაშენებული. მაგრამ რაკი ტბა ზამთარში იყინება, ზოგან ყინულს ამტვრევენ, რომ შიგ ჰაერმა ჩააღწიოს.

— მაგ ამბებს მე „თავფარავნელი ჭაბუკი“ მირჩევნია. — თქვა ლელამ და უცბათ გაწითლდა, ვაი თუ სწორად არ გამიგონო, — ლექსი, რასაკვირველია! — დაუმატა.

— ხომ დიდი პოემაა?! — გამოეძრახა ერეკლე, რაკი შენიშნა — დის დამორცხვება.

— ჩვენში ბევრი დაინტერესდა ამ ჭაბუკით. ჯერ კიდევ ია კარგარეთელმა დიდი პოემა დაწერა. ხალხურიაო, ამტკიცებდა, მაგრამ, რასაკვირველია, ხალხური არ იყო, და არც მიიღეს ხალხურად; აი ხალხურიც — და ვახტანგმა აბგის გარე ჯიბიდან წიგნი ამოაძვრინა.

თავფარავნელი ჭაბუკი
ასპანას ქალსა ჰყვარობდა,

ზღვა ჰქონდა წინად სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა,
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა,
ერთი ავსული ბებერი
ვაჟისთვის ავსა ლამობდა.
სარკმელზე ანთებულ სანთელს,
აქრობდა, აბეზარობდა.
თან იმას ეუბნებოდა,
წინადაც ეგა გყვარობდა,
ვაჟი მიანგრევს ტალღებსა,
გულმკერდი არა ჩქამობდა,
ცალხელით ღოლაბი მიაქვს,
ცალხელით ნიავქარობდა,
ზღვის გაღმა ერთი სანთელი,
გამოღმა კელაპტარობდა,
ღამე ჩამოდგა, უკუნი,
უკუნს რამესა ჰგვანობდა,
ტალღა ტალღაზე ნაცემი,
ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა,
დაჰკარგა ფონი, შეშჰირდა,
მორევი ბობოქარობდა,
გათენდა დილა ლამაზი,
კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა,
წყალსა დაეხრჩო ჭაბუკი,
ჭოროხზე ეგდო, ქანობდა,
წითელი მოვის პერანგი,
ზევიდან დაჰფარფარობდა.
ლეშს დასჯდომოდა ზედ ორბი,
გულს უგლეჯავდა, ხარობდა,

**აი მეორე, უფრო, მოკლე ვარიანტი, სადაც ხალხური ლექსის სისადავე უფრო ნათლად ჩანს.**

თავფარავნელი ჭაბუკი
აშკარეთს ქალსა ჰყვარობდა,
სავლელათ ედო შავი ზღვა,
გასვლას აღარა ზარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა,
ერთი სულძაღლი ბებერი
უქრობდა, ბობოქარობდა.
ზღვასა ვაჟკაცი დაეხრჩო,
ზღვა იქეთ-აქეთ ქანობდა,
იმის თეთრ ძუძუმკერდზედა
ზედ იჯდა ორბი, ხარობდა.

**— ეს ვარიანტი პეტრე უმიკაშვილის კრებულშია. ოღონდ ასპარა იქ აშკარეთად ქცეულა.**

**— საერთოდ, ქალის სამყოფელი ადგილის სახელწოდება სხვადასხვანაირად გვხვდება. პირველ ვარიანტში უნდა ყოფილიყო და არის კიდეც: „თავფარავნელი ჭაბუკი წყალგაღმა ქალსა ჰყვარობდა“: მელექსემ ეს შედარებით აბსტრაქტული „წყალგაღმა“ კონკრეტულით შეცვალა. „თავფარავნელი ჭაბუკი ასპარას ქალსა ჰყვარობდა“.**

**მართლაც დასავლეთის ნაპირზე არის სოფელი ასპარა.**

**ბევრმა ასპარაც არ იცოდა, ასპინძა უფრო პოპულარულია და ასპარა ასპინძით შეცვალა:**

თავფარავნელი ჭაბუკი
ასპინძას ქალსა ჰყვარობდა“.

**ზოგმა ეს სულაც აშკარეთად გადააკეთა, ზოგმა კი ასპარელ ქალს მამაც გამოუნახა:**

„თავფარავნელი ჭაბუკი გასპარას ქალსა
ჰყვარობდა“

**— კიდეც მიკვირდა: სად ფარავანი და სად ასპინძა-მეთქი!**

**— პირველს თითქოს ცოტაოდენი, ხალხურობა აკლია და ზოგი სტრიქონი ჩამატებულია. ასეა თუ ისე, ორივე ხალხურია და პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში.**

**— ერთი ლეგენდა მეც ვიცი... გაღმა ნაპირას სწორედ ასპარისაკენ ბევრია წყალქვეშა წყაროები და როცა „გათენდა დილა ლამაზი“, როცა სატრფომ დაინახა „ჭაბუკი, ჭოროხზე ეგდო, ქანაობდა“ და მისი ხელით შეკერილი „წითელი მოვის პერანგი, ზევიდან დაჰფარფარობდა“, გაქანდა მისკენ,ააფრინა ორბი, რომელიც „გულს უგლეჯდა, ხარობდა“, დასტაცა ხელი, ჩაიხუტა მკერდში და გადაეშვა ტბის ტალღებში. მას აქეთ უდევს წინ და დასტირის ცხარე ცრემლით, და ის წყარონი, რომლებიც ზემოთ ამოჩუხჩუხებს, თურმე ასპარელი ქალის ცრემლია. ვერც ჩადის ვინმე, რომ ხმა მაინც შეაწიოს. ის ადგილი აღკვეთილია, ვინც ჩაიყურყუმალავა, უკან აღარც ამობრუნებულა.**

**აი ასეთია მარადი სიყვარული. იგი ჩაუქრობელი ლამპარია.**

**აღარც ერთს ხმა არ ამოუღიათ. სამივე ფიქრმა წაიღო და სამივეს თვალწინ თავფარავნელი ჭაბუკისა და ასპარელი გოგოს სახეები გამოიკვეთა.**

**სომეხთა დიდი მწერალი ოვანეს თუმანიანიც გაიტაცა თავფარავნელის ლეგენდამ და დაწერა პოემა „ფარვანა“. თუმანიანს დიდი ტალანტი ჰქონდა, მაგრამ მისი პოემა ხალხურს ჩამოუვარდება.**

**— თუმანიანი და ფარავანი? საიდან სადაო?**

**— თუმანიანი ხომ თითქმის აქაურია, 1869 წელს ლორეში სოფ. ძეხში დაიბადა. ახლა ამ სოფელს თუმანიანი ეწოდება, და შესაძლებელია ტბა ფარავანის ლეგენდებმა იქამდეც ჩააღწია. შემდეგში, 1883 წლიდან გარდაცვალებამდე თუმანიანი თბილისში ცხოვრობდა და სწავლობდა. ქართველ ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. დიდი მომღერალი იყო ხალხთა ძმობისა და მეგობრობისა. გახსოვთ, მისი საუკეთესო ლექსი „ქართველ პოეტებს“, რომელიც იოსებ გრიშაშვილმა თარგმნა?**

**საუბრით გული რომ იჯერეს, საძილე ტომ-**

რები მაშინ გაშალეს. შუაღამის შემდეგ იგრძნეს — როდიონოვკაში რომ ჩასულიყვნენ, ემჯობინებოდა. ადრე ამოძვრნენ ტომრებიდან, გაირბინ-გამოირბინეს, აქ ლოდები საძებარი არ იყო, დასტაცეს ხელი და ბურთივით დაუწყეს სროლა.

— შენა, ჩემო ყარანგზიაანთ ქორო, ხომ არ შეგცივდა? — მიუალერსა ვახტანგმა ლელას. მაგრამ ამან არც კი შეიმჩნია, ვითომ მე რად უნდა გამომყო სხვებისაგანო.

გივის თერმოსით ყავაც მქონდა შემონახული, სითბო ცოტა კიდევ შემორჩენოდა და ზიარებასავით მოუხდათ. კარგად ისაუზმეს და კვლავ აეიდნენ ქედზე. შამბიანის ჩრდილოეთით ორი ხევი აირჩიეს და ის მოჩხრიკეს. იქაც ნახეს ნაშალავი თოვლი, ხევებში ჩაწოლილი, და მზე რომ გაკაიხარა, მხოლოდ მაშინ დაეშვნენ სოფ. თაეფარავნისაკენ (როდიონოვკასაკენ).

შალვამ ნაცნობ დუხობორთან მიიყვანა. მოხუცი გულღიად დახვდა, მინდია და გიორგი გულითადად მოიკითხა. ძველი ყონაღებივართო.

დიასახლისი მკვირცხლად დატრიალდა. პირველად სამოვარი დადგა.

გაკვირვებულნი უცქეროდნენ სახლის ბანებს. ბანზეც მდელო ჰყვაოდა, მაგრამ ნამდვილ მდელოსთვის ორი კვირით გაესწრო. ზოგან გაეთიბათ და პატარა ბულულები იდგა ბანზევე.

ბანს მიწას, თიხას აყრიან და ტკეპნიან, შემდეგ მდელოს ბელტებს ჰყრიან და ზევიდან აგებენ. რაკი სახლში თბილა, ბანზე თოვლი ადრე დნება. კიდეც გადათოვლავენ ხოლმე. მცენარეულობაც მალე ილვიძებს.

თავფარავნის ირგვლივ რამდენიმე სოფელია: როდიონოვკა (სოფ. თაეფარავანი), ახალი ხულგუმო, ტამბოვკა, ასპარა, ვლადიმიროვკა და ფოკა. რუსი დუხობორები როდიონოვკასა და ტამბოვკაში ცხოვრობენ, რუსი მოლოკნები კი — ვლადიმიროვკაში.

* * *

— რაკი აქა ვართ, მოდი საღამოს ტბაც ვნახოთ, თაეფარავნის ძეგლების ნახვას კი ხვალაც მოვესწრებით.

აბა იმ დღეს რაღა იქნებოდა და, მეორე დღეს, მზის ამოსვლამდე აიკიდეს გუდა-ნაბადი და ჩანაფიქრის ასრულებას შეუდგნენ. ტბისთვის გარს უნდა შემოევლოთ. რუკით იანგარიშეს და ირგვლივ 28-30 კილომეტრი იქნებოდა.

გეზი ჩრდილოეთით აიღეს, — ახალი ხულგუმოსკენ. შარა-გზა ტბას თითქმის გარშემო უვლის. ძალიან მალე გაიყო გზა. მთავარი შარაგზა თრიალეთისკენ (წალკისკენ) მიდიოდა, მისი ჩრდილო დასავლეთის ტოტი კი — ახალხულგუმოსა და ტამბოვკისაკენ; ამ ადგილას ისლიანი და ნესტიანი მდელოებია. როგორც ჩანს, ეს ნაკვეთი ნატბევარია. ხულგუმოსა და ტამბოვკას შორის დაჭაობებული კალაპოტი ჰყოფს. შორზე შეჩერდნენ.

— აქ დიდი ციხე უნდა იყოს, — თქვა ვახტანგმა და მოათვალიერა ირგვლივ მთის წვერები.

აგერ, ნანგრევები უნდა იყოს, — გაიშვირა ხელი ჩრდილოეთისაკენ.

— ჰგავს ნანგრევებს, მაგრამ შორის ციხეა თუ არა, არ ვიცით. ისე კი, „ლეოლრაფიულ ალწერაში“ შორის ციხეა, მაგრამ იქ დიდი ქვაყრილებიც არის.

— ეხლა მე იმ ციხისკენ ავირბენ, დავათვალიერებ და დაგეწევით. თუმცა შევგვიანდებით. შეიძლება ხვალ ვნახოთ, — დაასკვნა ისევ ერეკლემ.

— როგორ შეიძლება ტამბოვკის თავზე ქვა-კაცა ჯვარი არ ვნახოთ, ქარვასლაც კარგად არ დავათვალიეროთ. აქ ძველი ერთნავიანი ბაზილიკიც არის. ბევრი ხომ არ მოგვდის ნახნავში ხარვეზი? — თქვა ვახტანგმა საყვედურით.

— რას იზამ, ჩემო ვახტანგ, საქართველოში მუდამ აშენებდნენ, მათს ნახვას ერთი სიცოცხლე არ ეყოფა! — ეს გივი იყო.

ტამბოვკას სიგრძეზე ერთი ქუჩა გასდევს. გაიარეს ის და გავიდნენ ჯავახეთის ზეგნისათვის დამახასიათებელ მთამაღალის მდელოებზე.

ფერდობები ხევმშრალებითა და ხევებით არის დღარული. ხშირია ფხეკოები.

ხშირმა ძოვებამ (რადიონოვკა, ფოკა, გარდა ამისა, მორეკილი ხვასტაგი და ცხვარი) თავისი ქნა.

გზადაგზა ხშირად უხდებოდათ ხევხმელების გადალახვა. ერთს ხევხმელს აჰყვნენ კიდეც, იქნებ წყალი ანდეზიტების ნამსხვრევებში იკარგებაო, მაგრამ ამის მაგვარი ვერსად ვერა ნახეს რა. თოვლი დნება და ხევებშიც წყალი შრება.

სოფ. ასპარას შემდეგ წავარნა ტბის პირას მიდის.

ასპარაში დღეს სომხები ცხოვრობენ. 1828-30 წლებში ოსმალეთის შიდა ვილაეთებიდან გადმოსახლებულნი. ის ამბავი მათ გადმოცემითაც არ ახსოვთ; სამაგიეროდ, ამ მხარეს შესთვისებიან და თქმულებები და ლეგენდებიც კი შეუქმნიათ.

„ფარვანის თავადს მზეთუნახავი ქალი ჰყოლია. გამოუცხადებია: „აბა, ვაჟკაცებო, მოდით, აჩვენეთ თქვენი სიჩაუქე ჩემს მზეთუნახავს და, ვისაც მოიწონებს, ის იქნება მისი მეუღლეცა და ამ ქვეყნის ბატონ-პატრონიცო“.

მრავალი ვაჟკაცი მისულა, მაგრამ ამ მზეთუნახავს ყველა დაუწუნებია. ბოლოს მამა შეჰკითხებია თავის ასულს, აღარავინ დარჩა გასასინჯიო? დაიწყო თურმე ამ ქალმა ტირილი, ეს რა დამემართა, შინაბერად დავრჩიო, სახლშივე გადამიბრუნდა ფეხიო,

და აი იმ ცრემლისაგან შექმნილა ეს „ფარავანას“ ტბა““.

— ეგ ოვანეს თუმანიანის პოემაა.

— ეგ კი ვიცი, მაგრამ ის არ ვიცი, ოვანესმა ფაბულა ხალხისაგან აიღო თუ თვით შეთხზა და მერე ხალხმა მისგან ისესხა.

— შექმნილ ლეგენდას წააგავს. მაგრამ კაცი მოკვდება და სიტყვა არა.

— თავფარავნელი ჭაბუკი სჯობს!

გაიარეს ასპარასა და ვლადიმიროვკას შორის მდებარე ნახევარკუნძულივით გამოშვერილი ქიმი, წყაროზე შუბლი გაიგრილეს და შევიდნენ ვლადიმიროვკაში, მოლოკნების სოფელში, მაგრამ როგორც ერთმა მოხუცმა უთხრათ, ბევრი უკვე წასულიყო ქვემო სოფლებში ან ქალაქებში.

სოფ. ფოკადან აპირებდნენ შემობრუნებას, მაგრამ ვახტანგმა არ აცალათ:

— მოდი განძამდე ჩავიდეთ, ვნახავთ ახალ ადგილებს და შემოვბრუნდეთ უკან.

— მოიცათ, მოიცათ, — ხახაზავი მოემარჯვებინა შალვას და რუკაზე მანძილებს ზომავდა, — იცოდეთ, ოცდახუთ კილომეტრამდე უკვე გამოვიარეთ, განძამდე კიდევ ათია — ესეც ოცდათხუთმეტი. უკან თავფარავნამდე კიდევ ოცი შევძლებთ?

— მაგას რა ლაპარაკი უნდა!

— მაგრამ ლელა?

— ლელას დარდი ნუ გაქვთ. სადაც თქვენ, მეც იქ. არავის ჩამოგრჩებით.

გზა მდინარე ფარავნის მარცხენა ნაპირს მისდევდა, ადგილ-ადგილ მდორედ მიდიოდა და ნესტიან მდელოებს და ისლიანებს აჩენდა. ნესტიან მდელოზე კი მახრჩობელა (დეშამპსია) და მდელოს წივანა სჭარბობდა. მხოლოდ შუა გზაზე აიმართა თავშანთაფას ლამაზი კონუსი და რამდენიმე წუთის შემდეგ შევიდნენ კიდეც განძაში.

განძასა და მურჯახეთში „ვეშაპები“ ნახეს. განძის მახლობლად მათ წინ უცბად „ვეშაპის“ უზარმაზარი ქანდაკება აიმართა. კარგად რომ დაათვალიერეს სურათებიც გადაიღეს. დღევანდელი წალკის რაიონში კიდევ რამდენიმე „ვეშაპია“ (სოფ. გუმბათში, წითელ საყდართან და სხვაგან).

ლიტერატურული წყაროებით დასტურდება, რომ „ვეშაპები“ ბევრია ჭოროხის ხეობაშიც. „ვეშაპები“ უფრო ხშირად იმ მხარეებში გვხვდება, სადაც წყალი ცოტაა ან ხშირად იცის გვალვები. „ვეშაპები“ პირველად ი. სმირნოვმა და ნ. მარმა ნახეს სომხეთში, გეჰამის მთებში. მალე არაგაცის კალთებზეც იპოვნეს, სევანის ტბის მიდამოებშიც და სხვაგანაც, სულ ოცდასამ ადგილას. ამის შემდეგ სხვებმაც ნახეს „ვეშაპები“ მონღოლეთში, ირანში, ჩრდილო კავკასიაში და საქართველოშიც. ამ სვეტებს „ვეშაპები“ უწოდეს, რადგან თავი ვეშაპივით ან თევზივით აქვს მიკაწრული, ან უფრო მკაფიოდ გამოყვანილი.

რაკი „ვეშაპები“ ტბებისა, წყაროებისა ან ნაკადულების მახლობლად არის აღმართული, ფიქრობენ, რომ წყლის ღვთაება უნდა იყოს.

რატომღაც მალე დაკარგეს ინტერესი და გამობრუნდნენ. ფოკა გაიარეს და წყაროს პირს ჩაიმუხლეს. ტბის პირას მცირე პლაჟი ჩანდა.

— განა არა სჯობს შავი ზღვის პლაჟს?

— წყალი რომ გადავივლოთ, ურიგო არ იქნება, არც ცივი ჩანს.

— მე რომ არა წამოვიდე რა! — სთქვა დანანებით ლელამ.

— შორს ნუ შევალთ. არ ვიცით ამ ტბის სიღრმე.

— უჰ, რა ცივია! — წამოიძახა ერეკლემ.

— ერიდე მაგ ადგილს, ფსკერის წყაროების არეში მოხვედრილხარ. გალურჯებული ერეკლე ნაპირზე ამოვარდა.

— ემაგაზეა ნათქვამი: ნაცარ-ქექია ცხენიდან ჩამოვარდა და მაინც უნდა ჩამოვმხტარიყავიო.

ერეკლემ ხმა არ გასცა.

ისევ ვახტანგი გამოეხმაურა.

— შენ გინდა სთქვა, ყბედი ვინ მოლალა და მუნჯმაო?

სწრაფად ჩაიცვეს და გამობრუნდნენ შინისკენ. თითქმის ერთი კილომეტრის სიგანის ნესტიანი მდელო გადაიარეს: ისლი, მახრჩობელა, იმერული ისლის ჯგუფები ერთმანეთს ენაცვლებოდა.

— ახლაღა მომაგონდა, — ამბობდა ოფლში გაწუწული ვახტანგი — მარტო ვახუშტი როდი ლაპარაკობს ფარავნის ტბის მიდამოზე, როგორც მეცხვარეობის ბაზაზე. აი, ყური უგდეთ:

გაუწყრა მაღალი ღმერთი
ფარსადან ბოდბისხეველსა,
ნათლიმამად მოეკიდა,
მაგრამ ის უღალატებსა,
როცა შირაქში დაცხება
თრიალეთს აასხამს ცხვარსა,
თავფარავანის ტბაზედა
წინ არსენა დაუხვდესა.

— მართლა, ეგ როგორღა დაგვავიწყდა, — თქვა ერეკლემ და გახედა თავფარავნის ტბას, რომლის ზედაპირზეც მცენარეულობა არ მოჩანდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მებადურების ორი ნავი ქანაობდა.

— ალბათ, თევზს იჭერენ.

— მადლობა ღმერთს, მშვიდობით დაბრუნდით, — მიესალმა მასპინძელი მოსულებს.

— მინდოდა მეკითხა, — თქვა შალვამ, — გზაში კარგი საფუტკრე რომ დაგვხვდა, ვისია?

— ვისია და კოლმეურნეობისა. კარგი თაფ-

ლი იცის, ლალასაც კარგს ილებს, ხედავ რამდენი ყვავილია?

— აკი ვახუშტიც ამბობს: „თევზნი მრავალნი, ფრინველნი, რომელნიც მთათა გვარობენ, მრავალნი, თაფლი მრავალნი". ფუტკარი ასი ძირი გყავდეს — ერთი თქვი. ერთი გყავდეს — ასი თქვი. რატომ? თუ კაი ზაფხულია, ხომ კარგი და, თუ გვალვიანია, ვაი ფუტკრის ბრალი, საზამთროდ ვერას ილებს. თუმცა ეს ძველი ანდაზაა, ახლა ხელოვნურად ვკვებავთ, შაქრით, მაგრამ ფუტკარს მაინც თავისი კაცი უნდა, ყველას კი არ მიილებს, — მხოლოდ იმას, ვ ი ს ა ც  გ უ ლ ი  ა ქ ვ ს  ფ უ ტ კ რ ი ს ა  დ ა  ყ ვ ა ვ ი ლ ი ს ა.

— უმ, ეგ ძნელია.

— მაშ რა გეგონა?

გამოეთხოვნენ თავიანთ მასპინძელს და შეუყვნენ ხევის ბილიკს. რასაკვირველია, შეიძლებოდა შარაგზას გაჰყოლოდნენ, მაგრამ ეს გზა არ ადარდებდათ!

მოგზაურები არიან, თუ გზა-გზა იარეს, რას ნახავენ! მალე მზემ ამოასწრო ქედს და თავზე დაადგათ. ჩრდილი ხანმოკლე ენძელასავით ეყოთ, მალე სანატრელი გაუხდათ.

ერთ მზეს მოფარებულ ადგილას შეისვენეს და კიდევ გადაავლეს თვალი კეჩუთის ქედის დასავლეთისკენ მიქცეულ ფერდობებს, შორს ემლიკლი და ქაჩალგორი მოჩანდა.

— ქაჩალგორი, ვგონებ, მწყემსებმა შეარქვეს.

— ხრიოკებია ბევრი, უბალახო და იმიტომ...

— რა ვიცი, მწყემსს რომ ჰკითხო, ცხვარი სად გყავდაო, უეჭველად გეტყვის — ქაჩალ გორზეო.

— ეგ იმიტომ, რომ ქაჩალგორი შედარებით შორი იყო, ცხვარი ადვილად ვერ ხვდებოდა და ბალახი, მიუხედავად „ქაჩლობისა", კარგი იყო; ბოლოს, ამ მთის საძოვრებს ძალიან ეტანებოდნენ. ქაჩალგორი ემლიკლის დასავლეთის ფერდობი უნდა იყოს.

კეჩუთის ქედი, თითქოს არაფერიაო, მაგრამ მანძილიანია და არც ისე ადვილად დასაძლევილი.

— რა კარგი იქნება, რომ ქარვასლაში მინდია დაგვხვდეს, ნესვ-საზამთროთი, — ინატრა ვახტანგმა.

— ჯერ ერთი, არ ეცლება, და მეორე — განა იცის, რომ დღეს ჩავალთ, ან როდის ჩავალთ?

— ემ, ბიჭო, მთელი სიცოცხლე გზას ადგას და ეგეც თუ არ იცის, ვინ როგორ დადის და როდის სად მივა, მაშ რა უკეთებია?

— შენ ძაან მოგდომებია, როგორც ჩანს, ნესვ-საზამთრო.

— თორემ შენ უარს იტყოდი!

— ეხეც ზურტაკეტი! — გადმოსძახა ზევიდან შალვამ.

— არა მჯერა, — ამოსძახა ქვევიდან ვახტანგმა.

— თუ გინდა, ნუ დაიჯერებ! აგერ შავი წყარო, მარცხნივ — გომარეთი, წინ — სალამალეიქი.

— რა ვიცი, კაცო, ამოვალ ქედს და მგონია, ამოვათავე მთა-მეთქი და მეორე ჩნდება, იმასაც ამოვათავებ და მესამე ჩნდება. ასე დაუსრულებლივ...

— არა, ახლა მართლა ამოვათავეთ! — მართლაც მათ წინ ზურტაკეტის დიდი ვაკე გადაშლილიყო.

წყაროსთან ჩაიმუხლეს. წყარო ბევრი იყო, ანდეზიტებიდან ხან აქ გადმოხჩქეფდა და ხან იქ, ეს წყაროები სათავეს აძლევდნენ საფიქლის და ახას ხევისკენ მიმდინარე პატარ-პატარა ნაკადულებს. ჩამუყვნენ მთის ფერდას. ერეკლემ აღარც ჰკითხა ლელას, ისე ახსნა ზურგჩანთა და თავისას მიუმატა. ლელამ მხოლოდ გაულიმა მადლობის ნიშნად.

— სწორედ გითხრა, ვოცნებობდი, აბა რომელი ჩამომართმევს-მეთქი. დალმართზე უფრო ძნელია, ფეხები მეკეცება...

— ყველა დააშინე და ვინ შემოგბედავდა!

— არც ისე მშიშრები ხართ!

ერთი საათის სიარულ-ჩარბენის შემდეგ მიაღწიეს ფუნდუკს, ძველ ქარვასლას. უზარმაზარი შენობა ყოფილა, ნათელი ქვით ნაშენი, ქვა გაუზიდავთ აქვე, ქარვასლის გვერდით წყაროც ყოფილა, ქვით ნაშენი. ვინ იცის, იქნებ ეს არის ის წყარო — „არყნალ-შამბიანის ხევს შუა არს წყარო მშვენიერი, რომელი მარმარილოთი ააშენა მე-6 მეფემან ვახტანგ", ბევრია ქვით მოზღუდული ბაკები არვესათვის თუ სხვა ნახირისათვის. როგორც ჩანს, აქ გადიოდა დიდი სახელმწიფო გზა, რომელიც ქვემო ქართლს მესხეთ-ჯავახეთთან და შემდეგ ალბათ აჭარა-გონიოსთანაც აკავშირებდა.

ბიჭები თლილი ქვების ტრიალში იყვნენ, მაინც ეძებდნენ, იქნებ წარწერიანი ქვა ვიპოვოთო, რომ ანაზდად ნაცნობი ხმა შემოესმათ:

— რაო, ვერ გაძეხით ქვების ჭვრეტით?

— მინდიავ, შენი ჭირიმე! — ფეთიანივით გაქანდა ვახტანგი და გადაეხვია, გეგონება მთელი წელი არ უნახავსო. — საიდან სადაო?

— წმინდაო საბაო, არა?

ვახტანგს გაეცინა.

— მე და გიორგი საფიქლის ხევში გიცდით. აქედან ორიოდე კილომეტრია იქამდე, კაი წყაროც არის.

— კიდევ? — ჩაეკითხა ვახტანგი.

— კიდევ? — კიდევ არაფერი.

— აბა მაშ წავიდეთ, არაფერიო, ისე სთქვი, თორემ იქ საკმაოდ ბევრია ის, რაც ახლა ასე მოგვიხდება.

ოციოდე წუთში გადადგნენ საფიქლის ხევს. თხელი მუხიანით იყო დაფარული.

— ბიჭო, მუხა! ნეტა რომელია?

— აღმოსავლეთისა. აქ ათასხუთასი მეტრია ზღვის დონიდან. „ხევთა არყნარიო“, ვახუშტი რომ წერს, იმის ნაშთია, არყი ვერ გადარჩენილა, მაგრამ მუხა კი კარგად არის. ეს მუხა სიმშრალეს კარგად უძლებს; ვახუშტის შემდეგ ხომ აქ ჰავაც შეიცვალა.

ერთი მუხის ჩრდილში ლელა და თემური ფუსფუსებდნენ. ცეცხლზე მწვადები იწვოდა, საფიქლის ხევის წყალში კიტრი, პამიდორი, საზამთრო და სხვა ხილი იყო ჩაციებული.

მალე ლელამ ყველანი სუფრაზე მოიწვია.

საღამო ხანი იყო, როდესაც საფიქლის ხევიდან (ახლა ზოგი ახას ხევსაც უწოდებს) სოფელ სალამალეიქში გამოიარეს და ახას ხიდთან დიდ გზას შეუერთდნენ.

## პირველყოფილი სამშედლო

პირველყოფილი სამჭედლო,
გრდემლი და ურო ძლიერი,
ქართულ იარღს აწრთობენ
მამაცი იბერიელნი.

ლადო ასათიანი

— გულთოვლის მთებს რომ გადმოვდექით, ჩვენს წინ ხელისგულივით გადაიშალა ზურტაკეტი და თრიალეთი. შორს კი მთელი ქვემო ქართლი იყო.

— წალკა დიდი ზეგანია, სოფლებიც ბევრი ჩანს, — ჩაერთო გივი.

— დღეს სალაპარაკო ენაშიც და, სამწუხაროდ, ლიტერატურაშიც „წალკათ“ მთელ ზეგანს გულისხმობენ, — შეაჩერა გიორგიმ, — წალკა ერთი სოფელი ყოფილა. ვახუშტიც ხომ წერს: ...„მდინარე მოერთვის ჩრდილოდამ, საბატეს, ქციას, მას ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიანი წალკას“; და „წალკას ზის ეპისკოპოზი თრიალეთისაო“. მაშასადამე, წალკა სოფელია, თვითონ ზეგანი — თრიალეთია. ჩრდილოეთით თრიალეთის ქედი გასდევს, დასავლეთით კი — კეჩუთის ქედი.

წარსულში თრიალეთის ზეგანი ქართველებით იყო დასახლებული. ლეკიანობამ და თურქთა ჯარების შემოსევამ თავისი ქნა.

— აქ ყველა ბერძნული, სომხური ან თურქული სოფელია, გარდა ერთისა, — რეხასი. იქ კი ქართველები სახლობენ, — შეაშველა სიტყვა მინდიამ.

— რა ძალამ გააჩერა ეგენი აქ?

— მართალია, როცა გადმოხვეწილი ბერძნები დასახლდნენ, ეს სოფელი ძლივს ღონღილობდა, ისინიც წასვლაზე იყვნენ, მაგრამ რაკი მათ გვერდით ცეცხლი დაინთო, დარჩნენ. წალკის რაიონის სოფლების უმეტესობა ბერძნულია.

— ერეკლე II ბერძნები მადნების დასამუშავებლად ჩამოიყვანა და ბერძნები ფინეზაურის ხეობაში დაასახლა. ამ ბერძნებმა დედაენაც იციან; წალკელი ბერძნები კი ოსმალეთში დაბეჩავებულნი ყოფილან, ენა დაუკარგავთ და ოსმალეთის ანატოლიის ერთ-ერთი დიალექტის ნარევით ლაპარაკობენ.

— ჰო და, თრიალეთის დათვალიერება და მოვლა, თქვენ გევალებათ, შალვას მეთაურობით, დღევანდელ სოფლებში და ნასოფლარებში აუარებელი ტაძრები და სხვა ნანგრევები დაგხვდებათ. ისინიც ნახეთ, მაგრამ, ნუ კი გადაჰყვებით. ეს მდელოს გვირილა კარგად უნდა მოჩხრიკოთ, დაწვრილებით ჩაიწეროთ სად იზრდება, რა სიხშირით, რამდენ ფართობზე. ყველაფერს რუკაზე გადაიტანთ, მაგრამ ეს ხომ შალვამაც კარგად იცის.

— თქვენ მუხლზეა..., პირველ დღეს შეიძლება ჰიჰიანის წყლამდე იაროთ. თუ ივაჟკაცებთ, ჯავახეთის შარაგზასაც მიაღწევთ.

— ერთი გაკრული ოცდახუთი კილომეტრი იქნება, — ეს მინდია იყო.

ბიჭებს გაეცინათ.

— გაკრულიც არის და გაუკრავიც. კილომეტრი ხომ კილომეტრია.

— შენ ეგრე გგონია? — ისე შეეკითხა მინდია, რომ ვახტანგი შეაფიქრიანა.

— მოდი ერთხელ კიდევ გადავიკითხოთ ვახუშტი, — თქვა ვახტანგმა და თანხმობას აღარ დაუცადა, დაიწყო:

„ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, ხანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე, არამედ ზიდვენ ერჯავნიდამ და ხმარობენ უმეტეს წივასა... თვინიერ აქლემისა, პირუტყვნი მრავალნი. ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდან, ჩაასხამენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი. ეძანს ზეით ერთვის ქციას ბეშკენაშენის — ხევი ჩრდილოდამ. გამოდის ერჯევნისა და კლდე-კრის მთასა. აღმოსავლეთ ბეშკენაშენისა არს ტბა ბარეთისა, მცირე, უთევზო. გარემო მისა დაბნები ლაკვის მთამდე. მას ზეით ერთვის ქციას ხევი ერანთურანისა, გამოდის ერჯავანს მთას, მოერთვის ჩრდილოდამ საბატეს, ქციას. მას ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუმბათიანი, წალკას დიდი, კეთილნაშენი, ზის ეპისკოპოზი, Cწყემსი თრიალეთისა. მას ზეით კოხტა-ცრეცის-ხევი, სდისვე ერჯევანსა და თორის მთასა. მიერთვის ქციას არწივანს. თეზის ხრამსა შინა არს მონასტერი კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და აწ არს ცარიელი. მას ზემორ ხაპონაურისა და ცხვრისის-ხევი, გამოდის თორის მთას, მოერთვის ქციას თეზის ხრამსა შინა, პირისპირ კოხაჯის-ხევის. ქვემორ სამხრიდან ერთვის ქციას ავლადის-ხევი. გამოდის ხევღრმის ხრამსა. ესე არს ცივი ანუ მყინვარი. მას ქვემორ ერთვის ქციას ხევ-ღრმისა და ანდ-

რაპოლთისის-ხევი. ხოლო ახალქალაქს ქვეით ერთვის ქციას ხევი აბანოსი ჩრდილოდამ. მას ქვეით ერთვის ქციას ხევი კარწახისა, გამოდის უზნარიანს, მოდის აღმოსავლეთად. კარწახის-ხევის შესართავს ქვეით არს ციხე მოდი-მნახისა კვირიკეთის მთის ძირში, ჩრდილოთ კერძ, ქციის მდინარის პირს. ამას ზევით არს თრიალეთი მოსავლით, ვითარცა ტაშირი და დაბანის-ხევი დავსწერეთ თაფლითურთ. ხდიან ესენიცა სელისაგან ზეთსა“.

— შემდგომად ამისა აღწერილია შავნაბადა, თავკვეთილი და ფარავანი. — ესენი ხომ ვიცით.

მეორე დღეს დაისვენეს, კარგად იბანავეს, საღამოთი მოამზადეს საგზალი და დილაადრიანად თრიალეთისკენ გასწიეს.

სოფელ ახას ზევით, სანამ ხრამი დაიწყებოდა, გადასჭრეს ახას წყალი, გადაიარეს ქედი და აჰყვნენ ჭოჭიანის მარჯვენა ნაპირს. მართლაც ნამდვილი ჭოჭი იყო დაყენებული. მარცხენა ნაპირი, საკმაოდ დაცემული, დიდ ველობსა ჰქმნის და ნესტიანი მდელოთია დაფარული.

წკრიალა დილა იყო და, თუმცა მძიმე ჩანთები ამძიმებდათ, მართლა გაკრული ნაბიჯით მიდიოდნენ. დრო იყო, რომ მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე გადასულიყვნენ. მალე შეუყვნენ ერთ დამრეც ფერდოს, ის-ის იყო გაუხვიეს სამხრეთით, რომ მათ წინ კურდღელი გადმოხტა.

— აგერ-აგერ... — ჰკიოდა ერეკლე.

თითქოს და კურდღლის მხარდამხარ მიდისო, საკმაოდ მუქი მელა მირბოდა.

— მგონი კურდღელი გადავარჩინეთ, მელა ჩასაფრებული ყოფილა და ორივე დავაფრთხეთ. — განმარტა შალვამ.

ნადირნი მალე გადაეფარნენ სერებს და ჩვენს მოგზაურებსაც გულები ჩაუდგათ საგულეში.

— ეს რაღა უნდა იყოს? — ხელი გაიშვირა სერის ზურგისაკენ ერეკლემ.

— ეს კი ტურაა. ხედავთ ერთ კურდღელს რამდენი უცდიდა?

გამოშტერებული იდგა ტურა, თითქოს ვერავის ხედავსო. მაგრამ გივიმ რომ დაჰკივლა, მაშინ კი შეხტა და ქვევით დაეშვა. საცოდავი იყო, განგური ჯერ მთლიანად არ გასცვენოდა და ბარძაყებზე კონკიძველასავით აქა-იქ ეკიდა.

— ტურა მაინც ტურაა, არც სიარული უვარგა, არც შეხედულება.

— რა გინდა მისგან? კონსულად ხომ არ გამოგეცხადება!

ამ საუბარში გადაიარეს ჭოჭიანის მარცხენა ფერდო და დაადგნენ მის მარჯვენა შენაკადის თვალით უჩინარ ბილიკს; ვახტანგმა რუკა მოჩხრიკა, მაგრამ ამ შენაკადის სახელი ვერ ნახა, არც სადმე მწყემსი ჩანდა, რომ მისთვის ეკითხათ. ეს შენაკადი ჯერ ჭოჭიანის ხეობებში იკარგება, შემდეგ ისევ ჩნდება და იქ, სადაც გომარეთის საურმე გზა ჭოჭიანს გადაჰკვეთს, უერთდება ამ უკანასკნელს. აქედან დახრამდება და გომარეთის პირდაპირ უერთდება ქციას. კვირიკეს მთის ბრტყელ მწვერვალზე რამდენიმე პატარა ტბა ჩანდა, რომლებიც მზიან დღეში სარკესავით ელვარებდა.

ხრამი აქ ღრმა არ იყო, ჩაირბინეს მის ნაპირთან და გაიგრილეს სახე. თავის აბგებს თანაბრად მოაკლეს — ერთმა ხაჭაპური, მეორემ კიტრები, პური, ყველი და სხვა სანოვაგე.

საუზმის შემდეგ კანიონზე აღარ ავიდნენ და პირდაპირ მდინარის კალაპოტს აჰყვნენ. ინანეს კი, რადგან, მაღლა რომ აიხედეს, კანიონი საკმაოდ დამრეცი და ციცაბო ჩანდა; უკან აღარ დაბრუნდნენ და ახალგაზრდებს მეკლდეურობა გამოადგათ; შალვა კი ნაცადი იყო და ახლებს არ ჩამორჩა, ავიდნენ და მათ წინ სამხრეთის ზეგნების მდელო ჭრელ ხალიჩასავით გაიშალა. მართალია, ხვითქი ჩამოსდიოდათ, მაგრამ ამ სილამაზემ თვალი მოსჭრათ და სახეზე ღიმილი აუთამაშდათ. მათ წინ მწვერვალი აიმართა, რომელიც ზეგანს 200-300 მეტრით მაინც ასცილებოდა, ეს წყაროსთავი იყო. ოდნავ შესამჩნევ ბილიკს გაჰყვნენ და წყაროს თავის ჩრდილოეთის ფერდობზე გავიდნენ. გაოცებულნი დარჩნენ: კლდეებიდან აუარებელი წყარო გადმოჩუხჩუხებდა, ზოგი მათგანი დიდი წისქვილის ქვას დაატრიალებდა. მოიხსნეს აბგები და წყაროს ჩქერებით ხარობდნენ.

შალვამ მიიხედ-მოიხედა.

— გივი სად არის?

— მართლა, გივი!

ვახტანგი შეტრიალდა და ხრამისკენ გაიქცა, სიჩქარეში კლდეს ფეხი წამოჰკრა.

— ფრთხილად!

— გივიი!

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მობრუნდა.

— არა ჩანს!

— იმის ხმა ჭოჭიანიდან აღარ გამიგია! — თქვა შალვამ. — იქ ხომ არ დაგვცილდა?

— იქნებ გადავარდა!

— ეგ როგორ დაგვემართებოდა, ამხანაგი გადაგვივარდა და ვერ გავიგეთ?

გულამოვარდნილები მოადგნენ ხრამზე ჩამავალ ბილიკს.

— გივიიი!

— წიკლაურო...

— ფრთხილად!

— აბგები მოვიხსნათ.

— არა.

აბგებიანად ჩაჰყვნენ კანიონს.

— გივიიი!

— აჰაუ! — გამოსძახა მხარმარჯვნივ სასულე გვირაბიდან გამომდგარმა გივიმ.

— ვაი შენ ჩემო თავო, შეგაწუხეთ არა?

— რახან გნახეთ, შეწუხება ჭირსაც წაუღია!

— აბა მოდით, რა გაჩვენოთ... — კვლავ უკან შებრუნდა წინ შეგებებული გივი.

ფრთხილად გაიარეს ხრამის საკმაოდ სახიფათო, მაგრამ სავალი ბილიკი და ერთ დიდ გამოქვაბულს მიადგნენ.

გამოქვაბულის უკანა კედელი მთლიანად ობსიდიანისა ჩანდა. ჭერის ნაწილიც, უკანა კედელთან, ობსიდიანისა იყო. ძირს „იატაკზე“ აუარებელი ნამსხვრევი ეყარა. გამოქვაბულის შუაში, სინათლისაკენ, ბაზალტის დიდი ლოდი იდო; ასეთივე ქვები თითქოს გლუვ სახელურიანი, კიდევ მონახეს. რაც მთავარია, დიდი ლოდის გვერდით ადამიანის ორი ჩონჩხი იყო: ერთი — მუხლებში მოხრილი, მეორე — გაშლილი. ორივეს თავის ქალის კინკრიხო ჩატეხილი ჰქონდა.

დასცქეროდნენ შორეულ წინაპრებს და ფიქრობდნენ:

„ესენი რომ ხელოსნები იყვნენ, ეს ნათლად ჩანს. ამიტომ გდია პატარა გრანიტის ქვა — ჩაქუჩი იქ, სადაც ხელის მტევანია; სწორედ ასეთივე გრანიტი სჭერია მეორესაც“.

მცირე ფიქრის შემდეგ დაიწყეს გამოქვაბულის ყოველი კუთხის მოსინჯვა, განსაკუთრებით ერეკლე ათვალიერებდა ყოველივეს, დიდხანს არა უთქვამს-რა, სხვები ჯერ მის სიტყვას ელოდნენ.

— იცით, თვითონ ლავაში ობსიდიანი არ უნდა იყოს, იგი ჩვეულებრივად ვულკანის ყელში წარმოიქმნება ხოლმე. წყაროს თავი ვულკანია, მის ყელში ეს ობსიდიანიც გაციებულა, შემდეგ ახალ წამოსულ ლავას კრატერის ყელი წამოუღია და აქ ჩამოუტანია, ან მიწისძვრის ან დედამიწის ქერქის გადანაცვლებისას. რაც იშვიათი არ იყო მაშინ, როდესაც ეს ვულკანები ქშინავდა. შემდეგ წყაროსთავმა კვლავ წარმოშვა კონუსი. ჯერ მეტს ვერას ვიტყვი, — თავისთვის ბუტბუტებდა ვახტანგი.

— ჯერ გვეყოფა, — ეს ვახტანგი იყო.

— რა არის ეს? ობსიდიანის იარაღის სახელოსნო?!

— ასე ჩანს.

— აი უყურეთ რამდენი ისრის პირებია! — მიუთითა გივიმ „ზინდანის“ გვერდით დახროვებულ ობსიდიანის ისრის წვერებზე.

— რა იცი, რომ ისრის პირებია?

— მუზეუმში ხომ მინახავს. აგერ დანები, — მიუთითა შედარებით გრძელ და ვიწრო „დანებზე“.

— ისე ჩანს, რომ სახელოსნო უცბათ დაულაშქრავთ... დაულაშქრავთ, მაგრამ ველარ ან არ წაუღიათ რამე.

— ვინ იცის მიწისძვრამ ჩაქოლა კარი. როცა ეროზიამ თავისი საქმე გააკეთა, ამ სახელოსნოს პატრონი, მისი მოდგმა, ამ მხარეში აღარც იყო.

— არა, ლავაში ობსიდიანი იშვიათია, ერეკლემ წელან სწორად ახსნა. აბა, ერეკლე, ცოტა რამ გვიამბე ამ მხარის გეოლოგიაზე, არ გვაწყენს. — მიმართა ერეკლეს შალვამ.

ერეკლემ თავი დაუქნია.

— ჯერ ერთი, ბოლნისის რაიონში, ქვემო ქართლში, ბევრია ზედაცარცული ასაკის ვულკანოგენური დანალექი ფორმაციის ქანები: ტუფო-ლავები, ტუფო-ბრექჩიები, ტუფო-ქვიშა-ქვები და ტუფები. ამ მხარეში აღმოჩენილია სხვადასხვანაირი საამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქანი. მათ შორის სახელმოხვეჭილია ბოლნისის ქვა. ეს ქვა მკვეთრად განსხვავდება ყველა ქვისაგან. თბილისში რამდენიმე ახალი შენობაა მოპირკეთებული ამ ქვით: მთავრობის სასახლე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობა, საქართველოს ნახშირის კომბინატის სახლი, კავშირგაბმულობის ახალი სახლი. ძველი შენობებიდან უნდა აღინიშნოს სიონის ტაძარი. ეს ტუფი გასცილდა საქართველოს. ღირსშესანიშნავ შენობებს მოსკოვშიც და სხვაგანაც მის პერანგს აცმევენ; ასეთია, კერძოდ, მოსკოვის ყრილობათა სასახლე.

ეს ქვა კვარცპორფირული ლავაა. ის სხვადასხვანაირად დაკლაკნილი ხაზები, რომელიც ყვითელ ფონზე ჩანს და რომელიც მას ფიცრის იერს აძლევს, ჰიდრო-ჟანგის გაჩენილია. მისი საბადო, როგორც იცით, ბოლნისის რაიონშია, იგი ს. ქვეშთან, ხატის სოფელთან, სარჩალოსა, ფარხალოსა და სხვათა მიდამოებში გვხვდება.

მისი მარაგი დაახლოებით მილიონნახევარი კუბური მეტრია. საუცხოოა ფარხალოს საბადო, აქ მისი სისქე თითქმის სამოცი მეტრია.

ბოლნისის ტუფის სიმშვენიერე ის არის, რომ იგი ზედაპირის მოხატულობით ძალიან წააგავს ხეს და თავისებურ სილამაზესა და სითბოს ანიჭებს კედელს. ალბათ ამ თვისების გამო ძველი ხუროთმოძღვარნი ცდილობდნენ ტაძრები ბოლნისური ქვით აეგოთ. ამიტომ არის, რომ ქვემო ქართლში თითქმის ყველა ტაძარი ამ ქვით არის ნაგები.

ალაგ-ალაგ ჩანს ცისფერი ტუფის გამოხავლებიც, მაგრამ მას ქვემო ქართლში ჯერ არ ამუშავებენ, თბილისის სასტუმრო „ივერია“ თემის ცისფერი ტუფით არის მოპირკეთებული.

— თუ გახსოვთ, ნახიდურთან, ახლა არხილოს რომ უწოდებენ, გაჩვენეთ — ვულკანური ლავა ეფარა გვიანდელ ნალექებს, თიხებს... ზოგან ლავის ქვეშ მიწა გაწითლებულია. ეს მოწმობს, რომ გავარვარებულმა ლავამ მიწა დაწვა და ისე გააწითლა, თუნში, თიხის ჭურჭელი რომ იწვის და წითლდება.

კეჩუთის ქედი ვულკანური კონუსების სისტემაა, ჯერ მის ჩრდილოეთით ჩამქრალი ვულკანებია: თავკვეთილი, შავნაბადა, გოდორები, გიჟი მთა, არყიანი, შამბიანი, გულთოვლის მთები, ემლიკლი.

ბევრგან კირქვების ქედებიც გვხვდება (გომარეთის მიდამოებში და სხვაგან).

ამ მწვერვალებიდან წამოსულმა ძლიერი ლავის ნაკადმა დაფარა ძველი ნალექი ფენები.

თვით ლავას თავისებური აღნაგობა აქვს. ვერ ხედავთ, წყაროები ლავის შუაში როგორ გადმოჩქეფს ერთ ხაზად? აქ ძველ ლავას ახალი დასდებია ზევიდან, მათ შორის სივრცეები დარჩენილან საიდანაც წვიმის ჩაჟონილი წყალი დღის სინათლეზე გადმოდის. მეორე შრე წყაროებისა ხევის ძირშია, იქ, სადაც ლავა ძველ ნალექებს ეფარება, ზოგან კი თიხა არ უშვებს წყალს და წყაროების სახით გადმოსჩქეფს დღის სინათლეზე; ეს ხრამები, განსაკუთრებით შავი წყლის (ყარაბულაღის) ხრამი, ძალიან მდიდარია წყაროებით, რომელსაც თბილისი ან ახალი ქალაქი მაღნეული უეჭველად გამოიყენებს თავის დროზე. ლავები ძირითადად ანდეზიტებია, მაგრამ გვხვდება ბაზალტები, დოლორიტები და სხვ.

— ამ ზეგნების ლავასავით დამაწვა ამდენი ახალი, ბიჭო! — ჩაერია ვახტანგი.

— ხუმრობა ხომ არ არის გიჟი მთიდან წამოსული ლავის ნიაღვარი!

— მაშ მილიონნახევარი წლის წინათ შეიქმნა ეს ლანდშაფტი?

— რათა მარტო მაშინ? ლანდშაფტი დღესაც იქმნება. მილიონი წლის მანძილზე ეროზიული მოქმედება აყალიბებდა რელიეფს...

— შენ, გეტყობა, დაიღალე, მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრათ კიდევ.

— კიდევ რა?

— ჩვენი ხუროთმოძღვარნი ფართოდ იყენებდნენ ერთ ქანს, რომელიც ამ ვულკანურ მხარეშია გავრცელებული, სახელდობრ ცეოლიტიან ტუფს. მეტეხის ტაძარში, სიონში, ბოლნისის სიონში და სხვაგან ეს ქანი ფართოდ არის თურმე გამოყენებული, შიგნითა სათავსების, კედლებისა თუ იატაკის მოსაპირკეთებლად. იგი ნთქავს ცუდ სუნს. მოგეხსენებათ, ტაძარში, სადაც ძველად, ღვთისმსახურების დროს, აუარებელი ხალხი იყრიდა თავს და სადაც სანთელი, საკმეველი და ზეთი იწვოდა, ცუდი სუნი იდგა. ამჟამად, უცხოეთში, მაგალითად ბულგარეთში, ამ ცეოლიტიან ტუფს (ან გაცეოლიტებულ ტუფს) ხშირად იყენებენ ბოსლებისა, საღორეებისა და საქათმეების მშენებლობაში. ეს ტუფი შეფერილობით სხვადასხვანაირია. ვარდისფერიდან ნაცრისფერამდე.

მოათავა ერეკლემ, ვახტანგმა ამოსუნთქვა არავის აცალა, გივის შეუტია, უფრო იმიტომ, რომ საუბარი შეეცვალა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ როგორ მოხვედი აქ?

— შავიწყლის ხეობიდან ხომ თან გდევდათ ობსიდიანის ისრის პირები, საფხეკელები, დანები. ამ ხეობაში რომ შემოვედით, გახსოვთ, მე უკან მოგდევდით, ჩვენს ბილიკს ცხვრის ბილიკი გამოეყო, თვალი წამიცდა, რამდენიმე ობსიდიანის ნატეხი ეგდო და მეც გავყევი, დანაც იყო, ისრის წვერიც, დაგიძახეთ კიდეც, მეგონა გაიგონეთ, გამოვყევი აქეთ, შემოველ ამ შავი ბროლის გამოქვაბულში და, როგორც ჩანს, გავერთე, დროის ანგარიში დავკარგე. თქვენ კი ვერ გაგიგონიათ ჩემი ძახილი.

ობსიდიანი ანუ ვულკანური შუშა ვულკანური ქანია. როდესაც ამსხვრევენ, დანასავით მჭრელია. ქვის ხანასა და ბრინჯაოს ხანებში იგი ფართოდ იყო გამოყენებული ისრის პირებად, დანებად, ტყავის საფხეკად და სხვა; ჯავახეთიდან და თრიალეთის ამ მხარიდან ბარის მცხოვრებთ ჩამქონდათ ობსიდიანის ლოდები და იარაღს აკეთებდნენ. დამტკიცებულია, რომ ასეთი რამდენიმე სახელოსნო იყო ბარად.

როდის-როდის წამოდგნენ, დიდი განცდის შემდეგ რაღაც თითქოს მოეშვნენ, მაგრამ ისევ გივიმ გაამხნევათ.

— გადავიდეთ მდელოზე, თორემ აქ ხომ არ გავათევთ ღამეს?

გულზე მოეშვათ და ჩქარი ნაბიჯით დაეშვნენ ქვევით. ალაგ-ალაგ მდელოზე ლეუკანთემუმიც ხვდებოდათ, რომლებიც ბევრი არ იყო, მაგრამ რუკაზე მაინც გადაჰქონდათ.

— მოდით, იცით რა? მე და გივი აი იმ სოფელში შევალთ, აიაზმა და ნარდევანი უნდა იყოს, თქვენ ამ ლეუკანთემუმს ორნიც ეყოფით, — შედგა ვახტანგი.

— მზე უკვე გადახრილია, დღეს კაი წყარო ვნახოთ, ბანაკი დავცეთ, მიდამოები კარგად მოვჩხრიკოთ და ხვალ კი, როგორც გენებოს, — უთხრა ერეკლემ. შალვამ კვერი დაჰკრა, — თანაც ეს მიწის გროვა არ გავსინჯოთ? — შედგა შალვა ერთ პაწაწინა მიწის გროვასთან.

— ეს თხუნელა უნდა იყოს, ბოსტანას დიდი მტერი. იგი, ბოსტანას ბუდეების გარდა, სხვა მატლებსაც ანადგურებს...

— მაგას ბეწვისთვის იჭერენ. საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ერთ მილიონ თხუნელას მაინც იჭერენ.

— საქართველოში?

— აქ მას სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

— მოდი ნუ შევაწუხებთ, გაიყვანოს თავის გვირაბები და იცხოვროს ტკბილად...

ეს ვახტანგი იყო.

აღარ უკამათიათ და შეუდგნენ ღამის სათევი ადგილის შერჩევას.

☐ დასასრული იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კონსტანტინე სიმონოვი**

# ქვეითი ჯარისკაცები

**მოთხრობა**

მეშვიდე თუ მერვე დღე იყო, რაც მტერს უტევდნენ. დილის ოთხ საათზე ინათა და საველიევსაც გაეღვიძა. ამ ღამით ლაბადაშემოხვეულს ეძინა იმ სანგარში, საიდანაც წინასაღამოს გარეკეს გერმანელები. ჟინჟღლავდა. სანგრის კედლები სველი იყო, მაგრამ რაკი ქარი არ უბერავდა, არც მაინცდამაინც ციოდა. წუხელ ვეღარც წინ წაიწიეს და ვეღარც ხევზე გადავიდნენ, ისე ბუგავდა ცეცხლით იქაურობას მტერი, ასეულმა ბრძანება მიიღო სანგრებში გაეთიათ ღამე.

უკვე ბნელოდა, ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, სანგრებში რომ მოეწყნენ და უფროსმა ლეიტენანტმა სავინმაც ნება დართო რიგრიგობით დაეძინათ. ერთი მებრძოლი რომ დაიძინებდა, მეორეს უნდა ეფხიზლა, საველიევი მომთმენი კაცი იყო, სულწასულობა არ სჩვეოდა, საამოს და სასურველს ბოლოსთვის შემოინახავდა. ამიტომაც უთხრა თავის მეგობარ იუდინს, პირველმა შენ წაიძინეო. მთელი ორი საათი ფხიზლობდა სანგარში საველიევი, ორის ნახევარზე კი მუჯლუგუნი ჰკრა მეგობარს. იუდინი წამოდგა, საველიევი კი ლაბადაში გაეხვია და ხაძინა. თითქმის ორსაათნახევარი ეძინა და, ინათა თუ არა, გაეღვიძა.

— თენდება თუ? — ჰკითხა იუდინს ლაბადიდან თავგამოყოფილმა, განა იმის შესამოწმებლად ჰკითხა, მართლა თენდება თუ არაო, არა, უფრო იმის გასარკვევად, — იუდინმა ხომ არ წათვლიმაო.

— თენდება, — უთხრა იუდინმა დილის სიგრილისაგან აკანკალებული ხმით. — დაიძინე, დაიძინე, ჯერ ადრეა!

მაგრამ ძილი ვინღა აცალა. სანგარში ოცეულის მეთაურმა ეგორიჩევმა ჩამოიარა და, აბა ადექითო, ბრძანა.

საველიევმა რამდენჯერმე გაიზმორა, ისე რომ ლაბადიდან არც გამომძვრალა, და შემდეგ უცებ წამოხტა.

ამასობაში ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი სავინიც მოვიდა, დილიდანვე რომ ჩამოევლო ყველა ოცეულისათვის და აეხსნა, დღეს რა ამოცანა ელოდათ: უნდა დადევნებოდნენ და დაწეოდნენ მოწინააღმდეგეს, რომელსაც ალბათ ორი ან სამი კილომეტრით დაეხია უკან. სავინი ჩვეულებრივ საუბარში გერმანელებს „ფრიცებად“ იხსენიებდა, მაგრამ როცა მებრძოლებს დღის ამოცანას უხსნიდა,

მუდამ მოწინააღმდეგეს უწოდებდა.

— მოწინააღმდეგეს, — ამბობდა იგი, რაც შეიძლება მალე უნდა დავეწიოთ. თხუთმეტ წუთში გავდივართ.

საველიევი წამოდგა და სანგარშივე აღიჭურვა გულმოდგინედ. ავტომატის გარდა ტყვიამფრქვევის დისკო, ყუმბარები, ნიჩაბი, საჭმლის ხელშეუხებელი მარაგის ჩანთა ეკიდა ზურგზე. ეს ყველაფერი კი დაახლოებით ერთ ფუთს, ან იქნებ მეტსაც იწონიდა. წონით, მართალია ,არასოდეს არ აუწონია, მაგრამ მხრებზე რომ მოიკიდებდა, თუ დაღლილი არ იყო, ფუთზე ნაკლები ეჩვენებოდა, დაღლილს კი უფრო მეტიც.

ჟინჟღლავდა. მზე ჯერ არ ჩანდა. მდელოზე ბალახი სველი იყო, ალაფებულ მიწას ფეხქვეშ გაჰქონდა ჭყაპუნი.

— დახე რა მურდალი ზაფხულია! — ჩაილაპარაკა იუდინმა.

— ჰო, — დაეთანხმა საველიევი, — ოქროს შემოდგომა დადგება.

— თუ მიატანე ამ ოქროს შემოდგომამდე! — წაიდუდღუნა იუდინმა, ვისაც ბრძოლაში გაბედულება არ აკლდა, მაგრამ შავი ფიქრები კი ხშირად ეძალებოდა.

ახლა მათ მშვიდობიანად გადაჭრეს ის ხევი, გუშინ რომ ვერა და ვერ გადაიარეს. გრძელ ხევზე კარგა ხანს სიწყნარე სუფევდა, არ ისმოდა სროლის ხმა. მხოლოდ წვიმის წყლით გავსებული, ნაღმებისაგან ამოთხრილი პატარ-პატარა ორმოები თუ გაგახსენებდა, რა გახურებული ბრძოლა იყო გუშინ აქ.

ოციოდე წუთის შემდეგ პატარა ტყეს მიაღწიეს. ტყის პირზე გათხრილ სანგრებში, გერმანელებს რომ ღამით მიეტოვებინათ, აერწინაღების ქილები ეყარა, ხოლო ნაღმმტყორცნების გვერდით ნაღმებით სავსე ექვსი ყუთი მოჩანდა

— აბა, უყურე, დაუტოვებიათ, — თქვა საველიევმა.

— ჰო, დაეთანხმა იუდინი. — მკვდრებს კი არ ტოვებენ. ან იქნებ გუშინ არავინ მოგვიკლავს?

— რას ამბობ, როგორ არ მოგვიკლავს? — შეესიტყვა საველიევი, რომელმაც ახლაღა შეამჩნია, რომ იქვე, მეორე სანგარი სულ ახალი ამოვსებული იყო მიწით. იქიდან კი გერმანული ჩექმა მოჩანდა, ძირი რომ ფართოთავიანი ლურსმნებით ჰქონდა დაჭედილი.

— აგერ დაუმარხავთ, ნახე, — თავი გაიქნია საველიევმა მიწით ამოვსებულ სანგრისკენ, საიდანაც ამოშვერილი ჩექმა ჩანდა.

ორივეს ესიამოვნა გულში, რომ საველიევი მართალი გამოდგა. დაიკავო გერმანელების სანგრები, ამდენი ამხანაგი დაკარგო და ერთი მოკლული მტერი არ ნახო, აბა, არ დაგწყდება გული? მართალია იცოდნენ, გერმანელებს მოკლულები ეყოლებოდათ, მაგრამ სულ სხვაა, როცა საკუთარი თვალით დარწმუნდები.

ტყე ფრთხილად გაიარეს, სადმე მტერი არ იყოსო ჩასაფრებულიო, მაგრამ მტერი არსად ჩანდა.

ტყის მეორე მხარეს გაშლილი მინდორი დახვდათ. წინ, ნახევარი კილომეტრის მანძილზე მიმავალი მზვერავები მოჩანდნენ. მაგრამ ხომ შეიძლება გერმანელებს ისინი წინ გაეშვათ და მერე ასეულისათვის დაეშინათ ნაღმები. ამიტომაც უფროს ლეიტენანტ სავინის ბრძანებით ასეული მინდორზე დაშორიშორებულ მწკრივებად გაიშალა და უხმოდ, მდუმარედ გასწიეს წინ. საველიევი მოელოდა, ჰა და ჰა, ნაღმებს დაგვიშენენო. ორი კილომეტრის მოშორებით გორაკები მოჩანდა და გერმანელებიც უთუოდ იქ იქნებოდნენ ჩასაფრებულნი.

მართლაც, მზვერავებმა ერთი კილომეტრი კიდევ რომ გაიარეს, საველიევმა ჯერ თვალი შეასწრო, მერე კი გაიგონა, როგორ გასკდა ერთბაშად რამდენიმე ნაღმი იმ ადგილას, სადაც მზვერავები იმყოფებოდნენ. უმალვე

იმ გორაკებს დასცხო ჩვენმა არტილერიამაც. საველიევმა იცოდა, სანამ არტილერია ამ გერმანულ ნაღმმტყორცნებს არ ჩააჩუმებდა, ან იქიდან სხვა ადგილას არ გადარეკავდა, ისინი არამც და არამც არ შეწყვეტდნენ სროლას და ალბათ მათს ასეულსაც ამასობაში კარგად ამოიღებდნენ ნიშანში.

ჰოდა, იმ დროისათვის რაც შეიძლება მეტი გზა რომ გაევლოთ, მებრძოლებმა ნაბიჯს აუჩქარეს, თითქმის სირბილით გაექანენ წინ. თუ აქამდე ზურგჩანთის სიმძიმემ საველიევს ლამის მხრები ჩამოაწყვიტა, ახლა, მოახლოვებული ბრძოლის ცეცხლით აღგზნებულს, სულ გადაავიწყდა მისი არსებობა.

ასე იარეს კიდევ სამი თუ ოთხი წუთი. უცბათ უკან, სადღაც სულ ახლოს გასკდა ნაღმი. მისგან ასე ორმოციოდე ნაბიჯზე ვიღაცამ შეჰყვირა და ჩაჯდა.

საველიევი მოტრიალდა და დაინახა, რომ იუდინი, ვინც ამავე დროს სანიტარიც იყო, ჯერ შედგა და შემდეგ დაჭრილისაკენ გაიქცა.

ნაღმები ახლა სულ ახლოს ცვიოდა მებრძოლები მიწას გაეკვრნენ. როცა კვლავ ფეხზე წამოიჭრნენ, საველიევმა მოასწრო და შეამჩნია, რომ არავის არ მოხვედროდა.

ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ გაეკვრნენ მიწას და რამდენჯერ წამოცვივდნენ ზეზე, ვიდრე ერთ კილომეტრს გაივლიდნენ იმ პატარა გორაკებამდე. მზვერავები თურმე იქ ყოფილან ჩამალულნი. არავინ დაჭრილიყო. მტერი ხან ნაღმმტყორცნებით უშენდათ ცეცხლს, ხან ტყვიამფრქვევებით. საველიევსა და მის თანამებრძოლებს ბედმაც გაუღიმათ. სადაც ისინი მოკალათდნენ, სანგრებივით მოჩანდა რაღაც. (ალბათ გერმანელებმა აქ სანგრების გათხრა დააპირეს, მაგრამ მერე თავი დაანებეს). საველიევი ჩაწვა სანგარში, ნიჩაბი ჩამოიღო, ცოტა კიდევ ამოთხარა მიწა და წინ ზვინად დაიყარა.

ჩვენი არტილერია ისევე მაგრად უშენდა ცეცხლს გორაკებს. გერმანელთა ნაღმმტყორცნებმა ერთიმეორის მიყოლებით ხმა გაიკმინდეს.

საველიევი და მისი მეზობლები ყოველ წამს მზად იყვნენ ბრძანების უმალ წამომხტარიყვნენ და წინ გაქანებულიყვნენ. ხუთასიოდე მეტრი იქნებოდა იმ გორაკებამდე, მაგრამ ეს ხუთასი მეტრი სულ მიტოვებული იყო. იუდინი ხუთიოდე წუთის შემდეგ დაბრუნდა.

— ვინ დაჭრეს? — ჰკითხა საველიევმა.

— გვარი არ ვიცი, მაგრამ გუშინ რომ შესავსებად მებრძოლები მოიყვანეს, იმათგანია. აი, ტანმორჩილი რომ იყო, — უპასუხა იუდინმა.

— მძიმედ დაჭრეს?

— არც ისე მძიმედ, მაგრამ მწყობრიდან კი გამოვიდა.

ამ დროს მაღლა გადაიშხუილა „კატიუშას" ყუმბარებმა და გორაკები მთლიანად კვამლმა დაფარა. სარდლობის მიერ გაფრთხილებული უფროსი ლეიტენანტი სავინიც ალბათ ამ წუთებს უცდიდა, როგორც კი ყუმბარათა ბათქი გაისმა, მებრძოლთა მწკრივებს წამოდგომა უბრძანა.

საველიევმა გულდაწყვეტით დახედა სველ სანგარს და კისრიდან ავტომატის ღვედი ჩამოიწია. რამდენიმე წუთს ისე მირბოდა სხვა მებრძოლებთან ერთად, რომ სროლის ხმა არ გაუგონია, მაგრამ როცა გორაკებამდე სულ ორასიოდე მეტრი თუ იმაზე ნაკლები დარჩა, იქიდან ერთბაშად დასცხეს ტყვიამფრქვევებმა, ჯერ ერთმა მარცხნიდან, მერე ორმა შუა ადგილიდან. საველიევი მოწყვეტით დაასკდა მიწას. მაშინღა იგრძნო, რომ სულს ველარ იბრუნებდა და გულიც ამოვარდნაზე ჰქონდა. ამ დროს მის უკან ვიღაცამ (ამ ორომტრიალში საველიევმა ვერ გაარჩია, ვინ), ვისაც მიწაზე გაწოლა ვერ მოესწრო, არაადამიანური ხმით შებღავლა.

სანგარს ჯერ ერთმა, მერე მეორე ყუმბარამ გადაუქროლა თავზე. მიწიდან

არ მოუცილებია ლოყა, ისე მოაბრუნა საველიევმა თავი და დაინახა, რომ ასორმოცდაათიოდე ნაბიჯზე ჩვენი მსუბუქი ზარბაზნები იდგნენ და ჯიქურ უშენდნენ ყუმბარებს გერმანელებს. აი, კიდევ გადაიშხუილა ყუმბარამ და გერმანელების ტყვიამფრქვევიც, მარცხნიდან რომ ისროდა, ჩააჩუმა. იმავ წუთს საველიევმა თვალი მოჰკრა, რომ ოთხი კაცის იქით გაწოლილი ეგორიჩევი ზევით არც წამოწეულა, ისე გაიქნია ხელი წინ და ხოხვა-ხოხვით დაიძრა. საველიევიც უკან მიჰყვა. ტალახიან მიწაზე ხოხვა ჭირდა. როცა წინ გაცოცდებოდა და ბალახს წაავლებდა ხელს, ღეროები თითებს ჭრიდა.

ზარბაზანთა გრიალი კი არ წყდებოდა და არა. მართალია, არც გერმანელების ტყვიამფრქვევები დადუმებულან, მაგრამ საკუთარ ზარბაზანთა ყუმბარების ბათქაბუთქი სველ მიწაზე ხოხვას უადვილებდა საველიევს.

ახლა გერმანელებთან სულ ახლოს იყვნენ. ტყვიამფრქვევების ჯერი ხან უკან, ხან გვერდით არხევდა ბალახს. საველიევი კიდევ ათიოდე ნაბიჯზე გადახოხდა და როგორც სხვებმა, იმანაც იგრძნო, რომ ან აი ახლა ან ერთი წუთის შემდეგ უნდა წამოხტეს და უკვე დარჩენილი ასიოდე მეტრი ზეზეურად გადაირბინოს.

ზარბაზნებმა კიდევ რამდენჯერმე იქუხა, ჯერ ცალ-ცალკე და მერე კი ყველამ ერთად. სანგრებიდან ჰაერში ავარდნილმა მიწამ ყველაფერი დაფარა. იმავე წამს ასეულის მეთაურის სტვენა გაისმა. საველიევმა მხრებიდან გადაიგდო ზურგჩანთა (მის წასაღებად სანგრების აღების შემდეგ მობრუნდებოდა), წამოხტა და ავტომატის სროლით გაქანდა წინ. უცბათ ხაროზე წაბორძიკდა და მიწას დაასკდა, მაგრამ უმალ ისევ წამოიჭრა და გაიქცა. იმწუთას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: სწრაფად მიეღწია გერმანელების სანგრამდე და შიგ ჩაჰხტარიყო. იმაზე კი, იქ გერმანელი რომ დახვდებოდა, არც უფიქრია. იცოდა, როცა სანგარში ჩახტებოდა, ყველაზე საშინელ რამეს უკან მოიტოვებდა, გინდაც იქ უამრავი გერმანელი დახვედროდა. ყველაზე საშინელი კი ეს დარჩენილი მანძილი იყო, ეს მოტიტვლებული ადგილი, სადაც ვერაფერს მოეფარებოდა.

მას ფეხი დაუცდა, დაეცა და ისევ წამოიჭრა, ამხანაგებმა ამასობაში წინ გაუსწრეს ჰოდა, სანგარში რომ ჩახტა, იქ პირქვე დაგდებული მოკლული გერმანელი დაინახა, ხოლო ვიღაც მებრძოლი, წვიმისაგან გალუმპული გიმნასტურა რომ ეცვა, უკვე სხვა მხარეს გარბოდა. საველიევი მას გაედევნა, მერე კი მარცხნივ გადაუხვია და გერმანელს შეეჩეხა, მისკენ რომ მორბოდა. ისინი ერთმანეთს ვიწრო სანგარში შეეჯახნენ. საველიევმა მომარჯვებული ავტომატი პირდაპირ მკერდში ატაკა და წააქცია. მაგრამ თვითონაც დაკარგა წონასწორობა და ცალ მუხლზე ჩაიჩოქა. დიდი ვაი-ვაგლახით წამოდგა. ამ დროს იმ მხრიდანვე, საიდანაც გერმანელი გამოხტა, ზემდეგი ეგორიჩევი გამოჩნდა, ალბათ ამ გერმანელს მოსდევდა. გაფითრებულიყო, თვალები კი ბოროტად უელავდა.

— მოჰკალი? — ანიშნა საველიევს ძირს დავარდნილ გერმანელზე. მაგრამ გერმანელმა, თითქოს ეგოროვიჩის სიტყვების გასაბათილებლად, ამ დროს რაღაც წაიბურდღუნა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა, ვინაიდან სველ სანგარში ფეხი ცურავდა, ხელები კი ზევით ჰქონდა აწეული.

— აღე, აღე-მეთქი! ჰენდე ნიჰტ, — უთხრა საველიევმა გერმანელს იმის ნიშნად, ხელები ძირს დაუშვიო.

მაგრამ გერმანელს ხელების ჩამოწევისა ეშინოდა და ისევ ლამობდა ადგომას. მაშინ ეგორიჩევმა ქეჩოში ჩაავლო ცალი ხელი და წამოაყენა.

— უფროს ლეიტენანტს მიჰგვარე, მე კი წავალ, უთხრა ეგორიჩევმა და სანგრის მოსახვევში გაუჩინარდა.

ვიწრო სანგარში საველიევმა რის გა-

პირვებით გაიგდო წინ გერმანელი. გაიარეს სანგარი. სადაც საველიევმა გაშხლართული მკვდარი გერმანელი დაინახა, და სანგრის მოსაქცევში შეუხვიეს. ის „კატიუშას" ცეცხლის შედეგი დაუდგა თვალწინ.

სანგრებშიაც კი სანგრების ნაპირებზეც ყველაფერი გადამწვარ-გადაბუგული იყო. მაღლა და დაბლა გერმანელების გვამები ეყარა. ერთი სანგრის კიდეზე ეგდო· თავიც და ხელებიც ძირს ჩაეკიდა.

„ალბათ ჩახტომა უნდოდა და ვერ კი მოასწრო", — გაიფიქრა საველიევმა.

ასეულის შტაბი სანგრეთის ახლოს ამოთხრილ ნახევრად დანგრეულ მიწურის გვერდით იპოვა საველიევმა. აქ ყველაფერი, ამ მიწურის ჩათვლით, ჰაიჰარად იყო ნაკეთები. ეტყობა, იგი გერმანელებმა გუშინ ამოთხარეს. ყოველ შემთხვევაში, ეს მიწური არაფრით არ მიაგავდა გერმანელების მიერ მკვიდრად ნაგებ ბლინდაჟებსა და სანგრებს, რომლებიც საველიევმა შეტევაზე გადასვლის პირველ დღეს ნახა, როცა გერმანელების თავდაცვის ხაზი გაარღვიეს. „ვეღარ ასწრებენ", — გაიფიქრა მან კმაყოფილებით და ასეულის მეთაურისკენ მიტრიალდა.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ზემდეგმა ეგორიჩევმა მიბრძანა ტყვე თქვენთან მომეყვანა.

— კეთილი, მოიყვანე, — თქვა სავინმა.

მიწურის გასასვლელში კიდევ სამი გერმანელი ტყვე იდგა, რომელთაც საველიევისათვის უცნობი მეავტომატე სდარაჯობდათ.

— აი, კიდევ ეს ერთი ფრიცის ჩაიბარე ძმობილო, — უთხრა საველიევმა·

— სერჟანტო, — გასძახა უფროსმა ლეიტენანტმა მეავტომატეს. — როცა ყველა თქვენთან მოიყრის თავს, წაიყოლეთ კიდევ ერთი მსუბუქად დაჭრილი მებრძოლი და ორივემ ბატალიონში ჩააბარეთ ტყვეები.

ახლაღა შეამჩნია საველიევმა, რომ მეავტომატეს მარცხენა ხელი შეხვეული ჰქონდა და ავტომატი მარჯვენით ეჭირა.

საველიევი სანგრებშივე გაბრუნდა, ერთი წუთის შემდეგ ეგორიჩევი და კიდევ რამდენიმე თავისიანი მოძებნა. იქ უკვე წესრიგი დამყარებულიყო და მებრძოლებს სროლისათვის მარჯვე ადგილები დაეკავებინათ.

— იუდინი სად არის, ამხანაგო ზემდეგო? — ჰკითხა საველიევმა, რომელსაც მეგობრის ბედი აწუხებდა.

— უკან გაბრუნდა, დაჭრილებს უნდა მიხედოს.

ამ ბოლო დღეებში ლამის მეათედ გაიფიქრა საველიევმა, თუ რა მძიმე საქმე აკისრია იუდინს. ხომ იმასვე აკეთებს, რასაც საველიევი, გარდა ამისა, დაჭრილებიც გამოჰყავს წინა ხაზიდან და პირველ დახმარებასაც უწევს. „იღლება ალბათ და იმიტომაც ბუზღუნებს", — გაიფიქრა მან.

ეგორიჩევმა მასაც მიუჩინა ადგილი. საველიევმა ამოაქვრინა ნიჩაბი და უფრო გააფართოვა მისთვის მიჩენილი კუთხე, რა იცი, რა მოხდებაო.

— აქ არც ისე ბევრნი ყოფილან, — ჩაილაპარაკა ეგორიჩევმა, საველიევის გვერდით ტყვიამფრქვევს რომ დგამდა. — არ ნახე, რა დღე აყარა „კატუშებმა" მათ?

— ვნახე, მაშ! — უთხრა საველიევმა·

— „კატუშებმა" რომ დასცხეს, სულ ცოტანიღა დარჩნენ. არა, მართლა რა დიდებულ-ჩინებულად დასცხეს! — გაიმეორა ეგორიჩევმა.

საველიევმა კარგახანია იცოდა ეგორიჩევის ეს ჩვეულება — „დიდებულ-ჩინებული" ერთი სულის მოთქმით წარმოეთქვა, როცა რაღაც მეტისმეტად გაახარებდა.

ოჰ, რა ცხონება იქნებოდა ახლა გაბოლება! მაგრამ იუდინი არა და არ ჩანდა, მარტოს კი ერცხვინებოდა მოწევა. ის იყო მიწაყრილის ახორხოლა-

ვება მოათავა, რომ იუდინიც დაბრუნდა.

— არ გავაბოლოთ, იუდინო? — უთხრა გახარებულმა საველიევმა.

—გაშრა კი?

— გაშრებოდა, აბა რა იქნებოდა. — უპასუხა საველიევმა და გერმანულ საკარაქეს თავი ახადა. ეს საკარაქე მან წუხელ სანგარში იპოვა და ახლა სათუთუნედ გაეხადა.

— ამხანაგო ზემდეგო, თქვენც გააბოლებთ? — მიუბრუნდა იგი ეგორიჩევს.

— რა, წეკო გაქვს?

— მაქვს, მაგრამ ცოტა ნესტიანია.

— მომეცი, დაეთანხმა ეგორიჩევი.

საველიევმა თითო-თითო მწიკვი წეკო ჩაუყარა ეგორიჩევსა და იუდინს უკვე გამზადებულ ქაღალდის ნაგლეჯებში. მესამე მწიკვი თვითონ დაიყარა. უცებ გაიზუზუნა ყუმბარამ და ზედ მათ სანგართან აფეთქდა. მიწის ბელტები ჰაერში აიჭრა. სამივენი ჩაიცუცქნენ.

— ამას ვერ უყურებ! — განცვიფრდა ეგორიჩევი, — წეკო ხომ არ დაგებნათ?

— არა, არ დაგვბნევია, ამხანაგო ზემდეგო! — უპასუხა იუდინმა. წეკო ასევე ჩაცუცქულებმა შეახვიეს.

საველიევმა დახედა თავის წეკოს და გულდაწყვეტილმა დაინახა, რომ თუთუნი მთლიანად ჩაბნეოდა სანგრის ძირზე დამდგარ წყალში. სინანულით გახსნა ისევ საკარაქე და ერთი მწიკვი კიდევ დაიყარა ქაღალდის ნაგლეჯზე. ორის ნაცვლად ახლა ერთი მწიკვიღა რჩებოდა.

ის იყო ნაფაზი დაარტყეს, რომ ისევ ატყდა ქვემეხთა გრიალი. მიწის დიდრონი ბელტები სანგრის ძირზე წყალში ცვიოდა.

— ალბათ წინასწარ ჰქონდათ ნავარაუდევი, — ჩაილაპარაკა ეგორიჩევმა. — იცოდნენ, აქ დიდხანს არ ვაბოგინებდით.

ახალი ჭურვი შიგ სანგარში აფეთქდა, მაგრამ ცოტა მოშორებით. ამიტომაც არავის მოხვედრია. საველიევმა სანგრის მიწაყრილიდან გახედა გერმანელთა მხარეს. იქ სიცოცხლის ნიშანი არ შეიმჩნეოდა.

ეგორიჩევმა ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა და კვლავ უსიტყვოდ ჩაიდო.

— რა დროა, ამხანაგო ზემდეგო? — ჰკითხა საველიევმა.

— შენი აზრით, რა დრო იქნება? — თავის მხრივ ჰკითხა ეგორიჩევმა.

საველიევმა ცას ახედა, მაგრამ ცა ღრუბლებს მთლიანად დაეფარა, და აბა რას გაარკვევდა. წინანდებურად ცრიდა და ცრიდა.

— ალბათ დილის ათი საათი იქნება. — უპასუხა მან.

— შენ რას იტყვი, იუდინო? — ჰკითხა ეგორიჩევმა.

—მგონი შუადღე უნდა იყოს. — უთხრა იუდინმა.

— ოთხი საათია, — თქვა ეგორიჩევმა.

ამისთანა დღეებში საველიევს ყოველთვის ეკარგებოდა დროის შეგრძნება, ღამეც უცებ წამოადგებოდა ხოლმე თავზე, მაგრამ მაინც განცვიფრდა, რა სწრაფად გასულა დრო.

— მართლა ოთხი საათია? — ხელმეორედ იკითხა მან.

— ესეც შენი „მართლა". — უპასუხა ეგორიჩევმა. — ოთხს კიდეც გადასცილდა.

გერმანელთა არტილერია კიდევ კარგა ხანს ისროდა, მაგრამ უნაყოფოდ. შემდეგ სანგარში კიდევ აფეთქდა ერთი ჭურვი, თუმცა — მოშორებით. იქიდან სწრაფად გამოუძახეს იუდინს. იუდინმა ათი წუთი დაჰყო იქ. უცებ კვლავ გაიზუზუნა ჭურვმა და იქ გასკდა, სადაც იუდინი იმყოფებოდა. მერმე კვლავ მიყუჩდა იქაურობა. მეტი აღარ უსვრიათ.

იუდინი რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა. პირსახეზე მიტკლისფერი ედო.

— რა მოგივიდა, იუდინო? — გაოცდა საველიევი.

— არაფერი, — მშვიდად მიუგო იუდინმა. — დამჭრეს. — იუდინს გიმნასტურის სახელო მთელ სიგრძეზე ჰქონდა გაჭრილი, ქამარში ჩატანებული ხელი კი ტანზე ბინდით მიკრული. საველიევი მიხვდა, რაკი ასე მოქცეულან, მაშასადამე, ჭრილობა სახუმარო არ არისო.

„შეიძლება გადატეხილიც ჰქონდეს“, — გაიფიქრა საველიევმა.

— როგორ მოგივიდა? — ჰკითხა მან იუდინს.

— ვორობიოვი იყო დაჭრილი და ჭრილობას ვუხვევდი, როცა სულ ახლოს აფეთქდა ყუმბარა. ვორობიოვი იქვე მოკლა, მე კი... თვითონ ხედავ, რაც დამემართა.

იუდინი სანგარში ჩამოჯდა.

— ერთი გააბოლე და მერე წადი, — შესთავაზა საველიევმა და კვლავ ამოიღო თავისი საკარაქე. ჯერ იფიქრა, შიგ ჩარჩენილ წეკოს შუაზე გავყოფო, მაგრამ მერე თვითონვე შერცხვა თავისი ფიქრისა, წეკო მთლიანად შეახვია ქაღალდში და იუდინს მიაწოდა. მან მარცხენა უვნებელი ხელით გამოართვა და, მომიკიდეო, სთხოვა. გერმანელები უკვე აღარ ისროდნენ. სიწყნარე სუფევდა.

— აბა, სანამ სროლა არ დაუწყიათ, მე წავალ, მეგობარო, — თქვა იუდინმა და წამოდგა.

მან პაპიროსი პირის კუთხეში მოიქცია და საველიევს კვლავ მარცხენა ხელი გაუწოდა.

— იცი, რას გეტყვი... — დაიწყო საველიევმა და გაჩუმდა. თავში გაუელვა, ვინ იცის, იუდინს ხელიც მოაჭრანო.

— რას მეტყვი?

— გამოკეთდი და ჩვენთან გამობრუნდი.

— ეჰ, რას ამბობ, — თქვა იუდინმა.— თუ გამოვკეთდი, სულ ერთია, მაინც სხვა ნაწილში გამგზავნიან. შენ ჩემი მისამართი იცი. ომის შემდეგ თუ გზად პონირთან მოგიხდეს ჩავლა, ჩამოდი მატარებლიდან და მინახულე. ახლა კი მშვიდობით. არა მგონია, ამ ომში ერთმანეთს შევხვდეთ. — იუდინმა ხელი ჩამოართვა საველიევს, რომელიც ისე დაიბნა, ენა ველარ მოატრიალა. მერე იუდინმა ცალი ხელი მოიშველია, ძლივს აფოფხდა სანგრიდან და, მხრებჩამოყრილი, ნელა გაუყვა მინდორს.

ალბათ „მივეჩვიე“, — გაიფიქრა საველიევმა, მიმავალ იუდინს კი გაჰყურებდა. რა იცოდა, რომ ეს მიჩვევა კი არა, სიყვარული იყო.

დროის მოსაკლავად ორცხობილას შეჭმა გადაწყვიტა საველიევმა. მაშინღა მოაგონდა, ზურგჩანთა რომ მინდორში დააგდო. ჰოდა, სთხოვა ეგორიჩევს ნებართვა, ამოძვრა სანგრიდან და იქით გასწია, სადაც, მისი ანგარიშით, ზურგჩანთა უნდა გდებულიყო. წინ იუდინი მიდიოდა, მაგრამ საველიევმა აღარ დაუძახა. რომ დაეძახა, აბა რა უნდა ეთქვა?

ხუთი წუთის შემდეგ მოძებნა თავისი ზურგჩანთა და უკან გამობრუნდა, გამობრუნდა და უცებ იმას შეასწრო თვალი, რაც ქვემოთ სანგარში მჯდომმა მეთვალთვალემ რამდენიმე წამით გვიან შეამჩნია. წინ, პატარა ტყის მარცხენა მხრიდან, ასე ათი-თორმეტიოდე გერმანელთა ტანკი მოდიოდა. მართალია, ჯერ არ ისროდნენ, მაგრამ მათს დანახვაზე საველიევს უცებ მოუნდა, რაც შეიძლება ჩქარა მიერბინა სანგრამდე და შიგ ჩამხტარიყო. მაგრამ ვერ მოასწრო სანგრამდე მისვლა, რომ ტანკებმა ცეცხლი გააჩაღეს. იცოდა, რომ მას არ ესროდნენ, მაგრამ მაინც ისე ეგონა, მე მიმიზნებენო, და აქოშინებული ჩახტა სანგარში. იქ ეგორიჩევს უკვე ბრძანება გაეცა, ხელყუმბარები მოიმარჯვეთო.

წოწოლა ანდრეევი, მათი ოცეულის მებრძოლი, სანგარში უკვე მართავდა ვეებერთელა „დეგტერიოვკას“. სა-

ველიევმა ქამრიდან მოიხსნა ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა და წინ დაიდო. მხოლოდ ეს ერთი ყუმბარა ჰქონდა, მეორე ხუთი დღის წინ ესროლა გერმანელთა ტანკს, მისგან სულ ასი მეტრის მანძილზე რომ იყო. და სულ ტყუილად ესროლა. ყუმბარა ისე გასკდა, ტანკისათვის არა უვნია რა. ეგორიჩევმა კიდეც გამოთათხა ამ წინდაუხედაობისათვის. საველიევსაც შერცხვა თავისი საქციელისა, რადგან ისე გამოდიოდა, თითქოს შინებოდეს, მაშინ როცა სინამდვილეში შიშით კი არა, სიფიცხით მოუვიდა. ჰოდა, როცა ახლა ქამრიდან ყუმბარა ჩამოიხსნა, გადაწყვიტა, ტანკი თუ მისკენ წამოვიდოდა, მხოლოდ მაშინ ესროლა ყუმბარა, როცა სულ ახლოს მოვიდოდა.

მაგრამ ტანკები სადღაც მარცხნისაკენ მიხოხავდნენ. მხოლოდ ბოლო ორი ტანკი გამოეყო დანარჩენებს და პირდაპირ მათკენ დაიძრა.

— მთავარია, იჯდე და იცადო შენთვის, — უთხრა გვერდზე ჩავლილმა უფროსმა ლეიტენანტმა სავინმა, რომელმაც ყველას ასე ჩამოუარა სანგარში და ყველას ასე უთხრა: „იჯექი და უცადე. როცა ჩაივლის, მაშინ მიაყოლე ყუმბარა. თუ მშვიდად იჯდები, ტანკი ვერაფერს დაგაკლებს“.

გერმანელთა ტანკები გზადაგზა შეუწყვეტლივ ისროდნენ. ჭურვები ხან სანგრის თავზე გაიბუბუნებდა, ხან მის მარცხნივ. საველიევმა სანგრიდან სულ ცოტაზე წამოყო თავი. ერთი ტანკი მარცხნივ მიდიოდა, მეორე კი პირდაპირ მისკენ. საველიევი ისევ ჩაიმალა სანგარში. და თუმცა მარცხნივ მიმავალი ტანკი უფრო დიდი იყო — ის „ვეფხვი“ გახლდათ — მისკენ მომავალი კი ჩვეულებრივი საშუალო ზომისა, რაკი ის უფრო ახლოს იყო, ყველაზე დიდად იგი ეჩვენა. მან მიწაყრილიდან ყუმბარა აიღო და ხელში აწონა. ყუმბარა მძიმე იყო და მისმა სიმძიმემ თითქოს რაღაც შეღავათი აგრძნობინა. ამ დროს გვერდიდან ანდრეევმა ატეხა სროლა.

როცა საველიევმა კიდევ წამოყო თავი, ტანკი უკვე ოც ნაბიჯზე მოახლოებულიყო. ძლივს მოასწრო სანგარში ჩამალვა, რომ ტანკმა მის თავზე გადაირახრახა. სანგარში ხრაკისა და კვამლის უსიამო სუნი დადგა, სანგრის ნაპირებიდან კი მიწა ჩამოიყარა. საველიევმა ყუმბარა გულზე მიიხუტა, თითქოს ეშინია, ვინმემ არ წამართვასო.

ტანკი სანგარზე გადავიდა. საველიევი წამოვარდა, ხელებზე აიწია, სანგრის კიდეზე მუცლით გაწვა, შემდეგ ამოხტა, მუხლუხს დაუმიზნა და ისეთი ძალით სტყორცნა ყუმბარა, რომ თვითონვე ვერ შეიკავა თავი და მიწას დაასკდა. შემდეგ თვალდახუჭული შემობრუნდა და სანგარში ჩაგორდა. სანგარში დაწოლილს კვლავაც ესმოდა ტანკის რახრახი და, ავაცდინეო, ეგონა. ჰოდა, ისე შეიპყრო ცნობისმოყვარეობამ, შიშს სძლია და სანგრიდან გაიხედა. ტანკი ერთ მუხლუხზე ბრუნავდა, მეორე კი, ლიანდაგივით გაბრტყელებული, უკან მისთრევდა. მაშასადამე, მოურტყამს.

იმავ წუთს მის თავზე ერთიმეორის მიყოლებით გაიზუილა ორმა ჭურვმა. საველიევმა ძლივს მოასწრო სანგარში ჩამალვა, რომ იქაურობა აფეთქების ხმამ გააყრუა.

— შეხედე, იწვის — შესძახა ანდრეევმა, რომელიც სანგარში წამომდგარიყო და თავის ზარბაზანს იმ ტანკისკენ უქცევდა პირს. — იწვის, იწვის! — ხელმეორედ იყვირა მან. საველიევიც ფეხზე წამოხტა და დაინახა, როგორ იფეთქა ალმა და ცეცხლში გაახვია ტანკი.

სხვა ტანკები კარგა შორს, მარცხნივ მიდიოდნენ. ერთი ტანკი იწვოდა, დანარჩენები კი ისევ მიხოხავდნენ, მაგრამ საველიევს იმ წუთას ველარ გაერკვია, წინ მიდიოდნენ ისინი თუ უკან. თავში ყველაფერი აერ-დაერია მას შემ-

დეგ, რაც ტანკს ყუმბარა ესროლა და ტანკი აფეთქდა.

— შენ რომ მუხლუხებზე მორტყი, იმიტომაც შეჩერდა, — უთხრა რატომღაც ჩურჩულით ანდრეევმა. — ამან კი გიყვარდეს, იხელთა და იმისთანა ბუთქა!

საველიევი მიხვდა, ანდრეევი რომ თავის ზარბაზანს გულისხმობდა. დანარჩენი ტანკები სადღაც მარცხნივ წასულიყვნენ, თვალს მოეფარნენ. სანგრებს ახლა გერმანელთა ნაღმტყორცნებმა დაუშინეს ცეცხლი. მხოლოდ საათნახევრის შემდეგ შეწყდა სროლა. სანგარში უფროსი ლეიტენანტი საველიევი და ბატალიონის მეთაური კაპიტანი მატვეევი მოვიდნენ.

— აი, ამან მორტყა ფაშისტთა ტანკს, — თქვა ასეულის მეთაურმა და საველიევის გვერდით გაჩერდა.

საველიევი გაოცდა: ჯერ ხომ არავისთვის უთქვამს, ტანკს მე მოვარტყიო, უფროს ლეიტენანტს კი უკვე ყველაფერი სცოდნია.

— ჰოდა, წარვადგენთ კიდეც, — თქვა კაპიტანმა მატვეევმა და საველიევს ხელი ჩამოართვა, — ყოჩაღ, ყოჩაღ! მაინც როგორ მოარტყი?

— როგორც კი თავზე გადამიარა, ამოვხტი და მუხლუხში მივაყოლე ყუმბარა, — უთხრა საველიევმა.

— ყოჩაღ, — გაიმეორა მატვეევმა.

— მას ერთი მადლი კიდევ ეკუთვნის წინანდელი მამაცობისათვის, — დასძინა უფროსმა ლეიტენანტმა.

— ეკუთვნის და კიდეც მიიღებს, — თქვა კაპიტანმა მატვეევმა, — თქვენი ასეულისათვის ოთხი მედალი მოვიტანე. დაუძახეთ მებრძოლებსა და ოცეულის მეთაურს.

უფროსი ლეიტენანტი რომ წავიდა, კაპიტანმა საველიევის გვერდით ჩაიმუხლა სანგარში, ამოიჩხრიკა გიმნასტურის ჯიბე, ამოიღო ბეჭედდასმული რამდენიმე მოწმობა და იქედან ერთი გამოარჩია. მერე მეორე ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოაძვრინა, იქიდან კი მედალი ამოიღო. ამასობაში უფროსი ლეიტენანტი და ზემდეგიც მოვიდნენ.

საველიევი წამოდგა და ისე გაჯიმა, როგორც „სმენის" დროს იდგა ხოლმე მწკრივში.

— წითელარმიელო საველიევო, — მიმართა მას კაპიტანმა მატვეევმა, — უმაღლესი საბჭოს და სარდლობის სახელით საბრძოლო გმირობისათვის გადმოგცემთ მედალს „მამაცობისათვის".

— მზად ვარ ვემსახურო საბჭოთა კავშირს! — უპასუხა საველიევმა, გამოართვა მედალი აკანკალებული ხელებით და კინაღამ არ დაუვარდა.

— მაშ ასე, — წაილაპარაკა კაპიტანმა ისე, თითქოს მეტი სათქმელი აღარ ჰქონდა, ან საჭიროდ არ ჩათვალა სიტყვის გაგრძელება. — მოგილოცავთ და მადლობას მოგახსენებთ. აბა, თქვენ იცით! — დასძინა ეს და მეზობელ ასეულისაკენ გაემართა.

— გამიგონე, ზემდეგო, — უთხრა საველიევმა, როცა დანარჩენები წავიდნენ.

— რა იყო?

— აბა, ერთი მიმამაგრე, თუ კაცი ხარ.

ეგორიჩევმა ჯიბიდან ძეწკვზე დაკიდებული პატარა დანა ამოიღო, დინჯად გაშალა, საველიევს გიმნასტურის საკინძე გაუხსნა, ხელი შიგ ჩააძვრინა, დანით გაუხვრიტა ჯიბის თავზე ხალათი, და სველ, ოფლიან, ტალახშეშხეფებულ გიმნასტურზე მედალი მიაბნია.

— აფსუს, სამაღარიჩოდ რომ ვეღარ გავაბოლებთ! — წაილაპარაკა ეგორიჩევმა.

— არა უშავს, უმაგისოდაც იოლას გავალთ, — დაამშვიდა საველიევმა.

ეგორიჩევმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, ამოაძვრინა რკინის სათუთუნე და გახსნა. სათუთუნეს ძირზე ცოტაოდენი თამბაქოს მტვერი ეყარა.

— ამისთანა დროს კაცმა არაფერი არ უნდა დაინანოს, — თქვა ეგორიჩევ-

მა, — შემონახული მქონდა, რა ვიცი, რა გაჭირვება დამადგება-მეთქი.

ორივემ გააბვია წეკო და გააბოლეს.

— მაშასადამე, მიწყნარდა ყველაფერი? — იკითხა საველიევმა.

— ჰო, მიწყნარდა, — დაეთანხმა ეგორიჩევი. — მიდი ახლა და ორცხობილა ხურხნე. სხვებსაც ვეტყვი, ცოტა წაიხემსონ. ვინ იცის, სულ მალე დავიძრათ აქედან, — დაამატა ზემდეგმა და წავიდა.

სადღაც მარცხნიდან ძლიერი სროლა ისმოდა, აქ კი სიწყნარე იყო — გერმანელები ან რაღაც ხრიკს ამზადებდნენ, ან არა და უკან დაიხიეს.

საველიევმა წუთით ჩაიმუხლა, შემდეგ მოაგონდა ზემდეგის ნათქვამი, იფიქრა, იქნება მართლა მალე დავიძრათ აქედანო, ამოიღო ზურგჩანთიდან ორცხობილა და ხურხნა დაუწყო, თუმცა ჭამა სულაც არ უნდოდა.

სინამდვილეში კი რაც ხდებოდა, იმაზე არც საველიევსა ჰქონდა წარმოდგენა და არც ეგორიჩევს.

გერმანელები იმიტომ აღარ ისროდნენ, რომ მარცხენა ფრთაზე ჩვენებმა ძალიან შეავიწროვეს და სამი კილომეტრით დაახევინეს უკან, პატარა დაჭაობებულ მდინარის გადაღმა. მაშინ როცა საველიევი მშვიდად იჯდა და ორცხობილას ახრამუნებდა, პოლკში უკვე ბრძანება გაიცა, ბატალიონი დაძრულიყო, მდინარის პირს მიდგომოდა და ღამით გადაელახა იგი.

გავიდა თხუთმეტი წუთი და უფროსმა ლეიტენანტმა სავინმა ასეული ფეხზე დააყენა. საველიევმა, ისევე როგორც სხვებმა, ზურგჩანთაში ჩაალაგა ყველაფერი, მხრებზე მოიგდო იგი და გზას გაუდგა. იმ პატარა ტყემდე მშვიდობით მიაღწიეს. უკვე ბნელდებოდა, როცა ჭალა გადაჭრეს და ტყის პირს მიადგნენ. საველიევმა ჯერ გერმანელთა დამწვარი ტანკი დაინახა, მისგან ას ნაბიჯზე კი ჩვენი ტანკი, ისიც დამწვარი. ტანკს ოცეულმა სულ ახლოს ჩაუარა და საველიევს თვალში მოხვდა ზედ წაწერილი ციფრი „120“,-„ას ოცი“, ას ოცი“ — გაიფიქრა მან თითქოს ამას წინათ ენახა ეს ციფრი. და უცებ მოაგონდა: გუშინწინ, როცა დაღლილ-დაქანცულები მეხუთეჯერ წამოცვივდნენ და წინ გასწიეს, საფარში მდგომი ტანკები დაინახეს. სწორედ ერთ მათგანზე ეწერა ეს ციფრი. ტანკისტებს კოშკურებიდან გამოეყოთ თავი.

— რას უდგეხართ, იეროშზე არ გამოგვყვებით? — მიაძახა მათ ენამწარე იუდინმა. ერთმა ტანკისტმა თავი გადააქნია და ზემოდან ჩამოსძახა:

— ჩვენი ჯერი ჯერ არ დამდგარა.

— მაშ, მაშ! აი, ქალაქში რომ შევალთ მაშინ შემოაგრიალეთ ამაყად თქვენი ტანკები, რომ გოგოებმა თაიგულები მოგართვან, — ჩაილაპარაკა გულმოსულად იუდინმა და, ვიდრე გზას გააგრძელებდა, შეაგინა კიდეც. მაშინ, ისინი რომ მიდიოდნენ და ტანკისტები კი იდგნენ და რაღაცას ელოდნენ, საველიევსაც ეწყინა.

ახლა კი, ამ დამწვარ ტანკს რომ ჩაუარა, მოიგონა ეს ლაპარაკი და გულისტკივილით გაიფიქრა: „ჩვენ ცოცხლები ვართ, ტანკისტები კი ალბათ ბრძოლაში დაიღუპნენ“. იუდინიც, ვინ იცის, მიაბიჯებს ახლა სანიტარულ ბატალიონისაკენ. გადატეხილი მკლავი კი ქამრითა აქვს წელზე მიბმული.

„ასეა ომში, — გაიფიქრა საველიევმა, — ადამიანებს აქ არ შეიძლება ატკინო გული. დღეს რომ ატკენ, ხვალ პატიების გამოთხოვა მოგინდება და გვიან იქნება“.

ბნელოდა, როცა დაბლობ მინდორს მიადგნენ, რომლის იქით უკვე ჭაობი იწყებოდა მდინარე სულ ახლოს იყო.

როგორც უფროსმა ლეიტენანტმა სავინმა გამოაცხადა, ღამით თორმეტი საათისათვის ყველას თავი უნდა მოეყარა ნაპირზე და შემდეგ მდინარე გადაელახათ. საველიევი სხვებთან ერთად უკვე ჭაობში მიაბიჯებდა. ფრთხილად დგამდა ფეხს, არაფერმა გაიხმაუროსო. სულ ცოტაღა უკლდათ მდინარის ნაპი-

რამდე, როცა პირველმა ნაღმმა თავზე გადაუწივლა და სადღაც შორს დაეხეთქა ჭანჭრობს. მეორე უფრო ახლოს დაეცა. მეომრები გაწვნენ. საველიევმა სწრაფად დაუწყო თხრა სველ მიწას. ამასობაში კი ნაღმებს ჭაობში გაჰქონდა ტყაპატყუპი ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ.

ბნელი ღამე იყო. საველიევი გატრუნული იწვა და ნატრობდა, მალე გადასულიყო მდინარეზე.

ნაღმების ზუილსა და წყლის შლაპუნში დღევანდელი ამბები აგონდებოდა. ხან იუდინი ედგა თვალწინ, რომელიც იქნებ მაშინაც გზაზე მიალაჯებდა, ხან დამწვარი ტანკი წარმოუდგებოდა, რომლის ეკიპაჟს ამას წინათ აწყენინეს, ხან თავის მიერ დაზიანებული გერმანელთა ტანკის გველივით გაწელილი მუხლუხი, ხან ზემდეგი ეგორიჩევი და თამბაქოს უკანასკნელი მტვერი მისი სათუთუნის ძირში. ნაფაზის დარტყმა იმ დღეს ალბათ აღარც მოუწევდა.

სციოდა საველიევს, ენატრებოდა სითბო, სიმყუდროვე და თამბაქოს გაბოლება. რომ მოფიქრებოდა და გამოეთვალა, რამდენი დღე იყო, რაც ომობდა, დათვლა არ გაუჭირდებოდა. ომის დაწყებიდან სწორედ რვაასი დღე გასულიყო.

თარგმნა **ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲑᲐᲑᲔᲡᲙᲘᲠᲘᲐᲛ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# ევროპაში და ევროპის გარშემო

შემოდგომაზე, 1978 წელს, ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფთან ერთად, ტურისტული საგზურით, დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ვიმოგზაურე. მოვიარე ბევრი ზღვა და ორი ოკეანე, დანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის დაბა-ქალაქები და შინ სტამბულის გზით დავბრუნდი. ეს დღიური, რომლის გადასაწერად და მოსაწესრიგებლად აქამდე ვერ მოვიცალე, თბომავალ „ესტონიას" კაიუტაშია დაწერილი. ვფიქრობ, მკითხველი დღიურში თავისთვის საინტერესო ბევრ რასმე ამოიკითხავს და სწორედ ეს მაბედვინებს იგი დღის სინათლეზე გამოვიტანო.

## 1

თბომავალი „ესტონია" კრუიზს ლენინგრადიდან იწყებდა და შორეულ გზაზე 14 ოქტომბერს ღამით გადიოდა. გულმა აღარ მოგვითმინა, დრო გამოვნახეთ და ამ უმშვენიერეს ქალაქს ზღვისებრ წყალუხვ ნევაზე რამდენიმე დღით ადრე ვესტუმრეთ.

ახალ სასტუმრო „ლენინგრადიდან", სადაც ჩვენ მოვთავსდით, კარგად მოჩანს ნევის მთელი სანაპირო და ასაწევი ხიდები, პუშკინის, გოგოლის, დოსტოევსკისა და ზოშჩენკოს წაკითხვის შემდეგ ასე შთამბეჭდავად ჩარჩენილნი მეხსიერებაში, მოჩანს მყუდრო ყურეში განმარტოებული, ვალმოხდილი კრეისერი „ავრორა", პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრე და გაღმა ნაპირიდან გამომზირალი ზამთრის სასახლე ერმიტაჟითურთ, ჩანს აგრეთვე ისაკისა და რამდენიმე სხვა, მათ შორის ყაზანის ტაძრის ოქროს ვარაყში აცურებული გუმბათები.

ეს თეთრი ქვის ქალაქი მნახველს იპყრობს ოლიმპიური სიმშვიდით, კლასიკური დახვეწილობით და ინტიმით, რომელსაც, ალბათ, ყველა განიცდის, ვისაც დასავლეთ ევროპის ძველისძველ დაბა-ქალაქებში უმოგზაურია და იქაური განურჩევლობა გულზე ეკლად დასობია. გუშინდელი პეტერბურგის გარდასულ დიდებას ელვარე შარავანდედს ადგამდა და დღესაც ადგამს მისი გარეუბნები: პეტერგოფი, ცარსკოე სელო, პავლოვსკი...

ეს უზარმაზარი სასახლე-მუზეუმები ინგლისური პარკების შუაგულშია მოქცეული და მნახველს ანცვიფრებენ თავიანთი გრანდიოზულობით, სიმდიდრით, ყოვლისმომცველობით. რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსული ხუროთმოძღვრება ყველა სტილს ადვილად ირევს და იერთებს, თუმცა აქვე ისიც უნდა გაიხსენო, რომ ამ თვალისმომჭრელ შენობათა დიდი უმრავლესობა, შადრევნები, ტაძრები, პარკები თუ ხიდები, რუსებთან ერთად, მსოფლიოში სახელგანთქმულ უცხოელ ხუროთმოძღვრებს უშენებიათ. ეს სახელგანთქმული ოსტატები, რასტრელი იქნება, კამერონი თუ სხვები. აქაც ისევე აშენებდნენ, როგორც სხვაგან, თავიანთ სამშობლოში ან სხვა მდიდარ დამკვეთთა ქვეყნებში. აქედან — ეკლექტიზმი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, არქიტექტურულ ფორმათა კოსმოპოლიტიზმი, რომელსაც ადგილობრივ პირობებთან მეტად სუსტი კავშირი აქვს.

იმპერატორები, რომლებიც დასავლეთის კულტურაზე იზრდებოდნენ და თვალი მუდამ დასავლეთისაკენ ეჭირათ, თვითვე უწყობდნენ ხელს რუსი ხალხის ყოფისა და მიდრეკილებებისაგან დაშორებას. გარდა სუფთა გარეგნული მხარისა, ამას სრა-სასახლეთა დიდი და მცირე დარბაზების უბრალო სახელწოდებებიც კი მეტყველებენ: იტალიური დარბაზი, ბერძნული დარბაზი, კავალერთა სასადილო — პავლესე-

ულ სასახლეში, კავალერთა, ჩინური და სხვა დარბაზები ეკატერინესეულ სასახლეში...

რუსეთის რევოლუციამდელი დედაქალაქის მთელი ეს შემოგარენი უწყალოდ დაინგრა დიდ სამამულო ომში. შენობებივით ძვირად ღირებული ავეჯი, სურათები, ქანდაკებები და ხელოვნების სხვა ნაწარმოებები სახიზრებს შეაფარეს. დღეს ყველაფერი თავის ადგილზეა. რესტავრატორების გონების სიმკვირცხლეს, მიხვედრილობას და ოსტატობას საზღვარი არა აქვს...

პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის დიდებულ ტაძარში, შესავალ კართან განისვენებს „სამშობლოს მამა პეტრე დიდი“, აქვეა მის მემკვიდრეთა საფლავებიც. მესამე რიგში, საკურთხეველთან ახლოს, ეკატერინე მეორე მოჩანს...

ლენინგრადის ერთი ჩვეულებრივი, ნისლიანი საღამო იყო, უსაშველოდ გრძელმა ტურისტულმა ავტობუსმა ვასილის კუნძულის ნავსადგურში რომ მიგვიყვანა. მთელი დღის გარჯის შემდეგ, რაც ათასი საჭირო და არასაჭირო ქაღალდის შევსებაში გამოიხატა, ადგილი დავიკავეთ თბომავალ „ესტონიას“ კაიუტაში. კაიუტის უკანა ფანჯარა გემის ბანსა და კიჩოს გადამყურებდა, მარჯვენა სარკმლიდან კი დროდადრო ვხედავდით ფინეთის ნაპირის ლურჯ ზოლს, რომელიც ხანდახან ამოიწევდა ხოლმე ზღვიდან. ფინეთის ყურე ვიწროა. მზიან ამინდში, მით უფრო თუ აქაურობას ნისლი არ აწევს, ორივე ნაპირის გარჩევა შეიძლება. ცურვის მეორე დღეს მარჯვნივ გამოჩნდა თეთრი ჰელსინკი, მარცხნივ კი ტალინი. ღამით ზღვამ ღელვა დაიწყო. ვისაც თავის იმედი არა გვქონდა, იძულებული გავხდით გემბანი მიგვეტოვებინა და კაიუტაში დავბრუნებულიყავით. ბედად, ღელვა აღარ გაძლიერებულა. დილაადრიან გემი სტოკჰოლმის მერიდიანზე გავიდა. მარცხნივ ნისლში დარჩა კალინინგრადი, ძველი კენიგსბერგი და გდანსკი, ძველი დანციგი. ნასადილევს სულ ახლოს გამოჩნდა შვეციის ნაპირი. ნისლში დავინახეთ თბომავალი „აკადემიკოსი კურჩატოვი“. რადიოცენტრმა გადმოსცა, ანტარქტიდის ექსპედიციაში მიმავალი საბჭოთა თბომავალი მოგვესალმებაო. წვრილად წვიმდა. სველი ბაქანი ხალხით აივსო. დაბინდდა. „კურჩატოვი“ კარგა მანძილით ჩამოგვრჩა. მალე გემის გროტანძაზე სამი ალამი აღმართეს: ერთი ჩვენი, ერთიც დანიისა, ნიშნად იმისა, რომ თბომავალი დანიის ტერიტორიულ წყლებში შევიდა, და მესამეც იმის აღმნიშვნელი, რომ კაპიტანი ლოცმანს ითხოვდა. წინ ვიწრო სრუტე ჩანდა გასავლელი. მარჯვნივ ნაცრისფერი ტანკერი წამოგვეწია. ინგლისისაა. ტანკერმა ჯერ ჩვენს პარალელურად იარა. შემდეგ გზა თანდათანობით გადაგვიჭრა და წინ გაუტია. „ესტონიამ“ სვლას უკლო. ნისლში შუქურა აციმციმდა. გემბანიდან მეორე წითელი შუქიც დავინახეთ. ეს უკანასკნელი ჩვენკენ მოდიოდა და იგი პატარა კატერი ამოჩნდა. კატერიდან, როცა ის გემის მარცხენა ფერდს მოადგა, ვიღაც ახოვანი მეზღვაური გადმოვიდა, ტრაპს ამოჰყვა და გემის ძირა ბაქანზე გადმოხტა. ეს ლოცმანი იყო. გემი ამასობაში მობრდღვიალე შუქურას გაუსწორდა. უკან უწყვეტ ნახევარრკალად ციმციმებდნენ ასევე მობრდღვიალე ნათურები. ეს უკვე დანიის ნაპირი იყო. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, გემი სრუტეში მიცურავს ორ განათებულ ნაპირს შორის. მარჯვენა ნაპირი მთლად გაკაშკაშდა. რაღაც დიდი ქალაქი ჩანს. თუ დროის მიხედვით ვიმსჯელებთ, კოპენჰაგენი ჯერ არ უნდა იყოს, იქამდე სამსაათნახევრის გზა კიდევ რჩება. მაგრამ არა, კოპენჰაგენია! სანაპირო სინათლეების რკალი თანდათან ვიწროვდება. გვერდი ავუარეთ ჯერ რეიდზე და შემდეგ ნავსაყუდელში მდგომ გემებს და ფილაქნით მოგებული სანაპირო ქუჩის პირას, ყურის გასწვრივ გაყოლებულ კედელს მივადექით. ძრავებმა გუგუნი შეწყვიტეს. მას შემდეგ, რაც ფინეთის ყურიდან გამოვედით, გემი პირველად გაჩერდა. წინ მთელი ღამეა. ნაპირზე გადასვლა დღეს არ შეიძლება. ჩვენ აქ, კოპენჰაგენში ვართ და არც ვართ აქ...

2

თვალი რომ გამოვახილე, კაიუტის წინ, ფანჯრებსა და საბანაო აუზს შუა, მოგზაურობაში ჩვენთან ერთად მყოფი აზერბაიჯანელი დოქტორები პინგპონგს თამაშობდნენ. ციოდა, თუმცა ოფიციალური ცნობით ტემპერატურა პლუს 8 გრადუსი იყო. ტრაპი მხოლოდ ათ საათზე მოადგეს გემს და საპასპორტო ფორმალობის გავლის შემდეგ ნაპირზე ფეხის დადგმის ნება დაგვრთეს. ადგილი, სადაც გემი იდგა, ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი აღმოჩნდა. ვიწრო ქუჩის მარჯვენა მხარე, ტროტუარს გაღაღმა, ინგლისურ პარკს უჭირავს. მწვანეს სიყვითლე შეჰპარვია. ხელოვნურ თუ ბუნებრივ ტბებში, რომლებშიაც მტირალა ტირიფები ჩაყუდებულან და ძლივსშესამჩნევად ირხევიან, იხვები დაცურავენ და დინჯად სერავენ ლურჯი ტბის ზედაპირს. ზამთარში ყველა ეს ტბა იყინება. იხვები რომ აქედან არ გაფრინდნენ და სამუდამოდ არ დაივიწყონ თავიანთი კოპენჰაგენი, ერთ-ერთ მოზრდილ ტბას ხელოვნურად ათბობენ. გვიან შემოდგომაზე, ვიდრე სხვა ტბებში წყალი გაიყინებოდეს, იხვები აქ იყრიან თავს და გაზაფხულამდე, როცა ყინვა დაიძრება, აქვე რჩებიან.

ქალაქის ეს აღმოსავლეთი ნაწილი შედარებით ახალია. იგი უმთავრესად ნავსადგურს, სარკინიგზო ვაგზლებს, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებს, უნივერსიტეტს, ინსტიტუტებსა და საავადმყოფოებს უჭირავს. აქვე მოვინა-

ხულეთ გასულ საუკუნეში აშენებული ერთი ლუთერიანული ტაძარი, რომლის აგებასაც შვიდი მილიონი საგანგებოდ გამომწვარი წითელი აგური დასჭირვებია. ტაძარი მეტისმეტად სადაა, გაულესავი, შიგნიდანაც ასევე უბრალოა და საეკლესიო რიტუალებისათვის ჩვეულ ყოველგვარ ზეიმურობას მოკლებული. არც ფრესკები, არც ხატები, არც მოზაიკა, არც მარმარილოს საკურთხეველი. დგას ორი ათასი სკამი მლოცველთათვის. ტაძარი მხოლოდ საშობაო და სააღდგომო წირვაზე ივსება, სხვა დროს ორას-სამას მლოცველს ძლივს უყრის თავს, ისინიც საორგანო მუსიკის მოსასმენად უფრო მოდიან აქ, ვიდრე ყოვლის შემძლე ღმერთის თაყვანისსაცემად და ცად ლოცვის აღსავლენად. ქუჩები სავსეა ერთნაირად თმამოშვებული და შარვლიანი ქალ-ვაჟებით. ვაჟებს წვერიც მოუშვიათ და თავიანთი გარეგნობით ერთბაშად შუა საუკუნეების ადამიანებს დამსგავსებიან. ყველა მაღალია, ტანთხელი, ძლიერი და ფლეგმატური. ქუჩებში დიდი მოძრაობაა. ავტომობილები თვალს არ გჭრიან სიმდიდრითა და გარეგნული ბრწყინვალებით. მანქანებს შორის ყველა ასაკის ველოსიპედისტები დაჰქრიან. მთელი დანია თითქოს ორ თვალზე ამხედრებულა და სადღაც მიისწრაფვის. ყოველ ნაბიჯზე გვხვდება დანიელ მეფეთა დიდებული ძეგლები და ბრინჯაოს თუ მარმარილოს ალეგორიული ფიგურები. ზედ ზღვის ნაპირას ერთიმეორეზე შეკოლიკებულ რიყის ქვებზე ზის ბრინჯაოს ნაღვლიანი ნიმფა ანდერსენის ზღაპრიდან. ზღვა თევზის კუდში შემალულ ფეხებს ულოკავს. ცოტა მოშორებით, რომელიღაც საზღვაო დაწესებულების ბრინჯაოს ჭიშკართან, ბრინჯაოსავე პოსეიდონი აღმართულა. მორომქილი ბილიკი პარკს მიჰყვება. მარცხნივ სხვადასხვა ქვეყნისა, მოყვანილობისა და ზომის გემებით სავსე ყურეა. ბილიკმა მწვანე ბორცვზე აგვიყვანა. ოქროსფრად შეფერადებულ სიმწვანეში კიდევ ერთი ლურჯთვალა ტბა დავინახეთ, მარცხნივ კი ისევ ზღვის წყნარი უბე. წინ გაწვდილი კონცხი, კუნძული და ნავსადგურში შემომავალი გემები მოჩანდა. წუხელ „ესტონიას“ უკან, ნავმისადგომის კედელთან, ამერიკის კრეისერი თუ სახაზო გემი დადგა. მუსიკით და ზარ-ზეიმით შეხვდნენ. უბის მოპირდაპირე კედელთან კიდევ იდგა ორი სამხედრო გემი და თავისი მომწვანო--ნაცრისფერით ირგვლივ გამეფებულ სიჭრელეში გამოირჩეოდა.

ბორცვზე ასულებს, რომლის ძირშიაც წოწოლაკოშკიანი ეკლესია დგას, თვალი მოგვტაცა უზარმაზარმა შადრევანმა.

ჰერმესს, თუ რომელიღაც სხვა მითოლოგიურ გმირს სამმარ ეტლში გაგიჟებული ხარები, შეუბამს და მოღერებული შოლტით წინ მიაქანებს, წინ კი თავდაღმა დაშვებული კიბეა და უფსკრულის შთაბექდილებას ჰბადებს. ეტლის ხელნიდან ამოხეთქილი წყალი საოცარი ექსპრესიით ტანმოღერებულ ჰერმესს ეხეთქება და ფანტასტიკურ ნახაზს ქმნის. ხარები ნესტოებიდან, როგორც ცეცხლს, წყლის ბურს აფრქვევენ...

მთელ ამ სკულპტურულ ჯგუფს ოთხივე ხარის ქედსა, მუხლებსა და სხეულის ყველა ნაკვთში მოზღვავებული ძალა ამოძრავებს. ორი თუ სამი საფეხურით წინ, აქეთ და იქით, ორი ვეება გველეშაპი დაგრეხილა და უკან მობრუნებული თავებით წყლის გაშმაგებულ ჭავლებს სტყორცნის საომარ ეტლში შებმულ ხარებს, მათზე ცოტა უფრო ქვემოთ კი ბრინჯაოს ორი გოლიათი ლამობს თავის გადარჩენას. მათ სახე უკან მიუბრუნებიათ და, ისევე როგორც გველეშაპები, მოახლოვებული საშიშროებისაგან თავს წყლის ჭავლებით იცავენ.

ძირს პატარა სკვერია ჩერჩილის სახელობისა. ტოტებგაბარდნილ ხეებს შორის, მწვანე მინდორში, თავჩაქინდრული და მტანჯველი ფიქრით შეპყრობილი ინგლისელი პრემიერის ქანდაკება დგას. აქვეა ორი კიდევ სხვა ქანდაკება და პარკიდან სწორ, ვიწრო ქუჩაზე გადიხარ. ქუჩაზე, რომელიც ოპერის თეატრის და მრავალსართულიანი ფეშენებელური სასტუმროს მოედანზე გაგიყვანს, ფორდის და ფიატის სააგენტოებია. ვიტრინის უკან სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის მსუბუქი ავტომანქანებია გამოფენილი და მყიდველს ეპატიჟება.

ქალაქის ყოველ დიდსა და მცირე ქუჩაზე, შესახვევში თუ გზაჯვარედინებსა და მოედნებზე, სანიმუშო წესრიგი სუფევს. ამ მხრივ კოპენჰაგენს მხოლოდ ჰოლანდიისა და სკანდინავიის ქალაქები თუ შეედრებიან. შეუძლებელია, ვინმე გამვლელს მოთმინებამ უღალატოს და ქუჩა, რა ვიწროც არ უნდა იყოს, მანამ გადაჭრას, ვიდრე შუქნიშანზე მწვანე სინათლე აანთებოდეს.

ქუჩები და ტროტუარები წვრილი ფილაქნით მოუგიათ. ტროტუარებს, ხშირად მთელ ქუჩებსაც, ქვის ბრტყელი ფილების წყვილი და ხანაც ორი წყვილი განიერი ზოლი გასდევს. ოდნავ დაქანებას წყალი ნიაღვრის სადინარებისაკენ მიჰყავს, ისე რომ, თავსხმა წვიმაშიც კი ერთი პეშვი წყალიც არსად გროვდება.

კოპენჰაგენი — ჩრდილოეთის მეორე ვენეცია ამსტერდამის შემდეგ, არხებით არის დასერილი. ქვის მკვიდრი კედლებით ამოშენებული და ქვისავე პარაპეტით დამშვენებული არხები მას გარდიგარდმო დიდ-დიდ კვადრატებად ჰყოფენ. ყველა არხი ღრმაა და, როგორც წესი, ზღვასთან გადის. არხებში კატარღები, სეინერები, კატერები, იალქნიანი ნავები და იახტები დგანან. ბირჟის გვერდით, ქრისტიან ანდერსენის სახლის წინ, რომელშიაც ამ საქვეყ-

ნოდ სახემოხვეჭილი საბავშვო მწერლის მემორიალური მუზეუმია გახსნილი და ყოველდღე უამრავი მნახველი ჰყავს, არხში ტივტივებდა სამეფო იახტა. იგი დანიის ახლანდელ თვითმპყრობელს, 35 წლის მანდილოსან, მარგარეტ მეორეს ეკუთვნის.

ტრადიციული ცერემონია — ყარაულის შეცვლა მეფის სასახლის წინ კოპენჰაგენში ჩასულ უცხოელთათვის ერთ-ერთი ღირსსახსოვარი სანახაობაა. მეფის სასახლე სამ თუ ოთხსართულიანი გუმბათიანი შენობაა, მოგვიანო ბაროკოს სტილით აგებული. სასახლისწინა მოედანი, რომელიც ფერადი ფილაქნით მოუკირწყლავთ, სასახლეთა ანსამბლით შემოსაზღვრულ მრავალკუთხედს წარმოადგენს. აქ რამდენიმე პროსპექტი იყრის თავს. გუმბათზე ქარი ატკაცუნებს დანიის დედოფალ მარგარეტ მეორის სახელმწიფო ალამს.

კოპენჰაგენი მთლიანად და უმთავრესად წითელი კრამიტით დახურულ სამ-ოთხ სართულიანი სახლებისაგან შესდგება, რომელთა უმრავლესობა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეშია აშენებული. მაშინდელია კანალიზაციაც და ქალაქის მიწისზედა გაფორმებაც, პარკები, ბრინჯაოს ქანდაკებები და სხვ.

განცვიფრებს დანიის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია, დიდებული ციხედარბაზი კრონბერგი. იგი დანიის განმანათლებელი მეფის, ქრისტიან მეოთხის დროს აუგიათ მეჩვიდმეტე საუკუნეში. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს აქამდე დანია გაუნათლებელი იყო. მეჩვიდმეტე საუკუნე და, კერძოდ, ქრისტიან მეოთხის მეფობის ხანა დანიელებს თავიანთი კულტურის აღორძინების, დანიური რენესანსის ხანად მიაჩნიათ. ამ დროს აშენდა ბევრი ბრწყინვალე ციხედარბაზი, მთელი ანსამბლები, რომლებიც დღესაც უკლებლივ ამშვენებენ ამ გამრჯე, გონიერ და შრომისმოყვარე ქვეყანას, აყვავდა ხელოვნება და მეცნიერება. კრონბერგი ამჟამად ეროვნული მუზეუმია. დანიის ახალ მეფეებს თავიანთი საზაფხულო რეზიდენცია ფრედენსბორგში გადაუტანიათ და იქ, ულრანი ტყის შუაგულში, ახალი სასახლეები აუშენებიათ. რეზიდენციის წინ ბეწვის ვეებაბოხოხიანი ტრადიციული ყარაული იცვლებოდა. იგი ძალზე ახალგაზრდებისაგან, თითქმის უწვერული ბავშვებისაგან შეუდგენიათ. ფორმიან მოყარაულეთ, რომლებსაც ხელთ შუასაუკუნოებრივი შუბი უპყრიათ, ყარაულობისა, ალბათ, ბევრი არაფერი ეკითხებათ. სასახლის და მეფის პერსონის დაცვა უთუოდ სხვებსა აქვთ მინდობილი, რომლებიც აგრე ვაგლახად თავს არ დაგანახვებენ.

დედოფლის მეუღლე — პრინცი, ეროვნებით ფრანგი, ამ დილას ენახათ. არაბულ ცხენზე ამხედრებული და ფოკეურად გამოწყობილი მანეჟზე მიდიოდაო. ხელშუბიანი ყარაული ბრინჯაოს ჰიშკართანაც დგას. სასახლე ნახევარწრედ უვლის გარს ფილაქნით მოგებულ შიგაეზოს.

კოპენჰაგენიდან გამოსვლისთანავე ავტოსტრადა ფაქიზად მოვლილ უსიერ ტყეში მიემართება. ტყე ნაკრძალია. ნაცნობი რცხილის, მუხისა და ძელქვის ტოტები გზას ორივე მხრიდან თავს დაჰყურებენ. ცა თითქმის არა ჩანს.

დანია პატარა ქვეყანაა, ბევრად ნაკლები, ვიდრე საქართველო. მისი გადასერვა კიდიდან კიდემდე დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს და არც დიდ დროს მოითხოვს. დედაქალაქიდან ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილამდე, ელსინორამდე, საითაც გზა გვედო, სამ-სამსაათნახევრის სავალია. ელსინორი, ჩრდილოეთის ზღვაში ღრმად შეჭრილ კონცხზე აგებული ციხედარბაზი, გადმოცემით ჰამლეტის მამას ეკუთვნოდა. კარიბჭის ყრუ კედელზე ამის აღმნიშვნელ მემორიალურ დაფასაც წააწყდები. ჰამლეტი, დანიის პრინცი!

ელსინორი ძალზე ვიწრო სრუტის კონტინენტალურ ნაპირზეა აღმართული. სრუტის გაღმა ნაპირზე შეუიარაღებელი თვალით შვეციის ქალაქი და ნავსადგური ჰელსინგბორგი მოჩანს. ელსინორის გარშემო, უფრო სწორად სამი მხრიდან, რადგან მეოთხე ზღვას უჭირავს, კარგა დიდი ქალაქი გაშენებულა. აქ უზარმაზარ საოკეანო ლაინერებს აშენებენ. ელსინორსა და შვეციის ქალაქ ჰელსინგბორგს შორის გაცხოველებული მიმოსვლაა. ერთდროულად რამდენიძე ბორანი, იგივე საზღვაო ტრამვაი მიდიმოდის. ბევრი ელსინორელი შვეციაში მსახურობს, ბევრი შვედი კი დანიაში. მიმოსვლა მხოლოდ რამდენიმე წუთს მოითხოვს, ქვეშევრდომობაზე კი, თუ ვინ ვისი მოქალაქეა, აქ არავინ ლაპარაკობს. სხვა იყო ფეოდალიზმის დროს, როცა დანიის მეფეებმა ეს განსაცვიფრებელი ციხედარბაზი ელსინორი ააგეს მარად მოუსვენარი შვედებისაგან თავის დასაცავად. ციხედარბაზი ფრიალო კლდის წვერზე წამომჯდარა და ბასტიონებზე გამწკრივებული თუჯის ზარბაზნებით ახლომახლო სრუტეს და შვეციის ნაპირს გადაჰყურებს.

3

გვიან ღამით გემმა ღუზა აუშვა და ნელა გავიდა ნავსაყუდლიდან. ფართო ყურეში კარგა ხანს ვიყურყუტეთ. ანძაზე შვეციის ალამი ასწიეს. ზღვაში გაყოლებული წითელი ბურთულების ხაზი — დანია-შვეციის საზღვაო საზღვარი — მარცხნივ მოვიტოვეთ და მარჯვენა ნაპირს მივუახლოვდით. თითქმის დილამდე იარა გემმა მჭიდროდ დასახლებული კლდოვანი ნაპირის გასწვრივ. სრუტე თანდათან დავიწროვდა. მარჯვენა და მარცხენა ნაპირიდან თითქოსდა ერთმანეთისაკენ მიისწრაფვოდნენ ბორნები და ბუქსირები. ეს ის ბორნები და ბუქსირებია, რომლებსაც დანიელები და შვედები გა-

დაჰყავ-გადმოჰყავს სრუტეზე. მარცხნივ ახალი სილამაზითა და მომხიბვლელობით აღმართა სანახევროდ თავისივე ჩრდილით ჩამუქებული პირქუში მზეთუნახავი ელსინორი, მარჯვნივ კი შვეციის საპორტო ქალაქ ჰელსინგბორგში კარგად ჩანდა, როგორ დაჰქროდნენ ავტომობილები და როგორ ციმციმებდა ქალაქის რეკლამა.

ვიდრე „ესტონია“ სკანდინავიასა და ევროპის კონტინენტს შორის მიცურავდა, ზღვა შედარებით წყნარი იყო, მაგრამ შევცურეთ თუ არა ჩრდილოეთის ზღვის სივრცეებში, ღელვამ თანდათან იმატა და გრიგალად იქცა. გემის რადიოში რაღაც გამოაცხადეს. შემდეგ აღვადგინე: აიკრძალა ბაქანზე გასვლა. ეს გაფრთხილება და ბრძანება ნამდვილად ზედმეტი იყო. ათსართულიანი სახლის სიმაღლე ტალღები თითქმის მთლიანად ფარავდნენ გემს, რომელიც ხან მარჯვნივ გადაიხრებოდა და ხან მარცხნივ, ხან წინ და ხან უკან. კაიუტაში, რაც ძირს დაჭედებული ან კედელზე მიბმული არ იყო, იატაკზე დაცვივდა და წაღმა-უკუღმა დატრიალდა. მაცივრიდან ბორჯომის ბოთლები გამოგორდა, ჭურჭელი დაიმსხვრა, ტელეფონი, წიგნები და ხელნაწერები აქეთ-იქით მიიბნ-მოიბნა. თავის აწევა და რისამე შველა შეუძლებელი იყო. ღელვა კედელზე მიგანარცხებდა და იქიდან კიდევ სად გადაგაგდებდა, კაცმა არ იცის. ასე გასტანა მთელი დღე და მთელი ღამე. დილით ზღვის ღელვამ ხუთ ბალამდე დაიკლო. შესაძლებელი გახდა ფეხზე წამოდგომა და რესტორანში ჩასვლა. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მარცხნივ სქელ ნისლში იკვეთება ინგლისის ნაპირი. უთუოდ ასეთი სქელი ნისლი აწვა ლონდონის ქუჩებს, ჯონ გოლსუორთის „ფორსაიტების საგას“ გმირი ხუროთმოძღვარი ბოსინი რომ დაიღუპა!

ჩავუარეთ რამდენიმე ფორტს, რომლებზედაც მეორე მსოფლიო ომის დროს საზენიტო ბატარიები იდგა და განსაცდელში ჩავარდნილ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქს გერმანიის თვითმფრინავებისაგან იცავდა. ზღვა მაშინ დანაღმული იყო. ნაპირს რეიდზე მდგომი კატარღები დარაჯობდნენ. ლოცმანის დახმარების გარეშე წყალში უბრალო ბრტყელძირიანი ნავიც ვერ გაიგნებდა გზას, უმალვე ნაღმზე აფეთქდებოდა. ჰაერში ინგლისის მოთვალთვალე თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ზღვაზე ერთი უბრალო უცხო წერტილიც ვერ გაიპარებდა. ასეთ მეორეთმოსვლაში შესძლეს კუნძულ ტექსელიდან მოტორიანი ნავით წამოსულმა ოთხმა ქართველმა ტყვემ და მათმა მხლებელმა ჰოლანდიელებმა ქირვეული ჩრდილოეთის ზღვის გადალახვა და ინგლისის ნაპირებამდე მიღწევა იქ სამხედრო დახმარების მოსალებად. ჭეშმარიტად გაუგონარი გმირობაა! ვაი, რომ თავგანწირვამ ამაოდ ჩაიარა და სამხედრო დახმარების მაგიერ მოკავშირეებისაგან დაპატიმრება და დილეგში ჩაყრა მიიღეს.

ცხრა საათზე ორივე მხარეს გამოიკვეთა მწვანე ნაპირი. გემი მთელი სისწრაფით შეცურდა ტემზაში, რომელიც ისე წყალუხვია, ზღვისაგან არაფრით გამოირჩევა. შესართავში დარჩა ნახევრად ჩაძირული სამხედრო გემი. იგი სავსეა ასაფეთქებელი ნივთიერებით და აქ დგას ომის დროიდან. ახლოს ვერავინ ეკარება, აფეთქებისა ეშინიათ.

ტემზაში ინტენსიური მოძრაობაა. მარჯვენა ნაპირზე დიდი ქალაქის მინამგვანი დასახლება დაიწყო, მარჯვნივ მწვანე მინდვრები და სოფლებია. თორმეტის ნახევარზე წითელი ამწეებით აჩინჩხლულ ტილბერიში შევედით და ხის ნავმისადგომს მივადექით. საზღვაო ვაგზალი ძველისძველ მიტოვებულ შენობას ჰგავდა, მის ხის კედლებსა და სახურავს ლპობაც კარგა ხნის წინათ შეჰპაროდა.

საგარეუბნო მატარებელი ვაგზლის უკან იდგა ჩიხში. ორმოცი წუთის შემდეგ უკვე ლონდონში ვიყავით. გზადაგზა ერთიმეორეზე წაბმული საზღვაო და სარკინიგზო საწყობები, ბენზინის მოსაკავებელი ვეება ცისტერნები, ხე-ტყით დატვირთული ეშელონები და ტილბერისაკენ მიმავალი საგარეუბნო მატარებლები გვხვდებოდა.

ლონდონის ვიქტორიას ვაგზლის მოედანზე კომფორტაბელური ტურისტული ავტობუსები ჩამოეყენებინათ. კარგა ხანს ვიარეთ, სანამ შუა საუკუნეების დროინდელი ვიწრო, მაგრამ სწორი და გრძელი ქუჩებით ლონდონის გულს — — სიტის მივაღწევდით. ქუჩები სიტიშიაც ვიწროა, ქვის ოთხ-ხუთ-ექვსსართულიანი და ზოგან უფრო მაღალი სახლები დგას. ესაა ლონდონის და ე. ი. ინგლისის თავი, აქ ძგერს მისი მაჯა. სიტიში იყრის თავს ლონდონის ყველა საქმიანი დაწესებულება. მოსამსახურე პერსონალის საერთო რიცხვი, ყოველ დილას კანტორის მაგიდას რომ მიუჯდება, მილიონნახევარს აღემატება.

ავტობუსების გრძელი კოლონა ბუკინგემის სასახლის მოედანზე გაჩერდა. ჩამოსულნი თუ ადგილობრივი მკვიდრნი სწორედ აქეთ მოისწრაფვიან მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნის მხედრულ ტანსაცმელში გამოწყობილი და იმავე ეპოქის იარაღით აღჭურვილი ყარაულის შეცვლის სანახავად. ყარაული ზუსტად დათქმულ დროზე გამოდის. უკრავს სამხედრო ორკესტრი, წითელ, შავ და ცისფერ ჯუბეებში გამოწყობილი პირტიტველა მხედრები შეკრული მწყობრით მოაბიჯებენ. კოჰორტა კოჰორტას მოსდევს. თვალი ვერ ძღება სანახაობის ცქერით. ბრწყინავს იარაღი, ციმციმებს ლაგამ-მოსართავი, სივრცე საზეიმო ხმებით ივსება. არც ერთ ინგლისელს, ვისთვისაც კი ძვირფასია სამშობლო და ჯერ კოსმოპოლიტიზმის

შხამით არ მოწამლულა, ალბათ, არც შეუძლია ამ ხმების დიდი მღელვარების გარეშე მოსმენა, ამ ტრადიციული ხმებისა, რომელიც ბუკინგემის სასახლის მოედანზე უკვე რამდენიმე ასეული წელიწადია უცვლელად გაისმის. ინგლისი შეეჩვია და შეესისხლხორცა ამ ხმებს, მთელ ამ ცერემონიალს და იგი უკვე გამომხატველად იქცა ეროვნული სულისა...

სასახლის წინ განთქმული მეფის, ვიქტორიას, უზარმაზარი სკულპტურა დგას. ვიქტორიას მეფობის ხანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია ინგლისის ისტორიისა. ამ სახელთან ბევრი რამ არის აქ დაკავშირებული.

ბუკინგემის სასახლე, ინგლისის მეფეთა ძველი რეზიდენცია, უსაშველოდ დიდი და გრანდიოზული არ არის, გარედან არც თვალში საცემი სიმდიდრით გამოირჩევა. ედემად ქცეული, ასწლოვანი ცაცხვებითა და კედრებით დაბურული ეზო შემოღობილია ბრინჯაოს მაღალი მესერით. ვიქტორიას ქანდაკება აქ ისე დგას, რომ სასახლესთან ერთ მთლიან ანსამბლს ქმნის. მოედანსაც და სასახლის შემოგარენსაც გარს ვეებერთელა ტყე-პარკი არტყია. ამ ტყე-პარკში, მოედნიდან ოთხასიოდე ნაბიჯის მოშორებით, დიდრონ ხეებს შუა ინგლისის მეფეების ახალი, მოქმედი რეზიდენცია მიყუჟულა. სადარბაზო ჭიშკრით თუ კარიბჭით იგი მეზობელი ქუჩისკენაა მიქცეული. ამ ქუჩით გადიხარ სწორედ პიკადილზე. ეს არის ლონდონელების უსაყვარლესი ქუჩა, ისევე როგორც გორკის ქუჩა მოსკოვში, რუსთაველის პროსპექტი თბილისში და ნევის სანაპირო ლენინგრადში, აქ ცხოვრობს ინგლისის ბომონდი. აქვეა განლაგებული ლონდონის კინოთეატრები, სავაჭრო დაწესებულებები და ბევრი სხვა რამ.

პიკადილის მოედანი ლონდონის მთავარი მოედანია. ბუკინგემის სასახლისა არ იყოს, უსაშველოდ დიდი ისიც არ არის, ადიდებს ძველი სახელი და ტრადიცაა. აქედან ვიწრო ქუჩაზე გაუხვევ და საქვეყნოდ განთქმული ბრიტანეთის მუზეუმის სვეტებიანი სასახლის წინ გახვალ.

ბრიტანეთის მუზეუმის შენობა ძველია, კლასიკური სტილით აგებული. მას განსაკუთრებულ სიძველის იერს აძლევს საეჭვო შუქჩრდილები, რომელსაც არცთუ იშვიათად მოუვლელობაც ბადებს ხოლმე.

მუზეუმის ექსპოზიცია იწყება ეგვიპტური და ელინური ქანდაკების გამოფენით. შეიცავს ძველი აღმოსავლეთის, ირანის, ინდოეთის, მცირე აზიის, ერთი სიტყვით ძველი მსოფლიოს მრავალი ხალხის, მათ შორის სომხეთის (მანუსკრიპტების დარბაზში პირველ ადგილზე დევს დაბადების სომხური თარგმანი მეექვსე საუკუნისა) მატერიალური კულტურის ნიმუშებს, დაწყებული ქანდაკებებით, მოზაიკით, ჭედურობით, ნუმიზმატიკით და დამთავრებული ეგვიპტური სარკოფაგებით, მუმიებით და უნიკალური ხელნაწერებით. პირველ სართულზეა უზარმაზარი სამკითხველო დარბაზი, სადაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული წიგნების მიღებაც შეიძლება.

ინგლისელებს, როგორც ყველა სხვა დიდ ერს, თავი კაცობრიობის კულტურის სრულუფლებიან მემკვიდრედ წარმოუდგენია და აქ, ბრიტანეთის მუზეუმის ჭერქვეშ, მოუგროვებია ყველაფერი, რის ადგილიდან დაძვრა და ლონდონში დაუზიანებლად მოტანაც შესაძლებელი იყო. განა ასე არ მოიქცნენ გერმანელები, როდესაც ბერლინის პერგამონის მუზეუმი შექმნეს? ამავე პრინციპით არ არის აგებული ლუვრი და ლენინგრადისა და მოსკოვის საქვეყნოდ ცნობილი მუზეუმები?

მაგრამ სულ სხვაა მადამ ტისოს მუზეუმი, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთი საკვირველება. მადამ ტისო მარია-ანტუანეტას სეფექალი ყოფილა. საფრანგეთის რევოლუციის დროს, ვიდრე მეფე-დედოფალს თავს გააგდებინებდნენ, მადამ ტისოს სანდო ხალხის დახმარებით მოუსწრია ლა-მანშის გადმოლახვა და თავი ინგლისისათვის შეუფარებია. ლტოლვილმა სეფექალმა საფრანგეთიდან თან წამოიღო თავისი ორიგინალური ქმნილებები — სანთლისაგან გამოძერწილი სკულპტურული პორტრეტები, რომლებიც შემდეგ მადამ ტისოს მუზეუმის პირველ ექსპონატებად იქცნენ ლონდონში.

მუზეუმს მრავალი დარბაზისაგან შემდგარი კარგა დიდი შენობა უჭირავს.

ტისოს ხელიდან გამოსული ქმნილებები ნამდვილად სულჩადგმული ადამიანებია. ეს ქმნილებები განცვიფრებენ, საოცარი ძალით აღვიძებენ თქვენს ცნობისმოყვარეობას და ამავე დროს თავზარსა გცემენ, რადგან მუზეუმის დარბაზებში შესვლისთანავე გარდასულ ისტორიულ პირთა სამყაროში ექცევი და უკვე გიჭირს, მხატვრის ხელითა და ფანტაზიით შექმნილი გამოსახულება ცოცხალი ადამიანისაგან გაარჩიო.

ისტორიული პირები აქ თავიანთი სხეულისა და ნაკვთების ნატურალური სიდიდით არიან წარმოდგენილი, აცვიათ ისე, როგორც სიცოცხლეში იცვამდნენ და უჭირავთ ის ძალდაუტანებელი პოზა, რის მიღებაც სიცოცხლეში სჩვეოდათ.

აი, ინგლისის მეფეები და დედოფლები, აი, გულხელდაჭდობილი და ღრმა ფიქრში წასული თავშიშველი ნაპოლეონ ბონაპარტე, აი, თვით რიჩარდ ლომგული, ჯვაროსნული ლაშქრობების ძლევამოსილი მონაწილე, დავით აღმაშენებლის თანამედროვე, აი, საკაცობრიო საზრუნავით შეპყრობილი სამი მწერალი, ერთი მომცრო მაგიდის გარშემო რომ შემოკრე-

ბილა: ვიქტორ ჰიუგო, ვალტერ სკოტი, ჩარლზ დიკენსი...

ტისოს ხელოვნებას, რომელსაც ისევე, როგორც საზოგადოდ ყოველ ხელოვნებას, ხელობასთან ბევრი რამ საერთო აქვს, მიმდევრები გამოსჩენია. მუზეუმის დარბაზებში ბლომადაა მათი ხელით შექმნილი და სხვადასხვა წარმატებით შესრულებული პორტრეტები განთქმული საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეებისა. მათ შორის დიდებულია დე გოლი, რუზველტი, ჯონსონი, ჩერჩილი, კინგი და ბევრი სხვა. აქვე ნახავთ ბრიჯიტ ბარდოს ჯინსებში და ელიზაბეტ ტეილორს თვალისმომჭრელ ფარჩის კაბაში. ძნელი და თითქმის შეუძლებელია ეს პორტრეტები ცოცხალისაგან გაარჩიო და თუ რომელიმე თქვენი პირადი ნაცნობია, ხელი ჩამოსართმევად არ გაუწოდო.

მაღამ ტისოს მიმდევრებსა და წამბაძველებს არც ინგლისის ახლანდელი დედოფალი ელისაბედი დაუტოვებიათ გულნაკლულად. პირმომღიმარე დედოფალი ვარდისფერ შუქშია გახვეული, ხელი წინ გამოუწევია და თითქოს შენს შესახვედრად მოემართება. აქ არავისა აქვს ნება მუზეუმში ფოტო ან კინოაპარატი შემოიტანოს, მაგრამ ზოგიერთები ამას მაინც ახერხებენ და ასე ხვდება ზოგიერთი თავქარიანი მოხალისე აუდიენციაზე ინგლისის დედოფალთან...

ნახევრადჩაბნელებულ ძირა სართულში მოუთავსებიათ სიმართლისათვის წამებული რაინდები. ისინი აქ თავიანთ საკნებში სხედან და მწარე ხვედრს მშვიდად ელიან. დარბაზის შუაგულში დგას შემზარავი გილიოტინა, რომლის დანის ქვეშაც ზურგზე ხელებგაკრული მსხვერპლი დამხობილა. კიდევ წუთიც, დანა სივილით დაეშვება და თავი კალათში ჩაგორდება. აქვე ახლოს, ნახევრადბნელში წევს ზეწარწახურული მარატი, რომელსაც გულის ჭრილობიდან საკვირველად ღია ფერის სისხლი გადმოსდის...

მუზეუმის შემდეგი და უკანასკნელი დარბაზი ადმირალ ნელსონის ერთ-ერთ საზღვაო ბრძოლას წარმოგვიდგენს. სინქრონული ხმა და სინათლის მოძრაობა ჯოჯოხეთური ბრძოლის სრულ ილუზიას ქმნის და ტანში გბურძგლავს. გრგვინავენ ზარბაზნები. მტრის ყუმბარა აგერ შენს თვალწინ ეცემა გემბანზე, ისმის ღრიალი, ბრძანება, კვნესა, ზარბაზნის საპასუხო გრიალი, რომელიც ზღვის ტალღების გრგვინვას უერთდება. მიყვები დერეფანს. მარჯვნივ ბრძოლის პანორამა გრძელდება. ჩადიხარ ძირს. იქ გემის მუცელია, დაჭრილებითა და დახოცილებით სავსე. ზარბაზნების ჭექა-ქუხილი უკვე ზემოდან, გემბანიდან მოისმის...

## 4.

ეროვნული

გაოგნებული გამოვედით. მადლობა ღმერთს, ქუჩა მშვიდი იყო. აქ არც ნელსონი ახსოვდა ვისმე და არც მისი რომელიმე საზღვაო ბრძოლა. ავტობუსები კვლავ გველოდნენ. მალე სიტი ისევ გავიარეთ, უკან მოვიტოვეთ ლონდონის უნივერსიტეტის კორპუსები, რომლებიც სწორედ ბრიტანეთის მუზეუმის უკან ყოფილან ჩამწკრივებული და აქვე, ცენტრის ახლოს, ლივერპულის ვაგზალს მივადექით. ძველისძველ, მოუვლელ ვაგზალში უამრავი ხალხი ირევა. რიგი მიდის, რიგი მოდის. ერთიმეორის მიყოლებით გადიან სხვადასხვა ფერად შეღებილი გრძელი შემადგენლობები და მათ ადგილას სხვები შემოდიან რკინის კარკასებით გადახურულ პლატფორმებზე.

მომდევნო დილას ტილბერიდან წამოსულმა მატარებელმა ისევ აქ, ლივერპულის ვაგზალში მოგვიყვანა. გარეთ გამოვეფინეთ. დღეს ბევრი ქუჩა უკვე ნაცნობია. ზოგან წინადღეებში ფეხით ვიარეთ, ხოლო ტაუერს, რომლის დასათვალიერებლადაც ახლა მივეჩქარებოდა, მხოლოდ გაქანებული ავტობუსიდან მოვკარით თვალი.

დიდებული ციხე-დარბაზი ტაუერი, ინგლისის მეფეთა უძველესი რეზიდენცია, რომელსაც რამდენიმე ქცევა მიწა უჭირავს ტემზის მარცხენა ნაპირზე, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში აუშენებია სისხლით გაუმაძღარ ვილჰელმ დამპყრობელს, საქსონიასთან ომში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ. ტაუერი შორიდან წესიერ ოთხკუთხედებად დალაგებულ სხვადასხვა სიმაღლის ყორეებს წააგავს. სიძველისაგან გამუქებულ ქვის კედლებს, როგორც მრავალ სხვა შენობას ლონდონში, კირის ხსნარი აქვს დაუდევრად მიშხეფებული, რაც შენობებს კეთილშობილი სიძველის იერს აძლევს და სიძველის წინაშე მოკრძალებას აღგიძრავს.

ტაუერი ლონდონის სიტის შუაგულშია. მისი მთავარი კარიბჭეები ტემზის სანაპიროზე გადის, საიდანაც ძალიან კარგად ჩანს ფოლადის ვეება რკალებზე დაკიდებული ტაუერის ხიდი და ქვეყნის დედა-მდინარეში მორიალე გემები. თუ ტემზას ალმა აუყვები, გზად ვატერლოოს ხიდი შემოგხვდება, შემდეგ სარკინიგზო ხიდი, რომლის აქეთა ყურიდან გაღმა ნაპირზე დაინახავ ფასადით ტემზის მარცხენა სანაპიროზე გამომავალ ლონდონის მაგისტრატს ანუ მუნიციპალიტეტს, ხოლო მარჯვნივ ვესტმინსტერის ხიდს. მაგისტრალის პირდაპირ, აქეთა ნაპირზე, საქვეყნოდ განთქმული პარლამენტის შენობა ვესტმინსტერი და ინგლისელ უკვდავთა ძვალშესალაგი ვესტმინსტერის სააბატოა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ტაუერს. მის მა-

ლალ კარიბჭეებში, რომლებთანაც ოდესღაც წყლით სავსე ღრმა არხებზე გადებულ ხიდს მიუყავხარ, ვიქტორიანული ეპოქის ტანსაცმელში გამოწყობილი მეკარეები დგანან. უაღრესად სანდომიანი დარბაისლური შესახედაობის ხანშიშესული კაცები არიან. ერიდებიან ფოტო და კინოობიექტივს, ოღონდ ამას ვითომდა შემთხვევით სჩადიან.

ქვის თვალშეუდგამი გალავნით შემოღობილ ეზოში ჯერ კიდევ იულიუს კეისრის ლეგიონების ნადგომ ყაზარმათა ნანგრევებია დარჩენილი. კეისარი ხომ აქ დიდი ხნით ადრე იყო, ვიდრე ტემზის ნაპირას ინგლისის მეფეთა შეუვალი რეზიდენცია აშენდებოდა. ნანგრევების ახლო დგას რამდენიმე მაღალი და მკვიდრი ქვის შენობა. ერთერთ მათგანს და ყველაზე უფრო მოხდენილს, თეთრ კოშკს ეძახიან. იგი მეფეთა სადგომი იყო. ამჟამად კი შიგ ძველებური იარაღ-საჭურვლის გამოფენაა მოწყობილი. მეზობელ შენობაში მეფის ოჯახის ძვირფასეულობაა სამზეოზე გამოტანილი. ეს უნიკალური გამოფენა გვირგვინებისა, მეფეთა და უფლისწულთა რეგალიებისა, სამკაულებისა და თვალ-მარგალიტისა, ალბათ, დიდად აღემატება მსოფლიოს ყველაზე უფრო მდიდრულ და ბრწყინვალე კოლექციებს. შეუძლებელია დაასახელო აქ გამოფენილი რომელიმე ნივთის ნომინალური ღირებულება. იგი, ალბათ, მრავალ მილიონ დოლარს და გირვანქა სტერლინგს გადააჭარბებს. აღსანიშნავია, რომ ინგლისის მეფეთა ბრილიანტის, მარგალიტის და სხვა დაუფასებელი ლითონისა და პატიოსანი თვლებისაგან შემდგარი გვირგვინები, სკიპტრები, კვერთხები თუ ხმლის ქარქაშები უპირატესად მოგვიანო — მეჩვიდმეტ-მეთვრამეტე-მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებს განეკუთვნება. ამ წლებსა და საუკუნეებში დიდი ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიამ თავისი სიმდიდრისა და სამხედრო ძლიერების ზენიტს მიაღწია.

მნახველები ერთ მწკრივად, უწყვეტ ნაკადად მიემართებიან სქელი შუშის უზარმაზარ ყუთებში მოთავსებულ ექსპონატებისაკენ. გაჩერება, ისევე როგორც მავზოლეუმში, აკრძალულია. ყოველი სამი-ოთხი მეტრის გამოშვებით დარბაისელი მცველები დგანან და ნაკადის შეუჩერებელ მსვლელობას აწესრიგებენ. თვით შენობა შიგნიდან მკაცრია და ყოველგვარ ზიზილპიპილებს მოკლებული, ისეა, როგორც ნამდვილ ციხედარბაზს შეჰფერის. ეს დიდ კონტრასტს ქმნის ექსპონატებთან და მნახველის ისედაც ცხოველ შთაბეჭდილებას ერთიორად აძლიერებს.

ტაუერის ეზოში, ტოტებგაშლილი თელების ქვეშ, გიჩვენებენ ფილაქნით მოგებულ და თუჯის შავი ჯაჭვით შემოსაზღვრულ ადგილს. აქ იდგა კუნძი, რომელზედაც ჯალათი თავს კვეთდა ინგლისის ტახტის მოცილეებს თუ ტახტის მოცილეებთან ინტრიგაში დამარცხებულ მეფეებს, ქალებს თუ კაცებს... სისხლიანი მოედნის უკან მიწაში ჩაურჭიათ თეთრი მარმარილოს დაფა, რომელზედაც ამოტვიფრულია საბედისწერო ჯირკზე თავმოკვეთილ მეფეთა, დედოფალთა და უფლისწულთა სახელები.

ტაუერის ოთხივე კუთხივ მაღალი კედლებით შემოზღუდულ ეზოში არხეინად დასეირნობენ და დროდადრო შემზარავი ხმით ჩხავიან ფრთებმოკვეცილი და საკვირვლად დიდი ტანის ყვავები. ახლოს ვერ მიეკარები. მიწას მოკაუჭებული ნისკარტით ხნავენ და თუ გაბედა და ვინმე მიეძალა, ზედ სისხლმოწყურებული აფთარივით ებღვნებიან. როგორ წარმოიდგენ, თუ ყვავი სიმბოლოა დიდი ბრიტანეთის მარადიულობისა და აქ, ტაუერში, წმინდანად შერაცხული ყვავის სიკვდილი დიდ ეროვნულ უბედურებად ითვლება. დიახ, ტაუერში ყვავი განასახიერებს ინგლისის ტახტის და ინგლისელი ერის მარადიულობას. ყვავი სულ შვიდია. ფრთები ყველას შეკვეცილი აქვს. ისე რომ აქედან ვერცერთი ვერ გაფრინდება და იძულებულია მთელი სიცოცხლე მეფურ ტყვეობაში გაატაროს. გარდაცვლილი ყვავის ახალი ყვავით შეცვლა ისეთივე ზარზეიმით ხდება, როგორც ახალგაზრდა პრინცის მეფედ კურთხევა. აქვე, ტაუერის გალავნის კედელში, განისვენებენ გარდაცვლილი ყვავები, რომელთა სახელი, დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღითურთ, ქვაზე მონდომებით ამოუკვეთიათ.

ტაუერი ერთბაშად, ერთი დაკვრით არ აშენებულა. ჰენრიხ მეორემ ანჟუის ჰერცოგმა ,ინგლისის სამეფო დინასტიის — პლანტაგენეტების მამამთავარმა, რომლის შთამომავალნი საფრანგეთის ტახტსაც ეპოტინებოდნენ და მის დასაუფლებლად საფრანგეთს ასწლიანი ომი გაუმართეს, გაამაგრა გარე კედლები, მოგვიანო დროის მეფეები კი ტაუერში სხვადასხვა დანიშნულების მქონე ახალ-ახალ შენობებს აშენებდნენ. ტაუერშივე იყო მოთავსებული სამეფო საპყრობილეც. საპყრობილეს თუ დილეგს თავისი საკუთარი შესასვლელი ჰქონდა ტემზის მხრიდან და იგი „მოღალატეთა კარის“ სახელით იყო მონათლული. ამ კარით შესული ღირსებააყრილი პატიმარი ამიერიდან ტაუერის ტყვედ ითვლებოდა და უკან აღარ გამოდიოდა. არის აქ შენობები, რომელიც მეფე რიჩარდ მესამის სურვილისამებრ აუგიათ. ეს ის რიჩარდია, ორი მცირეწლოვანი ძმისწულის მკვლელი, რომლის სახელიც შექსპირმა უკვდავჰყო. მადამ ტისოს მუზეუმში თქვენ შეგიძლიათ საკუთარი თვალით ნახოთ ამ შემზარავი მკვლელობის სურათი. ორ ნებივრად მძინარე ყმაწვილს, საბანი რომ გადაუხდიათ და ძილში ერთმანეთს ჩახუტებიან, თავს ავი განზრახვით შეპყრობილი ორი ბოროტმოქმედი ადგას. ერთ-

ერთი მათგანი ბავშვების ღვიძლი ბიძა რიჩარდია... აგერ შვიდი საუკუნე გავიდა მას შემდეგ. ინგლისელ ერს დღესაც აღშფოთებს ჩადენილი ბოროტება და მას, როგორც სიმუხთლისა და არაკაცობის მაგალითს, ყოველ შემხვედრ უცხოელსაც კი აჩვენებს.

1666 წელს ლონდონში დიდი ხანძარი მოხდა. ხანძარმა თითქმის მთელი ქალაქი და მის ღირსშესანიშნაობათა დიდი ნაწილი იმსხვერპლა. დაიწვა ვესტმინსტერი, გადარჩა მხოლოდ ერთი ფლიგელი, რომელიც დღესაც ამშვენებს შენობათა ამ განუმეორებელ ანსამბლს. ერთი წლის თავზე ხანძრით განადგურებულ ქალაქში გრანდიოზული მშენებლობა გაჩაღდა. მაშინ აშენდა სწორედ წმ. პავლეს ტაძარი. სიდიდის მიხედვით, როგორც ამბობენ, ის მესამეა მსოფლიოში რომის წმიდა პეტრეს ტაძრისა და მილანის კათედრალის შემდეგ.

როგორც ყველა ქრისტიანული საყდარი, წმიდა პავლეს ტაძარი ჯვრის მოყვანილობისაა. შუაში მთავრდება უზარმაზარი გუმბათით, რომელიც გარედან მოოქროულია, ხოლო შიგნიდან ფრესკებით მოხატული და მაღალი, ვიწრო, ვიტრაჟიანი სარკმელებით განათებული.

საკურთხევლის უკან, სადაც ინგლისის რამდენიმე მეფეა დამარხული ქვისა და ბრინჯაოს სარკოფაგებში, მოთავსებულია კაპელა მეორე მსოფლიო ომში ინგლისისათვის ბრძოლაში დაღუპული ოცი ათასი ამერიკელი მფრინავის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ტაძრის ინტერიერი ოთხ ძირითად ნაწილად არის გაყოფილი. ყველაზე გრძელი და განიერი ნაწილი, რომელშიაც შესვლისთანავე ხვდები, მრევლის მოსათავსებელ პარტერს უჭირავს. აქ ათასობით მლოცველი ჯდება საეკლესიო წირვა-ლოცვის დროს. ასევე ხკამებს უკავია ტაძრის მარჯვენა და მარცხენა ფრთის ინტერიერი. მარტო მთავარი ღერძის უკანა მხარე ეთმობა საკურთხეველს და წმიდა საფლავებს. საფლავები მთავარ და გვერდით ფრთებშიაც არის მარმარილოს ფილების ქვეშ, ხოლო კედლებისა და ნაირფერად მოციმციმე ვიტრაჟის გასწვრივ ბრინჯაოსა და მარმარილოს მრავალი ფიგურაა გაყოლებული. შეუძლებელია, ყველას გამოეკიდო და ყველას სათითაოდ აღწერა სცადო. ერთი რამ საგულისხმებელია: მიუხედავად საარაკო სიმდიდრისა, წმ. პავლეს ტაძარი თვალს არ გჭრის ამ სიმდიდრით, რაც ხშირად უგემოვნობასა და მეშჩანობაში გადადის ხოლმე.

წმ. პავლეს ტაძარი, ახალი საუკუნეების ხუროთმოძღვრული ხელოვნების ხელიხელსაგოგმანებელი მარგალიტი, ანგლიკანური ეკლესიის უპირველესი ციტადელია. ის სწორედ ამ მიზნით არის აგებული, მაგრამ მოწოდებული ცნობის სისწორეში უმალ დაეჭვდები, როგორც კი ხუროთმოძღვრების საოცარ ქმნილებას — ვესტმინისტერის სააბატოს ნახავ. გრანდიოზულ წმ. პავლეს ტაძართან შედარებით ის პატარა ჩანს, მაგრამ მნახველის — ეს პირველი შთაბეჭდილება მოჩვენებითია. ტაძრის ინტერიერი ათობით დარბაზისაგან, კაპელისაგან, სენაკისაგან და გასასვლელ-გამოსასვლელისაგან შესდგება. აქ დაუმარხავთ ინგლისისა და მთელი კაცობრიობის ბევრი დიდი შვილი. გრანიტის ქვეშ განისვენებს ისააკ ნიუტონი, იქვე ახლოს — ჩარლზ დარვინი. გონებისა და ამაღლებული პოეზიის უკვდავ ქურუმებს შეუვიწროებიათ ამა ქვეყნის ძლიერთა — მეფეების, დედოფლების, სამეფო სახლის წევრთა ხსოვნა. თუმცა ამ პირთა საფლავები გაცილებით მდიდრულია და ეკლესიის დიდი სივრცეც უჭირავთ, მაგრამ სათაყვანებელი, ყველასათვის ერთნაირად ნაცნობი და ძვირფასი სახელის გაბრწყინება მაინც თავისას სჩადის.

ყოველი კულტურული ქვეყნიდან მოსული კაცი ინატრებს: ნეტავ — მათ, უკვდავთ, და მათ ქვეყანას, ღვაწლის დაფასება რომ შეუძლია!

ბევრი, ბევრი ვინმეა აქ, ხოლო ვინც არ არის, მისი სახე მაინც ამოუკვეთიათ მარმარილოში და გვამის მოსათავსებელი ადგილიც გამოუყვიათ. რა ვუყოთ, თუ უინსტონ ჩერჩილი თავისი სურვილით დაიმარხა ერთ პაწია სოფელში, სადაც ბავშვობა გაატარა, მისი სამუდამო განსასვენებელი აქ იყო და იატაკის ვეება ფილასაც, ტაძრის შემოსასვლელში, ამიტომაც აწერია „უინსტონ ჩერჩილი". მარმარილოს მიცვალებულები გულაღმა წვანან სიკვდილის სარეცელზე. ესენი უმთავრესად მეფეები, დედოფლები და სამეფო გვარეულობის შვილები არიან, ზოგი თავისი დღით წასული ამა ქვეყნიდან, ზოგიც ტაუერის კუნძზე თავმოკვეთილი, როგორც მარიამ სტიუარტი...

ტაძარს არც თავი აქვს, არც ბოლო. შიგ იბნევი. თუ არა დამხმარე, იქნებ ვერც კი შესძლო შიგნიდან გარეთ გზის გამოგნება.

ვესტმინსტერის სააბატო მეცამეტე საუკუნეში აუშენებიათ და ამ ხნიდან მოყოლებული სულ ფართოვდებოდა და სრულყოფილ სახეს იღებდა. ვესტმინსტერის დიდ სასახლესთან ერთად იგი ნეოგოტიკური სტილით არის აგებული. ამგვარი სტილით აგებულ შენობებს ბლომად შეხვდები საფრანგეთში. თვით პარიზის ღვთისმშობლის ტაძარსა და ვესტმინსტერის სააბატოს რაღაც საერთო უნდა ჰქონდეთ.

წარმოუდგენლად დიდი, არქიტექტურული ფორმებით მდიდარი და ზვიადია გარედან ვესტმინსტერი — ინგლისის პარლამენტის სასახლე. მისი ერთი ფლიგელი, ქვის საკვირველება, რომელსაც სასახლის მარცხენა ფრთა უჭირავს, რაღაც მანქანებით გადარჩენია 1666 წლის ხანძარს, დანარჩენი კი ხისა ყოფილა და დამწვარა. ისევე როგორც წმ. პავლეს ტაძარი, ვესტ-

მინსტერიც იმ სამახსოვრო ხანძრის შემდეგ აშენებულა და ეს განუმეორებლად ბრწყინვალე სახე მიუღია. რაკი ამ ხაზებითა და ფანტასტიკური წახნაგებით, კოშკებითა და გოდოლებით, სხვადასხვა სიმაღლის სახურავებითა და ლავგარდანებით შემკული შენობის აღწერა, ისე რომ მოწყენილობამ არ შეგვიპყროს და დეტალებში არ გავიხლართოთ, ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება, მხოლოდ იმას დავსძენ, რომ ვესტმინსტერში მსოფლიოს პირველი პარლამენტის სხდომები გაიმართა. პარლამენტმა მნიშვნელოვანწილად შეზღუდა მეფის უფლებები და ერის არისტოკრატიულმა ზედაფენამ, თავის საგვარეულო უპირატესობებს დღესაც რომ ინარჩუნებს, ქვეყნის მმართველობაში ლომის წილი დაიდო.

5.

ბრიტანეთის კუნძულებზე ყოფნის უკანასკნელ დღეს, კვირას, ინგლისის მეფეების დღემდე მოქმედი საზაფხულო რეზიდენცია, დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი ციხე-სიმაგრეთა კომპლექსი, ლეგენდარული ვინძორი ვინახულეთ. ვინძორისაკენ ოციოდე მეტრი სიგანის უალრესად კეთილმოწყობილი თანამედროვე ავტოსტრადა მიემართება. მოძრაობა, რასაკვირველია, ცალმხრივია და თანაც რამდენიმე ზოლისაგან შესდგება. მანქანები თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრიან. უქმე დღეა და მთელი ლონდონი ქალაქგარეთ გამოფენილა. მწვანე მდელოზე, ღიღრონი ხეების ქვეშ, აქა-იქ სუფრები გაუშლიათ. გზის ორივე მხარეზე, გვერდულს რომ ეძახით, უთვალავი მსუბუქი მანქანა დგას. მათი პატრონები მონატრებული ბუნების წიაღში განცხრომას მისცემიან. ამალამ უკან დაბრუნება არ გინდა? გზას, რა ფართოც არ უნდა იყოს, ათი ათასობით მანქანა ჩახერგავს და იძულებული გახდები წინ კუს ნაბიჯით იარო.

ვინძორის გზაზე გამოსვლის წინ მთელი საათი ჰაიგეტის სასაფლაოზე დავყავით. კარლ მარქსის საფლავზე გვირგვინები და ყვავილების თაიგულები მივიტანეთ. სასაფლაო დახურულს ჰგავს. საფლავებზე ბევრია მარმარილო, მაგრამ არც ისე ბევრი და უზომო, როგორც ჩვენში შეიძლება ნახოს კაცმა.

განსაკუთრებული და საგანგებო მოხსენიების ღირსია ვინძორის მახლობლად მოთავსებული იტონის სკოლა, რომლის კორპუსებს, ეკლესიას, დამხმარე მეურნეობას და სასწავლო ნაკვეთებს რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწა უჭირავს ციხე-სიმაგრის წინ გაშლილ ტრიალ მინდვრებში.

იტონის სკოლა, მაღალი წოდების უნიჭიერეს ინგლისელ ბავშვთა აღზრდის კერა, მეთხუთმეტე საუკუნეში დაუარსებიათ. იგი ინგლისური კოლეჯის — საშუალო სკოლის უფლებით სარგებლობს და ამზადებს კონტინგენტს ინგლისის ორ ძველთაძველ უმაღლეს სასწავლებელში — კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში შესასვლელად. სკოლა განთქმულია უმკაცრესი რეჟიმით, სწავლების მეტად მაღალი დონით და აღზრდის მრავალმხრივობით. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იტონის სკოლის კედლებში უსწავლია არისტოკრატიული წრიდან გამოსულ ყველა ინგლისელს, ვინც შემდგომ მნიშვნელოვანი კვალი გაავლო თავისი სამშობლოს ისტორიაში. აქ საკონკურსო გამოცდების წარმატებით დაჭერის შემდეგ იღებენ რჩეულთა შორის რჩეულებს და ასკეტურად ზრდიან. ბავშვი იტონის სკოლაში ყოველმხრივ ვითარდება, იძენს მეთოდური შრომის ჩვევებს, ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს, ყალიბდება როგორც ადამიანი, როგორც სრულუფლებიანი შვილი და ხვალინდელი პატრონი დიდი ბრიტანეთისა.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ იტონის სკოლის ადმინისტრაციამ თავის კედლებს შორის მიღებაზე უარი უთხრა ინგლისის მომავალ მეფეს, ტახტის მემკვიდრე გიორგის, ინგლისის ახლანდელი დედოფლის, ელისაბედის, უფროს ვაჟიშვილს. მცირეწლოვანი გიორგი სამარცხვინოდ ჩაიჭრა მისაღებ გამოცდებზე. მისი უმაღლესობა დედოფალი იძულებული გახდა თავისი მოზარმაცო პირმშო შოტლანდიის რომელიღაც პროვინციულ ქალაქში გაეგზავნა, სადაც გიორგის სკოლა-ინტერნატში მოუნახეს ადგილი.

რაც შეეხება ვინძორის ციხედარბაზს, რომელიც იტონის ვიწრო, შუასაუკუნოებრივი ქუჩაბანდებიდან სერზე შემომჯდარი ზღაპრული ფრინველივით მოჩანს, რაც შეეხება მის ენით აუწერელ სილამაზეს და ზვიადობას, ამის ირგვლივ კაცი მხოლოდ მიახლოებით თუ იტყვი რამეს. იგი, როგორც ტაუერის გარეთა კედელი, თავდაპირველად ევროპის მეფეთა რისხვას, ვილჰელმ დამპყრობელს აუშენებია. მაშინ ამ ადგილას მხოლოდ რამდენიმე სართულისაგან შემდგარი მთავარი კოშკი მდგარა, ისიც ხისაგან აგებული. კოშკს ირგვლივ წყლით სავსე არხი უვლიდა და შიგნით შესვლა მხოლოდ ასაწევი ხიდის გადმოშვების შემდეგ შეიძლებოდა. ამჟამად ქვის მკვიდრ ბურჯებში ჩასმული არხიც არის და, რასაკვირველია, თვით კოშკიც, მაგრამ იგი ქვისაა, საშვილიშვილოდ, საშვილთაშვილოდ აშენებული. ვილჰელმისეული კოშკი ქვის კოშკით შეუცვლია აგრეთვე დიდ მეფეს, რიჩარდ ლომგულს და იმ დღიდან მოკიდებული ამ დღემდე, თაობიდან თაობაში ვინძორი სულ შენდება და მშვენდება, თავისი მეფური დიდებულება ემატება.

ათი-თხუთმეტი მეტრის სიმაღლე გარეთა კედელი, რომელიც მომდევნო საუკუნეებში აშე-

ნეს, გარს უვლის ცალ მხარეზე დაქანებულ მწვანე ზეგანს და მას ყოველი მხრიდან მიუდგომელს ხდის. იარაღის ძალით ხმელეთიდან კედლის აღება დღესაც პრაქტიკულად შეუძლებელია, არამცთუ იმ დროს, შუბ-მშვილდისრისა და ჯაჭვ-მუზარადის ეპოქაში.

სადარაჯო გოდოლებითა და მიუვალი კედლებით გარსშემოწერილ ბალახოვან ზეგანზე რამდენიმე თვალწარმტაცი სასახლე და კარის ეკლესია წამოჭიმულა.

ვინძორი დღეს, რა თქმა უნდა, მუზეუმია, მაგრამ, ამავე დროს, ის ჩვეულებრივი, დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც არა ისტორიული ბუტაფორია, არამედ როგორც სამეფო და ასპარეზი ქვეყნის დღევანდელი ცხოვრებისა. მთავარი სასახლე სამი ფრთისაგან შესდგება და სამივე ეს ფრთა რუსული პ-ს მაგვარად არის ერთმანეთის მიმართ განლაგებული. მარცხენა ფრთა ოფიციალურ მიღებათა გასამართი საპარადო დარბაზებია. ყველა დარბაზს თავისი სახელი ჰქვია. ერთი მათგანია ვატერლოოს დარბაზი, რომელიც დიდი უზურპატორის დამხობის აღსანიშნავად მოუწყვიათ. ენა ვერ აწერს დარბაზების ჭერის, კედლების, გობელენების და ავეჯის მრავალფეროვნებას, სწორუპოვარ ფერმწერთა ტილოებს, რომელთაც სასახლე დაუმშვენებიათ. ვის და რას არ შეხვდებით აქ, ვის და რას არ ნახავ!

პ-ს მარჯვენა ფრთა არანაკლებ ბრწყინვალე ყოფილა. მას დედოფლის სტუმრების მოსათავსებლად იყენებენ, ორი ფრთის შემაერთებელ შუა სასახლეში კი დედოფალი ელისაბედი, მისი თანამეცხედრე ფილიპე და სამეფო ოჯახის სხვა წევრები ცხოვრობენ. საჭიროების შემთხვევაში ვინძორის სასახლეებს მუზეუმის თოკებს აცილებენ და ყოველი მისი კუნჭული დედოფლის საცხოვრებელ ადგილად იქცევა, ნიშანწყალიც აღარაფერი რჩება მუზეუმისა, თუმცა რისიმე შეცვლა, თუნდ გადაადგილება აზრადაც არავის მოსდის.

ინგლისს, ისევე როგორც ამ ზღაპრულ ციხედარბაზს, თითქოს არც წარსული აქვს, არც აწმყო და არც მომავალი. ყველა დრო აქ ერთმანეთს გადაბმია და ერთსულად და ერთხორცად ქცეულა, როგორც სიცოცხლისა და განვითარების, ზეალმავლობის უწყვეტი და უსასრულო ჯაჭვი. თვით მეფის ტიტულიც ხომ სიმბოლო და გამოხატულებაა ცხოვრების ინგლისური წესის თავისებურებისა, რომელსაც საფუძვლად მარადიულობის შეგრძნება და რწმენა უდევს. აქედან — ინგლისური კონსერვატიზმი, რომელიც სულიერი ცხოვრებისა და ყოფის ყველა სფეროში მჟღავნდება.

ღამე იყო, უკან რომ დავბრუნდით. უზარმაზარი ქალაქი ნეონის ნაირფერი შუქით კაშკაშებდა. მართლაც გაჭირდა ქალაქში შეღწევა. ოთხ თვალზე შემჯდარი მილიონობით ლონდონელი შინ ბრუნდებოდა საკვირაო გასეირნების შემდეგ. ტემზა გადავიარეთ და მარჯვნივ ტაუერივით ძველებური და პირქუში ციხედარბაზის დაკბილული კედლები აღიმართა. ეს კენტერბერიის არქიეპისკოპოსის, ანგლიკანური ეკლესიის მეთაურის რეზიდენცია იყო. გემზე აბარგება შეგვაგვიანდა. ტრაპი ასწიეს თუ არა, ძრავები ამუშავდა და „ესტონია“ დაბლა, ლა-მანშის სრუტისაკენ დაუყვა ტემზას.

6

დილის შვიდზე რადიომ გაგვაღვიძა. გემს მთელი ღამე ევლო. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მარცხენა ბორტიდან რეიდზე მდგომი ტანკერები მოჩანს, მათ იქით კი მიწის ლურჯი ზოლია. საფრანგეთი! ძრავამ უკვე უკლო გუგუნს. მალე, ალბათ, კიდევაც ჩაქრება. ჰავრში შევდივართ...

უცნაური გრძნობა დამეუფლა: თითქოსდა უცხო ქვეყნებში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ სამშობლოში ვბრუნდებოდი. ეს გრძნობა მაშინაც არ გამნელებია, როცა საფრანგეთის მიწას ფეხი პირველად დავადგით და ავტობუსების გრძელმა კოლონამ რუანის გზაზე გაგვიყვანა.

ეს დეპარტამენტი საფრანგეთისა — ნორმანდია — სენ-მალოს ყურედან თითქმის ამიენამდეა გადაჭიმული და ცალი კუთხით პარიზის კედლებს სწვდება. იგი მდიდარია ტყეებით და სახნავ-სათესი მინდორ-ველებით. ნორმანდიელები ოდითგანვე მისდევენ მეცხოველეობას, კერძოდ, მეცხვარეობას. ამიტომაც არის, რომ ნორმანდიის დეპარტამენტის ღერბში ცხვარია ჩახატული.

ადრე საფრანგეთის ეს კუთხე, რომლის ხალხი სისხლითა და ზნე-ჩვეულებებით ინგლისელებს უფრო ენათესავება, ვიდრე ფრანგებს, სკანდინავიის ხალხთა შემოსევებს განიცდიდა, მანამდე კი პირველიდან მეოთხე საუკუნემდე რომის მოხარკე და პროვინცია იყო. რომაელები ცეცხლითა და მახვილით სდევნიდნენ აქ ქრისტიანობის გავრცელებას, მაგრამ დიდი მსხვერპლის გაღების ფასად განმათავისუფლებელმა რელიგიამ ფეხი მაინც მოიკიდა და უკვე მეხუთე საუკუნეში გაბატონებულ რელიგიად იქცა. ქრისტიანულ მოძრაობას და მის საბოლოოდ დამკვიდრებას არა ერთი რუანელი ეპისკოპოსი შეეწირა.

მეექვსე საუკუნეში, რომაელების წასვლის შემდეგ, ნორმანდიას დანიელები შემოესივნენ. დანიელთა შემოსევა ისე ინტენსიური იყო, რომ თავიანთ ნაკვალევზე ისინი ქვას ქვაზე აღარ სტოვებდნენ. მაშინ საფრანგეთის მეფემ, იარაღის ძალით რომ ვერაფერი გააწყო, დანიელთა მარბიელი ურდოების ბელადი ერთ ნეიტრალურ ქალაქში მიიწვია და ნორმანდიის ჰერცოგობა შესთავაზა. რაღა ყაჩაღობითა და

დაცემებით იბატონო ნორმანდიაზე, ბარემ მოდი და ქვეყნის განმგებელი იყავიო. ბელადს ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა, დათანხმდა, ქრისტიანობა მიიღო, ფრანგული სახელი რობერი დაირქვა, ფრანგი არისტოკრატის ასული ცოლად მოიყვანა და თავის ახალ სამფლობელოში აღმშენებლობას შეუდგა. პროვინციის დედაქალაქ რუანის დაარსება სწორედ ამ პირველი ჰერცოგის სახელს უკავშირდება.

დანიელები რომაელებზე ნაკლები მშენებლები როდი გამოდგნენ, თუმცა იმ დროისათვის პირველნი მშენებლობის ნამდვილი ვირტუოზები იყვნენ. ორი თუ სამი წლის წინათ ერთ-ერთი რომაელებისეული სახლის რეკონსტრუქციის დროს მშენებლებმა ცენტრალური გათბობის ქსელი აღმოაჩინეს. რუანის ბევრი სახლი და საზოგადო თავშეყრის ადგილი გათბობას ქალაქიდან რვა კილომეტრით დაშორებულ თბოცენტრალიდან იღებდა.

მეექვსე საუკუნის დამდეგს საფუძველი ეყრება რუანის სახელგანთქმულ გოტიკურ ტაძარს. აქაურ გოტიკას, ფრანგულს, რითაც ნოტრდამი და სხვა ღირსშესანიშნავი ძეგლებია აშენებული, მგზნებარე გოტიკას უწოდებენ.

ნორმანდიას დიდი და განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი საფრანგეთის სულიერ ცხოვრებაში მისი არსებობის მთელ მანძილზე, აქ დაიბადა და აქვე გაატარა სიყმაწვილის წლები ფრანგული და მსოფლიო ლიტერატურის ორმა კლასიკოსმა: გუსტავ ფლობერმა და გი დე მოპასანმა. ნორმანდიელი იყო სამშობლოს თავისუფლებისათვის კოცონზე ასული ჟანა დარკი. რუანის კედელთან უჩვენებენ მოედანს, სადაც ის კოცონი ენთო, რომელზედაც ეს ლეგენდად ქცეული ქალიშვილი დასწვეს, ტაძრის გვერდით, მეშვიდე-მერვე საუკუნის დროინდელ ვიწრო ქუჩაში კი ნახავ ადგილს, სადაც ჟანა დ'არკი გაასამართლეს, როგორც კუდიანი, ხოლო რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უდანაშაულოდ სცნეს და გაამართლეს. საფრანგეთის ეროვნულმა ეკლესიამ ჟანა დ'არკი წმინდანად შერაცხა და მისი ხატება პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში მოათავსა.

აღსანიშნავია, რომ რუანი რამდენჯერმე დალაშქრეს ჰუნებმა და ვიკინგებმა. მათ მხოლოდ დანგრევა შეეძლოთ, აშენებით არაფერი აუშენებიათ. ვიკინგები ხომ იგივე ვარიაგებია, რომლებიც ჩრდილოეთის ხალხებს, მათ შორის რუსებსაც აწუხებდნენ და შემდეგ რუსეთის მიწაზე რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში თვალსაჩინო როლი ითამაშეს.

ალბათ დედამიწის არც ერთ ნაწილს ისე არა ჰგავს ტყიანი სერებით, ბაღჩა-ბაღებითა და მწვანედ მობიბინე ჰალებით მდიდარი ნორმანდია, როგორც საქართველოს, უფრო კი მის დასავლეთ ნაწილს. იგივე ფერები, იგივე რბილი ჰავა, იგივე ღობეები და ოქროსფრად აბზინებული სიმინდის ყანები.

ლონდონ-ვინძორის გზისა არ იყოს, უქმე დღეებში რუან-პარიზის მაგისტრალზე მანქანების ტევა არ არის. ყველა, ვისაც კი შეუძლია და ამის საშუალება აქვს, კვირა დილას ქალაქგარეთ გამოდის და შეღამებულზე დასვენებული და ახალი ძალით აღვსილი შინ ბრუნდება.

რუანიდან გამოსვლისთანავე გაჩნდა წარწერები: „პარიზამდე 120“, პარიზამდე 110 „პარიზამდე 100 კილომეტრია“. გზადაგზა ნაძვნარებს უყანგავი მავთულის მაღალი ღობე აქვს შემოვლებული. შიგ ჩიტიც ვერ გადაფრინდება. თურმე ნუ იტყვი, ეს შემოღობილი ტყეები კერძო მფლობელებს ეკუთვნით. აქა-იქ, სადაც ღობე არ ჩანს, ტყე ამა თუ იმ სოფლის ან მერიის საკუთრებაა.

მზე სადღაც მარჯვნივ დაეშვა ცისკიდურზე და მწვანე დაბლობს თითქოს ცეცხლი გაუჩინა. ცა ღრუბლის ნაფლეთებით იყო დაფარული. ღრუბლებიც შეწითლდნენ. თითქოს სადღაც ყოვლისშთანმთქმელი ხანძარი ენთო და ლურჯი ცა ამ ხანძარს ირეკლავდა.

ავტობუსი დაღმა დაეშვა, თავი შევრგეთ ფართო გვირაბში, რომელიც არცთუ ისე მოკლე აღმოჩნდა. იგი ერთთავად ბენზინის კვამლით და მოტორების განუწყვეტელი გრიალით იყო ავსებული. იქიდან რომ გამოვედით, წინ უზარმაზარი ქალაქის განაპირა სახლები და დაბურული ტყე-პარკი შემოგვეფეთა. ერთმა ჩვენგანმა გულუბრყვილოდ იკითხა:

— რა ქალაქია?

გიდმა, მუჰისიმსხო ებრაელმა დედაბერმა, რომელიც ჰავრიდან აქამდე თავისი ოჯახის შინაურ ამბებს გვიყვებოდა და ხანდახან, როცა გარემოება აიძულებდა, საქმეზეც გადადიოდა ხოლმე, საკმაოდ შეუფერადებელი უკმეხი კილოთი უპასუხა:

— პარიზი, ეს გახლავთ პარიზი!

ჩამავალი მზე ზურგსუკან მოგვექცა. ქალაქის კონტურებს თითქმის უკვე გარკვევით ვამჩნევდით. გზა ისევ გვირაბში შეიჭრა. გამოვედით და ისევ გვირაბი! სიჩქარე ოდნავადაც არ ნელდება. მანქანების ურიცხვი ურდო თავბრუდამხვევი სისწრაფით მიილტვის წინ. დროდადრო, გვირაბიდან გვირაბამდე, ქუჩის პირზე გადმოხრილი ცაცხვები და წაბლები ჩაგვიქროლებდნენ.

ეს იყო ბულონის ტყე, თითქოს ბაღლობიდანვე ნაცნობი და ტკბილი მოგონებების აღმძვრელი, ვინ იცის, რამდენჯერ ნახსენები და დახატული ფრანგულ კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურაში. ტყე შუაზე გაუჭრიათ, რათა პარიზის გარერკალის შემოსავლებლად მიწა გაეთავისუფლებინათ.

ღამდებოდა, მაგრამ ასე ადრიანად სახტუმ-

როში მოთავსება და ოთხ კედელშუა გამოკეტვა აფსუსი იყო.

ავტობუსმა სხივებად გაბნეული ქუჩების შესაყარს წესისამებრ შემოუარა და თითქმის ციცაბო აღმართს შეუდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე მონმარტრზე ვიყავით და პარიზს ზემოდან დავყურებდით. მზე ახალი ჩასული იყო. წვრილი, სწორი და გრძელ-გრძელი ქუჩებით აბლაბუდისებურად დაქსელილ ქალაქთა ქალაქს ოქროს ვარაყით დაფერადებული ნაცრისფერი დაჰკრავდა.

სენა პარიზის შუაგულში მიიკლაკნება და ქალაქს ორ უთანაბრო ნაწილად ჰყოფს. მის მარცხენა ნაწილს, სადაც ახლა საფრანგეთის დედაქალაქის ინტელექტუალური და გეოგრაფიული ცენტრია, სხვა უბნებთან შედარებით ბევრად ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქალაქის ეს ნაწილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე-მეორე საუკუნეში დაარსებულა და სახელიც მთლად ქალური — ლუტეცია რქმევია. ლუტეცია, ამგვარად, პარიზის პირვანდელი სახელია. იქ უპირატესად მეთევზე და ნაოსანი ტომები ცხოვრობდნენ და თავს ამ ხელობით ირჩენდნენ. მერე პარიზი, გუშინდელი ლუტეცია, თანდათან გაიზარდა, სენის აქეთა ნაპირზეც, ახლანდელ ტროკადეროშიაც გადმოვიდა და ორი ათასწლეულის მიჯნაზე უკვე მნიშვნელოვან ქალაქად და სავაჭრო ცენტრად იქცა.

ეს სიძველე, რასაც ყველა ერი ერთნაირად ეპოტინება, სხვა ადგილებზე უფრო კაცს თვალში მონმარტრზე და ლათინურ კვარტალში მოგხვდება. ისევე როგორც ნორმანდიის დედაქალაქ რუანში, აქ მესამე-მეოთხე-მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში აშენებულ პატარ-პატარა ქვის სახლებს შორის დააბიჯებ და ვერც კი წარმოიდგენ, თუ ეს ქოხმახები და ქვაფენილი, რომელზედაც ფეხი გიდგას, 1700-1800 წლის წინათ გაჩენილა და აქ ჩვენი ათასწლეულის დამდეგის ადამიანებს უცხოვრიათ.

მონმარტრზე დღეს უკვე აღარ არის ის ლეგენდარული სამიკიტნოები, რომელთა მოხატულ დარაბებს უკან თავს იყრიდა ნახევრადმშიერ მხატვართა, მწერალთა და ხელოვნების დამფასებელთა მთელი არმია. აქ ყოველი სახლი, ყოველი აივანი, ქვის აშმორებული კედლებით შემოზღუდული პაწაწინა ეზო, ღარიბული ტავერნა და თითოეული ქვა, რომელზედაც ფეხი გიდგას, ხელოვნების ისტორიის ღირსშესანიშნაობაა. აი აქ, ამ პაწია ეზოში ხატავდა ვან-გოგი და თავის სურათებს ღლიური ლუკმაპურის საშოვნად ყიდდა. სურათები ბლუჯაბლუჯა მიჰქონდათ მიკიტნებსა და მედუქნეებს. აქ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მანე, მონე, პისარო, რენუარი, პიკასო, ჩვენი ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი...

მონმარტრის ხშირი სტუმრები იყვნენ არტურ რემბო და ემილ ზოლა, რომლებიც იმპრესიონისტებს, მხატვართა ახალ მიმართულებას, მფარველობდნენ და ყველა ღონით ცდილობდნენ მისთვის გზა გაეკაფათ.

უცვლელი დარჩენილა მხოლოდ მხატვართა ბაზარი. იგი ერთ პატარა სკვერშია მოთავსებული. ძველებურად წვერმოშვებული მხატვრები აქვე ხატავენ და აქვე ასაღებენ თავიანთი შთაგონების ნაყოფს. ვინ იცის, ვინ გაითქვამს ამათგან სახელს, ვინ იცის, ვინ ეღირსება უკვდავებას და ვისი სახელი მიეცემა დავიწყებას. უამრავი მყიდველი ირევა. როგორც ასი წლის წინათ, ფერების ზეიმია. აქ შეიძლება ახალი ქმნილება, შედევრიც კი ჩალის ფასად შეიძინო. სურათი ჯერაც არ გამშრალა, მისი ნამდვილი ფასი ჯერ არავინ იცის.

ბინად სასტუმრო „ანგლო-ამერიკენში“ მოვთავსდით. იგი წმ. ლაზარეს ქუჩაზეა, წმ. ლაზარეს სარკინიგზო სადგურის პირდაპირ. აქედან მორს არაა ქალაქის ცენტრი. სულ ხუთი წუთის სავალზეა და პლა კონკორდია — თანხმობის მოედანი, ლუვრი, ცოტა მეტზე კი ქალაქის გეოგრაფიული შუაგული, საიდანაც პარიზის მანძილებს ანგარიშობენ. ფრაზა — „პარიზამდე ამდენი და ამდენი კილომეტრია“ ნიშნავს მანძილს, რომლითაც აღნიშნული გეოგრაფიული წერტილი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან არის დაშორებული.

ორიგინალურია პარიზის ქუჩების განლაგება, იგი მართლაც აბლაბუდას ჰგავს და უზუსტეს გეომეტრიულ წესრიგს ექვემდებარება. აქ არ გვხვდება გზაჯვარედინები ამ სიტყვის პირდაპირი და ჩვეულებრივი გაგებით. პატარ-პატარა მოედნები თითქოს მინიატურული მზეებია, სადაც, როგორც მზის სხივები, სათავეს იღებენ ახალ-ახალი ქუჩები და თავს იყრიან კვარტალთა ზოგჯერ ბლაგვი, ზოგჯერ მახვილი წახნაგები. წახნაგი თვალდათვალ ფართოვდება და განსაზღვრული მანძილის გავლის შემდეგ როგორც ერთ, ისე მეორე გვერდზე ჩნდება ახალი წახნაგი და ასე დაუსრულებლივ. მთელი ქალაქი ერთმანეთში გარდამავალი რომბებისაგან შესდგება, რომელთაგან თითოეული თავის მხრივ ახალ რომბებს ქმნის სხვა მეზობელ რომბებთან მიახლოებისას.

ლონდონისაგან განსხვავებით, სადაც ქუჩებში არც ერთი ხე არ არის და ქალაქის გამწვანება მთლიანად უზარმაზარ ბუნებრივ, ე. წ. ინგლისურ პარკებშია თავმოყრილი, პარიზის დიდსა და მცირე პროსპექტებზე მრავალი ხე შრიალებს და ქუჩას ყვითელი ფოთლებით ფარავს. ერთი ამგვარი პროსპექტთაგანია ელისეის მინდვრები, რომელიც სათავეს თანხმობის მოედანზე იღებს და ლარივით სწორ ხაზად, მანქანების რვა წყებისათვის დახაზულ-აჭრელებული, ტრიუმფალური თაღისაკენ მიემართება.

ელისეის მინდვრებს უსათუოდ გაივლი, თუკი ქალაქის ცენტრიდან მიმავალს გეზი ვერსალისაკენ გიდევს. სწორედ ელისეის მინდვრებზე დაბანაკდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის წინამძღოლობით აქ შემოსული რუსეთის ჯარი, რომელიც ლაიპციგთან განადგურებულ ნაპოლეონის არმიას კვალდაკვალ მოსდევდა და ბოლოს ქვეყნის დედაქალაქშიაც შემოვიდა. ტრიუმფალური თაღი ომში დამარცხებულ საფრანგეთს სხვა დღეებს გაახსენებდა. იგი დიდების უმაღლეს წერტილზე ასულმა კორსიკელმა კაპრალმა ნაპოლეონ ბონაპარტემ თავისი სამხედრო გამარჯვებების აღსანიშნავად ააგებინა. იმპერატორი ნაპოლეონი უაღრესად განათლებული კაცი იყო, რომის ისტორიაც ზედმიწევნით იცოდა და ბავშვობიდანვე სურვილი სწვავდა, იქაური ტრიუმფების გემო, შინ ძლევამოსილად დაბრუნებულ რომაელ კონსულებს რომ უმართავდნენ, თვითონაც გაესინჯა და ამით პატივმოყვარეობის ჟია მოეკლა. თაღი ჯერ დასრულებული არც კი იყო, როცა შედარებით იოლი გამარჯვებებით თავბრუდახვეულმა ახალგაზრდა იმპერატორმა ჟოზეფინაზე იქორწინა. საქორწინო კავალკადა ვერსალის მხრიდან შემოვიდა პარიზში და ტრიუმფალური თაღი გამოვლო. დაუმთავრებელი კედლები და შიგ ჩასმული გორელიეფები ბუტაფორიით შეევსოთ. ნაპოლეონისათვის ეს მგონი არც გაუმხელიათ. ყველაფერი ისე იყო, როგორც თაღის საბოლოო მოთავების შემდეგ იქნებოდა. ახლა კი, 1814 წლის ავად მოსაგონარ დღეს, ელისეის მინდორში, ტრიუმფალური თაღის გარშემო, მტრის არმია დაბანაკებულიყო, კოცონებს ახრჩოლებდა და უწმაწურად ლაზღანდარობდა.

მაგრამ ვიდრე თანხმობის მოედანზე, ხოლო აქედან ელისეის მინდვრებში გახვიდოდე, სენტლაზარის ქუჩიდან წამოსულმა კაცმა ჯერ მარიამაგდალინელის სახელობის მოედანი უნდა გაიარო. ამ მოედანზე ფსევდოკლასიკური სტილით აგებული უზარმაზარი ბაზილიკა დგას. იგი ჯერ ბრიუსელის ბირჟას, მერე კი მოსკოვის მანეჟს მივამსგავსე. ბაზილიკის მშენებლობა თავმოკვეთილი ლუდოვიკოს დროს დაუწყიათ. რევოლუციის წლებში მშენებლობა შეჩერებულა. იგი ნაპოლეონს განუახლებია და განუზრახავს, ამ ადგილას ეკლესიის მაგიერ ბირჟა აეშენებინა. ბოლოს, ლუი-ფილიპეს დროს, შენობას დამთავრება ეღირსა და იგი ეკლესიად აკურთხეს. ქრისტიანული ტაძრების ტრადიციული სქემისაგან განსხვავებით მარიამ მაგდალინელის ტაძარს სწორი ოთხკუთხედის მოხაზულობა აქვს. შენობის ინტერიერის შუა ნაწილი სკამებს უჭირავს, მარჯვენა და მარცხენა კედლების გასწვრივ ჩაყოლებულ მოზრდილ ნიშებში, კაპელებში, კი კიური თავის მცირერიცხოვან მრევლს ქადაგებას უკითხავს და ყველა საეკლესიო ცერემონიალს, რომელიც ერთი მცირე სამწყსოს მასშტაბისაა, აქვე ატარებს. სუფთად პირგაპარსული სათვალებიანი კიური წამღერებით კითხულობს სახარებას, ოციოდე ხანშიშესული მანდილოსნისაგან შემდგარი მრევლი კი ოდნავ ხმამაღლა იმეორებს ყოველ ფრაზას. შემდეგ კიური გალობაზე გადადის და მრევლიც აჰყვება. სახარების ეს ადგილი უთუოდ ამგვარად იკითხება. გალობა წყდება და ყოველდღიური ერთფეროვნებისაგან გულშეღონებული კიური კვლავ უღიმღამო დეკლამაციაზე გადადის. სამაგიეროდ, შესაშურ გულმოდგინეობას მრევლი იჩენს, თავდავიწყებით და შთამბეჭდავად იმეორებს თავისი სულიერი მოძღვრის მიერ სახარებაში ამოკითხულ ფრაზებს.

მაგდალინელის ტაძრის კიბიდან კარგად ჩანს თანხმობის მოედანი. მისი მოპირდაპირე მხარე სენაზე გადის. აქვეა სენაზე გადებული დიდებული ხიდი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამის სახელობისა. იგი იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ბრძანებითა და სახსრებით აუგიათ. მეოცე საუკუნის დამდეგს ახალგაზრდა ნიკოლოზი აქ საქორწინო მოგზაურობაში ყოფილა. მარჯვნივ, მდინარის გადაღმა, მთელი თავისი სიდიადით მოჩანს ბაღნარიდან ამოზრდილი ეიფელის კოშკი, რომელსაც შუადღისას, მზიან ამინდში, მომწვანო-მოყავისფრო ტონი დაჰკრავს.

თანხმობის მოედანი წრეხაზთან მიახლოებული მრავალკუთხედია. მისი ყველაზე გრძელი მონაკვეთი ლუვრის პარკის ბრინჯაოს პარაპეტს ებჯინება. ყოველი შემომავალი ქუჩის თავში საფრანგეთის ამათუიმ ქალაქის ალეგორიული ფიგურა დგას და მთელ მოედანს რაღაც საოცარ მხატვრულ იერს აძლევს. ლუვრის გალავნის მოპირდაპირე მხრიდან მოედანს ელისეის მინდვრების პარკი მობჯენია. მესამე მხარეს, ელისეის მინდვრებსა და მაგდალინელის მოედნიდან გამომავალ ქუჩას შორის, კონკორდიაზე, აღორძინების ხანის ფასადით გამოდის ტალეირანის სასახლე, პარიზის ერთ-ერთი ბრწყინვალე აპარტამენტი. აღსანიშნავია, რომ იმპერატორი ალექსანდრე პირველი, თავისი არმია რომ ელისეის მინდვრებზე დააბანაკა, შორს არც თავად წასულა — ტალეირანის სასახლე დაიკავა.

თანხმობის მოედანზე, ლუვრის გალავნის წინ, იდგა გილიოტინა, რომელზედაც თავი მოჰკვეთეს მეფე ლუდოვიკო მეთექვსმეტეს და მის მიამიტ თანამეცხედრეს მარია-ანტუანეტას. თითქმის სამშვიდობოს გასული მეფე უკანასკნელ წუთს თავისმა სახელგანთქმულმა ცხვირმა დაღუპა. ეტლიდან რომ თავი გადმოჰყო, ვითომ რად შეგვაჩერესო, მესაზღვრე კარაბინერებმა, რევოლუციის ჯარისკაცებმა, იგი იცნეს და დაუყოვნებლივ უკან, პარიზში დააბრუნეს. პარიზში კი გილიოტინა ელოდა. დედოფალი მა-

რია-ანტუანეტა? ეს ის მარია-ანტუანეტაა, რომელიც, პარიზიდან ვერსალს მოვარდნილი მრავალათასიანი ბრბოს ღრიალი, წყევლა-კრულვა და მუქარა რომ შემოესმა, სასახლის აივანზე გადმოდგა და კარისკაცებს ჰკითხა:

— რა აყვირებთ? რას მოითხოვენ?

— პურს, თქვენო უმაღლესობავ, დედოფალო...

— პურს? — გაიოცა მარია-ანტუანეტამ და ნაპატივები ფუმფულა სახე ზიზღმა დაუმახინჯა. — პირუტყვები! თითქოსდა არ შეუძლიათ ფუნთუშები ჭამონ!..

აქვე, თანხმობის მოედანზე, მოჰკვეთეს თავი დანტონს და რობესპიერს. როცა აქეთობისას დანტონი რობესპიერის ფანჯრების ქვეშ გამოატარეს, კონვენტის მიერ სიკვდილმისჯილმა დანტონმა ეტლი შეაჩერებინა და მთელი ხმით, თითქოს მთელი საფრანგეთის გასაგონად დაიძახა:

— რობესპიერო, არ შეგრჩება ჩემი გაწირვა. იცოდე, დღეს ჩემი, ხოლო ხვალ შენი თავი ჩაგორდება გილიოტინის კალათში.

ასეც მოხდა. კაცი უნებლიეთ შეჩერდები იმ ადგილას, სადაც გილიოტინა მძვინვარებდა. დასჯის დღეს მთელ ამ ვრცელ მოედანს სისხლმოწყურებული ბრბო ავსებდა. ცასა და დედამიწას არყევდა მისი აღშფოთებული ღრიანცელი. შურისძიებამ და სისხლისღვრამ შეჩერება არ იცის. ყოველი ახალი მსხვერპლი ახალი სისხლის ღალვრის წყურვილს ჰბადებს და გამძვინვარებული ბრბოს შეჩერება უკვე არა ძალას აღარ შეუძლია. გილიოტინა აქ გადმოიტანეს გრევის მოედნიდან, რომელიც აგრეთვე სენის ნაპირზეა. იქ, ეტყობა, ნაკლები სივრცე იყო და დასჯის საყურებლად მოსული ასი ათასობით მაყურებელი ერთმანეთს სრესდა.

7

ელისეის მინდვრები დიდებულია განსაკუთრებით ღამით, როდესაც ერთის მხრივ ტრიუმფალური თაღისაკენ მიმავალი ათასობით მანქანის წითელი სინათლეებით, ხოლო მეორე მხრივ აქეთ მომავალი ამდენივე ავტომობილის პროჟექტორებითაა გაჩახჩახებულ-აყვავებული. თვით ტრიუმფალურ თაღსაც, ქვის ვეებერთელა ნაგებობას, ღამის ბინდბუნდში თითქოს წონა დაუკარგავს და მოკაშკაშე კოცონად აბრდღვიალებულა.

ტრიუმფალურ თაღთან ელისეის მინდვრები თავდება და იწყება დიდი არმიის ქუჩა, რომელიც ასევე ფართო და ვრცელია. აქვე იწყება პარიზის ახალი რაიონები სტანდარტული სახლებითა და თითქოს ჰაერში დაკიდებული, განტოტვილი და ნახევარწრეებად დახვეული ესტაკადები. მოულოდნელად, ჯერ კიდევ ქალაქში მყოფებმა შევიტყვეთ, რომ პარიზი დამთავრდა და უკვე მეზობელ ქალაქში შევედით. ირკვევა, რომ პარიზის საზღვრები მკაცრად დადგენილი ყოფილა. მისი განაპირა ქუჩის ერთი მხარე რომ პარიზს ეკუთვნის, მეორე მხარე მოსაზღვრე ქალაქისაა. საფრანგეთის დედაქალაქს ოცამდე ასეთი ქალაქი არტყია გარეშემო. აქ არ არსებობს ცნება „დიდი პარიზი“, როგორც, მაგალითად, დიდი ნიუ-იორკი, დიდი მოსკოვი, დიდი ტოკიო და სხვ. პარიზის მოსაზღვრე ქალაქებიდან თითოეულში ორასი ათასზე მეტი სული ცხოვრობს, მაგრამ ჯერ ვერავის გადაუწყვეტია აღნიშნული ქალაქების პარიზისათვის შემოერთება. მიზეზი ერთია: თვით ქალაქები, მათი მერიები და ხალხი შეერთების კატეგორიული წინააღმდეგი არიან. საქმე ისაა, რომ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ახლა იმყოფებიან, დედაქალაქის მოსაზღვრე პატარ-პატარა ქალაქები ადმინისტრაციულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავიანთ წილს უშუალოდ იღებენ და აღმშენებლობას ეწევიან, რის საშუალებასაც პარიზის მუნიციპალიტეტი ვერ მისცემდა, რადგან მას საკუთარი სატკივარიც ბევრი აქვს, ბიუჯეტი თავადაც ძლივს ჰყოფნის.

ავტობუსი აღმართს შეუდგა და მალე თვალს მწვანე მინდვრების, ბალახოვანი ჭალებისა და ფოთლებშეყვითლებულ ტყეთა მასივების წარმტაცი სანახაობა გადაეშალა. ეს იყო გზა ვერსალისაკენ. იგი ოდესღაც, რამდენიმე საუკუნის წინათ გაუვალ ჭაობს და გარეული ნადირის თავშესაფარ უღრან ტყეებს წარმოადგენდა. საფრანგეთის მეფეებს უყვარდათ მოცალეობის ჟამს აქ სანადიროდ სიარული და დროსტარება, ხოლო ერთ-ერთი მათგანი, ლუდოვიკო მეცამეტე, ვერსალის ტყეებსა და ჭაობებში ნადირობამ ისე გაიტაცა, აქ სანადირო სასახლეც კი ააშენა და დიდი ქალაქის ორომტრიალით თავმობეზრებული დროის უმეტეს ნაწილს აქ ატარებდა.

მონადირეობით და ბუნების წიაღში განმარტოებით გატაცებულ მამას, რომელსაც ვერსალში თან საფრანგეთის მთელი სამეფო კარი — რამდენიმე ათასი ადამიანი ახლდა ყველა წოდებისა, დღენიადაგ გვერდში ჰყავდა პირმშო ვაჟიშვილი, ტახტის მემკვიდრე, საფრანგეთის მომავალი მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტე. ლუდოვიკო მეთოთხმეტემ შემდეგ ლუვრი, საფრანგეთის მეფეთა რეზიდენცია პარიზში, დასტოვა და მთელი სამმართველო აპარატით ვერსალში დასახლდა.

ეს ის ლუდოვიკოა, რომელსაც სპარსეთის შაჰის კარზე მყოფი ჩვენი მეფის, ვახტანგ მეექვსის, ელჩი სულხან-საბა ორბელიანი ეწვია და საქრისტიანო საქართველოს შესაწევნად მაშველი ჯარი და ფული სთხოვა. რაღა თქმა უნდა, რომის პაპის სარეკომენდაციო წერილით აღჭურვილი საბა ვერსალში იქნებოდა და მთელ ამ ზღაპრულ სიმშვენიერეს, რასაც

დღეს ვუყურებთ, საკუთარი თვალით ნახავდა. რა გუნებაზე დადგებოდა ყოველივე ამის შემხედვარე, როცა თვალით ნახულს უწყალო მტრისაგან მორეულ და გაპარტახებულ საქართველოს შეადარებდა! ლუდოვიკომ, როგორც ცნობილია, ქართველი მეფის ელჩი მოწყალედ მიიღო, გულდასმით მოუსმინა და ფულადი დახმარება — 300 ათასი ეკიუც აღუთქვა. ბედმა აქაც უმუხთლა მტრის კლანჭებში მყოფ საქართველოს. რამდენიმე დღის შემდეგ ლუდოვიკო მეთოთხმეტე გარდაიცვალა, მისმა მემკვიდრემ კი, მეთხუთმეტე ლუდოვიკომ, უარი თქვა, საიდანღაც მოსული ელჩისათვის ფული და ისიც ამოდენა თანხა მიეცა. არა და არც ისე დიდი თანხაა. ტაუერის საჭურჭლეთა მუზეუმში ამ თანხით ვერც ერთ ნივთს ვერ შესწვდები...

დიდი ლუდოვიკო, მეთოთხმეტე, როდესაც მამამისის საყვარელ ადგილზე სასახლეთა მთელ კომპლექსს აშენებდა, მარტო სამეფო სახლის აქ დამკვიდრებით როდი დაკმაყოფილდა. მან პარიზიდან ვერსალში გადმოიტანა ყველა სახელმწიფო დაწესებულება, რათა უშუალო ქვეშევრდომები სულ მუდამ თვალწინ ჰყოლოდა და ღალატზე ფიქრი ვერავის გაებედა.

ვიდრე ხწორუპოვარ სასახლეებზე, რომელთა წაბაძვით შემდეგ ქვეყნად მრავალი სასახლე და სასახლეთა კომპლექსი აშენდა, რაიმეს იტყოდე, უპირველეს ყოვლისა, ვერსალის პარკები, ხელოვნური ტბები, ტერასები და შადრევნები უნდა გაიხსენო. ეს პარკები თავის დროზე სახელგანთქმული პარკმშენებელი ხუროთმოძღვრის და მხატვრის ლე ნოტრის გეგმის მიხედვით გაუშენებიათ. იგი, ეს პარკები, ათობით ჰექტარზეა გადაჭიმული. ლუდოვიკო მეცამეტისეული სანადირო სასახლე ერთ-ერთი პარკის შუაგულში, ყველაზე მაღალ ტერასაზე მოექცა, რომლის წინაც ბრინჯაოს ალეგორიული ფიგურებით გაცოცხლებული აუზებია და ყოველის მხრიდან შადრევნების ჩხრიალი მოისმის. აქედანვე ჩანს ქვემოთ და ქვემოთ დაქანებული გრანიტის განიერი კიბეები, რომელთაც ტერას-ტერას აგურის ფხვნილით მოქარგულ ვაკე მინდორში ჩაჰყავხარ. ტერასებს მარჯვნიდან და მარცხნიდან ინგლისური ტყე-პარკები ეკვრის, წინ ისევ ხელოვნური ტბა მოჩანს...

ხის სასახლე დიდმა ლუდოვიკომ, რასაკვირველია, ქვისა და აგურის პალატებით შესცვალა და მას პარკში შესავალი კარიბჭის მხრიდან ორი ასეთივე გრძელი ფლიგელი ამოუყენა. ვერსალს საქვეყნოდ განთქმული ხუროთმოძღვრები, მხატვრები, მოქანდაკეები აშენებდნენ. 1678 წლიდან მშენებლობას სათავეში უდგნენ ლე ვო და მანსარო, ხოლო მომდევნო საუკუნეში მათი საქმე რობერმა და დე კოტმა განაგრძეს. ანსამბლის მორთვა და დეკორირება მხატვარ ლე ბრენის ესკიზების მიხედვით მიმდინარეობდა. ქანდაკებებს ჟირარდონი, კოისევოქსი და მათი თანაშემწეები აკეთებდნენ. პარკების, სრა-სასახლეებისა და დამხმარე მეურნეობათა მშენებლობა 55 წელიწადს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო 36 ათასმა ოსტატმა და ხელის მუშამ, ექვსი ათასმა ცხენმა. ყოველწლიურად პარკებში 150 ათას ყვავილისა და ვარდის ბუჩქს რგავდნენ. ამას გარდა, პარკებში გახარებულია სამი ათასზე მეტი იშვიათი ხე, რომლებიც აქ უცხო ქვეყნებიდან შემოიტანეს. სასახლეების ირგვლივ განლაგებულ დეკორატიულ აუზებში ათას ოთხასი შადრევანი ამოსჩქეფს. შადრევნებისათვის წყალი სენიდან ამოდის და მას თერთმეტ კილომეტრზე ქაჩავენ ვერსალის მექანიკური წყალსაქაჩავი ტუმბოები.

მეფის ოჯახის გარდა ვერსალის სასახლეებში მუდმივად ცხოვრობდა ათას ხუთასი კარისკაცი და სეფექალი. სხვა იყო სამეფო გვარდია, რომელსაც დიდებულთა სასახლეების ირგვლივ საგანგებოდ აშენებული ყაზარმები ეკავა. აქვე, ქალაქის საზღვრებს შიგნით, მუშაობდა ქვეყნის მთელი სამმართველო აპარატი — 20 ათასი მოხელე.

გარდა ლუდოვიკო მეცამეტისეული რეკონსტრუირებული სასახლისა, როგორც უკვე ვთქვი, შემაღლებულ ადგილას, კიდევ ორი ბრწყინვალე სასახლე დგას: ვარდისფერი მარმარილოს უზადო პერანგში ჩასმული დიდი ტრიანონი, რომელიც ხუროთმოძღვარ მანსაროს პროექტის მიხედვით აშენდა ლუდოვიკო მეთოთხმეტის საყვარლისათვის და არქიტექტორ გაბრიელის მიერ აშენებული ე. წ. მცირე ტრიანონი. 1717 წელს ვერსალში ოფიციალურ ვიზიტად იყო რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორი პეტრე დიდი და რეზიდენცია დიდ ტრიანონში დაიდო. მცირე ტრიანონი უკანასკნელი ფრანგი მეფის სამყოფელი იყო. მას გარს ერტყმის ინგლისური ტყე-პარკი. აქვე ჩაეყარა საფუძველი პირველ ბოტანიკურ ბაღს ევროპაში.

საპარადო პალატები მეფის სასახლის მეორე სართულზეა განლაგებული. აქ აჩვენებენ მეფეთა სამუშაო, საძინებელ, კარისკაცთა მოსაცდელ, ბადრაგის, დედოფლის, უფლისწულების, სეფექალების და სხვა დარბაზებს, რომელთა ჭერი და კედლები, აგრეთვე სახოვანი პარკეტი ფასდაუდებელი მხატვრობითაა შემკობილი. აქვეა დარბაზი, სადაც 1919 წელს ვერსალის ზავი დაიდო.

ვერსალის საგულდაგულოდ ნახვისა და ყოველივე ნანახ-განცდილის გონების სასწორზე აწონვის შემდეგ ადამიანი თვალნათლივ რწმუნდები, როგორ იქცნენ ბურბონები საფრანგეთის განვითარების გზაზე წინსვლის ხელისშემშლელ ქვა-ღორღად, როგორ მოაახლოვეს თა-

ვიანთი სამარცხვინო აღსასრული. ეს ყველაფრიდან ჩანს: ძნელი არაა წარმოდგენა, როგორ ჰპოვა გამოსავალი ფრანგი ერის თავისუფლებისმოყვარე სულმა, როგორ დაიქცა მონარქიის აქამდე შეუვალი ციტადელი ბასტილია და როგორ იფეთქა 1789 წლის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელმაც ხელის ერთი მოსმით წალეკა ყოველივე დამყაყებული და დრომოჭმული, უპირველეს ყოვლისა კი საფრანგეთის გარყვნილ და უქნარა მეფეთა ტახტი.

8

მომდევნო დღეს ვანდომის მოედნის მახლობლად ვინახულეთ სენაზე გადებული ქვის ხიდი, რომლის ასაშენებლადაც ბასტილიის ლოდები გამოუყენებიათ. სწორედ ამ ხიდით გადადიხარ ლათინურ კვარტალში, პარიზის ინტელექტუალურ ცენტრში და ეს ნიშანდობლივია. აქ დგას ნოტრდამი — პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი და სორბონა — პარიზის განთქმული უძველესი უნივერსიტეტი. იმ ადგილას, სადაც მეთორმეტე საუკუნის ფრანგული ხუროთმოძღვრების დიდებული ქმნილება ნოტრდამი აღმართულა, ადრე რომაელების მიერ აგებული იუპიტერის წარმართული ტაძარი მდგარა. მას შემდეგ, რაც საფრანგეთში ქრისტიანობამ გაიმარჯვა და რომაელებიც განდევნეს, ხალხმა კოლონიალიზმის საძულველი სიმბოლო — იუპიტერის ტაძარი დაანგრია და იმავე ადგილას, დანგრეული ტაძრის ქვებით, პატარა ქრისტიანული სამლოცველო ააშენა. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ აღიმართა აქ ნოტრდამი, ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი ძეგლი ევროპაში. ე. წ. მგზნებარე გოტიკის სტილით აგებული ეს თვალშეუდგამი ტაძარი ასიათასობით მხატვრული დეტალისაგან შესდგება. ფასადში ჩატანებული სამი კარიბჭე, ფასადზე გამომავალი ორი აჟურული კოშკი და შიგ შენობაში ჩატანებული ოთხი დეკორატიული სვეტი ხუროთმოძღვრების ამ შეუდარებელ ქმნილებას ერთსა და იმავე დროს სიმკაცრის ელფერსაც აძლევს და დახვეწილობასა და მონუმენტურობასაც ანიჭებს.

საგანგებო მოხსენიების ღირსია ნოტრდამის ვიტრაჟები, რომლებიც ტაძრის პირქუშ ინტერიერს რაღაც იდუმალი, ზენა გრძნობის აღმძვრელი შუქით ანათებენ და ასხივოსნებენ. ნოტრდამის ვიტრაჟებს, გარდა იმისა, რომ ტაძრის ინტერიერის განათების ფუნქციას ასრულებენ, თავიანთი დამოუკიდებელი მხატვრული ფუნქციაც აკისრიათ. ვიტრაჟებზე გამოხატულია ქრისტეს ცხოვრება ყველა შემორჩენილი გადმოცემისა და თქმულების მიხედვით. ოკუპაციის წლებში, როცა საფრანგეთის მთავრობა ვიშში გაიქცა და პარიზი ღია ქალაქად გამოცხადდა, ეკლესიის მსახურებმა დიდი სიფრთხილე და მამულიშვილური თავდადება გამოიჩინეს: მათ მოხსნეს ნოტრდამის ვიტრაჟები, სარკმლებში უბრალო შუშები ჩასვეს და ხელოვნების ეს გაუმეორებელი ქმნილებები თავის ადგილზე მხოლოდ ომის შემდეგ, ორმოცდათიან წლებში დააბრუნეს.

ტაძრის ინტერიერი, მთელი ეს უკიდეგანო სივრცე, თავისი მასშტაბებითა და მხატვრული შესრულების სრულყოფილებით მნახველს თავბრუს ახვევს. ნოტრდამის როგორც გარე, ისე შიგა აღნაგობა ზედმიწევნითი სიზუსტით აქვს აღწერილი ვიქტორ ჰიუგოს თავის საქვეყნოდ ცნობილ რომანში. შიგნიდან ნოტრდამი მრავალსართულიანი სახლების მთელ კვარტალს ჰგავს. მის ნიშებსა და სენაკებში, რომლებითაც სავსეა ტაძრის ოთხივე კედელი, თუნდაც მთელი არმია მოთავსდება და დაიმალება. აქ აჩვენებენ ნავარაუდევ ადგილს, სადაც უნდა შეეფარებინა თავი ესმერალდას, აჩვენებენ მახინჯი მნათეს კვაზიმოდოს სენაკსაც, უკეთ იმ ადგილებს, სადაც ღმერთის ტოლმა შემოქმედმა ვიქტორ ჰიუგომ თავისი რომანის გმირები იგულისხმა.

ტაძარში ერთსა და იმავე დროს ტურისტთა და ცნობისმოყვარეთა რამდენიმე ჯგუფი შედის. იმისთანა სივიწროვეა, კაცი კაცს გვერდს ვერ აუქცევს. ათას ენაზე მოყაყანე გიდები ერთმანეთს უშლიან, ძნელია, რაიმე გაიგონო და აზრი გამოიტანო. საკურთხეველს რომ შემოვუარეთ, შავებში შემოსილი კაცებისა და ქალების კარგა მოზრდილ გუნდს წამოვეწიეთ. ბერები და მონოზნები იყვნენ, უპირატესად ახალგაზრდობა. ეტყობოდა, ნოტრდამში ჩვენებრ პირველად შემოედგათ ფეხი და გიდს, აგრეთვე შაოსან ბერს, გაფაციცებული უსმენდნენ და თან პირჯვარს იწერდნენ. ნეტავი ვინ იყვნენ ასე ლამაზნი და მოხდენილნი, რომელი ქვეყნის შვილები? მონოზნის შავ თავსაბურავში გახვეულმა ერთმა ყმაწვილმა ქალმა შენიშნა, რასაც უსიტყვოდ ვეკითხებოდით, ქათქათა თეთრი კბილები გამოაჩინა და წაიჩურჩულა თუ წკრიალა ხმაზე ჩაიმღერა: „ესპანიოლა!“ აი, თურმე ვინ ყოფილან!

პარიზში ყოფნის უკანასკნელი დღე მთლიანად ლუვრმა წაიღო, თუმცა ვიდრე ლუვრში შევიდოდით, ჯერ ალექსანდრე მესამის სახელობის ხიდი გადავჭერით, ინვალიდების სასახლეს, სადაც ნაპოლეონია დამარხული, გარს შემოვუარეთ და სენის მარცხენა სანაპიროზე ეიფელის კოშკთან გავედით.

ეს მართლაც გრანდიოზული სანახაობაა. ძალიანაც რომ მოინდომო, ალტაცების გამომხატველ სხვა სიტყვას ვერ იპოვნი.

შორიდან მაცქერალი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენ თუ კოშკის ძირი და მთელი ძირა ნაწილი ასე უზარმაზარია. ოთხი ფეხი მას გარდიგარდმო გაუდგამს და ფეხებიდან დაწყებუ-

ლი ვეება თაღების ქვეშ რომელიც გნებავთ ტაძარი მოთავსდება.

კოშკი, როგორც ცნობილია, დაახლოებით ამ ასი წლის წინათ ააშენა ფრანგმა ინჟინერმა ეიფელმა მსოფლიო ბაზრობის გასამართავ ადგილას, როგორც ბაზრობის ემბლემა და საფრანგეთის პავილიონი. თუ გასული მეცხრამეტე საუკუნის ტექნიკურ შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, ყოვლად შეუძლებელია ამოიცნო, თუ როგორ მოხერხდა ლითონის ამოდენა კონსტრუქციების ასე დიდ სიმაღლეზე აზიდვა და იქ საშვილიშვილოდ დამაგრება.

სიმაღლით ეიფელის კოშკი 310 მეტრია და პარიზის ყველა კუთხიდან და გარეუბნიდან მოჩანს. გასულ საუკუნეში ბევრს მიაჩნდა, რომ ის ქალაქს ამახინჯებდა, ტრადიციულ სახეს უკარგავდა. ქალაქის მმართველობას დეპუტაციას დეპუტაციაზე უგზავნიდნენ. მოითხოვდნენ, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, მოეხსნათ ეს მახინჯი კოშკი. მერე, ქალაქის მესვეურებმა რომ ყური არ გაიბარტყუნეს და დრომაც გაიარა, ვნებები ჩაცხრა, ქალაქის შუაგულში აღმართულ ლითონის საკვირველებასაც თვალი თანდათან შეეჩვია. დღეს იგი პარიზის ემლემას წარმოადგენს. პარიზი წარმოუდგენელია ეიფელის კოშკის გარეშე!

ლიფტს მეორე სართულზე აყავხარ. მეორე სართულზე, სადაც კოშკი ერთბაშად ვიწროვდება, მოთავსებულია რესტორანი და ქალაქში გადასახედი. ვისაც აქედან არ გადაუხედავს, შეიძლება თამამად თქვას, რომ მას არც პარიზი უნახავს. პარიზის განუმეორებელი პანორამა ეიფელის კოშკის ბაქნებიდან იშლება. აი, მიღვერილ-მოღვერილი სენა, ქალაქს რომ შუაზე ჰკვეთს. ესეც თანხმობის მოედანი, ლუვრი, სანდომის მოედანი, მუნიციპალიტეტი, ლუტეცია, ნოტრდამი, ინვალიდების სასახლე, სორბონა ლათინური კვარტალის სერზე, ტრიუმფალური თაღი, ოცდათექვსმეტსართულიანი ოთხკუთხა ცათამბჯენი მის უკან, ბულონის ტყის ნაპირას, რომელშიაც უცხო ქვეყნების საბანკო დაწესებულებებს მოუყრიათ თავი, მონმარტრი, თეთრი ტაძარი მონმარტრის გორაზე, სენტ-ლაზარის ვაგზალი, თავისუფლების ქანდაკება სენის მარცხენა სანაპიროზე, ტროკადერო, გრანდოპერა...

ეიფელის კოშკი თითქოს განაზოგადებს, რაც ამ ზღაპრულ ქალაქში ნახე და პარიზს ერთ მთლიან მხატვრულ ქმნილებად წარმოგიდგენს. არა, კაცის თვალს ჯერ არ უნახვს ქალაქის ამგვარი ხილამაზე. ეს აღფრთოვანება და განცვიფრება ახალი არ არის. ვინ იცის, რამდენი მილიარდი ადამიანი აღფრთოვანებულა და განცვიფრებულა. ამიტომ იქნებ არცა ღირდეს მიზეზ-შედეგობრივობის გაუვალ ტევრში შევრა.

ბევრი რამ, ალბათ, ისე გულსატკენი არ არის, როგორც ჰენებით გავლა ლუვრში. პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ბრიტანეთის მუზეუმთან საერთო მას ბევრი არაფერი უნდა ჰქონდეს. ბრიტანეთის მუზეუმი სამეცნიერო-ისტორიული განხრისაა, იმ დროს როდესაც ლუვრის ექსპოზიცია მთლიანად მხატვრობასა და ქანდაკებას ეძღვნება.

მაგრამ მოდით, ჯერ ის გავიხსენოთ, ვინ და როდის ააშენა ლუვრი, რა დანიშნულების შესასრულებლად ააშენა და როდის აქცა იქცა იგი მსოფლიოში სახელგანთქმულ სამხატვრო გალერეად.

ლუვრის აშენება მეთორმეტე საუკუნეში დაუწყიათ. იგი შენდებოდა, როგორც პარიზის ცენტრის ერთ-ერთი ციხე-სიმაგრე. გადაკეთებ-გადმოკეთების შემდეგ ეს დიდებული სასახლე დღეს რუსული პ-ს მოყვანილობისაა და მთავარი ფლიგელის წინაშეთი სენის სანაპიროზე გამოდის. შიგნით მოთავსებულია ლუვრის პარკი, რომელიც თანხმობის მოედნის მხრიდან ბრინჯაოს მაღალი მხატვრული მესერითაა შემოღობილი. ლუვრის ნაწილია კარგა ხნით წინათ, ალბათ, რევოლუციის დროს დაწვარი ტიულრის სასახლის ერთი ფრთა. იგი წინამოთი აგრეთვე სანაპიროზე გადის, გვერდით კი თანხმობის მოედანზე იჭრება.

ციხედარბაზ ლუვრს საფრანგეთის ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ. ის ხან არსენალი იყო, ხან განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა საპყრობილე და ხანაც სახელმწიფო ხაზინის ადგილსამყოფელი. მეთოთხმეტე საუკუნეში ლუვრი მეფეთა რეზიდენციად გადაკეთდა. აქვე დაარსდა საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მდიდარი წიგნსაცავი-ბიბლიოთეკა. ფრანგული აღორძინების ხანაში, მეთექვსმეტე საუკუნეში, ლუვრის ნაწილი დაანგრიეს და მის ადგილზე ხუროთმოძღვარმა პიერ ლესკომ სასახლის აშენება დაიწყო. სასახლის მშენებლობა და გადაკეთებ-გადმოკეთება სამას წელიწადს გრძელდებოდა. სასახლეების მთელი ანსამბლი აღორძინების სტილითაა აშენებული, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ახალი მეფე მას თავის ჭკუაზე გადააკეთებდა ხოლმე. ლუვრმა საფრანგეთის მეფეთა რეზიდენციის პატივი მანამდე შეინარჩუნა, ვიდრე ტახტზე არ ავიდა ლუდოვიკო მეთოთხმეტე, რომელმაც მამისეული სასახლე დასტოვა და სამუდამო რეზიდენცია ვერსალში გაიჩინა.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ლუვრში, მარსანის პავილიონში, კონვენტის სხდომები იმართებოდა. 1793 წელს იგი ეროვნულ მუზეუმად გადააკეთეს. ამჟამად ლუვრში მსოფლიო კულტურის, უპირატესად მხატვრობისა და ქანდაკების ორ მილიონზე მეტი რელიკვიაა დაცული. პირველი სართულის სქელკედლებიანი დარბაზები და ქვის მასიურ კიბეთა ბაქნები ანტიკურ ქანდაკებასა და ფრიზებს უჭირავს.

ერთ-ერთი კიბის თავში დგას თითქოს ხანძრისაგან შერუჯული თავმოტეხილი ნიკეა, საოცარი ექსპრესიით წინ რომ მიისწრაფვის. იგი ამ ორიათას ხუთასი წლის წინათ არის შექმნილი და ზღაპრული ლუვრის ერთ-ერთ მშვენებას წარმოადგენს. პირველ სართულზევეა ხელებმომტვრეული ვენერა მილოსელი. სპეციალისტებს ჯერ სარწმუნოდ ვერ დაუდგენიათ, დედანია ის თუ ასლი. ვენერას პროპორციების სრულყოფილებად თვლიან იმას, რომ ქანდაკება შექმნილია ოქროს კვეთის კანონების მიხედვით, რასაც ჩვენში, საქართველოში, ამ ბოლო დროს ყურადღება აწ განსვენებულმა დიდმა არაბისტმა გიორგი წერეთელმა მიაქცია.

ფერწერას ათობითა და ასობით დიდი და მცირე დარბაზი უჭირავს მუზეუმის მეორე სართულზე. ცენტრალურ ადგილზე და საგანგებო პატივით მოუთავსებიათ დიდი იტალიელი მხატვრების: ლეონარდო და ვინჩის, რაფაელისა და ტინტორეტოს ქმნილებები. აქ მუდამ ხალხმრავლობაა. კედლებს ერთი მეტრის დაშორებით მოაჯირი გასდევს. ქმნილებებთან უშუალოდ მიახლოება აკრძალულია. მდიდრულადაა წარმოდგენილი ფლამანდიური მხატვრობა, განსაკუთრებით რუბენსი და ვან დეიკი. ასევე დიდი ადგილი უჭირავს ესპანურ ფერწერას: მურილიო თავისი მადონებით, ველასკესი, გოია და სხვები, რომელთა სახელები არცთუ ისე გავრცელებულია. ყურადღებას იქცევს იმპრესიონისტთა წინათაობის წარმომადგენელთა განყოფილება. აქ თვალში გეცემა ენგრისა და დელაკრუას სურათები, რომლებიც სხვა თანამოძმეთ რიცხვითაც სჭარბობენ. ცალკე პატარა დარბაზი აქვს დათმობილი რემბრანტს. მეზობლად გამოუფენიათ სხვა ჰოლანდიელი მხატვრებიც, უპირატესად პორტრეტისტები.

დიდია ლუვრი. იმისათვის, რომ თითოეულ აქ გამოფენილ მხატვარზე ასეთუისე სრული წარმოდგენა შეგექმნას, როდი კმარა თითოოროლა ტილოს ნახვა. ალბათ, ხუთჯერ და ათჯერ მეტის გამოფენა არის საჭირო. მე, როგორც არასპეციალისტს, მომეჩვენა, რომ ყველაზე უფრო ძვირფასი ტილოები, მაგალითად, ფლამანდიელი მხატვრებისა, მხატვართა სამშობლოშია დარჩენილი და მათ სანახავად კაცი იქ უნდა წახვიდე. ლუვრში ვერ ვნახე, უთუოდ ჰენების გამო, ისეთი დიდი და საყოველთაოდ ცნობილი ფლამანდიელი მხატვრები აღორძინების ეპოქისა, როგორიცაა ბრეიგელი და იორდანსი, თვით რუბენსიც ღარიბი და თავისი მხატვრული ამოცანისაგან მოწყვეტილი მომეჩვენა. ძნელია ამტკიცო, რომ ყველაფერი ეს მართლა ასეა. ლუვრში ძალზე ცოტა ხანს დავრჩით, სულ რამდენიმე საათს და ვინ იცის, რამდენი რამ უნახავი და თვალშეუვლები დაგვრჩა.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ალექსი მინდაძე

# ფიქრები ექიმის ავტორიტეტის შესახებ

## ექიმის პროფესიის ზოგიერთი თავისებურება

ექიმის სახელწოდებით ჩვენ ვაერთიანებთ მედიცინის ყველა მუშაკს — ექიმს, ექიმის თანაშემწეს, პროვიზორს და ფარმაცევტს.

ექიმი რთული, ჰუმანური და პატივსაცემი პროფესის წარმომადგენელია. მედიცინის მუშაკები ემსახურებიან ადამიანთა სიცოცხლეს, მათ დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას.

განსაკუთრებული უფლება-მოვალეობები, მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობები ექიმის პროფესიას განსხვავებულ ელფერს აძლევს.

ექიმი, მისი უფლებრივი მდგომარეობის შესაბამისად, დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობს. საავადმყოფო ფურცელი მუშას და მოსამსახურეს ათავისუფლებს სამუშაოდან და ოფიციალური დოკუმენტია ხელფასის მიღებისათვის. ექიმის დასკვნით თავისუფლდება სამხედრო ვალდებული სამხედრო სამსახურისაგან, განესაზღვრება ინვალიდობის ჯგუფი, პენსია, სხეულის დაზიანების ხარისხი, სასამართლო პასუხისმგებლობა, სამუშაოს ხასიათი და მრავალი სხვა.

ექიმის მოვალეობა ფრიად მრავალფეროვანია, მისი ზუსტი განსაზღვრაც კი თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ეს ვალდებულებები საბოლოოდ ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურით გამოიხატება.

ექიმის პროფესიის თავისებურებების ძირითადი ღერძი ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობაა. სწორედ ეს ურთიერთობა უქმნის ექიმს საჭირო ავტორიტეტს, პოპულარობას, ნდობას და სიყვარულს; და ეს მაშინ, როდესაც ის ღირსეულად ართმევს თავის თავის პირდაპირ მოვალეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმი პასუხისმგებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო ქმედებისათვის. სასჯელის ზომა სოციალური წყობის შესაბამისად იცვლებოდა. მაგალითად, ბაბილონის მეფის ქამურაბის კანონთა კრებულში მითითებული იყო ექიმის სხვადსხვა პასუხისმგებლობა ავადმყოფის კლასობრივი მდგომარეობის შესაბამისად: თუ ექიმი მონათმფლობელს მიაყენებდა ზიანს, მაშინ მას ხელს მოჰკვეთდნენ ან სიცოცხლეს გამოასალმებდნენ; თუ მონას დაამახინჯებდა, მაშინ ის ვალდებული იყო მეფისათვის ჯანმრთელი მონა მიეცა.

როდესაც ექიმის პასუხისმგებლობაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ იურიდიულ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას. ამასთანავე, ზნეობის სფერო სიმართლის სფეროზე უფრო ფართოა. საექიმო ეთიკა ექიმისაგან უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე საექიმო სამართალი. მაგალითად, მოქმედი საბჭოთა კანონის მიხედვით, სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმისათვის ექიმს სამართალში მისცემენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უარს მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა ავადმყოფის სიკვდილი ან რაიმე სხვა სერიოზული გართულებები. ზნეობრივ პასუხისმგებლობას კი ექიმი ყოველთვის უნდა

გრძნობდეს, როცა უსაფუძვლოდ უარს იტყვის ავადმყოფის სამედიცინო დახმარებაზე.

მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. სამართალი ადამიანის მიმართ იძულებითი ხასიათისაა, მორალური პასუხისმგებლობა კი გულისხმობს პასუხისმგებლობას არ მარტო სხვების მიმართ, არამედ საკუთარი სინდისის წინაშე. „ზოგჯერ ადამიანს შეუძლია კანონის დამსჯელ ძალას გაექცეს, მაგრამ საკუთარი სინდისის განაჩენს ვერსად წაუვა"[1].

ექიმის პროფესიის თავისებურებას ქმნის ექიმის უფლებები და მოვალეობანი, მისი პასუხისმგებლობა, დამოკიდებულება კოლექტივთან, ურთიერთობა კოლეგებთან, ავადმყოფებთან და სხვ. ექიმი დგას სიცოცხლის სადარაჯოზე, იცავს ადამიანის ჯანმრთელობას და ამით ყველაზე უფრო ახლოს არის ადამიანთან, მის ოჯახთან, სულიერ სამყაროსთან. ყოველივე ეს გამოიხატება საექიმო ეთიკით, რომლის სათავეები შორეული წარსულიდან იღებს დასაწყისს და რომლის სპეტაკად შესრულება, მაღალ პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად, განსაზღვრავს ექიმის ავტორიტეტს, მის სახელსა და ადგილს საზოგადოებაში.

შუა საუკუნეებში სამედიცინო საქმიანობას ეწეოდნენ რელიგიის მსახურნი, უმთავრესად ბერები, რომლებიც საექიმო გამოცდილებას საავადმყოფოებში იძენდნენ. ამავე პერიოდში ქირურგიულ მანიპულაციებს ეწეოდნენ აგრეთვე ჯარა-ექიმები და დალაქები. მაშინდელი საექიმო კორპორაციები ქირურგებს არ თვლიდნენ სრულუფლებიან ექიმებად. ასე გაგრძელდა მე-18 საუკუნის ბოლომდე.

დროთა სვლაში საექიმო ხელოვნება სამედიცინო მეცნიერებად ჩამოყალიბდა. კერძოდ, 1764 წელს მოსკოვის უნივერსიტეტთან გაიხსნა სამედიცინო ფაკულტეტი, ხოლო 1798 წელს დაარსდა პეტერბურგის მედიკურ-ქირურგიული აკადემია. აღნიშნულმა ორმა უმაღლესმა სამედიცინო სასწავლებელმა სათავე დაუდო რუსეთში საექიმო კადრების მომზადებასა და მედიცინის მეცნიერების განვითარებას. ამჟამად უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები ამზადებენ კვალიფიციურ ექიმებს მედიცინის მრავალფეროვან დისციპლინებში.

ექიმის უფლება-მოვალეობა შეიცვალა ქვეყნის სოციალური წყობის შესაბამისად. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა უფასო სამედიცინო დახმარება, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა პროფილაქტიკურ მედიცინას ანუ ფართო მასშტაბის სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების განხორციელებას დაავადებათა თავიდან ასაცილებლად. სოციალიზმის სინამდვილეში ჩამოყალიბდა საბჭოთა ექიმის მაღალჰუმანური ტიპი, იგი კომუნიზმის მშენებელი კოლექტივის განუყრელი წევრია, რომელიც ავადმყოფთა მკურნალობასთან ერთად ეწევა პროფილაქტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

საბჭოთა ექიმის პროფესიული მოვალეობის შესრულება ორგანულად არის შერწყმული საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებთან.

საექიმო მოღვაწეობას თავისი პროფესიული თავისებურება აქვს. ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობის საკითხს მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიეძღვნა, რომელთა შორის, უნდა დავასახელოთ ვ. ვერესაევის „ექიმის ჩანაწერები", რომელიც ახლახან ითარგმნა ქართულ ენაზე (იხ „საუნჯე", 1976 წ. № 4). და გ. ს. ჰონდოევის წიგნი იმავე სათაურით (თბილისი, 1961). ეს წიგნი სამჯერ გამოიცა რუსულ ენაზე, გადაითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოიცა ნიუ-იორკში. გ. ს. პონდოევის მონოგრაფიის წინასიტყვაობაში აკადემიკოსი პ. ქავთარაძე წერს: „მკითხველთა ფართო მასა ცხოველი ინტერესით შეხვდა ამ წიგნს, რასაც ამტკიცებს პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები და ავტორის სახელზე მოსული დიდძალი წერილები. ეს იმიტომ მოხდა, რომ ფონდოევი, როგორც ჩანს, ზედმიწევნით ჩასწვდა ექიმის სულიერ სამყაროს, აგრძნობინა მას თავისი საკუთარი განცდები" (გვ. 9).

ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობისას მკურნალის ქცევისა და სიტყვის სამკურნალო გავლენის მნიშვნელობის შესახებ საყურადღებო მასალებია განხილული ირ. მენთეშაშვილის მონოგრაფიებში: „სიტყვა და მისი სამკურნალო გამოყენება მედიცინაში". (თბილისი, 1954) „ფსიქოთერაპია", (თბილისი, 1958), საექიმო დეონტოლოგიის, საექიმო ეთიკისა და ე. წ. იატროგენური დაავადებების შესახებ გამოქვეყნებულია მრავალი დაკვირვების შედეგები სტატიებისა და მონოგრაფიების სახით.

## ძველი და ახალი ფიცი

ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში საექიმო ხელოვნებას დიდი ყურადღება ექცეოდა და ექიმის ავტორიტეტიც მაღალ დონეზე იდგა. ამას ხელი შეუწყო მაშინდელი საბერძნეთის ეკონომიურმა და კულტურულმა აღორძინებამ. ტაძრებთან და სამკურნალოებთან არსებული სამედიცინო სკოლები ამზადებდნენ მკურნალებს, კოსის სამედიცინო სკოლაში კი აღიზარდა ძველი მსოფლიოს გამოჩენილი ექიმი ჰიპოკრატე. მან დაგვიტოვა ნაწარმოებები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან

[1] გ. ვეკუა, თანამედროვე მედიცინის ფილოსოფიური პრობლემები, თბილისი, 1972, გვ. 198.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 და მე-4 საუკუნეების საბერძნეთის მედიცინის ძირითად მიმართულებებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰიპოკრატეს მიერ შედგენილი ექიმის ფიცი, სადაც მოკლედ ჩამოყალიბებულია საექიმო ეთიკის წესები. ჰიპოკრატეს ფიცს წარმოთქვამდნენ ექიმები სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ფიცმა დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდის მედიცინის ისტორიაზე. ამ ფიცის შესაბამისად შეიქმნა ფაკულტეტური აღთქმები, რომელთაც წარმოთქვამდნენ მედიცინის დოქტორები პარიზის უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების დროს, ხოლო ძველ რუსეთში — ახალკურსდამთავრებული ექიმები.

უდავოა, რომ ჰიპოკრატეს ფიცი გამიზნული იყო ექიმების გამიჯვნისათვის სხვადასხვა ჯურის შარლატანებისა და ექიმბაშებისაგან (რომლებიც იმ დროს საკმაოდ მოიპოვებოდნენ) და ექიმებისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებისათვის[1].

ჰიპოკრატეს ფიცის შინარსის გადმოცემის, პერეფრაზირების ნაცვლად სჯობს გავეცნოთ ამ ფიცის სრულ თარგმანს, სადაც უფრო სხარტად და გასაგებად არის გადმოცემული საექიმო ფიცით დადგენილი წესები:

„ვფიცავ მკურნალ აპოლონს, ასკლეპიოსს, ჰიგეას და ყველა ღმერთსა და ღმერთ-ქალს, — თანაც მოწმეებად ვასახელებ მათ, — რომ პატიოსნად, ჩემი ძალისა და გონების შესაბამისად შევასრულებ შემდეგ ფიცსა და წერილობით ვალდებულებას:

ვინც შემასწავლა სამკურნალო ხელოვნება, იგი მივიჩნიო ჩემი მშობლების დარად, მას გავუნაწილო ჩემი ქონება და საჭიროებისამებრ დავეხმარო გაჭირვებისას. მისი მოდგმა მივითვალო საკუთარ ძმებად; თუ ისინი მოისურვებენ, ეს ხელოვნება მათ შევასწავლო უანგაროდ და უყოყმანოდ. რჩევა-დარიგებები, ზეპირი მეცადინეობები და სწავლების ყველა სხვა ფორმა გავუზიარო საკუთარ შვილებს ჩემი მასწავლებლის შვილებს და სამედიცინო კანონის ვალდებულებითა და აღთქმით დაკავშირებულ მოწაფეებს, მაგრამ სხვას არავის. სნეულთა მოვლა წარვმართო მათდა სასიკეთოდ ჩემი ძალისა და შეგნების მიხედვით; გავნერიდო მათთვის რაიმე ვნებისა და უსამართლობის მიყენებას ვინც უნდა მთხოვოს, არავის მივაწოდო მომაკვდინებელი საწამლავი და არ მივუთითო ამგვარი განზრახვის განხორციელების გზა; ასევე არ გადავცე არცერთ ქალს სააბორტო ხელსაწყოები.

წმიდად და უბიწოდ გავატარო ჩემი ცხოვრება და აქიმობა. არავითარ შემთხვევაში არ განვკვეთო კენჭოვანი დაავადებით დასნებოვნებულნი, ეს იმათ დავუთმო, ვისაც ესაქმება და ევალება. რომელ სახლშიც კი შევიდე, — შევიდე ავადმყოფისათვის სასარგებლოდ. განვეშორო ყოველივე საძრახისს, გამრუდებულსა და წარმხოცველს, განსაკუთრებით ქალებთან თუ კაცებთან სატრფიალო ამბებს, სულ ერთია თავისუფალი მოქალაქენი იქნებიან ისინი, თუ მონები.

მკურნალობისას — ასევე სხვა დროსაც — რაც უნდა ვიხილო ან მოვისმინო ადამიანთა ცხოვრების თაობაზე, — არ გავთქვა და ამგვარი მოვლენები საიდუმლოებად ჩავთვალო.

თუ ურღვევად შევასრულო ეს ფიცი — დაე მომენიჭოს ბედნიერება ცხოვრებასა და სამკურნალო ხელოვნებაში და დიდება ადამიანთა შორის სამარადჟამოდ; ხოლო თუ ცრუ ფიცს ვდებდე და შევრაცხავდე მას — დაე ყველაფერი ეს უკუღმა აღმახდეს"[1].

ჰიპოკრატეს ფიცში მოხსენიებული აპოლონი ითვლებოდა ღმერთების ექიმად. ასკლეპიოსი იყო აპოლონის შვილი და აღიარებული საექიმო ხელოვნების ღმერთად; ჰიგეა ასკლეპიოსის ქალიშვილი იყო და ითვლებოდა ჯანმრთელობის ღმერთად (აქედან — მეცნიერული დისციპლინა ჰიგიენა). ჰიგეას სიმბოლოს წარმოადგენდა ჯან-ღონით სავსე ქალიშვილი, რომელსაც ხელში ეჭირა ფიალა, საიდანაც სვამდა გველი.

დასაშვებად მიაჩნიათ, რომ კენჭოვან დაავადებულთა განკვეთას და საერთოდ ოპერაციებს აკეთებდნენ ამ საქმის სპეციალისტები, ალბათ ქირურგები, რომლებიც არ იყვნენ გაერთიანებული საექიმო კორპორაციებში. ამიტომ ასეთი მანიპულაციების წარმოება საექიმო ხელოვნებაში არ შედიოდა. არსებობს აგრეთვე ამ საკითხის სხვაგვარი განმარტებაც[2].

შემდეგში შეიქმნა ფაკულტეტური აღთქმები, მათ შორის რევოლუციამდელ რუსეთში მოქმედი ფაკულტეტური აღთქმა, რომელსაც უწინ, დისერტაციის დაცვის შემდეგ უკითხავდა დეკანი დოქტორის ხარისხით აღჭურვილს და რომელზედაც ახალი დოქტორი ხელს აწერდა. იგივე ტექსტი იბეჭდებოდა ექიმის დიპლომის მეორე გვერდზე.

ფაკულტეტურ აღთქმაში ახლებურად იყო გადმოცემული ექიმის სამოღვაწეო ეთიკური წესები, მაგრამ ის ძირითადად მაინც ჰიპოკრატეს ფიცს და მის დარიგებებს ემყარებოდა.

მოგვყავს ფაკულტეტური აღთქმის სრული ტექსტი.

---

[1] Гиппократ, Избранные книги, М., 1936, с. 86.

[1] იქვე, გვ. 87-88.
[2] იქვე, გვ. 88-89.

## ფაკულტეტური აღთქმა

„ვღებულობ რა ღრმა მოწიწებით მეცნიერების მიერ ბოძებულს ექიმის უფლებებს და შევიცნობ რა იმ მოვალეობათა მთელს უაღრესობას, რომელთაც მაკისრებს ეს წოდება, ვიძლევი აღთქმას მთელი საკუთარი სიცოცხლის განმავლობაში არაფრით შევბღალო ღირსება წოდებისა, რომელსაც ახლა ვიღებ. პირობას ვდებ ყოველ დრო-ჟამს, მთელი ჩემი გონიერებით დავეხმარო მაშვრალთ, ჩემი შეწევნისაკენ რომ ილტვიან: წმინდად შევინახო ჩემთვის განდობილი ყველა ოჯახური საიდუმლოება და ბოროტად არ გამოვიყენო ჩემდამი გაწეული ნდობა. პირობას ვდებ განვაგრძო საექიმო მეცნიერების შესწავლა და მთელი ძალღონით ხელი შევუწყო მის აყვავებას, ვაუწყო სამეცნიერო საბჭოს ყოველივე, რასაც ამოვხსნი.

პირობას ვდებ არ დავამზადო და არ გავყიდო ფარული საშუალებები. პირობას ვდებ ვიყო სამართლიანი ჩემი თანაამხანაგების — ექიმების მიმართ და არ შევურაცხვყო მათი პიროვნება; თუმცაღა, თუ ეს მოითხოვა ავადმყოფის სარგებლობამ, ვთქვა სიმართლე პირდაპირ და პირუთვნელად. პირობას ვდებ საჭირო შემთხვევებში მივმართო რჩევისათვის ჩემზე უმეტესად მცოდნე და გამოცდილ ექიმებს; ხოლო როდესაც თვითონ ვიქნები მიხმობილი სათათბიროდ, ხინდისიერებით, მართებულად მივუზღო, მათს დამსახურებას და წადიერებას“.

როგორც ჰიპოკრატეს ფიცში, ისე ფაკულტეტურ აღთქმაში ექიმის ძირითადი საზრუნავი ავადმყოფია. ფაკულტეტურ აღთქმაში ექიმის მიერ ოჯახური საიდუმლოებების შენახვა ჰიპოკრატეს ფიცში და დარიგებებში წამოყენებული დებულებების ანარეკლია. ასევეა გადმოცემული ექიმის დამოკიდებულება კოლეგებთან და საჭირო შემთხვევებში კონსილიუმის ჩატარების წესები.

ამჟამად შემუშავებულია საბჭოთა ექიმის ფიცის ტექსტი, რომელსაც კოლექტიურად, ხმამაღლა კითხულობენ სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტები, ან ახალკურსდამთავრებული ექიმები საბჭოთა კავშირის მრავალ სამედიცინო ინსტიტუტში; ამ ფიცში სხარტად და ამომწურავად არის გადმოცემული საბჭოთა ექიმის ვალდებულებები, ეთიკური პრინციპები და საჭირო პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე.

## საბჭოთა ექიმის ფიცი

„ვიღებ რა ექიმის მიღებულ წოდებას და ვიწყებ საექიმო მოღვაწეობას, საზეიმოდ ვფიცავ:

მთელი ჩემი ცოდნა და ძალღონე მოვახმარო ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას და გაუმჯობესებას, დაავადებათა მკურნალობას და თავიდან აცილებას, კეთილსინდისიერად ვიშრომო იქ, სადაც მოითხოვს საზოგადოების ინტერესები. ყოველთვის მზად ვიყო სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის, ყურადღებით და მზრუნველობით მოვეპყრო ავადმყოფს, არ გავამჟღავნო საექიმო საიდუმლოება.

განუწყვეტლივ ავიმაღლო სამედიცინო ცოდნა და საექიმო ოსტატობა, საკუთარი შრომით ხელი შევუწყო მედიცინის მეცნიერების და პრაქტიკის შემდგომ განვითარებას.

თუ ამას მოითხოვს ავადმყოფის ინტერესები, რჩევისათვის მივმართო თანამოსაქმეებს და თვითონაც არასდროს ვთქვა უარი რჩევასა და დახმარებაზე. დავიცვა და განვავითარო სამამულო მედიცინის კეთილშობილური ტრადიციები, ყველა ჩემს მოქმედებაში ვიხელმძღვანელო კომუნისტური მორალის პრინციპებით, ყოველთვის მახსოვდეს საბჭოთა ექიმის მაღალი მოწოდება და პასუხისმგებლობა ხალხისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

ვფიცავ, ვიყო ერთგული ამ ფიცისა მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე“.

საბჭოთა ექიმის ფიცის უნაკლო შესრულება ექიმის დამსახურებული ავტორიტეტის, ხალხის ნდობისა და დიდი სიყვარულის საწინდარია.

## ჩვენი სახელოვანი წინაპრები

ექიმის ღირსებისა და ავტორიტეტისათვის აუცილებელ მრავალ ფაქტორთა შორის უპირველესია მის მიერ ჩატარებული მანიპულაციების ეფექტურობა. სიკვდილს გადარჩენილი ან გაჯანსაღებული ავადმყოფი თავისი მკურნალი ექიმის ყველაზე საიმედო პოპულარიზატორია. საექიმო მოღვაწეობის ვალდებულებათა პირნათლად შესრულება ექიმს სახელსა და დიდებას მოუტანს. ექიმის სულ მცირე შეცდომასაც კი შეიძლება ხალხის ნდობისა და სიყვარულის დაკარგვა მოჰყვეს. ამიტომ სახელს თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება.

დიდი ხანია ექიმის მოღვაწეობის სფერო გასცდა მხოლოდ მკურნალობის ვიწრო ჩარჩოებს. განუზომლად გაფართოვდა, გამრავალფეროვნდა, შესაბამისად გაიზარდა მისი უფლება-მოვალეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, სპეტაკი ზნეობისა და უდიდესი პოპულარობის მხრივ ჩვენი ექიმები შეიძლება ბევრს დაესესხონ თა-

ვიანთ წინამორბედებს. დაუვიწყარი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი მეცხრამეტე საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადო მოღვაწეებსა და ექიმებს. ესენი იყვნენ: ი. სააკაშვილი, ნ. ჩილიანი, ვ. გამრეკელი, ს. მრევლიშვილი, დ. ფორაქიშვილი, ა. ბახუტაშვილი, გ. მაღალაშვილი, ი. თარხნიშვილი, ვ. ხუციშვილი, ქ. ფურცელაძე, დ. ნაზარიშვილი, ი. გოპაძე, ა. ფანიაშვილი, გ. ტარსაიძე, ს. ვაწაძე, გ. ელიავა, ს. ხეჩინაშვილი, პ. ჩხიკვიშვილი, დ. გედევანიშვილი, მ. კალანდარიშვილი, ტ ქიქოძე, დ. ერისთავი, გ. ვოლსკი, მ. გედევანიშვილი, ს. მესხი, მ. ბახტაძე, გ. ნადირაძე, ს ალექსი-მესხიშვილი, ი. ჯინორიძე, ი. ხოფერია, გ. ბროძელი, ი. ღულაძე, ვ. შენგელაძე, ი. თუმანიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, მ ლამბარაშვილი, ლ. გოცირიძე, კ. მხეიძე, ი. ელიაშვილი, კ. მიქაბერიძე, გ. ბადრიძე, ი. თიკანაძე, დ. ლორთქიფანიძე, კ. კოჩინევი, ა. შატილოვი, დ. ახვლედიანი, კ. თოფურია, გ. ქორქაშვილი, ს. გოცირიძე, ი. ჩარექიშვილი, ს. ვირსალაძე, გრ. მუხაძე, ა. დიასამიძე, გ. ჯორჯიკია, ვ. მუსხელიშვილი, ე. შენგელია, ვ. მოსეშვილი, გ. გოკიელი, ვ. წერეთელი, კ. ელიოზიშვილი, ა. თეთრაძე, ნ. ჯანდიერი, ი. გომართელი, ა. ბალარჯიშვილი, ი. ასათიანი, ვ. ხუსკივაძე, ს. თოფურია; ექიმი ქალები: მ იოსელიანი, მ. ბაქრაძე — დედაბრი და სხვ.[1]

პირველი ქართველი ოფთალმოლოგის, ცნობილი ექიმის გიორგი ტარსაიძის უანგარო მოღვაწეობა ასახული აქვს ნიკო ლომოურს მოთხრობა „პაწია მეგობარში“, რომელიც ბრმა სოფლელ გოგონას განკურნების საუცხოო ამბავს გადმოგვცემს.[2] მადლიერ ქართველ ხალხს არ დავიწყებია გიორგი ტარსაიძის ღვაწლი — თვალის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო მისი სახელობისაა.

1976 წელს დაბადების მეასე წლისთავი გადაუხადეს ივანე გომართელს. მისი პოპულარობა განუმეორებელი იყო. მის სამედიცინო მანიპულაციებზე ლეგენდები დადიოდა. ივანე გომართელმა თავისი ხალხის განუზომელი სიყვარული მოიპოვა.

მედიცინის მუშაკთა ავტორიტეტი, მათი ინტერესების დაცვა და საჭირო შემთხვევაში მათი გაკრიტიკება მუდამ იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას. ამ საკითხებზე საინტერესო მასალები მოიპოვება გაზეთ „ივერიაში“ (1877-1906), რომლის დამაარსებელი და რედაქტორი (მეოთხედი საუკუნის მანძილზე) იყო ილია ჭავჭავაძე. იმ პერიოდში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმე პრიმიტიულ და უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

„ივერია“, როგორც ქართველი ხალხის პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების მებრძოლი ორგანო, ყოველი დაჩაგრულის ქომაგად გამოდიოდა და გაბედულად იმაღლებდა ხმას უკანონობის წინააღმდეგ, თუმცა მეფის ცენზურის პირობებში ეს ხშირად მეტად ძნელი და სახიფათო იყო. ამ მხრივ ილიასეულ „ივერიას“ უყურადღებოდ არ დაუტოვებია მედიცინის მუშაკები, რომელთაც შეზღუდულ, აუტანელ გარემოცვაში უხდებოდათ მუშაობა.

„ივერიის“ ფურცლებზე ვხვდებით ექიმის ავტორიტეტის შენახვის, მისი უფლებების დაცვის, საშუალო სამედიცინო პერსონალზე ზრუნვისა და ახალი სამკურნალო დაწესებულებების გახსნისადმი გულთბილი გამოხმაურების მრავალ მაგალითს. აღნიშნულის დასადასტურებლად მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს.

1888 წლის 20 ივლისის ნომერში (№ 175) ვკითხულობთ:

„უკანასკნელ ხანში რაკილა ექიმებს დაუწყეს ძაგება და კიცხვა, ბორდოს უნივერსიტეტის ჰიგიენის პროფ. ა. ლაიეს თავის ნაშრომში „ჰიგიენის შესახებ“, მოჰყავს ერთი ადგილი გაზეთიდან ექიმების დასაცავად; მასში აღნიშნულია, რომ „უპატიოსნესის საზოგადოებისათვის ექიმი ყმაა, რომელიც ვალდებულია ყოველთვის მუშაობდეს და დააკმაყოფილოს იმისი მოთხოვნილება; მოსვენება არ უნდა ჰქონდეს, არ უნდა იღლებოდეს, არ უნდა გამოაცხადოს უსიამოვნება მაშინაც კი, როცა ტყუილუბრალოდ აწუხებენ. ხოლო თუ ასე არ მოიქცა, გამოაცხადებენ, რომ თავის მოვალეობას რიგიანად არ ასრულებსო. ათასგვარ მოვალეობას ახვევენ თავზე, ხოლო მადლობის გადახდას კი საჭიროდ არ სთვლიან. ხშირად ხდება, რომ ექიმები სწავლობენ ჭირიანებს, გადამდები სნეულებით შეპყრობილ ავადმყოფებს, თავს საფრთხეში იგდებენ, მაგრამ რა ჯილდო მოელით ამ თავგანწირვისათვის? დავიწყება, მადლობის გადაუხდელობა“.

თავის მხრივ გაზეთი აცნობს საზოგადოებას მედიცინის იმ მუშაკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ხალხის გადასარჩენად. ასე მაგალითად, სპარსეთის მთავრობას „ლომისა და მზის“ მესამე ხარისხის ორდენით დაუჯილდოებია მიხეილის საავადმყოფოს პროზექტორი ექიმი ი. ზ. ლორის — მელიქოვი და მეხუთე ხარისხის ორდენით ამავე საავადმყოფოს უფროსი ფერშალი ა. ვ. პავლოვი „ნიშნად იმისა, რომ შარშან გაზაფხულზე ისინი გაგზავნეს სპარსეთში ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად“. („ივერია“, № 15, 20 იანვარი, 1893).

1893 წლის 23 იანვრის (№ 16) ნომერში დაბეჭდილია ცნობა: „თბილისში დაბრუნდა ახალგაზრდა ექიმი გ. ი. ბროძელი, რომელიც შარ-

---

[1] ა. წულუკიძე, მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ექიმები. თბილისი, 1961, გვ. 25-125.

[2] იქვე, გვ. 48-49.

შან ზაფხულში უშიშრად წასულა ბაქოს გუბერნიაში, კერძოდ ქ. ლენქორანში და სპარსეთის საზღვარზე მდებარე ქ. ასტრაში, როდესაც იქ ხოლერის ეპიდემია მძვინვარებდა. ბროძელთან ერთად, ხოლერის ეპიდემიის დროს, იღწვოდნენ ბაქოსა და განჯის გუბერნიაში, ქართველი ექიმები: ი. ბარამიშვილი და ივ. ხოფერია".

გაზეთი გულისხმიერად ეხმაურება ექიმის თავდადებულ შრომას და ზოგჯერ თავგანწირვასაც. მის ფურცლებზე ხშირად ვხვდებით ასეთი ხასიათის ცნობებს საქართველოდან, რუსეთიდან და უცხოეთიდან.

1898 წლის 20 ოქტომბრის ნომერში (№ 224) გამოქვეყნებულია ვენის გაზეთში დაბეჭდილი ცნობა მკურნალი მიულერის გარდაცვალების შესახებ. ის 82 წლისა იყო. ავად გახდა თუ არა, თვითონვე გასინჯა თავისი ნახველი და თქვა: „ხუთის დღის შემდეგ ცოცხალი აღარ ვიქნებიო". მართლაც ვერაფერი უშველეს და მკურნალმა მიულერმა ამგვარად თავი შესწირა მეცნიერებას". მეორე დღეს, 21 ოქტომბრის ნომერში (№ 225) ვკითხულობთ დაწვრილებით ცნობას ვენაში იმპერატორის ფრანც იოსების სახელობის ბაქტერიოლოგიური სადგურის მკურნალის მიულერის შავი ჭირისაგან გარდაცვალების შესახებ.

მკურნალი მიულერი შეეწირა შავი ჭირის შესწავლის საქმეს. მას ეს სენი შეეყარა სამკურნალოს მსახურის ბარიშისაგან, რომელსაც ევალებოდა საცდელი ცხოველების (ვირთაგვების, ზღვის გოჭების და სხვ.) მოვლა. მსახური ავად გახდა შავი ჭირით. მიულერი უვლიდა მას როგორც ინფლუენციან ავადმყოფს და თვითონ შეეყარა ეს განუკურნებელი სენი. მანამდე მიულერი ყოფილა ინდოეთში, სადაც მკურნალობდა შავი ჭირით შეპყრობილ 300-მდე ავადმყოფს და ავად არ გამხდარა.

ლიუდოვიკო ავგუსტო ფრანკელმა მიულერის საფლავზე წარმოთქვა სიტყვა ნოტნაგელის მაგივრად, რომელიც იმდენად იყო აღელვებული ამ ამბით, რომ ლაპარაკი არ შეეძლო"... მკურნალმა ფრანკელმა, სხვათა შორის, თქვა: „ბრძოლის ველზე მოკლულის კაცის გვამს დიდის პატივით აცილებენ სამარემდე, ხოლო მეცნიერებისათვის თავდადებული კაცის გვამს — კი მხოლოდ ორიოდე მეგობარი თუ გამყვება ხოლმე".

ასეთი მასალის გამოქვეყნება, ცხადია, მაღლა სწევდა ექიმის ავტორიტეტს; მსგავსი ფაქტების გაცნობით მკითხველი დიდის მოკრძალების გრძნობით აივსება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ხალხის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის თავიანთ სიცოცხლეს არ იშურებენ.

1902 წლის 10 აპრილს (№ 78) „ივერიაში" დაბეჭდილია წერილი „იმერეთის ამბები", სადაც ვკითხულობთ: „ს. დიდი ჯიხაიშიდან იწერებიან, რომ იქ გახსნილია ქსენონი, რომლის ექიმი გომართელია". წერილში ლაპარაკია ქსენონის სარგებლობაზე და ექიმის მუყაითობაზე.

განსაკუთრებით ვრცლად არის გაშუქებული ქუთაისში მოღვაწე ექიმის სამსონ თოფურიას დამსახურება და მისი კერძო სამკურნალო.

1899 წლის 16 დეკემბრის ნომერში (№ 271) გამოქვეყნებულია ექიმ ბადრიძის ვრცელი წერილი სათაურით: „ბ-ნ თოფურიას სამკურნალო ქუთაისში". ავტორი ამ სამკურნალოს ქუთაისის და მთელი იმერეთის „ძვირფას სამკაულს" უწოდებს.

სექტემბერში ეს სამკურნალო დაუთვალიერებია პარიზის უნივერსიტეტის გამოჩენილ პროფესორს ტერიეს და ძლიერ მოსწონებია. „მეც თვითონ დიდი სიამოვნებით და კმაყოფილებით ვიმუშავებდი ამისთანა მშვენიერსა და მოწყობილს საოპერაციო ოთახშიო" — უთქვამს ტერიეს.

წერილში აღნიშნულია, რომ იქ ისეთი რთული ოპერაციები კეთდება, რომლებსაც მხოლოდ საუნივერსიტეტო კლინიკებში აკეთებენ; რომ „ასეთი სამკურნალოს ბადალი მთელ კავკასიაში არ არის. ამ დაწესებულების ყოველწლიური ხარჯი ორმოცათას მანეთს შეადგენს, ხოლო თვითონ თოფურია კი შევიწროებულად ცხოვრობს სამკურნალოს ინტერესებისათვის".

ამ დროისათვის საუნივერსიტეტო კლინიკის მსგავსი საავადმყოფოს არსებობა ჩვენში, რა თქმა უნდა, დიდი მონაპოვარი იყო, თუმცა ის კერძო, ფასიანი სამკურნალო იყო.[1]

1903 წლის 31 ოქტომბრის (№ 232) „ივერიის" მე-2-3 გვერდებზე დაბეჭდილია ვრცელი ფელეტონი სათაურით: „ბ-ნი სამსონ თოფურია და მისი მოღვაწეობა". ხელს აწერს Plebs. სამსონ თოფურიას მოღვაწეობისა და მისი სამკურნალოს ხალხისათვის სასარგებლო მუშაობის გარდა, წერილში აღნიშნულია ექიმ გომართელის ღვაწლი. „მდაბიო ხალხის ფანტაზია იქამდე აღფრთოვანდა, რომ მზად არის სასწაულთ-მოქმედის შარავანდედით შეამკოს ახლად მოვლენილი ქურუმი მკურნალობისა; ეს გახლავთ ბ-ნი გომართელი, რომელმაც ამ მოკლე დროში საოცარი სახელი მოიხვეჭა და დიდებით შეიმოსა".

ვრცლად გამოეხმაურა გაზეთი ექიმ სამსონ თოფურიას გარდაცვალებას, ვრცლად გააშუქა

---

1 სამედიცინო კულტურის დანერგვის სფეროში ექიმ სამსონ თოფურიას ღვაწლი განხილულია მ. საკაშვილის სადოქტორო დისერტაციაში — „ნევროპათოლოგიის ისტორიისათვის საქართველოში", (1948) და ა. წულუკიძის მონოგრაფიაში — „მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ექიმები", თბილისი, 1961, გვ. 115-118.

დასაფლავების ცერემონია და გამოაქვეყნა სტატიები და დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვები (იხ. „ივერია“, 1904: № 154, 156, 157, 159, 161). მათ შორის უნდა აღინიშნოს აკაკის სიტყვა, რაც მთავრდება სამსონ თოფურიასადმი მიძღვნილი შემდეგი ლექსით:

მშვიდობით, ძმაო და მეგობარო,
ჩვენთვის მანამდე დაუვიწყარო,
სანამ სრულიად არ დაშრეტილა
ჩვენი ცხოვრების ნაკადულ-წყარო.

შენებრ რჩეულებს ათასში ერთხელ
ზეცა უგზავნის მიწას იმედად,
ვით უდაბნოში გზა-დაბნეულებს —
გზის მაჩვენებლად და ნათლის სვეტად.

რომ გულ-გატეხილს და დამონებულს
ჩამოაშოროს ეგვიპტით მტერი
და მიიყვანოს აღთქმულ ქვეყანას
ახალ ცხოვრების მოსურნე ერი.

კურთხეულ იყოს საშვილიშვილოდ,
შენი სახელიც დაუვიწყარი!
ვინც მოიხადა ამ სოფლად ვალი,
ის მკვდარიც ცოცხლობს — არ არის
მკვდარი!

შენც ხორციელად თუმცა გვშორდები,
მაგრამ აქ რჩება ჩვენთანვე სული
ჭირში და ლხინში გამამხნევებლად,
ვით უკვდავება და სიყვარული.

მშვიდობით ძმაო და მეგობარო,
ჩვენთვის მანამდე დაუვიწყარო,
სანამ სრულიად არ დაშრეტილა
ჩვენი ცხოვრების ნაკადულ-წყარო“.

აკაკის სიტყვამ „უთვალავი ხალხი ააქვითინაო“ — წერს გაზეთი (იხ. „ივერია“, № 156).

გაზეთი არ ივიწყებს სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალის ძნელ და სასარგებლო მუშაობას. საილუსტრაციოდ დავასახელებთ 1898 წლის 29 მაისის (№ 111) ნომერში გამოქვეყნებული წერილის შინაარსს.

1883 წელს საგარეჯოში მოუწვევიათ კერძო ფერშალი. იქ მცხოვრებ პროვიზორ ნიკ. ბაზუროვს საკუთარი აფთიაქი დაუარსებია. შემდეგ გაუხსნიათ სამკურნალო, სადაც მუშაობდა ექიმი ბეზირგანოვი და სამი ფერშალი. 1893 წელს ექიმი ბეზირგანოვი გადაუყვანიათ. ქ. გორში და მის ადგილას საგარეჯოში დაუნიშნავთ ექიმი აბელ იაშვილი, რომელსაც დიდი სახელი და სიყვარული დაუმსახურებია. ის ღარიბებს ეხმარებოდა და საზოგადო საქმეს აკეთებდა. „მისის მეთაურობით სართიჭალის ფოსტა დაარსდა, საგარეჯოს სამკითხველო-წიგნთსაცავი გაფართოვდა. ზაფხულობით წარმოდგენები მისის მეთაურობით იმართებოდა. ანგარიში აღარ აქვს კერძო კეთილ საქმეს და შემწეობის აღმოჩენას დაბალ ხალხში იაშვილისაგან“.

მაშინ, უმრავლეს შემთხვევაში, მთელ მაზრაში მხოლოდ ერთი ექიმი იყო და ის, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. 1884 წლის 9 ივნისის ნომერში (№ 120) აღწერილია რაჭის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა. მაშინ ხომ მთელ რაჭას ერთი ექიმი ჰყავდა.

ამავე წლის 30 ივლისის ნომერში (№ 140) გამოქვეყნებულია წერილი სათაურით: „ავადმყოფობა და უექიმობა გურიაში“. ეს სათაური თავითვე განსაზღვრავს მის შინაარსს. ასევე იყო სხვაგანაც. ცხინვალში ყოფილა ერთი ექიმი, სამი ფერშალი და ერთი ბებია ქალი (იხ. „ივერია“, № 20, 1 თებერვალი, 1902). მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლებოდა.

როდესაც ახლა ამ მასალებს ეცნობით, ადვილი წარმოსადგენია იმ დროს ექიმის დიდი დანიშნულება სოფლად. მაშინ, როცა მთელს საგარეჯოში, რაჭაში და სხვაგან ერთი ექიმი ეწეოდა მძიმე, აურაცხელ მუშაობას ხალხის გაჭირვებისა და ინფექციური სნეულებების მძვინვარების დროს, მართლაც დასაფასებელი იყო აბელ იაშვილისმაგვარი ექიმი და საზოგადო მოღვაწე.

მეცხრამეტე საუკუნეში სულ ორი ქართველი ექიმი ქალი იყო: მარიამ სიმონის ასული ბაქრაძე-დედაბერი და მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანი (უფრო ზუსტად, ამ უკანასკნელმა 1901 წელს დაამთავრა პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტი). მ. ბაქრაძე-დედაბერის შესახებ „ივერიაში“ ცნობებს ვერ შევხვდით, მ. იოსელიანის შესახებ კი ვკითხულობთ შემდეგს: „შარშან პეტერბურგის ქალთა სამკურნალო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა ქართველმა ქალმა მარიამ იოსელიანმა, რომელიც აქომამდე პეტერბურგშივე მეცადინეობდა გამოჩენილ პროფესორთა და ექიმთა ხელმძღვანელობით; ეხლა კი თავის სამშობლოში დაბრუნდა და აქ აპირებს ბინადრობას“. („ივერია“, № 108, 22 მაისი, 1908, გვ. 2).

ექიმმა მარიამ იოსელიანმა საქართველოში ფრიად ნაყოფიერი მუშაობა გასწია როგორც მეან-გინეკოლოგმა, პედაგოგმა, სამეცნიერო შრომებისა და საშუალო სამედიცინო სკოლების სახელმძღვანელოების ავტორმა.

ჩვენს ქვეყანას ესაჭიროებოდა მედიცინის მუშაკი — ექიმი, ფერშალი, პროვიზორი და ფარმაცევტი. „ივერია“ თვალყურს ადევნებდა მათ მომზადებას და სასარგებლო საქმიანობას და გაბედულად იმაღლებდა ხმას მათს წინააღმდეგ, ვინც შეეცდებოდა მკურნალის უფლებების შებღალვას.

„ივერია“ ხშირად ამხილებს ექიმებს ავადმ-

ყოფებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისათვის, წერს ბებია ქალების უცოდინარობაზე, სამკურნალო დაწესებულებების ნაკლოვანებებსა და მათ მოუქნელ მუშაობაზე, სასტიკად ამათრახებს ექიმბაშებს, მიუთითებს ხალხში სანიტარული განათლების შეტანის აუცილებლობაზე და სამედიცინო კადრების სიმცირეზე.

ჩამოთვლილი დებულებების დამადასტურებელი მასალების ვრცლად მოტანა შორს წაგვიყვანდა და ეს საჭირო, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს.

„ივერია" ზოგჯერ სინანულით აღნიშნავს მაშინდელი ექიმების ნაკლებ დაინტერესებას მეცნიერებით. ასე, მაგალითად, 1886 წლის 9 ოქტომბრის ნომერში (№ 217) გამოცხადებულია კავკასიის საიმპერატორო საექიმო საზოგადოების მიერ დაწესებული ჯილდოები ცხრა სხვადასხვა სახელწოდების შრომის შესრულებისათვის. ამ განცხადების დასაწყისში ვკითხულობთ: „ჩვენის ექიმების საყურადღებოთ, რომელნიც ძალიან ნაკლებად ეწყობიან მწერლობის საქმეს საზოგადოდ და სამეცნიერო მოღვაწეობას კერძოდ, ჩვენ მოგვყავს შემდეგი გარემოება"... და ამის შემდეგ დასახელებულია თემა, ფულადი ჯილდოს რაოდენობა და გვარი იმ კაცისა, ვინც ჯილდოს საფასურს გაიღებდა (ჯილდოების ნაწილს კი აღნიშნული საზოგადოება იძლეოდა).

გაზეთში ვხვდებით ექიმის უყურადღებობის და შეცდომის გამოაშკარავების ცალკეულ ფაქტებს. ასე, მაგალითად, სატირულად არის აღწერილი ექიმი მაისურიანცი, რომელსაც ჯეროვანი ყურადღებით არ გაუსინჯავს ავადმყოფი და დიაგნოზი შეშლია. (იხ. „ივერია", № 17, 23 იანვარი, 1894).

„ივერიაში" ვხვდებით ექიმთა სიხარბისა და ანგარების მხილებასაც. ამ მხრივ გაზეთი არც უცხოეთიდან ჩამოსულ გამოჩენილ მკურნალებსა ზოგავს. ასე, მაგალითად, თბილისში გზად გამოუვლიათ გერმანელ გამოჩენილ ექიმებს — ლეიდენს და ნოტნაგელს. ამ ექიმებთან მისულა ერთი ქართველი თავადი შ-ძე და 25 მანეთი გადაუხდია გასინჯვისათვის, მათ კი 100 მანეთი მოუთხოვიათ, რის გამოც ავადმყოფი უკან გამობრუნებულა. ექიმებმა ეტლი დაადევნეს და დაბრუნება სთხოვეს, მაგრამ თავადს შეუთვლია: „მირჩევნია ასე დავრჩე ჩემი სენით და თქვენგან განკურნება არ მინდაო". ამ შემთხვევის აღწერა შემდეგნაირად თავდება: „როგორც ჩანს, დიდი ნიჭი და დიდი ანგარება შესაძლებელი ყოფილა რომ ადვილად მოთავსდნენ ერთმანეთთან". (იხ. „ივერია", № 126, 17 ივნისი, 1895).

„ივერიაში" ხშირად შევხვდებათ სამკურნალო დაწესებულებების მუშაობის ცალკეული ნაკლოვანი მხარეების კრიტიკა. ამ ფაქტების მოყვანა ზედმეტად მიგვაჩნია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ზოგჯერ ხელისუფლების ორგანოებიც გაბედულად არის გაკრიტიკებული. ასე, მაგალითად, 1892 წლის 21 ივნისის ნომრის (№ 129) მესამე გვერდი სპეციალურად მიძღვნილია ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლისადმი. აქ აღიარებულია ქალაქის მმართველობის უმოქმედობა ქოლერის ეპიდემიის ჩასაქრობად.

ამავე გვერდზე იუმორისტულ ფორმაში მოთხრობილია ნიორის სამკურნალო გავლენაზე ქოლერის დროს, რის გამოც ნიორს ძლიერ ეტანებოდნენ (მაშინ ხალხი ქოლერას ხორველას უწოდებდა). „... კარი-კარს დააქვთ კინტოებს სავსე თაბახები და შუადღის ბულბულის ხმაზე გაიძახიან:

„ნიორი მოვიდა, ხორველა წავიდა... თეთრი ნიორი, ახალი ნიორი, ჰაა!..

ხორველის ვარდი არა გნებავს, ქალბატონო?"

ფელეტონში „ხოლერის ქება", რომელსაც ხელს აწერს „ქოლერის არშიყი", გაკრიტიკებული არიან ექიმები, პროვიზორები, პოლიცია და ქალაქის მმართველობა (იხ. „ივერია", № 140, 5 ივლისი, 1892).

ქალაქის მმართველობის კრიტიკაა აგრეთვე ფელეტონში სათაურით: „ხოლერის შესახებ" (1892 წლის 11 ივლისის ნომერში № 145) ფელეტონი თავდება შემდეგი იუმორისტული შენიშვნით:

„პატარა გამოცანა. ტფილისის თვით-მმართველობამ 46 ათასი მანეთი გადასდო ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო მოსკოვის თვით-მმართველობამ კი — 20.000 მანათი. გამოიცანით: რამდენად დიდი ქალაქია ტფილისი მოსკოვზე? კიდევ გამოიცანით: რამდენად სუფთა ყოფილა მოსკოვი ტფილისზე? და კიდევ გამოიცანით: რამდენად იაფი ყოფილა მოსკოვის დაწმენდა-დასუფთავება, ვიდრე ტფილისისა?."

ფელეტონს ხელს აწერს „აბრა"[1].

ცნობილია, რომ აფთიაქი საექიმო მომსახურების განუყრელი ნაწილია.

„ივერია" უყურადღებოდ არ ტოვებდა სააფთიაქო საქმეს. მაგალითად, 1902 წლის 30 ნოემბრის (№ 257) ნომერში მეორე გვერდზე დაბეჭდილია წერილი სათაურით „ჩვენებური ამბები". ხონიდან იტყობინებიან, რომ ოქროპირიძის წინადადებით გადაუწყვეტიათ აფთიაქის დაარსება. ამ წინადადებას საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვედრია. წერილის ავტორი აცხადებს, რომ აფთიაქი, თავისი პირდაპირი სიკეთის გარდა, კარგი შემოსავლის წყარო იქნება, რაც მოხმარდება ბიბლიოთეკა-სამკითხ-

1 აბრა — ალექსანდრე ნიკიტინი. იხ. გივი მიქაძე, ქართული ფსევდონიმების ლექსიკონი, გვ. 142 (ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერი № 22878).

ველოს, ქალთა კერძო პროგიმნაზიას (შეიძლება გადაკეთდეს გიმნაზიად) და სხვ. შემდეგ ვკითხულობთ: „ვინ იცოდა თუ, მიუხედავად ამდენი სიკეთისა, ამ საქმესაც გამოუჩნდებოდა მოწინააღმდეგე. მოწინააღმდეგენი — კი გამოჩნდნენ და მერმე იქიდგან, საიდანაც არ მოველოდით, — ბ. ივ. შარაშიძე და ექიმი პ. კიკალიშვილი. პირველი საზოგადოების ყრილობაზე არ ჩანდა, მაგრამ წინდაწინვე აგონებდა ხალხს, რომ ვითომდა იმას გაგებული აქვს მთავრობის აზრი, რომელიც ვითომდა წინააღმდეგი იყო ახალის აფთიაქისა. პ. კიკალიშვილი — კი მოვიდა ყრილობაზე, როდესაც საქმე ბოლოვდებოდა. იმან მიმართა საზოგადოებას, სიჩქარით მოქმედობთო. აფთიაქი სარგებლობას არ მოუტანს საზოგადოებასო და სხვ.

ორივეს რჩევა საზოგადოებამ უყურადღებოდ დატოვა და მთავრობასთან შუამდგომლობა და საქმის წინ გაძღოლა დაავალა ბოქაულს ბ-ნ ოქროპირიძეს, ექიმს ბახტაძეს, ვლ. მაჭარაძეს, ევგ. ქუთათელაძეს, ბალანჩივაძეს, მიხ. სანოძეს და მამასახლისს. ვუსურვებთ ამ კეთილ საქმის ჩქარა დაბოლოვებას".

მაშინ აფთიაქის უმრავლესობა კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდა, მაგრამ ასეთი სამედიცინო დაწესებულების დაარსება დიდ კულტურულ და სასარგებლო საქმედ ითვლებოდა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ სიტყვასიტყვით მოვიტანთ შემდეგ ინფორმაციას: „აფთიაქი მცხეთაში. პროვიზორის მეუღლემ მარიამ დავითის ასულმა ალხაზიშვილისამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება დამრთეთ, რომ სოფ. მცხეთაში (დუშეთის მაზრა) დავაარსო პატარა კერძო აფთიაქი, რადგან სადგურ მცხეთის მცხოვრებთა და მოაგარაკეთათვის ძლიერ საჭიროა ამნაირი დაწესებულებაო". („ივერია", № 231, 9 ოქტომბერი, 1904).

„ივერია" დიდი თანაგრძნობით გამოეხმაურა 1905 წლის მაისში თბილისის ფარმაცევტების, მათი თანაშემწეების და აფთიაქის მოწაფეების გაფიცვას და მათს კანონიერ მოთხოვნებს მეაფთიაქეების მიმართ. ეს გაფიცვა ქალაქის მოურავის და სამედიატორო სასამართლოს დიდი მსჯელობის საგანი ყოფილა. („ივერია", № 73, 12 მაისი, გვ. 2; № 76, 15 მაისი, გვ. 3 და № 77, 17 მაისი, გვ. 3, 1905).

ილია ჭავჭავაძე მეოთხედი საუკუნის მანძილზე (1877-1902) სათავეში ედგა „ივერიას". მომდევნო ხუთი წლის მანძილზე (1902-1907) გაზეთი განაგრძობდა ილიასეულ ტრადიციებს, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა სამედიცინო მეცნიერებას და მედიცინის მუშაკების საქმიანობას. ილიას ბიბლიოთეკას მრავალი სამედიცინო წიგნი ამშვენებდა.

ილიას „ივერია" ხალხის მსახური იყო, ჩვენი ქვეყნის ავ-კარგის მცოდნე, და მასში სამედიცინო დარგის ვითარებაც სათანადოდ აისახა.

## წინაპართა მემკვიდრეები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების პირველ წელსვე (1918) ჩამოყალიბდა სამედიცინო ფაკულტეტი, რომელიც 1930 წელს გამოეყო უნივერსიტეტს სამედიცინო ინსტიტუტის სახით. მას შემდეგ მედიკოს-სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში იღებს ექიმის საპატიო წოდებას. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არ არის თითქმის არცერთი სოფელი, სამედიცინო სამსახურს მოკლებული რომ იყოს; ბევრია მცოდნე, შრომისმოყვარე, კეთილი ბუნების ექიმი, რომელსაც საზოგადოებისათვის დიდი სიკეთე მოაქვს, თვითონ კი იმკის ყველაზე ძვირფასს — ხალხის აღიარებასა და სიყვარულს.

ცნობილია მედიცინის მუშაკთა თავდადებული შრომის აუარებელი მაგალითები. მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. აბა განსაჯეთ, რამდენ სასიკვდილოდ განწირულს დაუბრუნდა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, შრომის უნარი და რამდენი მედიცინის მუშაკის განცდა და უძილო ღამე დაიხარჯა ასეთ კეთილშობილებისათვის!

ყველამ იცის რა თავდადებით იბრძოდნენ ექიმები დიდი სამამულო ომის ფრონტზე. მეომრისათვის ექიმი ნამდვილი თანამებრძოლი იყო. ექიმიც გრძნობდა ამ ნდობას და შემართებით, ვაჟკაცურად ასრულებდა თავის საბრძოლო დავალებებს.

ნებას მივცემ ჩემს თავს ერთი ამბავი გავიხსენო ჩემი პირადი თავგადასავლიდან: 1942 წლის მაისის პირველ რიცხვებში ქალაქ ქერჩის მახლობელ ყამიშ-ბურუნის პორტში გემ „პოტიომკინზე" ვხელმძღვანელობდი დაჭრილების ევაკუაციას დიდ მიწაზე. გერმანიის ავიაბომბდამშენებმა პირდაპირი მოხვედრით დააზიანეს გემი და პორტი. ჩვენი საზენიტო არტილერია ცეცხლით უმასპინძლდებოდა დაუპატიჟებელ სტუმრებს. ვისაც შეეძლო, თავშესაფარისკენ მიეშურებოდა.

— ექიმო მიშველე! — შემომესმა დაჭრილის სასოწარკვეთილი ხმა. შევჩერდი, დაჭრილი ზურგზე ავიკიდე და ცეცხლის ზონიდან გამოვიყვანე, ჭრილობები ჩემი საკუთარი პერანგით გადავუხვიე, ის და მრავალი სხვა დაჭრილი სანიტართა და შოფერთა ჯგუფის დახმარებით საველე საევაკუაციო ჰოსპიტალში გადავიყვანეთ.

ის კაცი, ვინც შველა მთხოვა, ქერჩის გარნიზონის უფროსი, გენერალ-მაიორი პეტრე დანიელის-ძე დავიდოვი აღმოჩნდა. ომის დამთავრების ოცდამეხუთე წლისთავზე მან, უკვე გენერალ-ლეიტენანტმა, სპეციალური წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „კომუნისტში". წერილი ასე იყო დასათაურებული: „ვინც საკუთარი სიცო-

ცხლის ფასად გადამარჩინა“. მე ის მადლობას მიხდიდა.[1]

ვინ მოთვლის რამდენი საგმირო საქმე და მადლობა აქვთ მიღებული ჩემს თანამებრძოლ კოლეგებს, ყველას, ვინც დიდი მორალური შეგნებით იცავდა საბჭოთა მეომრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მშვიდობიან პერიოდში ექიმის პროფესიული ეთიკის, მოქალაქეობრივი ვალდებულების სპეტაკი შესრულების ეპიზოდებით არის აღსავსე სასწრაფო საექიმო სამსახური, რომელიც ყველა ქალაქსა და რაიონში არსებობს.

რესპუბლიკის მასშტაბით მაღალკვალიფიციურ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და კონსულტაციებს ატარებს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სანიტარული ავიაციის სადგური სანავიასადგურის ყოველდღიური მუშაობა აღსავსეა სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამედიცინო პერსონალის სპეტაკი და თავდადებული შრომის მაგალითებით. ასეთ მედიცინის მუშაკთა შორის შეიძლება დავასახელოთ კარდიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ბიძინა მაცაბერიძის მრავალი გულისხმიერი, მაღალპროფესიულ, ეთიკური მოთხოვნილების დონეზე შესრულებული კონსულტაცია და სამედიცინო დახმარება.

ბიძინა მაცაბერიძე დიდი სამამულო ომის მონაწილეა. მან ბრძოლით გაირა გზა ჩრდილოეთ კავკასიიდან კრაკამდე და უმაღლესი მთავარსარდლის თვრამეტი მადლობა დაიმსახურა. მიღებული ჯილდოებიდან მედალმა „გამბედაობისათვის“ მას სიცოცხლე შეუნარჩუნა. სამხედრო ხალათზე მიბნეული ტყვიით გახვრეტილი მედალი საქართველოს ისტორიული მუზეუმის სამამულო ომის მონაწილეთა სტენდზეა წარმოდგენილი.

— 1974 წლის 12 იანვარს, — იგონებს ბიძინა მაცაბერიძე, — მე და ქალაქის მერვე კლინიკური საავადმყოფოს ქირურგს არჩილ სალარიძეს სანავიაგამოძახებით გარდაბანში მოგვიხდა სასწრაფოდ გამგზავრება. რაიონულ საავადმყოფოში მოთავსებულ მეტად მძიმე ავადმყოფთან ვიყავით მიწვეული. მას ნაწლავების გადაჴლართვა ჰქონდა. გაიხსნა მუცლის ღრუ. გათენებამდე გაგრძელდა სიკვდილთან ჭიდილი. ქირურგმა ბრწყინვალეთ ჩაატარა ოპერაცია. მე შევძელი ავადმყოფის გულის მუშაობის მოწესრიგება. შემდეგში მკურნალობა რაიონის ქირურგმა გააგრძელა. ჩვენ გავიმარჯვეთ, ავადმყოფი გადარჩა.

ბიძინა მაცაბერიძე სანავიასადგურის აქტიური და გულისხმიერი კონსულტანტია კარდიოლოგიის დარგში. გამოძახებიდან დაბრუნების შემდეგ სანავიასადგურიდან ტელეფონით უკავშირდება რაიონებს და დამატებით სიტყვიერ კონსულტაციას აძლევს მკურნალ ექიმებს. ასე იყო 1976 წლის 19 ოქტომბრის დილას — სასიხარულო ინფორმაციები მიიღო მან თელავიდან, დუშეთიდან და ხილნალიდან, რის შემდეგ გულდამშვიდებით წავიდა კარდიოლოგიის ინსტიტუტში ყოველდღიური სამუშაოს შესასრულებლად. იქ მას გულით დაავადებულნი ელოდებოდნენ.

მე ვთხოვე რესპუბლიკის სანავიასადგურის უფროსს ექიმ გივი კანდელაკს გადმოეცა ჩემთვის უკანასკნელი პერიოდის მუშაობის ზოგიერთი მაჩვენებელი. მან ჩემი თხოვნა შეასრულა და წარმოადგინა 1972 წლის პირველ იანვრიდან 1976 წლის პირველ ნოემბრამდე ჩატარებული მუშაობის ვრცელი ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ უკანასკნელი 4 წლის და 10 თვის განმავლობაში, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, სანავიასადგურის მაღალკვალიფიციური ექიმების მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოეჩინა და კონსულტაცია გაეწია 16 256 ავადმყოფს; აქედან თბილისის სამკურნალო დაწესებულებებში ევაკუირებული იყო 368 ავადმყოფი. მარტო 1976 წლის 10 თვის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და კონსულტაცია ჩაუტარეს 5058 ავადმყოფს.

სანავიასადგურის სახელზე მიღებულია მადლობის წერილები საქართველოს მრავალი რაიონიდან. თვითეული წერილი ექიმის მიერ გადარჩენილ ავადმყოფზე მეტყველებს. ამ სპეციალისტების შესახებ ვრცელი საუბარი შეიძლებოდა. ყველა ისინი მადლობის ღირსნი არიან. ავადმყოფთა მიმართ მათი მზრუნველობა და თავდადება ცალკე საუბრის საგანია. დღე-ღამის ყოველ დროს, კარგსა თუ ცუდ ამინდში, ვერტმფრენით, ავტომანქანით თუ მატარებლით მიდიან ავადმყოფის გადასარჩენად საქართველოს მთასა და ბარში. არის ხიფათის შემთხვევებიც, მაგრამ ეს ჭეშმარიტ მკურნალს ვერ დააბრკოლებს.

რესპუბლიკის მრავალმა მედიცინის მუშაკმა გამოიჩინა თავი ზნეობრივი მოვალეობის ღირსეულად შესრულების საქმეში. ისინი კვლავაც განაგრძობენ საზოგადოებისათვის, ხალხისათვის სასარგებლო საქმიანობას, მტკიცედ იცავენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ხალხი მათ პატივს სცემს და აფასებს.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა მედიცინის მუშაკმა მართებული საყვედური დაიმსახურა ავადმყოფებისადმი უსულგულო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, იმისათვის, რომ მკურნალობაში უხეში შეცდომები მოუვიდა. ჩვენ ვლაპარაკობთ შეცდომებზე და არა დანაშაულზე, რომელიც კანონით ისჯება. ყოველი

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 9 მაისი, 1970.

ექიმის მოღვაწეობას ამშვენებს მორალური ნორმების განუხრელი დაცვა. ექიმს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი საქმიანობის უშუალო ობიექტი, ამავე დროს, სუბიექტიც არის, რომ მას ადამიანთან აქვს უშუალო ურთიერთობა, რაც სავალდებულოს ხდის ექიმის მოღვაწეობის რთულ, ფრიად პასუხსაგებ და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობის შესრულებას.

ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე არსებული ხარვეზებისა, მედიცინის მუშაკთა საქმიანობაში შეცდომებისა და მათი გამოსწორების შესახებ მრავალჯერ იყო საუბარი პარტიულ კონფერენციებზე, მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებებზე, მრავალი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრესას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია სამედიცინო სამსახურის წინსვლისა და წარმატების საქმეში, მაგრამ ფართო მკითხველისათვის განკუთვნილ ჟურნალ-გაზეთებში სამედიცინო საკითხების და, მათ შორის, მედიცინის მუშაკის საქმიანობის გაშუქება დიდ სიფრთხილეს და ზომიერების დაცვას მოითხოვს. საჭირო განხილვა ისეთი სამედიცინო ხასიათის შეცდომებისა, რომელსაც მოსახლეობის დაშინება და ექიმისადმი უნდობლობა მოჰყვება, გაუმართლებელია. უმჯობესია ასეთი მასალები სპეციალურ სამედიცინო პრესაში გამოქვეყნდეს და სამედიცინო საზოგადოებების სხდომებზე იქნეს განხილული. საჭირო შემთხვევაში კი ის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

დაშვებული საექიმო შეცდომის აღიარება, მისი ღრმა, მეცნიერული ანალიზი და აქედან საჭირო დასკვნის გამოტანა კი აუცილებელი და სასარგებლოა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს სახელოვან წინაპრებს ღირსეული მემკვიდრეები ჰყავთ, რომლებიც იცავენ წინამორბედთა კარგ ტრადიციებს, შემოქმედებითადავითარებენ მას, თავიანთი წვლილი შეაქვთ სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში, ფეხდაფეხ მიჰყვებიან საბჭოთა მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს. უღირსთა კრიტიკა, მათი მიუღებელი საქმიანობის დაგმობა და დაშვებული შეცდომების გამოსწორება მედიცინის მუშაკთა მუდმივი, დიდი და აუცილებელი საზრუნავია.

ბოლო პერიოდში გამდიდრდა თერაპიულ საშუალებათა არსენალი, გაფართოვდა ქირურგიული ოპერაციების დიაპაზონი, გამრავალფეროვნდა ფიზიოთერაპია, ბალნეოთერაპია, დიეტოთერაპია, ფართოდ დაინერგა სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი და სხვ., მაგრამ მედიკამენტებს მკურნალობაში ისევ ძირითადი ადგილი უჭირავს. მედიკამენტების გარდა, აფთიაქიდან გამოაქვთ ავადმყოფის გამოკვლევის, მოვლისა და მკურნალობისათვის საჭირო საგნები: სისხლის არტერიული წნევის გასაზომი აპარატი, თერმომეტრი, სათბური, სტერილიზატორი, შპრიცი, საინექციო ნემსი, კოტოშები, კომპრესის ქაღალდი, ბამბა, ბინტი და მრავალი სხვა.

სტაციონარულ და პოლიკლინიკურ ქსელში მომუშავე მკურნალი ექიმის მოღვაწეობა უშუალოდ დაკავშირებულია აფთიაქთან, რომელიც სამკურნალო დაწესებულებათა კომპლექსის განუყოფელი ნაწილია.

ავადმყოფის მოვლისათვის და ყოველდღიური გამოკვლევისათვის საჭირო საგნებისა და მედიკამენტური მკურნალობის უკეთ სარგებლობის მიზნით აუცილებელია, რომ ექიმი სისტემატურად ეცნობოდეს აფთიაქში არსებულ ახალ აღჭურვილობასა და პრეპარატებს და ამის შესაბამისად გამოწეროს მხოლოდ საავთიაქო ქსელში არსებული აპარატურა და მედიკამენტები.

ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის მიხედვით წამლის უნაკლო გაფორმებას უაღრესად დიდი ფსიქოლოგიური გავლენა აქვს, მაღალ დონეზე აყენებს ექიმის ავტორიტეტს და ასეთი წამლის თერაპიული გავლენაც უკეთესია.

ზოგჯერ რეცეპტის გაფორმებისას ექიმს შეიძლება გაეპაროს შეცდომა; აფთიაქი, ჩვეულებრივ, ასწორებს შემჩნეულ ნაკლს, საჭირო შემთხვევებში ექიმთან შეთანხმებით. რა თქმა უნდა, ასეთი ხასიათის ხარვეზი იშვიათი გამონაკლისი უნდა იყოს და თუ ასეთი შემთხვევა მაინც იქნება, მაშინ ის უნდა გამოსწორდეს ავადმყოფისათვის შეუმჩნევლად; ამით არ შეიბღალება ექიმისადმი ნდობა და აფთიაქში დამზადებულ წამალსაც მეტი სამკურნალო გავლენა ექნება.

მეტად დასანანია, რომ ამ ბოლო დროს არც ისე იშვიათია შეცდომებით გაფორმებული რეცეპტები, რაც აიხსნება მკურნალი ექიმის დაბალი კვალიფიკაციით ან უყურადღებობით. ასევე ხშირია აფთიაქებშივე, ავადმყოფის თანდასწრებით ამ შეცდომებზე მსჯელობა და რეცეპტის უკან დაბრუნება.

სამედიცინო მუშაობის აღნიშნული ნაკლოვანებები დასაგმობია და გამოსწორებას მოითხოვს.

ექიმისა და ფარმაცევტის საქმიანი, მეგობრული ურთიერთობა მაღლა ასწევს ხალხის ჯანმრთელობისათვის მებრძოლი კოლექტივის სახელსა და დიდებას.

ხალხს აფთიაქის სასწორი უზუსტესი სიმართლის სიმბოლოდ წარმოუდგენია, აფთიაქი — უწმინდეს დაწესებულებად, ხოლო ექიმის თეთრი ხალათი სისპეტაკის ვანსახიერებად. ნუ გავაყალბებთ ხალხის ამ შეხედულებას!

## სიტყვის სამკურნალო ძალა

ისეთი ექიმია, მისი სიტყვაც კი მორჩენს ავადმყოფსო — იტყვიან ხოლმე კარგ მკურნალზე. ამ გამოთქმაში სავსებით სწორად არის გადმოცემული სიტყვის მნიშვნელობა და მისი ძალა ავადმყოფი ადამიანის სამკურნალო კომპლექსში.

ამჟამად თითქმის ყველასაგან აღიარებულია ავადმყოფზე და მის ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებზე ექიმის სიტყვის დადებითი გავლენა.

ფსიქოთერაპიული გავლენისაა აგრეთვე ექიმის ქცევა, ავადმყოფთან შეხვედრა, გასინჯვა და რეცეპტის გამოწერაც კი, მაგრამ მკურნალის სიტყვას დიდი, განუზომელი ძალა აქვს. წამლის მიღებამდეც კი, ჩვეულებრივ ავადმყოფი შვებას გრძნობს. ექიმის ასეთი გავლენა მით მეტია, რაც უფრო სახელგანთქმული და ნდობით აღჭურვილია იგი. სიტყვის ძლიერება და როლი განსაკუთრებით მჟღავნდება სპეციალური ფსიქოთერაპიული მეთოდების (შთაგონება სიფხიზლეში და ჰიპნოზურ მდგომარეობაში, რაციონალური ფსიქოთერაპია დიუბუას მიხედვით და სხვ.) გამოყენებისას უმაღლესი ნერვული მოქმედების ფუნქციური აშლილობის მკურნალობის დროს. სიტყვის ფსიქოთერაპიული გავლენის ობიექტური შეფასება უკანასკნელ პერიოდამდე მიუწვდომელი იყო. ეს ხარვეზი მნიშვნელოვნად შეავსო კ. ი. პლატონოვმა ნახევარსაუკუნოვანი სისტემატური დაკვირვებებით, რაც შეჯამებულად გადმოცემულია მის კაპიტალურ მონოგრაფიაში სიტყვის ფიზიოლოგიური და სამკურნალო მნიშვნელობის შესახებ.[1]

ფსიქოთერაპია დადებითი გავლენისაა ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებების შემთხვევებშიც და ორგანული დაავადებების დროსაც, როგორც მკურნალობის დამხმარე საშუალება.

კ. ი. პლატონოვის ნაშრომთა მიხედვით, სიტყვა როგორც ძლიერი სამკურნალო ფაქტორი, პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ქერქული პროცესების ხასიათზე და დინამიკაზე. ეს პათოლოგიური პროცესის ლიკვიდაციისა და ავადმყოფის ორგანიზმში არსებული შინაგანი რესურსების მობილიზაციის პირდაპირი გზაა. ავტორმა განსაკუთრებით დიდი შეფასება მისცა და ფსიქოთერაპიულ მეთოდთა შორის მთავარი ადგილი მიაკუთვნა სიტყვიერ ფსიქოთერაპიას.

ზოგჯერ ექიმის უტაქტო და მოუფიქრებელ სიტყვას უარყოფითი გავლენა აქვს და საფუძვლად უდევს ე. წ. იატროგენურ დაავადებას.

იატროგენური დაავადება გამოწვეულია მედიცინის მუშაკის უტაქტო ქცევით ან გაუფრთხილებელი ლაპარაკით, რამაც ავადმყოფის ფსიქიკაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შესაბამისად, სიტყვა ისეთივე გამღიზიანებელია, როგორც სხვა გამღიზიანებელი. კ. მ. ბიკოვისა და მისი სკოლის მიერ შინაგან ორგანოთა და თავის ტვინის ქერქის დამოკიდებულების შესახებ ჩატარებულმა გამოკვლევებმა და სიტყვის, როგორც ფიზიოლოგიური და სამკურნალო ფაქტორის შესახებ კ. მ. პლატონოვის დამაჯერებელმა მონაცემებმა მოგვცა იმის მტკიცე დასაბუთება, რომ იატროგენური დაავადებების საფუძველია უმაღლესი ნერვული მოქმედების პირობითრეფლექსური გენეზის პათოდინამიკური ცვლილებები.[1]

იატროგენურ დაავადებათა პროფილაქტიკა სამედიცინო სამსახურის კულტურის ამაღლებაა სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის ყოველ ეტაპზე, მედიცინის მუშაკის პროფესიული ვალდებულებების შესრულების წესების ზუსტი დაცვაა, ავადმყოფისადმი ჰუმანური მიდგომაა დიაგნოზის დასმიდან მკურნალობის ბოლომდე.

ექიმის უპირველესი მოვალეობაა ზიანი არ მიაყენოს ავადმყოფს, გამოიჩინოს ხაჭირო ტაქტი, არ გახდეს იატროგენური დაავადების მიზეზი და ყოველთვის ერიდოს თავისი სახელისა და ღირსების შემლახველ მარცხს. ამის მიღწევა შესაძლებელია საექიმო დეონტოლოგიის პრინციპების დაცვით.[2]

სავსებით უნდა დავეთანხმოთ პროფ ი. მენთეშაშვილს, რომელიც გამოჩენილ ექიმთა ბრწყინვალე თერაპიულ შედეგებს ხსნის „პირველ რიგში ხელოვნებამდე აყვანილი დიაგნოსტიკური უნარით, რაც მათ საზოგადოებაში უქმნიდა დიდ ავტორიტეტს, ამავე დროს, ისინი მოქმედებდნენ აგრეთვე თავისი სიტყვიერი ზეგავლენით, რომელსაც მრავალ დაავადებათა დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს“.[3]

მეტად მნიშვნელოვანია სიტყვის ძალა. ის

---

[1] К. И. Платонов, Слово как физиологический и лечебный фактор, М., 1962, с. 9.

---

[1] Н. В. Иванов, Ятрогенные заболевания, бм. э. 1964, том. 35, с. 12-15.

[2] საექიმო დეონტოლოგია წარმოადგენს საექიმო ეთიკის საერთო პრობლემის ნაწილს და მოიცავს სამკურნალო-დაცვითი რეჟიმის განხორციელების საკითხებს. საექიმო დეონტოლოგიის პრინციპების დაცვა ნიშნავს სამედიცინო პერსონალის ქცევის ნორმების ზუსტ შესრულებას.

[3] ი. მენთეშაშვილი. ფსიქოთერაპია, თბილისი, 1958, გვ. 5.

ალაფრთოვანებს ან დაამწუხრებს ადამიანს. სიტყვა ენერგიას შემატებს და იმედს მისცემს ავადმყოფს ან დააუძლურებს და იმედს დაუკარგავს მას. უკიდეგანოა სიტყვის ძალა. ექიმი ოსტატურად უნდა სარგებლობდეს ადამიანის ამ შეუდარებელი ძლევამოსილი იარაღით.

ჩვენ მოწამენი ვართ, რომ ექიმებს უსაყვედურებენ, საჯაროდ აკრიტიკებენ, ზოგჯერ მათს მოქმედებაში დანაშაულს ხედავენ და დასჯას მოითხოვენ. დიახ, არის ასეთი შემთხვევებიც; ექიმი ჩაიდენს რა დანაშაულს, ის, ცხადია, დაისჯება საბჭოთა კანონის ძალით. უფრო ხშირია ეთიკური ხასიათის დარღვევები, რაც მრავალი მიზეზის შედეგია. ასეთი მიზეზებია: ექიმის დაბალი კვალიფიკაცია, ამორალობა, ავადმყოფისადმი უყურადღებობა, გულცივობა, უსულგულობა, ირონია, აბუჩად აგდება და მრავალი სხვა.

ექიმების მიმართ საყვედურები უძველესი ხანის ლიტერატურაშიც არის ასახული. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ბერძენ პოეტს ლუკილიის მოჰყავს ეპიგრამა ექიმ მარკზე:

> ზევსის ქვის ქანდაკს შეეხო გუშინ ექიმი
> მარკი;
> ზევსი ქვის იყო, და მაინც მოკვდა,
> დამარხეს იგი.

მე-14 საუკუნის იტალიელი პოეტი პეტრარკა თავგამოდებით ებრძოდა იმდროინდელ ექიმთა კორპორაციას. მე-17 საუკუნის ფრანგი მწერალი მოლიერი თავის კომედიებში სასტიკად ამათრახებდა ექიმებს. არც ჩვენი ქვეყნის რევოლუციამდელ ლიტერატურაშია იშვიათი ასეთი შემთხვევები".[1]

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება მხატვრული ლიტერატურიდან, სადაც ექიმს აბუჩად იგდებენ, დასცინიან ან კომედიურ სიტუაციის მოქმედ პირად გამოჰყავთ.

ჩვენს ძველ წინაპარ ექიმებზე ასეთ უარყოფით შეხედულებებს არსებითი გავლენა არ მოუხდენია და ისინი შეუცვლელად აგრძელებდნენ მუშაობას სამედიცინო მეცნიერების განვითარებისა და ხალხის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

მხატვრულ ლიტერატურაში ექიმის უარყოფითი ტიპის შექმნა, ან სამედიცინო სამსახურის კომედიური სიტუაციების აღწერა საბჭოთა ექიმმა პირად შეურაცხყოფად არ უნდა ჩათვალოს, არამედ აღმოფხვრას მსგავსი თვისებები, ხოლო ამავე თემაზე ჟურნალისტური ხასიათის კრიტიკა კი დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის უნდა გამოიყენოს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში მრავლად მოიპოვება ექიმის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მეტად თბილი და აღმაფრთოვანებელი ნაწარმოებები და ცალკეული ეპიზოდები.

მხატვრულ და პუბლიცისტურ ლიტერატურას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია სამედიცინო სამსახურის წინსვლისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით. საექიმო შეცდომის აღიარება, მისი ღრმა, მეცნიერული ანალიზი და საჭირო დასკვნის გამოტანა კი აუცილებელი და სასარგებლო საქმეა.

მედიცინის მუშაკის ეთიკური ხასიათის შეცდომები საერთო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, ეს შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს, უღირს და გამოუსწორებელ ექიმს კი არ უნდა ედგომებოდეს ექიმთა საზოგადოებაში.

უღირსთა საპასუხოდ მაღალ დონეზე უნდა ავიტანოთ ხალხის კეთილდღეობისათვის, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზრუნვა.

## ექიმი კომუნიზმის მშენებელთა რიგებში

საბჭოთა წყობილებამ დააწესა ექიმისათვის სრულიად ახალი ნორმები, გამომდინარე იქიდან, რომ აღარ არსებობს ექიმების პროფესიული კარჩაკეტილობა; ექიმი კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილე და საბჭოთა საზოგადოების განუყრელი წევრია, ის ემსახურება საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დიდსა და პასუხსაგებ საქმეს.

საბჭოთა ქვეყანაში დიდი ხანია განხორციელებულია უფასო მკურნალობა, კერძო პრაქტიკა არსებითად დაგმობილია, მისი ლიკვიდაციისათვის კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა, პოლიკლინიკური და სტაციონარული ქსელის მუშაობის ხარისხი და უნდა მივაღწიოთ სამედიცინო სამსახურის მაღალ დონეს.

რუსთავის მეტალურგებმა წამოაყენეს დებულება — „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია". „არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით". ამ თაოსნობას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ქართველი მედიკოსები, რის შედეგადაც მიღებულია მიმართვა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკისადმი, აღებულია მნიშვნელოვანი სოციალისტური ვალდებულებები.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე მთავარი სამმართველოს მეორე პოლიკლინიკის თანამშრომელთა საერთო კრებამ განიხილა რუსთაველთა თაოსნობა და მიიღო სათანადო დადგენილება — მიმართვა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკისადმი, სადაც ვკითხულობთ: „რეს-

---

1 გ. ს. პონდოევი. ექიმის ჩანაწერები, თბილისი, 1961, გვ. 115.

პუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, მედიცინის თვითეული მუშაკი მოვალენი არიან საქმისადმი თავიანთი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ხელი შეუწყონ ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულების მაღალპროფესიულ მუშაობას. მთელი ჩვენი საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს იმ დისპროპორციის ლიკვიდაციას, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაშია მედიცინის მუშაკთა რაოდენობის და სამედიცინო მომსახურების ხარისხის თანაფარდობაში. შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ექიმის ქცევის ნორმებისა და ექიმის ეთიკის ყოველგვარ დარღვევებს, ავადმყოფებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას, მშრომელთა სამედიცინო მომსახურებაში ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებს".[1]

რუსთაველთა თაოსნობა და მასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება მედიცინის თვითეული მუშაკის სადღეისო საბრძოლო ამოცანაა.

სკკპ ოცდამეხუთე ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია ხარისხისათვის ბრძოლა სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ყველა დარგში. აქედან გამომდინარეობს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების იდეა. ამ დავალების შესრულებისათვის აუცილებელია სამედიცინო ეთიკის ყველა მოთხოვნილებათა მაღალხარისხოვანი შესრულება.

1 გაზეთი „კომუნისტი", № 203, 1976 წლის 27 აგვისტო.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შემჩნეულ ნაკლოვანებისა, სამედიცინო ხასიათის შეცდომებისა და მათი გამოსწორების საკითხებზე მრავალჯერ იმსჯელეს პარტიულ კონფერენციებზე და მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებებზე. მრავალი კრიტიკული წერილი დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ ფართო მასშტაბის მუშაობა ჩაატარეს უკანასკნელ წლებში არსებული ნეგატიური მოვლენების სალიკვიდაციოდ, მათ შორის მოსახლეობის დაცვის სამსახურის გაუმჯობესებისათვის, ექიმის ავტორიტეტის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, რამაც თავისი დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ ნაკლოვანებები კიდევ საკმაოა.

მედიცინის ულირსი მუშაკების შესახებ მსჯელობა პირველადს პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში, სამედიცინო საზოგადოებებისა და საჭიროების შესაბამისად — პრესაში უნდა გაიმართოს. ამასთან განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ცალკეული შემთხვევების განზოგადების მიმართ. ულირს ექიმს არ უნდა ედგომებოდეს საექიმო საზოგადოებაში, ხოლო ღირსეულს უნდა შევუნარჩუნოთ დამსახურებული ავტორიტეტი.

მედიცინის ყველა მუშაკი უნდა იყოს ექიმის კეთილშობილური პროფესიის უნაკლო წარმომადგენელი, უნდა მოიპოვოს, შეინარჩუნოს და გაუფრთხილდეს ექიმის ავტორიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მაღრაძე

# გულითა მართლით

ამ პატარა წერილს იმის პრეტენზია არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას მემკვიდრეობა შეაფასოს. ამას ჩვენსა და სხვაზე უფრო დრო-ჟამი მოახერხებს. გამოჩენილი მწერლის წიგნები რუსულ და მრავალ ევროპულ ენებზეა თარგმნილი, ასე რომ კონსტანტინე გამსახურდიას დედამიწის ყოველ კუთხეში ჰყავს მკითხველიცა და მსაჯულიც. ამ დიდი ეპიკოსის მემკვიდრეობა თემატურადაც სათანადოდ იქნება დაფასებული და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისითაც. გამკითხველთაგან არც მისი შარავანდით მოსილი გმირების ლაშქარი იქნება დავიწყებული და არც მათი ბრწყინვალებით მოციაგე დიალოგები...

მე მარტო ისა ვთქვი, რაც მე ძალმედვა მეთქვა. უნდა მეთქვა კი იმის გამო, რომ ამ ბუმბერაზი მწერლის გვერდით დრო-ჟამის არცთუ მცირე მონაკვეთი გამიტარებია. იქნებ სხვებმაც იცოდნენ ის, რის თაობაზეც მინდა მკითხველებს გავესაუბრო, მაგრამ იქნებ მეხსიერებას აღარ შემორჩეს განაგონი და ერთხელ აღქმული ამბავი. ამიტომ გადავწყვიტე ამ პატარა წერილში მომეყარა თავი აუცილებელი სათქმელისათვის. ეტრატს განდობილი მოსაზრებების დასტურის დასაცემად ხშირად მივმართავ თვითონ კონსტანტინე გამსახურდიას ნაწერთა ციტაციას...

* * *

ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის მამამთავარს კონსტანტინე გამსახურდიას არც თანამედროვეთაგან დაჰკლებია სიყვარული და თაყვანისცემა, მაგრამ მწერლის შემოქმედებაში დანთებულ ღვთაებრივ ცეცხლს, წვისას რომ საკმეველივით მძაფრ სურნელს გამოსცემს და ჩირაღდანივით მოგიზგიზე ნათლის შუქით ანთია, მომავალი უფრო მეტად გონების თვალით შეხედავს, ეროვნულ სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანილ მადლსა და ცოდვას აუწონის, და ღირსეულ მამულიშვილთა შორის „ქართველი კაცის ნათელსა და მხურვალე გულში მიუჩენს კუთვნილ საპატიო ადგილს“.

კონსტანტინე გამსახურდიას სალოცავი კერპი სამშობლოში იყო. ის გახლდათ სამშობლოს მარადიული სულის მეტრფე, თვითონ მისი „თანამდევი უკვდავი სული“, მისი ოდინდელი დიდების მეჩანგე ორფეოსი, ოპიზართა დარად იგავმიუწვდომელი, იდუმალი ჩუქურთმის მჭრელი, ქართული სიტყვის მადლის ზეცის თავანამდე ამტყორცნი, კიდით-კიდე გამაჭირითებელი, საქართველოს განმადიდებელი და წარმომჩენი. ქართულ მიწაზე თვითონ უსაზმნოდ შეყვარებულმა ქართველი შეაყვარა თავისი წარსული, აწმყო და მომავალი. ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის მერმე მან აიღო ხელთ ქართველთა სისხლით ნაფერი მეწამული ალამი და სიკვდილის დღემდე არ გაუგდია იგი.

მეოცე საუკუნის საქართველოს ორი ზეკაცი ჰყავდა: ერთი მეცნიერების მაღალ კვარცხლბეკზე იდგა, მეორე კი ქართული მხატვრული სიტყვის მეუფე გახლდათ. ძნელი სათქმელია რომელი უკეთ გამოხატავდა დღევანდელ საქართველოს. ხელთ ორივეს კალამი ეპყრა და ქართულ სიტყვას ხელმარჯვედა და შემართებით იხმარდნენ. თუ ივანე ჯავახიშვილი საქართველოსა და მეზობელი ხალხების ისტორიულ ფოლიანტებში ეძიებდა სიმართლის ხმას, კონსტანტინე გამსახურდია იმ ისტორიულ წარსულს თავისი დაუცხრომელი გენიის წყალობით ხორცსასხამდა და ასხივოსნებდა. მეცნიე-

რმა შექმნა დრო-ჟამისაგან დაურღვეველი, მტკიცედ ნაშენი დიდებული ტაძარი, მწერალმა იგი მოასურათხატა, მარადიული სული შთაბერა, ხორცი შეასხა და აამეტყველა. ერთმა ამოხსნა სამარხთა საიდუმლო, მიწაში და ქვაში დაუნჯებული სიმართლე და ძველთა-ძველ ფოლიანტებში მიმობნეული ნათქვამ-ნააზრევი აღადგინა და გადმოგვიშალა, მეორემ აამეტყველა ჩვენი წინაპრები და თავისი ცხოველი ფანტაზიით შექმნილ გმირთ სული შთაბერა. მის შემოქმედებაში აშკარად ჩანს წარსულზე გულგასენილი კაცის პირქუში სევდა და მომავლის იმედის ბრწყინვა-ციალი.

იგი იყო ევროპულად განათლებული კაცი და პიროვნების თავისუფლების დიდი ტრფიალი. იგი არასოდეს არ დამცირებულა ისე, რომ ვინმეს მოჯამაგირედ ქცეულიყო. საკუთარი ღირსებით აღსავსემ განვლო საწუთროს ბჭენი. ამაყად. გოროზად, თავაწეულად ვიდოდა. არა სამანზე არ შეყოყმანებულა. ერთხელ არჩეულ გზას მიჰყვებოდა და ისე ჩაწვა მარადიულ სამყოფელში, რომ სირცხვილი წამისადაც არ უჭამია.

შეგონებები, ბრძნული სენტენციები, კეთილი რჩევა, გონივრული დარიგება უყვარდა. ჭეშმარიტი რაინდივით მოკრძალებული გახლდათ, მაგრამ სათქმელს პირდაპირ დაურიდებლად ახლიდა ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო.

კონსტანტინე გამსახურდია იყო გასაოცრად გაბედული ადამიანი, რის გამო ბევრი უსიამოვნება შეხვედრია მაგრამ არ გაღუნულა და არც გამტყდარა. იგი მხატვრული სიტყვით ებრძოდა პიროვნების ხელისუფლებას წარსულში, აწმყოში და მომავალში. კონსტანტინე არსაკიძის სახით შექმნა კიდეც მხატვრული ხატი განწირული ხელოვანისა გიორგი პირველის ტირანულ სახელმწიფოში. იმხანად ეს მეტად სარისკო, გაბედული და თავგანწირული ნაბიჯი გახლდათ, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ამბავი იყო, რომ კონსტანტინე გამსახურდია ყოველ გმირთა საკუთარი „მეს“ შინაარსსა სდებდა. და თუ ლაზ კონსტანტინე არსაკიძეს თვითონ კონსტანტინე გამსახურდიას შორეულ ლანდად მიიჩნევდნენ, მაშინ გაშიფრული იქნებოდა იმ ადამიანის ხატებაც, ვისაც იმდროინდელი მსოფლიო სუნთქვაშეკრული, სულგანაბული, დაძაბული უსმენდა და მონუსხულივით შესცქეროდა, ვისი სიტყვა და საქმე შიშის ზარსა ჰგვრიდა განურჩევლად ყველას და მაღალი ძაბვის ელექტროდენივით მუხტავდა ორსავე ნახევარსფეროს, პიროვნებისა, ვინც მსოფლიოს მეორე საოცრებად იყო ქცეული.

ამის თაობაზე უნდა გავიხსენო: გვიანი შემოდგომა იყო, მაგრამ მშვენიერი მზიანი დარი იდგა. სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში ბატონ კონსტანტინეს შევხვდი, რომელსაც თან ორი მშვენიერი, ლურჯთვალა და ქერათმიანი ლამაზმანი ახლდა. როცა ის ქალები ტაძრის შიგა მოხატულობის დასათვალიერებლად წაიყვანა ბატონ კონსტანტინესთან ერთად მყოფმა მისმა განუყრელმა მეგობარმა, სახელგანთქმულმა დასტაქარმა პლატონ შუშანიამ, ბატონი კონსტანტინე და მე გარეთ დავრჩით. ტაძრის ეზოში სწორედ იმ მხარეს ვსეირნობდით, საითაც სვეტიცხოვლის მშენებელი ხუროთმოძღვრის მარჯვენაა ქვაზე ამოკვეთილი. ცოტა შეთამამებული გახლდით, რის უფლებასაც თვითონ მაძლევდა და ბატონ კონსტანტინეს მაშინ შევბედე: ლეგენდის მიხედვით ტაძრის კედელზე ხომ არსაკიძის მარჯვენაა ამოკვეთილი და არა მოკვეთილი მარჯვენა დასჯილი არსაკიძისა, ვინც ეს ხელთუქმნელი ძეგლი ააგო. თქვენს რომანში კი ლეგენდა...

„ჰო, აგრეა, შემაწყვეტინა საუბარი, მაგრამ იდეა, რაიც საფუძვლად უდევს რომანს, მაგ ლეგენდის მიხედვით ვერ გამოიხატებოდა. ჩემი სურვილი და წადილი იყო მართალი სიტყვა მეთქვა განწირული ხელოვნის ბედზე გიორგი მეფის ტირანულ სახელმწიფოში. ლეგენდას რომ მივყოლოდი, მაშინ არსაკიძისა და გიორგი პირველის ქებანი და აპოლოგია უნდა დამეწერა“.

მაშინ ერთხელ კიდევ გამახსენდა ბრძნული ქართული ანდაზა, რომ კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა. გამახსენდა, რომ ისტორიული რომანი ყველაზე თანადროული შეიძლება იყოს თავისი შინაარსითა და შთანაფიქრი იდეით, მწერლის თანამედროვე სინამდვილის ჭეშმარიტი ამსახველი ნამდვილი სარკე გარემომცველი სამყაროისა. ხოლო მწერლის ხორცშესხმული იდეა და სულჩადგმული ამბავი კი მკითხველს უნდა გამოადგეს სულიერ საზრდოდ.

კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: მე შეგნებულად ავირჩიეო გიორგი პირველის დროინდელი საქართველო და სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის ამბავი — რომანის ფაბულად“.

„ევროპის მწერლობისა და მხატვრობის ისტორიას თვალი რომ გადავავლოთ, ნამდვილი ხელოვნება არასოდეს ყოფილა მხოლოდ აწმყოთი განსაზღვრული. დანტე, და-ვინჩი, რაფაელი, შექსპირი და გოეტე ხან ბიბლიურ მოტივებს ამუშავებდნენ, ხან ანტიურ თემებს. მაგრამ მათი შემოქმედებითი მიზანი იყო არა პოპულარიზირება წარსულისა, არამედ შეფარვული, პარაბოლური ენით გამოჩინება მათივე თანადროულობისა, მათივე ეპოქისა...

პლუტარქეს, პოლიბიუსის და ჰოლინშედის ნათხრობთ მივყევართ წარსულში, ხოლო შექსპირს, ფლობერს და ტოლსტოის წარსული მოჰყავთ ჩვენთან და, ტლანქად რომ ვთქვათ, ისინი ახდენენ წარსულის გადმოსახლებას აწმყოში“.

კონსტანტინე გამსახურდია თვითონ იყო დიდი შემოქმედი და კარგად უწყოდა: ყოველი მწერალი საკუთარ სისხლსა და სულს უდგამს თავის გმირებს.

„ისტორიის მასალის პოეტიზირებას მხოლოდ მაშინ აქვს თანადროულობისათვის რეზონი, როცა თვით აღებული ეპოქა, ან მისი გმირნი და მათი ხასიათი ეკორესპონდირება თანადროულობის იდეებს“.

უყვარდა თქმა: მწერლის ქმნილება პირწავარდნილი ტყუპია მისი პიროვნებისაო“ და მის მიერ სულჩადგმული გმირები: სავარსამიძე, არსაკიძე, ემხვარი, ფარსმან სპარსი დიდ სულიერ ნათესაობას მაინც ამჟღავნებენ, თუ იგივეობას არა კონსტანტინე გამსახურდიასთან.

ასე რომ, კონსტანტინე არსაკიძის მხატვრული სახე ჯერ კიდევ იმ დროს შეიქმნა და მაშინ გამოიკვეთა, როცა კრინტიც არ იყო დაძრული კულტის თაობაზე და უხვად იკმეოდა გუნდრუკი და იდგა მირონის ლარტაფის გამაბრუებელი ტკბილ-მწარე სურნელი.

სწორედ ამიტომ გვეჩვენება ახლა, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ ყველაფერი ბედის სასწორზე შეაგდო მაშინ, რადგან ის შემართება და გაბედულება შეიძლებოდა ავად და შავად დასრულებულიყო არა მარტო მწერლის, არამედ მისი ოჯახისა და ქვეყნისათვის.

მას მორწმუნესავით სწამდა და სჯეროდა ბედისწერისა. ამის თაობაზე ამბობდა: „ბედისწერაა არა ის, რაც ადამიანს შეემთხვევა, არამედ იგია ბედისწერა, რასაც ადამიანი საკუთარ სულში ატარებს თავათ“.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ არც კოჭლი იაკობის მრისხანე ღმერთთან შერკინებაა შემთხვევით აღწერილი ამბავი.

ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა — თვითონ სიტყვაც კი როგორღაც პირქუშადა და ბნელით მოცულად მეჩვენება. თითქოს სიტყვასაც კი თან რაღაც იდუმალი შავი ჩრდილი ახლავს. მაგ სიტყვას იქნებ გემოცა აქვს, მე იგი ტკბილ-მწარე მგონია. ფერიც უნდა ჰქონდეს, შავ-შავი ფერი. მაგ სიტყვის გახსენებაზე დამთრგუნველი სევდა მეუფლება, თვალწინ მუდამ დილეგი და მეციხოვნენი წარმომიდგება ხოლმე, ბნელი ფიქრები აღმეძვრის გაუხარელი, მოღუშული ადამიანები მელანდება, ცუდი გუნება-განწყობა მეუფლება და ყოველივე ავადა და შავად მეჩვენება, — თქვა ერთხელ.

იგი ამაყი იყო და ქედუხრელი, თავისმიერ შექმნილ გმირთა ნამდვილი ასლი; ხატი ჭეშმარიტ მამულიშვილთა, ვისმა თავდადებამა და მსხვერპლმა შეუნარჩუნა ქართველთ საკუთარი ენა, თვითარსებობა და მიწაწყალი.

ივერთ ქვეყანას კი საუკუნეთა მრუმე სიღრმეებში ყოვლის მტვრად და ფერფლად მქცევმა გრიგალებმა გადაუარეს. ბევრი ტოტებნაყარი, შტოგანფენილი და ფესვებგაბარჯღული მუხა, მაინც მყარად იდგა ღვთივკურთხეულ მამულში, თუმცა იმ გრიგალების უწყალო ქროლვამ მრავალთა სიცოცხლე შეიწირა. ღია ჭრილობებიდან არღავანისფრად წითლად დიოდა და იქცეოდა მამულიშვილთა სისხლი. იყო ცრემლთა დენა, ტუეპა და ტირილი, მოთქმა და სისხლის ცრემლთა ფრქვევა. მშობლიური ქვეყნისათვის დაღვრილი სისხლი და დანთხეული ცრემლნი აცისკროვნებდნენ ჩვენს წარსულსა და იქიდან დღევანდელობასაც. იმ ბნელშიც ვჭვრეტ ნათელს, სიხარულით მევსებაო გული და ესაათ ჩემი ცხოვრების ბედნიერი წამი, ასეთი იყო მისი შინაგანი მონოლოგი.

ყველამ კარგად უწყის, რომ კონსტანტინე გამსახურდიას უპირველესი სალოცავი კერპი სამშობლო იყო. მას საკუთარი ქვეყნის ხატი ესვენა გულზე და დაუცხრომლად შეჰფოფინებდა. თვითონ სამშობლოს ტრფიალი, ერისმთავარი და ქომაგი, დიდი მამულიშვილი გახლდათ და სხვებსაც სიტყვითა თუ კალმით ამ გრძნობას უნერგავდა. ამ საქმეზე იყო გადაგებული პირადი ცხოვრებითა თუ შემოქმედებით. მისი აზრი, გრძნობა და ფიქრი თავგადაკლული მიჯნურივით ერთ საგნს დასტრიალებდა: ქართველი ხალხის სვე, მისი წარსული, აწმყო და მომავალი იყო მისთვის ყველაფრის საზომი ერთეული, მისი ქცევის modus agendi (მოქმედების სახეობა) და modus vivendi (ცხოვრების ხასიათი) როგორც თავად უყვარდა თქმა. იგი ნიადაგ იმის ცდაში იყო, რომ თავისი ძალუმი სიტყვით თვისტომთათვისაც გაეცხოველებინა სამშობლოს სიყვარული, მათი თანაგრძნობა მოეპოვებინა, ამ დიდ საქმეში თანამდგომნი ეშოვნა და მხარდამჭერნი მოემრავლებინა... ადამიანთა სულის იდუმალებით მოცული ლაბირინთების წვდომისა და სულის შინაგანი ნათების დიდოსტატმა, არა მარტო ქართველთ გაუღვივა ქვეყნის სიყვარული, სხვა ერის შვილნიც ჩააგდო გულისხმაში, ისინიც დააინტერესა საქართველოს ბედით, მათაც აღუძრა ქართველი ხალხის მიმართ თანაგრძნობა, რისი თვალნათლივი დადასტურებაა რუსულ ენაზე გამოცემულ მის თხზულებებზე დასტამბული თუ დაუსტამბავი ათასობით წერილი: საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი ტანკისტი ბორის სერგეევი, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ ოთხკარიანი რომანის მხოლოდ პირველი და მეორე წიგნი ჩავარდნია ხელთ, გულდაწყვეტილი წერს: „მსურს ვიცოდე, რით დამთავრდება მეფე დავითის ბრძოლა ლიპარიტ ორბელიანთან და მიაღწევს თუ არა მეფე დავითი თავის მიზანს, ესე იგი, შეძლებს თუ არა იგი შექმნას დაქუცმაცებული საერისთაოებისაგან ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო“.

ზაპოროჟიელი ინჟინერი სერგეი გონჩარენკო კონსტანტინე გამსახურდიას სახელზე გამო-

გზავნილ „ზარია ვოსტოკაში" (1967 წ. 23 XI) გამოქვეყნებულ წერილში ასეთ შეფასებას აძლევს დიდი მწერლის ღვაწლს:

Глубокоуважаемый Константин Семенович!

Везде Вас читают и любят.

Больше всего я люблю Вашу грандиозную историческую эпопею — о великом грузинском царе Давиде Строителе. Я хочу Вам сказать правду без лести — этой книгой Вы сделали честь Вашему народу.

Я должен Вам сказать, что такого грандиозного исторического полотна, как «Давид Строитель» мы не имеем — ни русские, ни украинцы.

И Россия тоже ждет подобного Вам писателя. Есть, правда, «Петр Первый» Алексея Толстого, но он не закончен. Согласитесь, что такой необыкновенный человек, как Петр, подобного которому не было в истории ни одного народа, должен иметь своего Гамсахурдия.

Вы заставили своих читателей преклониться перед доблестью, героизмом и самопожертвованием Ваших соотечественников давней исторической эпохи, окинуть взором длинный и тяжелый путь исторической борьбы грузинского народа за свое существование, оценить тяжесть полученных ударов мощных врагов, взвесить потери...».

კონსტანტინე გამსახურდიას ენით უთქმელი სევდით მოწალული გული ჰქონდა, მაგრამ უყვარდა ყველა, თავისიანიცა და უცხო თესლიც, იცოდა პიროვნების პატივისცემის ფასი. ყველას თავაზითა და კრძალვით ექცეოდა. რაინდივით ზრდილი და მორიდებული გახლდათ. თვით უკიდურესი მრისხანების ჟამს მოწინააღმდეგისათვის მოზომილი და აწონილ-დაწონილი სიტყვის თქმას ამჯობინებდა, რათა შერიგებისას წასაყვედრებელი არა ჰქონოდა რა.

არ ვიცი მე მეჩვენებოდა თუ სინამდვილეში იყო ასე, ყოველ შემთხვევაში, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მასთან ახლო მყოფი ბევრი ადამიანი ჯანღონით სავსეა, სალსალამათად გრძნობს თავს (ღმერთმა ყველა დიდხანს კარგად ამყოფოს) და თუ ჭეშმარიტებას გადავუხვიე, შემისწორონ: კონსტანტინე გამსახურდია რაღაც იდუმალი სევდით შეპყრობილ ადამიანად მესახებოდა მუდამ. ის იშვიათად იცინოდა, მაშინაც კი, როცა ოჯახური ბედნიერების ვარსკვლავი მის მაღლა ძალიან ნათლად კაშკაშებდა. ის იდუმალი კაეშანი თითქოს განუშორებლად, მარად და ყველგან თანსდევდა, თუმცა მის სახეს, ერთსადაიმავე დროს, სხივოსანი ნიჭის დამადასტურებელი ბეჭედიც ზედ ეკრა. დიახ, ინტელექტუალური სახე, რომლიდანაც შეუვალობა, უტეხი ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე გამოსჭვიოდა, ნიადაგ დარდიანი, ნაღვლის ჩრდილით აღბეჭდილი და მჭმუნვარედ გამომზირალი ჰქონდა. გულგასენილი კაცის ის მეტყველი სახე სამუდამოდ ჩარჩა ჩემს გულში და უნდა გამოვტყდე, რომ გოლგოთას მიმავალი მწუხარე სახის განკაცებული ქრისტე სწორედ ისეთად მყავს წარმოდგენილი, როგორიც ბატონი კონსტანტინე იყო.

მე ხშირად მინახავს იგი თავისი კოლხური კოშკის დიდ სამუშაო დარბაზში ბუხართან ზურგშექცევით მჯდომი. უზარმაზარ მაგიდაზე დახვავებული იყო ფოლიანტები და ხელნაწერები. ვეებერთელა ოთახი სავსე იყო სურათებითა და წიგნებით. იქვე ეკიდა, თუ იდგა, ვერასოდეს ვერ გავსინჯე, უშველებელი, მოტიკტიკე ძვირფასი საათი.

საათზე გამახსენდა. ერთხელ მითხრა, ქართველებმა დროის ყადრი ჭეშმარიტად არ ვიცითო. კაცს მოსაწვევ ბარათს აახლებენ, სახელმწიფურ დიდ ღონისძიებაზე, ან ვინმე გამოჩენილი გვამის საიუბილეო საღამოზე მიიწვევენ, ის — კი, დაიგვიანებს, დარბაზში დანაშაულზე წასწრებულ და მხილებულ ბალღივით შეიძურწება და არის დიდ სირცხვილში. ერთი პირი, იქნებ წამოწითლდეს კიდეც ჭარხალივით, მაგრამ ის წამოწითლება მეყსულად გაუვლის, მერმე წინა რიგში, სხვებზე უფრო წინ ჩაჯდება, თითქოს დროულად მოსულთა გამოსაჯავრებლად სჩადიოდეს ასეთ უმსგავსო საქციელს. თქვი ახლა, ვარგა ეგ რამედ? კიდევ უარესი! კაცს დააფასებ, ოჯახში სადილად მოიწვევ, ის კი ვახშმად გეახლება. რა არის ეს ქაბუკო, წრეგადასული თავნებობა, ზრდილობის არ ქონა, თუ თავის აგდება? დროის ფასი გერმანელებმა იციან. ჩვენ ქართველებს ამ მხრივ ბევრი რამის სწავლა გვმართებს მათგან.

* * *

„მე მგონია: ქრისტე არავითარი ღმერთი არ ყოფილა ალბათ, იგი უბრალო მეიგავე ებრაელი იყო. მის დროს სხვებიც ამბობდნენ იგავებს, მაგრამ ზოგს არ გამოუდიოდა. მერმე ის იყო ცუდი მეიგავეები ამბოხდნენ და ისე მოაწყვეს, რომ იესოს იგავების გამოთქმა შეაწყვეტინეს. ამგვარმა ცუდმა მეიგავეებმა მომიშხამეს სიცოცხლე და შემოქმედების ისედაც მძიმე ტვირთი გამიათკეცეს. ამ ამბებმა დიდი მწუხარება შემახვედრა. მაგრამ მტრებიც ხაჭირო ყოფილან თურმე. მწუხარებამაც ბევრჯერ ამაღებინა ხელში კალამი".

* * *

კონსტანტინე გამსახურდია აცხადებდა, რომ ქვეშეცნეულად წერდა, მეტწილად ხათაურიდან გამომდინარე. ხელნაწერების გადაწერა, მანქანაზე გადაბეჭდილისა და ანაწყობის სწორება და შემოწმება დიდ სიხარულს მგვრისო — ამბობდა. სამხედრო პირი მინდოდა გამოვსულიყავი და ძალიან ვწუხვარ, მწერლობა რომ

პროფესიად გადამექცაო; — წერდა. როგორც კარგ მეომარს იარაღი უყვარს და მოვლილი და სუფთად შენახული აქვს, ისე ჰქონდა შენახული რამდენიმე ავტოკალამი. თუ ვინმე, თუნდაც ხელმოსაწერად სთხოვდა ავტოკალამს, დიდის დანანებით ათხოვებდა, მაგრამ უკან აღარ გამოართმევდა. თოფი, ხმალი, ცხენი და საერთოდ საჭურველი, მეომარს ძველ საქართველოში თავისი საკუთარი ჰქონდაო. იტყოდა ხოლმე. უყვარდა სტამბაში სიარული და ასოთამწყობებთან გამოსაუბრება. სასვენ ნიშნებს უშეცდომოდ იხმარდა, თუმცა ეჭავრებოდა, და მათი გაუქმების მოსურნე იყო. ეს დიდ დროს ართმევს ადამიანს, ძველ საქართველოში არც ხმარობდნენ და მაინც კარგადაც წერდნენო. თარგმნიდა, მაგრამ ეს საქმე მწერლისათვის თვითმკვლელობად მიაჩნდა. თარგმნისას უამრავი ახალი სიტყვა იხარჯება და ჯანი იშრიტებაო, — წერდა. მწერლობას სატანური ნებისყოფა სჭირია, კალამსა და ჭკუას მწერალმა ძალა არ უნდა დაატანოსო, — შეაგონებდა ახალგაზრდობას. ამაყობდა: „სინამდვილისაგან მაქვს აღებული ჩემი შემოქმედების პოეტური ანდაზა. არც ერთი ლანდშაფტი, არც ერთი ტიპი, არც ერთი სახე, მხოლოდ ფანტაზიით არ მომიგონია. პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მიწიერების ნელსურნელება არ გადაჰკრავს, მხოლოდ ესაა: ქვესკნელში ჯერაც არ ვყოფილვარ, მაგრამ სავარსამიძის ჯოჯოხეთად ჩასვლა მაინც აღვწერე და გამონაკლისი ეს გახლავთო. ეს ერთგვარი თავმდაბლური განცხადება იყო კონსტანტინე გამსახურდიასი, რადგან მწერლები, რომელნიც ანეგდოტებსა და ნამდვილად მომხდარ ამბებს ეპოტინებიან, რეპორტიორებად დაბადებულად მიაჩნდა. მათ აკლიათ ის, რაც ჭეშმარიტ მწერალს რეპორტიორიდან განასხვავებს, სახელდობრ ფანტაზიაო, — წერდა.

მუშაობაში ხელს მიშლიდაო უმეცარი სულმოკლეობა და მეშურნეთა სისინი. შემოქმედება უდიდესი ბედნიერებაა და იმავე დროს უდიდესი სიმძიმილის მომგვრელი. რომანის წერის პროცესში შემოქმედს პერმანენტული აღტყინების გადატანა უხდებაო და ხანგრძლივი ჭვრეტის პროცესში ცხოვრების ამბები მირაჟებად გვეჩვენებიანო. ენერგიის უდიდესი დაძაბვაა საჭიროო, ზმანებული, ხილული, ნანახი და განაგონი რომ არსებულ, ხელშესახებ და დინამიურ სამყაროდ აქციო. იქმენ! — უბრძანო არ ყოფილსა და არარსებულს, ადექ და იარეთ, რომ შესძახო ლანდს და სული ჩაუდგა მას.

თავისთავად ყოველი ადამიანი მშვენივრად და იოლად გრძნობს, ოცნებობს და ფიქრობს, მაგრამ ნაგრძნობის, ნაოცნებარის და ზმანებულის ფიქსირებას სატანური ნებისყოფა სჭირია და ეს მოითხოვს საშინელ ბრძოლას ენის ინსტრუმენტთანო, — წერდა იგი.

მიაჩნდა, რომ დღევანდელი ლიტერატურა უფრო ეპიკური ჟანრებისაკენ იხრება. რომანის, ლექსის, დრამისა, კომედიისა და ნოველის სამშობლოდ აღმოსავლეთს სთვლიდა.

არაბებს, ირანელებს, იაპონელებს და ჩინელებს ევროპელებზე ადრე ჰქონდათო ეს ჟანრები, მაგრამ როგორც დრამამ, ისე ნოველამ და რომანმა თავის კლასიკური, ფორმასრული სახე ევროპაში შეიძინესო, სთვლიდა.

„პროზა და სახელმწიფო ერთად წარმოიშვნენო, — წერდა იგი — ამიტომაც არც აზიასა და არც ევროპაში არც ერთ ერს, რომელსაც დიდი სახელმწიფური ტრადიციები არა ჰქონია წარსულში, მყარი, ფეოდალური და ეკლესიური ინსტიტუტები ვისაც არ გააჩნდა, იმ ხალხებს პროზა არა ჰქონიათ“.

მწერლებს ორ კატეგორიად ჰყოფდა: ერთნი, რომელნიც თავათ არიან გამცდელნი, გადამტანნი და დამკვირვებელნი მიწიერი ჯოჯოხეთის სიმწრისა და სიამისა. ამიტომაც ასხია ხელფეხი მის სიტყვას და ეგ სიტყვა შუბივით გმირავს ხოლმე კაცთა გულებს. მეორენი, სხვათა წიგნების, სხვათა განცდების, სხვათა დაკვირვებათა ნასუფრალით იკვებებიან, ამიტომაც მათი სიტყვაც უმეტესად ფუღუროა.

ხელოვნების პროფესიონალიზირებას საერთოდ არა სთვლიდა დიდ ბედნიერებად. „ჩვენს საუკუნეში ზოგზოგი პროფესიული მწერალი ფრიად მოგვაგონებს იმ დროის კაცს, რომელიც დაუზოგავად სწველის ხოლმე თავის მჭლე თხას, ხშირად არასაკმარისად გამოკვებილს“ — წერდა იგი.

არცერთი ქვეყნის ისტორია არ მიაჩნდა ზუსტ (ექზაქტურ, როგორც თვითონ უყვარდა თქმა) მეცნიერებად. ყოველ ნაციონალურ ისტორიაში ხდებაო შეკეთება და ფერუმარილის წამატება. ისტორიული მასალა შემოქმედის ხელში მუდამ განიცდისო ძალდატანებას. ამის გარეშე ავტორს ეკარგებაო უფლება გამოგონებისა.

მხატვრულ ლიტერატურაში ეროტიული ამბების თხრობა სრულიად დასაშვებად და ბუნებრივ ამბად მიაჩნდა.

„ნამდვილი მწერლობა არაოდეს არ ყოფილა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის“ მოწაფეთათვის დაწერილი ქრესტომატია. ამოიღეთ პლატონის, ჰომეროსის, საფოს, პროვანსალური პოეზიის შედევრებიდან ეროტიკული ადგილები და ხელში შეგრჩებათ მშრალი რიგორიზმი...

„ხელოვნებისათვის ყოველივე საყურადღებოა, რაც ბუნებრივია. ადამიანის ფიზიოლოგია ისევე ღირსია ჩვენი ასახვისა, როგორც მისი ფსიქოლოგია“.

... მართალია, მე მიყვარდა უტრირება

ადამიანის ბიოლოგიისა, მაგრამ ეს დეკადენტობას როდი მოასწავებს, არამედ პირიქით, ჯანსაღ ადამიანურ ვნებათა ძალმოსილების აპოლოგიას“.

ვისაც ოდესმე მისი შემოქმედებისა და პიროვნების წინააღმდეგ მიუმართავს სიტყვა, მეტი რა ჩარა ჰქონდა, თავის დასაცავად მათ თვითონაც ებრძოდა. როცა გაიმარჯვა და არაერთგზისი ტრიუმფი გადაიხადა, დამარცხებულთა მიმართ ლმობიერი და დამთმობი შეიქმნა. შანდორ პეტეფივით არ წაუმადლებია კრიტიკოსთათვის „სტომაქი მწერლების ცოდნის ნასუფრალით ამოყორილი გაქვთო“. კონსტანტინე გამსახურდიამ ყველას მიუტევა შეცოდებანი და დიდსულოვნად განაცხადა: „ჩვენებებს ისეთი ადამიანებისას, რომელთაც მე ამა თუ იმ შემთხვევაში კომპეტენტურად არ ვთვლიდი, არ ვკითხულობდი, რადგანაც დროის დაკარგვას და სამუშაო გუნების გაფუჭებას ვერიდებოდი. საერთოდ, მე მადლობელი ვარ ისეთი კრიტიკოსების მიმართ, რომელნიც პრინციპული პოზიციებიდან მებრძოდნენ და არც მათ ვემდური, რომელნიც რაიმე მიზეზით ჩემს მიმართ გაავებულნი თავს მესხმოდნენ ხოლმე, რადგან როგორც პირველნი, ისე მეორენი აღვივებდნენ ჩემში შემოქმედებითს ენერგიას და ამ გზით მაიძულებდნენ უფრო მეტი და, ასე თუ ისე, უკეთ მემუშავნა.

სძაგდა უოველგვარი ძალმომრეობა. სვეტიცხოვლის ეზოში ორი მოჩხუბარი ყმაწვილი მრისხანე შეძახილით დააზავა. მერმე უფრო მოსულსა და ჯანიანს მკლავში ხელი წაავლო, ჯერ დატუქსა და მერე მამაშვილურად დამოძღვრა: ტოლსა და ფარდს რომ წააქცევ, ზევიდან აღარ უნდა დაჰკრა, უნდა ფეხზე წამოაყენო, თუ რაინდული სული გაქვს, ამით უფრო გამოამჟღავნებ. წაქცეული და დაბორკილი ადამიანის ცემა რა კაცობაა, თავისუფლება ბუნებისგან ბოძებული ნიჭია და არავის არ უნდა დაუკარგოო.

იმ საღამოს საუბარი დიდ ილიაზე ჩამოვარდა. ყველა დროის ქართველ მოღვაწეთა შორის უდიდესი სახელმწიფური გონების პატრონი კაცი იყოვო — თქვა. „ერთხელ ჩემმა ლიტერატურულმა მტრებმა და ავისმოსურნეთ ტყუილუბრალოდ მომაკერეს ბრალდება, თითქოს ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობა არა მწამდეს. სიყალბე, თავიანთი გამოგონილი ამბავი მე მომაწერეს, ჩვენს კლასიკოსთა მტრის სარლიყის მიწებება უნდოდათ და მეტი არაფერი. ერთს გეტყვი, ივანე ჩემი მეგობარი რომ იყო, ის არა მრჯის ამის სათქმელად, შენ კარგად იცი მე ასეთ ამბებში დაუნდობელი ვარ, ივანე ჯავახიშვილი იყო ილიას მემკვიდრე. მისგან უდიდესი რუდუნებით გასრულებული ქართველი ერის ისტორია დიდი საგანძურია ჩვენი, რას არ ამოიკითხავს იქ ადამიანი. ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი გონებრივი შემართების კაცი, უაღრესად დიდი მეცნიერი და უებრო მამულიშვილი. ილიას შემდეგ ასეთი მაღალი, ვეებერთელა სულიერი ჰორიზონტის, მასშტაბურობით აღვსილი გონითი ნაღვაწი არავის დაუტოვებია ერისათვის. მას ილიასავით სწამდა საქართველოს ოდინდელი დიდება და მცირერიცხოვანი ხალხების დიდი მომავალი. აკი აღსრულდათ კიდეც წინასწარმეტყველება, ბოლო ხანს რამდენმა პატარა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა აფრიკაში. აზია რამდენჯერმე დიდია ევროპაზე, ცივილიზაციის აკვანიც აზიაში დაირწა, მაგრამ ევროპამ მაინც დასჯაბნა იგი, თუმცა აზიის უფრო ადრეულ მიღწევათა უგულებელყოფაც არ ეგების, — თქვა ესა და იბნ-სინას, ევროპაში ავიცენად ცნობილი დასტაქრის საქმენი საკვირველნი გაიხსენა, სახელი იმ დროის არაბი ექიმისა როცა სამყაროში ცხენი ითვლებოდა გადაადგილების უსწრაფეს საშუალებად და მაინც ავიცენას სახელი სამშობლო ქალაქ ბუხარიდან ევროპაში განითქვაო, — დასძინა. მერმე არაბულ კულტურას გადასწვდა და სთქვა: სალაჰ-ადდინი ჩვენში რომ სალადინადაა მონათლული, ვისთანაც თამარ მეფეს მიწერ-მოწერა ჰქონია, ერთი მხრივ ჯვაროსანთა ომების წინააღმდეგ არაბთა გაერთიანებული ლაშქრის ბრძოლებს მეთაურობდა, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყანაში აღმშენებლობით მუშაობის ჭაპანს ეწეოდა, ბალღთათვის სკოლებსა და ხანაგებს აშენებდა, ხოლო სნეულთათვის ქსენონთ აგებდა. მერმე ის იყო ცენტრალურმა აზიამ კიდევ თქვა თავისი შავბნელი სიტყვა. მანამდე იქიდან სკვითები. ჰუნები, თათრები, თურქ-სელჯუკები იყვნენ დაძრულნი და მათმა ცხენებმა გადათქერეს ევროპა, ამას მოჰყვნენ მონღოლები, რომლებსაც სათავეში ედგათ გამოჩენილი ბრძენი სარდალი ჩინგის-ხანი. მონღოლები შავი ღრუბლებივით შემოადგნენ მთელს ევროპას. მათი დამარცხება ხომ თითქმის ვერავინ შესძლო. არაბი და ირანელი ისტორიკოსებისათვის ჩინგის-ხანი. ურჩხულადა და ღვთისაგან მოვლენილ უბედურებადაა მონათლული, თითქოს მანამდე თვითონ მათგან არ ყოფილიყოს აწიოკებული ჩვენი ქვეყანა და სხვა კულტურული ხალხები. არაბები, ირანელები და თურქ-სელჯუკები რელიგიის საკითხებში პირწავარდნილი ფანატიკოსები იყვნენ და ყველა დაპყრობილი ხალხის ისლამის სჯულზე მოქცევას იზრახავდნენ. ჩინგის-ხანი კი რელიგიის ამბებში სრულ შემწყნარებლობას იჩენდა. მისი რელიგია „მარადიული ლურჯი ცის“ თაყვანისცემა, შამანიზმი იყო. ალბათ წერა-კითხვა რომ ბავშვობიდანვე ესწავლა, დიდი სარდლის მაგიერ, მთელ სამყაროში ცნობილი პოეტი გახდებოდა, ისე უყვარდა ლურჯი მოკამკამე ფე-

რი და მძიმე წუთებში ზეცასთან ჰქონდა ხოლმე გამართული იდუმალი თათბირი. ლურჯი ფერის ასეთი სიყვარულის გამო, მგონია რომანტიკოს პოეტთა პაპის პაპა ჩინგის-ხანი უნდა იყოს, ალბათ შეჭირვების ჟამს ცასთან გამართული საუბრისას ისიც ასე ამბობდა: „ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეულიო“. საქმეში ჩაუხედავი ხალხი დიდ საყვედურებს გამოთქვამს ხოლმე ჩვენი ლაშა გიორგის მიმართ, მონღოლთა შემოსევას ვერ გაუმკლავდაო. აბა, ერთი მითხრან, სხვა ვინ გაუმკლავდა მათ შემართებულ ბრძოლასა და შეტევას. მთელს იმდროინდელ მსოფლიოში ვერ მოიძებნა მათი ღირსეული მეტოქე. მონღოლები, ვიდრე ქვეყანას შეესეოდნენ, ჯერ ინფორმაციას კრებდნენ დასაპყრობად ანიუებული ქვეყნის წინაალმდეგ. გულდასმით სწავლობდნენ იმ ქვეყნებისა და ხალხთა შინაური განხეთქილებების ისტორიას, და მათი მსტოვრები ძმათა მკვლელი ომებისაკენ უბიძგებდნენ სავარაუდო მოსასვრელი ქვეყნების ხალხებს. მათ დაიპყრეს და დაიმონეს ჩინეთი, დაამხეს ხვარაზმელთა დიდი სამეფო, მიწასთან გაასწორეს სამარყანდი, ბაღდადი, შეესივნენ და დაიმონეს რუსეთი, პოლონეთი და რომელი ერთი ჩამოვთვალო. დასავლეთ აზიაში შავი, უკუნი ღამე ჩამოდგა... ბაღდადის დაცემით, რაც 1254 წელს მოხდა, მოისპო აბასიდთა ხალიფატიც. ეს ამბავი იმით არის შესანიშნავი, რომ ეს იყო დასავლეთ აზიაში არაბული ცივილიზაციის დასასრული. თუმცა იბერიის ნახევარკუნძულზე, შორეულ გრენადაში არაბულ ტრადიციებს ჯერ კიდევ ედგათ სული და კარგა ორ საუკუნეს კიდევ იბოგინეს. არაბებს ამის შემდეგ თვალსაჩინო როლი აღარც უთამაშნიათ მსოფლიო ისტორიაში. მერმე ის იყო, ოტომანთა იმპერიამ შეიერთა დასაწყლებული არაბობა და მისი მიწა-წყალი. აგერ, ჩვენს თვალწინ, დააღწია თავი, ასე თუ ისე, არაბობამ თურქ-ოსმანთა სალოცავ ნახევარმთვარეს. ასე რომ აზია და ევროპა დაპირისპირებული ბანაკი იყო და მე მგონი ჯერ ისევ ისე დარჩა.

* * *

ერთხელ, საუბარი მშვენიერებით ადამიანის სულის ამაღლებას და ტკბობას შეეხო.

— არ ვიცი, ადამიანის გულს, თვალსა, თუ სულს, რომელს უფრო ესაჭიროება ამ ქვეყნად სილამაზე, მე ვიტყოდი — მოუხელთებელი მშვენიერება, რადგან ყოველი ადამიანი ვერ გახდება მშვენიერებასთან წილნაყარი. ლამაზ ქალს ყველა ვერ დაეუფლება — ისევე, როგორც ლამაზი ფრაზის დაწერა ყველას არ ძალუძს და ვერ ხელეწიფება. ეს ნამდვილად თავსატეხი და გადაუჭრელი საკითხია. მე მაინც მგონია, რომ გონებაც სილამაზისა და მშვენიერებისაკენ მიილტვის, გულსაც ახარებს იგი, მზერასაც იტაცებს სილამაზე და სულსაც ატკბობს.

მე მუდამ იმას ვესწრაფოდი ,დიდი შინაარსით დატვირთული, გარნა მხატვრულად სრულფასოვანი, ფრთიანი და დახვეწილი ფრაზა შემექმნა და ისე მიმეტანა მკითხველამდე.

და მართლაც ჩქერალივით იფრქვევა მისი სიტყვა მშობელი ქვეყნის ბუნების სურათთა გადმოცემისას. ვისაც წაუკითხავს, არ შეიძლება დაივიწყოს ენგურისაგან მთვარის მოტაცებისა და შავჩოხიანი ცხედრის მღვრიე ტალღებში ჩათრევის ამაღელვებელი სურათი. თვალთაგან ცრემლი, იმ ამბების კითხვისას, არა მარტო ქალთა თვალებზე იელვებს. ყველა შეიძვრის, ვისაც აცრილი არა აქვს ინდეფერენტიზმი, ვისთვისაც არაა სულ ერთი, სადაა მისი ქვეყანა, სად წვანან მისი წინაპარნი, რას შეეწირნენ ისინი, რა ენაზე მეტყველებს მისი მშობელი და შვილი და ბოლოს და ბოლოს თვითონ ვისთანაა?

გულს მიხარებდა მშვენიერება და სილამაზე ჩვენი მომჯადოებელი ბუნებისა და ტყიურთა. ვიყავი და ვარ ნამდვილი ტრფიალი ნადირობისა. ჩემი კოლხური კოშკის შემოგარენში ნიადაგ მყვანან იადონები, შვლის ნუკრები, მწევარმეძებრები და ნაგაზი ძაღლი.

სულის დამატკბობ ნეტარებას მგვრიდა მუდამ ჩვენი განუმეორებელი საგალობლების სულში ჩამწვდომი ღვთაებრივი ჰანგები, ჩვენი „მრავალჟამიერი“, „შენ ხარ ვენახი“, ჩვენი „ოდოია“, „სისატურა“ და რომელი ერთი ჩამოვთვალო.

მაგრამ, როგორც მწერალს, გონების ხმა მიქცეული მაქვს, თვალს მტაცებს და დიდ აღმაფრენას მგვრის, ბუნების ყველაზე უმშვენიერესი ქმნილება — ადამიანი, მამრიცა და მდედრიც. განსაკუთრებით ჩემზე ქალის სილამაზე მოქმედებს. უნდა გამოვტყდე და გითხრა გრძნეულ ხელოვანთა მარმარილოსაგან ნაქანდაკარ და სახელგანთქმულ ფერწერის ოსტატთა კალმით ნახატ ულამაზეს, უკვდავ არსებათ, მე უბრალო მომაკვდავი ტურფა ასულნი მერჩივნა და ახლაც იმათ ვამჯობინებ, თუმცა მუზეუმებშიც ხშირად დავმტკბარვარ ხელოვნების უნიკალური შედევრთა ხილვითა და ჭვრეტით, მიყვარს ბარათაშვილის პოეზია, თუმცა არა მწამს თითქოს: „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების და ვით ყვავილი თავის დროზე ადრე დასჭკნების“. სილამაზეა მარადიული აღფრთოვანების და აღტყინების, ზეშთაგონებისა და შეფრფინვის, აღმაფრენისა და ცად ასვლის სურვილის ფრთების შემსხმელი, ამისი დავიწყება არ ეგების და ამას ხორცი იწვევს, თუ სული, ჯერაც არავის დაუდგენია ქვეყნად. ალბათ ჩემი ხნისა იქნება მხატვრობაში ის მიმდინარეობა, რომელიც ადამიანის

სილამაზისაგან განრიდებას ცდილობს. ქადაგება იმისა, რომ ადამიანი განერიდოს და განეკრძალოს სილამაზეს, წართმევაა ყველაფრისა კაცთათვის. ეგაა განიარაღება კაცთა მოდგმისა, მათი სულიერი გაღარიბების, დამცრობის, დაკნინების, დამდაბლების და ადამიანში ღვთაებრივის ჩაკვლის მოსურნეთა წადილი.

მწერლობასა და ხელოვნებაში ხელმოცარულთ უყვართ აყალ-მაყალის გამოწვევა, უცნაური ქცევით ყურადღების მიპყრობა; ეს ყველაზე იოლი გზაა დროებითი წარმატების მისაღწევად. ამ გზაზე ვიდოდნენ ფუტურისტები, თუმცა ამაზე მერმე მოვისაუბროთ... მათი გულისთქმა, ლტოლვა, მიდრეკილება, წყურვილი და მისწრაფება ადვილი მისახვედრია. მათ სურთ კინკლაობით, ჩხუბითა და აყალ-მაყალით მიაღწიონ საწადელს, აალაპარაკონ ხალხი, ჭეშმარიტ მწერალს და ნამდვილ შემოქმედს ფერმწერალი იქნება იგი, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი, თუ ქედურობის ოსტატი, ექსცესები არა სჭირდება, ჩხუბი და აყალ-მაყალი შეუფერებელია ჭეშმარიტი შემოქმედისათვის. ჩემი დაჭერა ერთ ჩია მილიციელს შეუძლია, მაგრამ მორევა და დათრგუნვა ნურას უკაცრავად! რატომ? მწერალი ხალხის გულის მესაიდუმლეა, კაცთა აშკარა, თუ შეფარვით ნაგრძნობ-ნაფიქრალის სააშკარაოზე გამომტანი, მათი სანუკვარი აზრების ლამაზად და ხატოვნად მთქმელი. ხატოვნად მთქმელთ და სახეებით მოაზროვნეთ ეძახიან მწერლებს, დიახ, ესაა ის, რასაც ყანა ეთქმის და ყანაში ეგულებათ კაცი პური ასობისა. ამავე ყანაშია სარეველაც, მაგრამ იგი არავის მიუჩნევია კაცთა დამაპურებლად. სარეველას დრომდე იმიტომაც ითმენენ კაცნი, რომ ყანაშია შერეული, თორემ იმ აჩოყილ შამბს გამრჯე ადამიანი იმწამსვე ცელსა და ნამგალს მიუმარჯვებდა. დიახ, კიდევაც იმ ყანას უნდა უმადლოს სარეველამ თავისი გუდაფშუტური ყელყელაობა.

სილამაზისა და მშვენიერების სავანედ ძველ ხალხს საბერძნეთი მიაჩნდა. განათლებული ევროპა და მსოფლიო ცივილიზაცია დიდად არის დავალებული ძველ ბერძენთაგან. ჩვენ აღტაცებაში მოვყევართ ძველი საბერძნეთის შემოქმედთა ჩვენამდე მოღწეულ უნიკალურ ნამუშევრებს. ჩვენ გვაოცებს ელინთა ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშები. ძველი ელადის მკვიდრნი აღმერთებდნენ ყოველივე მშვენიერს. არისტენეტის „სასიყვარულო წერილები“ და ევმათიოს მაკრემვოლიტის „ისმინიის და ისმენეს“ ამბავი სილამაზის, სიყვარულისა და მშვენიერების ჰიმნია ამ ქვეყნად. ძველ ელინთა მიერ ქვაში გამოკვეთილი ქანდაკებანი, ხელოვნების უნიკალურ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნებიან. ძველი ბერძნები აღმერთებდნენ ადამიანებს, ჰქმნიდნენ შესანიშნავ მითებს ღმერთთა და კაცთა მოდგმის ურთიერთკავშირზე, აადამიანურებდნენ ღმერთებს და ხშირად ჩვეულებრივ მოკვდავ ქალებს, ყოვლისშემძლე ღმერთთა მოსასვენებელ კარვად სახავდნენ. თავის მხრივ ღმერთქალებიც ეტანებოდნენ და ეტრფოდნენ მშვენიერ, მიწიერ ჭაბუკებს და მათთან იყოფდნენ ღვთაებრივ სარეცელს და მათგან ჰყავდათ ნაშიერები. მერმე ის იყო შუასაუკუნეთა ბნელეთმა ჩაჰკლა ადამიანებში ყოველგვარი ადამიანური. ათასი წელი მაინც იყო მეუფება ბნელეთისა. დაბოლოს, შეჭირვებული კაცობრიობა გამოფხიზლდა და იმ უკუნის გულის შემაღონებელ მარწუხთა მსხვრევას მიჰყო ხელი. კაცთა მოდგმამ, თითქოს სალათას ძილიდან გამოიღვიძა და შთაგონებისათვის მზერა, ისევ ძველ ელადას მიაპყრო. აღორძინების ხანის ქურუმთა და ქადაგთა აჯანყებულმა გონებამ ძველი ელადის გმირები გააცოცხლა. გამოცოცხლება იწყო სილამაზისა და მშვენიერების ჩამკვდარმა კულტმაც. ადამიანის განთავისუფლებული გონება ანტიკურობის სამოსელში ეხვევა, კვლავ სილამაზის თაყვანისცემას მოითხოვს, და მშვენიერების თავის უფლებებში აღდგენას ლამობს. იქიდან მოყოლებული, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ადამიანებს ძირს აღარ დაუხრიათ სილამაზისა და მშვენიერების ალამი.

ძველს ელადას რაკი შევეხეთ, ერთიც უნდა გითხრა.

მთელს განათლებულ ევროპას დღესაც მიაჩნია საბერძნეთი და რომი თავის სახელოვან წინაპრად, სხვა ყველაფერი მდარე და უკულტურო ხალხების ნაცოდვილარი და მონაჩმახიაო, — წერენ. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ამბავი ჯვაროსან რაინდთა და იმ დასავლელ პოლიტიკოსთა, ვინაც ისინი აღმოსავლეთისაკენ დასძრა. ჯვაროსანთა ომები 1096 წელს დაიწყო. გარეგნულად ეს იყო რელიგიური სჯულალმსარებლობის გამო ატეხილი დაუნდობელი ომი. საფენელი კი სრულიად სხვა ჰქონდა. ერთი შეფარული მიზეზი: გენუელ და ვენეციელ ვაჭართა წადილი, თურქთა მიერ აღმოსავლეთისაკენ გადაკეტილი სავაჭრო გზების გახსნისა; მეორე: რომის პაპის აშლილი მადის დაცხრომა. რა სისხლის ფასადაც არ უნდა დამჯდარიყო, რომის პაპების აშკარად გამოხატული სურვილი იყო, კვლავ თავის გავლენის ორბიტაში მოექციათ კონსტანტინეპოლი და ვატიკანისაგან განზე გამდგარი ბერძენთა მართლმადიდებლური ეკლესია. ცნობილია ფრაზა, რაც რომის პაპს მრისხანების ჟამს დასცდა: მირჩევნიაო აია სოფიის ტაძარი მეჩეთად გადაკეთებული ვიხილო და იქიდან მოლების ყივილი მესმოდეს, ვიდრე ურწმუნო ქრისტიანთა ლუღლუღიო. ასე რომ ქრისტეს საფლავის გასანთავისუფლებლად ატეხილი „წმინდა ომი“, სინამდვილეში

საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართული და აღმოსავლეთ რომის იმპერიის გულში დამიზნებული გამანადგურებელი ვერაგული განზრახვა და ომი იყო. ამის დასტურია ის ამბავი, რაც ჯვაროსანთა ლაშქრის მიერ კონსტანტინეპოლის აღებას მოჰყვა. ჯვაროსნებმა განდევნეს აღმოსავლეთი რომის იმპერიის ბერძენი იმპერატორი. შეჰქმნეს ლათინთა სამეფო და კონსტანტინეპოლში რომის კათოლიკური ეკლესია გააბატონეს. ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად მიმავალმა რაინდებმა ისე გაანადგურეს ქალაქი, ისე დაანგრიეს მისი შემოგარენი, ისე მოსრეს და მოასწორ-მოაშანდაკეს ყველაფერი, რომ ამის შემდეგ, ეს, ერთდროს ბრწყინვალე და კარგად გამაგრებული ქალაქი, წელში ვეღარ გასწორდა და თურქთა პირველი შეტევისთანავე დაეცა. ისე, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიას — ბერძენთა სამეფოს და მართლმადიდებელ ქრისტიანებს მახვილი გულში ჩასცეს თავისივე ძმებმა, რომის კათოლიკური ეკლესიის მრევლად აღიარებულმა ქრისტიანმა მოლაშქრეებმა, ვატიკანელი წმიდა მამების დახმარებით, წაქეზებითა და თანადგომით.

ქართველები ხომ ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ვიყავით განუყრელად დაკავშირებულნი. მათ კეისრებთან ხომ ხშირად ნათესაური კავშირ-ურთიერთობანი გვქონდა, თითქოს ჯაჭვით მიბმულნი მათზე, როგორც ქრისტიანებზე, და მე მჯერა, ამის მიზეზი უნდა იყოს სწორედ იმდროინდელ ქართველ პოლიტიკოსთაგან ჯვაროსანთა დასახმარებლად ჯარის არ გაგზავნაც. სხვაგვარად აუხსნელი, დაუჯერებელი უგულობა და უგუნურება იქნებოდა ისეთი ღვთისმოსავი და შორსმჭვრეტი პოლიტიკოსი მეფე-ქალისაგან, როგორიც თამარი იყო, ქრისტიან მოლაშქრეთათვის ხელის არ გამართვა. მაშინ, როცა თვითონ სალადინი ითხოვდა მისგან მიუმხრობლობისა და ჩაურევლობის გუჯარს ზურგის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად. არაბული წყაროებიდან ცნობილია, რომ ასეთი ბარათი თამარ მეფემ გასცა კიდეც. ზურგმომაგრებულმა სალადინმა ჯვაროსნებს კუდით ქვა ასროლინა. ბერძნებს თუ არ წაჰკიდებოდნენ რომაელნი, ქართველ ცხენოსანთა ხმლის ფხიანობას თავის კისერზე გამოსცდიდნენ სალადინის მოლაშქრენი და იქნებ როგორ შეტრიალდებოდა საწუთროს ჩარხი. „ჩვენ ბიზანტიელთა მოწაფენიც ვყოფილვართ და მათი მასწავლებლებიც გავმხდარვართ“.

საბერძნეთი ქართველთათვის დიდი კულტურის აკვანიც იყო და დამპყრობელი აგრესორიც. ჩვენ ბევრჯერ ვებრძოდით ბერძენ კეისრებს, მაგრამ ბევრ რამეს ვსწავლობდით ბერძენი ხალხისაგან. „საქართველო არა ჰგავდა იმ ნომადების სახელმწიფოებს, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ მეზობლებს, დაუცხრომელი აგრესიით ხელს უშლიდნენ სხვა ერების შემოქმედებას.

დასავლეთის მეისტორიეთა მიერ ჯერაც არაა საკმარისად შეფასებული, თუ რა დიდი ღვაწლი დასდო ამ ერმა ადამიანურ კულტურას. საერთოდ ჯეროვნად ვერაა შეფასებული ქართული მწერლობის, მხატვრობისა და აზროვნების როლი წინა აზიის კულტურათა ისტორიაში....

ზედმეტია იმის მოგონება, თუ რა განუსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპული, ქრისტიანული კულტურის დაცვისათვის იმ დიდსა და უსწორო ბრძოლებს, რომელნიც თავს გადახდა საქართველოს, სომხეთს, რუსეთს, პოლონეთსა და უკრაინას X-XI, XIV საუკუნეების მანძილზე“.

კონსტანტინე გამსახურდიას სწამდა და სჯეროდა: ტანჯვა, შემოქმედება, ძიება და ბრძოლა ოთხი უმთავრესი თავკიდური რომაა ადამიანური ყოფისა და მთელი მსოფლიოს არსობისა.

კონსტანტინე გამსახურდიამ შესძლო საუკუნეთა სიღრმეში შეჭრა და ჩვენი ცხოვრების ყიამეთ ღამეს ნათელი მოჰფინა. იმ ნათლის შარავანდმა და შუქის თინათინობამ თვალები ატკინა ყველას გასაოცარის ბრწყინვალებით, მტერსაც და მოყვარესაც, პირველთ: შურისა გამო, მეორეთ ძალითა სიყვარულისაითა. ხოლო „ძალა სიყვარულისაი დიდ არს, რამეთუ შეუძლებელსაც შესაძლებლად ჰყოფს“.

კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ ქმნილებათა ენა და სტილი იყო დიდი დავისა და შეხლა-შემოხლის საგანი მწერლის სიცოცხლეშივე. მაგრამ ახლა, ალბათ ვნებანი უკვე დამცხრალია, მაშინდელ მის მოწინააღმდეგეთ ხმალი ალბათ ჩაგებული აქვთ ქარქაშში, რადგან მწერლის ენამ სიკეთის მეტი არა მოუტანა რა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას. უწყლობისა და მოუვლელობის გამო რომ კარგი წალკოტი დასაღუპად გაიწირება, ფოთოლთ ჭკნობა შეეპარებათ, მებაღე გვიან, მაგრამ მაინც შენიშნავს მოახლოებულ უბედურებას, ისე იყო ქართული ენის საქმე კონსტანტინე გამსახურდიას გამოჩენისას სამწერლო ასპარეზზე. მან დროზე მიუმარჯვა წყალიცა და საკუთარი სისხლიც ამ დიდსა და საშვილიშვილო საქმეს, ნაშველი ჯარივით დროზე გამოჩნდა იგი ბრძოლის ველზე, ალესილი მახვილი იშიშვლა, ბრძოლაში გადაეშვა და ბრძოლის ბედი ქართული ენის სასარგებლოდ გადასწყვიტა. ახლაც და მერმეც ამ სარბიელზე ბევრი მსპარაზნობელი ივარჯიშებს, მაგრამ ენის თაობაზე გამართული დიდგორის ბრძოლა მოგებულია და იგი კონსტანტინე გამსახურდიამ მოიგო. ქართული ენის მესვეურთ მართებთ თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ იმას, რაც გვაქვს, ცუდ-უბრალო კამათით ნუღარ დაშვრებიან და მათაც

მრავალი აგური მიიტანონ ამ დიდი საქმის ბალავარში ჩასაყრელად. კონსტანტინე გამსახურდიამ მრავალი სიტყვა გამოსტაცა დავიწყების მდინარეს, მრავალი შეჰქმნა კიდეც, მრავალი ამოიღო ძველ სიტყვათა საგანძურიდან, დაფერა, ახალი სული ჩაუდგა, სისხლი გადაუსხა, ახალი სიცოცხლე მიანიჭა, ბევრი სიტყვა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოიტანა და დაამკვიდრა ენაში.

მე მწერლის კაცური კაცობის, ინტელექტუალური სიქველის, გონებრივი შემართების და დიდი გამბედაობის სიმბოლოდ ის მიმაჩნია, რომ იგი თავის გმირებს არ დასცინის, პირიქით, თანაუგრძნობს, ჭირსა და ლხინში მათთანაა, მათი თანამდგომია, მათი დაუმცხრალი ჭირისუფალი, გაჭირვების ჟამს მათი ქომაგი, მოსარჩლე და ერთგული დამცველი. მწერალს გული ეწურება სწორედ იმაზე, რომ ადამიანური ყოფა და ადამიანთა ურთიერთობანი არის ზედმეტად ტრაგიკული. ადამიანი თითქოს მარტოა წუთისოფელში, მიუსაფარი, ეული და უპატრონოდ შთენილი, ადამიანი თითქოს რწმენის განმტკიცების აჯას აღავლენს, შემწეობასა და შველას ივედრება, გამხნევებას ითხოვს, ხშირად მხარდაჭერის ნუკვა ამოსდის ბაგეთაგან, იხვეწება იმუდარება და იღლარჭება. რის გამო? მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სუსტია მარტოსული. ძალა კი ერთობაშია. საზოგადოებრივი ადამიანი ძლიერია, მაგრამ ეს ნუ დაგვავიწყდება და ჩვენი საზოგადოების პროდუქტი დღევანდელი ადამიანი გახლავთ და არა შორეული და ახლო წარსულისა! მაშ ამ სამოცი წლისა და უფრო შორეული ხანის ადამიანების ხატვისას რა ქნას მწერალმა. დიახაც, მწერალი თავის გმირებს მხარში უნდა ედგას. იგი თვითონ უნდა იყოს გმირული ეთოსით გამსჭვალული, რადგან „არასოდეს არცერთ მწერალს არ შესძლებია დაუვიწყარი გმირების დახატვა, თუ იგი თავათ არ ატარებდა თავის ბუნებაში გმირულ ეთოსს“, რადგანაც პოეზია და პროზა, ესაა საკუთარი სულის პრიზმაში გატარებული და ამ გზით გაშუქებული გარესამყარო“. მისი კალმის წინაშე თანაბარნი და ერთუფლებიანი იყვნენ უაზნონი და დიდებულნი, სასულიერონი და საერონი, მისი „დავით აღმაშენებელი„ და „დიდოსტატის მარჯვენა“, ესაა საქართველოს ისტორიის გაბმული, ერთიანი ელეგია. კონსტანტინე გამსახურდია გახლდათ მგზნებარე მემატიანე ჩვენი დიდი წარსულისა, ჟამთაღმწერელი, ვინც მხოლოდ ეროვნული სახმილის დამათრობელი სურნელით იწვოდა და არა მარტო იწვოდა და იფერფლებოდა ეროვნულ საკურთხეველთან, არამედ დიდი მსაჯულის მისიაც იკისრა და განაჩენი გამოჰქონდა ისტორიული მოვლენებისა და ამ სარბიელზე მოღვაწე გმირებისათვის. დიახ, იგი იყო არა მარტო მემატიანე-ჟამთაღმწერელი იგი ვნებიანი, გარნა მიუდგომელი მსაჯულიგანმკითხველი გახლდათ და ეს ყოველივე დიდ მორალისტობას, დიდაქტიკოსობასა და მქადაგებლობასთანაც იყო წილნაყარი.

უყვარდა თქმა: „ნიჭი და თავგამეტებული შრომა არა კმარა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იმ საზოგადოებაში, სადაც ცხოვრებას წარმართავს ერთი კაცის ნებასურვილი. სწორედ იმ ერთი ადამიანის კეთილ განწყობილების მოსაპოვებლად იწყება ასეთ დროს გვაროვნული არისტოკრატიის საკარო ინტრიგები, ენების სარსალი, მეჭორეთა ერთი დასის აღზევება, ყოველგვარ უკეთურ ადამიანურ ზნეთა გამოვლენა, ლიქნი, ხოტბა და გუნდრუკის კმევა, ერთგულების ფიცის დადება და გატეხვა. ისე რომ ბრძენმა კაცმა ასეთ დროს ხელი უნდა ჩაიქნიოს და განზე გადგეს. ასეთი საზოგადოების ლოზუნგია: „სიკვდილი უბედურსა და უძლურს“.

საოცარი ქვეყანაა საქართველო! იგი თანაბარი ფანატიზმით უყვარდათ მუდამ, როგორც თავის უკეთურ, ულირს შვილთ, ისე ღირსეულთ. საკუთარ მიწა-წყალზე იყვნენ ყველა ისინი ამირანივით მიჯაჭვულნი. ეს სიყვარული ძვირად უჯდებოდა ჩვენს ქვეყანასა და ხალხს. ამის მაგალითად მარტო კონდოტიერი გიორგი სააკაძის მაგალითიცა კმარა.

კონსტანტინე გამსახურდიამ თვითონ მიგვანიშნა ერთ საიდუმლოზე გერმანელ გენიოსზე შექმნილ წერილში: „მას არც კუპიდონისა და არც ბახუსისათვის დაუწყვეტია გული, მაგრამ არც თუ ლორდ ბაირონივით გადაჰყოლია ამ საქმეებს“. ევროპული განათლება ჰქონდა და ევროპელი დარჩა აღსასრულამდე. ყოველ ცისმარე დღე უნდა ემუშავნა და ელვაწნა. დრო ოქროაო რჩეული, — იტყოდა ხოლმე და თვითონ ყველაზე კარგად იცოდა დროის ფასი. არსად, არავისთან დიდხანს არ შეჰყვებოდა ლაპარაკს; „დამთავრდა აუდიენცია“, იტყოდა და გაეცლებოდა მოსაუბრეს ოთახიდან. იმ აუდიენციის დამნიშვნელიც თვითონ იყო და დამამთავრებელიც. იყო დიდად მუყაითი, „შრომაში უჯიათი“ და ყოველივე ეს შეხამებული იყო დიდ ნიჭთან.

„გენიოსობის მაჩვენებელთაგანია უთუოდ ენერგიის კოეფიციენტიც, ფანტაზიის ძალა და ერუდიცია, რომ არ დავივიწყოთ“. ამ სიტყვების ავტორს თვითონაც უსასრულო ფანტაზია გააჩნდა, ბევრი ევროპელი სახელგანთქმული მწერალი ვერ დაუდგებოდა გვერდით, და სიყვარულის ტახტზე ხომ სულ ახალ-ახალი ქალღმერთები ეჯდა.

გასაოცარი მეხსიერების პატრონი იყო და ყველას გასაგონად უნდა ვთქვათ, რომ მეხსიერება უკანასკნელი სულის დგმამდე ცინცხალი შემორჩა.

1978 წლის გვიანი შემოდგომა იდგა. კო-

ლხურ კოშკში ბატონ კონსტანტინეს სამუშაო დარბაზში, ბუხართან მხოლოდ ორნი ვისხედით. მასპინძლის ქალიშვილი ნათელა დრო და დრო შემოგვაკითხავდა ხოლმე, სანოვაგესა და ღვინოს მოგვიმატებდა და უმალ გაუჩინარდებოდა. ზღვისფერ მალაქიტით მოპირკეთებულ ბუხარში ცეცხლი ენთო. კოსტუმში გამოწყობილი მასპინძელი ზურგშექცევით იჯდა ბუხრისაკენ, გახამებულ საყელოიანი ქათქათა პერანგი ეცვა და მთელი საღამო ოდნავ არც კი გადახრილა საითმე, ქანდაკივით იჯდა. დგამზე გვერდზე გადაწოლას, იდაყვებით მაგიდაზე დაყრდნობას და სხვა მისთანანს, ბატონი კონსტანტინე ქართული სუფრის ადათ-წესების დარღვევად სთვლიდა და მიუტევებლად მიაჩნდა. იმ საღამოს ჩვეულებრივ თავის საყვარელ იზაბელას სვამდა, მე კი მანავისა და მუკუზნის ნაზავს მაძალებდა. ჩვენი გულახდილი საუბარი და შექცევა გვიან ღამემდე გაგრძელდა.

— საიდან მოიტანე ცნობა, რომ შამილი ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო შვილია? — ჩაძიებით მეკითხება ბატონი კონსტანტინე.

— ჯერ ერთი, ასეთი ხმები შამილის სიცოცხლეშივე დაირხა, მის ყურამდე მიაღწია და მის მხრივ ამას პროტესტი არ მოჰყოლია, ხოლო როცა დაისაჭიროვა, საქართველოს ტახტზე თავისი პრეტენზიები პოლიტიკური მიზნებისათვის, თვითონვე განაცხადა, — ვუპასუხე მე. მასპინძელი გაირინდა და კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია.

— ეგ რაა, — წამოვიწყე მე, — ახლახან პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ გამოაქვეყნა მეცნიერული ნაშრომი და ამტკიცებს, რომ ცნობილი გმირი თორღვაც. ალექსანდრე ბატონიშვილის ნაშიერი და ამდენად ბაგრატიონი ყოფილა. აქ საგულისხმო ის გახლავთ, რომ ბატონ კონსტანტინესთან საუბარში, თორღვას ნაცვლად, ზეზვა ვთქვი. მერმე ჩვენმა საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო, ქართული მწერლობის ათას წვრილმანს გადავწვდით და უცებ ბატონი კონსტანტინე მეუბნება:

— უზუსტობაში მოგახელთე ჰაბუკო, ზეზვა კი არა, თორღვა უნდა გეთქვა, თორღვა!

იმწამსვე ბოდიში მოვუხადე დაშვებული უზუსტობის გამო, რადგან კარგად მახსოვდა, რომ თორღვას ნაცვლად მართლაც ზეზვა ვთქვი. კვლავ ვიმეორებ, ბატონ კონსტანტინეს სხივოსანი ნიჭი და მეხსიერება ბოლომდე ცინცხალი და გაუხუნარი შემორჩა.

საკუთარ სვესა და შეჭირვებაზე ზოგიერთივით წუწუნი არ უყვარდა. ხვადი ლომივით ვაჟკაცურად ებრძოდა ენით უთქმელ სევდასა და მოწყლულ გულს. ერთ საღამოს კი უდროოდ დაღუპულთა: თანამეცხედრე ქალბატონ მირანდასა და ქალიშვილის თამრიკოს ბუხარის თავზე წამოდგმულ სურათებისაკენ შებრუნდა.

— ამათი დამკარგავი ცოცხალი როგორ ვარ, რა ფოლადის გული მქონიაო, — თქვა, თვალთაგან დადენილი ცრემლები ცხვირსახოცით უჩუმრად შეიმშრალა და კარგა ხანს ყუჩად იყო.

ცოტნე დადიანივით ბუნებრივი ზნეობითი კანონის ერთგული მიმდევარი და მტკიცე დამცველი კეთილს იქმოდა, თუნდაც ამისათვის ჯილდოს სანაცვლოდ მწუხარება და ტანჯვა მოემკო. იქმოდა სიკეთეს არა გამოსაჩინებლად, მავანთა და მავანთა საამოდ, თვალშისაცემად და თავმოსაწონებლად, არამედ შინაგანი, ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ავსა და ბოროტს მაშინაც ეკრძალვოდა და განერიდებოდა ხოლმე, როცა მისი ქმედება მზირთა თვალთვალისაგან მიღმა იყო, თუ გასტეხდა რამე, თორემ მისი გაღუნვა არ შეიძლებოდა.

ენაახსნილ მეჭორეთა გასაგონად უნდა განვაცხადო: ბევრჯერ ვყოფილვართ პურის საჭმელად ქალაქსა თუ გარეუბნებში, მარტონიცა და სხვებთან ერთადაც. აქედან სამგზის ვიშოვე დრო და გადანახარჯი უჩუმრად გადავიხადე. უნდა გენახათ რა ყოფა დააწია მაშინ ოფიციანტებს. ეს დარბაისელი, დინჯი, მუდამ თავშეკავებული კაცი, როგორ აღშფოთებული ლაპარაკობდა და ბოლოს გაცხარებული დაემუქრათ: რას ქვია დანახარჯი ფული ჩემზე უმცროსმა გადაიხადოს, მე ამას მამად ვერგები, ხვალ ჩოხა-ახალუხით გეახლებით და სატევრის ბრტყლად ცემით გავისილაქებთო. ოფიციანტებს ისღა დარჩენოდათ მისი შეუვალი ნებისათვის დაეთმოთ და ფული მისთვის გამოერთმიათ.

როგორც ყველა მცირერიცხოვან ერებს, ქართველებსაც ერთი უკურნებელი სენი ღრღნით. ყველამ უკლებლივ, განურჩევლად ყველამ, მის მიწაზე შობილმა და სისხლითა და ხორცით ქართველმა, გამონაკლისის გარეშე, ჯერ მის ფარგლებს გარეთ უნდა იშოვოს და გაითქვას სახელი და მერმე, მხოლოდ ამის მერმე, იწამებს თავის შვილს, პაწია სამშობლო. ამიტომაა ჩვენს ისტორიაში, ჩვენს მემატიანეთა ცნობებზე უფრო სხვა გვარ-გუჯაბის, მოდგმისა და ჯილაგის წარმომადგენელთა ცნობებს რომ ვეყრდნობით და ვემყარებით ხოლმე, უხვად ვიმოწმებთ და მათ ციტაციას მივმართავთ. არცერთ პაწია ქვეყანაში არ უყვართ იმ მამულიშვილთა განდიდება, ვისაც სახელი დიდ ქვეყნებში არა აქვს კიდით-კიდე განთქმული და გავარდნილი. გიორგი სააკაძეს რომ დიდი სარდლის მქუხარე სახელი ირანისა და თურქეთის მტრების შემუსვრაში არ ეშოვნა, ალბათ საქართველოს ისტორიაში ყუბასარსა და ეგარსლან ბაკურციხელზე წინ ვერ დადგებოდა.

კონსტანტინე გამსახურდიას უყვარდა თქმა: „როგორი ბედნიერებაცაა პატარა ერისათვის დიდი მწერალი, ისეთივე უბედურებაა დიდი მწერლისათვის პატარა ერის შვილობა“. დიახ, მას დიდი მწერლის ყველა საქანელა ხელთ ეპყრა, მაგრამ „სული მოეხუთა საქართველოს ეთნიურ ფარგლებში“.

ის „საუკუნეთა ცოდვების“ (მისი სიტყვებია) განწმენდისათვის ირჯებოდა. ამისათვის ჰქონდა გამართული ბრძოლა. მას ქვეყნის საქმე ასულდგმულებდა, მისთვის ეძახდა თავის თავს განდობილს, სამშობლოზე იყო უსაზმნოდ შეყვარებული.

ქვეყნისათვის ბრძოლაში კი იგი მკაცრიც იყო და დაუნდობელიც. მას კალამი ეპყრა ხელთ, მაგრამ ხმალზე უფრო ძლიერად უჭრიდა იგი. მას ქყონდიდელივით შეეძლო ეზიდა ბერული და საერო ცხოვრების დიდი ტვირთი, უდრეკი ქედით საქართველოსთვის კალო ელეწა, ურმის თავში შებმულს გაეწია ჭაპანი და ეროვნული ცხოვრების ურემი შინ მიეტანა. იგი გახლდათ ქართველი ერის დიდი სულიერი მოძღვარი, ქადაგი, დაუცხრომელი შემგონებელი დიდაქტიკოსი და სახალხო ტრიბუნი, თუმცა არაოდეს არ ცდილა ჩამოქვეითებულიყო ზოგიერთი მკითხველის გონებრივ და ზნეობრივ დონემდე, პირიქით ის ყველას თავისი სიმაღლისაკენ ეზიდებოდა...

არა მარტო მისი ვეებერთელა შემოქმედება, მისი ფიზიკური არსებობა ამქვეყნად აიძულებდა ადამიანებს არ აჰყოლოდნენ ცთუნების გზას და შეენარჩუნებინათ კაცური კაცობა, ამით კონსტანტინე გამსახურდიამ ბევრნი დაიხსნა კიდეც აშკარა მცდარი ნაბიჯისაგან. დიახ, სწორედ მისებრი ადამიანები ჰქმნიან ერის სულიერ კულტურას და ატრიალებენ ისტორიის ჩარხს, რადგან „თევზივით ცივსისხლიანთ ჭერაც არაფერი შეუქმნიათ ამ ქვეყნად“ და დაბალებით მუცელზე მხოხავნი ფრენას ვერ მოჰყვებიან.

კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი გულისტკივილით გამოიტანა სააშკარაოზე ამბავი, რაც თან მოჰყვა საქართველოს „სახელმწიფური ინსტიტუტის მოშლას“ = მან, ჭეშმარიტი მწერლის მახვილი თვალით დაინახა ქართველ დიდგვაროვანთა დეგრადირება და დაცემა, დაქვეითებამ იმ ადამიანებისა, ვინც საუკუნეების მანძილზე მეთაურობდა ქართველ ხალხს. ქართველი თავადაზნაურობა ხომ დიდმა ილიამ გაჰქირდა უსასტიკესი სარკაზმით. ამ წოდების უკანასკნელი მოჰიკანია დიდად განათლებული, მაგრამ მცონარა და მეოცნებე თარაშ ემხვარი. კონსტანტინე გამსახურდიამ ცალკერძ მწერლური ალღოთი და გუმანით და ცალკერძ ჭეშმარიტი მხატვრის თვალით დაინახა, რომ თავადაზნაურობამ თავისი დრო მოსჭამა, მისი ნაშიერნი ყოველმხრივ გადაგვარდნენ, ისინი ველარ გამოდგებოდნენ ახალ დროში ერის თავკაცებად, და სწორედ ამიტომ ისტორიასთან ერთად დაჯდა იგი მოსამართლის ტახტზე და თარაშ ემხვარს, თამარ შერვაშიძესა და მათ ნაშიერს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ნიშანდობლივია, რომ ჩოხოსანი თარაშ ემხვარი ენგურის მღვრიე ტალღებში ჩაინთქა, თამარ შერვაშიძე შვილოსნობას გადაჰყვა და მათი აშრეტილი თესლი კი, რაკი ეროვნულ ნიადაგზე ველარ გაიხარებდა, არც კი გაჩენილა ამ ქვეყნად. დიახ, ყოველივე ემხვარ შერვაშიძეთა გასაგისის სრული დაღუპვით დასრულდა. ეს გახლდათ არა მარტო ისტორიის ულმობელი განაჩენი, ეს მწერლის მკაცრი დასკვნაც იყო. კონსტანტინე გამსახურდიას დამსახურება კი სწორედ ისაა, რომ დაპირისპირებულთა ბრძოლაჭიდილი ცისარტყელის ფერთა ელვარებაში გვიჩვენა და ძველსა და ახალს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა.

კონსტანტინე გამსახურდია ყველგან და ყოველ დროს „შინ იყო“, ფილოსოფიაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ლიტერატურაზე, თუ რელიგიურ მოძღვრებებსა და მიმდინარეობებზე, მხატვრობაზე, ჭედურ ხელოვნებაზე თუ მეცნიერულ პრობლემებზე. იგი ყველა საკითხზე საუბრობდა დინჯად, დიდი ცოდნითა და ტაქტით.

კონსტანტინე გამსახურდიას ზიზღსა ჰგვრიდა ზეგავლენათა ხელოვნური გამოჩხრეკა და ამის თაობაზე აღშფოთებული წერდა: „ჭერ თეორიებს შეამზადებენ კრიტიკოსები და მერმე მწერალს გადააცვამენ თავზე, როგორც მექამანდენი ურა ცხენებს ლასოს“.

სხვადასხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო მწერლობას დროდადრო ეძალება და აწყდება ხოლმე სახაზინო უნიჭობა, რომელიც გამორჩევით მქმნელთა ნამუშაკევს თითქოს წალეკვას უქადის. კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლეში რამდენჯერმე შეიჭრა მღვრიე ტალღა წყაროსავით გამჭვირვალე ქართული პოეზიისა და პროზის თავანკარა სასუფეველი. ამდაგვარი საყმაწვილო სენი ყველა ქვეყნის მწერლობას აუცილებლად თანახდევს. აქ საშიში და საგანგაშო არაფერია, — სთქვა ერთხელ ამის თაობაზე. — ხომ გაგიგონია: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“.

კონსტანტინე გამსახურდიამ დაგვიტოვა უზარმაზარი მემკვიდრეობა. მისივე ენით თუ ვიტყვით წიგნები „სააქიმოი სულისა“. ყოველი ერის მწერლობას დაამშვენებდა მისი შემოქმედება. მან სიცოცხლეშივე აიგო ხელთუქმნელი ძეგლი. დიდების კვარცხლბეკზე შედგა და უკვდავებასთან წილნაყარი შეიქმნა. იგი შესაშური ბედისა გახლდათ მეხვაიშნეთათვის, რადგან სიცოცხლეშივე მოასწ-

რო „დიდების მწვერვალებისათვის თვალის შევლება და გასწორება“.

კონსტანტინე გამსახურდიამ მხატვრული სიტყვის მეოხებით დიდი ეროვნული ტაძარი ააგო. ზეცის თავანამდე აღმართულ იმ ტაძრის კედელზე მისი „ზეაპყრობილი მარჯვენაა“ ამოკვეთილი. კონსტანტინე გამსახურდიას აზრით ჩვენს მწერლობაში ქვაზე ამოსაკვეთი მარჯვენა ესხა ორ კაცს: სულხან-საბა ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეს. ჩემის ღრმა რწმენით, კონსტანტინე გამსახურდიას სწორედ მათი ტოლფარდი მარჯვენა ჰქონდა. ეს აზრი მით უფრო მტკიცე და სარწმუნოა , რადგან წინაპართა მიერ ჩამობმულ მწერლურ საქანელას სამანი და სასაზღვრო სვეტნი არ გააჩნდა.

კონსტანტინე გამსახურდია გახლდათ მწერლობის მაღალ სამრეკლოზე შემდგარი დიდი მნათე. მარტო მის მიერ გადახდილი დიდი და მცირე ლიტერატურული ბრძოლების აღწერა შეავსებდა ლიტერატურის ისტორიის რამდენიმე ტომს. მას დაუნდობელი ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული ქართული კულტურის მქირდავებთან, და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

მთელი მისი შემოქმედება ქართველი ოსტატი მესანგრის ხელითაა დანაღმული, საკმარისია სტრიქონს გონების ხმა მისწვდეს, ან თვალი შეავლო, რომ წამსვე ჯაჭვური რეაქცია დაიწყება. გაისმის მამულის სიყვარულის აფეთქებათა უწყვეტი ნაკადის გულისშემძვრელი ხმები. ოღონდ ეგაა, ამ აფეთქებებს თან არ ახლავს ნგრევა, ყოველივეს ნაცარტუტად ქცევა, მოსვრა და სიკვდილი. ეს აფეთქებანი ჩამოჰგავს გასაშლელად მომწიფებულ კვირტთა ვარდისფრად სკდომას, რასაც თან ყვავილობა და ნაყოფით დახუნძვლა მოსდევს. ამ ხის ნაყოფი დაბლა არა ცვივა და დასალპად განწირული არაა. ოღონდაც სულიერი ნაყოფით დახუნძლული მარადმწვანე ეს ხე ჟამიდანჟამზე უნდა მოირხეს, ნაყოფი ფრთხილად აიკრიფოს და გონებისა და გულის საზრდოდ იქნას გამოყენებული.

თუ გამარჯვება მწერლობაშიც ომის შედეგად იპოვება, უნდა პირდაპირ გატეხილად ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ დაპყრობითი ომი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაიწყო. მან თავისი ლიტერატურული გმირის დავით — აღმაშენებლის დარად ნელ-ნელა შემოიმტკიცა განზე გამდგარი საერისთაოები, თანდათანობით, გამორჩევით მიჰყვა, დაიმორჩილა და დაიმონა ურჩნიცა და ქვეგამხედვარნიც. მან დაუნდობლად შელეწა აურაცხელ მკითხველთა სულის მცველი ციხეგოდოლთა ბჭენი და არა მარტო მშობლიური ქვეყნის მკითხველნი დაიმორჩილა და დაიმონა, ყმადნაფიცი ქვეყნებიც იშოვა. ეს ყოველივე მსტოვართა, მალემსრბოლთა, მეციხოვნეთა, მეპუკეთა და მოლაშქრეთა გარეშე შეიძლო, თვითონ მარტოდ მარტომ ღამეებთან მორკინალმა, დიდი სულიერი სიმტკიცის მეოხებითა და შემართებული ტალანტის წყალობით, უხვი და ულევი ქართული სიტყვის ხელმარჯვედ მოხმარებით. სულიერი სიმტკიცითა და დიდი გარჯით. მის სიტყვას კი ყოველ შეხებაზე ემატება ელვარება, იფერება და ალმასივით სულ ახალი და ახალი ძალისხმევით ბრწყინავს.

ამსოფლიური ზრუნვით კონსტანტინე გამსახურდია ისე არასდროს გართულა, რომ ხაერთოდ ადამიანური და რაც მთავარია, მწერლის დიდი უფლება და მოვალეობანი მიევიწყებინა. იგი მუდამ ფხიზლობდა... მწედ ედგა დიდ სიმართლეს, მამულს, პატიოსნებას, კაცურ კაცობას, სინდისის თავისუფლებას, კეთილ საწყისს და წმინდა გიორგივით. ბოროტებას. როგორც ურჩხულს. შიშველი მახვილით ებრძოდა.

მისი პიროვნული ცხოვრება და შემოქმედება უხვად იყო დახუნძლული სულის ნაყოფით: სიბრძნით, სიყვარულით, სულგრძელობით, დათმენით, სიხარულით, სიტკბოთი, ხიმყუდროვით, სახიერებით, სათნოებაში სიმტკიცით. მან მხნედ განვლო ცხოვრების დიდი და ეკლიანი გზა, ბრწყინვალედ ჩააბარა ყველა გამოცდა, არ გამტყდარა არც ერთი განსაცდელისაგან, ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. მაგრამ შინაა — კოლხურ კოშკში. აღესრულა, თუმცაღა არ კი მომკვდარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# კრიტიკოსის მძიმე უღელი

ამას წინათ მწერალთა კავშირში პლენუმი ჩატარდა.

ეს იყო პირველი პლენუმი ბესარიონ ჟღენტის წასვლის შემდეგ.

ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ ტრიბუნაზე შემდგარნი თითქოსდა ცალ-ცალკე ლაპარაკობდნენ, ჩქარობდნენ შინიდან წამოყოლილი თავიანთი სათქმელი დროზე ეთქვათ და ეჭვიანი თვალებით განათებულ კათედრას გაშორებოდნენ.

დარბაზი თითქოს ვიღაცას ეძებდა, მწერალთა ამ მორიგ თავყრილობას რაღაც აკლდა.

არ ჩანდა სიტყვა, რომელსაც ჩაეჭიდებოდი და ფონს გაგიყვანდა. შეეპაექრებოდი, ან დაეთანხმებოდი და მისი ლოგიკის გზაჯრილზე ააგებდი შენს გამოსვლას.

არ ისმოდა ფრთიანი რეპლიკა დარბაზს და პრეზიდიუმს უხილავი ძაფით რომ გადააბამდა.

და რაც მთავარია, არავინ მოერგო იმ დღეს ტრიბუნას ისე ბუნებრივად და გემრიელად, როგორც ბესო ჟღენტი მოერგებოდა.

და მაშინ დაგვაკლდა იგი ყველას ერთბაშად. სწორედ მაშინ შევნიშნეთ ის დიდი სიცარიელე ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, ბესარიონ ჟღენტის წასვლის შემდეგ რომ გაჩნდა.

ისტორიის უტყუარი ცხრილი თავის საქმეს იზამს.

იგი აუჩქარებლად გადაანწყ-გადმოაწყობს ერთი დაუღალავი მოღვაწის დღეებს და თავის უბეში მიუჩენს კუთვნილ ადგილს.

ჯერ ვნებები არ დამცხრალა.

ჯერ ქართული საბჭოთა კრიტიკის მამასთან ჩვენი პირადი დამოკიდებულების ქარბორია ცივი გონების საუკუნებრივ სიჩუმეს არ შეუცვლია.

ამიტომაც ადვილად შეიძლება შევცდეთ.

ჯერ შეიძლება სრულყოფილად ვერ განვსაზღვროთ ის კვალი, ბესარიონ ჟღენტმა მარტო ქართველი მწერლების ფსიქიკას კი არა, მის თანამედროვეთა უმეტესობას რომ დაამჩნია.

იგი ჯერჯერობით საიუბილეო საღამოებს, პლენუმებსა და სხდომებს დააკლდა მხოლოდ. სახელდახელოდ ასე ეჩვენება ბესარიონსმიჩვეულ გონებას.

ჯერჯერობით ყველაფერი ისევ ისეა, მხოლოდ ეგ არი მწერალთა კავშირის ფოიეში კუთხეში მიმდგარს აღარ მოგიახლოვდება ყოველთვის ევროპულად, პეწიანად ჩაცმული თავთეთრა მოხუცი, ხელგამოწვდილი არ წამოვა შენსკენ, მოჭუტულ თვალებს არ მოგანათებს და აღარ გეტყვის: „გამარჯობა შენი!“

„მოხუცი?“

მე მარტო ერთხელ ვნახე იგი ასეთად. ხუთსაათიანი ლიტერატურული პაექრობის შემდეგ. როცა მე და ჩემი რამდენიმე ახალგაზრდა კოლეგა „თავს დავესხით“ მომხსენებელს, ხოლო ბესარიონ ჟღენტი თითქმის ორი საათის განმავლობაში ლომივით იდგა ტრიბუნაზე და „გვიგერიებდა“ (მას არავის დახმარება და წაქეზება არ სჭირდებოდა); ჩემდაუნებურად გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, რა გვეშველება, რა ენერგია აქვს ამ სამოცდაათს გადაცილებულ კაცს“.

დისპუტი რომ დამთავრდა, მანქანით შინ წამომიყვანა და ისეთი ჩუმი, ნაღვლიანი საუბარი გამიბა, თითქოსდა ხუთი წუთის წინ ჩვენს „თავგანწირულ შეხლა-შემოხლასთან“

არცერთს საერთო არა გვქონდა რა. ჩემსკენ შემობრუნებული რაღაცას ჰყვებოდა და მე პირველად დავათვალიერე იგი გულმოდგინედ.

ჩემს წინ იჯდა დაღლილი, ნაოჭებით კისერდაღარული, ბრძოლებგამოვლილი, ხმაგაბზარული ბერიკაცი.

მე მაშინდელი ბესარიონი დამამახსოვრდა სამუდამოდ.

ჩემს ხსოვნაში იგი ასეთად დარჩა.

ამიტომ აღარ მსურდა მეცნო ჩვენი ლიტერატურული სარქალი მაშინ, როდესაც სერგი ჭილაიასთან ერთად დიდხანს შევყურებდი სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეს.

ვერც მწერალთა კავშირის კლუბში მისი დასაფლავების დღეს გვირგვინებს შორის ჩაკარგული ცხედარი დავაკავშირე იმ ბესარიონთან, ტრიბუნაზე რომ მინახავს ენაწყლიანი, სარკაზმითა და იუმორით სავსე, განსაცვიფრებლად მკვირცხლი გონების კაცი — მრისხანე ბესარიონ ჟღენტი.

ჩვენი არსებობის ულმობელმა ნემეზიდამ კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა თავისი შავბნელი ძალა.

მიცვალებული სახელოვანი
წევს ბალდახინზე გამოწყობილი.

სამგლოვიარო მიტინგებიც კი ჩემთვის ბესარიონ ჟღენტთან იყო დაკავშირებული და იმ დღეს უცნაური გრძნობა დამეუფლა. კუბოსთან საპატიო ყარაულში მდგომთა შორისაც ბატონ ბესარიონს ვეძებდი.

მე ყურში ჩამესმოდა ბესარიონის ცრემლით სავსე სიტყვები, რითაც იგი იმქვეყნად მიაცილებდა თავისი სიყრმის მეგობრებს — გალაკტიონ ტაბიძეს, შალვა დადიანს, ლეო ქიაჩელს, სიმონ ჩიქოვანს, გიორგი ლეონიძეს...

მომეჩვენა, რომ ესაა უნდა წამომდგარიყო, ხელისცეცებით უნდა გაეკვლია გზა მიკროფონისკენ, ერთი მისებურად, მშრალად უნდა ჩაეხველებინა და თავის სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვა თვითონვე უნდა ეთქვა.

რა იყო ეს? მისტერიული ხილვა? თუ სიკვდილის არდაჯერების გაკრთომა შეშფოთებულ გონებაში?

რანაირად ხდებოდა, რომ სამგლოვიარო თეატრალობის ამ მოსაწყენ ერთფეროვნებაში მიცვალებულის როლს თვითონ თამაშობდა? თვითონ ცოცხალი და დაუდეგარი სიტყვის კაცი, ჩვენი დროის უპირველესი ორატორი სამუდამო დუმილით იწვა და თითქოსდა მწერალთა კავშირისთვის ამ „საჭირო წუთებში“ მოულოდნელად შეუძლოდ გახდომისათვის შენდობას გვთხოვდა.

ხომ ასეთი რწმენაშეურყეველი და ორთოდოქსული ჩანდა ჩვენს წინაშე როგორც ლიტერატორი და მოქალაქე, ვფურცლავ ახლა შავ ყდაში ჩასმულ მის უკანასკნელ წიგნს („მწერლობა და თანამედროვეობა“) და მეჩვენება, რომ იგი გასაოცრად დრამატული და წინააღმდეგობრივი ბუნების კაცი იყო.

როგორ გამოუმარგლავს თავისი ადრეული წერილებიდან ბევრი რამ, შემოუცლია ეპოქის მტვერი და თავისი ყველაზე დიდი წიგნი თითქოსდა განგებისად თავისი სიკვდილის წელს გამოუცია.

დგება იგი, სიკვდილთან უთანასწორო ბრძოლაში დაცემული, კიბოს მარწუხებით გულმოუცელ დაფლეთილი ერისკაცი, მწუხრს გამოარღვევს, თავის ამ უშველებელ შავ წიგნს მაგიდაზე დაგვიდებს და ჩურჩულით გვეტყვის: „ესა ვარ მე. თუ ღმერთი გწამთ, ჭორები მომაშორეთ“.

მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ ბესარიონ ჟღენტის ცხოვრება ამ ერთ წიგნში არ ეტევა. იგი არც იმ ხუთტომეულში ჩაეტეოდა, რომლის გამოცემაც მწერალს უახლოეს წლებში ჰქონდა განზრახული, მაგრამ არ დასცალდა.

როცა დიდუბის პანთეონისაკენ მის ცხედარს მივასვენებდით, უეცრად მოვარდა ჩემთან „მცირე ანდერძის“ ავტორის სიტყვები:

იგი, ვინც ჩამსვა სიშმაგის დილეგს,
სისხლს მიწვავს ღამით, გულს მიჭამს
დღისით,
მალე შევეღწუმი ქვესკნელის ჩრდილებს
ხელდასხმითა და კურთხევით მისით.
თქვენ, სიყვარულის დიდო ღმერთებო,
შემიმსუბუქეთ ტანჯვის უღელი,
და ჩემი ჯავრი ვეებერთელა
არ დამიტოვოთ ამოუქრელი.

რად გამახსენდა?

მარტო იმიტომ ხომ არა, რომ იგი ასე კარგად ჟღერს ქართულად (დ. წერედიანმა თარგმნა), ან იქნებ (ისიც ანდერძია და სიკვდილს უკავშირდება) სიკვდილის უბრალო რემინისცენციით დაუკავშირდა ეს ტროფი სიტუაციას?

რა აერთებდა ხუთასი წლის წინათ ნათქვამ ამ სიტყვებს ჩემს ახლანდელ განწყობილებასთან? იქნებ რაღაცით ჰგავდნენ ერთმანეთს ფრანსუა ვიიონი და ჩვენი კრიტიკის მებაირახტრე?

იქნებ სიკვდილთან დამოკიდებულებით? პირველმა რომ ასე დახცინა სიკვდილს და მეორემ კი იმდენად არად ჩააგდო, რომ თავის სამუშაო მაგიდასთან დახრილმა უკნიდან წამოპარულ აჩრდილს მისას ზედაც არ შეხედა და სიკვდილს სრულად მოუმზადებელი შეხვდა?

ბესარიონ ჟღენტმა ვერ მოასწრო თავისი-

ვე ჩირაღდანი მოეცა ხელში ჩვენთვის, რომ მისი მემკვიდრეობის ლაბირინთებში ზუსტად გვევლო.

და იქნებ ასე სჯობდა.

მოუწესრიგებელი დარჩა თავისი მემკვიდრეობის გამოცემა და ჩვენ, ერის ღირსეული შვილების ხვალინდელ დამფასებელთ გვთხოვა: „აწი თქვენ იცით. („მიწოდეთ იგი რაცა ვარ მე. ნურც რას დააკლებთ და ნურც რაიმეს დაუმატებთ გაბოროტებით").

ბესარიონ ჟღენტს მწერალთაგან მადლიერი ძალიან ცოტა ჰყავდა.

მისი თაობის ის მწერლებიც კი, ვის გამოხაჩენადაც სიცოცხლე გასწირა, ყოველთვის როდი იყვნენ კმაყოფილნი.

ერთნი ფიქრობდნენ, რომ ბესარიონი მათზე აღვლენილ ეპითეტებში მაინც ძუნწობდა, მეორენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სრულიად უსამართლოდ მოხვდათ ქართული ლიტერატურის მეტრის მსუსხავი შოლტი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ კრიტიკოსთა დიდმა ნაწილმა ლიტერატურის ისტორიის მშვიდ ყურეებს მიაშურა, ბესარიონ ჟღენტზე ვერ იმოქმედა გაპროფესორების მაცდუნებელმა ინერციამ.

ბესარიონი მარტო იდგა.

ლიტერატურული ბრძოლები მან თავის თავზე აიღო და არა მარტო ბრძოლები — პასუხისმგებლობაც ლიტერატურის მაღალი ღირსებისათვის.

ბესარიონ ჟღენტის როგორც კრიტიკოსისა და მოქალაქის სტილი იმდენჯერ გავიდა მოდიდან და იმდენჯერ ისევ შემოვიდა მოდაში, რომ ბოლოს ქართველი მკითხველი მიეჩვია კრიტიკოსის ჯიუტ ნებას და ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება მის გარეშე ვერ წარმოედგინა.

ნაცადი კრიტიკოსი იმდენად კოლორიტული და შეუცვლელი ფიგურა იყო, რომ მარტო მისი წიგნებით ქართული კრიტიკული აზრის ისტორიაში მისი ადგილის გარკვევა ძალიან გაჭირდება.

როცა გიორგი ლეონიძეს ასაფლავებდნენ, ბესარიონ ჟღენტი ამბობდა: კიდევ ერთი საზოგადო მოღვაწე, წავიდა ჩვენგან და მისი ადგილის დამკავებლის დანახვა ამ მწუხარების ჟამს ძალიან მიჭირსო.

ბესარიონის ცხედართან ეს არავის გახსენებია, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ მისი სახით ამოლებული ხანჯლით წავიდა შორეთს თავის ერზე თავგადამკვდარი კიდევ ერთი მაშვრალი კაცი, მეცხრამეტე საუკუნის უკვდავ საზოგადო მოღვაწეთა ღირსეული უმცროსი ძმა.

ორმოცდაათი წლის განმავლობაში არ გაუგდია მას ხელიდან ქართველ კრიტიკოსთა მეწინავე დროშა, ორმოცდაათი წლის განმავლობაში თვალმოუხუჭავად იდგა ლიტერატურის მაღალი იდეალების სადარაჯოზე.

ბესარიონთან ყველანი პრეტენზიულები ვიყავით.

სხვა კრიტიკოსის მსჯავრისთვის შეიძლება იმდენი მნიშვნელობა არ მიგვეცა, მაგრამ ბესარიონის აზრი უსათუოდ მოგვხვდებოდა გულზე. და იყო გაუთავებელი დავა მწერალთა კავშირის მდივნის ყოველ გამოსვლაზე, იმიტომაც, რომ ჯერ ერთი თვითონ იძლეოდა კრიტიკული დემოკრატიის მაგალითს და მეორეც ვგრძნობდით, რომ მის ნათქვამს ძალა და გასაგისი ჰქონდა.

ზოგი კრიტიკოსი თავის ლიტერატურულ ფალავნებს არ გამოცილებია. როცა მისი თაობის ლიტერატურული მოსავალი დააბინავა, თვითონაც დადო კალამი და აქეთ აღარ გამოუხედავს.

თითქოსდა აღარც კი აინტერესებდა მისი თაობის შემდეგ მწერლობაში მოსულნი. ჩათვალა, რომ იგი სხვა თაობის კრიტიკოსი იყო.

ბესარიონ ჟღენტი იმ მცირე გამონაკლისთა შორის დარჩა, ყველა ლიტერატურული თაობის ბედი ერთიანად რომ აინტერესებდა. გალაკტიონის, შალვა დადიანის, გიორგი ლეონიძის და სიმონ ჩიქოვანის ტოლსა და დამკარგავს მას თითქოსდა ჩვენთვის ვერც კი უნდა მოეცალა, მაგრამ ვინც ბოლო ათეული წლების ლიტერატურულ ცხოვრებას იცნობს, დამეთანხმება, თუ რა ენერგიულად სწავლობდა კრიტიკოსი ჩვენი უმრწემესი მწერლების ნაწერებსაც, როგორ განიცდიდა მათს ყოველ გამარჯვებას და მარცხსაც.

ბატონმა ბესარიონმა ბრძოლა გვასწავლა.

თითქოსდა სპეციალურად გადმოგვიგდებდა ზოგჯერ ან აშკარად მცდარსა და ან საკამათო აზრს, რათა ჩვენი პოზიციის დასაცავად მის წინააღმდეგ დავრაზმულიყავით.

სიფხიზლეს გვაჩვევდა.

გვიქმნიდა იმის ილუზიას, რომ თუ წუთით თვალს მოვხუჭავდით, ან მოვდუნდებოდით, თითქოსდა ჩასაფრებული გვყავდა შეუვალი ბესარიონი და არაფერს გვაპატიებდა.

იქნებ ეს ჩვენი ლიტერატურული წვრთნის ფორმა იყო მის მიერვე გამოგონილი?

მართალია, ხშირად ვერ ვუგებდით, მაგრამ ამის გამოც არასოდეს გავუწირივართ, ჩვენი ლიტერატურული ბედისათვის გადამწყვეტ მომენტში მუდამ ჩვენს გვერდით იდგა.

გადაჭარბებად ნურვინ ჩამომართმევს თუ ვიტყვი, რომ ჩვენი სამწერლო თაობა დღეს რომ ასე დარაზმული და მონოლითურია, ბესარიონ ჟღენტის ბრალიცაა[illegible].

ჩვენს ლიტერატურულ გამარჯვებაშიც თვალსაჩინოა მისი წვლილი.

ვისაც კრიტიკოსის ხვედრი ცოტა ხანს მაინც განუცდია, მხოლოდ მას შეუძლია სრულად წარმოიდგინოს რა ძნელი იყო ბესო ჟღენტობა.

მწერლის გზა განათებულ-მოკირწყლული როდის ყოფილა, მაგრამ ჩვენმა ლიტერატურულმა ამბებმა განსაკუთრებით რთულ დროში იცხოვრეს.

როცა ოციანი წლების დაჯგუფებათა რღვევის წლები იყო, ბესარიონ ჟღენტი პროგრესულ ქართველ ლიტერატორთა პირველ რიგებში დადგა და ერთიანი მწერალთა კავშირის შექმნისათვის იბრძოდა.

როცა მწერალთა პირველი ყრილობის ეპოქა იყო და მწერალთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ ვერ გაერკვია ვისი დროშის ქვეშ მდგარიყო, ბესარიონ ჟღენტი მტკიცედ იდგა საბჭოთა ლიტერატურის პლატფორმაზე და ახალფეხადგმულ ქართულ საბჭოთა კრიტიკას შემართების პირველ მაგალითს თვითონ აძლევდა.

როცა ჩვენს ინტელიგენციას მის წრეში გაჩენილი ერთი-ორი ოპოზიციონერის გამო ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა, ბესარიონ ჟღენტი იქვე იყო და თავისი კალმით, რამდენადაც ეს მაშინ მოსახერხებელი იყო, იმ ეჭვების გაქრობას ცდილობდა.

როცა ომის ხანძარი გუგუნებდა, ბესარიონ ჟღენტი მწერალთა ბრიგადებს რაზმავდა და თავისი ცეცხლოვანი გამოსვლებით ხალხს გამარჯვების რწმენას უნერგავდა.

როცა ომისშემდგომი მშვიდობიანი ეპოქა დადგა და მწერალს უდრტვინველად მუშაობის საშუალება მიეცა, ბესარიონ ჟღენტისათვის ბრძოლა წუთითაც არ დამთავრებულა. იგი როგორც გახმაურებული კრიტიკოსი და მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქართული ლიტერატურის გაუკეთესებისათვის ნიადაგ იღწვოდა.

ძნელი იყო (თითქმის წარმოუდგენელიც) ამდენი ლაბირინთის და საბედისწერო ისტორიული მოსახვევის ისე გავლა, რომ ცხოვრების მტვერი არ დაგღებოდა, ათას სიმართლეში ერთი ნებითი თუ უნებლიე შეცდომა არ მოსვლოდა.

ბესარიონს ჟღენტს არასოდეს ჰქონია უცილობელ ჭეშმარიტებათა მღაღადებლის პოზა.

„ჩემს წერილებში მკითხველი შეხვდება სადავოს, სადისკუსიოს, მისი თვალსაზრისით მიუღებელ და მცდარ მოსაზრებებს. აკი ლიტერატურული აზროვნება არ შეიძლება შემოიზღუდოს საყოველთაოდ სავალდებულო და სამუდამოდ რეგლამენტირებული აუცილებელი ჭეშმარიტებებით, მე არა მაქვს და არც არასოდეს მქონია ასეთ ხელუხლებელ ჭეშმარიტებათა დადგენის პრეტენზია, მაგრამ ობიექტური მკითხველი ერთ რამეში კი უნდა დამეთანხმოს: ჩემი ყოველი წერილი გამსჭვალულია ჩვენი მწერლობის მაღალი იდეურობისა და ხალხურობისათვის, მისი მხატვრულ სრულყოფისათვის ბრძოლის პათოსით“.

მართალია, კრიტიკოსის აზრი ერთადერთი და ყველაზე სწორი განაჩენი როდია, მაგრამ ხომ განვიცდიდით ბესარიონ ჟღენტის კრიტიკულ აზრს ყოველთვის მტკივნეულად, ხომ გაფაციცებით ვეძებდით მის გამოსვლაში ჩვენი წიგნის წაკითხვის კვალს და ხომ გულწრფელად ვღონდებოდით, როცა ასეთ კვალს ვერ აღმოვაჩენდით?

მწერალთა კავშირის მდივანი, ლიტერატურის ინსტიტუტის თანამედროვე ლიტერატურის განყოფილების გამგე, „მნათობის“ რედკოლეგიის წევრი, საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის წევრი, გამომცემლობებისა და თეატრების სამხატვრო საბჭოების უცვლელი წევრი, თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ეროვნული წამოწყების მონაწილე, დეპუტატი, ათასგვარი საორგანიზაციო და საქველმოქმედო კომისიების წევრი, ლიტერატურულ საღამოებისა თუ საიუბილეო სხდომების თითქმის შეუცვლელი მომხსენებელი.

როცა დარბაზში ბესარიონ ჟღენტი გამოჩნდებოდა, თავმჯდომარეს გული საგულეს ჰქონდა: „ბესო აქ არის, ესეიგი ყველაფერი კარგად იქნება.“

ეს უამრავი საქმე (სადაც რომ არაფერი აკეთო კაცმა, კვირაში ერთხელ მარტო მისვლაც გაგიჭირდება) ჩვენ თვითონ დავავალეთ.

ერისთვის შეწირულმა ამ კაცმაც აიკიდა და გასწია. გასწია და ზიდა — ერთი — ორი წლის მანძილზე კი არა, თავისი შეგნებული ცხოვრების ორმოცდაათი წლის მანძილზე. ერთი დღითაც არ მოსწყენია, ჩვენთვის დაღლა არ უგრძნობინებია, ტვირთი მაინც შემიმსუბუქეთო, არავისთვის შეუჩივლია.

განა ეს გმირობა არ არის?

„ბოლოსდაბოლოს მაინც ყველაფერს დავიწყების მტვერი ჰფარავს და მარტო აი, ეს რჩებაო“, — მითხრა ამასწინათ ერთმა მწერალმა, რომელსაც ბესარიონ ჟღენტის წიგნი ეჭირა.

არა ხართ მართალი.

კრიტიკოსის მყუდრო კაბინეტში რომ მჯდარიყო, საზოგადოებრივი დატვირთვები ჩამოეფერთხა და „წმინდა ლიტერატურულ მუშაობას“ შედგომოდა, ბესარიონ ჟღენტის ტიტანური ენერგია ათობით ტომეულებს შექმნიდა. ბეწვ საზრდოხაც არ მისცემდა სკეპ-

ტიკოსთა ქირქილს — მოლაპარაკე კრიტიკოსიაო.

მრავალგვარ ეროვნულ საქმეში დაბანდებული მისი სიცოცხლე აუტანელ ჯაფაში პატრუქივით დაიწვა და ისე მოულოდნელად შემოგვაქრა ხელში, რომ თავისი ქვეყნის თავდადებული სამსახურისათვის ერთი შესაფერი მადლობის თქმაც ვერ მოვასწარით.

იგი მილიონი ძაფით იყო მიბმული რესპუბლიკის ყოველდღიურობასთან და თუ ორიოდე დღით მოგზაურის ხურჯინს აიკიდებდა, ყველამ ვიცოდით, — საექსკურსიოდ კი არ იყო წასული, არამედ იქაც თავისი ერის საზრუნავი არ ასვენებდა. ხან აკაკის წერილები ჩამოჰქონდა პარიზიდან, ხან უცხოეთში მიმობნეული ქართული ხელნაწერების კვალს აედევნებოდა, ხან კი ლიტერატორთა მაღალი საკავშირო ტრიბუნიდან ეროვნული ენებისა და კულტურების მოვლა-განვითარებაზე გაცხარებით ლაპარაკობდა.

როცა საქმე ერის ღირსების დაცვას შეეხებოდა, მისთვის არ არსებობდა „სახიფათო“ და „დელიკატური“ თემები. მოურიდებლად, პირდაპირ მიკიბ-მოკიბვისა და მინიშნების გარეშე გასცემდა პასუხს კულტურათა ათქვეფისა და ნაციონალური სახის გაქრობის ყველა უბადრუკ მოქადაგეს.

ლიტერატურა ისეთი სისხლჭარბი და მრავალწახნაგოვანი ინსტრუმენტია, რომ ბელინსკისაც გაუჭირდა თავისი დროის ლიტერატურული ცხოვრების ყველა პრობლემას შეხებოდა.

კრიტიკოსის უპირველესი მოვალეობაა, თუ ალღო არ ჰღალატობს, სხვაზე ადრე შეამჩნიოს ახალი, საინტერესო ლიტერატურული მოვლენა და სხვებსაც მიაქცევინოს ყურადღება.

ამ მხრივ ბესარიონ ჟღენტს გასაოცარი ალღო ჰქონდა.

აი, როგორ შეაფასა იმთავითვე კრიტიკოსმა მუხრან მაჭავარიანმა პირველი პოეტური ნაბიჯები:

„მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ცოცხლობს და მძლავრად ფეთქავს დიდი ცხოვრებისმოყვარეობის სულისკვეთება. იგი სიცოცხლის დამამკვიდრებელი, ხალისიანი შემართების განწყობილებით არის გამსჭვალული. ნათელი, ულრუბლო, ოპტიმისტური მსოფლშეგრძნება ასაზრდოებს მის ლაღად ამღერებულ ლექსს, რომელიც თითქოს არღვევს პოეტური მეტყველების ყოველგვარ შემზღუდველ ნორმებს და არტახებს, ამკვიდრებს საკუთარ ლექსალურ კანონზომიერებას. მისი ლექსების სასაუბრო ინტონაცია, ხშირად ჩვეულებრივ, ყოფით დიალოგამდე დაყვანილი ენობრივი ქსოვილი დიდი უშუალობის შთაბეჭდილებას ქმნის და წარმოშობს ბუნებრივ კონტაქტს მკითხველის სულიერ სამყაროსთან. მის ლექსს მკაფიოდ გამოხატული ეროვნული კოლორიტი ახასიათებს“.

განა ეს „ლიტერატურული რეცეპტი“ დღესაც ზუსტად რა ახასიათებს ჩვენი პოეზიის ამ პირველხარისხოვანი ოსტატის შემოქმედებას?

ასევე ორიგინალურად და გრაფიკული სიზუსტით დაახასიათა მან მაშინ ახალგაზრდა პოეტი შოთა ნიშნიანიძე:

„შოთა ნიშნიანიძე რთული ასოციაციებით გატაცებული, მეტაფორული აზროვნების პოეტია. მას აქვს საგნების და მოვლენების ორიგინალური ხედვის და მოულოდნელ პოეტურ სახეებში განსხეულების ნიჭიერება, მაგრამ ყოველივე ამას პოეტი ბედნიერად ათავსებს დიდ მხატვრულ სიმართლესთან, პოეტური ნახატის სიცხადესა და რეალისტურობასთან. ცოცხალი სინამდვილის სუნთქვა, თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა, აქტუალური და ღრმად მნიშვნელოვანი აზრის უპირატესობა შეადგენს მისი ლექსის უდავო ღირსებებს“.

ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“ ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის მწვერვალთა რიცხვს მიეკუთვნება. ბესარიონ ჟღენტმა ერთერთმა პირველმა შენიშნა და მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიაპყრო ლიტერატურის ამ ძვირფას შენაძენთაგანს:

„ამ თავის ახალ პოეტურ ქმნილებაში (ლაპარაკია „პალესტინა, პალესტინაზე“. რ. მ.) ირაკლი აბაშიძემ პოეტური აზროვნების ისეთ სიღრმეს მიაღწია, მხატვრული მეტყველების საშუალებათა ისეთ ორიგინალობას და სრულფასოვნებას, იდეურ-თემატიკური ჩანაფიქრისა და პოეტური ფორმის ისეთ ჰარმონიულ ერთიანობას, რომ ეს ნაწარმოები არა მარტო ირაკლი აბაშიძის პოეტური ბიოგრაფიის საუკეთესო მიღწევას, არამედ უკანასკნელი ათწლეულის მთელი ქართული პოეზიის ყველაზე ძვირფას შენაძენს წარმოადგენს“.

მე მგონია, სანამ ბესო ჟღენტი ბესო ჟღენტობდა (და მან საკმაოდ სოლიდურ ასაკშიც, სიკვდილის დღემდე შეინარჩუნა სალი გონება და გასაოცარი ფენომენალური მეხსიერება) არ ყოფილა ჩვენს ლიტერატურაში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რისთვისაც მას ყურადღება არ მიექციოს და თავისი სიტყვა არ ეთქვას.

მისთვის უცხო იყო განუსჯელად, ხელაღებით ქება — ნაწარმოების რამდენიმე იმედიანი დეტალის გამო კრიტიკოსს ზოგჯერ

თვალზე ლიბრი რომ გადაეკვრება, და აღფრთოვანებული ისეთ პანეგირიკს შეთხზავს, რომ რამდენიმე დღის მერე (როცა სინამდვილე გაირკვევა და ყველანი მიხვდებიან, რომ რაც ბრწყინავს ყველაფერი ოქრო როდია) თვითონვე რცხვენია თავისი უნაპირო ქებისა, ამ საშუალო ღირსების ნაწარმოებს რომ შეასხა.

ბესარიონ ჟღენტი რომელიმე ლიტერატურული დაჯგუფების კი არა, მთელი ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი იყო; ამიტომ უკიდურესობაში არასოდეს ვარდებოდა. სწორედ ამით არ ჰგავდა იგი ზოგიერთ თანამოკალმეს (რომელმაც თუ მწერლის ქება გადაწყვიტა, ცაში აიყვანს და ერთ შენიშვნას არ მისცემს, ერთ ნაკლს არ დაუძებნის, ხოლო თუ ძაგება მოიწადინა, მიწასთან გაასწორებს). ჯერ ნაწარმოების ღირსებებს ჩამოთვლიდა და როცა გვეგონა, ახლა კი ნამეტანი ქებით გადააჭარბაო, ისეთ შენიშვნებს მოაყოლებდა, რომ წინა ნათქვამს გააფერმკრთალებდა და მსმენელს თუ მკითხველს, მანამ არ მოეშვებოდა, სანამ ცხადად არ დაუხატავდა ნაწარმოების მიმართ თავის პოზიციას.

იცოდა ბესარიონ ჟღენტმა, რომ ლიტერატურული დემაგოგობა, უნიჭო კაცის ნიჭიერად გამოცხადება, ბოროტის კეთილად მონათვლა ყველაზე მძიმე დანაშაულია, რაც კი შეუძლია კრიტიკოსს მკითხველის მიმართ ჩაიდინოს.

აკი სწორედ ასეთ „უცნობოზე“ ბრძანებდა არჩილ მეფე:

უცნობო კეთილს ბოროტად შეჰრაცხს,
ბოროტსა კეთილად,
უნაყოფოს ზრდის სამისოდ, ნაყოფიანს
ჰყოფს კვეთილად.

ბესარიონ ჟღენტის, როგორც მოაზროვნის უპირველესი ღირსება ის იყო, რომ მას ერთხელ და სამუდამოდ გამორკვეული ჰქონდა ლიტერატურასთან თავისი დამოკიდებულება, ლიტერატურის დიდი ისტორიული მისია მისთვის კითხვის ნიშნებით დატვირთული არასოდეს ყოფილა. ყოველთვის მტკიცედ სჯეროდა, რომ ეროვნული სულის გამოხატვა, ერის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლა მწერლის უპირველეს მოქალაქეობრივ ვალს წარმოადგენს.

„ჩვენი ეროვნული მხატვრული პროზის ქმნილებებში მრავალმხრივად და სრულად არის გამოხატული ქართველი ერის ბუნება, მისი მკაცრი და სუსხიანი, მაგრამ ამასთანავე იშვიათად დიდებული და გმირული ისტორია, მისი თანამედროვე მგზნებარე შემოქმედებითი ცხოვრება. სწორედ ამაში მდგომარეობს, ჩემი აზრით, მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული სპეციფიკა ქართული პროზისა — მისი მთავარი გმირი ქართველი ხალხია თავისი განუმეორებლად თავისებური ეროვნული ხასიათით, ტემპერამენტით მსოფლშეგრძნებით. ყოფა-ცხოვრებით, ტრადიციებით...“

საბჭოთა ლიტერატურის მაღალი კრიტერიუმებით შეიარაღებული წელკამართულად იბრძოდა იგი ყოველთვის რაპპისა თუ ვულგარული სოციოლოგიზმის, დისტანციის თეორიისა თუ „წმინდა ხელოვნების“ სხვადასხვაგვარი შემოტევების წინაალმდეგ.

ამ წიგნის ავტორს კარგად მოეხსენებოდა, რომ ლიტერატურა ცხოვრების საჭიროებებით უნდა საზრდოობდეს და მაშინვე შეშფოთებას გამოთქვამდა, თუ შეატყობდა, რომ ზოგიერთი მწერალი ერის ტკივილებს ზურგს შეაქცევდა და სოციალური პრობლემების ნაცვლად „გამოგონილ“ საგნებს დასტრიალებდა:

„სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩვენს პროზაიკოსს არ ყოფნის ოსტატობა ადამიანის სულიერი სამყაროს მოძრაობა გამოხატოს სოციალური სინამდვილის პროცესებთან, საზოგადოების შემოქმედებითს მოღვაწეობასთან ორგანულ კავშირში. ზოგჯერ ისინი კარგავენ რეალობის, ცხოვრებისეული სიმართლის გრძნობას ,ხოლო ეს კი ზღუდავს და ამცირებს მათი ნაწარმოებების შემეცნებითსა და ესთეტიკურ ღირებულებას. ცნობილია, რომ რეალისტურ ხელოვნებაში ესთეტიკურ კმაყოფილებას მხოლოდ ის გვანიჭებს, რაც დამაჯერებელია; მხატვრული სიმართლე მიუღწეველია დიდი ცხოვრებისეული სიმართლისაგან გამოთიშულად.“

ისე თავგამეტებით ებრძოდა ფორმალიზმს ლიტერატურაში და ისე გულდაგულ ქადაგებდა ლიტერატურის იდეურობის პრინციპებს, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს (და ასეთები ახლაც ცოტანი როდი არიან) შეიძლებოდა მოჩვენებოდა, რომ ბესარიონ ჟღენტი სამოქალაქო მწერლობის ქურუმი იყო და ინტიმური, ლირიული ლიტერატურის უარმყოფელი. რა თქმა უნდა, ასე არ გახლავთ. ბესარიონ ჟღენტი ლიტერატურის ყოველ სახესა და ნაკადს თანაბარი მნიშვნელობისად თვლიდა და ერთ-ერთი თვითონ მიესალმა რიტორიულობისა და მყვირალა პათეტიკისაგან ლექსის განთავისუფლებას, ორმოცდაათიან წლებში განსაკუთრებით საგრძნობი რომ გახდა.

„ახლა ქართული პოეზია წარმატებით თავისუფლდება რიტორიულობისა და მყვირალა პათეტიკის, განუსჯელი პარადულობისა დასახოტბო ლექსთმთხზველობის ტენდენციებისაგან .ახლა ჩვენი პოეზია გამიზნულად ისწ-

რაფვის, რომ უფრო ღრმად შეაღწიოს ადამიანის სულიერი ცხოვრების წიაღში, უფრო ფართოდ და მრავალმხრივად მოიცვას ლირიკული გმირის აზრების, განცდებისა და განწყობილებების სამყარო, გაამახვილოს და გააფართოვოს პოეტური ხილვის ძალა და სიღრმე, გაამდიდროს და გააფართოვოს მხატვრული გამომსახველობის ხვედრითი წონა".

ვინ მოგვცა ასე ლაკონურად და ამომწურავად ორმოცდაათიანი წლების ქართული პოეზიის დახასიათება, ვინ შეამჩნია ესოდენ ზედმიწევნით ის საინტერესო შინაგანი ძვრები ქართული ლექსის განახლების სიმპტომებს რომ შეიცავდა?

ბესარიონ ჟღენტის შემოქმედებას მისი ავტორის ცხოვრების სტილი ძალუმად ეტყობა. წერილების უმეტესობა სხვადასხვა ლონისძიებებზე წაკითხული მოხსენებების სტენოგრაფიულ ჩანაწერს ჰგავს. ამ წიგნის ავტორი სხვა ტიპის ლიტერატორი იყო, იგი ლიტერატურული მიმომხილველის, შედეგთა დამჯამებლის, საერთო კანონზომიერებათა დამდგენის პრეტენზიით გამოდიოდა; წერილებში მოხმობილი უამრავი პარალელი, ზეპირად თქმული საკმაოდ დიდი ციტატები და რაც მთავარია, გასარჩევი მასალის ადგილის ზუსტი მითითება არა მარტო თვით ავტორის, არამედ ქართული და საერთოდ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, ნათლად მიგვითითებენ, თუ რაოდენ პასუხისმგებლობით ემზადებოდა ბესარიონ ჟღენტი თვითეული გამოსვლისათვის.

დიდი ქართველი ორატორის ნაწერების კითხვისას მკითხველს უსათუოდ ეცემა თვალში ბესარიონ ჟღენტის ლოგიკის ძალა. არაფერს ამბობს ჰაიჰარად, დაუსაბუთებლად, ჰიპოთეზის სახით. ყოველ ლიტერატურულ დებულებას იქვე სათანადო არგუმენტით ამაგრებს. იგი ესეისტი არ არის და ამიტომაც სამწერლო ენა უფრო მეცნიერული აქვს, ვიდრე მხატვრულ-პუბლიცისტური. ნაკლებად ზრუნავს ენობრივ ჩუქურთმებზე, მეტად აზრის სიცხადესა და ჭეშმარიტების დადგენაზე.

ბესარიონ ჟღენტს გააჩნდა კრიტიკოსისათვის კიდევ ერთი აუცილებელი და ძვირფასი თვისება — პოლემიკის არაჩვეულებრივი უნარი. რატომღაც ხარეცენზიო წიგნში ეს უნარი ნაკლებად იგრძნობა, რადგანაც ავტორს თავისი მძაფრი პოლემიკური წერილები, როგორც ჩანს, სხვა ტომებში დასაბეჭდად ჰქონდა გამიზნული.

ვინ არ მოხიბლულა მისი ყუმბარისებური რეპლიკებით, სხარტული გამონათქვამებით, იმპროვიზაციის არაჩვეულებრივი უნარით. ბესარიონ ჟღენტთან ზეპირი კამათი თითქმის შეუძლებელი იყო. შენს სიტყვაში ხადაც კი სუსტ რგოლს მოიხელებდა, მაშინვე ოსტატურად გამოიყენებდა და ისეთ სარკასტულ მახვილს გაძგერებდა, რომ დიდი ნებისყოფის ან საკუთარ თავში სამუდამოდ დაჯერებული კაცი უნდა ყოფილიყავ, სირცხვილისაგან ყურები რომ არ გაგწითლებოდა.

ევგენი ევტუშენკოს ახალი ლექსების წიგნს ვკითხულობდი და ასეთ სტროფს წავაწყდი:

Ты был бригадиром суровым
  с такими, как мы, юнцами.
Есть гордое слово «учитель»,
  но выше простое «отец»,
Теперь мы в поэзии русской
  становимся тоже отцами,
Мы твой инструмент принимаем
  а ты отдохнешь наконец.

თითქოსდა ჩვენს სახელოვან მიცვალებულზე, ჩვენი „ლიტერატურის ბრიგადირზეა" ნათქვამი.

ჩვენ, ვინც უნივერსიტეტის კედლებში მისგან პირველ ლიტერატურულ გაკვეთილებს ვიღებდით (და „პირველსხივლები" ახლა მგონი მოქმედ, გამორჩეულ მწერალთა უმრავლესობას შეადგენენ) ჩვენ მაინც არასოდეს დაგვავიწყდება ბესარიონ ჟღენტის ხმა.

მძიმეა მისი სკიპტრა, ძნელია მისი უღლის გაწევა.

ბესარიონ ჟღენტი კიდევ მრავალჯერ ავა ჩვენი მწერლობის მაღალიდეურობისა და მოქალაქეობრივი სიწმინდის ტრიბუნაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო ბახტრიონელი

# გიორგი ციციშვილის მონოგრაფია „შალვა დადიანი“

ცნობილმა ქართველმა მწერალმა, კრიტიკოსმა, ლიტერატურათმცოდნემ და მკვლევარმა გიორგი ციციშვილმა გამოაქვეყნა თავისი მრავალი წლის დაკვირვებების, მეცნიერული კვლევისა და ძიების ნაყოფი — კაპიტალური მონოგრაფია „შალვა დადიანი“.

მონოგრაფია ისეთი რთული, ძნელი და ტევადი ჟანრია, რომ ხშირად ევროპაში, პირობითად მის შესატყვის ჟანრად პროზაში რომანს მიიჩნევენ, პოეზიაში — ეპიკურ პოემას.

ეს შედარება, რა თქმა უნდა, უფრო მეტაფორულია, ვიდრე მეცნიერული, მაგრამ მასში, ვფიქრობთ, მაინც არის ჭეშმარიტების გარკვეული მარცვალი.

ყოველი შედარება, ერთი გერმანული ანდაზისა არ იყოს, — ცალი ფეხით მაინც კოჭლობს, და მაინც ეს პარალელი (მონოგრაფია-რომანი) მიგვითითებს მონოგრაფიის, როგორც რთული და ტევადი ჟანრის ნაწარმოების შექმნის სიძნელეებზე. მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მონოგრაფია მონოგრაფიას გაჩნია.

რთულია ნებისმიერი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლა. შალვა დადიანის ცხოვრების და შემოქმედების შესწავლა კი მით უმეტეს, რადგანაც შალვა დადიანის შემოქმედება, თავის მხრივ, არის მეტად მრავალფეროვანი და მასშტაბური მხატვრული ფენომენი: მისი ცხოვრება მოიცავს სამ ისტორიულ ეპოქას, სამ რევოლუციას, ორ მსოფლიო ომს, ორ ხხვადასხვა საუკუნეს (XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის მეორე ნახევრამდე), გარკვეული თვალსაზრისით თითქმის სამ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციას, ისტორიაში ურთულეს ეპოქებს, რომლებმაც თავისი დაღი დაასვეს მისი პიროვნების ჩამოყალიბებას, მისი მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნების ფორმირებას, მისი მხატვრული კრედოს ევოლუციას.

ეს ერთი. მ ე ო რ ე . შალვა დადიანის შემოქმედება ეს არის ნათელი მაგალითი მწერლის შემოქმედებითი მეთოდის ევოლუციისა და კრიტიკული რეალიზმიდან სოციალისტური რეალიზმის მწვერვალებამდე. ეს მხატვრული ფენომენის რთული დიალექტიკური გზით განვითარების ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია. მ ე ს ა მ ე . შალვა დადიანის ტალანტი ენციკლოპედიურად მრავალმხრივია და მრავალწახნაგოვანი. ის არის მწერალი, მაგრამ არა რომელიმე ერთ ჟანრში მომუშავე მწერალი. ის არის, უპირველეს ყოვლისა, პროზაიკოსი და დრამატურგი. თავის მხრივ არიან პროზაიკოსები, რომლებიც ან მხოლოდ ნოველისტები არიან, ან მხოლოდ რომანისტები. შალვა დადიანი არის ბრწყინვალე მინიატურისტი, მემუარისტი, ნოველისტი, რომანისტი, მაშასადამე, შ. დადიანი პროზაიკოსი თავისთავად რთული მოვლენაა.

არიან დრამატურგები, რომლებიც ან მხოლოდ კომედიოგრაფები არიან, ან მხოლოდ ტრაგედიებს წერენ. შალვა დადიანი ღრამატურგიის თითქმის ყველა ჟანრში მუშაობდა.

მაშასადამე, შალვა დადიანი — დრამატურგიც რთული მოვლენაა.

გარდა ამისა არსებობს შალვა დადიანი — მსახიობი, შალვა დადიანი რეჟისორი, შალვა დადიანი ქართული თეატრის ერთერთი კორიფე... არსებობს შალვა დადიანი — ლიტერატუ-

რისა და ხელოვნების თეორეტიკოსი, შალვა დადიანი — დიდი კულტურტრეგერი.

არსებობს შალვა დადიანი — დიდი მამულიშვილი... არსებობს შალვა დადიანი...

მაგრამ, ვფიქრობთ, ის, რაც ჩამოვთვალეთ, საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ შალვა დადიანი მრავალმხრივი ფენომენალური მოვლენაა ქართულ კულტურაში.

შალვა დადიანს მრავალი ნიჭი უბოძა ღმერთმა, იმ ღმერთმა, რომელიც ასე ძუნწია ტალანტების გაცემაში.

დიახ, შალვა დადიანი ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის.

შალვა დადიანის ნიჭის პლურალიზმი დიდი სიძნელეებისა და სირთულეების წინაშე აყენებს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარს, რადგანაც მისგანაც მოითხოვს ნიჭთა პლურალიზმს. მისი მკვლევარი უნდა იყოს, სულ ცოტა ლიტერატურისა და თეატრის ისტორიკოსი, კრიტიკოსი და თეორეტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და თეატრმცოდნე, დიალექტიკოსი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში განსწავლული პიროვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ჩაწვდება მწერლის მრავალმხრივი და მრავალეტაპიანი შემოქმედების ყველა საჭირო ნიუანსს, ყველა დეტალს, ყველა ფენომენს, ვერ ახსნის მწერლის შემოქმედების ევოლუციას და, მაშასადამე, ვერ წარმოაჩენს სათანადოდ მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

უნდა ითქვას, რომ მონოგრაფიის ავტორმა თავისი კვლევის უტყუარი მეცნიერული მეთოდის, მეთოდიკისა და აზროვნების მაღალი კულტურის, მისი ფართო ერუდიციის, მისი შემოქმედებითი ლაბორატორიის არსენალის სიმდიდრის მეოხებით წარმატებით დაძლია სიძნელეები, რომელიც შალვა დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიულად შესწავლას ახლავს და ქართული საბჭოთა კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა გაამდიდრა ღირსშესანიშნავი ნაშრომით.

კერძოდ, რაში ვხედავთ ამ მონოგრაფიის ღირსებებს?

უპირველეს ყოვლისა ის უნდა ითქვას, რომ გ. ციციშვილი უზადოდ იყენებს კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ნაშრომებს, პარტიულ დოკუმენტებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე შ. დადიანის შემოქმედების მარქსისტულ-ლენინური, პარტიული, კლასობრივი ინტერპრეტაციისათვის.

მეორე, მონოგრაფიაში კვინტესენციის სახით გადმოცემულია საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის უახლესი მიღწევები და მათი მომარჯვებით გაშუქებულია შ. დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ეტაპები და მიმართულებანი.

მესამე. მონოგრაფიის ავტორი შალვა დადიანის ცხოვრებასაც და შემოქმედებას განიხილავს საქართველოს, რუსეთის, მსოფლიო ლიტერატურისა და ისტორიის განვითარების ფონზე. მისი შემოქმედება არ არის განხილული იზოლირებულად, სოციალურ-ისტორიული და ლიტერატურული კულტურული პროცესებისგან მოწყვეტით. პირიქით, მკვლევარი მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ოსტატურად მომარჯვების გზით აღწევს ყველა ამ პროცესთა სინთეზურ ანალიზს.

მეოთხე. მკვლევარი გვაძლევს შალვა დადიანის შემოქმედებას ქართულ და საბჭოთა თეატრისა და ლიტერატურის განვითარებასთან მჭიდრო კავშირში.

მეხუთე. გ. ციციშვილი დიფერენციულად იკვლევს დადიანი — მოქალაქისა და დადიანი შემოქმედის, დადიანი — მხატვრის ევოლუციას, მის მეტამორფოზებს კონკრეტულ-ისტორიულ გარემოებათა ცვლასთან კავშირში და აკეთებს მეტად საინტერესო დასკვნებს, რომლებიც სინთეზში გვიჩვენებენ შალვა დადიანის პიროვნების, მისი ტალანტის განვითარებისა და სრულყოფის რთულ დიალექტიკურ სურათს.

მეექვსე. მკვლევარი იძლევა შ. დადიანის იდეური ევოლუციის საინტერესო სურათს, ხატავს საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური გვარის წარმომადგენლის ამაღლებას კომუნისტის მსოფლმხედველობამდე, გვიჩვენებს ამ აქტის კანონზომიერებას.

არც ერთ ეპოქაში შ. დადიანს არ დაუთმია ოპტიმიზმი, ხალხისადმი რწმენის პოზიციები. ცნობილი გამოთქმა ლევ ტოლსტოიზე. ამ თავადზე უფრო დიდი გლეხი იშვიათიაო, გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება მივუყენოთ შალვა დადიანსაც — ამ თავადზე უფრო ნამდვილი კომუნისტი იშვიათია მწერლობაში.

ამას თვალნათლივ ადასტურებს გ. ციციშვილის მონოგრაფია.

მეშვიდე. მკვლევარი შ. დადიანის ყველა უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს თავის ადგილს მიუჩენს ლიტერატურულ პროცესში და ლიტერატურის ისტორიაში.

გ. ციციშვილი, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, გადასინჯავს ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის უახლეს მიღწევების შუქზე შ. დადიანის ამა თუ იმ ნაწარმოების ადრინდელ შეფასებას სხვადასხვა კრიტიკოსთა მიერ და იძლევა მათს ორიგინალურ ინტერპრეტაციას, აძლევს ახალ, დასაბუთებულ შეფასებებს, მწერლის ადამიანურ და ესთეტიკურ ღირებულებებს.

გ. ციციშვილის მონოგრაფიის წყაროები ვრცელია და მეტად მასშტაბური, საკმარისი დასმული პრობლემის გადასაწყვეტად. მეცნიერულადაა გააზრებული მონოგრაფიის კონსტრუქცია.

მონოგრაფია ავტორს დაუყვია შემდეგ ძირითად თავებად: „შალვა დადიანის ცხოვრება და საზოგადოებრივ-თეატრალური მოღვაწეობა“, „შალვა დადიანის მხატვრული პროზა“, „შალვა დადიანის დრამატურგია“.

რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის პროზა და დრამატურგია განხილულია ცალცალკე.

მონოგრაფიის ავტორი სწორად უსვამს ხაზს, რომ შალვა დადიანი ლეო ქიაჩელთან ერთად სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში შექმნილ შ. დადიანის პიესებში „მღვიმეში“ და „როს ნადიმობდნენ“ „პირველად ქართული ლიტერატურის ისტორიაში იჩინეს თავი ახალი შემოქმედებითი მეთოდის, სოციალისტურ რეალიზმის ნიშნებმა“.[1] (გვ. 6).

ამის მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა შალვა დადიანს, მას მაინც ექნებოდა თავისი ადგილი XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გ. ციციშვილი წერს, რომ „სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ქართულ-მწერლობაში შემოტანა-დამკვიდრებით შალვა დადიანმა ისეთივე დიდი როლი ითამაშა თავისი ეროვნული მწერლობისათვის, როგორც კოციუბინსკიმ — უკრაინულისათვის, იან რაინისმა — ლიტვურისათვის, აკოფ აკოფიანმა — სომხურისათვის, ჯაფარ ჯაფარლიმ — აზერბაიჯანულისათვის“. (გვ. 7).

შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი“ მონოგრაფიაში XX საუკუნის დასაწყისის კრიტიკული რეალიზმის მწვერვალადაა აღიარებული.

გიორგი ციციშვილი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ შ. დადიანის რომანი „გიორგი რუსი“ არის არა მარტო პირველი ქართული საბჭოთა ისტორიული რომანი, არამედ ის პირველი ისტორიული რომანია მთელს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაშიც. (ალექსეი ტოლსტოის რომანი „პეტრე პირველი“ შ. დადიანის რომანზე გვიან დაიწერა).

მონოგრაფიაში მართებულადაა აღნიშნული, რომ შ. დადიანის „კაკალ გულში“ (1928 წ.) არის არა მარტო პირველი ქართული, არამედ პირველი სატირული კომედია მთელს საბჭოთა ლიტერატურაში.

„კაკალ გულში“ მაიაკოვსკის „ბაღლინჯოს“ და „აბანოს“ შექმნამდეა დაწერილი.

პიესის „კაკალ გულში“ გარჩევისას მონოგრაფიის ავტორი გადასინჯავს ამ ნაწარმოების ირგვლივ კრიტიკის მიერ ადრე გამოთქმულ მთელ რიგ მცდარ მოსაზრებებს. აყალიბებს ახალ დებულებებს, საბჭოთა სატირული კომედიის უახლესი თეორიის ძირითადი დებულებების შუქზე. (გვ. 117).

მონოგრაიფის ავტორი შ. დადიანის „თეთნულდს“ (1931 წ.) სავსებით სამართლიანად მიიჩნევს პირველ საბჭოთა ოპტიმისტურ ტრაგედიად. შ. დადიანის ეს ნაწარმოები ვსევოლოდ ვიშნევსკის „ოპტიმისტურ ტრაგედიაზე“ ადრეა დაწერილი მთელი სამი წლით.

„თეთნულდი“ პირველად 1931 წელს დადგა რუსთაველის თეატრში სანდრო ახმეტელმა.

სწორად შენიშნავს გ. ციციშვილი, რომ ეს ნაწარმოები არ არის სათანადოდ დაფასებული და არა აქვს მას მიჩენილი კუთვნილი ადგილი საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის ისტორიაში.

გ. ციციშვილი „თეთნულდის“ განხილვასთან დაკავშირებით აშუქებს საბჭოთა ტრაგედიის დრამის, კონფლიქტის უახლეს თეორიულ დებულებებს, აკრიტიკებს ყალბ, დრომოჭმულ მეტაფიზიკურ კონცეფციებს. მარქსისტი, დიალექტიკოსი ლიტერატურათმცოდნის პოზიციებიდან.

მონოგრაფიაში ნათქვამია, რომ შალვა დადიანი მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ერთი კლასიკოსთაგანია. მისი მრავალი ნაწარმოები შევიდა ქართული და მთელი საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის ოქროს ფონდში.

და ეს შეფასება სათანადოდ არის არგუმენტირებული მონოგრაფიაში.

* * *

მონოგრაფიის ავტორი ხაზს უსვამს, რომ შალვა დადიანი ქართული საბჭოთა დრამატურგიის ფუძემდებელია, ის ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია.

უფრო გვიან გამოდის სამწერლო ასპარეზზე ქართული ეროვნული დრამატურგიის, ქართული დრამატული პოეზიის მშვენება — პოლიკარპე კაკაბაძე.

სწორადაა ხაზგასმული მონოგრაფიაში, რომ შ. დადიანის დრამატურგია ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურის და თეატრის განვითარებას ერთდროულად.

გ. ციციშვილი შენიშნავს, რომ შ. დადიანი იყო რევოლუციამდელი ქართული თეატრის აღიარებული ოსტატი და ახალი საბჭოთა ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

შ. დადიანი ქმნიდა არა მარტო დრამატულ ნაწარმოებებს. გ. ციციშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ის იყო თეატრის ერთ-ერთი

---

[1] როგორც აღნიშნავს გ. ციციშვილი, შ. დადიანის შემოქმედებაში უფრო ადრე ვლინდება ეს ნიშნები, ვიდრე ლ. ქიაჩელის შემოქმედებაში. (გვ. 7).

პირველი თეორეტიკოსი და ისტორიკოსი საქართველოში. ის იყო ნიჭიერი თეატრალური კრიტიკოსი.

შალვა დადიანმა მამამისის „ნიკო ფილოსოფოსად“ წოდებულის „საშინაო აკადემია“ დაამთავრა, მერე კი ის მოსკოვში გადიოდა გორკისა არ იყოს, „ცხოვრების უნივერსიტეტებს“

შალვა დადიანი — ლეგენდარული ლადო მესხიშვილის პარტნიორია სცენაზე. ლადო მესხიშვილი მისი თეატრალური მეტრი და სულიერი მამა იყო.

სწორად წერს ერთი იმდროინდელი რეცენზენტი, რომ „ლადო მესხიშვილს ძალზე შეუყვარდა შალვა და გვერდიდან არ იშორებდა მას“. „თბილისის გასტროლებზე ქუთაისის დასიდან ლადომ მხოლოდ შალვა დადიანი წაიყვანა“, შალვამ „სასტიკი რეცენზენტების ხოტბაც დაიმსახურა“ (გვ. 72-73).

შ. დადიანმა ქართულ სცენაზე 30 წელი დაჰყო და 300 როლი შეასრულა. მათ შორის ბევრ თავის პიესაში („გეგეჭკორი“, „ვარამი“). ის იყო შექსპირის ლირი, შილერის კარლ მოორი, რუსთაველი — კოტე მესხის პიესაში „რუსთაველი“, შაჰ-აბასი — ყაზბეგის „ქეთევან წამებულში“ და სხვ. შ. დადიანი ასრულებდა წამყვან როლებს გოგოლისა და ჩეხოვის პიესებში.

მის არტისტულ სიჭაბუკეს ღრმა კვალი დააჩნია მსოფლიოში ცნობილმა ტრაგიკოსმა ერნესტო როსიმ.

შ. დადიანი მეგობრობდა მოსკოვის მცირე თეატრის დიდ მსახიობებთან — ა. სუმბათაშვილ-იუჟინთან, ერმოლოვასთან და სხვ. მაგრამ შ. დადიანი არა მცირე თეატრის, არამედ სამხატვრო თეატრის მიმდევარი გახდა.

შ. დადიანმა განიცადა ჩეხოვის დრამატურგიის დიდი გავლენა, ისევე, როგორც კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ნოვატორულ თეატრის კონცეფციისა, ის სტანისლავსკის სისტემის მიმდევარი გახდა თეატრალურ ხელოვნებაში.

შ. დადიანი პირველი ქართველი რეჟისორია, რომელიც საქართველოში, ქართულ სცენაზე იწყებს სამხატვრო თეატრის პრინციპების და, მაშასადამე, სტანისლავსკის სისტემის დანერგვას. (1905-1908 წ.წ.).

შ. დადიანი 1907-1908 წწ. ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ მიხედვით წერს პიესას „გლეხი და ბატონი“.

გ. ციციშვილი შენიშნავს, რომ ეს იყო ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ინსცენირების პირველი ცდა ქართულ ლიტერატურაში.

შ. დადიანი 1907 წელს დგამს მონტის პიესას „კაი გრაკხი“ და მასში ასრულებს მთავარ როლს — კაი გრაკხის როლს.

ეს ის გრაკხია, რომლის შესახებ მხატვრული ნაწარმოების დაწერას აპირებდა თვითონ კარლ მარქსი!

შალვა დადიანი ბათუმის მუდმივი პროფესიული თეატრის ფუძემდებელი, მისი პირველი რეჟისორი და მესვეურია.

შალვა დადიანია სოხუმში ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

შ. დადიანმა დიდი ღვაწლი დადო, ქუთაისის თეატრს, ბაქოს ქართულ თეატრს.

მან მოგზაურ თეატრალურ დასებთან ერთად შემოიარა მთელი საქართველო.

შ. დადიანმა ქართულ საბჭოთა სცენას ბევრი მსახიობი შეუნარჩუნა. ამ მხრივ საქართველოში მან, ის როლი ითამაშა, რაც ლუნაჩარსკიმ რუსეთში, წერს მკვლევარი.

შ. დადიანი საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის თეატრალური განყოფილების გამგეა. მალე სამუსიკო საქმეთა გამგებლობაც მას დაექვემდებარა.

მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

შ. დადიანი იყო საქართველოს მსახიობთა კავშირის პირველი თავმჯდომარე (1917 წ. სექტემბერს).

შ. დადიანის ღვაწლს თეატრში მაღალი შეფასება მისცეს ნემიროვიჩ-დანჩენკომ, სუმბათაშვილ-იუჟინმა და სხვებმა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ის აქტიურად მონაწილეობს „თეატრალურ რევოლუციაში“ საქართველოში.

მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ შ. დადიანი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე აქტიურად ჩადგა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის სახით რევოლუციის სამსახურში, მაგრამ მხოლოდ 6-7 წლის შემდეგ მოახერხა ახალ ფერხულში ჩაბმა როგორც მწერალმა და დრამატურგმა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შ. დადიანისათვის არ არსებობდა გორკის ცნობილი კითხვა **«С кем Вы, мастера культуры?»** არც ესენინის პოზიცია: **«Лиру не отдам!»**.

მას შეეძლო მტკიცედ ეთქვა: მე ხალხთან და პარტიასთან ვარ. მათ ეკუთვნის ჩემი ჩანგიც, გულიც და სიცოცხლეც.

მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ შალვა დადიანმა ს. შანშიაშვილთან, პ. კაკაბაძესთან, კ. კალაძესთან, ა. მაშაშვილთან, ი. ვაკელთან ერთად ფეხი აადგმევინა საბჭოთა ქართულ დრამატურგიას.

გარჩეულია ლიტერატურული ნაწარმოებების გადაკეთებისა და ინსცენირების შ. დადიანისეული ორიგინალური მეთოდი. შ. დადიანს ეკუთვნის 30 ნაწარმოების გადმოკეთება და ინსცენირება, (ნინოშვილის „გურია“, „ჩატეხილი ხიდი“ და სხვ.).

შ. დადიანის ნაშრომი „ისტორიული დრამის ამოცანა“ დეტალურად აქვს გარჩეული მონოგრაფიის ავტორს.

აქ ნაჩვენებია შ. დადიანი-მოაზროვნე, დადიანი-ლიტერატურისა და თეატრის თეორეტიკოსი.

იგივე ითქმის შ. დადიანის სიტყვის გარჩევაზე სსრკ მწერალთა კავშირის I ყრილობაზე.

1945 წ. შ. დადიანი შედის პარტიაში.

1945 წლიდან ე. ი. საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსების დღიდან მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელია, (თავმჯდომარე ა. ხორავა, მოადგილე — შ. დადიანი).*

მდიდარია შ. დადიანის მემუარისტიკა და პუბლიცისტიკა.

რჩეული წერილების ორი ტომი გამოსცა შ. დადიანმა.

აღსანიშნავია მემუარები „რაც გამახსენდა“. მათ დაწერა-გამოქვეყნებაში დიდი როლი შეასრულეს ვახტანგ ჭელიძემ („ცისკრის“ რედაქტორი) და ალიო ადამიამ („ხელოვნების“ დირექტორი). ამას ხაზს უსვამს გ. ციციშვილი.

1952 წელს შ. დადიანი წერს პიესას „იდეა გაიმარჯვებს“, რომელიც ალ. წულუკიძეს ეძღვნება.

გ. ციციშვილი შენიშნავს, რომ ეს პიესა არც გამოქვეყნებულა და არც დადგმულა. ეს პიესა ისტორიულ-რევოლუციურ ჟანრს განეკუთვნება. ის მეტი ყურადღების ღირსია.

* * *

მონოგრაფიის ავტორი გვისურათხატებს შალვა დადიანს, გარკვეულ ეტაპზე, როგორც კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელს.

როგორც ცნობილია ქართული ლიტერატურის ისტორიაში კრიტიკულმა რეალიზმმა განვლო სამი ეტაპი, სამი პერიოდი.

პირველ ეტაპად თვლიან XIX ს. 60-იანი წლების კრიტიკულ რეალიზმს (ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი).

მეორე ეტაპად მიჩნეულია XIX ს. 90-იანი წლების კრიტიკული რეალიზმი (ეგნ. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ან. ერისთავ-ხოშტარია, ვ. ბარნოვი).

მესამე ეტაპად აღიარებულია XX საუკუნის დამდეგის კრიტიკული რეალიზმი. (ირ. ევდოშვილი, ჭ. ლომთათიძე და სხვ.).

გ. ციციშვილი წერს, რომ შ. დადიანმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო XIX ს. 90-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის იდეურ-მხატვრული გავლენით, მაგრამ შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რუსეთის პირველი რევოლუციის ზეგავლენით მისი შემოქმედება უფრო დაუახლოვდება XX ს. კრიტიკული რეალიზმის პოზიციებს, ხოლო შემდეგში ამ პერიოდის კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი იღება.

მკვლევარი კიდევ უფრო აზუსტებს შ. დადიანის შემოქმედების ბუნებას, როდესაც ის ახდენს მწერლის შემოქმედების მეცნიერულ პერიოდიზაციას.

მკვლევარის აზრით, შ. დადიანის შემოქმედება სამ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი მოიცავს მწერლის შემოქმედებით გზას 1904 წლამდე. ის იწყება ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ 1896 წელს შ. დადიანის მიერ გამოქვეყნებული პირველი ნაწარმოებით („წმინდა ცრემლები“) და მთავრდება 1904 წელს დაწერილი მინიატურებით („ჩამოკრულები“ — „სიხარულის არის ცრემლები“, „მონა-ყმა-მუშა“, „ენგური“). ხატოვანად თუ ვიტყვით, ორ ცრემლშუაა მოქცეული პირველი პერიოდი („წმინდა ცრემლები“ — „სიხარულის არის ცრემლები“).

გ. ციციშვილი შენიშნავს, რომ შ. დადიანმა პირველ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებები გააერთიანა ციკლში „სიჭაბუკის კოინდარზე“.

მეორე პერიოდი (1905-1921 წ. წ.) მოიცავს მწერლის მოღვაწეობის მთელ რევოლუციამდელ ხანას („ჩამოკრულები“, „მღვიმეში“, „როხ ნადიმობდნენ“ და სხვ.).

მკვლევარი მეორე პერიოდს პირობითად ჰყოფს ორ ქვეპერიოდად: (1904-1909 წ.წ. და 1909-1921 წ.წ.) პირველი ქვეპერიოდი მოიცავს რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის სულისკვეთებით შექმნილ ნაწარმოებებს, ხოლო მეორე ქვეპერიოდი — XX ს. დასაწყისის კრიტიკული რეალიზმის მეთოდით შექმნილ ნაწარმოებებს.

მესამე პერიოდი მოიცავს მწერლის მიერ საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ნაწარმოებებს. ეს არის სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილი ნაწარმოებები.

ასეთია კონკრეტული შედეგები, პერიოდიზაციის დარგში, რომელიც მიიღო მონოგრაფიის ავტორმა შალვა დადიანის შემოქმედების მეცნიერული კვლევის შედეგად.

ამგვარი პერიოდიზაცია მკვლევარს სათანადოდ, დამაჯერებლად აქვს დასაბუთებული.

მკვლევარი იძლევა შ. დადიანის შემოქმედებაზე და მსოფლმხედველობაზე რუსეთის სამივე რევოლუციის გავლენის მეცნიერულ სურათს, აღნიშნავს შ. დადიანის ზოგიერთ იდეურ შეცდომას, ხატავს ასევე მისი მსოფლმხედველობის მარქსიზმ-ლენინიზმისაკენ ევოლუციის დიალექტიკურ სურათს.

მკვლევარი მეცნიერულად შიფრავს „ჩამოკრულების“ რთულ ალეგორიულ-სიმბოლურ ქარაგმებს, ადგენს შ. დადიანის ალეგორიათა რევოლუციურ-რეალისტურ ხასიათს, ხაზს უსვამს მათ ორიგინალობას და მიჯნავს შ. დადიანის სიმბოლიკას დეკადენტური სიმბოლიკისაგან, როგორც ერთგვარად მის ანტიპოდს, გამობ-

ყოფს შ. დადიანის სტილის ძირითად ნიშნებს.

ეს მუშაობა მოითხოვდა კვლევისა და აზროვნების ფილიგრანულ ტექნიკას. სწორედ ასეთი ტექნიკით ასრულებს ამ სამუშაოს მონოგრაფიის ავტორი.

მკვლევარი ხაზს უსვამს ჭაბუკი ი. ჭავჭავაძის თერგისა და ახალგაზრდა შ. დადიანის „ენგურის“ შინაგან კავშირს.

მეტაფორულად რომ ვთქვათ, ილიას თერგი და შალვას ენგური თითქმის ერთ იდეურ-მხატვრულ კალაპოტში მიედინება.

„ჩამოკრულების“ ანალიზი ლიტერატურათმცოდნეობის უახლესი მიღწევების შუქზე, ისტორიულ ძვრებთან მიმართებაში, მკვლევარის დიდ ოსტატობაზე მიუთითებს.

მხოლოდ ასეთი ანალიზის შემდეგ ხდება შესაძლებელი თავისი ადგილის მიჩენა როგორც მწერლისათვის, ისე მისი ნაწარმოებისათვის ლიტერატურულ პროცესში და ლიტერატურის ისტორიაში.

შალვა დადიანის დიდი ოსტატობა გამჟღავნდა იმაში, რომ მთელი ეპოქა მინიატურაში მოათავსა, ხოლო მკვლევარმა და კრიტიკოსმა მეცნიერული სიზუსტით დაგვანახა ამ მწერლური ოსტატობის ყველა ნიუანსი და დეტალი.

მკვლევარი სწორად შენიშნავს, რომ „ი. ევდოშვილმა მცირე ფორმას რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსი დაუდო საფუძვლად, შ. არაგვისპირელმა იგი ფილოსოფიური გააზრებით და ფსიქოლოგიზმით გაამდიდრა, ჭ. ლომთათიძემ ნაზი ლირიზმი შესძინა, ხოლო ვ. ბარნოვმა ალეგორიულ-სიმბოლური გააზრებით გაამრავალფეროვნა“. მკვლევარის შენიშვნით, შ. დადიანის მინიატურებს სინთეზურად ახასიათებთ ყველა ეს თვისება.

შ. დადიანზე გვიან „მცირე პროზის ფორმის“ განვითარებაში ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა ნიკო ლორთქიფანიძემ.

შ. დადიანმა ცნობილი ჰოლანდიელი მწერლის მულტატულის გავლენაც განიცადა მინიატურის ჟანრის განვითარების პროცესში.

მკვლევარი გამოყოფს შ. დადიანის შემოქმედებაში ინტელექტუალური პროზის ადრეულ ნიმუშებს. („სამსონის თმები“ და სხვ.).

მკვლევარი შ. დადიანის რევოლუციამდელი პროზის მეცნიერული გარჩევის ნიადაგზე ასკვნის, რომ ის მთლიანად და სავსებით ეფუძნება მხატვრული რეალიზმის მეთოდსა და პრინციპებს“. (გვ. 206).

შალვა დადიანი არ მოქცეულა დეკადენსის გავლენის ქვეშ. პირიქით, ამ პერიოდში პირველად იჩინა თავი მის შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმის ნიშნებმა („მღვიმე“, „როს ნადიმობდნენ“).

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონოგრაფიის ავტორი იძლევა შალვა დადიანის საბჭოთა პერიოდის პროზის დეტალურ ანალიზს.

განსაკუთრებული განხილვის საგანია ისტორიული რომანი „გიორგი რუსი“, მისი შემოქმედებითი, იდეურ-მხატვრული არსენალი, მისი ადგილი ლიტერატურის ისტორიაში.

გ. ციციშვილი, როგორც აღვნიშნეთ, სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ „გიორგი რუსი“ პირველი ისტორიული რომანია მთელს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში. (ის, როგორც ითქვა, ალ. ტოლსტოის „პეტრე პირველზე“ ადრე დაიწერა).

მონოგრაფიის ავტორი ობიექტურად აღნიშნავს რომანის იდეურ-მხატვრულ ღირსებებს და იმავე დროს ასევე ობიექტურად აკრიტიკებს „გიორგი რუსის“ ცალკეულ შეცდომებს, ძირამდე მიჰყვება მათ წარმომშობ მიზეზებს.

გ. ციციშვილი ეყრდნობა გამოჩენილი ქართველი ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის ლევან ასათიანის დებულებებს ისტორიული რომანის შესახებ.

გ. ციციშვილი პირველად აქვეყნებს ამ ნაშრომში ივ. ჯავახიშვილის წერილს შალვა დადიანისადმი „გიორგი რუსის“ გამო. ეს რომანი მოსწონდა დიდ ქართველ მეცნიერს.

ამ რომანში ცხადად ვლინდება შ. დადიანის ინტერნაციონალიზმი.

მკვლევარი წერს: „შ. დადიანის „გიორგი რუსი“ იყო ახალი სიტყვა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მან დასაბამი მისცა ახალ ჟანრს — ქართული საბჭოთა ისტორიულ რომანს“ (გვ. 238).

ეს რომანი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიულ რომანებს, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ამ ჟანრის განვითარებაში.

მკვლევარი მიმოიხილავს შ. დადიანის „ურდუმსა“ და ტრილოგია-ეპოპეა „მენჯი რობუს“.

„შეიძლება ითქვას დაასკვნის მკვლევარი — რომ „ურდუმი“ არის პირველი ნაწარმოები, სადაც ასე სრულად და კარგად გამოჩნდა შალვა დადიანის მიერ თავისი ქვეყნის წარსულის ღრმა ცოდნა, ისტორიაში ხალხის როლის სწორი გაგება და მისი შთამბეჭდავად ასახვის უნარი“. (გვ. 245).

„მენჯი-რობუს“ ციკლიდან, — ამ დიდ ტრილოგიად ჩაფიქრებული მხატვრული ტილოდან, — შალვა დადიანმა მხოლოდ ერთი რომანის“ — „გვირგვილიანების ოჯახის“ გასრულება მოასწრო.

მკვლევარი იძლევა ამ რომანის იდეურ-მხატვრული არსენალის ფართო ანალიზს. ეს ანალი-

ზი უფრო სრული და მრავალმხრივი ჩანს, ვიდრე „გიორგი რუსის“ ანალიზი.

მკვლევარი კრიტიკულ ანალიზს უკეთებს შალვა დადიანის ომისდროინდელ პროზას.

მკვლევარი იძლევა შ. დადიანის მემუარისტიკის („რაც გამახსენდა)...) მაღალ შეფასებას.

* * *

შალვა დადიანის დრამატურგია ვრცლად არის განხილული გიორგი ციციშვილის მონოგრაფიაში.

მონოგრაფიის ავტორი იძლევა შ. დადიანის სიჭაბუკის დროინდელ პიესების „მლვიმეს“ და „როს ნადიმობდნენ“ ალეგორიულ-სიმბოლური სახეებისა და ამ სახეთა სისტემის სწორ მეცნიერულ-კრიტიკულ ანალიზს, მხოლოდ ამგვარმა ანალიზმა წარმოაჩინა ამ პიესების განსაკუთრებული როლი და ადგილი არა მარტო შ. დადიანის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ ლიტერატურაში. აქ საოცრად ცხადად ჩანს კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის როლი.

შ. დადიანის პიესები ნართაულად, „ჩამოკრულად“, ასე ვთქვათ, გარკვეული თვალსაზრისით, როგორც ლენინი იტყოდა, „ეზოპეს ენით“ არის დაწერილი, და მათი იდეური და მხატვრული არსენალი სრულფასოვნად წარმოაჩინა მკვლევარმა, როდესაც გაათავისუფლა ისინი ალეგორიულ-სიმბოლური სამოსელისაგან, უფრო სწორად, დიალექტიკის კატეგორიების ენით რომ ვთქვათ, როდესაც მკვლევარმა მოვლენის იქით არსი დაინახა. იმ არსის დანახვას კი თეორიაში ღრმად წვდომა და მხატვრული მოვლენის თეორიული ინტერპრეტაციის დიდი პრაქტიკული გამოცდილება სჭირდებოდა.

სწორია მკვლევარის დასკვნა იმის შესახებ, რომ „რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში (ლ. ქიაჩელის „ტარიელ. გოლუას“ გარდა) ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ეპიკური ან დრამატურგიული ნაწარმოები (იმ ბობოქარ პერიოდში შექმნილი), რომელიც ამ პიესაზე მეტი სისრულით იძლეოდეს 1905 წლის რევოლუციის უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პერიოდის მთლიან სურათს. (გვ. 305).

სწორად შენიშნავს მკვლევარი. რომ „მლვიმეში“ პირველად იჩენს თავს შ. დადიანის შემოქმედებაში რევოლუციური რომანტიზმი, რომელიც შემდეგში სოციალისტური რეალიზმის უმნიშვნელოვანესი ნიშანდობლივი თვისება გახდა.

„მლვიმის“ ანალიზი სამაგალითოა თავისი თეორიული სიღრმით და ობიექტურობით. იგივე ითქმის პიესის „როს ნადიმობდნენ“ კრიტიკულ ანალიზზე.

მკვლევარი ცხადად გვიჩვენებს შ. დადიანის შემოქმედებაში კრიტიკული რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებას. (პიესა „შენი ჭირიმე“).

„შენი ჭირიმე“ მკვლევარის აზრით ქართული კრიტიკული რეალიზმის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

მკვლევარი განიხილავს შ. დადიანის ისტორიულ პიესებს „გეგეჭკორი“, „ვარამი“ და, — ავლებს რა გარკვეულ პარალელებს ისტორიული თემის დამუშავებასთან შ. დადიანის პროზაში („გიორგი რუსი“, „ურდუმი“) — მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრების შუქზე ახასიათებს შ. დადიანის ისტორიზმს.

მკვლევარი შენიშნავს, რომ („გიორგი რუსისაგან“ განსხვავებით). „ვარამი“ არის ისტორიული წარსულისადმი რეალისტური მიდგომის მაგალითი, „გეგეჭკორი“ კი პირველი ისტორიული დრამა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც მიზნად ისახავდა მასების, ხალხის რევოლუციური მოძრაობის ფართოდ ჩვენებას. (გვ. 352). მართალია ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ვერ შეძლო ავტორმა, მაგრამ ამ ნაწარმოებებით ასეთი დრამის შექმნისაკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ასეთია მკვლევარის აზრი.

კომედია „გუშინდელნი“, მკვლევარის აზრით, „რევოლუციამდელი ქართული დრამატურგიის მიღწევად არის აღიარებული და ქართული ლიტერატურული კლასიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს ეკუთვნის“ (გვ. 372).

შ. დადიანმა ამ პიესაში სხვა მთელ რიგ საკითხებთან ერთად, სასტიკად გაილაშქრა დენაციონალიზაციის წინააღმდეგ.

ეს ნაწარმოები ქართული დრამატურგიის კლასიკური ქმნილებაა.

მკვლევარი დაწვრილებით იხილავს შ. დადიანის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილ დრამატურგიულ ნაწარმოებებს.

„კაკალ გულში“ (1928 წ.) იყო შ. დადიანის პირველი საბჭოთა პიესა. ეს პიესა იმავე წელს დადგა დიდმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა.

„შ. დადიანის პიესა „კაკალ გულში“ მიმართული იყო საბჭოთა აპარატის ნაკლოვანებათა მხილებისაკენ, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისაკენ, სახელმწიფო დაწესებულებათა გაჯანსაღებისაკენ. ამაში მდგომარეობს მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი ღირსება. იგი ხელს უწყობდა ჩვენს წინსვლას და აადვილებდა ნაკლოვანებებთან ბრძოლას“ — სავსებით მართებულად წერს მონოგრაფიის ავტორი.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მკვლევარის აზრს იმის შესახებ. რომ „კაკალ გულში“ იყო ერთ-ერთი ყველაზე თამამი და ნოვატორული პიესა ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში (გვ. 395).

„კაკალ გულში“ იყო პირველი ქართული საბჭოთა სატირული კომედია.

გ. ციციშვილი სწორად შენიშნავს, რომ ეს

პიესა ებრძვის უდისციპლინობას, მექრთამეობას, პროტექციას, ძმა-ბიჭობას, საბოტაჟს, ბიუროკრატიზმს, მლიქვნელობას, გულგრილობას და ა. შ., ამაღლებს კომუნისტურ სიფხიზლეს.

ამ მხრივაც ის სავსებით თანამედროვე პიესაა, სავსებით ეხმიანება ჩვენი დღეების საქართველოს კურსს.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიის ისტორიაში პირველად ამ პიესაშია დახატული პარტიული ხელმძღვანელი.

მკვლევარი ოსტატურად იყენებს გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის ბესარიონ ჟღენტის შეხედულებებს შ. დადიანის პიესაზე „კაკალ გულში“.

გ. ციციშვილი ხაზს უსვამს შ. დადიანის მიერ ამ პიესაში კომკავშირის როლის ჩვენების სპეციფიკას. შენიშნავს, რომ შ. დადიანმა ამ ნაწარმოებში, ისევე როგორც ა. ბეზიმენსკიმ თავის სატირულ კომედიებში, გადაჭარბებით შეაფასა კომკავშირის ავანგარდული როლი. პარტიაზე უფრო მაღლაც კი დააყენა, რაც, რა თქმა უნდა, არასწორი იყო.

გ. ციციშვილის დასკვნით პიესა „ცოცხი და ლოკოკინა“ (1930 წ.) პირველი ქართული პიესაა, რომელიც ასახავს მუშათა კლასის ცხოვრებას, ძვრებს სოციალისტურ მრეწველობაში, ახალ დამოკიდებულებას შრომისადმი.

გ. ციციშვილის ამ პიესის გმირი ქალის მაკრინეს ბედს — გორკის „დედის“ ბედს ადარებს და მათ შორის ბევრ მსგავსებას ხედავს.

შ. დადიანს ხვდა წილად პირველს მოეკიდა ხელი დრამატურგთა შორის საბჭოთა ქალის ხასიათის შექმნისათვის. („კაკალ გულში“, „ცოცხი და ლოკოკინა“).

ჩვენ ხშირად ვახსენებთ, რომ დადიანი იყო პირველი მეგზური, ახალი გზის გამკაფავი მხატვრული შემოქმედების ბევრ სფეროში.

ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ მკვლევარი ბევრჯერ ანიჭებს პირველობის პალმას შალვა დადიანს, ხოლო რეცენზენტი მას კვერს უკრავსო.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. შალვა დადიანს მართლაც საოცარი ბედი არგუნა არსთა განმრიგემ. მართლაც იყო ის ბევრ რამეში პირველი არა მარტო ქართულ მწერლობაში, არამედ მთელ საბჭოთა და, მაშასადამე, მსოფლიო მწერლობაშიც, რადგანაც საბჭოთა მწერლობა ამ უკანასკნელის ავანგარდში დგას.

ფრთხილი მკითხველი ისევ იკითხავს:

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ხომ არ ნაღდღლავს შალვასათვის ამდენი პირველობის პალმის მინიჭება სამწერლო ასპარეზზე მის შემდეგ გამოსულ დიდებულ მწერალთა მთელ პლეადებს? კლასიკოსთა პლეადებს?

არა და არა! რადგანაც აქ ლაპარაკია უპირატესად პირველობაზე ქრონოლოგიის თვალსაზრისით. მწერლობა ოლიმპიური შეჯიბრება არ არის (თუმცა მწერლობაში ბევრი შუბლდადაფნული ოლიმპიელი გვეგულება!) და ამიტომ ქრონოლოგიურად პირველი ყოველთვის თვისობრივი თვალსაზრისითაც პირველს როდი ნიშნავს.

როცა მკვლევარი წერს, რომ „კაკალ გულში“ პირველი საბჭოთა სატირული კომედიააო, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ პიესის ავტორი „აბანოს“ ან „ბაღლინჯოს“ ავტორზე მაღლაა დაყენებული. არა ამ შემთხვევაში ხაზი გაესვა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის ფაქტს!

იგივე ითქმის „გიორგი რუსისა“ და „პეტრე პირველის“ შესახებ და სხვ. მაგალითებზე.

ზედგამოჭრილია გავაკეთოთ ვოლტერის ერთი სენტენციის პერიფრაზი: ზოგიერთი მეორე ზოგჯერ ისე ბრწყინავს, რომ თვით პირველს ანათებსო. ასე რომ ისტორიული ქრონოლოგიით მეორენი, ზოგჯერ ქრონოლოგიით პირველზე მეტს ნიშნავენ ისტორიაში. ასეთ შემთხვევაში პირველთა პირველობის ხაზგასმა მეორეთა დაჩრდილვა არ არის. პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება მათი წარმოჩენაც იყოს, რადგანაც პირველის გამოყოფით და შემდეგ სხვების მასთან შედარებით, უფრო ნათლად გამოჩნდება როგორც პირველის, ისე უკანასკნელთა ღირსება-ნაკლოვანებანი.

პიესა „არაფერიც არ იქნება“ შ. დადიანმა სოციალისტურ სოფელს უძღვნა: კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციას და კოლექტივიზაციას.

ამ პიესის ერთ-ერთ გმირს შალიკოს, რომელიც მუშათა კლასმა გამოგზავნა სოფლად „ოცდაათათასელთა“ არმიასთან ერთად, გ. ციციშვილი სამართლიანად ადარებს მ. შოლოხოვის რომანის „გატეხილი ყამირის“ გმირს დავიდოვს.

შ. დადიანი ქმნის, როგორც ვთქვით, პირველ საბჭოთა ოპტიმისტურ ტრაგედიას „თეთნულდს“. გ. ციციშვილი კვლავ ოსტატურად იყენებს „თეთნულდის“ შეფასებისას გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის, ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და თეატრის ცოცხალი ენციკლოპედიის ბესო ჟღენტისეულ შეფასებას.

მკვლევარი სწორად უსვამს ხაზს, რომ შ. დადიანი ამ ტრაგედიის შექმნის დროს განიცდის შექსპირის, შილერის, ი. ჭავჭავაძის გარკვეულ გავლენას.

ლაპარაკია გავლენაზე და არა სესხებაზე.

გავლენის გარეშე არც ერთ შემოქმედს არასოდეს არაფერი არ შეუქმნია. მთავარია ვინ როგორ დაძლია ის და როგორ დაიმკვიდრა ორიგინალური შემოქმედის სახელი.

„თეთნულდი“ რუსთაველის თეატრში დადგეს სანდრო ახმეტელმა და აკაკი ვასაძემ (1931-1932 წ. წ. სეზონში).

შალვა დადიანმა შექმნა პიესა „უწა-უწა“ — მომსახურების სფეროს მუშაკთა შრომასა და

ცხოვრებაზე, მათ პრობლემებზე. ეს პიესა ერთ-ერთ მუშათა სასადილოს ცხოვრებას გვიხატავს.

შ. დადიანი შემდეგ წერს ტრაგედიას „ბარათაშვილი“. მისი შექმნის ნოვატორული მეთოდი, მკვლევარის აზრით, სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. გ. ციციშვილი შენიშნავს, რომ იმავე მეთოდით მაგრამ ორიგინალურად შეიქმნა გვიან მ. მრევლიშვილის პიესა „ბარათაშვილი“.

შ. დადიანმა კიდევ ერთი პირველობის პალმა დაისაკუთრა.

საბჭოთა არმიის ცხოვრებას უძღვნა შ. დადიანმა ორი პიესა „სამი ხანა“ და „მწვერვალი“.

დიდი ადგილი უჭირავს შალვა დადიანის შემოქმედებაში ამერიკის იმპერიალიზმის მხილებას, ამერიკული ცხოვრების ნირის კრიტიკას. („შავი ქვა“, „ცოცხი და ლოყოყინა“, „კაკალ გულში“). ამ მხრივ შ. დადიანი გორკისა და მაიაკოვსკის ტრადიციების მემკვიდრეა.

ფადეევმა, ფედინმა და საბჭოთა ლიტერატურის სხვა კლასიკოსებმა შალვა დადიანს „სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი“ უწოდეს.

გიორგი ციციშვილი მონოგრაფიის წინასიტყვაობაში წერს: „მიუხედავად ჩვენი ცდისა, მაინც შეიმჩნევა, რომ წიგნში ზოგიერთი მომენტი ვერ არის საჭირო სისრულით წარმოდგენილი. ვიმედოვნებთ, რომ ოდესმე ამ ხარვეზსაც შევავსებთ“.

ზოგიერთი კრიტიკოსი ასეთი განცხადებით მხოლოდ ეტიკეტს იცავს. ამ შემთხვევაში კი ჩვენ საქმე გვაქვს მაღალი შინაგანი კულტურის მქონე მკვლევარის აზრებთან, მკვლევარისა, რომელიც კრიტიკულად, მაგრამ ობიექტურად უდგება თვით კლასიკოსის ნაწარმოებებს, (ამ შემთხვევაში, შ. დადიანს), ამ კლასიკოსის სხვა მკვლევართა კრიტიკულ შენიშვნებს, და, რაც მთავარია, ორჯერ კრიტიკულად საკუთარ ნაწარმოებს.

ეს შესაშური თვისებაა.

გვაქვს რამდენიმე სურვილი და მოკრძალებული შენიშვნა.

კარგი იყო მონოგრაფიაში უფრო ფართოდ და სრულყოფილად გვეჩვენებინა დადიანის დრამატული ქმნილებების ინტერპრეტაცია სხვადასხვა თეატრში (საქართველოში, საბჭოთა კავშირში, საზღვარგარეთ).

კარგი იყო გვეჩვენებინა შ. დადიანის ლიტერატურული ნაწარმოებების ბედი საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. (მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე).

მონოგრაფიის შემდეგი გამოცემის დროს სასურველია ან სულ გამოირიცხოს, ან მინიმუმამდე შემცირდეს ცალკეული, ერთგვარი თითქოს ტავტოლოგიური მომენტები. (ეს ძირითადად ეხება მწერლის ბიოგრაფიულ ფაქტებს და ნაწარმოებთა „ბიოგრაფიას“).

ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი შ. დადიანის გმირთა პროტოტიპებზე მეტი ყურადღების გამახვილება? (ვფიქრობთ, მაგალითად, „გვირგვილიანების ოჯახის“ გმირთა ანალიზის დროს, მონოგრაფია მოიგებდა, რომ ნაჩვენები იყოს, ერთ-ერთი გმირის, კერძოდ, ვამეხის პროტოტიპი — ი. ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის თანამებრძოლი, XIX ს. ცნობილი ქართული პუბლიცისტი და ჟურნალისტი დ. ჩქოტუა. იქნებ ამ ფაქტის გათვალისწინებას ახალი ნიუანსი შეეტანა რომანის გმირთა ანალიზში?).

ქორო ისევ გაცოცხლდა XX საუკუნის შუა წლების დრამატურგიაში (თუნდაც რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლებში „როცა აქეთი სიყვარულია“, „ირკუტსკის ისტორია“ და სხვ., რომ არაფერი ვთქვათ მოსკოვის თეატრებზე). ამასთან დაკავშირებით ხომ არ შეიძლებოდა გადასინჯულიყო მონოგრაფიაში გამოთქმული დამოკიდებულება „თეთნულდის“ ქოროსა და საბჭოთა ტრაგედიაში ქოროს მიმართ? ან იქნებ სხვა ავტორთა დრამატულ ნაწარმოებებში ქოროს კვლავ გაცოცხლებასთან დაკავშირებით ახალი ნიუანსები ხომ არ უნდა შემატებოდა „თეთნულდში“ და საერთოდ თანამედროვე ტრაგედიაში ქოროს როლის შეფასებას?

საინტერესო წიგნი ყოველთვის აღძრავს ათას ფიქრს, სურვილს და კითხვას...

გიორგი ციციშვილის მონოგრაფია „შალვა დადიანი“ ყველა თაობის მკვლევართა და კრიტიკოსთა ყურადღებას მიიქცევს, რადგანაც ის გამოირჩევა ავტორის ფართო ერუდიციით, ობიექტური კვლევით, პრობლემების ჭეშმარიტად მეცნიერული დამუშავებით, ფორმულირებათა და დასკვნათა სიზუსტით, აზრის განვითარების დიალექტიკური ლოგიკით. ეს მონოგრაფია თანამედროვე ქართული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მეტად საჭირო და ღირსეული შენაძენია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყაისინ ყულიევი

# ჩემი საქართველო

## ხალასი გული

ჩვენი საუკუნის შესანიშნავი პოეტის ტიციან ტაბიძის სახელს მუდამჟამს ვახსენებ, როგორც ჩემთვის ძვირფას და ახლობელ სახელს. მხოლოდ ღია გულს, ძლიერ შთაგონებას და ნამდვილ ტემპერამენტს შეეძლო ეკარნახა ასეთი გულშიჩამწვდომი სტრიქონები:

> მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,
> ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
> ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
> რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

უშუალობა და პირდაპირობა, მიწიერი სილამაზის, ესე იგი, თვით ცხოვრების სიყვარული — აი ტიციან ტაბიძისათვის დამახასიათებელი თვისებები. არიან პოეტები, რომლებიც ისეთი მღელვარებით და შთაგონებით, ისე ემოციურად ქმნიან, რომ მათი ნაწერების კითხვა სულს შეგიძრავს, თითქოს უფსკრულის პირას მიდიხარ. ტიციან ტაბიძე სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის. ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვუბრუნდები მის პოეზიას და ყოველთვის მაღელვებს მისი შედევრები „მე არ ვწერ ლექსებს", „მაშ გამარჯვება", „მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი", „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე", „რიარია". მის თანამედროვე პოეტთა შორის, შესაძლოა, მხოლოდ ერთი ხერგეი ესენინი იყო ასეთი გულღია პოეტი. ტიციან ტაბიძე დაბადებული იყო შემოქმედებისათვის, იგი ყველაფრით პოეტი იყო — იწვოდა საქართველოსათვის, კავკასიელის სახელისათვის, ამქვეყნად ყოველივე ნამდვილისათვის, იწვოდა ისე, რომ ჩვენ ამას მთელი ძალით ვგრძნობთ.

მე ბედმა გამიღიმა და დამწყები ლიტერატორი რამდენჯერმე შევხვდი. ტიციან ტაბიძეს, ვესაუბრე მას. ეს ერთი იმ ნათელ მოგონებათაგანია, რომელიც დიდ პოეტებთან შეხვედრის შემდეგ დამრჩა. მათ შორის უნდა დავასახელო პასტერნაკი, ახმატოვა, ტვარდოვსკი, ლეონიძე, ჩიქოვანი, ნერუდა, ალბერტი, ფაიზ ახმად ფაიზი.

ტიციანის სახე თითქოს მთის ჯიშის ერთიანი გრანიტისაგან არის გამოკვეთილი. მისი თანამოსაუბრე მაშინვე გრძნობდა, რომ დიდ ადამიანთან ჰქონდა საქმე. მე ტიციანს ისე შევცქეროდი, როგორც ყაზბეგის მთას. წითელი მიხაკიც მახსოვს, გულზე რომ ჰქონდა დაბნეული და ახლაც ხშირად რომ იხსენებენ: ვფიქრობ, ქართველი პოეტის სახე, მთელი მისი არსი განუმეორებლად და კარგად გადმოგვცა პასტერნაკმა ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსში.

ტიციან ტაბიძე წერდა:

> მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,
> შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი.

ამ სტრიქონების წაკითხვისას თითქოს მესმის ნამდვილი, ტრაგიკული ხმა, რომელიც მიმართულია უკვდავი სამშობლოსადმი, მიწიერი სილამაზისადმი.

მისი ყველაზე დიდი სიყვარულის — საქართველოს პირისპირ მდგარი ვუპასუხებ ჩემს ძვირფას თანამოძმეს:

— მე მესმის შენი! შენ ყოველთვის ცოცხალთა შორის ხარ. პოეზია მარად ცოცხლობს. დღეს — მისი ნათელი ხსოვნის დღეს — ჩვენ ვიმეორებთ და ვამტკიცებთ, რომ ტიციან ტაბიძე იყო და იქნება ერთი საუკეთესო საბჭოთა პოეტთაგანი, ყოველ კუთხეში საყვარელი, რომ იგი საქართველოს, მთელი კავკასიის და მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს უმწიკვლო და

---

დასასრული იხ. „მნათობი", № 11 1976 წ.

უპატრონნესი შვილი იყო. მესმის სიცოცხლის მოტრფიალე, დრამატიზმითა და სიყვარულით აღსავსე მისი ხმა:

მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.

ტიციან ტაბიძის პოეზია არ ჩამოშორდება ცხოვრებას, იგი მარად დარჩება ხალხში.

1968

## მწვანე ხის სიმღერა

საქართველოს მწვანე ველები, თოვლი, მწვერვალები, ლურჯი ზღვა, უძველესი ტაძრების, ციხეების, კლდეების მუქი სილუეტები... ქვათა მუდმივი დუმილი და ნაკადულების ჩუხჩუხი... გლეხის შრომა და მებრძოლის გმირობა... სწავლულის ბრძნული აზრები და მხატვრის დაუოკებელი ფანტაზია. საქართველო! რა მშვენიერია იგი თავისი კონტრასტებით, რა განუმეორებელია მისი სახე! ეს მხარე უყვარდათ დიდსა და პატარა პოეტებს — პუშკინითა და ლერმონტოვით დაწყებული და მიხეილ ლუკონინით და ჩემით დამთავრებული. ვინც მას ერთხელ ნახავს, არასოდეს დაავიწყდება, როგორც არ ავიწყდებათ დედის სახე, თვალები, ხელები და ხმა, როგორც არ ავიწყდებათ საკუთარი ბავშვობის სამყარო, მისი სხივი და სიმსუბუქე, მისი განთიადის ელფერი, მისი მაღალი ცის ფერი, მისი ნაირფერადი ბედნიერი სიზმრები. ამიტომ შევიდა საქართველოს სახე სამუდამოდ დიდ რუსულ პოეზიაში. ცნობილი რუსი პოეტებისათვის რა სასიამოვნო იყო ცქერა საქართველოს ლურჯი ცისა, კახეთის და არაგვის ველებისა, თბილისის ტერასებისა და აივნებისა, რა მართალი და მომხიბვლელია პუშკინის სტრიქონები:

სალამოს ბინდი საქართველოს მთებზე
დაეშვა,
ჩემს წინ არაგვი მიბორგავს ქშენით.

აი რა დაინახა ლერმონტოვის დემონმა:

ფერთა წარმტაცი გაცხოველებით
გადაიშალა სხვა ბრწყინვალება:
წინ საქართველოს ტურფა ველები
დაფენილიყვნენ ფერთა ხალებად.
აჰა, ქვეყანა, სავსე შვებითა!

ქართული პოეზია — მსოფლიო მოვლენაა.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ მსოფლიო აღფრთოვანებულია. დღესაც — მისი შექმნის რვაასი წლის შემდეგ შოთა რუსთაველი სულ ახალი და ახალი თაობების თანამედროვე ხდება.

მინდა კიდევ ერთხელ გავიხსენო ცნობილი რომანტიკოსი პოეტი — ნიკოლოზ ბარათაშვილი; მოვიგონოთ ქართველი ხალხის აზროვნების მბრძანებელი ორი დიდი პოეტი, ერის სულიერი მოძღვარნი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი; ბუმბერაზი, მკაცრი მთიელი, მიწისა და ვაჟკაცობის პოეტი ვაჟა-ფშაველა. იგი პოეზიაში უზარმაზარი მთის მსგავსად არის აღმართული, თვითმყოფადი და ძლიერია, მხოლოდ თავის თავსა ჰგავს.

საქართველომ ჩვენს დროშიც მოგვცა მთელი თანავარსკვლავედი გამოჩენილი პოეტებისა. ვისთვისღა არ არის ძვირფასი, ვინც კი ლექსებს კითხულობს, მრავალფეროვანი ქმნილებები გალაკტიონ ტაბიძისა, პაოლო იაშვილისა, ტიციან ტაბიძისა, გიორგი ლეონიძისა?

აი თუნდაც მათი უმცროსი ძმა — ერთი ნათელი ვარსკვლავთაგანი ამ ბრწყინვალე თანავარსკვლავედისა, გულში ჩამწვდომი, უზადო მხატვარი, ერთი ჩემი საყვარელი პოეტთაგანი სიმონ ჩიქოვანი. მხატვრისთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ნიჭის ძალას, ალღოს და ცხოვრების გამოხატვის სიმართლეს, და არა ამა თუ იმ სკოლის მიკუთვნებას. ეს მტკიცდება სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაშიც, რომელიც ჯერ კიდევ სამამულო ომამდე გახდა საბჭოთა პოეზიის ერთი აღიარებული ოსტატთაგანი. კავკასიელ პოეტთა შორის იგი მაღალი კულტურით, მშობლიური მიწის ისტორიის მძაფრი და ღრმა გრძნობით გამოირჩეოდა. საოცარი და ხელშესახებია მისი ლექსები ქართველ ხუროთმოძღვრებზე, მხატვრებზე, პოეტებზე. თავად ბრწყინვალე ოსტატს, სიმონ ჩიქოვანს მხურვალედ უყვარდა შემოქმედებითი ძლიერება და ფანტაზია წარსული ოსტატებისა, ადიდებდა მათი ნამუშევრის სილამაზეს, იზიარებდა მათი ბედის ტრაგედიას. წაიკითხეთ პოეტის ლექსები — „ვარძიის ჩუქურთმისმჭრელი“, „ვეფხისტყაოსნის გადამწერი ოსტატები“, „ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი“ და მრავალი სხვა.

მშობელი მიწის ოსტატებზე ასე გულშიჩამწვდომად, ასეთი სიხარულით და ტკივილით წერა მხოლოდ ძალზე დიდ პოეტს შეუძლია, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებს ხალხის დიდებას და კარგად ესმის ისტორიის მსვლელობის დრამატიზმი. თავდავიწყებით, მხურვალე სიყვარულით უმღერა სიმონ ჩიქოვანმა ქართულ მიწა-წყალს, მის მთა-ველებს და კლდეებს, მის ქვებს და ხეებს, ცას და მდინარეს, ბალახს და ვაზს, წვიმას და თოვლს, მთაწმინდის განთიადს და თბილისის ღამეებს, მთვარით განათებულ მის აივნებს, მებადურს, რომელიც განთიადისას მოვიდა მტკვრიდან ცოცხალი თევზებით. როგორ ელაპარაკებოდა იგი სვანეთის ბუმბერაზ მთებს და მასზე მცურავ ჩაფიქრებულ ღრუბელს! როგორც ნამდვილმა

ფერმწერალმა, დიდი გულუხვობით და შესაშური თავისუფლებით შესძლო შემოეტანა თავის მრავალმხრივ და მრავალფერად პოეზიაში მშობლიური მიწის ფერები, მისი უკვდავი სახე.

ჩვენ, თანამედროვეთაგან, ცოტანი თუ გავუწევთ მას მეტოქეობას თვალწარმტაც სახეთა დახატვისას:

ზღვაზე მზე დადგა, როგორც ირემი,
ალანდა რქები მოლურჯო ბროლში,
ალვები, როგორც ტურფა ცირები,
დაისს ელიან სამეგრელოში.

ანდა:

იადონიც ჰყეფს, ნაცვლად შაშვისა,
დილით ალებენ ქალები ქართას.
და ფარშავანგის ფრთებით გაშლილა
დაჯახებული ჰადრები ქართან.

**სიმონ ჩიქოვანს — ემოციური ხასიათის პოეტს დრამატიზმისა და ისტორიის მკვეთრი გრძნობა ჰქონდა; მძიმე ავადმყოფობის ჟამსაც, რაც მას განსაკუთრებით მისი მშვენიერი და შთამაგონებელი ცხოვრების ბოლო წლებში არგუნა ბედმა, ბოლომდე დარჩა სიცოცხლის მოყვარული. მისთვის ძვირფასი იყო ამ მიწის უკვდავი ფერები და უძლეველი ძალა შემოქმედებისა. ვაჟკაცური ადამიანი და მოქალაქე, სიმონ ჩიქოვანი ღირსეულად შეხვდა ფაშიზმის წინააღმდეგ ომის მკაცრ დროჟამს, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟამს. იგი მაშინ წერდა:**

სისხლი სისხლის წილ დავლევართოთ,
მტერზე რისხვა გაგვიძლვება,
მტერი მოვსპოთ სამუდამოდ,
მამულს ვუთხრათ გამარჯვება!

**ს. ჩიქოვანის ზოგიერთი ლექსი მრავალი წელია ზეპირად ვიცი. მათი გამეორება ჩემთვის ისევე ბუნებრივია, როგორც განთიადისა და ამწვანებული ხეების ცქერა. მისი მხატვრული მანერის ერთი ჩინებული თვისებაა ლექსში ყველაზე უბრალოს და ყველაზე მაღალის შერწყმა. ასეთი ლექსის ნიმუშად მე წარმომიდგება „ვაჟა-ფშაველას ბუხართან“. აბა ღრმად დააკვირდით ამ სტრიქონებს:**

მშვიდად აშრობდი კერასთან წინდას,
მთების გალობას აწყობდი სიმზე,
და ცალი თვალი ცეცხლივით წმინდა
არწივს ნუსხავდა ნაპრალის ქიმზე.

ეს ზუსტი ყოფითი ნიშანთვისებებია. მყისვე მხატვრის წარმოსახვა აიჭრება სივრცეში:

ხორბლისოდენა წვეთები წვიმის
სიმჩე შეგრჩა და ამღერებს ბაგეს,
ქარი მოჰყვება არწივის წივილს
და მთები ჰგვანან ნაწვიმარ ჰანგებს.

სიმონ ჩიქოვანის თვალწარმტაცი, მღელვარე, ემოციური პოეზია მშვენიერია. იგი ერთი საუკეთესო მიღწევათაგანია მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიისა. სიმონ ჩიქოვანს თავდავიწყებით უყვარდა მშვენიერი მშობლიური საქართველო, ამავე დროს, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი იყო. ამაში ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, როდესაც წავიკითხავთ მის ლექსებს, მიმართულს რუსი და უკრაინელი მეგობრებისადმი, მის პოემას — „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და ლექსების ციკლს სომხეთზე, პოლონეთზე, გოეთეს სამშობლოზე.

კარგად მახსოვს მისი გარეგნობა — თხელი სახე და ხელები, ყურადღებიანი, ოდნავ მოჭუტული თვალები, დიდი მოაზროვნის შუბლი, ფართო ინტერესებითა და მუშაობით დაღლილი შუბლი. მე დამახსომდა მისი ყურადღებიანი დუმილი საუბრის დროს, მას შეეძლო მოთმინებით და გულისხმიერად მოსმენა მოსაუბრისათვის. იგი ხან ფიცხი იყო და მოუთმენელი, მაგრამ ყოველთვის დიდსულოვანი და გულღია გახლდათ. ის რაინდულად ერთგული იყო ცხოვრებისა, პოეზიისა, კულტურისა, მეგობრობისა. სიმონ ჩიქოვანს უყვარდა თანამეგობრობა სხვადასხვა ხალხთა პოეტებისა, მუზათა თანამეგობრული კავშირი.

უბედურია, ვისაც მეგობრები არა ჰყავს. სიმონ ჩიქოვანს ბევრი ერთგული მეგობარი ჰყავდა ვარშავიდან კავკასიის ხეობამდე, ბერლინიდან კიევამდე, ლენინგრადიდან ერევნამდე. შემთხვევით კი არ უძღვნა რუსმა პოეტმა მიხეილ დუდინმა გულითადი სტრიქონები ქართველი თანამოძმის ხსოვნას. სიმონ ჩიქოვანის მეგობართა შორის იყვნენ პასტერნაკი, ტიხონოვი, ზაბოლოცკი, ისააკიანი, ბაჟანი. იგი ბოლომდე წმინდად ინახავდა ამ მეგობრობას. მასთან გატარებული საათები ჩემთვის ბედნიერება იყო. დიდ ადამიანთან ურთიერთობა ყოველთვის ბედნიერებაა. ის ჩემი მასწავლებელი იყო, ყურადღებიანი, გულისხმიერი და სამართლიანი.

მე მახსოვს, როგორ შესცქეროდა იგი შემოდგომაზე კახეთის ფერებს, ძველი ქალაქის ვარძიის ნანგრევებს, დარიალის ხეობის კლდეებს და თოვლიან ყაზბეგს. მახსოვს მისი თამადობა მეგობრულ სუფრაზე. იგი ყველგან პოეტი იყო — თბილისის ჭადრების ჩრდილში, რომელსაც ასე მშვენივრად უმღერა, და მოსკოვის თოვლიან ქუჩებში.

თვითონ მისი გვარის ჟღერადობა მშვენიერი და მეტყველია — ჩიქოვანი! თითქოს იგი იმისთვის არის შექმნილი, რომ სპილენძზე, ანდა გრანიტზე ამოიკვეთოს.

მე მიყვარს მისი გაბედული მეტაფორული სახეები და შედარებები. მისი პოეზია ხალხის სულისაკენ მიემართება, უმღერის მწიფე თავთავს და აყვავებულ ხეებს, სინათლეს და სი-

ქეთეს. მან მიწის სალებავები და ფერები შეიწოვა და თვითმყოფადად და განუმეორებლად დაამკვიდრა. მისი შემოქმედება ამწვანებული ხის სიმღერაა. ლექსში „მერცხლის ბუდე“, რომელიც აღსავსეა გაზაფხულის ნათელითა და სიცოცხლის სიყვარულით, სიმონ ჩიქოვანი წერდა:

მინდა ხალისით მერცხლის ბუდეში
მე ჩავაფინო სიტყვა მართალი,
ანდა ჩავისვა ბარტყი უბეში,
და შევაყვარო ჩვენი ზამთარი.

ასეთივე დარჩა სამუდამოდ თავის მთრთოლვარე პოეზიაში საბჭოთა პოეტებს შორის ერთ-ერთი ბრწყინვალე პოეტი და მოქალაქე, დიდი თვითმყობადი მხატვარი სიმონ ჩიქოვანი.

1968

## ᲒᲐᲜᲣᲛᲔᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

მე წილად მხვდა ბედნიერება მენახა ძალზე ნათელი და ნიჭიერი ადამიანები, ურთიერთობა მქონდა მათთან. მათ შორის ერთი თვალსაჩინოთაგანი იყო გიორგი ლეონიძე. მაღალი და თვალწარმტაცი თავის გარეგნობითაც გახარებდა, რომ არაფერი ვთქვათ მის იშვიათ ნიჭიერებაზე, მის სულგრძელობაზე, გულკეთილობაზე. მისი დიდი ხელების შემყურე ვფიქრობდი, რომ ასეთი ხელები აქვს მხვნელს, შეშის მჭრელს ან ქვის მთლელს. გიორგი ლეონიძე ერთი უგანათლებულესი პოეტი იყო და განა მხოლოდ კავკასიისა! იგი ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიის მცოდნე გახლდათ. ლეონიძე დიდი სიცოცხლისმოყვარე იყო, ცხოვრებასთან მკვიდრად მიჯაჭვული, გულითა და სულით მოხარული ყოველივე მშვენიერისა, მიწის ყოველნაირი სალებავებისა, ერთი უდიდესი მომღერალი საბჭოთა სინამდვილისა და ქართული ისტორიისა. ეს ხომ განსაკუთრებული ნიჭიერებაა. ყოველი დიდი მხატვარიც კი ვერ გრძნობს ისტორიას ისე ხელშესახებად, როგორც გიორგი ლეონიძე გრძნობდა. სწორედ რომ ამ დიდებული ოსტატის პოეზიის ამ მხარეზე მინდა შევჩერდე.

მარტო იმისათვის კი არა, რომ ზემოთქმული დავამტკიცო, არამედ დიდი სიამოვნებისათვის მინდა გავიმეორო ლექსი, რომელიც პოეტმა ახალგაზრდობაში დაწერა. ეს არის „ქართლის ცხოვრების“ წაკითხვის შემდეგ“.

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“
წუხელის დილხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!
გამოვვარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს
აბრებს
და მიხარიან, რომ ისევ დგეხარ!

იგი ფხიზლად ხედავდა წარსულისა და აწმყოს კავშირს და კარგად იცოდა ამის პოეტური ენით გამოთქმა. ჩემი დაკვირვებით, მხიარულება ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო ლეონიძისა. სადღესასწაულო აღქმა და ყოფიერების შეგრძნება, ცხოვრებისადმი მადლიერება მიწიერი სილამაზისათვის, რომელსაც ვერაფრით ვერ შეუცვლი ადამიანს, სიცოცხლის დასასრულამდე თან ახლდა მას. იგი თავისუფალი გახლდათ ყოველგვარი სიმსუბუქისაგან, ზედაპირულობისა და ყალბი ოპტიმიზმისაგან.

მას უყვარდა ყველაფერი მიწიერი, იყო ერთგული ნამდვილი ცხოვრებისა, შორსმჭვრეტელურად ხედავდა მასში ნათელსაც და ბნელსაც.

ჩემი საბუთის სიმტკიცისათვის იმის დასტურად, თუ პოეტი რა საუცხოოდ და საგრძნობლად აღიქვამდა ისტორიას და შეეძლო ნათლად გადმოცემა თავისი შეგრძნებისა, მოვიყვან ლექსის — „მეცამეტე საუკუნის“ რამდენიმე სტრიქონს:

მოჰქრის ურა ცხენი
მონღოლური დაღით,
ზედ შავი თარაქამა
ვერ უსწორებს აღვირს,
და კალია მჭამელი
უკან სვეტად მისდევს
მუზარადის მტვერით
დაბნელებულ მინდვრებს!
ვერ უძლებენ მთები
მულიდების ყივილს,
საყვირებით, ზურნით
დროშების ტყე წივის.

ისტორიის ეს მწვავე გრძნობა ლეონიძისათვის თანდაყოლილი, დედის რძესთან ერთად შეწოვილი იყო და სავსებით შეესატყვისებოდა საქართველოს სახეს და არსს, მის ბუნებასა და ჰაერს. მხატვრის სულიერ სამყაროში, მის ბუნებასა და ხასიათში ეს თუ არ არის, რაც უნდა ეცადოს ნათლად, ოპტიმისტურად წერას, საეჭვოა, რომ რაიმე დადებით შედეგს მიაღწიოს. ყოველ მხატვარს მხოლოდ იმის გამოხატვა შეუძლია, რასაც განიცდის. ამიტომ ყველა თავისი ბუნების ერთგული უნდა დარჩეს, როგორც იტყვიან, თავისი ხმით იმღეროს. სხვათა შორის, ოპტიმიზმიც სხვადასხვაგვარია: ბეთჰოვენის ოპტიმიზმიც არის და როსინის ოპტიმიზმიც.

უკანასკნელად ჩვენ ერთად ვიმოგზაურეთ კახეთში. ეს მისი ასე მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი გარდაცვალების სამი თუ

ოთხი თვის წინ იყო. საქართველოს დიდმა პოეტმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ავად იყო, რომ მოახლოებოდა აღსასრული და ვეღარ ნახავდა სანატრელ კახეთს, მამისეულ სახლს, თავის საყვარელ ბუდეს. არცერთ ჩვენთაგანს არ წარმოგვედგინა ეს. ჩემთვის იმ სასიამოვნო მოგზაურობის დროს იგი ჩემს მეხსიერებაში ისეთივე ნათელი, მხნე, გულღია და ძლიერი დარჩა, როგორც ყოველთვის. ერთი სიტყვით, იგი თითქოს წარმართული ღმერთი იყო. ბევრ ამბავს გვიყვებოდა, საინტერესოდ, ტემპერამენტით ლაპარაკობდა. ჩვენ ჩავედით მის მშობლიურ სოფელში — პატარძეულში. შევედით მამისეულ ორსართულიან სახლში და დავდექით ძველი კაკლის ქვეშ. ამ ხემ თავის მომღერალზე ადრე დაინახა კახეთის განთიადი და მისი ლურჯი ცა.

მოუვლელ ეზოში ორი დიდი ქვევრი იყო ჩაფლული მიწაში. ქვევრები სავსე იყო ღვინით. შემოგვხვდნენ პოეტის თანასოფლელები და ნათესაობა. ეზოში მწვადები აშიშხინდა. გოგლა მივიდა ერთ-ერთ ქვევრთან, სარქველი ახადა, მომცა ჭიქა და საზეიმო ტონით მხიარულად მომაძახა:

— შესვი!

შემდეგ მეორე ქვევრთან მივიდა და იხევე მოიქცა. ღვინო ჩინებული იყო. საერთოდ, ღვინოს არ უყვარს გადატან-გადმოტანა, ის იქვე უნდა დალიო, სადაც იწურება. მე დავლიე. გოგლა მხიარულობდა, ესიამოვნებოდა ლაღად რომ ვიყავი, ეს კმაყოფილებას ანიჭებდა, უხაროდა თავის სოფელში რომ მიმიწვია; გიორგი ლეონიძე ყოველთვის ასეთი იყო: ამქვეყნად ყოველივე კარგისგან თავად განიცდიდა კმაყოფილებას და უყვარდა სხვისთვის სიხარულის მინიჭება. ეს დიდი ადამიანური თვისებაა. აი რატომ ვლაპარაკობდი მე ზემოთ მის ცხოვრებისეულ საზეიმო განწყობილებასა და სისადავეზე.

თვალწინ ამწვანებული კახეთი გვედგა, თავზე ლურჯი ცა გვეხურა. აპრილი იყო. მე ვსვამდი საქართველოს და მისი პოეზიის სადღეგრძელოს; საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ ცოცხალ გოგლას სადღეგრძელოს უკანასკნელად ვსვამდი.

ყოველთვის მახარებდა გოგლას მეგობრული სიყვარული და ყურადღება. ასეთ დიდ პოეტთან შეხვედრა სასიამოვნოც იყო და სასარგებლოც. დიდ მხატვართან ურთიერთობა საუკეთესო მასწავლებელია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას, ისე როგორც ტიციან ტაბიძეს და სიმონ ჩიქოვანს, ყრმობიდან სიყვარულით ვექცეოდი, შემდგომ კი ერთ-ერთ ყველაზე ნათელ და განუმეორებელ პოეტებად ვთვლიდი ამქვეყნად; ისინი შექმნილი იყვნენ ამ ცხოვრებაში ადამიანთა მოდგმის დასამშვენებლად და ასამაღლებლად, იმის დასამტკიცებლად, თუ რა ნიჭიერი, ნათელი და ლამაზი შეიძლება იყოს ადამიანი.

გოგლასთან საუბარი უდიდესი სიხარული და ტკბობა იყო ჩემთვის. იგი, ისე, როგორც პასტერნაკი, ტვარდოვსკი, ჩიქოვანი, კეთილად იყო განწყობილი ჩემს მიმართ. ასეა: დიდი პოეტები ხშირად გულუხვებიც არიან. როგორც ყველას, ვინც მას იცნობდა, მეც მიყვარდა მისი მოსმენა. როდესაც გოგლა ამბავს ჰყვებოდა, იგი დიდ ბავშვს და გულად მხედართმთავარს, ბრძენ მხვნელ-მთესველს, ანდა აურაცხელი ფანტაზიის მქონე მეზღაპრეს მოგაგონებდათ, რომელიც უზომოდ ეტრფოდა თავისი მიწა-წყლის მშვენიერებას. მისი საუბარი ისეთივე ორიგინალური და განუმეორებელი იყო, როგორც თვითონ გახლდათ. გოგლა ამჩნევდა, რა ყურადღებით ვუსმენდი და ყოველთვის კმაყოფილებით ყვებოდა ამბებს. კარლო კალაძეც წარმტაცი პოეტი და ადამიანია, ამბების კარგი მთხრობელი, ერთხელ ხუმრობით ისიც კი თქვა: „გოგლა თხზავს თავის თავზე ათას რამეს, ყაისინს კი სჯერა!“

გოგლას ამბები ისე საინტერესო იყო, რომ სხვა არაფერი მაინტერესებდა. იგი მხოლოდ იმას არ გვიამბობდა, რაც პირადად მასთან იყო დაკავშირებული. სრულიადაც არა! მას ესმოდა ადამიანის დიადი თვისებები. ჩვენი მოგზაურობის დროს მეორე გამოჩენილი ქართველი პოეტის მეუღლის შესახებ, იმჟამად უკვე დაქვრივებული და უიმედოდ ავადმყოფის შესახებ, გიორგიმ ბრძანა: „მარიკა ჩიქოვანი უდიდესი ქალია, დიახ, უდიდესი!“

ამ აზრს იგი ხშირად გამოთქვამდა და მეც სავსებით ვიზიარებდი. ლეონიძე ჩემზე უკეთ იცნობდა სიმონ ჩიქოვანის მეუღლეს და მის სიტყვას დიდი მნიშვნელობა და წონა ჰქონდა. მარიკა თავისი მეუღლის სიცოცხლის ბოლოს მიძმე ავადმყოფი იყო, მაგრამ ამ მწარე დღეებშიც დაივიწყა საკუთარი ავადმყოფობა და თავისი თავი, გამოიჩინა დიდი ნებისყოფა და თავგანწირვა, რაც მხოლოდ დიდებულ ქალს შეუძლია. გიორგი ლეონიძე აქებდა მარიკა ჩიქოვანს, აღტაცებული იყო მისი თავდადებით და მეუღლისადმი სიყვარულით.

იმ გაზაფხულზე კახეთში მე კიდევ ერთხელ ვიგრძენი, თუ როგორ უყვარდა საქართველოს თავისი უდიდესი პოეტი. მაშინ არც დღესასწაული იყო, არც დეკადა, არც ოფიციალური მიღებები. ლეონიძემ ისე, უბრალოდ მიმიპატიჟა თავის სამშობლოში. მაგრამ კახეთის სოფლის ბავშვები, მოსწავლეები ცნობდნენ მას, ქუჩაში გარს ეხვეოდნენ, მხურვალედ ესალმებოდნენ; ჩვენი ჩვეულებრივი მეგობრული მოგზაურობა დღესასწაულად გადაიქცა, თუმცა გიორგი ლეონიძესთან მოგზაურობა, მასთან ყოფნა ჩემთვის მაინც დღესასწაული იქნებოდა, არავინ რომ არ გვენახა და ცარიელ პურ-

სა და წყალზე გადაგვევლო.

როდესაც თბილისიდან გავედით, გიორგიმ მითხრა, პაპიროსს თავი დავანებე, ქალებზე და ღვინოზე გადავედი, სამი საყვარელი მყავს და ყოველი მათგანი ფიქრობს, რომ მხოლოდ ის მიყვარსო.

მე, რასაკვირველია, მესმოდა, რომ ეს ხუმრობა იყო. მახალისებდა სამოცდაექვსი წლის პოეტის ხუმრობა. არ გასულა ათი წუთი, მომთხოვა სიგარეტი და გააბოლა. ერთხელ ღამე, გვიანობისას მოისურვა, წამო, სასტუმრო „თბილისის“ რესტორანში დავსხდეთო. წავედით, მაგრამ რესტორანი უკვე დაკეტილი იყო. გოგლა შეწუხდა. არ უნდოდა უკან დაბრუნება. იდგა, ჟღალი კეპკა გვერდზე ჰქონდა მოგდებული, რომელიც ძალზე უხდებოდა. მაშინ მიამბო, თუ როგორ იჩხუბეს მან და სერგეი ესენინმა 1924 წელს ამ რესტორანში. დაწვრილებით მომიყვა ჩხუბის ამბავი და ასე დაასკვნა: — ასეთია ცხოვრება, ახალგაზრდები ვიყავით!

გიორგის უნდოდა, რომ მე კიდევ ერთხელ კარგად დამეთვალიერებინა კახეთში საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მოისურვა გაეღო ის ტაძრები, რომლებიც დიდი ხნის გაუღებელი იყო. თვითონ საზეიმოდ იდგა ტაძართან შესასვლელებში კახეთის მეფის მსგავსად, მე წინ გამატარებდა და ასეთნაირად მათვალიერებინებდა ტაძრებს, მაჩვენებდა და მიამბობდა ყველაფერს. ქართული ხუროთმოძღვრების საუცხოო ქმნილებათა საუკეთესო მცოდნე და მომღერალი, პოეტურად და შთაგონებით მესაუბრებოდა მათს შესახებ! ვაკვირდებოდი, თუ რა დაჟინებით ჩასცქეროდა ყოველ ფრესკას, რა სერიოზულად ათვალიერებდა ყოველი ეკლესიის ან მონასტრის პატარა ეზოს, რა მძაფრად განიცდიდა მას, რასაც მაჩვენებდა. მაშინ ასე მეგონა, ის ყურადღებიანი ბრძენი და აღგზნებული მებრძოლი იყო, რომელიც მზად არის ბრძოლის დასაწყებად და არც დაპრისა ეშინია, არც სიკვდილისა.

ის, რაც მე კახეთში ვნახე და განვიცადე, სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში. სამუდამოდ დამახსოვდა პოეტი-პატრიოტის მშვენიერი, შთაგონებული სახე. შარშან შემოდგომაზე ისევ ვიყავი კახეთში, ისევ მოვინახულე სახლი პატარძეულში. იქ შევხვდი გოგლას დას, რომელიც ძალიან ჰგავს მას. გაყვითლებული ბებერი კაკლის ხე ძველებურად გასცქეროდა კახეთის ცას, როგორც იმ დროს — თავისი სახელგანთქმული მომღერლის დროს. კაკლის ხემ პოეტზე მეტხანს იცოცხლა. რას ვიზამთ. დაე დარჩეს მამისეული ჭერი და ხე, მიწა, რომელზეც ისინი დგანან. პოეტი უმღეროდა მათს მარადიულობას და სჯეროდა სიცოცხლის უკვდავება. ეს რწმენა აუცილებელია მხატვრისათვის, როგორც კალაპოტი მდინარისათვის. სავსე აღარ იყო ქვევრები გოგლას ეზოში. მაგრამ მისი სამშობლო ცხოვრობდა, მოსავალს იღებდა, მარადიულობას შესცქეროდა თვალებში, ახსოვდა თავისი განუმეორებელი შვილი და პოეტი, დიდებული, ბრძენი ოსტატი.

გიორგი ლეონიძე ერთი უდიდესი საბჭოთა პოეტთაგანია, რომელმაც ნათლად უმღერა სამშობლოს ცხოვრებასა და სილამაზეს, მის აღორძინებას. ამას ის თავის ბედნიერებად თვლიდა. მისი სიმღერა განუმეორებელია.

გიორგი ლეონიძის პოეზია ახალი სიტყვაა მშობლიურ სიტყვიერებაში, განუმეორებელი სიტყვაა საბჭოთა ლიტერატურაში. იგი ხანგრძლივი დრო-ჟამისათვის არის ნათქვამი. ამ სიტყვაში ცოცხლობს და იცოცხლებს ადამიანთა გულების სიხარული და მწუხარება, ეპოქის გუგუნი, როგორც ისმის ზღვის გუგუნი ნიჟარაში. მისი ნათელი სახე სამუდამოდ დამახსომდება. გაზაფხულის განთიადის და ზაფხულის საღამოების მსგავსი მისი ჩაუქრობელი სიმღერა მშველის მე სიცოცხლეში, ენერგიით მავსებს, გზას მინათებს, ამრავლებს ჩემს სიხარულს. არ შემიძლია არ მიყვარდეს ის მიწა-წყალი, რომელზეც ცხოვრობდნენ გიორგი ლეონიძისთანა უბრწყინვალესი ადამიანები.

1973

## მაღალი მიწის პოეზია

რევაზ მარგიანის სამშობლო სვანეთის მაღალი მიწაა ამას მე შემთხვევით როდი ვიხსენებ. თანამედროვე ქართულ პოეზიაში ერთმა მისმა ოსტატთაგანმა განსაკუთრებული კოლორიტი მოიტანა იმ განუმეორებელი მხარისა, სადაც დაირწა მისი აკვანი, სადაც მან პირველად დაინახა ცა, თეთრი, სპეტაკი მთები, მწვანე ხეები და გაიცდა მწვერვალების სიმაღლით, სადაც დედის ხმა გაიგონა, შეჰხაროდა დედის სახეს, თვალებსა და ხელებს. დედა მას ამქვეყნად ყველაზე გემრიელ პურს უცხობდა და ამ მთების, ამ ხეების ჩრდილში, ლოყით დედის მკერდს მიხუტებულს, ტკბილი ძილით ეძინა ვაჟკაცი წინაპრების წმინდა მიწაზე. რევაზმა შეიტყო, რომ ქვეყნად არის მთები, მდინარეები, ვარსკვლავები, ზღაპრები, რომ დედები იავნანას უმღერიან ბავშვებს. იქ დაიწყო არა მარტო მისი სიცოცხლე, არამედ მისი სიმღერები, რომელიც ახლა ძვირფასი და ახლობელი გახდა მრავალი მკითხველისათვის. მისი სამშობლოს ხასიათი, რასაკვირველია, თვით პოეტის ხასიათიცაა. რ. მარგიანის პოეზია აღსავსეა მაღალი მთების სინათლით, როგორც იალქანი ზღვის ჰაერით.

რევაზ მარგიანის ლირიკაში გამოჩნდა სვანეთის მწვერვალების თოვლის სისპეტაკე და ხეობათა წყაროების სიანკარე. ადამიანურობა,

იავნანის გულწრფელობა, მთამსვლელთა მამაცობა, მულახის მონადირეთა ვაჟკაცობა, ქვისმთლელის, მხვნელ-მთესველის მოთმინება, მათი ბუნებრიობა და კეთილშობილება, ყველაფერი შეიძლება იპოვოთ მის ლექსებში. ყოველივე ეს მე ახევ ვიხილე, როდესაც გადავშალე მარგიანის წიგნი „ლექსები", საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკის სერიით „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურის" მიერ გამოცემული.

ის მუდამ ტკბილად საუბრობს ცასთან
და ხელით სწვდება თითქმის პლანეტებს,
ცისა და ქვეყნის უსაზღვრო საზღვარს
კავკასიონის მხრებით აერთებს.

როდესაც დავიწყე რევაზ მარგიანის ლექსების კითხვა, ვიფიქრე, თითქოს ისევ შევხვდი დიდი ხნის უნახავ მეგობარს, ისევ სიყვარულით ვუცქერი მას, კვლავ ვხედავ მის სახეს, ღიმილს, მესმის მისი ხმა, ვსაუბრობთ წინანდებურად, როდესაც უფრო ახალგაზრდები ვიყავით და, ამიტომ — ბედნიერებიც. და მე კარგად ვგრძნობ თავს. ჩემს საკუთარ სახლში სითბო ისადგურებს. ჭკვიანი, გულთბილი ადამიანის მოსმენა ყოველთვის სასიამოვნოა, მეგობართან საუბარი კი — დიდი სიხარული.

რევაზი მეუბნება:

რა იქნება ეს ქვეყანა
უშენოდ და უენგუროდ!

და მეც დიდი სიხარულით ვუსმენ მეგობარ პოეტს და მესმის მისი — ჩემთვისაც ხომ წარმოუდგენელია სიცოცხლე უჩეგემოდ და უიალბუზოდ. მეგობარი თავის მიწა-წყალზე ლაპარაკობს და ეს იგივეა, რაც მე მინდა ვუთხრა ჩემს ბაშილსა და ტერსკოლს, ჩემს დედას და ჩემი ყანის თაველებს.

დიდი ხანია ცნობილია: ლირიკის ძალა სწორედ იმით გამოიხატება, რომ პოეტის სიტყვა საყოველთაოდ გასაგებ გრძნობას შეიცავს, რომ ჩვენც იგივე გვინდოდა გვეთქვა, რასაც პოეტი ამბობს თავის სიხარულსა და მწუხარებაზე, დაეჭვებასა და სიყვარულზე, ყოველივე იმაზე, რაც გვათბობს ანდა გვაშფოთებს. სამუდამოდ ჩაუქრობელი ლირიკის ცეცხლი, მისი იდუმალი თვისება დამახასიათებელია რევაზ მარგიანის შემოქმედებისათვისაც.

ზოგი ჩვენგანი, სხვადასხვა ეროვნების კავკასიელი ლიტერატორები, ზოგჯერ ოჩოფეხებზე დგებიან, ზიზილ-პიპილოებითა და დეკორაციულობით ირთვებიან და ცდილობენ ეროვნულ კოლორიტად გაასაღონ ყოველივე ეს, და ამით დაფარონ აზრისა და ნამდვილი ხატოვანების უქონლობა. ნამდვილად კი ასეთ ზიზილპიპილებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ხელოვნებაში ეროვნულთან და ასეთი ავტორების ესთეტიკურ უმეცრებაზე, მათი შემოქმედების უსუსურობაზე მეტყველებს. გაცვეთილი ატრიბუტები და რეკვიზიტი იქ ჩნდება, სადაც არ არის აზრის სიღრმე, ძიება და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა — და როდესაც პოეტის ინტერესების წრე ვიწროვდება, მისი ჰორიზონტი მცირდება, მაშინ გაბატონებას იწყებს ჩამორჩენილობა. ლიტერატორები, რომლებიც ანტიშემოქმედებითს შეხედულებებს მისდევენ, ნამდვილი ცხოვრების ხმას დეკლამაციით ცვლიან, ცხოვრებისადმი დაძაბულ ყურადღებას — პოზით. და იმწამსვე ქრება თოვლიანი მწვერვალების სისპეტაკე, ბალახი ჭკნება, მდინარის ხმა ყრუვდება, ლექსში ქრება ცხოვრების ცოცხალი ხმა, იგი ყალბი ხდება.

რ. მარგიანი თანამედროვე კავკასიელ ლირიკოსთა იმ რიცხვში აღმოჩნდა, რომელთაც საბედნიეროდ, შესძლეს თავიდან აეცილებინათ, მთლიანად დაეძლიათ მსგავსი ზიზილ-პიპილები და ცარიელი მოკაზმულობა, ადგილობრივი შეზღუდულობა, მათ დროზე გაიგეს ამგვარ რამეთა უვარგისობა.

რ. მარგიანის ლირიკაში მთავარია შინაარსობრიობა, ხატოვანება, აზრი, გულწრფელობა, მიწიერი სილამაზით მოჯადოება, ხალხის სიხარულისა და ბედნიერების სურვილი. რევაზ მარგიანს პოეტის მხურვალე გული უძგერს. მის მიერ თქმული მრავალს აინტერესებს, მრავალი გულის ახლობელი ხდება. მისი სიტყვები საყრდენი და დამხმარეა იმათთვის, ვისაც იგი სჭირდება.

ძალიან კარგია, რომ მთებმა მარგიანის თვალთახედვიდან არ დაფარა დანარჩენი სამყარო, რაც ზოგჯერ ზოგიერთ ჩვენგანს გვემართება. მის ლირიკაში მარტო ძვირფასი სვანეთის, საქართველოს, კავკასიის სახეს როდი ვხედავთ. იგი შვილის სიყვარულით წერს ჩვენი დედასამშობლოს შესახებ, მისი შორეული კუთხეების შესახებ. პოეტი თავის ხმასა და სიყვარულს სხვადასხვა ხალხთა შვილებს აწვდის რევაზ მარგიანის ლექსებიდან ომის მკაცრი და პირქუში სახე გვიცქერის. ამ ლექსებში ჟღერს იმათი ხმა, ვინც ვაჟკაცობით, ტანჯვითა და შრომით კისერი მოუგრიხა ფაშიზმს. ამ ლექსებში არის ცოცხლების სიხარული და ტკივილი დაღუპულთა გამო. ქართველ ოსტატს შეუძლია პოეზიის ენით ილაპარაკოს მხვნელ-მთესველის, მევენახისა და ყველას შესახებ, ვინც ქმნის შრომის სიკეთეს. იგი მარტოოდენ ქართველი როდია, არამედ ჩვენი დიდი საბჭოეთის შვილია, იგი ადამიანია, მისთვის მარტო საკუთარი ბუდე, მარტო მშობლიური ჭერი არ არის ძვირფასი, მარტო მათ არ შეჰხარის, და ეს გახლავთ მთავარი. აი მისი მშობლიური სვანეთისადმი მიმართული სტრიქონები:

უსაქართველოდ და უმშვიდობოდ,
მჯერა, სვანეთიც ვერ ისვანეთებს...

მართალიც არის. მხატვარმა იცის, რომ არ არის ქვეყანაზე ისეთი კუნძულები, სადაც არ წვდებოდეს დანარჩენ ქვეყანათა ქარის ქროლვა, არც ისეთი მთებია, რომლებიც იფარავდეს კაცს ყოველგვარი ქარიშხლისაგან ამქვეყნად. რ. მარგიანმა კარგად იცის ეს და ამიტომაც ასე ბუნებრივად ჟღერს მისი სტრიქონები, რომლებიც ზემოთ მოყვანილი სტრიქონების გაგრძელებაა:

მას სამშობლოსთან მარად ნათელი,
უსპეტაკესი საქმე აერთებს,
სვანეთი რაა — ერთი მტკაველი,
მწამს უმეგობროდ ვერ ისვანეთებს!

მე და რევაზი მეზობლად დავიბადეთ და გავიზარდეთ — ჩემი ზემო ჩეგემიდან მის მულახამდე რამდენიმე საათის სავალია. მთის ერთი ფერდობი მის სოფელს უცქერის, მეორე — ჩემსას. სწორედ ეს გარემოება მაძლევს უფლებას ვწერო მარგიანზე — პირადად მასზე და მის მშობლიურ მიწა-წყალზე, რასაც მე უკეთ ვიცნობ, ვინემ ბევრი სხვა. ქართული საგუნდო სიმღერა ჩემთვის მომაჯადოებელია, იგი ერთი საუკეთესოთაგანია ამქვეყნად, რომელიც პირველად ბავშვობისას მოვისმინე რევაზის თანამემამულე მულახელებისაგან. სწორედ ეს იქცა ქართული პოეზიისადმი ჩემი სიყვარულის სათავედ.

მგოსანი ქართულ პოეზიაში მოვლენად რომ იქცეს, რასაკვირველია, ძნელია. აქ ისეთი დიდოსტატები მუშაობდნენ, რომლებმაც ქართული სიტყვიერება მსოფლიო არენაზე გაიყვანეს, ზოგადსაკაცობრიო ჟღერადობა მიანიჭეს. და მაინც სვანეთის მთებიდან დაშვებულმა პოეტმა შესძლო საპატიო ადგილის დაკავება თავისი ქვეყნის პოეზიაში. მისი შემოქმედება თავისებური და სუფთა შენაკადია ქართული ლიტერატურისა, როგორც იმ მდინარის წყალი, რომელიც სათავეს იღებს სვანეთის ლურჯი ყინულებიდან.

ყველაფერი, რაზეც წერს, მარგიანმა თავისებურად დაინახა და თავისებურადაც თქვა. მარტო ამიტომაც არის იგი პოეტი. არიან პოეტები, ლექსებს წერენ, წიგნებს სცემენ, დედამიწაზე ცხოვრობენ და თითქოს თვალდახუჭულები და ყურებდახშულები დადიან. ისინი მხოლოდ სხვების ნანახსა და ნათქვამს იმეორებენ, სხვისი მაგიდის ნასუფრალით სარგებლობენ. ისინი არ არიან პოეტები, რამდენი წიგნიც უნდა გამოსცენ! ახლა ცოტანი როდი ვართ ისეთი პოეტები, რომლებიც ბავშვობიდანვე იმასვე ვუცქერდით, რასაც რევაზი, მაგრამ რევაზი თავისი შემოქმედებით არცერთ ჩვენთაგანს არა ჰგავს. იგი თავისი ყანიდან იღებს მოსავალს, ანთებს თავის ცეცხლს და აცხობს თავის პურს. დიდი ხნის ნათქვამია: „როგორიც არის თვით ადამიანი, მისი სიტყვაც ისეთიაო“. ჩეგემელი გლეხები იმასაც კი ამბობენ: „თუ საქონელი თავის პატრონს არა ჰგავს, უთუოდ მგლები შეჭამენო“. პოეზიაში ხომ არ შეიძლება თვალთმაქცობა. თუ მოედანზე შიშველ ადამიანს უფეხსაცმლოდ დაინახავენ, იტყვიან ფეხშიშველიაო! ასევე ემართებათ პოეტებსაც. პოეტი ხელისგულივით მოჩანს. რევაზ მარგიანი ლამაზია თავისი ნიჭიერებით, გულისხმიერებითა და თავმდაბლობით. როდესაც სიტყვას ამბობს, თავის თავს, საკუთარ ცხოვრებასა და არსს ჰგავს. ასეთ, აი ასეთ მართალ პოეტზე, რევაზ მარგიანზე მელაპარაკებოდნენ თბილისის ჰადრების ქვეშ ქართველი ოსტატები გრიგოლ აბაშიძე, კარლო კალაძე, იოსებ ნონეშვილი, რომლებმაც ჩემზე ბევრად უკეთ იციან, რა ადგილი უჭირავს მას ქართულ პოეზიაში.

მადლიან ქართულ მიწაზე, რომელსაც დიდმა პოეტებმა ხოტბა შეასხეს, ცხოვრობს და ბრძნულად აკეთებს თავის საქმეს ოსტატი. იგი აკვირდება მთებისა და ხეების, მხვნელ-მთესველის და ქვისმთლელის სილამაზეს. აი რა არის ძალზე მთავარი მხატვრისათვის და რა არის შესამჩნევი მარგიანისათვის. იგი ერთგულია არა ამაოებისა, არამედ მშობლიური მიწისა, მისი მთებისა, ვაზისა და ხეებისა, მისი კულტურისა, დიდებული ოსტატების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებისა, ისევე როგორც მუზათა ძმობისა. იშვიათად შევხვედრივარ თანამედროვე პოეტს, რომელიც ნაკლებად ცდილობდეს, რომ გახდეს ცნობილი და ამის გამო ისე ცოტას ფუსფუსებდეს, როგორც მარგიანი. იგი იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, რომლებიც ათასგვარი ხერხით ცდილობენ პოპულარობის მიღწევას. ასეთი თვისება კიდევ უფრო სიმპათიურს ხდის მას. იგი ისეთი კარგია თავისი იდუმალი გულწრფელობითა და უშუალობით, რომ მასთან ერთად ჩემთვის პურიც ტკბილია და ღვინოც გემრიელი. ბევრი თანამოძმეთაგანი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ცხოვრობენ, მოხარულნი არიან მისი მეგობრობისა და მასთან ყოველი შეხვედრისა, როგორც მე — მისი მეზობელი და ძმა. რამდენი მათგანი ყოფილა მასთან მის სტუმართმოყვარე ოჯახში, რომელიც მტკვარს გადასცქერის, რომლის აივანი ცნობილ მთაწმინდას გაჰყურებს, იმ მთას, რომელსაც უმღეროდნენ საუკეთესო პოეტები ბარათაშვილიდან ჩიქოვანამდე. მრავალი სასიამოვნო საათი გამიტარებია მეც ამ სახლში და ამ აივანზე, ძმურ სუფრასთან, მეგობრულ საუბარში მასპინძლების კეთილი გულით გაბედნიერებულს.

რევაზის წიგნის დახურვის შემდეგ თავი ისე ვიგრძენი, თითქოს მეგობართან დიდი ხნის საუბრის შემდეგ, რამაც სიხარული მომანიჭა, ახლახან გამოვედი მისი სახლიდან, სადაც ჩემთვის ასე ძვირფასი და საყვარელია ყველაფერი.

ისევ მესმის ლექსები, რომლებიც წმინდა მიწაზე იშვა. მე სერიოზული და დაძაბული ვარ. წვიმით განბანილი სამყარო ჩემთვის ისევ ახალი ხდება, მთები თეთრსპეტაკად ქათქათებენ, მწვანე ჭადრები ბრძნულად გატრუნულან, ბალახი აბიბინებულა, მდინარის ტალღები ფოთლებივით შრიალებენ. სიამოვნებით ვარ აღვსილი, კმაყოფილი ვარ პოეტისა.

1972 წ.

## წარმართი მგალობელი

ქართული და მთელი საბჭოთა პოეზიის ცნობილი ოსტატის კარლო კალაძის ერთ მთავარ თვისებად სიცოცხლისმოყვარულობა მიმაჩნია. იგი ძვირფასია ჩვენთვის თავისი შფოთიანი ლექსებით, ტემპერამენტით, ცხოვრების აღქმის თვითმყოფადობით, შეგრძნების ემოციურობით. ეს საერთოდ ქართული პოეზიისა და ქართული ხელოვნების ყველა დიდი მოვლენის დამახასიათებელი თვისებაა. საქართველო ისეთი მშვენიერი მხარეა, რომ, როდესაც იქ დადიხარ, ხანდახან იგი სიზმარში ნანახ მხარედ გეჩვენება. ეს მხარე იმისათვის არის შექმნილი, რათა მოაჯადოვოს პოეტები. ბევრის გახსენება შეიძლება. საქართველო მარტო პუშკინსა და ლერმონტოვს როდი უყვარდათ, არამედ სხვებსაც, ყველა შემოქმედს.

მე ყოველთვის მძაფრად შევიგრძნობ საქართველოს პოეტებისა და მხატვრების სიყვარულს სიცოცხლისადმი. ეს სიყვარული თავად მომხიბვლელი სიმღერაა. ქართველი მხატვარი, უბედურებასა და სატანჯველშიც, თავისი სამშობლოს სალბავებით, მისი გმირების ვაჟკაცობით, ქალების სილამაზით, მათი დედების გულითადობითა და სიბრძნით მოხიბლული რჩებოდა. ასე არ იყო ვაჟა-ფშაველას დროიდან ფიროსმანამდე? ქართულ მუზას, მშობელი მხარის მრავალი ტრაგიკული უკუღმართობის დროსაც ოპტიმისტურად უყვარდა მიწა და სიცოცხლე. ეს ნიკოლოზ ბარათაშვილის უბრწყინვალესი და ტრაგიკული „მერანით“ მტკიცდება.

თავისი შემოქმედებითი არსით თანამედროვე პოეტი კარლო კალაძე მემკვიდრეა წინაპართა საუკეთესო თვისებებისა — ერთგულია სამშობლოსი, მისი კულტურისა, სიყვარულისა, სილამაზისა. იცნობდე, გაიგო და გიყვარდეს შენი წინაპრები — ეს სულაც არ ნიშნავს მათს განმეორებას. კარლო კალაძეს არ დაუკარგავს პატივისცემა წარსულის ოსტატთა ტრადიციისადმი, ის ჩამოყალიბებული თვითმყოფადი მხატვარია, რომელმაც გაამდიდრა ქართული პოეზია.

მხატვარი ახალგაზრდად რჩება, სანამ შრომობს. ამის დამამტკიცებელია ერთი ახლახან გამოცემული წიგნი კარლო კალაძისა, რომლის სათაურიც განსაკუთრებით მომწონს — „სიბერემდე ერთი საათით ადრე“. იგი გვახარებს აზრისა და ფერების სიცხოველით, სიცოცხლის, მომავლის, ენერგიის რწმენით. ამ წიგნში დახატულია უძველესი და ახალი სილამაზე საქართველოსი, მისი უკვდავი სახე. კარლო კალაძის პოეზია ისევ ახალგაზრდაა, იგი სიცოცხლისმოყვარულობის სხივით არის გაცისკროვნებული.

გაზაფხულს ისევ ხვდება ზღვის პირად
ჩემი ეზო და ჩემი ხეხილი,
და ჰორიზონტიც არის ცისფერად
უდარდელივით გულგაღეღილი...

რა? დაარ-ტაში არ ისმის განა
მზისა და ჩრდილის მზერა-მალვაში?
ფეხის ცერებზე რომ წამომდგარა
ხეების გუნდი როგორც ქალ-ვაჟი!

მიყვარს ტოტების ჩუმ-ჩუმი რხევა
და მეც ამ ჩემი გულახდილობით
ფოთლებში განგებ ჩახატულს ვგევარ
ჩემი ღიმილით და ქუდ-ჰილოფით.

ისევ იმედით ვხვდები გაზაფხულს
უდარდელივით გულგაღეღილი
და შემოსცინის სახეს გაბადრულს
ჩემი ეზო და ჩემი ხეხილი!

მე მიყვარს კალაძის პანთეიზმი, მისი ფართო და გაბედული ფუნჯის მოსმა, ვაჟკაცური დამოკიდებულება მწუხარებისადმი და სიხარული, ხმის სიფაქიზე, გულუხვობა და ფხიზელი ყურადღება ვაზისადმი, ხისადმი, წვიმისადმი, მთვარის სხივისადმი, თოვლიან გორაკზე რომ დაცემულა. იგი იმ მხატვართაგანია, რომლებმაც კარგად იციან, რომ სიცოცხლე დიდი სიკეთეა და არ შეიძლება არ გიყვარდეს. კ. კალაძის პოეზია ყოველთვის გვმუხტავს ცხოვრების სიყვარულით. კარლო რომ მორწმუნე კაცი ყოფილიყო, უთუოდ წარმართი იქნებოდა, თაყვანს სცემდა კლდესა და ხეებს, ქვასა და ვაზს. მრავალ მხარეში მომიხდა ყოფნა მასთან ერთად და ყოველთვის ვხარობდი ყოველგვარი მიწიერისადმი ამ მისი წარმართული სიყვარულით, მაოცებდა მისი მხიარულება და სხვათა გამხიარულება, მისი დაუშრეტელი ენერგია. კუმიკელი პოეტი ათკაი წერდა, კარლო კალაძე კომუნიზმის დროსაც ნადიმზე საუკეთესო თამადა იქნებაო. ჩვენ, ყველა კავკასიელი მას ნათელ, გონებამახვილ, მხიარულ თამადად ვთვლით. მაგრამ ამასთანავე იგი თავს არასოდეს არ მისცემს უფლებას პოეზია ხუმრობად ან გასართობად გადააქციოს. იგი სერიოზული მხატვარია, რომელიც მოწიწებით ეპყრობა შემოქმედებას.

. . . . . .

ვინ თქვა, ოცნებას ფრთები არ ესხა,
არ შეეფარა ამ ჭერს, ამ ჩეროს, —
შენი ღიმილით მიღიმის ფრესკა,
შენი სიცოცხლე რომ დამაჯეროს!
შენი თვალწარბის წყობა, რომელმაც
ძველი ოსტატი მოაჯადოვა —
მეც შევამჩნიე დაუდგრომელმა
დრო წარუშლელი როგორ დაგტოვა...

გიპყრობს ქართული პოეზიის ჩინებული ოსტატის მიწიერი სილამაზის მძაფრი განცდით და სიცოცხლით აღსავსე ლირიკა.

კარლო კალაძის წიგნებში ჩვენ ვხვდებით ლირიკას, რომელიც აღსავსეა ცოცხალი სახეებით, ახალგაზრდული ენერგიითა და სიცოცხლით. ასეთი მიყვარს სახელდობრ მე კარლო კალაძე. მრავალი წელია ვეტრფი მის საუცხოო თვისებებს. იგი ყოველთვის მიზიდავს თავისკენ, თუმცა ჩვენ სხვადასხვაგვარი ხასიათი გვაქვს და სხვადასხვა ენაზე ვწერთ. სიამოვნებას მგვრის მისი ხალისიანობა, მახვილგონიერება, თვალწარმტაცობა, ნამდვილი ოპტიმიზმი. მე ყოველთვის ვეძებ მასთან შეხვედრის მიზეზს. სადაც კარლო კალაძეა, იქ დუღს მჩქეფარე ცხოვრება, იქ მხიარული სიცილია, კარგი განწყობილებაა. გამოჩნდება ეს წარმართული ხმის მომღერალი, დიდებული ენამახვილი და მოქეიფე, კავკასიური ნადიმის მეფე, და ოთახში უფრო მეტი მზის სინათლე გამეფდება, ყველას ეღიმება, ყველა მხიარული ხდება. იგი დაუშრეტელი ენერგიის ადამიანია, მცოდნე და დამფასებელია კარგი პურმარილისა და ღვინისა.

მაგრამ მხოლოდ ამით არ მიზიდავს მე კარლო კალაძე — ადამიანი. სრულიადაც არა! იგი დიდი კულტურის მხატვარია, მარტო ლიტერატურის კარგი მცოდნე კი არ არის, არამედ ხელოვნებისაც ,თავისებური მოსაუბრეა, რომელმაც იცის საუბრის ჯანსაღი, პოეტური ატმოსფეროს შექმნა. მას მხიარულება და ენამახვილობა სრულებითაც არ უშლის ხელს სერიოზული და ღრმა იყოს შემოქმედების შესახებ მსჯელობისას. პირიქით, ასეთი კონტრასტები მას კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას ანიჭებს.

კარლო კალაძეს უყვარს ხალხის, ადამიანთა გამხიარულება. მრავალ მხიარულ ამბავს იგონებს, საუცხოოდ, ენამახვილად ჰყვება. მაგალითად, თავისთავზე ამბობს: „მინდოდა არწივობა და დავრჩი კარლოო", „ანდა: „ირაკლი აბაშიძე არ მიშვებს სიმაღლეში და წავედი სიგანეშიო". და კიდევ: „ირაკლი ქართული პოეზიის სიმაღლეა, მე კი მისი სიგანეო".

ბევრი რამ შემიძლია მოვიგონო კარლოს ამბებიდან, მაგრამ მხოლოდ ერთ შემთხვევას გავიხსენებ. შარშან შემოდგომაზე ყაზახეთში ვიყავი, სადაც ჯამბულის იუბილეს აღნიშნავდნენ. როდესაც ჩავფრინდი, მითხრეს, კარლო კალაძე ჩამოდისო. ძალზე გავიხარე, ვუცდიდი. იხსნება საზეიმო სხდომა. კარლო არ ჩანს. სხდომა დიდხანს გაგრძელდა, ის კი არ ჩანდა. დაიხურა სხდომა, კარლო მაინც არ გამოჩნდა. ბოლოს ღამით დაიწყო ვახშამი და კარლოც გამოჩნდა, — ცოცხალი, მხიარული, მოზეიმე, თითქოს გმირობა ჩაედინოს და ამ ამბით ყველა უნდა აღფრთოვანდესო. მართლაც ყველას გაუხარდა მისი დანახვა. მასპინძლებმა ჰკითხეს:

— სად იყავით? რა მოგივიდათ? გელოდით, ვწუხდით.

მან კი თავისებური ხუმრობით უპასუხა:

— თბილისში ტაშკენტის ბილეთი ავიღე, ვიფიქრე ყაზახეთი იყო, თურმე უზბეკეთია და მთელი დღე ტაქსით მოვდივარ!

შესახედაობაც და განწყობილებაც გამარჯვებულისა ჰქონდა. დიახ, იგი ერთ-ერთი კოლორიტული ადამიანთაგანია.

კარლო კალაძეს — ნათელ კაცსა და პოეტს თავდავიწყებით უყვარს სამშობლო და გულით უმღერის მას. კ. კალაძე მხოლოდ კავკასიის მთებსა და თავის თავსა ჰგავს, გვახარებს თავისი თვალწარმტაცი სახით, ხალისიანი და სიცოცხლისმოყვარე ხასიათით, ჭეშმარიტი პოეზიით. მე, მაგალითად, როგორც კი გამახსენდება და ვახსენებ მის სახელს, უმალვე გავმხიარულდები, უკეთ ვმუშაობ. მე მიყვარს კარლო და მისი მსგავსი ადამიანები — მათში ბევრი ენერგია და სიცოცხლის სინათლეა.

1968-1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ვასაძე

# მხატვრული გრძნობა და პოეტური სახე

არისტოტელედან მოყოლებული დღემდე, პოეტური სახე მხატვრული აზროვნებისა და მეტყველების ისეთ სიმბოლურ გამოვლინებად არის მიჩნეული, რომელიც უშუალოდ მიგვანიშნებს პოეტის ნიჭის თავისთავადობასა და სპეციფიურობაზე. პოეტი ხომ სწორედ პოეტური სახეებით გამოხატავს თავის სათქმელს — ფანტაზიის ხატად გადაწყვეტილი „მომწიფებული განწყობის“ მნიშვნელობას; და წარმოაჩენს რა საგნებსა და მოვლენებს ახალი ხარისხითა და თვისებებით, იგი ამით ახალ სინამდვილეს, ხელოვნების სინამდვილეს ჰქმნის.

არისტოტელედან მოყოლებული დღემდე, პოეტური სახის მიმართ ლიტერატურის თეორიის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიისა და ენათმეცნიერების სფეროში ძირითადად დასმულია სამი კითხვა: რისგან შესდგება პოეტური სახე? რას წარმოადგენს იგი? რა უდევს საფუძვლად მის აღმოცენებას?

ამ კითხვების შესაბამისად მრავალი საგულისხმო, მეტნაკლებად სწორი თეორია არის შექმნილი. რა თქმა უნდა, აქ არ შევუდგებით მთელი იმ ცოდნის მარაგის გადმოცემას, რაც უკვე არსებობს უაღრესად დიდი მოცულობის სახით. ჩვენი მიზანია მხოლოდ მხატვრულ გრძნობასთან დაკავშირებით გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება პოეტურ სახეზე. მხატვრული გრძნობისა და პოეტური სახის ურთიერთმიმართების პრობლემით კი იმიტომ დავინტერესდით, რომ მხატვრული გრძნობა მიგვაჩნია „იდეა-ხატის“ ობიექტივაციის პროცესის განმსაზღვრელ და მამოძრავებელ ძალად, ხოლო პოეტური სახე — უკვე ობიექტივირებული „იდეა-ხატის“ გამომსახველობითი ფორმის ძირითად ელემენტად.

რაიმე მოსაზრება უფრო კონკრეტულად რომ გამოითქვას ამა თუ იმ საკითხზე, ხშირად საჭიროა რომელიმე სხვა კონკრეტული მოსაზრების გათვალისწინება და კრიტიკული შეფასება. ეს ელემენტარული ხერხია მეცნიერულ-ანალიტიკური მსჯელობისა და ჩვენც, ამ შემთხვევაში, კრიტიკული შეფასების ობიექტად დავისახავთ თანამედროვე ფილოსოფიის, ესთეტიკისა და ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა — მაქს რიზერისა და არჩილ ბეგიაშვილის შეხედულებებს პოეტურ სახეზე.

მაქს რიზერისეული თეორია პოეტური სახისა გადმოცემულია წიგნში „პოეტური აზროვნების ანალიზი“, სადაც ეს მეცნიერი გვიმტკიცებს ერთ ფრიად საინტერესო და ორიგინალურ მოსაზრებას, — კერძოდ, რომ პოეტური სახე და მისი ყოველნაირი გამოვლინება დაფუძნებულია საგანთა კი არა, იმ შთაბეჭდილებათა მსგავსებაზე, რომლებსაც იწვევენ პოეტურ სახეში გამოყვანილი საგნები.

„შთაბეჭდილება“ ჩვენ უნდა გვესმოდეს როგორც საგნის ის ახალი ემოტური მნიშვნელობა, რომელიც მას ენიჭება პოეტური შემოქმედებითი პროცესის გრძნობათა ზემოქმედებაში. პოეტის შემოქმედებითი განცდის სფეროში ესა თუ ის საგანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, — კონკრეტული შემოქმედებითი განცდის შესაბამის მნიშვნელობას, ანუ, იგი იძენს ახალ ემოტურ მნიშვნელობას. თავიდანვე ვიტყვით: პოეტური შთაბეჭდილების აღმოცენებას, საგნის როგორც შემოქმედებითი საგნის „სხვანაირად“ დანახვას, ობიექტურად არსებული საგანი და მისდამი პოეტის ცხოვ-

რებისეულად სიტუაციური მიმართება კი არ განაპირობებს, არამედ პოეტის დისპოზიციური მდგომარეობა, მისი როგორც შემოქმედის სპეციფიურობა. ამიტომაც, „შთაბეჭდილება“ მხოლოდ იმდენად მიგვაჩნია მართებულ განმსაზღვრელ ცნებად, რამდენადაც იგი გულისხმობს (და უმთავრესად უნდა გულისხმობდეს) ავტონომიური ხასიათის წარმოსახვის მომენტსაც.

საგნის უშუალო აღქმა და ცნობა ყველასათვის არის დამახასიათებელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ადამიანი „საგნებზე შთაბეჭდილებებით“ აზროვნებს. პოეტის განსხვავებულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ წამიერ და უშუალო შთაბეჭდილებების სფეროს სცილდება და თავად ანიჭებს საგნებს მხატვრულ მნიშვნელობას. და რასაც პოეტი ლექსში მოქმედ საგნებში ჰგულისხმობს, მის განცდათა სფეროში სპეციფიკურად გადაწყვეტილი „მომწიფებული განწყობის“ ანუ მხატვრული შემოქმედებითი ფანტაზიით მონიჭებული პირველადი სახის (იდეა-ხატის) მიმართების ერთ-ერთი გამოვლინებაა და არა თვით საგანთა სიტუაციური უშუალო აღქმით გამოწვეული შთაბეჭდილება.

პოეტის მიერ საგნის „სხვანაირად ხილვა და მისი ფარული თვისებების განჭვრეტა“, იმავ დროს წარმოადგენს პოეტის განწყობაში არეკლილი ობიექტური სამყაროს სპეციფიურობის კონკრეტული ფორმით გამოვლინებას, რამეთუ განწყობა პოეტისა — ეს მისი „აპრიორული ცოდნის“ ან „პოტენციალური ცოდნის“ ისეთი სფეროა, რომელიც, ერთის მხრივ, იზრდება და, მეორეს მხრივ, რეალიზდება გარემოსთან დიალექტიკურ ურთიერთმიმართებაში.

ყოველი პოეტური სახე, როგორც ცნობილია, საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვებით შეიქმნება. და მაინც, თავის არსებით მნიშვნელობას პოეტური სახე სიტყვის (სიტყვით აღნიშნული საგნის) მიღმა გულისხმობს. მართალია, მეტაფორის პრინციპი — ეს ენის პრინციპია და ყოველი პოეტური სახე დისკურსიული სიმბოლოებით გადმოიცემა, მაგრამ ხელოვნებაში სემანტიკის სფერო მხოლოდ დისკურსიული სიმბოლიზმით ხომ არ შემოიფარგლება. ასე რომ ყოფილიყო, ლექსში გრძნობათა გამოთქმაზე საუბარი ფრიად პირობითი იქნებოდა. სიტყვებით გამოთქმულ სახეებში და ენის პრინციპებზე დაყრდნობით, პოეტი მაინც არადისკურსიულად გადმოსცემს გრძნობას. მეტაფორაში ერთი გარკვეული მოვლენის ჩვენებისას, ჩვენ ხომ შეფარვით გვეძლევა სულ სხვა მოვლენის მნიშვნელობა. მეტაფორის „იდეა“ ლექსში მოქმედობს ერთგვარ სიმბოლოდ, რათა რაღაც განცდა შეგვიქმნას იმის შესახებ, რასაც თავის თავში ჰგულისხმობს და არასდროს პირდაპირ არ გვიმხელს მხატვრული გრძნობა. პოეტური სახე, ძირითადად, არადისკურსიულია და, ამიტომაც, კი არ გვიმტკიცებს „იდეას“ (მსგავსად დისკურსიული სიმბოლიზმისა), არამედ აყალიბებს და გვაწვდის ახალ მნიშვნელობას ჩვენი ემოციური წარმოსახვისათვის.

პოეტური სახე მთლიანი, დასრულებული ფორმით გვამცნობს თავის მნიშვნელობას და აღიქმება უშუალოდ, ყოველგვარი ლოგიკურ-ანალიტიკური შეფასების გარეშე. ეს ფორმა თავის თავში ჰგულისხმობს და შემადგენელი ელემენტებით ექვემდებარება ისეთ ლოგიკურ მთელს, რომლის დაშლა-დანაწევრება ხშირად შეუძლებელია და არცაა საჭირო.

თანამედროვე ესთეტიკა და ლიტმცოდნეობა პოეტურ სახეში განასხვავებს ორ ძირითად ელემენტს: სუბიექტსა და გამოსახვის საშუალებას. ასე მაგლითად: „ეს თოვლია თუ მიმინომ დააფეთა მტრედები“, „ძუძუები ოქროს კალმახებია“, „მთვარე გომბორზე წაიქცა — რძით გავსებული ტაგანი“, „ატმის ხე იდგა ვით ნაზი ქალი, ვით დედოფალი უცხო მხარეში“, — ამ პოეტურ სახეებში სუბიექტად გვევლინება „თოვლი“, „მთვარე“, „ატმის ხე“; ხოლო გამოსახვის საშუალებებია „დაფეთებული მტრედები“, „რძით გავსებული ტაგანი“, „ვით დედოფალი უცხო მხარეში“.

„ატმის ხე იდგა, ვით ნაზი ქალი...“, ამ პოეტურ სახეში „ატმის ხისა“ და „ნაზი ქალის“ დაკავშირება ასე უნდა გვესმოდეს: როდესაც გარკვეული გრძნობითი მიმართების შემოქმედებით პროცესში გარკვეული მნიშვნელობითა და „შთაბეჭდილებით“ აღმოცენდა საგანი „ატმის ხე“, მისი შინაარსი „ნაზ ქალში...“ მდგომარეობდა და ლექსშიც „ნაზი ქალი“ ჩამოყალიბდა როგორც „ატმის ხის“ გამოსახვის საშუალება. მაშასადამე, გამოსახვის საშუალების რაგვარი არსებობა განპირობებულია სუბიექტის მნიშვნელობით, ხოლო თვით სუბიექტის მნიშვნელობა თავისთავად განპირობებულია იმ მხატვრული გრძნობით, რომლითაც განმსჭვალულია მთელი ლექსის განვითარება. ის პოეტური სახე, რომელიც არ არის განპირობებული მთლიანი ლექსის გრძნობითი მიმართებით, — ხელოვნური, უადგილო, გამოგონილი და ცუდი გამოდგება, რაოდენ მომხიბვლელიც არ ჩანდეს გარეგნულად.

სუბიექტისა და გამოსახვის საშუალების თაობაზე ა. ბეგიაშვილი წერს: „პოეტური სახის სუბიექტისა და გამოსახვის საშუალების შეპირისპირებისას პროდუცირდება ახალი შინაარსი, ახალი ემოტური მახასიათებლები, რომლებიც ცალკე არც სუბიექტისთვის და არც გამოსახვის ობიექტისთვის არ არის ნიშანდობლივი. სწორედ ეს ახლად პროდუცირებული

შინაარსი წარმოადგენს საზრისს პოეტური სახისა, მისი ფუნქციობის მიზანს“[1].

ეს მოსაზრება მხოლოდ ერთის მხრივ ჩაითვლება მართებულად, — კერძოდ, იგი ითვალისწინებს და აფასებს უკვე ობიექტივირებული პოეტური სახის აღქმას მკითხველის მიერ, რომლის ფსიქიკაშიც, პოეტური სახის სუბიექტისა და გამოსახვის საშუალების შეპირისპირების დროს, პროდუცირდება ახალი შინაარსი. მაგრამ ასეთი შეფასება არ ეხება და არ ითვალისწინებს პოეტის მიერ სახის შექმნის შინაგან პროცესს. შემოქმედების ფსიქოლოგიის პოზიციებიდან, პოეტური სახის სუბიექტისა და გამოსახვის საშუალების შეპირისპირება კი არ ჰქმნის ახალ შინაარსს, არამედ, სუბიექტისა და გამოსახვის საშუალების შეპირისპირება თავად დადგინდება იმ მნიშვნელობის საფუძველზე, რომელსაც ატარებს პოეტის გრძნობითი მიმართება, — სხვანაირად რომ ვთქვათ: შემოქმედებითი პროცესის გარკვეულ ეტაპზე აღძრული განცდის არსი (მნიშვნელობა) აპირობებს სუბიექტისა და გამოსახვის საშუალების ურთიერთშეპირისპირებულ ფორმას, რომელიც, თავის მხრივ, ამ ფორმის აღმქმელ-შემფასებლისათვის (მკითხველისთვის) ახდენს პროდუცირებას ახალი შინაარსისა.

ყოველი პოეტური „შთაბეჭდილება“ თავისი არსით ავტონომიური ხასიათისაა, თავისთავადია, რადგან ფანტაზიის ხატში გადაწყვეტილი „მომწიფებული განწყობა“ არის მისი შიგნიშიგანი საფუძველი. სწორედ პოეტის მიერ განცდილი „მომწიფებული განწყობის“ მიმართება და მნიშვნელობა განსაზღვრავს საგანთა ასეთად შეპირისპირებას პოეტურ სახეში, ხოლო მკითხველი ამ მნიშვნელობას სწვდება უკვე შეპირისპირებულ საგანთა აღქმა-შეცნობით. ამგვარად, ა. ბეგიაშვილის დებულება არ ითვალისწინებს და არც შეესაბამება პოეტური შემოქმედების შინაგან პროცესს, რომლის მიხედვითაც „ახალი შინაარსი“ ჰქმნის სუბიექტსაც და გამოსახვის საშუალებასაც.

შემოქმედებით პროცესში არსი განსაზღვრავს ფორმას, აქ ფორმა არსიდან გამომდინარეობს და არსი პირველადად უნდა ჩაითვალოს მიუხედავად იმისა, რომ განვითარების ყოველ კონკრეტულ საფეხურზე ფორმასთან ერთად (ერთდროულად) ეცხადება ხელოვანის ცნობიერებას. შეიძლება ითქვას, რომ პოეტს ფორმა „გამოაქვს“ არსიდან, მაშინ, როცა მკითხველს ფორმიდან „გამოაქვს“ არსი (მნიშვნელობა). ობიექტივაციის დროს წარმოსახვის აბსტრაქტულობა დაკონკრეტებისკენ მიისწრაფვის და ხდება ბუნდოვან განცდათა დაზუსტება, მათი გადმოცემა გრძნობად — საგნობრივი სიმბოლოებით.

მაქს რიზერის თვალსაზრისით, პოეტური აზროვნების უმთავრესი სპეციფიკური თვისება — საგანთა და მოვლენათა სიმბოლიზაციისკენ მიდრეკილებაა. პოეტური აზროვნების სიმბოლიზაცია შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ენობრივ ფორმებში, — ან შედარებაში, ან მეტაფორაში, ან ალეგორიაში და ა. შ. თუმცა ყველა ეს ფორმები ძირითადად დაფუძნებულია შედარების პრინციპზე — ორი საგნის ასსოციაციურ შეპირისპირება-დაკავშირებაზე.

მაქს რიზერისთვის ყოველი პოეტური სახე პოეტის მიერ სუბიექტურად აღქმული საგნის ასოციაციურ გამოვლინებას წარმოადგენს, რომლის დროსაც ხდება ერთი საგნის ემოტური მნიშვნელობის განსაზღვრა და რეალიზაცია მეორე საგნის რაიმე თვისებასთან შეპირისპირებით.

ამ მეცნიერის აზრით, ყოველი „შთაბეჭდილება საგანზე“ განისაზღვრება იმით, თუ რა უშუალო ემოციურ რეაქციას იწვევს ესა თუ ის აღქმული საგანი პოეტის ფსიქიკაში. სწორედ ამ სუბიექტურ-სიტუაციური აღქმისა და განცდის მომენტზე ამახვილებს მაქს რიზერი ყურადღებას და აქედან გამომდინარე ასკვნის, რომ ყოველი პოეტური სახე არის უაღრესად სუბიექტურად განპირობებული.

მაგრამ, ჯერ ერთი, ამით მაქს რიზერს მთელი პოეზიის საფუძველი და მისი აღმომცენი იმპულსების არსი დაჰყავს აღქმამდე,[1] გარე-

---

[1] ა. თ. ბეგიაშვილი, „ფილოსოფია და პოეზია“, თბილისი, 1973 წ. გვ. 74.

[1] მიუხედავად იმისა, რომ აღქმის აქტი ჰგულისხმობს არა მარტო „განწყობას“ (წინასწარ „მზაობას“, „მომართვას“), არამედ ხატოვან ასახვასა და აზროვნების მომენტსაც, დ. უზნაძისა და ა. ვიგოტსკის მიერ ხელოვნებასა და შემოქმედებით პროცესზე შექმნილი თეორიისა და მათი დაკვირვებების გაზიარებით, ჩვენ არ ვაღიარებთ აღქმას შემოქმედებითობის, ხელოვნების საფუძვლად და არც შემოქმედებითი პროცესის პირველად იმპულსად თუ საფეხურად. მ. რიზერის პოზიციებზე მდგომი რ. არნჰეიმისა და კიდევ სხვა გეშტალტ-ფსიქოლოგიის მიმდევართა უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ ისინი „განსხვავებული ინსტინქტის“ ბუნების გარდა ვერაფერში ხედავენ ხელოვანის როგორც ხელოვანის განსხვავებულობას, მის სპეციფიკურობას. შემოქმედებითობის სფეროში. აღქმისადმი პრიმატის მიკუთვნებით, ზოგი

მო საგანთა და პოეტის ფსიქიკის უშუალო ურთიერთზემოქმედებამდე; და მეორეც: მაქს რიზერისეული გაგება, — რომ პოეტური სახე უაღრესად სუბიექტურად განპირობებულია, — გარკვეულ შეუსაბამობას და სირთულეს იწვევს შემდეგი საკითხის გააზრებისას, — კერძოდ: თუ პოეტური სახე სუბიექტურად განპირობებულია, როგორღა ასრულებს იგი ინტერსუბიექტური კომუნიკაციის ფუნქციას?

მაქს რიზერი ცდილობს, — მაგრამ, ჩვენის აზრით, ამაოდ ცდილობს, თავი დააღწიოს ამ სირთულეს და შეუსაბამობას ხელოვნების ისეთი შემეცნების თეორიის განვითარებით, რომლის მიხედვითაც არ არსებობს სპეციფიკურად პოეტური ექსტაზი, რომელიც უცხოა სხვებისთვის. ე. ი. ამ თეორიის მიხედვით, არავისთვის უცხო, უცნობი არ არის ის განცდა, ის ხატი, ის იდეა, რომელსაც გამოხატავს პოეტი. რიზერის მიერ გაზიარებული და განვითარებული ხელოვნების ამგვარი შემეცნების თეორიის მიხედვით, განსხვავება პოეტსა და არა-პოეტს შორის მხოლოდ ისაა, რომ პოეტს აქვს ცხოვრებისეულად გამომუშავებული, ჩვევაში გადაზრდილი მიდრეკილება და ინსტინქტური მოთხოვნილება საკუთარ განცდათა მხატვრული ფორმით გამოხატვისა; არაპოეტს კი ეს მოთხოვნილება და მიდრეკილება არ ამოძრავებს.

რა თქმა უნდა, პოეტისა და არა პოეტის განსხვავებულობა ჩვევითა და ინსტიქტითაც არის დიდად განპირობებული, მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ხელოვანის და ხელოვნების სპეციფიურობა. საკმარისია უშუალოდ ჩვენს გარშემო არსებულ ლიტერატურულ ცხოვრებას ჩავუკვირდეთ, რათა დავრწმუნდეთ: მძაფრი ინსტინქტითა და პროფესიული ჩვევით აღჭურვილი რამდენი ადამიანი მოქმედებს ლიტერატურის ასპარეზზე, რამდენია ისეთი თითქოს აღიარებული მწერალი, რომელიც მწერალი არ არის, და რამდენი სრულიად გულწრფელადაც და თავგანწირულადაც ემსახურება პოეზიას ისე, რომ ერთი ნამდვილი ლექსიც არ დაუწერია.

თითოეულ მკვლევარს შეუძლია ფსიქოლოგიურად ჩაუკვირდეს ამა თუ იმ პოეტის ნაწარმოებს, გაანალიზოს მისი შემოქმედებითი აზროვნებაცა და ცხოვრებაც, და უთუოდ მივა იმ დასკვნამდე, რომ მარტო ჩვევა და ინსტინქტი ძირითადად არ განაპირობებს ხელოვანის და ხელოვნების სპეციფიურობას. ამ სპეციფიურობას განსაზღვრავს ინდივიდის გენეტიკური შესაძლებლობები და ტენდენციები, ფსიქიკური ენერგია, ტემპერამენტი და ხასიათი, გარემო, (რომელიც ხარისხობრივად და ზოგჯერ თვისობრივადაც შესცვლის არაცნობიერ მიმართებებს), გრძნობითი გამოცდილება და ინტელექტუალური განვითარების დონე, უმაღლესი ნერვული სისტემის თავისებურება და ალბათ კიდევ მრავალი სხვა ჯერ კიდევ დაუდგენელი ფაქტორები, რასაც იკვლევს თანამედროვე ფიზიოლოგია, გენეტიკა და ფსიქოლგია. თუ ადამიანის ტვინის რომელ ნეირონებში და რომელ კვანძებში „გადაწყდება“ ხელოვანის როგორც ხელოვანის არსებობა, გენეტიკურად როგორ იგეგმება მისი განვითარება, და გარემოსთან ურთიერთობაში როგორ ყალიბდება მისი სპეციფიკური განწყობა, — ყველაფერი ეს ჯერჯერობით ბოლომდე ვერ არის ამოცნობილი; ჯერჯერობით მეცნიერები აზუსტებენ იმ კვალს, რასაც არაცნობიერი ძვრები სტოვებენ ხელოვანის ცნობიერებაში და აგროვებენ რაც შეიძლება ობიექტურ მასალას ადამიანის ევრისტიკულ ქმედებებზე.

ამ პრობლემის სრულად განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს და მისი გადაწყვეტაც ხელთ არ გვეწიფება. ოღონდ, შემოქმედებითობის სფეროში გენეტიკისა და ფსიქოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით, დიდ ხელოვანთა გამოცდილების გათვალისწინებითა და გარშემო მოქმედ ლიტერატურულ პროცესზე დაკვირვების შედეგად, — დაბეჯითებით ვუარყოფთ იმ მოსაზრებას, რომ მხოლოდ ჩვევა და ინსტინქტი წარმოადგენს ძირითად საფუძველს პოეზიისა და პოეტის შემოქმედებითი პროცესისა.

თუმცა, მეორეს მხრივ, მაქს რიზერის იმგვარი შეხედულება, რომ არ არსებობს სპეციფიურად პოეტური ექსტაზი, რომელიც უცხო იყოს სხვებისთვის, ნაწილობრივ შეიცავს სიმართლეს, — კერძოდ, რომ პოეტის შემოქმედებითი პროცესი ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამომსახველია და იმ ძველი რომაელის მსგავსად, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ: „მე ვარ ადამიანი და არაფერი ადამიანური უცხო არ არის ჩემთვის!“ მაგრამ ეს წმინდად ფილოსოფიური, ისეთი მაღალი პოზიციებია, რომელიც ჭეშმარიტია მხოლოდ ჭეშმარიტების სფეროში. ხოლო ობიექტურად თუ მივუდგებით ამ საკითხს, ადამიანთა უმეტესობისთვის უდაოდ უცხოა პოეტური ექსტაზი. წინააღმდეგ შემთხვევაში: თუ პოეტური ხილვა და განცდა ყველასთვის ცნობილია, რაღა საჭიროა მისი გამოთქმა და გაზიარება? მაშ, რაღად იწვევს ინტერესს და გაოცებას ნამდვილი ლექსის წაკითხვა? მაშ, რაღა ღირებულება აქვს პოეზი-

მათგანი, შეფერ-ზიმერმანის მსგავსად ასეც კი ასკვნის: „ნიჭი და შესაძლებლობები მხატვრული შემოქმედებისა... ყოველი ჯანსაღი პიროვნების კუთვნილებას წარმოადგენს, რომელიც ბუნებამ ერთი წყვილი კარგი თვალით დააჯილდოვა“. (ამის თაობაზე ვრცლად მსჯელობს რ. არნჰეიმი წიგნში „ხელოვნება და ვიზუალური აღქმა“, გამომც. „პროგრესი“, მ. 1974 წ. გვ. 21).

ას? მაშ, პოეზიის შემეცნებითი ფუნქცია ფიქტიურია და გამოგონილია, თუ პოეტი ახალს არაფერს ეუბნება და უჩვენებს მკითხველს.

ა. ბეგიაშვილი წიგნში „ფილოსოფია და პოეზია" სწორად აღნიშნავს, რომ: „ეს სიძნელე არ წარმოიშვება, თუ იმ მოსაზრებას დავადგებით, რომ პოეტური სახის სუბიექტის ემოტური განსაზღვრულობა ჩვენთვის უცნობია და პოეტური სახის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს ისეთ აქტს, რომლის დროსაც წარმოებს გადატანა ან, უფრო სწორად, შექმნა ახალი ემოტური მნიშვნელობისა პოეტური სახის სუბიექტის მიერ" (იხ. „ფილოსოფია და პოეზია", გვ. 74).

ამგვარად, მაქს რიზერის საპირისპიროდ ა. ბეგიაშვილი გვეუბნება, რომ პოეტური სახის სუბიექტის ემოტური შინაარსი ჩვენთვის უცნობია. და, მართლაც, პოეზიის შემეცნებითი ფუნქციის უარყოფის ყველა ცდა დასაბუთებულად უარყოფილია თანამედროვე ფილოსოფიასა და ესთეტიკაში.

მაგრამ ა. ბეგიაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება მაინც ვერ განგვიმარტავს პოეტური სახის „სუბიექტური განპირობებულობის" საკითხს, — ის, რომ პოეტური სახე გვაწვდის რაღაც ახალს, არ უარყოფს იმას, რომ იგი სუბიექტურად განპირობებულია. ე. ი. ა. ბეგიაშვილის მტკიცება არ აბათილებს პოეტური სახის სუბიექტურ განპირობებულობას.

ამ საკითხის ამოსახსნელად და გასარკვევად, პოეტური სახის „სუბიექტისა" და „გამოსახვის საშუალების" ფორმალურ ურთიერთმიმართებას კი არ უნდა მივაპყროთ თვალი, (და არც იმას, რამდენად ნაცნობი თუ უცნობი არის ჩვენთვის პოეტური სახის ემოტური შინაარსი), არამედ ჩვენ უნდა გავიაზროთ და წარმოვიდგინოთ ის საფუძველი, რომელიც ჰქმნის ამ სისტემას, — ის არსი, რომელსაც ავლენს პოეტური სახე.

ჯერ იმას აღვნიშნავთ, რომ პოეტური სახის „სუბიექტური განპირობებულობის" რიზერისეული გაგება, მართალია, პირდაპირ არ მიგვანიშნებს, მაგრამ უთუოდ გულისხმობს არა მარტო პოეტის როგორც სუბიექტის თვალით საგნების დანახვას, არამედ იმასაც, რომ პოეტური სახე შეიცავს არაობიექტურობისა და, გარკვეული კუთხით, მცდარობისა და არამართებულობის მომენტსაც, — რადგან ის, რაც უაღრესად სუბიექტურია, უთუოდ მცდარიცა და არამართებულიც არის ობიექტურად არსებულისადმი.

ამავე გაგებით „სუბიექტურად განპირობებულია" ყველა ის სახე, რომელიც ცხოვრებისეულ სიტუაციებში ჩამოუყალიბდება ადამიანებს. და ჩვენის აზრით, როდესაც პოეტური სახის „სუბიექტური განპირობებულობის" საკითხი წამოიჭრება, იგი ამ მხრივაც უნდა იქნას შეწონილ-შეფასებული: თუ რაოდენ სუბიექტურია ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულად განცდილ სახეებთან შედარებით. სწორედ ამ შეპირისპირებიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, რამდენად არის და რამდენად არ არის პოეტური სახე სუბიექტურად განპირობებული.

„ას ადამიანს შეიძლება თავის მოქმედების მიზეზად გარკვეული მოსაზრება მიაჩნდეს, სინამდვილეში კი სულ სხვა ღრმად ჩამალული მოტივები ამოძრავებდეს. ადამიანი შეიძლება ფიქრობდეს, რომ რაიმეს ნამდვილად განიცდის და ამრიგად იტყუებდეს თავს. სინამდვილეში კი ეს განცდები არ ატარებდეს „ნამდვილი" განცდის ხასიათს", — აღნიშნავს ამ ცხოვრებისეულ ფაქტს დ. რამიშვილი წიგნში „მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის" (გვ. 30) და ამით ნათლად მიგვანიშნებს იმ ცხოვრებისეულ განცდათა და წარმოდგენათა სუბიექტურ განპირობებულობაზე, არაობიექტურობასა და მცდარობაზე, რომელიც აღმოცენდება გარემო საგანთა და მოვლენათა აღქმის საფუძველზე.

ზოგადად რომ გავიაზროთ, ძირითადად რა ფსიქიკური ფაქტორები განაპირობებს ცხოვრებისეულ სახეთა და განცდათა სუბიექტურ განპირობებულობას? ცხოვრებისეული სახე-საგანი (სტიმულაციური ხატი) ადამიანის ფსიქიკაში ხომ წარმოიშვება გარემოსთან უშუალო ურთიერთმიმართებაში. ამ ურთიერთმიმართების განმსაზღვრელ სუბიექტურ ფაქტორს კი ინდივიდის საჭიროება-მოთხოვნილებისა და სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობები წარმოადგენს. ამ გრძნობებით განმსჭვალულ ცხოვრებაში, ადამიანს გამოუმუშავდა „თვითმოტყუების" ჩვევა-სურვილი, რაც არადამაკმაყოფილებელ და არასასურველ სიტუაციებში მოქმედებს, ერთის მხრივ, როგორც „ერთადერთი გამოსავალი", ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ბანალური საგნებისა და მოვლენების „გამონაკლისად", „განსაკუთრებულად" ტრანსფორმირების საშუალება წარმოსახვაში. უფრო მარტივად რომ გამოვთქვათ: თვითმოტყუების ჩვევა ადამიანს გამოუმუშავდა მისი მგრძნობიარე სულის იმ თვისების გამო, რომელიც სიამოვნებისა და კმაყოფილებისკენ მიისწრაფვის, და რასაც წინ ეღობება უსიამოვნო და არადამაკმაყოფილებელი მოვლენები ცხოვრებისეულ სიტუაციებში. (ფილოსოფიურ ასპექტში, ეს დადის უსასრულოსა და სასრულიანის დაპირისპირებულობამდე).

სწორედ ამ დისჰარმონიის, ამ წინააღმდეგობის გადასალახავად გამოუმუშავდა ადამიანს თვითმოტყუების ჩვევა. გარკვეული კუთხით, თვითმოტყუება ცხოვრებისეულად საჭირო და სასარგებლო ჩვევად შეიძლება მივიჩნიოთ. მე-

ორეს მხრივ, იგი უდაოდ უარსაყოფი თვისებაა, რადგან გვაკარგვინებს სინამდვილის რეალურად დანახვის უნარს და, საბოლოო ჯამში, საკუთარივე თავის მიერ და მიზეზით, ადამიანი მოტყუებული რჩება. ყოველი ცხოვრებისეული სახე და გაგება ადრე თუ გვიან ქრება და ობიექტური საგნები დროსთან ერთად სხვადასხვანაირად წარმოგვესახება. „თვითმოტყუებით" დაღდასხმულ კაცს ყოველ ნაბიჯზე ელის იმედგაცრუებაცა და გულაყრილობაც. თუმცა, ორთავე ეს გრძნობა ზოგჯერ მისასალმებელიცაა, რამეთუ ტყუილის ტყვეობიდან გვათავისუფლებს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი სულიერი განვითარება მოაზროვნე ადამიანისა, ეს არის მცდარ, სუბიექტურად განპირობებულ წარმოდგენათა და გაგებათა ნაირსახეობის წრიდან თავის დაღწევის ურთულესი, მწვავე პროცესი. და ადამიანები სხვადასხვანაირად, უამრავი წინააღმდეგობის გადალახვით უახლოვდებიან ობიექტურსა და რეალურს.

ახლა იმასაც დავუკვირდეთ, სუბიექტური განპირობებულობის — როგორც მცდარობისა და არაობიექტურობის მხრივ როგორ არის საქმე პოეტური შემოქმედებითობის სფეროში.

პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ მხატვრული გრძნობა აღმოცენდება ფანტაზიის ხატის საფუძველზე, იგი თავის მიმართებაში ხატის მნიშვნელობას ჰგულისხმობს, ხატისმიერი მიმართებით ვითარდება და, ამდენად, მხატვრული გრძნობის გამომავლინებელი პოეტური სახეც ხატისმიერია, — ხატის „გამოძახილად" შეგვიძლია ჩავთვალოთ. და, აი, გამომსახველობითი ფორმის კუთხიდან, ლექსის ყოველი პოეტური სახე თუ წარმოადგენს ხატის შემადგენელ ელემენტს, — ონთოლოგიურად, პოეტური სახეები უნდა გავიაზროთ როგორც ხატის გამომავლინებელი ელემენტები. ხატი აბსტრაქტული ფენომენია და თავის მიმართებას პოეტური სახეებით გვამცნობს. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ლექსში მოცემული პოეტური სახეების მთელი სისტემა, ეს არის გრძნობად — კონკრეტული სიმბოლოებით გადმოცემული ხატი. ბუნდოვან, აბსტრაქტულ იდეათა და წარმოდგენათა უსახურობა, პოეტს ქაღალდზე გადმოაქვს პოეტური სახეების მეშვეობით, ხოლო ის, რაც ლექსში მოეცმულ პოეტურ სახეებს სტრუქტურულად აკავშირებს — ხატისმიერი მთლიანობის პრინციპია.

პოეტური სახეები კონკრეტული თავისებურების და განკერძოებული მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ მათი გათიშვა ამ ხატისმიერი ერთიანობის პრინციპიდან შეუძლებელია; შეუძლებელია მათი თვით ქრონოლოგიური აღნიშვნაც, რადგან თითოეული მათგანი ლექსში ერთობლივ ურთიერთმიმართებაში ზემოქმედებს, ანუ, ხატის მთლიანობის პრინციპს დაქვემდებარებული განახორციელებს თავის ინდივიდუალურ არსებობას და დანიშნულებას. ამგვარად, ხატი განხორციელდება ცალკეულ, განსხვავებულ და მაინც თავისთავადად ვერარსებული პოეტური სახეების მეშვეობით; ლექსში პოეტური სახეები მორფოლოგიურად თუმცა განსხვავებულნი არიან, სემანტიკურად ისინი ერთი შინაარსის ამოხსნას ემსახურებიან.

ასე რომ, პოეტური სახის მნიშვნელობისა და დანიშნულების გარკვევისას, ხატის ბუნება უნდა გავაანალიზოთ და შევაფასოთ. ხატი ჩვენ უნდა გვესმოდეს, როგორც ცნობიერებაში გამოცხადებული „მომწიფებული განწყობის" სპეციფიური ფორმისეული გამოვლინება. იგი უკვე თავის თავში ჰგულისხმობს ცხოვრებისეული სიტუაციებისგან იზოლირებულობას. ხატი პოეტისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი, საჭირო და სასიამოვნო სამყაროა და ამ ხატის სფეროში, — პირობითად რომ ვთქვათ, ამ „ინტენციონალურ ცხოვრებასა თუ სამყაროში", შესაფერისი გამღიზიანებლები და მიზეზები აღარ არის თვითმოტყუების ჩვევის გააქტივებისთვის. პოეტს უბრალოდ არ სჭირდება ამ „ინტენციონალურის სამყაროდან" გამოსავალის პოვნა და არც ამ სფეროში მოქმედ საგანთა „ცისფერი სათვალით" დანახვა. მხატვრული ფანტაზიის სფერო თავად წარმოადგენს „გამოსავალს" და „განსაკუთრებულს", ყოველივე არასასურველისა და არადამაკმაყოფილებელის საპირისპირო ფენომენს; ყოველგვარი მოჩვენებითობა მოხსნილია ამ ისედაც ხილვით სამყაროში, — საგნები აქ თავისი არსებითი მნიშვნელობით წარსდგებიან პოეტის ცნობიერებაში.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოეტი ხატს განიცდის არა სუბიექტურად ცხოვრებისეული ინტერესების თვალსაზრისით, არამედ მის მიერ იგი განიცდება ისეთად, როგორიც ის „თავისთავში" არის ანუ როგორადაც „მომწიფებულმა განწყობამ" მიანიჭა. სუბიექტურ და ცხოვრებისეულად ცვალებადად წარმოდგენილ საგანთაგან განსხვავებით, შემოქმედებითობის სფეროში „მხატვრული გრძნობის საგნები" ობიექტურად და უცვლელად (პირველად მოცემულობაში) ჰგულისხმობენ იმ თვისებას, რომლითაც ნაწარმოებში წარმოგვიდგებიან. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ მხატვრული გრძნობა თავის თავში უნდა ჰგულისხმობდეს სიმართლეს.

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედი საგანი მართალი უნდა იყოს მხატვრულობის სფეროში, — რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მართალი უნდა იყოს ხატად გადაწყვეტილი „მომწიფებული განწყობის" მიმართ, მართლად უნდა გადმოსცემდეს ხატის მიმართ თუ ხატით აღძრულ განცდებს. ხელოვნების საგნები და განცდები კიდეც მართალნი არიან, რადგან არსისეულ სწრაფვა-მიმართებას გამოხატავენ და არ

არიან განპირობებულნი ცხოვრებისეული საჭიროება-მოთხოვნილებითა და სიამოვნება-უსიამოვნებით.

თუმცა ფანტაზიის ამოქმედებას, განწყობის „გარკვევასა“ თუ „მომწიფებას“ ცხოვრებისეული (მეტ-ნაკლები სიღრმისა და სიმძლავრის) აღქმები და ემოციები იწვევენ, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, თვით ხატი (პირველადი სახე) ცხოვრებისეულ განცდათა მიმართებებისა და შინაარსებისგან უშუალოდ კი არ აღმოცენდება და არც შესდგება, არამედ განწყობიდან ერთბაშად გამოეცხადება შემოქმედის ცნობიერებას, — ერთბაშად იმიტომ, რომ ცნობიერებისკენ მას არავითარი წინა საფეხური არ შეიძლება ჰქონდეს. განწყობიდან „ამოშუქებული“ ხატი ინტენციონალურად არსებობს და მოქმედებს მთელი შემოქმედებითი პროცესის მანძილზე. თვით განწყობა კი არასუბიექტურია, რადგან არაცნობიერია და თავის თავში ჰგულისხმობს იმას, რაც სპეციფიკურია ობიექტურ სამყაროში, რაც რეალურია და სამყაროსეულია.

მაშასადამე, პოეტურ სახეთა თეორიულად შეფასებისას, არ უნდა შემოვიფარგლოთ პოეტურ სახეში უშალოდ მოცემული გრძნობად-კონკრეტული სიმბოლოებით, არამედ გავითვალისწინოთ მათი ინტენცია: გავითვალისწინოთ, რომ ეს სიმბოლოები აღმოცენდება სწორედ „იდეა-ხატის“ განცდის შედეგად. პოეტური სახის ფორმაში აღბეჭდილი „სუბიექტურობის მომენტი“ ხელს არ უნდა გვიშლიდეს, ამოვიცნოთ და ვაღიაროთ მისი ობიექტური შინაარსის მქონე საფუძველი. ხატის „მნიშვნელობა“ კი უთუოდ ობიექტური უნდა იყოს — იგი ხომ ვერსაიდან აღმოცენდებოდა პოეტის ცნობიერებაში თუ არ განწყობიდან.

პოეტის მიერ ხატის რეალიზაცია, რა თქმა უნდა, ინდივიდუალურად მიმდინარეობს, პოეტის პიროვნული თვისებებისა და ესთეტიკური პოზიციების შესაბამისად. სწორედ ეს მომენტი განსაზღვრავს პოეტური სახის და, საერთოდ, მხატვრული ნაწარმოების ორიგინალურობას, და „სუბიექტური ასპექტიც“ პოეტის სწორედ ამ ინდივიდუალური ელფერისა და ტონალობის მქონე განცდათა საფუძველზე აღმოცენდება. მაგრამ ისიც უსათუოდ გასათვალისწინებელია, რომ ობიექტივაციის ეს „სუბიექტური პროცესი“, ან, შეიძლება ასეც ითქვას, ეს სუბიექტური ობიექტივაციის პროცესი ემსახურება ობიექტური „მნიშვნელობის“ მქონე ხატის გამოვლინებას; და ხატის სწორედ ამ ობიექტური „მნიშვნელობის“ ინდივიდუალურად გამოვლინებისას პროდუცირდება ის საყოველთაო, თავისთავადი მნიშვნელობის მხატვრული ფენომენი, რასაც ჩვენც ესთეტიკურ ღირებულებას მივაკუთვნებთ. ხატის სწორედ ამ ობიექტური მნიშვნელობის მხატვრული ფორმით რეალიზაცია გარდააქცევს პოეტურ ნიმუშს საყოველთაო კუთვნილებად. ის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც სუბიექტური ასპექტი თავისთავად მნიშვნელობას იძენს, არის ხელოვნური და თავისთავში გამოკეტილი, (რაც ყველაზე აშკარად გამოვლინდება უკიდურეს ფუტურისტთა ლექსებში). ყოველი ნამდვილი პოეტური ნიმუში გამომხატველია არა კონკრეტული ინდივიდის სუბიექტურ-ცხოვრებისეული ემოციებისა, არამედ ეს არის გასაგნობრივებული ობიექტური შინაარსი იმ განცდისა, რომელიც ჩამოყალიბდა ხატის გაცნობიერებისას. მთელი პოეტური შემოქმედებითი პროცესი ხომ სხვა არაფერია, თუ არ თანდათანობითი ამოცნობა და გონიერი განხორციელება იდეა-ხატისა; ლექსი არის „იდეათა ემოციების“, „ხატისმიერი განცდების“ გრძნობად-კონკრეტული სახეობრივი გადაწყვეტა.

და როდესაც ვამბობთ, რომ მხატვრული გრძნობა „მომწიფებული განწყობის“ განცდაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მხატვრული გრძნობა ზოგადად ადამიანური ემოტური ცხოვრების სტრუქტურის მქონეა და რომ იგი თავის თავში ძირითადად შეიცავს ზოგადადამიანურობის მომენტს, ანუ, ობიექტურობის მომენტს. და, რა თქმა უნდა, პოეტური სახეც თავისი მნიშვნელობით ამ მომენტს შეიცავს იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს მხატვრული გრძნობის ფორმისეულ გამოვლინებას, — რამდენადაც მისი ფუნქცია მხატვრული გრძნობის განხორციელებაში მდგომარეობს.

პოეტური სახე რომ გამომავლინებელია ხატად გადაწყვეტილი „მომწიფებული განწყობის“ განცდისა (მხატვრული გრძნობისა), იმაზეც მიგვანიშნებს, რომ იგი ჯერ კიდევ მანამ იყო განსაზღვრული ასეთად აღმოცენებისთვის, სანამ გრძნობად-კონკრეტულ საგანთა ურთიერთ შეპირისპირებაში განხორციელდებოდა. ლექსში პოეტური სახის ასეთად აღმოცენება დაგეგმილია თვით ხატით, — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პოეტური სახის ასეთად აღმოცენებას განაპირობებს მხატვრული გრძნობის „შინაარსი“, რომელიც თავის თავში ხატის „მნიშვნელობას“ ჰგულისხმობს.[1]

---

[1] ეს ძირითადად ეხება პოეტური სახის ემოტურ მნიშვნელობას, რადგან პოეტურ სახეში გამოყვანილი საგნები როგორც საგნები კი არ ჰქმნიან მხატვრულ ეფექტს, არამედ მათი მეტაფორული დაკავშირების მნიშვნელობა. თუმ-

აქედან გამომდინარე, ყოველ პოეტურ სახეში იგულისხმება, გარკვეული ხარისხითა და ოდენობით, არანებისმიერობისა და თავისთავადობის მომენტი. პოეტთა ინფორმაციები საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებაზე, მიგვანიშნებს, რომ მეტაფორულ სახეთა შემქმნელი საგნების (თუ „შთაბეჭდილებების“) აღმოცენება ხდება უნებურად და ერთბაშად, და რომ პოეტი კი არ „იგონებს“ საგნებს, რათა გარკვეული განწყობილების გამომხატველი შედარება მოახდინოს, არამედ, პოეტური სახის შესაქმნელად საჭირო საგნებს თითქოს „ჰბადებს“ მისი ფსიქიკა. მართალია, გ. ტაბიძემ ლექსში ლოგიკურ-რაციონალურად განახორციელა და „დაალაგა“ პოეტური სახე „ატმის ხე იდგა ვით ნაზი ქალი...“ მაგრამ ეს სახე იმთავითვე იყო დაგეგმილი ასეთად აღმოცენებისთვის იმდენად, რამდენადაც ლექსის მთელობის შემცველი იდეა-ხატი უკვე ჰგულისხმობდა ამ სახის მიმართებას და იგი თავიდანვე განსაზღვრული იყო ამ გარკვეული მნიშვნელობით აღმოცენებისათვის. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ პოეტი ცნობიერად კი განახორციელებს მეტაფორას, მაგრამ, ამასთანავე, მისი ცნობიერება ხატის ზემოქმედებით განიცდის ერთგვარ იძულების მომენტს, რათა ასეთად გამოხატოს მისი (ხატის) მნიშვნელობა, „მიმწიფებული განწყობის“ მიმართება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედეიბთობის სფეროში პოეტის ლოგიკურ-რაციონალური აზროვნება წარმოადგენს ერთგვარ უნივერსალურ და დამჯერე იარაღს, რომლითაც პოეტი ახდენს ხატის და მისი განცდით განპირობებული გრძნობის ობიექტივაციას.[1]

ასე რომ, პოეტური სახე შინაგანად ემსახურება და არეკლავს „სუბიექტურის მიღმა“, „იზოლირებულად“ არსებულს, — ანუ, შეიცავს და ემსახურება ხატს. პოეტისთვის ხატი ტრანსსუბიექტური მოვლენაა და, ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ პოეტი მას „ტრანსსუბიექტურად განიცდის“. პოეტური სახე, გამომავლინებელი ამ განცდისა, გარეგნულად გამოკვეთილი სუბიექტური ასპექტის მიუხედავად, თავის შინაარსში ჰგულისხმობს ტრანსსუბიექტურის (ხატის) მნიშვნელობა-მიმართებას. და ინტერსუბიექტური კომუნიკაციის უნარიც პოეტური სახისა, სწორედ იმიტომაც არის არა მარტო შესაძლებელი, არამედ მძაფრიც და უშუალოც, რომ შემოქმედებითობის სფეროში მოქმედი საგნების მიმართ, პოეტის გრძნობა განტვირთულია ეგოცენტრიზმისგან. შემოქმედებითი გრძნობა — ეს არის არა „განცდა ჩემში ჩემთვის“ (რაც ძირითადად ახასიათებს ცხოვრებისეულ ემოციებს), არამედ ეს არის „განცდა ჩემში თავისთავად“, როგორც ტრანსსუბიექტური განცდა.

ამას გარდა, განსხვავებით ცხოვრებისეულ გრძნობათა და სახეთაგან, — რომლებიც ცვალებადნი, გარე-სიტუაციურად განპირობებულნი და არამყარნი არიან, — ხატისმიერი გრძნობები და სახეები არაცვალებადნი და მუდმივნი არიან. ისინი შემოქმედებითობის ამ „ინტენციონალურ სფეროში“ კიდეც აღმოცენდებიან და კიდეც ასრულებენ თავიანთ განვითარებას და სამუდამოდ ასეთებად რჩებიან. თუ ცხოვრებისეული წარმოდგენა და გრძნობა მხოლოდ ცხოვრებისეულად არის მართალი და, თანაც,

---

ცა, აქ ფორმაც იგულისხმება, თუ იმ მოსაზრებიდან ამოვალთ, რომ ხელოვნებაში არავითარი მნიშვნელობა არ არსებობს და ვერც განხორციელდება ფორმის გარეშე.

მხატვრული გრძნობის მიმართება აპრიორულად განსაზღვრავს იმას, რომ A უნდა დაუკავშირდეს B-ს კონკრეტულ პოეტურ სახეში და არა C-D-ს, ან, N-M-ს. A-ს დაკავშირება B-სთან $A^1$-$B^1$, $A^2$-$B^2$ ხარისხით, დამოკიდებულია პოეტის ვერსიფიკაციაზე, მისი ინტელექტუალური და ინტუიტური აზროვნების დიაპაზონზე, რის მეშვეობითაც პოეტი რაც შეიძლება სრულად შეუსაბამებს A-B-ს შეპირისპირებულ ფორმას მხატვრული გრძნობის მიმართებას.

1 აქვე აღვნიშნავთ, რომ თვით კორექტირებაც კი არ წარმოადგენს მარტო განსჯით-ლოგიკურ პროცესს, და ინტუიტური ძვრები აქაც ინარჩუნებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას. (ყოველი შესწორება-გადაკეთება ხომ იგივ „საკითხის გადაწყვეტაა“ და, ამ პროცესში, როგორც ცნობილია, არაცნობიერი სფეროც აქტივობს და დიალექტიკურად ზემოქმედებს ცნობიერებაზე), თვით კორექტირებაც იმის გამომსახველია, თუ როგორ იკვლევს მხატვრული გრძნობა პოეტის ცნობიერებაში გზას, რაც შეიძლება სრული, ზუსტი და თავისი მიმართების შესაბამისი ფორმით გამოცხადებისთვის.

ასე მაგალითად, როდესაც გალაკტიონ ტაბიძე, სხვადასხვა ვარიანტის შემდეგ „ილისისფერით“ განსაზღვრავს „ყინვის თასებს“, — ეს იმას ნიშნავს, რომ მან ბოლოს და ბოლოს მიაგნო მხატვრული გრძნობის შესაფერის ფერსა და ტონალობას სიტყვაში; ვარიანტების შერჩევის დროს პოეტი ზრუნავს არა იმდენად გარეგნულ სილამაზეზე ან რაიმე მოსაზრების ზუსტ დამტკიცებაზე, არამედ იგი ცდილობს მხატვრული გრძნობის ადექვატური სიტყვის მიგნებას. ეს პროცესი კი, ლოგიკურ-რაციონალურ „შერჩევასთან“ ერთად, უთუოდ ჰგულისხმობს ემოციონალური წვდომის აქტს.

განსაზღვრულია სივრცითა და დროით, — მხატვრული გრძნობა და მხატვრული სახე განუსაზღვრელია დროითა და სივრცით და მთელი ცხოვრების მიმართ არის მართალი, — რაც იმას ნიშნავს, რომ მხატვრული გრძნობა, ფანტაზიის საგანი და მასთან დაკავშირებული სახეები სამუდამოდ ასეთებად რჩებიან ლექსში, სამუდამოდ მართალნი და ნამდვილნი არიან მათთვის განკუთვნილ და ნიშანდობლივ მიმართებაში. მათი სიმართლე — თავისთავადი სიმართლეა. რაც შეეხება ჩვეულებრივ გრძნობებსა და სახეებს, ისინი ხომ ლოკალურნი და სიტუაციებისდა შესაბამისად ცვალებადნი არიან. მათი სიმართლე არასრულყოფილია და ყოველთვის შედარებითია. გარკვეულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში მოქმედ გრძნობაზე თუ წარმოდგენაზე, ჩვენ უმეტეს შემთხვევაში ვიტყვით, რომ თვით ამ სიტუაციაშიც მეტ-ნაკლებად მცდარი, არაობიექტური იყო.

პოეტის როგორც ინდივიდის განცდის ასპექტი შემოქმედებითობის სფეროში, საერთოდ, არ ნიშნავს წმინდა სუბიექტური მომენტებით განსაზღვრულ მოცემულობას. იგი ჰგულისხმობს ობიექტური ვითარების გაჭვრეტასაც. პოეტის მიერ საგნის „განსხვავებულად" განცდა, ყოველთვის განპირობებულია და გამართლებულია საგნის როგორც შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ფანტაზიის საგნის ობიექტური შინაარსით, — იმ თავისთავადი შინაარსით და მიმართებით, რომელიც ინტენციონალურად არსებობს ხატში და რომლის დასაბამი არაცნობიერი ფსიქიკურის სფეროში უნდა ვეძიოთ.

მხატვრული მეტყველების ანალიზის დროს, დ. რამიშვილი მიდის სწორედ იმ დასკვნამდე, რომ „სუბიექტური ასპექტი შემოქმედებითობის შემთხვევაში ნიშნავს მოვლენათა პირისპირ ჭვრეტის „ასეთ" სურათს; ხოლო ეს სურათი, დანახვის ეს რაობა მხატვრული მეტყველების შემთხვევაში ასახულია ამ შინაარსის „ასეთი" მოცემულობით" . ეს სუბიექტური ასპექტი აუცილებლად არ ნიშნავს თვითონ შემოქმედის პირადულ სწრაფვებსა და სუბიექტურ დამოკიდებულებებს საგნისადმი, საგნის შინაარსისადმი, არამედ „სუბიექტური ასპექტი" ამ შემთხვევაში არის ზოგადად იმ ადამიანურ განცდით შესაძლებლობათა გაღვიძება და აქტუალიზება, რომელიც თვით საგნის როგორც ფანტაზიის საგნის ობიექტურ შინაარსში ძევს.

ხელოვანთა გამოცდილების გათვალისწინებით ჩვენ უნებურად უნდა დავადგეთ იმ აზრს, რომ შემოქმედებით პროცესში მოქმედი გრძნობები და სახეები განსხვავებული უნდა იყოს იმ სუბიექტური ემოციების და წარმოდგენებისაგან, რომლებიც ყოფით ცხოვრებაში აქტივობენ. ჩვენ უთუოდ უნდა ლავადგეთ იმ ვითარებას, რომ ეს არის სუბიექტურ, პირადულ თვისებებისაგან და მიმართებებისაგან განწმენდილი გრძნობები და სახეები.

ამის ნათელსაყოფად, უაღრესად საინტერესოდ და ნიშანდობლივად მიგვაჩნია ჯონ კიტსის ასეთი გამხელა, რომელსაც იგი გვაწვდის ბეილისადმი წერილში პოემაზე „The Eve of st agnés" მუშაობის დროს. კიტსი აქ წერს, რომ ერთ-ერთ მთავარ სპეციფიურ თვისებად პოეტისა მას მიაჩნია „negative capacity" და მხოლოდ იმის შეთვისების უნარი, რასაც სამყარო აწვდის. იგი ამგვარად განგვიმარტავს თავის სულიერ გამოცდილებას: „პოეტი ყველაზე არაპოეტური არსებაა, მას თავისი თავი ყოველთვის გადააქვს გარე არსებულ მოვლენებში. მზე ,მთვარე, ზღვა, კაცი და ქალი, მოქმედებენ მათი სწრაფვისდა მიხედვით, ისინი პოეტურნი არიან და უცვლელი ატრიბუტები აქვთ საკუთარი. პოეტს ისინი არა აქვს. მას არაფერი არ აქვს თავისი და, ამიტომაც, უდაოდ ყველაზე არაპოეტური არსებაა ამქვეყნად". ვგონებ სავსებით ნათელია რასაც ჰგულისხმობს კიტსი „პოეტის არა პოეტურობაში" და „არაფერი თავისის არ-ქონებაში", — ფსიქოლოგიური სურათი ამ მეტაფორული გამხელისა ადვილად ამოსაცნობია და ყოველგვარი კომენტარიც ზედმეტად მიმაჩნია.

შემოქმედებითობის, ხელოვნების არსი და მიმართება, გარდასახვის გზით, სუბიექტურ მისწრაფებათა განთავისუფლებასა და განწმენდაში მდგომარეობს. არ არსებობს არც ერთი ნამდვილი ქმნილება ხელოვნებისა, რომელიც თავისი მიმართებით სუბიექტური იყოს. „უაღრესად სუბიექტურად განპირობებული" პოეტური სახე — უაღრესად ცუდი გამოდგება.

ამგვარად, ცხოვრებისეულ სახეებსა და ემოციებთან შეპირისპირებით, შემოქმედებითი სახეებისა და განცდების ჰეტეროგენული ბუნების გაჭვრეტისას, აქ მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა მხატვრული გრძნობისთვის დამახასიათებელი ხუთი სპეციფიკური ნიშანთვისება, რაც საფუძვლად უდევს მის ობიექტურობას: 1. რომ მხატვრული გრძნობა გონიერია, ანუ, იდეის განცდას წარმოადგენს; 2. რომ მხატვრულ გრძნობას არ ახასიათებს ეგოცენტრიზმი, რამდენადაც ხატში გადაწყვეტილი ობიექტური სამყაროს სპეციფიურობის ნიშნით არის აღბეჭდილი მისი მიმართება; 3. იგი არის იზოლირებული გრძნობა, რამდენადაც ძირითადად განცალკევებული და განწმენდილია სუბიექტურად ცხოვრებისეული კმაყოფილება-უკმაყოფილების ემოციური სწრაფვებისაგან, 4. იგი ხატისმიერია, რაც იმას ჰგულისხმობს, რომ მხატვრული გრძნობა ავტონომიურად აღმოცენდება პოეტის ფსიქიკაში განწყობის გაცნობიერების საფუძველზე.

5. მაგრამ მხატვრულ გრძნობას, სხვა სპეციფიურ ნიშანთვისებებთან ერთად, ახასიათებს

კიდევ ერთი ფრიად ყურადსაღები თვისება, რომელიც, ერთის მხრივ, კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს ვაღიაროთ მისი ობიექტურობა და, მეორეს მხრივ, რომელიც ძირითადად განაპირობებს პოეტურ სახეთა, განცდათა და, საერთოდ, ლექსის ინტერსუბიექტური კომუნიკაციის უნარს. ეს არის *თვისება მხატვრული გრძნობის ექსტროვერტული მიმართებისა*, — ანუ, ამ გრძნობისთვის დამახასიათებელია მიმართება გარე-ქმედებისაკენ, გარე-განფენისკენ, რაც გამომდინარეობს მისი ძირითადი დანიშნულებიდან, შეგონების დანიშნულებიდან. მხატვრული გრძნობა აქტივობს შიგნიდან გარეთ, მისი „შინაგანი მიზანია“ გარე-განფენა, განსხვისება, გაობიექტურება, საყოველთაოდ არსებობა, ანუ, სხვა ადამიანების სულში გადანაცვლება.

ამ ექსტროვერტული მიმართებით, მხატვრული გრძნობა ინტენციონალურადაც და გარეგნულად გამოვლენილი ფორმითაც განსხვავდება ასევე ესთეტიკური ემოციებისაგან. ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ ინტროსპექტულად დავუკვირდებით საკუთარ ემოციებს მხატვრული ტილოს აღქმა-გააზრებისას. კერძოდ, ჩვენ შევნიშნავთ იმ ფაქტს, რომ *ესთეტიკურ ემოციებს ახასიათებს ინტროვერტული მიმართება*, ანუ, ამ ემოციებისთვის დამახასიათებელია ქმედება არა გარე-განფენისაკენ, არამედ, მათი განვითარება მიმდინარეობს სუბიექტის შიგნით. ესთეტიკური ემოციების შემთხვევაში სუბიექტი გარე-არსებულს (მხატვრულ ტილოს და მასში განსხეულებულ მხატვრულ გრძნობას) აღიქვამს და ითვისებს, შეიძლება ითქვას, ისაკუთრებს. შეთვისება-დასაკუთრება წარმოადგენს თანდათანობითი განვითარების პროცესს, რომელიც სრულყოფილდება იმდენად, რამდენადაც ღრმავდება, ხდება შესაბამისი სუბიექტის პიროვნულ-ცხოვრებისეული გაგებისა და ცოდნისა, — ე. ი. რამდენადაც იძირება სუბიექტის არსებაში. ამ პროცესში წარმოებს გარეარსებული მოვლენის (მხატვრული გრძნობის) გათავისება, დასაკუთრება, შეთანხმება საკუთარ ფსიქოლოგიასთან. (საგულისხმოა, რომ რასაც ვერ შეუთანხმებს და ვერ შეუსაბამებს საკუთარ სუბიექტურ შეხედულება-მიდრეკილებებს, იმას უაღრესად ძნელად ან საერთოდ ვერ ითვისებს განმცდელი). ესთეტიკური ემოციების შემთხვევაში მოქმედება წარმოებს გარედან — შიგნით. თავისი განვითარების უკანასკნელ ეტაპზეც კი, ანუ, გასრულყოფილების მომენტშიც, ესთეტიკური განცდა რჩება სუბიექტის კუთვნილებად და არსებობს მანამ, სანამ სუბიექტს ცნობიერად ამოძრავებს გარკვეული მხატვრული ტილოსადმი ეს ინდივიდუალური ემოციები. ეს ემოციები არ ობიექტივირდება და მათ შინაგან მიზანს არ წარმოადგენს „სხვებზე ზემოქმედება“. სუბიექტი თავის თავში ტკბება ამ ემოციებით მანამ, სანამ ისინი მოქმედებენ. სუბიექტი ამ დროს სრულიადაც არ არის დაინტერესებული თავისი ესთეტიკური ემოციების საყოველთაობით, ობიექტური სიმართლით. პირიქით, იგი ცდილობს რაც შეიძლება საკუთრად გაიხადოს როგორც ესთეტიკური ობიექტი, ასევე ამ ობიექტით განპირობებული განცდა. (ეს მომენტი გულუბრყვილოდ ვლინდება უმწიფარ ადამიანთა და განსაკუთრებით ჭაბუკთა ისეთ ქმედებაში, როგორიცაა საინტერესო წიგნის „დამალვა“, არ — განათხოვრება ან ბიბლიოთეკებიდან მოპარვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი წიგნს კი არ იპარავს, არამედ სურს მხოლოდ მისი საკუთარი გახადოს ესთეტიკური ემოცია, წიგნიდან მიღებული ცოდნა, და ამით სხვათა წინაშე უფრო „მდიდარი“, სუბიექტურად უფრო „მაღალი“ და „მეტის მქონე“ აღმოჩნდეს).

ესთეტიკური ემოცია არსშივე განსაზღვრულია გათავისების სურვილით და იგი იმდენად არის შეზღუდული განმცდელის სუბიექტურ-პიროვნული საზღვრებით, რომ ორ ადამიანს შესაძლებელია სრულიად სხვადასხვა განცდები აღეძრას ერთი და იგივე მხატვრული სახის მიმართ. ასე მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძისადმი ერთს შეიძლება სიმპატიური ემოციები აღეძრას, მეორეს — ანტიპატიური. ერთმა შეიძლება თანაუგრძნოს ანნა კარენინას, მეორემ — გაკიცხოს, ერთმა ჰამლეტი შეიძლება მხდალად ჩათვალოს, მეორემ — გმირად. ზოგიერთ პოეტს მკითხველი შეიყვარებს და „ითვისებს“, ზოგიერთს ვერ ითვისებს და ვერ შეიყვარებს. „გემოვნებაზე რომ არ კამათობენ“, — ეს მართლა გემოვნებას კი არ შეეხება, არამედ განმცდელის პირად-სუბიექტურ ემოციურ მიმართებას, მის სუბიექტურ მსოფლგაგებას, მისი აზროვნების გეზს, რომელიც თვით უნატიფესი გემოვნების ლიტერატორსაც ვერ შეაგუებინებს, ვერ შეათვისებინებს დამტკიცებულ, აღიარებულ და გენიალურ ხელოვანსაც. „გულთან არ მოდის“ — ეს გულუბრყვილო მოარული ფრაზა ნათლად გვიმხელს ესთეტიკური ემოციის სუბიექტურ ბუნებას. ყველაფერი ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვითარდება ესთეტიკური ემოცია აღმქმელის შიგნით მისი სუბიექტური ხასიათისა და მიდრეკილების შესაბამისად. ამიტომაც არის, რომ ესთეტიკური ემოცია არასდროს არ არის ადექვატური ნაწარმოებში განსხეულებული მხატვრული გრძნობისა. ესთეტიკური ემოციები ბოლომდე არასდროს არ არის მართალი არც მხატვრული ნაწარმოების მიმართ და არც თავის თავში, ანუ, აღმქმელი პიროვნების არსებითი თვისებების მიმართ. ესთეტიკური ემოცია შეიცავს დიდ დოზას ცხოვრებისეული თვითმოტყუების მომენტისა. ეს ემოციები შედარებით სრულყოფას და სიმარ-

თლეს აღწევს მხოლოდ ხელოვნების თეორეტიკოსის გონიერი ჭვრეტის შედეგად, როდესაც ხდება მათი შემოქმედებითი, ტრანსსუბიექტური განცდა და შეფასება. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ესთეტიკური ემოციები ჰკარგავენ თავიანთ სახესა და ფუნქციას, და გადიქცევიან ერთგვარ შემოქმედებით განცდებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ესთეტიკური ემოციების შემთხვევაში ინტერსუბიექტური კომუნიკაციის ფუნქციის საკითხი მართლაც მოხსნილია, — აქ შინაგანად არ დგას ამ ფუნქციის აღსრულების საჭიროება. შეგონების მიზანს თავის თავში სრულიადაც არ ჰგულისხმობს ესთეტიკური ემოცია. იმისთვის რომ ესთეტიკური ემოცია შესდგეს, სრულიადაც არ არის საჭირო მისი ობიექტივირება ან გაზიარება. ესთეტიკური ემოცია თავის თავში არც იმისგან არის დამოკიდებული, თუ რამდენად ობიექტურია იგი და რამდენად შეესაბამება სიმართლეს. მისთვის მნიშვნელობა არც იმას აქვს, თუ რამდენად ადექვატურია მხატვრულ ნაწარმოებში გამოვლენილი გრძნობისადმი.

ყოველი ესთეტიკური ემოციის მნიშვნელობას, მნიშვნელობა აქვს ძირითადად სუბიექტისათვის. ესთეტიკური ემოცია ვითარდება სუბიექტში ინტროვერტულად და მის შიგნითვე ასრულებს თავის არსებობას.

რაც შეეხება მხატვრულ გრძნობას, მას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც არსებობს ყველასთვის ისეთად, როგორადაც არსებობს, — იგი თავის თავში სრულყოფილდება იმდენად, რამდენადაც ობიექტივირდება, რამდენადაც განახორციელებს შეგონების მიზანს. მხატვრული გრძნობა ბოლომდე შეიცნობა ხელოვანის მიერ ობიექტივაციის პროცესში და, ამიტომაც, ასრულებს რა ხელოვანის ცნობიერებაში მოქმედებას, კი არ ქრება ან მარტო არაცნობიერის კუთვნილებად კი არ იქცევა, — არამედ აგრძელებს თავის არსებობას როგორც თავისთავადი, ობიექტური რეალობა (მხატვრულ ქმნილებაში).

ამგვარად, თუ ესთეტიკური ემოციის აქტი მდგომარეობს გარე-ობიექტის (მხატვრული ტილოს) შეთვისება-გათავისებაში, მხატვრული გრძნობის აქტი მდგომარეობს გარე-გამოვლინებასა და განსხვისებაში. მხატვრული გრძნობა — ეს არის აგრეთვე იმ ადამიანურად შესაძლებელი განცდითი ტონალობისა თუ ფერის აღმოჩენა და გაცნობიერება, რომელიც ხელოვანს აღეძვრება ხატის ზემოქმედებით, გარკვეული იდეის მიმართებით. და ამ გრძნობას ხელოვანისთვის როგორც სუბიექტისთვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ყველასათვის არსებულია და ყველასთვის გასაზიარებელია.[1] აქედან გამომდინარე, მხატვრული გრძნობის აქტივობა ექსტროვერტულად მიიმართება და სწორედ ამ მიმართების წყალობით ასრულებს პოეტური სახე ინტერსუბიექტური კომუნიკაციის ფუნქციას.

დასასრულ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: რადგან პოეტური სახე „მხატვრული გრძნობით“ და ფანტაზიის ხატით განპირობებული ფენომენია, მისი სუბიექტური განპირობებულობის საკითხიც მოხსნილი უნდა იყოს. ესთეტიკასა, ფსიქოლოგიასა და ლიტერატურისმცოდნეობაში საუბარი შეიძლება წარიმართოს პოეტური სახის ორიგინალურობაზე, ინდივიდუალურობაზე და არა სუბიექტურობაზე. მხატვრული გრძნობის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით გასაგები ხდება ისიც, თუ რა განაპირობებს „პოეტური სახის ინტერსუბიექტური კომუნიკაციის ფუნქციას“. ამას გარდა, მხატვრული გრძნობა სპეციფიკურად პოეტისთვის (საერთოდ, ხელოვანისთვის) არის ნიშანდობლივი და, ამდენად, მხატვრული გრძნობის მიმართებით დანახული და განცდილი საგანი სხვისთვის ახალია. ფილოსოფიასა და ესთეტიკაში დადგენილია, რომ ხელოვნება არის ჭეშმარიტების წვდომის ერთ-ერთი გზა და საშუალება. ხელოვანი თავისებურად განჭვრეტს, თავისებურად სწვდება ჭეშმარიტს. პოეტის მიერ განჭვრეტილი ჭეშმარიტება, მის მიერ დანახული სინამდვილე ახალია იმდენად, რამდენადაც „ასეთად“ განუცდელი და განუჭვრეტელი იყო სხვების მიერ. თავისი ინდივიდუალური წვდომის მეშვეობით პოეტი გრძნობადი ფორმებით განგვაცდევინებს სინამდვილის ისეთ თვისებებსა და მათ ისეთ ხარისხს, რაც ჩვენთვის მანამდე უცნობი იყო.

პოეტური სახის ამგვარი გაგებით, მისი საფუძვლების გათვალისწინებით, უფრო ნათელი ხდება მისი ბუნებაც. შემეცნებითი ღირებულებაც, სპეციფიურობაცა და ინტერსუბიექტური კომუნიკაციის უნარიც.

---

[1] და მხატვრული გრძნობა (მასთან ერთად, პოეტური სახეც) ყველასათვის გასაზიარებელია იმდენად, რამდენადაც პოეტის მიერ გაცნობიერებული მნიშვნელობა ხატისა — მომწიფებული განწყობისა( რომლის მიმართებითაც მოქმედებს და ვითარდება მხატვრული გრძნობა, და რომლის გამოვლენისათვის აღმოცენდება პოეტური სახეები შემოქმედებით პროცესში), *არაცნობიერად* ყველაში არსებობს. მკითხველი თავის სულში *არაცნობიერად* კი ატარებს ლექსით გამოთქმულ მნიშვნელობასა და შინაარსს, მაგრამ თვით ლექსის შექმნამდე მის შესახებ *ცნობიერად* არაფერი არ იცის. სწორედ ამიტომ არის მისთვის „ახალი“ და „უცნობი“ ყოველი ნამდვილი ლექსი და ყველა ორიგინალური პოეტური სახე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ჭრელაშვილი,
ა. შავხელიშვილი

# თუშური ფოლკლორის საკითხებზე

დ. გოგოჭურმა ჟურნალ „მნათობის“ 1972 წლის მეოთხე ნომერში გამოაქვეყნა წერილი „მცირე განმარტება“, რომელიც პასუხია 1971 წელს ამავე ჟურნალის მე-6 ნომერში დაბეჭდილი ჩვენი წერილისა „დ. გოგოჭურის სტატიის შესახებ“. უკანასკნელი თავის მხრივ გამოიწვია დასახელებული ავტორის წერილმა „ბახტრიონის ერთი გმირის ვინაობა“ („მნათობი“, 1970, № 2). „მცირე განმარტება“ ჩვენთვის სავსებით არადამაკმაყოფილებელია.

ჩვენ აქ სხვა საკითხებს აღარ დავუბრუნდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დ. გოგოჭურს სრულიად შემცდარი წარმოდგენა აქვს წოვა-თუშების ხალხური პოეზიის შესახებ. დ. გოგოჭური წერს: „...ავტორები წერილში საზოგადოდ თუშებზე ლაპარაკობენ, მაგრამ თუშების ერთი ნაწილი ხომ (ჩაღმა თუშები) ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო მეორენი (წოვა-თუშები) — არა ქართულ, ე. ი. ბაცბურ ენაზე მეტყველებენ. ჩვენ რომ მხოლოდ ტომობრივ სახელის დადგენასთან გვქონდეს საქმე, მაშინ ენობრივ სხვადასხვაობას მნიშვნელობას არ მივცემდით, ვინაიდან ესეც თუშია და ისიც, ორივე ქართველი ტომისანი არიან. მაგრამ ჩვენ ხომ ხალხურ პოეზიასთან გვაქვს საქმე, რომელიც უეჭველად რომელიღაც ენაზე უნდა არსებობდეს“ („მნათობი“, 1972, № 4, გვ. 182). შემდეგ ავტორი განაგრძობს: სადავო „ლექსი წოვა-თუშური არ შეიძლება იყოს: წოვებმა არა თუ ხევსურული კილო, საერთოდ ქართული ენა ნაკლებად იცოდნენ“ (იქვე, გვ. 182). ბოლოს იგი დაასკვნის: „ვერაფრით ვერ გაგვიგია, რანაირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას ერთ ენაზე შექმნილი ლექსი სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა შორის. ანდა როგორ შექმნის ხალხი სრულიად სხვა ენაზე ხალხურ ნაწარმოებს, როდესაც ასეთი რამ მას საკუთარ ენაზე არ გაუკეთებია“ („მნათობი“, 1972 წ. № 4, გვ. 184).

დ. გოგოჭური აქ სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჩაღმა და წოვა-თუშებიც ორივე ქართულის ტომისანი არიან; შემდეგ იგი სავსებით სწორად უსვამს ხაზს წოვა-თუშების ღვაწლს სამშობლოს წინაშე: „წოვა-თუშებმა თავისი გმირობითა და მამულიშვილური შემართებით მრავალი სასახელო ეპიზოდი შემატეს საქართველოს ისტორიას, ხალხურმა მოლექსეებმა სათანადოდ დააფასეს მათი ღვაწლი“ (იქვე, გვ. 182). აქ მასთან ჩვენ სადავო არაფერი გვაქვს. მაგრამ სავსებით შემცდარია მისი მოსაზრება, თითქოს წოვა-თუშები ქართულის არმცოდნე ეთნიკური ერთეული იყოს. აქედან გამომდინარეობს მისი ასევე შემცდარი დასკვნა, თითქოს არ არსებობდეს წოვა-თუშების ქართული პოეზია, ვინაიდან „სხვა ენაზე“ მოლაპარაკე ხალხი ვერ შექმნიდა ქართულ ლექსს და ამიტომ უაზრობაა „ქართულის არამცოდნე წოვა მოლექსის“ მიერ შექმნილ ვარიანტის შინაარსზე ვილაპარაკოთო, მით უმეტეს, რომ ხალხმა ქართული ენა თვით მე-19 საუკუნეში „ნაკლებად“, „ცალკეულმა პირებმა“, „ინტელიგენციამ“ იცოდა მხოლოდ.

მთელი ეს მტკიცება ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ფაქტებს, ისტორიას წოვა-თუშების ტომისას, რომელმაც სწორედ მშობლიურ ქართულ ენაზე შექმნა შესანიშნავი ლექსები. წოვა-თუშების ისტორიული ცხოვრების უტყუარი მოწმენი არიან წოვათის ხევების სტრატეგიულ უბნებზე (წაროს, ეთელტის, საგირთისა, ინდურთისა და სხვ.), მთის წვერზე (მაგეხის), კლდის კინწვერებზე (ყადოვანის) და სხვაგან აღმართული ციხე-კოშკები. აქ თუშების მამა-პაპათა მიერ სამშობლოსათვის გადახდილ ბრძოლებზე მოგვითხრობს წოვა-თუშების საგმირო პოეზია, რომლის მხოლოდ ორ ნიმუშს მოვიტანთ (ტექსტები მოგვაქვს მცირეოდენი შემოკლებით):

ამბობენ დაღესტანშია,
ახლა დავლობის ხანია,
მოვიდა შუა ზაფხულა,
თუშთა დავლახნოთ მთანია.
სპეროზის შვიდი ფარა ზღვას,
იქით გავიღოთ გზანია;
ცხვარ-წყემსებ შემოვაყოლოთ,
ადვილი საშოვარია.
დაიძრა, გამოიმართა
დიდი ბუსურმნის ჯარია,
პარასკევს, შუადამის ხანს,
სპეროზას დაჰხურ ცანია.
დააწიოკა ცხვარ-წყემსი,
ვაი რა ცოდვა-ბრალია.
ვინც დაჰხვდა გულის მტკივანი,
ცხვარზე მოიკლა თავია.
სულ ერთად შემოაქუჩეს
შვიდივე ფარა ცხვარია;
გზა შორს ჰქონდ სახვევრიანი,
კლდიან ხორაჯის თავია.
კაცი მოვიდა წოვათას,
ლეკის დაგვეცა ჯარია;
სპეროზით ცხვარი წაიღეს,
შავად დაჰბღერტეს მთანია.
გაჯავრდნენ წოვათ ბიჭები,
აბჯრის გამოდის ჩქამია;
სწრაფ გადიარეს მთის წვერი,
ღმერთო დასწერე ჯვარია.
წინ უძღვის ბერი სამება,
უნდა გავლახო მტერია.
თან გამყვა ჩალმა — პირიქით
ძმურათ ვუჭიროთ მხარია,
სადილობისას ნაქერალს
ლეკებს მოსტაცეს გზანია.
ნაქერალის თავს ვაკეში
შემოდგა ლეკის ჯარია.
—ომია აღელვებული,
ცამან დაყარა ნამიო,
ხმალ-ხანჯლის ჩქამი გამოდის,
იტყვი, დაიძრა ზვავიო.
იმდენი დარჩა ნახოცი,
როგორც რიყეზე ქვანიო,
მე მაგის მომლექსებელი
წოვათას თუშის ქალია.
ლაღიცა არვის გეგონოთ,
ტირილით ვიმქავრ ჯავრია.
ჩვიდმეტი შემოგვიჩინეს,
საკაცით წოვათაშია,
ოცდათორმეტიც დაჭრილი
ნაქერლის ომობაშია.
ჩალმა-პირიქით ვინ იცის
მომკვდარი ლეკის ხელითა...
ახლანდელ თუშის ტანჯვაში
ნუ ჩავარდება მტერიცა[1]...

• • •

წოვათის ციხეს აგებენ,
ციხესა ალმასისაო;
აგაშენებენ ხურონი,
ლამაზ ნაგებო ქვისაო.
შიგნით მართავენ ოთახებს
საომრად ბიჭებისაო.
ქისტეთში ქისტებ გაიგეს,
მძიმეთ მიდგ-მოდგებისაო;
წავიღეთ ჩვენა, ჩავტეხოთ
ციხეებ წოვათისაო;
ცხენ-ძროხა შემოვირეკოთ,
დავლას მივიღებთ ბევრსაო;
საკვეხურად მოვიყოლოთ
მარჯვენა თუშებისაო.
წოვათას ვერას ჩასტეხავთ,
კოკა არ არის წყლისაო,
წოვათას წოვათ ბიჭებსა
ყაიმი არ აქვთ მტრისაო.
შეყრილა ქისტის ჯარები,
ნამ არ გადასწვდებ ცისაო.
გადმოდის მაგეხის ღელეს
წოვათის მუქარაზედა.
გალაღებულა ბელადი,
ჰკვაზე არიგებს ჯარსაო:
საცოლეთ აგარჩევინებთ
ქალ-რძალსა წოვათისაო.
საგირთას ჩამოდგებიან
ცისკრის ამოსვლის ხანსაო.
გაიგეს საგირთელებმა,
სიცილ მოუვათ პირსაო;
ციხეში შექუჩდებიან
ვეფხვები სალის კლდისაო...
გამაგრდი, ციხევ, ტიალო,
ხუროთ ნაგებო ქვისაო;
შემოგეხვივენ ქისტები,
თოფის დაგხვევენ ალსაო.
ელიან მოშველებასა
ბიჭების ინდურთისაო,
მზის ამოსვლის ხანს მოჰკივლენ
არწივებ მაღლის მთისაო;

[1] ი. ბუქურაული, თუშური ლექსები, „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913 წ. გვ. 32.

მოვდივართ ახალგაზრდები,
ჯავრს არ შეგაჭმევთ მტრისაო!
ოთხივე კუთხივ მოგადგნენ
მეომარ თუშებისაო.
ომი არს საგირთაშია,
ჩამოტეხვას ჰგავს ცისაო;
თოფის აღარ არს გარჩევა,
ხმლით კუწვენ ერთმანეთსაო.
ბევრისა სისხლი დაიღვარ
ამ ოხერ წოვათასაო.
წითლად შეღებეს ტიალი
ალაზან წოვათისაო.
გაბრუნდნენ დამარცხებული
ჯარები ქისტებისაო;
მე მაგის მოლექსობელი
შუა წაროში ზისაო.[1]

ვფიქრობთ, შეუძლეებლია დავა იმაზე, რომ ეს ლექსები წოვა-თუშებისაა. გარდა იმისა, რომ მოქმედება წოვათაში მიმდინარეობს, ავტორები თავის ვინაობას ზედმიწევნით ზუსტად მიგვითითებენ. მოქმედების აღწერის დროსაც აშკარად ჩანს მათი ვინაობა და ადგილ-სამყოფელი: პირველში ნათქვამია: „კაცი მოვიდა წოვათას“, „წინ უძღვის ბერი სამება“ (წოვათას მთავარი სალოცავი და სალაშქრო ჯვარი), „თან გაჰყვა ჩალმა-პირიქით, ძმურად ვუჭიროთ მხარია“; გარდა აღნიშნულისა, განა ავტორის ფსიქიკა არ გვიჩვენებს, რომ იგი თანამოძმეთა გამარჯვებით აღფრთოვანებული მოლექსეა?

წოვა-თუშების ისტორიულ ცხოვრებას ეხება ადგილობრივი მოლექსეების მიერ გამოთქმული ბევრი სხვა ლექსიც. კერძოდ ეს ითქმის ლექსზე „წოვათის სამო ციხეო“, რომლის ავტორი გვეუბნება:

ამ ლექსის გამლექსებელი
წოვათას თუშის ქალიო,
გულლაღი არვის გეგონოთ,
გულჯავრიანი ვარიო.[2]

ასევე წოვა-თუშია ავტორი ლექსისა „ზეზვას გაფრინდაულსა“.[3] წოვა-თუში მთქმელები ჩანან ისეთ ლექსებშიც, რომლის მოქმედება უშუალოდ წოვათაში არ მიმდინარეობს. მაგალითად, „ომში უჯარმის ბოლოს“, რომლის ავტორი შემდეგ ცნობას იძლევა:

თინათინი ვარ მოლექსე,
დევლრის ანთაის ქალია,
წოვა-თუში ვარ ძირადა,
აფშინაანთა გვარია;
ძმაი მომიკლეს თათრებმა,
თვალთა მდის ცრემლის ღვარია,
თალხი ჩავიცვი ტანზედა,
შემოვიკეცე თმანია,
დედ-მამა დამრჩა მოხუცი,
აღარ შევირთე ქმარია.[1]

წოვა-თუშად გვაცნობს ავტორი „დათუნა ბატონიშვილის“ ერთ-ერთი ვარიანტისა. იგი კახეთში ცხვართან მყოფი წოვათ მეავია ყოფილა.[2] კიდევ შეიძლება ბევრი ისტორიული ლექსის მოტანა, სადაც მოქმედება წოვათში ხდება და ტექსტის მიხედვით ავტორიც ადგილობრივია, მაგრამ თავს არ ასახელებს (მაგ. „საქიონელთა ჯარები წაროს თავს გროვდები ანო“, ასპინძის გმირი „გიორგი ღილოიძე“[3] „გიგის ლაგაზის გმირობა“[4] და სხვა).

თუშურ ხალხური პოეზია გვიჩვენებს, რომ წოვათა' აუარებელი მტერი ესეოდა. მოტანილი ლექსებიდან ნაწილობრივ უკვე ჩანს, რომ თავდასხმების მიზეზი ეკონომიურია. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ წოვა-თუშები მისდევდნენ ადრიდანვე ცხვარს და მომთაბარეობას, რაც დოვლათის დაგროვებისა და ამიტომ თავდასხმების მიზეზადაც გადაიქცა. ცხვარმა აგვაშენა და ცხვარმავე დაგვღუპაო, იტყვიან ხოლმე თუშები. თუშების ეკონომიური ყოფის ამ ერთ-ერთი ძირითადი თემისადმია მიძღვნილი წოვა-თუშების ბევრი ლექსი, რომელთაგან აქ ისევ მხოლოდ ორს, დაახლოებით ერთმანეთისაგან საუკუნით დაცილებულ ტექსტს მოვიტანთ:

• • •

ძნელია სხვათა შვილობა,
შეხედვა აღებისაო;
დღე-ღამე ჯოხზე ყუდილი;
ძოება ბატკნებისაო.
პერანგში მარილის ხვევა,
უსატნოთ ხალის ჭამაო;
დაჯდომა თითო წყაროზე, —
წყალია მაღლის მთისაო.
ხალის გაზელა მარილით,
კონჩხოთი ხვრეპა წყლისაო,
ახლა გასვლა იმ გორაზე,
ტირილი ქალივითაო,
აგრე ჩამოყრა ცრემლების,
შედარვა ღრუბლებისაო.
ან რად გამზარდა დედამა?

---

1 იქვე, გვ. 21-22.
2 ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 117.
3 კ. ჭრელაშვილი, თუშური ლექსები, 1962 წ. გვ. 20.

1 თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ. 144.
2 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 110.
3 ქს. სიხარულიძე, ქართული საისტორიო სიტყვიერება, II, 1964, გვ. 98-100.
4 კ. ჭრელაშვილი, თუშური პოეზია, 1962, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარც ვიკლავდი თავსაო,
რომ მოვკვდე, ვინღა მიტირებს
ობოლსა, სხვათა შვილსაო?!
უცრემლოთ ჩავალ საფლავში,
დავშორდებ სამზეოსაო;
სამზეოს ისევ ბნელში ვარ,
ხორხია წოათისაო.
არცა რა ტანზე მაცვია,
მალ-მალ შევხედავ მზესაო;
მზეო, შენ მაინც ნუ ჩახვალ,
ღრუბლებ იყრება ცასაო,
აირევიან ღრუბლები,
სეტყვას მაქცევენ თავსაო.
ძველი მხურია ნაბადი,
ღამეს ვათენებ ბნელსაო,
გავალ-გამოვალ გორზედა,
ჩავხედავ წოათასაო,
ლხინობენ ჩემი სწორები,
აჯირითებენ ცხენსაო,
მანდ ყოფნის ღირსსა ვინ გამხდის
ობოლსა, სხვათა შვილსაო.
ამომიდუღდა გუნება,
ფერი დამედვა მკვდრისაო,
წავალ და პირქვე დავწვები,
მოვიგონ სიობლესაო,
სიღარიბე და ობლობა,
რად გაუჩენავ ღმერთსაო?
ეს ლექსი მისთვის გამოვსთქვი
სახსოვრად სამზეოსაო,
მომლექსებელსაც განიშნებთ —
სანდროსა ძეოძესაო.[1]

მეცხვარის სიმღერა

მეცხვარემ ცხვარი გავშალე
შემოეფინა ჩრდილსაო,
შიგ ურევია ბატკანი,
ჟივილი მოდის ცხვრისაო.

წინ თვითონ გამოუძღვება,
ხმა მოდის სიმღერისაო;
გახედეთ მწვანე მინდორსა,
ბალახით შემკობილსაო.

რა მშვენიერი რამა ხარ,
დილავო ზაფხულისაო!
ამწვანებულა ველები,
იალაღები მთისაო.

მხარზედ მკიდია ხირიმი,
არ მეშინიან მტრისაო.
წელზე მარტყია ხანჯარი,
პირი აქვს ღოლადისაო.

დილით მივდივარ წყარო[illegible],
გუდით გავზელავ ხალსაო.
ხალი და კალტი წინ მიძევს,
კონჩხოთი ვხრეპავ წყალსაო.
გემრიელად შევექცევი,
ვატარებ დროებასაო.
ახლა გამოვალ გორაზე,
ჩემს ცხვარს დავავლებ თვალსაო
ცხვარი დაყრილა გორაზე
ამ შუადღისი ხანსაო.

გავიხედ-გამოვიხედე,
გაღმა-გამოღმა მთებსაო,
მთებს ნისლი შემოჰხვევიან,
შიგ და შიგ თოვლიანსაო.
შიგა ჩქამობენ შურთხები,
მაღლისი ჩვენის მთისაო.
წიფლოვანა და ბორბალო,
სათავე ალაზნისაო.
მაღლის მთის ცივი წყარონი
ჩქეფით ჩამოდის ძირსაო.
ამ ლექსის მომლექსობელი,
პავლეა, ცხენზედ ზისაო.
ტბათანიდანა წამოველ,
მივალ ალაზნის თავსაო,
გავხედე მეცხვარეებსა,
მთებზედ გაფენილ ცხვარსაო![1]

პირველ ლექსში ვხედავთ, რომ მთქმელი სანდრო ძეოძე წოვათის ხორხში იმყოფება. იგი წოვა-თუშების ცხოვრების უშუალო მონაწილე, მაგრამ უბედობით გარიყული მწყემსია. იქა ჰყავს მას სწორები, რომლებთან ერთად ვერ ხარობს მოჯამაგირეობისა და ობლობის გამო. თვით გვარი „ძეოძე“ წოვა-თუშების ერთ-ერთი ძველი გვარია (ძევრი), რომელიც გადაშენდა. ეს გარემოება და ისიც, რომ მოქმედება ხდება წოვა-თუშების წოვათაში ცხოვრების დროს, ლექსის სიძველეზე მიგვითითებს (წოვა-თუშები წოვათიდან მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიძრნენ ბარისკენ). მეორე ლექსის მთქმელი პავლე, როგორც ვხედავთ, ალაზნისთავისკენ მიდის — იქ, სადაც ოდიდანვე წოვა-თუშების საზაფხულო საძოვარია. მისი ვინაობა და ლექსის ავტორობა ალვანში მრავალმა იცის. პავლე იყო ცისკარიშვილი (ქიქაშვილი). ამ მთქმელის შესახებ ცნობები მოგვაწოდა აგრეთვე ი. ბუქურაულმა, რომელმაც გვიჩვენა კიდეც 1900-იან წლებში გადაღებული სურათი, სადაც ბუქურაულების ოჯახთან ერთად ზის დაახლოებით 70 წლის მწყემსი. დიდი მოლექსე კაცი იყო, ამ ლექსის გარდა სხვაც ჰქონდაო, თქვა მან.

ძველიდანვე უპირატესად მეცხვარეობის განვითარების გამო წოვა-თუშების პოეზიაში, ბუნებრივია, დიდი ადგილი უჭირავს ამ თემას. ძველი ლექსებიდან აშკარად წოვა — თუშების მიერ არის გამოთქმული „ქალმანა ჰკით-

1 ი. ბუქურაული, თუშური ლექსები, „ძველი საქართველო“, 1913, გვ. 59.

1 „საუნჯე“, 1936, გვ. 261, 263.

ხ. მეცხვარეს"[1], ხოლო გვიანდელი კი ასეთია „მეცხვარის ცხოვრება", და „თოვლით დაბურულ გარს მთები".[2] უკანასკნელი ორი ლექსიდან პირველი გამოთქმულია ალვანში ცნობილი მთქმელის გაბო იტოშვილის მიერ, რომელიც დაახლოებით ოცდაათიანი წლების ბოლოს გარდაიცვალა.[3] მას ჰქონდა ბევრი სხვა ლექსიც, რომელთაგან ზოგი გამოქვეყნებული არ არის: მაგ. ლექსი ძმაზე „ილიკო იტოშვილზე".

მეცხვარეობა და მომთაბარეობა ხიფათით არის აღსავსე. ბუნების სტიქიის, ძველად მტრის ან მეკობართა ხელით და სხვა მიზეზით, მთაბარობის ძნელ პირობებში, ხშირი იყო თუშების სიკვდილიანობა. ამ სამწუხარო მოვლენებისადმი მიძღვნილია წოვა-თუშების სამგლოვიარო პოეზიის ბევრი ნიმუში, რომელთაგან აქ კვლავ მხოლოდ ორს მოვიტანთ:

### ლექსი მიტო პაპაშვილისა

ზეცას ატირდა ფრინველი,
დაბლა დაუშვეს ნამია,
ატირდა მთელი შირაქი,
მთებმა გვიქციეს მხარია.
მოსულსა ბორანთანა ყავს
პაპაშვილს თავის ცხვარია,
ხუთშაბათს დილა გათენდა,
მზე მოფენილი დარია.
ვიფიქრე, ლეკში გადავალ,
ყველგან დავავლო თვალია,
შევუდექ მოსულსა ტყესა,
სევდის მეხვევა ალია.
იქ დგანან პირსისხლიანი
ოთხი რჯულძაღლი ყმანია,
გარშემო შემომეშალნენ,
ვერსად გავილე გზანია,
გავიხედ-გამოვიხედე,
ვინატრე სწორის ჯარია:
„სადა ხართ ბიძაშვილებო,
დამჭირდა თქვენი თავია".
ჩამომიყვანეს ცხენიდან,
ამავლ-ჩამავლეს თვალია,
შემომხსნეს ქამარ-ხანჯალი
და ჩამომართვეს ფულია.
ახლა ხანჯლებსაც მიჩხვლეტენ,
მე მივაშველე ხელია,
ვაი, რა ძნელი ყოფილა,
სიკვდილს ხედავდეს თვალია.
მომკლეს და წყალში ჩამაგდეს,
წყალო, გაბანე წყლულია.
მეჩვიდმეტე დღე გათენდა,
გაღმიდან მომკრეს თვალია,
წყალში ვარ გამონაშული,
თავზე აღარ მაქვს თმანია.[1]

### ყვავილი

დაიძრა, გამოიმართა,
ცხვრებია თუშებისაო,
ფიდონი ნაჭაურისძე
შავარდენია მთისაო!
ფიდონი შინის გამგზავრდა,
მუხლებს ქარ გაუვლისაო,
გზად დედა შეეგებება, —
ფიდონ ნუ მოხვალ შინაო,
დართლოს გაჩინდა ყვავილი,
შიგ რჩევით ხოცდა ხალხსაო;
არ სწყალობს დედისერთაებს,
არც კაი ვაჟკაცებსაო...
ფიდონი უკვენ დაბრუნდა,
დედას ვერ უტეხს ხათრსაო,
ვერც მამამ დაინახა და
ვერც და-ძმა-ნათესავმაო!
უკვენ გახყვება სიკვდილი,
ფიდონის მიზდევს კვალსაო;
ჩავიდეს შირაქის ქედში,
სიკვდილი უვლის გარსაო,
ვერც იჩქერებს ფიდონსა,
აღარც ანებებს თავსაო,
გააჩქერ უჩქერებელი —
ფიდონს შეზდებდა ხელსაო;
სიკვდილი გაღმა გავიდა,
ორ ქალს დაავლებს თვალსაო,
გაღმიდან გამობრუნდება,
გემით გამოვა წყალსაო,
მიუხდებოდა ანდროსა —
ნაჭაურიძეს ვაჟსაო.
— შენ ოხრად დამრჩალ სიკვდილო,
მე რაღას მიწევ ჯიბრსაო,
დედ-მამას ვინ შემინახავს,
ან ვინ მომივლის ცხვარსაო!
ემაგის მოლექსობელი
შირაქის გულში არსაო,
ალექსი აფშინაშვილი
გულისმტკივანი ძმებზეო".[2]

როგორც პირველი, ისე მეორე ლექსის ავტორი ჩვენთვის და ალვანში ბევრისათვის საერთოდ ცნობილია. პირველის ავტორი არის

---

1 „ძველი საქართველო", 1913, გვ. 59.

2 კ. ჭრელაშვილი, პოეზია, 1962, გვ. 63.

3 იქვე, გვ. 63.

1 კ. ჭრელაშვილი, თუშური პოეზია, 1962, გვ. 86.

2 თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ. 75, ამ ლექსის დიდად განსხვავებული ვარიანტი ჩაწერილი აქვს გ. მიქელაძეს (მისი რვეული ინახება ზემო ალვანის ლიტერატურულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში).

მსხვერპლის — მიტო პაპაშვილის მამა ივანე პაპაშვილი, იმ დროს ცნობილი მოლექსე, ხოლო მეორისა კი ლექსში დასახელებული ალექსი აფშინაშვილი (ცისკარიშვილი). ეს ცნობები კვლავ შევამოწმეთ ივანეს და ალექსის მემკვიდრეებთან — პავლე პაპაშვილთან და დიმიტრი ცისკარიშვილთან. პირველმა აღნიშნა, რომ მამას სხვა ლექსებიც ჰქონდა, რვეულიც გვქონდა იმის ლექსებისა, მაგრამ დაიკარგა; მეორემ, გარდა მოტანილი ლექსისა, აღნიშნა, რომ ალექსი აფშინაშვილის გამოთქმულია ლექსები: „ქოჩადალა“ და „სიტყვა გავგზავნე ხმელეთზედ“. მღეროდნენ სხვა ლექსებსაც, მაგრამ ისინი აღარ მახსოვსო. მართლაც, უკანასკნელი ლექსი გამოქვეყნებულია „ივერიაში“ 1899 წელს (№ 261) და აწერია: ხალხური ლექსი, გაგონილი თუშის ალექსი აფშინაშვილისაგან. „ქოჩადალა“ კი ალვანში ყოფნის დროს 1913 წელს ჩაუწერია ნ. მარს და ინახება მის არქივში. ამ ლექსის ბოლოს ავტორი ამბობს:

მაგ ლექსის მომლექსებელი
ტბათანას ცხვარშიგ ზისაო;
მეც დამამწყდია ამინდმან,
გადასვლა მინდა მთისაო,
შემაწუხა უბალახობამ,
რიდებამ იელისაო.
ობოლსა ვგევარ დედა მომკვდარსა,
ჩამოვჯდებ გორის პირსაო.
ალექსი აფშინაიძე
ერთგული სწორებისაო.[1]

სამგლოვიარო პოეზიას, მეცხვარეობის ძნელბედობის გამო, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თუშურ პოეზიაში. გარდა მოტანილისა, წოვა-თუშებს სხვაც ბევრი აქვთ ამ ჟანრის ლექსები.

როგორც დ. ალბანელი (დ. ქადაგიძე) აღნიშნავდა, თუშ-ფშავ-ხევსურების პოეზია მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ბევრ შემთხვევაში მათი გამიჯვნა ძნელია; ამ აზრს იმოწმებს ა. შანიძე და სამართლიანად ეთანხმება ძველ მოღვაწეს.[2] მაგრამ იგივე დ. ალბანელი აღნიშნავდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში გამიჯვნა მაინც ხერხდება. კვლევის ახლანდელი დონე გვიჩვენებს, რომ ლიტერატურული კვლევა-ძიებით დღეს, მართლაც, ეს შესაძლებელია; საერთოდ კი, ამა თუ იმ სადავო ლექსის უეჭველად რომელიმე კუთხისათვის მიკუთვნება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს; რომ არ გვცოდნოდა ა. აფშინაშვილის ავტორობა, საიდან გავიგებდით, რომ ლექსი წოვა-თუშის გამოთქმულია — იგი ჩალმებს ეხება და „ბუნებრივად“ ჩალმების ლექსად უნდა ჩაგვეთვალა იგი. ასეთ პროცესს, ცხადია, ძველადაც ექნებოდა ადგილი და ჩანს კიდეც მისი კვალი. ერთ-ერთ ლექსში, რომელიც წოვა-თუშების დიდ ბრძოლას ეხება, ავტორი ჩალმა-თუშად გვაცნობს თავს;[1] აღნიშნული კი მიგვითითებს იმაზე, რომ სადავო ლექსების წარმომავლობის შესახებ კატეგორიული მტკიცება მცდარია, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. მეორეს მხრივ დ. გოგოჭურის ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ „სულ სხვა“ ენის წოვა-თუშები ლექსებს ქმნიდენ არა მარტო საკუთარ ცხოვრებაზე, არამედ მეზობელ თანამოძმეთა ჭირსა და ვარამზეც. ასევე იყვნენ ისინი წოვა-თუშების მიმართ და ამ ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერი ერთობის დარღვევის ცდა, სადავო ლექსის უეჭველად ხევსურული წარმომავლობის დასამტკიცებლად, ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებულია.

თუშმა მთქმელებმა, წოვებმა, რევოლუციის შემდეგ ღირსეულად გააგრძელეს ქართული ფოლკლორის ტრადიციები და მაღალმხატვრულად უმღერეს ახალ ცხოვრებას. ამ რიგის ლექსებიდან მოვიტანთ ორ ნიმუშს, პირველი დიდ ლენინს ეხება, მეორე მწყემსის ყოფა-ცხოვრებას.

### ლენინს

სახსოვრად შენი სიტყვების
გულს ჩაგვესახა რწმენაო,
ჩვენ ყველა ახალგაზრდებმა,
მივმართეთ სწავლისკენაო,
განათლდა მთელი ქვეყანა,
მას ძირი გაუშენაო,
ხარობს დღეს ნორჩი თაობა,
გულები აუმღერაო.
სიტყვას გვიტოვებს ლენინი:
„ითვისეთ ჩემი რწმენაო,
იხარეთ, ახალგაზრდებო,
ისწავლეთ დედაენაო!“

• • •

თოვლით დაბურულ გარს მთები
მზის შუქზე ოდნავ პრიალებს;
გაღმით-გამოღმა ხორხებში
ბალახზე ნამი ცქრიალებს.
დეკებში შურთხნი უსტვენენ,
ტურფა ხმაზედა წკრიალებს;
ქიუხში ჯიხვებ მოსჩანან,
სალი კლდეები ჩხრიალებს.
გამოღმით, მთების კალთებზე,
ანკარა წყარო თქრიალებს;
საღამოს ჟამზედ ღრუბლები

1 ამ ლექსის მრავალი ვარიანტია გავრცელებული. ავტორობაც სადავოდ ქცეულა. იმავე 1913 წ. თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ვარიანტში ავტორობას სხვა იჩემებს.

2 ა. შანიძე, ხალხური პოეზია ხევსურული, 1931 წ. გვ. 9.

1 „ძველი საქართველო“, 1913 წ., გვ.

დაბლით ხევებში ტრიალებს;
ამ სურათს მწყემსი შესცქერის,
მისი ბუნება ტრფიალებს.
საღამოს ხანზე დეკაზე
ყაურმას ჩააჩხრიალებს,
გვერდს უზის ფიქრადქცეული,
ცეცხლზე მწვადები ტრიალებს;
ქვემოდ, არხაჯის ბოლოზე,
ტურფა წყარონი წკრიალებს.

ორივე ლექსის ავტორია მწყემსი დავით ბურკიშვილი.

წოვების თუშური პოეზია ახლაც წარმატებით ვითარდება. ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას განაგრძობენ დ. ბურკიშვილი, მ. უჯირაული, ა. ნუიშვილი, მ. ჰრელაშვილი; ავტორ-მთქმელი იოსებ ლონგიშვილი ცნობილია არა მარტო თუშებს შორის, არამედ უფრო ფართო საზოგადოებისთვისაც. მის ლექსებს, ალვანის გარდა, მღერიან კახეთსა და მის მთიანეთში.

წარმოდგენილი ნიმუშების შინაარსი და მხატვრული დონე, ვფიქრობთ, შესაძლებლობას იძლევა შევადგინოთ აზრი ქართული ხალხური პოეზიის იმ ნაწილზე, რომელიც წოვა-თუშების მიერ არის შექმნილი. აქ წარმოდგენილია ტრადიციული პოეზიის სხვადასხვა თემატური ჟანრი: საისტორიო, მწყემსთა ცხოვრების ამსახველი, სამგლოვიარო, სატრფიალო, რომლებიც ცოცხლობენ და ვითარდებიან დღესაც. წოვა-თუშების ხალხური პოეზია, როგორც ეროვნული ფსიქიკის, ისე მხატვრული დონის მიხედვით სავსებით ტრადიციული ქართული ხალხური შემოქმედებაა. წოვა-თუშების ფოლკლორი მხატვრული დონით, ლექსის ექსპრესიის, რითმის გამართვის, გრძნობათა უშუალობის გამოხატვით სრულებითაც არ იმსახურებს იმას, რომ ვინმემ მისი არარსებობა, ან სიღარიბე ამტკიცოს.

ვფიქრობთ სავსებით ნათელია, თუ რამდენად უსაფუძვლოა მტკიცება თითქოს წოვა-თუშები ისტორიულად ქართულის არმცოდნე ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენდნენ და ქართულ ენაზე მათ არავითარი პოეზია არ ჰქონდათ. ზემოთ წარმოდგენილი ლექსების გაცნობის შემდეგ მკითხველისათვის საღავო აღარ არის არსებობს თუ არა წოვა-თუშების ქართული პოეზია. ქართველ ხალხს, მის ყველა ტომს, ცხადია, პოეზიაც ქართულად უნდა ჰქონდეს და მათი „საკუთარი ენაც“ ქართული უნდა იყოს. წოვა-თუშები აქ გამონაკლისი არ არიან. რაც შეეხება თუშურ ენას, მას მნიშვნელობა აქვს ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის, და მეცნიერების საბედნიეროდ, წოვა-თუშების მიერ შემონახულ ძვირფას რელიქვიას წარმოადგენს. აღნიშნულით მხოლოდ იმაზე ვამახვილებთ მკითხველის ყურადღებას, რომ საჭირო იყო დ. გოგოჭური გარკვეულიყო არსებულ ლიტერატურასა და ფაქტებში. საწინააღმდეგო შემთხვევამ მოგვცა მისი „ვერაფრით ვერ გაგვიგია“. გაუგებარი აქ არაფერია, წოვა-თუშების ქართული პოეზია სავსებით კანონზომიერი მოვლენაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ კეკელია

# უჩვეულო მსჯელობა „ჩვეულებით სამართალზე“

ქართული ჩვეულებითი სამართალი ძირძველი მემკვიდრეობაა,[1] იგი ხალხის იურიდიული ნააზრევის გამოხატულებას წარმოადგენს. სამართლის ამ სფეროს კვლევას ართულებს ის, რომ საამისოდ წერილობითი წყაროები მეტად მცირე რაოდენობით მოგვეპოვება და იძულებული ვართ ძირითადად საველე გზით მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს დავეყრდნოთ. მაგრამ მოპოვებაც არის და მოპოვებაც. საკმარისია ამ საქმეში ოდნავი დაუდევრობა გამოვიჩინოთ, რომ არათუ სასიკეთო, არამედ ისეთი საზიანო საქმე ჩავიდინოთ, რომ ამით თავსატეხი დავუტოვოთ შთამომავლობას.

ამგვარ თავსატეხთა რიცხვი რომ არ გამრავლდეს, გადავწყვიტეთ გამოვეხმაუროთ დ. დავითულიანის მიერ ჩვენს შრომაზე (2) დაწერილ რეცენზიას (3).

დ. დავითულიანის ამ რეცენზიის ძირითადი აზრი ასეთია: ადიშისა და მესტიის სახარებებზე, XIII-XVI საუკუნეებში გაკეთებული მინაწერები, რომლებიც ჩვენი იმდროინდელი სვანეთის სამართლებრივი ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი წყობილების შესასწავლად გამოვიყენეთ, რეცენზენტს ქართული ენის სათანადო არმცოდნე მწიგნობრების ნახელავად მიაჩნია, რის საფუძველზეც ასკვნის, რომ მასში მოხსენებული ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ინსტიტუტები სვანეთში არ მოქმედებდნენო.

საკითხი შეეხება ქართული სამართლის ისტორიაში ცნობილ ისეთი ინსტიტუტების არ არსებობას სვანეთში, როგორიცაა: გერში, **სანახშირო** და სასჯელის ზომა — **ოჯახის ამოწყვეტა**.

მისივე აზრით ჩვენს მიერ უსწოროდაა გაგებული **საფასეს** და წორ-ის შინაარსიც.

თანამიმდევრობით განვიხილოთ დ. დავითულიანის შენიშვნები:

**1. ოჯახის ამოწყვეტის შესახებ.** ადიშისა და მესტიის სახარების ნუსხებზე. XIII-XVI საუკუნეებში გაკეთებული მინაწერების შესწავლის საფუძველზე ჩვენ ვწერთ: **ოჯახის „ამოწყვეტა ხევის ინტერესების დაცვისათვის მომარჯვებულ ერთ-ერთ სასტიკ სასჯელს წარმოადგენს... ამოწყვეტა. როგორც სასჯელი, ქვეყნის ინტერესების დაცვითაა ნაკარნახევი და მას იშვიათ შემთხვევაში მიმართავენ, ასევე იშვიათი უნდა ყოფილიყო დამნაშავის სიკვდილით დასჯაც“** (2, გვ. 178).

დ. დავითულიანი გაოცებული რჩება თქმულით და ასეთი პოზიციიდან გვეკამათება: „ოჯახის ამოწყვეტას არცერთი ხალხის ადათი არ დაუშვებდა და არც სვანეთისა... ამოწყვეტას როგორც სასჯელს სვანური ადათი არ იცნობს? (3, გვ. 190), იგი უფრო შორსაც მიდის და დაასკვნის: „...არავის არ ახსოვს ისეთი ფაქტი, რომ დამნაშავესთან ერთად სიკვდილით დაესაჯათ მისი უდანაშაულო ოჯახის წევრებიც. ასეთი სასჯელი უცნობია სვანეთში. მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და დღემდე არცერთ მკვლევარს არ აღუნიშნავს! (3, გვ. 189). ნუ იტყვით და თურმე არც სხვაგან შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი... რომ სასჯელი როგორც არ უნდა ყოფილიყო, ის აღსრულდებოდა მხოლოდ დამნაშავის მიმართ, ინდივიდის მიმართ. **სხვანაირი რამ სისხლის სამართლის ისტორიამ არ იცის** (ხაზგასმა ჩემია — მ. კ.) 3, გვ. 188).

თუ მართლაც არასოდეს ,არსად არსებული მსგავსიც კი, რაღა მაინცდამაინც ჩვენში იქნე-

ბოდა ასე? მაშ ფხა გავუსინჯოთ ნათქვამს: ა) ცნობილია, რომ ფეოდალური სამართლის („მუშტის სამართლის“) ამოსავალს **ობიექტური შერაცხვის** პრინციპები წარმოადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებობს **პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე**. ასეთი სამართლის ძალით, ბრალის გარეშე სიკვდილით ისჯება არა მარტო დამნაშავედ მიჩნეული პირი, არამედ მისი ოჯახის წევრები და ახლობლებიც კი.

ბ) მსოფლიო სამართლის ისტორიაში, მრავლად ვხვდებით ისეთ ქვეყნებს, სადაც სიკვდილით სჯიდნენ არა მარტო დამნაშავედ მიჩნეულ პირთ, არამედ მისი ოჯახის უდანაშაულო წევრებსაც. მივუთითებთ ზოგიერთ მათგანზე.

ძვ. ეგვიპტეში სახელმწიფოს ღალატისათვის ძირითად დამნაშავეებთან ერთად სიკვდილით მის ოჯახის წევრებსაც სჯიდნენ. ბაბილონში დამნაშავედ ცნობილ მშობლებთან ერთად შვილებსაც ხოცავდნენ. ძვ. ჩინეთში სამშობლოს მოღალატისათვის მესამე თაობის ნაშიერნიც კი ისჯებოდნენ მთელი სისასტიკით.

გ) ახლა ვნახოთ, იქნებ ქართულ ვითარებასთან დაკავშირებითაც პირველად მე მეკუთვნოდეს ასეთი მოსაზრების გამოთქმა.

ჯერ კიდევ ადრიდანვე, როგორც ქართველი, ისე უცხო მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ, **რომ საზოგადოების, ქვეყნის, ინტერესებიდან გამომდინარე** თავისუფლებამოყვარული სვანი ხალხი, ოჯახიანად ამოწყვეტდა მათი დამონების მოსურნეთ. ასეთი ცნობები ეგ. გაბლიანსაცა აქვს თავმოყრილი თავის წიგნის (5) სპეციალურ თავში: „სვანეთის დამოკიდებულება ფეოდალიზმსა და ბატონყმობასთან“, სადაც ამ საკითხზე მისი ზოგადი დასკვნაც ასეთია: ხალხს (ყრილობას) „შეეძლო ცეცხლითა და მახვილით მოსახლის განადგურება“ ([5], გვ. 65). ხოლო იქვე ეყრდნობა რა როგორც პირად, ისე სხვათა დაკვირვებებს წერს: მესტიაში ხალხმა ოჯახიანად ამოწყვიტეს გაბატონების მოსურნე ჯაფარიძეები. ასევე მოქცევიან ლატალელები ჩარკვიანებს ([5], გვ. 26) ეგ. გაბლიანი როცა გარდაფხაძების ამოწყვეტის ფაქტს ეხება დასძენს: ძმები გარდაფხაძეები თავიანთი 8 ვაჟიშვილითურთ „ერთ დღეს ამოუწყვეტიათ“, გადარჩენილა მხოლოდ ძუძუმწოვარი ვაჟი, რომელიც ზურაბიანის ოჯახში ჰყოლიათ გაბარებული.

გარდაფხაძეების ამოწყვეტის ბოლო ტრაგედია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომაც დატრიალებულა. ფაქტის მომსწრე ეგ. გაბლიანი აღნიშნავს: „უცებ იფეთქა შურისძიების ინსტიქტმა და გადაწყვიტეს (ხალხმა — მ. კ.) გარდაფხაძეების ამოწყვეტა და მართლაც დედაბუდიანად ამოწყვიტეს“ ([5], გვ. 131).

თუ სხვა ავტორებს არა, ბეს. ნიჟარაძეს მაინც უნდა მოვუსმინოთ: ჩარკვიანებს „ერთ დროს ლატალის ბატონობა [illegible], რის გამო ლატალს ამოუწყვეტ[illegible]“ ([6], გვ. 62).

მოძალადე გვარების ამოწყვეტაზე დღესაც შეგიძლიათ მოისმინოთ სვანეთში. თავისუფლებამოყვარულ ადიშელებსაც ვერ აუტანიათ ძალმომრეობა და ოჯახიანად ამოუწყვეტიათ გაბატონების მოსურნე ჯახუშლები. აი, როგორ აღწერს მთხრობელი ამ შემთხვევას: „ვერ აუტანია ხალხს მისი (ჯახუშელების — მ. კ.) ბატონობა და განუზრახავს მისი ამოწყვეტა. ერთ დღეს უფროს-უმცროსობიანად მიუპატიჟებიათ სვიფზე და ამოუწყვეტიათ. ასევე ამოუწყვეტიათ ოჯახში დანარჩენი მათიანებიც“ (47 წლის მუშნი მელიტონის ძე ავალიანი, 12/XII-1968 წ. ს. ადიში).[1]

დ) ოჯახის ამოწყვეტა, როგორც სასჯელის ღონისძიება, საქართველოს სხვა მხარეებისთვისაც არ იქნებოდა უცხო. თუმცა ჯერჯერობით მასალები არაა გამოვლენილი. განა ამოწყვეტის არსებობაზე მინიშნებას არ წარმოადგენს XVIII საუკუნემდე შენარჩუნებული „დარბევის“ ინსტიტუტი?

„ოჯახის დარბევა“, ისევე როგორც „ოჯახის ამოწყვეტა“ კოლექტიურ ხასიათის სასჯელს წარმოადგენდა, ოღონდ ქონებრივი სახით. ისტორიულად, „ოჯახის დარბევა“, „ოჯახის ამოწყვეტას“, უნდა უსწრებდეს წინ. პირველად დაარბევდნენ და გააძევებდნენ ალბათ, ხოლო შემდგომ „გაძევების“ სიმკაცრის შესუსტებამ ამოწყვეტის მიზანშეწონილება წამოსწია წინ.

კოლექტიური ხასიათის სასჯელის ღონისძიებას წარმოადგენს „ოჯახის დაწვაც“, რასაც ასე ხშირად ვხვდებით სვანეთის სინამდვილეშიც.

სამეცნიერო ლიტერატურას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ რეცენზენტს, რომელიც სვანეთის მკვიდრია, ნუთუ ყურმოკრულად მაინც არ გაუგონია მსგავსი რამ?

ბარემ აქვე უნდა ითქვას იმაზედაც, თუ რა გზით ცდილობს დ. დავითულიანი გააყალბოს ადიშის და მესტიის სახარებაზე გაკეთებული მინაწერები. მისი „დაკვირვებით“, სვან მწიგნობრებს თითქოს „კრულვის“ ჩაწერა უნდოდათ საბუთებში. მაგრამ ქართული ენის უცოდინარობით, შეცდომით „კლუა“ ჩაუწერიათ. რაც შეეხება სიტყვა „ამოწყვედას“ მასაც ადვილად მოუარა: „...მიმდევნო სიტყვა „ამოწყვეტა“ ზედმეტია, არაფერ შუაშია და **უმიზნოა**“. ([3], გვ. 189).

რეცენზენტი ვერ ამჩნევს იმას, რომ „კლუა“ და „ამოწყვედა“ სინონიმებია და ერთ შინაარსს გამოხატავენ. ჩავიხედოთ ვეფხისტყაოსანშიც: „ფიცხლად ქაჯეთს მოვიყვანო მათი

[1] მასალები ჩვენთან ინახება.

მომსპობ-ამწყვედელი“ (1812, 4), ან „...დახოცეს და ამოწყვიდეს“ (77,2).

სწორედ რომ მკრეხელობაა, მწიგნობარ წინაპართა ნაღვაწზე „უმიზნოთ“ „უაზროთ“ და „უცოდინარობით“ ლაპარაკი. ისინი კარგად ანსხვავებდნენ „კრულვას“, „მოკვლისაგან“, როცა „კრულვაზეა“ ლაპარაკი ასე წერენ: „კრულმცა არს სული და ხორცი მისი (7) საბუთები: № 29, № 30): „კრულიმც არს კაცი იგი“ (7) № 34) „კრულიმც არს სახელი მისი“ (7), საბ. № 45) და სხვა. ხოლო როცა „კლუას“ და „ამოწყვეტას“ ადგენენ, როგორმე აზრის გადმოცემასაც ახერხებენ. სიტყვა „კლუის“ შემცველ წინადადებების კონტექსტში „კრულვის“ გულვებას შესაძლებლობაც კი არაა (საბუთები იხ. ქვემოთ).

საკითხის გაბუნდოვნების და თავის წარმოჩენის მიზნით დ. დავითულიანი აცხადებს: „კრულვა“ როგორც სვანეთში ისე ძვ. ქართულ სამართალში სასჯელის სახე იყო და არა გვგონია, ეს არ იცოდნენ მოხსენებულმა (მ. კეკელიაზე და გ. გასვიანზეა ლაპარაკი — მ. კ.) ავტორებმა „([3], გვ. 189).

ელემენტარულ „უცოდინარობაზე“ გვიჭერს და ალბათ ამიტომაც დავნანებივართ. დავიჯეროთ რაც ის იცოდეს, რომ აღნიშნული მინაწერების მიხედვით სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ჩვენ გავიხადეთ პირველად ეს საკითხი შესწავლის საგნად და, სარეცენზიო ნაშრომში ცალკე პარაგრაფიც კი მიუძღვენით მას (იხ. „წყევლა-კრულვა შეჩვენება და შერისხვა“ ([2], გვ. 183).

გ) ახლა კი კომენტარების გარეშე მხოლოდ საბუთებიდან მოვიტანოთ ადგილები. მკითხველმა თვითონ განსაჯოს როგორ კონტექსტში იხსნება „კლუა“ ან „ამოწყვედა“ და შეიძლება თუ არა „კლუა“ „კრულვად“ წარმოვიდგინოთ.

სრულიად სვანეთის ყრილობა ადგენს: „დღეის იქით ვინცა ამა ხეობასა შიგა, მტრობა ქნას, ანუ ეკლესიისა გატეხითა, ანუ კაცის სიკუდილითა, ანუ შეპყრობითა, ანუ სახლდ გატეხითა, ანუ ცხენისა წაღებითა,[1] ანუ სხვითა მტრობითა ხეობა გაგვიტეხოს, გარდა კლუისა და ამოწყვედისა მეტი არა ავართვათ“ ([7], საბუთი № 1).

სხვა საბუთით სეტის ხევი იღებს ასეთ გადაწყვეტილებას: ვინც მტრობას გამოიჩენს და ხელყოფს ხევის ინტერესებს, ცხადია მკაცრად დაისჯება, ხოლო ვინც იცოდა ასეთი მტრული მოქმედების შესახებ, მაგრამ არ გაატარა სათანადო ღონისძიება, მათ მიმართ ადგენს: „ვინც რაი ვის დაუნახოს და გამოჩნდეს (ე. ი. ცხადი გახდეს, რომ მას ცოდნია ამ ბოროტმოქმედების შესახებ — მ. კ.) ამოწყვედისაგან სხვაი პატიჟი არაი გვითქვამს ([7], საბუთი № 31).

რეცენზენტს ისიც უკვირს, „დანაშაულის გაუცხადებლობისთვისაც კი „ამოწყვეტა“ ყოფილა დაწესებულიო“ ([3], გვ. 189). შეგიძლიათ გაიკვიროთ, ეს თქვენს თვალსაწიერზეა დამოკიდებული, მაგრამ ჩვენამდე დედნად მოღწეული ნაწერის ასე ლიტონად უარყოფა, მეტი რომ არ ვთქვათ , უხერხულია. ელემენტარული ჭეშმარიტებაა-უარყოფას საბუთიანობა ჭირდება.

სვანეთის სამართლის ძეგლებში სხვა საბუთშიც ორგანაა მოხსენებული: „ამოუწყიდოთ ქუემოსა ხვსა ...ამოუწყუიდოთ ზემოსა“ ([8]). საბ. № 4). განა აქაც ხევთა კრულვა-წყევლა იგულისხმება? იცნობს კი მსგავსს, რომელიმე ქვეყნის სამართალი?

ჩვენი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ კალაში აღმოჩენილ ერთ საბუთში.. (XIV-XVII) დამნაშავის დასჯასთან დაკავშირებით ჩაუწერიათ: „ამოწყუედისაგან მეტი, არაი დაურვებაი“ (([9], გვ. 180), იქნებ გონია დ. დავითულიანს რომ „წყევლის“ დაურვებაც შეიძლება?

მითითებული ყველა საბუთი, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საზოგადოებაში და სხვადასხვა პირთა მიერაა შედგენილი. სამ მათგანში მხოლოდ „ამოწყუედაზეა“ ლაპარაკი, ერთში კი „კლუისა და ამოწყვედისა“-ზე. თუ „კლუა“ წყევლა-კრულვას ნიშნავს, ხოლო როგორც დ. დავითულიანს გონია: „სიტყვა ამოწყვეტა ზედმეტია, არაფერ შუაშია და უმიზნოა“, მაშინ სამ დანარჩენ საბუთზე რაღა ითქმის, რომლებშიც მხოლოდ „ამოწყუედა“ წერია?

2. **გერშის შესახებ.** რეცენზენტი წერს: ვერ დავეთანხმებით აგრეთვე ამ ნაშრომში გამოთქმულ ზოგიერთ სხვა მოსაზრებებსაც. ასე მაგ: მ. კეკელიას შრომაში ვკითხულობთ: „XIV-XV საუკუნეების სვანეთში გერში ესმოდათ როგორც მიყენებული ჭრილობის საზღაური“. დ. დავითულიანის მსჯელობით და მტკიცებით: „გარდა მკვლელობის საზღაურისა, ყველა სახის განაშაულზე სვანურმა ადათმა იცის „გვეშის“ გადახდა და არა „გერშის“ და იქვე დასძენს: „გვეში(!?) არა მარტო ჭრილობის საზღაური იყო, როგორც ავტორს მიაჩნია (ხაზგასმები ჩვენია — მ. კ.), არამედ მთლიანად სისხლის სამართლის დანაშაულობათა საზღაური“ ([3], გვ. 190). სწორედ რომ გასაოცარია. ჩვენს საბუთებში მრავალგზის მოხსენებულ „გერშს“ ვიხდით შესწავლის საგნად.

1 გაიკვირვებს პატ. ოპონენტი ,რომ ცხენის მოპარვისათვის მაინც როგორ იქნებოდა ასე მკაცრი სასჯელიო მაგრამ არა გვგონია დიდი თავისტეხვა იყოს იმისათვის საჭირო, რომ ბევრი ქვეყნის სამართალში შეიძლება იპოვოს ცნობები ცხენის ქურდთა სიკვდილით დასჯაზე.

იგი კი „**გვეშით**“ გვიცვლის და შემდეგ აქეთ გვედავება თითქოს სწორად არ გვესმის მისი („გვეშის“) შინაარსი.

საბუთებში სიტყვა „გერშის“ ჩაწერაც შეცდომად მიაჩნია დ. დავითულიანს და თავს ძალასაც არ ატანს კონტექსტში მაინც დაუკვირდეს რაოდენ გასაგები ქართულითაა თქმული: „ოდეს დავიკოდე **თქვენსა** ასაბიობასა შიგა. **დამიურვე გერში**“ ([8], საბუთი № 104, იხ. აგრეთვე სხვა საბუთები, რომლებზედაც ჩვენს შრომაში ვუთითებთ). აი ახალი სხვა საბუთებიც: „რაცა ერთსა მეხევესა, კაცსა მართებს **სისხლი და გერში**“ ([5], გვ. 68).

უმალ შეიმჩნევა, რომ სვანური გერში იგივეა რაც საქართველოს დანარჩენ მხარეში მოქმედი — **გერშის ინსტიტუტი**.

3. **სანახშიროს შესახებ.** თავისი ცოდნის **საზომით** უდგება დ. დავითულიანი ქართული სამართლის ცნობილი ინსტიტუტის **სანახშიროს** შინაარსის ახსნასაც. იგი წერს „ასევე უცნობია სვანეთში „სანახშიროც“... სიტყვა „**სანახშირო**“ სვანურმა ენამ არ იცის და ავტორი (ჩვენზეა ლაპარაკი — მ. კ.) **უსწოროდ ეთანხმება ძეგლის ტექსტს ამ შემთხვევაშიაც**“ ([3], გვ. 191).

სიტყვა „**სანახშიროს**“ სამართლებრივი შინაარსი ამჟამად **სვანეთში** კი არა, მთელ საქართველოშიც არ იციან. ეს რა საბუთიანობაა? განა ამ მოტივით დღემდე უცდია ვისმეს მისი **უარყოფა?**

დ. დავითულიანი აქაც სცვლის რა მსჯელობის საგანს აცხადებს „ჩვეულებით სამართალში მისი (სანახშიროს — მ. კ.) ანალოგიურია ნალშგურიერ“ და გვთავაზობს ამ ტერმინის **შინაარსს** ([3], გვ. 191). სხვას რომ თავი დავანებოთ, მისეულ განმარტებიდანაც კი აშკარად ჩანს, რომ „**ნალშგურიერს**“ არავითარი კავშირი არა აქვს ქართულ სამართალში საკმაოდ შესწავლილ — „სანახშიროსთან“. როცა იგივეობაზე ლაპარაკობს, ნუთუ არ აღეძრა სურვილი — ერთ საერთო ნიშანზე მაინც მიეთითებია?

ფაქტიურად კი როგორც მთელ საქართველოში, ისე სვანეთშიც, რომ კარგად იცოდნენ რას ნიშნავდა „**სანახშირო**“, ეს კარგად ჩანს ისტორიული **ხასიათის** საბუთებიდანაც. იმერეთის მეფის ერთ განაჩენში (1503 წ.), მოპასუხე სვანთა ჩვენება ასეა ჩაწერილი: „**სანახშირე** გთხუეს ჯაფარიძეთა“, ამავე საბუთით ადრე სვანების მიმართ გამოტანილ განაჩენშიც „დიდი სისხლი და **ხანახშირე** ეწერა“ ([3], საბუთი № 27), როგორ ჰგონია დ. დავითულიანს, იქნებ არც ის იცოდნენ სვანებმა, რას ლაპარაკობდნენ? ანდა თუ არ იცოდნენ რას ნიშნავდა „**სანახშირე**“ როგორ გადაიხდიდნენ მას?

**აღნიშნულთან** დაკავშირებით დამატებით ერთ **ახალ** საბუთსაც მოვიტანთ: იმერეთის მეფე, **სვან** ცულოვანისადმი ბოძებულ სასისხლო სიგელში (დაახლოებით XV საუკუნე) წერს: „ვქენით მოკითხული და ძველათაც ასე ქონებოდა და ჩუენცა ასე გაუჩინეთ: სანახშირე ორმოცი ათასი“ ([10], გვ. 514). აქაც მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, განა გელოვანებმა არ იცან რას ითხოვენ?

4. **საფასეს შესახებ.** დ. დავითულიანს უკვირს 120-მაგად „საფასის“ გადახდა როგორ შეიძლებოდა. აქაც საბუთის შემდგენელის მიერ დაშვებულ შეცდომასთან გვაქვს საქმეო ([3], გვ. 191). სხვას რომ თავი დავანებოთ, „საფასის რაოდენობის შეცდომით“ გამოცხადებას, პირველ რიგში ის ფაქტი აღუდგება წინ, რომ მისი რაოდენობა დედან-საბუთში სამგანაა მოხსენებული. ისიც სიტყვებით **და არა** ციფრებით: „სამოცი საფასე მოხერისა მთავარ ანგელოზისა საპატიო, სამოცი საფასე სოფლისა“, ამავე საბუთში სხვა ადგილას ვკითხულობთ: დამნაშავედ მიჩნეულ პიროვნებას „სახლი დაუწოთ და **ას** ოცი საფასე დავაურვებინოთ“ ([8] საბ. № 54). ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს კვლევა ესაჭიროება და არა ხელაღებით **უარყოფა** ან როგორც მოგვესურვება, ისე **შეცვლა** (დავითულიანმა საბუთის ტექსტში მოხსენებული საპატიო, საპატიოდ შესცვალა და ამით იურიდიული ბუნება დაუკარგა მას (იხ. [3], გვ. 191).

5. **წორ-ის შესახებ.** ჩვენ ვწერთ: „XIV-XVI საუკუნეებში „**წორი**“ როგორც „**სისხლის**“ შინაარსის **შემცველი ტერმინი** ჯერ კიდევ არ არსებობდა. **იგი** როგორც მიყენებული ზიანის ტოლი გადასახადი („**წორ**“) უფრო გვიან ჩნდება“ ([2], გვ. 180).

დ. დავითულიანს არ შეეძლო რა სხვა რამ საბუთზე მითითება, **ლიტონად** აცხადებს: „**წორ მომდინარეობს სისხლის დენიდან და არა ქონებრივი სწორებიდან**“ და უადგილოდ იმოწმებს „**ზისხი ლიწვრს**“ — ოფლის დენას და სხვ. ([3], გვ. 191).

**ქართული** სიტყვა „წორ“-ი სვანურში, სწორედ რომ „გასწორებიდან“ მომდინარეობს. სწორედ რომ გადასახადით გასწორებას, გაბრას და არა მოკვლას (ლიწვრს) გულისხმობს, როგორც ეს რეცენზენტს ჰგონია. თუ ეტიმოლოგიაზე მიდგა საკითხი მაშინ „წორ“ „გასწორებასთან“ უფრო ახლოსაა და არა „სისხლის ან ოფლის(!?) დენასთან“ — როგორც ეს დ. დავითულიანს გონია.

განა სვანური „წორ“ დაზარალებულის ქონებრივ დაკმაყოფილებას არ გულისხმობს? სხვაგვარი მნიშვნელობა ოდესმე ქონია ან ამჟამად აქვს მას? განა „წორ“ დადგენილი „სისხლის ფასის“ მიხედვით ანგარიშის გასწორება არაა? რაა აქ გაუგებარი? ეგ. გაბლიანიც წერს: „სისხლის საფასურს „წორს“ მთელი თემი გადაიხდის“ ([5], გვ. 69).

ჩვენი ნაშრომის გამოქვეყნებისას, რომ ის-

ტორიკოს გ. გასვიანის წიგნი არსებულიყო, დ. დავითულიანისათვის გაუგებარი სიტყვების „წორი"-ს და „ლიწვრის" ასახსნელად მხოლოდ ამ ადგილის მოტანით დავკმაყოფილდებოდით: „სისხლში მიღებულ ფასეულობას სვანურად „წორ" ეწოდება. ტერმინი „წორ" უნდა მომდინარეობდეს სწორი-დან და ფასის გადახდა-მიღებით გასწორებას უნდა ნიშნავდეს. თუ „ლიწერი" მოწინააღმდეგისადმი ფიზიკურ გასწორებას ნიშნავს, „წორ" საურვის მიღებით გასწორებას გულისხმობს. ისე როგორც „სისხლი" — „წორ" დამნაშავის მიერ სისხლში გადასახდელ ფასს ეწოდება" ([4], გვ. 169).

საინტერესოა არც ეს ადგილი წაუკითხავს დავითულიანს? და თუ წაიკითხა რატომ მსუბუქად წამოსროლილ „მოსაზრებას" გვთავაზობს და არა თქმულის საწინააღმდეგო რაიმე საბუთს?

გარდა ზემოთ აღნიშნულისა დ. დავითულიანის რეცენზიაში სხვა შეცდომაც გვხვდება, მივუთითებთ რამოდენიმე მათგანზე: მის მიერ გაკრიტიკებული ჩემი ნაშრომი მხოლოდ „სასჯელის ადათებს" (!?) კი არ ეძღვნება, არამედ კანონმდებლობის, დანაშაულის და იმდროინდელი ზემო სვანეთის საზოგადოებრივ წყობილებას ([3], გვ. 188). შეცდომით გონია რეცენზენტს, რომ მის მიერ ჩამოთვლილი სასჯელთა სახეები თითქოს სასჯელთა ფორმებს წარმოადგენდნენ ([3], გვ. 188). შეცდომითვე, ოთხთავებზე გაკეთებულ საერო ხასიათის მინაწერებს „საეკლესიო ჩანაწერებს" უწოდებს იგი. ასევე წყაროში ჩაუხედველობას უნდა მიეწეროს მისი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ შანთით გამოცდის კვალს აჭარაში მიაკვლია ([3[, გვ. 188).

**დასკვნა:** როგორც დავინახეთ, დ. დავითულიანი იმას გვისაყვედურებს, რომ XIII-XVI საუკუნეებში, სვანეთში შედგენილი ძეგლ-საბუთების შინაარსი უშენიშვნოთ გავაზიარეთ და ეჭვი არ შევიტანეთ მის ნატყუარობაში. ეტყობა მან არც ის იცის, რომ ეს „მინაწერები" შეუსწავლიათ და მსჯელობის საგნად გაუხდიათ ბ. ნიჟარაძეს, ნ. მარს, ეგ. გაბლიანს, ა. შანიძეს, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვას, რ. ხარაძეს, ალ. რობაქიძეს, გ. გასვიანს და სხვ. მაგრამ დ. დავითულიანს გარდა აზრადაც არავის მოსვლია შეერყია მისი სანდოობა, „არა მცოდნეთა" ქმნილებათ გამოეცხადებია იგი.

ადიშის და მესტიის სახარებებზე გაკეთებული „მინაწერები" სწორუპოვარ ძეგლებს წარმოადგენენ, აღნიშნული პერიოდის სვანეთის ისტორიის და აქედან გამომდინარე საქართველოს ისტორიის შესასწავლად. სწორედ ამ „მინაწერებიდანაც" კარგად სჩანს, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში იურიდიული აზროვნებაც ერთიან-ქართული იყო.

„მინაწერების" ღირსებას წარმოადგენს ისიც, რომ იგი დედნის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ამიტომაცაა რომ იგი საპატიო ადგილს იჭერს ეროვნულ საგანძურში — ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის I ტომში.

ამდენად, ვფიქრობთ არავის არა აქვს უფლება, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უცოდინარ-გაუნათლებელ მწიგნობართა ნახელავად გამოაცხადოს იგი. მით უმეტეს იმ მოტივით, რომ: „არ ესმის" ან „არ გაუგონია" იქ მოხსენებული ესა თუ ის ტერმინი და სიტყვა.

დაახლოებით ასეთივე ხასიათის შეცდომებია დაშვებული დ. დავითულიანის ადრე გამოქვეყნებულ წერილშიც „ზოგი რამ ძველ სვანურ სამართალზე", მაგრამ ჩვენ აქ მას აღარ შევეხებით.

## შენიშვნები

1 პეტრე უმიკაშვილი — ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, 1964.

2 მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშის და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, B[1] (138), 1971.

3 დ. დავითულიანი, შენიშვნები სვანეთის ჩვეულებითი სამართლის გამოკვლევებში გაპარული შეცდომების გამო („მნათობი", № 11, 1975).

4 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1973.

5 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, 1927

6 ბ. ნიჟარაძე, სვანეთის ხელნაწერები, „მოამბე", 1904, № 10.

7 თ. ალექსანდრე ჯამ. ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგიძის ორბელიანისა, გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან 1879.

8 სვანეთის ისტორიული ძეგლები, ნაკვეთი მეორე, პ. ინგოროყვას გამოცემა, 1941.

9 ვ. სილოგავა, ისტორიული საბუთები ლაშხურკიდან („მაცნე", ისტორიის სერია № 3, 1973).

10 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, 1909.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნი და რეცენზენტი

ჟურნალ „მნათობის“ მეათე ნომერში. (1976 წ.) გამოქვეყნდა ვ. ქვაჩახიას რეცენზია ჩემს წიგნზე — „იმანუელ კანტი“ (თსუ 1974 წ. 534 გვ.). ავტორისათვის ყოველი სამართლიანი რეცენზია, რაგინდ მკაცრი არ უნდა იყოს იგი, საინტერესოა და სასარგებლო. მით უმეტეს, რომ ეს არ იყო ჩემი წიგნის პირველი შეფასება. სარეცენზიო წიგნის ძირითადი დებულებების შემცველი მოხსენებები სხვადასხვა დროს წაკითხული იქნა კანტისადმი მიძღვნილ კონფერენციებზე, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ (თბილისი — 1973 წ., კალინინგრადი — 1974 წ., გდრ, ქ. იენა — 1974 წ., აშშ, ქ. როჩესტერი — 1970 წ.). ნაშრომის ნაწილები გამოქვეყნდა: 1970 წ. სსრკ მეცნ. აკად. „მოამბის“ № 9 (სსრკ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტის თ. ი. იოზერმანის თანაავტორობით), „ვოპროსი ფილოსოფიი“, № 5 1971 წ., ჰოლანდიაში, 1972 წ. „კანტის მესამე ინტერნაციონალური კონგრესის შრომებში“, ქ. იენის უნივერსიტეტის ვისსენშაფტლიხე“ ცაიტშრიფტ-ის ფურცლებზე, № 2, 1975 წ. დადებითადაა შეფასებული წიგნის ზოგიერთი ასპექტი დ. გრინიშინის, მ. მიხაილოვის და კ. პროკოფიევის ახლახან გამოსულ წიგნში — — „იმანუელ კანტი“ (ლენინგრადი, 1976 წ.), საქ. სსრ. მეცნ. აკად. „მაცნეში“ (ფილოს. ფსიქ. ეკონ. და სამართლის სერია), № 3 1976 წ. 1976 წ. თებერვალში საქართველოს განყოფილებამ საკავშირო ფილოსოფიური საზოგადოებისა განიხილა სარეცენზიო ნაშრომი. მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ მაღალი შეფასება მისცა წიგნს. ცნობა განხილვის შედეგების შესახებ დაიბეჭდა „ვოპროსი ფილოსოფიის“ № 9 1976 წ. აღნიშნულ განხილვაში პროფ. ვ. ქვაჩახიაც იღებდა მონაწილეობას. ვიმედოვნებდი იგი აისახებოდა მის რეცენზიაში. სამწუხაროდ ასე არ მოხდა. ცხადია, შეიძლება ცდებოდენ ყველანი ვინც დადებითად აფასებს ნაშრომს, მაგრამ არანაკლებ დასაშვებია, რომ ვ. ქვაჩახია ცდებოდეს.

რეცენზენტი ორ ძალზე სერიოზულ და მტკივნეულ ბრალდებას გვიყენებს: I წიგნში უგულებელყოფილია კანტის შესახებ ქართველ ფილოსოფოსთა კვლევის შედეგები, II. წიგნის პრობლემატიკა არ შეესაბმება თანამედროვეობის მოთხოვნებს.

რეცენზენტი რატომღაც საჭიროდ თვლის გვასწავლოს, რომ მართალია თანამედროვე ფილოსოფიაში არის პრობლემები, რომელთ-გან „თუნდაც ერთი მათგანი იკმარებდა“ კანტის შესახებ წიგნის გასამართლებლად, მაგრამ სარეცენზიო წიგნში ვერც ერთ მათგანს ვერ ვხვდებით („მნათობი“, გვ. 187). რეცენზენტს შეიძლება სავსებით გარკვევით ვუპასუხოთ, რომ მის მიერ ჩამოთვლილ საკითხთაგან კანტის კვლევაში დღეს გადამწყვეტად არც ერთი არ ითვლება, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ არც ერთი მათგანი არ არის უყურადღებოდ დატოვებული ჩემს მიერ. დავიწყოთ პირველით: ღირებულების პრობლემასთან კავშირში რეცენზენტს აუცილებლად მიაჩნია ნეოკანტიანელთა თეორიის შეფასება. სარეცენზიო წიგნში ნეოკანტიანელობის ღირებულების თეორიის შესახებ მსჯელობისას მითითებულია ჩემს მონოგრაფიაზე — „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია“ (თბილისი 1963 წ.). — რომლის მეოთხე ნაწილის სათაურია — „ვინდელბანდ-რიკერტის ღირებულების თეორია“ (გვ. 172-270). ეს საკითხი, ცხადია, განხილულია კანტთან კავშირში. ნუთუ აუცილებელი იყო წარსული კვლევის გამოქვეყნებული შედეგები ხელახლა შემეტანა წიგნში? გარდა ამისა, რეცენზენტს უნდა შევახსენოთ, რომ აქსიოლოგია უკვე 40 წელია გამოეყო ნეოკანტიანელობას და ნეოკანტიანელობა, როგორც დამოუკიდებელი ფილოსოფიური მიმართულება დღეს აღარ არსებობს.

მეორე აქტუალურ პრობლემად რეცენზენტს მიაჩნია არაცნობიერის პრობლემა. ამ საკითხზე დღეს მართალია კამათობენ. მაგრამ მიჩნეულია თუ არა იგი დღეს ძირითადად კანტის კვლევაში? ავიღოთ წიგნი — „კანტის ფილოსოფია და თანამედროვეობა“ (მოსკოვი, 1974 წ.). მისი ავტორებია კანტის ფილოსოფიის გამოჩენილი მკვლევარები. კანტთან არაცნობიერის საკითხზე თქვენ აქ წერილს ვერ ნახავთ. ავიღოთ რეფერატული კრებული, რო-

მელშიც უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთ კანტის შესახებ გამოსული უმნიშვნელოვანესი გამოკვლევებია განხილული: „კანტის ფილოსოფიის თანამედროვე საზღვარგარეთული გამოკვლევები“ (მოსკოვი, 1975 წ.). კანტის ფილოსოფიაში არაცნობიერის შესახებ ნაშრომს ვერც აქ შევხვდებით. აღნიშნულ კრებულს დართული აქვს 1970-1974 წწ. კანტის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომთა ვრცელი სია. არც აქ ჩანს ნაშრომი კანტის ფილოსოფიაში არაცნობიერის შესახებ. ისმის კითხვა: საიდან მოიტანა რეცენზენტმა დებულება კანტის ფილოსოფიაში არაცნობიერის მნიშვნელობის შესახებ? ვფიქრობ ისევ და ისევ ჩემი წიგნიდან, სადაც პირველადაა მთელი პრინციპულობით დასმული საკითხი კანტის თეორიული ფილოსოფიის ბირთვში — ტრანსცენდენტალურ აპერცეფციაში — არაცნობიერის მნიშვნელობის შესახებ. ასევე პირველადაა აქ განხილული ამ ვითარების არსებითი მნიშვნელობა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის განვითარებაში (გვ. 294-313). რეცენზენტს ყოველივე ამის გაუფასურება და მიჩქმალვა სურს იმაზე მითითებით, რომ ეს საკითხი არ განიხილება სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვა დარგებისათვის აქტუალური ასპექტით. რეცენზენტის აზრით, უამისოდ ჩატარებულ კვლევას არავითარი ღირებულება არა აქვს. კანტის მკვლევარები კი სხვას ფიქრობენ. პროფ. ი. ნარსკის წიგნში — „ი. კანტი“. (მოსკოვი 1976 წ.) — როცა კანტის ტრანსცენდენტალური აპერცეფცია განიხილება საჭიროდაა მიჩნეული ამ საკითხზე ჩემი პოზიციის გათვალისწინება (გვ. 70).

წინააღმდეგ რეცენზენტის განცხადებისა, სარეცენზიო წიგნში უყურადღებოდ არაა დატოვებული „ემპირიული ცნობიერებისა და საზოგადო ცნობიერების დამოკიდებულების „საკითხი („მნათობი“, გვ. 188). მას ეხება წიგნის 159-160, 291-294 გვ. გასაოცარია თუ როგორ გამორჩა რეცენზენტს ის ფაქტი, რომ მე კანტის მოძღვრებაში ამ საკითხს ვიხილავ არა მარტო შემეცნების თეორიული, არამედ ეთიკურსა და ესთეტიკურ ასპექტშიც. სხვაგვარად კანტის გადმოცემა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე ვერ მივიღებთ რეცენზენტის იმ შენიშვნასაც თითქოს წიგნის ავტორს „გამორჩა“ კანტთან ესთეტიკურის ზოგადობის საკითხი. ამის შესახებ სარეცენზიო წიგნში გარკვევითაა ლაპარაკი (გვ. 127). კერძოდ, მშვენიერების იმგვარი საყოველთაობისა და აუცილებლობის შესახებ, რომელიც განსხვავებული არის ცნებისაგან. იქნებ რეცენზენტს სხვა რამ გონია „ესთეტიკური ზოგადობა“ კანტთან. კანტთან ზოგადობის პრობლემა არსებითად აპრიორულობის პრობლემაა. არ არსებობს კანტის მკვლევარი, სხვაგვარად რომ ფიქრობდეს. პატივცემული რეცენზენტი, როგორც ჩანს, სხვა აზრისაა, რაც ძალზე საინტერესოა.

რაც შეეხება საკითხს აქტუალურობა თუ არა ჩვენს მიერ განხილული პრობლემები, ამის გადაწყვეტა ადვილია თუ შევადარებთ სარეცენზიო წიგნის სარჩევს და უკანასკნელ წლებში კანტისადმი მიძღვნილ კონგრესების, კონფერენციების და ნაშრომების თემატიკას.

უფრო მტკივნეულია პროფ. ვ. ქვაჩახიას ბრალდება იმის თაობაზე, თითქოს სარეცენზიო ნაშრომში უგულებელყოფილი იყოს კანტის ფილოსოფიის შესახებ ქართველ ფილოსოფოსთა კვლევის შედეგები. რეცენზენტი გვიკიჟინებს, რომ სარეცენზიო წიგნში აკად. ა. ბოჭორიშვილის (რომელიც ამ წიგნის რედაქტორია) მონოგრაფია — „კანტის ესთეტიკა“ (თბილისი, 1967 წ.,). მხოლოდ უმნიშვნელო ციტატითაა დამოწმებული. გვინდა შევახსენოთ რეცენზენტს, რომ მის მიერ 1975 წ. გამოქვეყნებულ წერილში — „ესთეტიკურის ზოგადობა“, რომელიც მოცულობით გაცილებით მეტია, ვიდრე ჩემს წიგნში ესთეტიკურის დაფუძნებისადმი მიძღვნილი ნაწილი, საერთოდ არაა ნახსენები არც ბოჭორიშვილი და არც შ. ნუცუბიძე (იხ. „ესთეტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის საკითხები“. თბილისი, 1975 წ.). ეს იმ დროს, როცა ბოჭორიშვილის ნაშრომის გავლენა ეტყობა მის ნარკვევს. გარდა ამისა, ვ. ქვაჩახია ხომ სოციოლოგიის ასპექტით იკვლევს ესთეტიკურს. სადაა კ. მეგრელიძის კვლევის შედეგები? ნუთუ ესაა „მეცნიერული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების“ ნიმუში?

რეცენზენტი მიმითითებს კ. მეგრელიძის წიგნის იმ ადგილს სადაც ნეოკანტიანელებია განხილული. რეცენზენტს გამორჩა ერთი „წვრილმანი“: სახელგანთქმული სოციოლოგი სპეციალურად არ ეხება კანტს და ამიტომ ცნებებს „აზროვნება“ და „შემეცნება“ იგივეობრივი აზრით ხმარობს. ჩემს წიგნში კი ამ ცნებათა შორის განსხვავებას მთელი თავი ეძღვნება (გვ. 171-203). მე არ ჩავთვალე საჭიროდ კ. მეგრელიძესთან პოლემიკა მეწარმოებინა .მე რომ ეს გამეკეთებინა, მაშინ რეცენზენტს ხომ მართლაც ექნებოდა საყვედურის უფლება.

რეცენზენტი უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს, როცა ჩემს ნაშრომს უპირისპირებს ჩემი მასწავლებლების გამოკვლევებს. არც ერთ ობიექტურ ადამიანს არა აქვს საბაბი ეჭვით შეხედოს ჩემს დამოკიდებულებას მასწავლებლებისადმი. ვფიქრობ, შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვაკეთებ მათი თეორიების პოპულარიზაციისათვის და მათი მემკვიდრეობის დაცვისათვის. (რასაც ვერ ვიტყვით ჩემს რეცენზენტზე). ის სხვა საკითხია, რომ მე მათ ყველაფერში არ ვეთანხმები. ასეთი მოწაფე არც მათ უნდოდათ. ამის საბუთია ის დიდი მხარდაჭერა, რომელიც მე ყოველთვის მქონდა მათგან. სარე-

ცენზიო წიგნში, მე მიზანშეწონილად არ მივიჩნიე მასწავლებლებთან სპეციალური კამათი განსხვავების პუნქტთა შესახებ, როცა ავტორი წიგნის შესავალში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავალებულია გარკვეულ მეცნიერთაგან (შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, მ. გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, ა. ბოჭორიშვილი. იხ. გვ. 6). ნათელი უნდა იყოს, რომ წიგნის დამოკიდებულება ამ ავტორებთან არ დაიყვანება მითითებული ადგილების რაოდენობაზე. პატივცემული რეცენზენტი კი ითვლის რომელი რამდენჯერაა დასახელებული.

განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ვ. ქვაჩახია აკად. შ. ნუცუბიძის ღვაწლზე, იგი იმეორებს იმას, რაც საყოველთაოდაა აღიარებული ჩვენს ლიტერატურაში, მეცა მაქვს აღნიშნული მ. გოგიბერიძის „რჩეული ფილოსოფიური თხზულებების“ სამტომეულის წინასიტყვაობაში (ტ. I. გვ. 26-27. თბილისი, 1970 წ.), ასევე სხვა შრომებშიც. კანტიანელობაზე ნუცუბიძის შეხედულებათა შესახებ კი უნდა ავღნიშნო, რომ ისინი ჩემთვის უცნობი არაა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი მონოგრაფია — „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია“ — იწერებოდა საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინსტიტუტში წლიური შრომების სახით. ამ ნაშრომთა რეცენზენტები იყვნენ, როგორც შ. ნუცუბიძე, ისე პროფ. ს. დანელია. მათი, ისევე როგორც კ. ბაქრაძის შეხედულებები და შენიშვნები შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ აღნიშნულ ნაშრომში.

მე მგონი, სპეციალისტს ადვილად უნდა დაენახა, მითითებულ ადგილებს გარდა, აკად. კ. ბაქრაძის გამოკვლევების გავლენა გვ. 281, 231 და სხვ. პროფ. მ. გოგიბერიძის გავლენა იქ, სადაც კანტის პოზიტიურ დიალექტიკაზეა ლაპარაკი, ანდა „იდეალიზმის უარყოფაზე“, პროფ. ს .დანელიასი, სადაც ჰიუმის შეფასებაზეა ლაპარაკი აკად. შ. ნუცუბიძესი ე. ლასკის შეფასებისას (გვ. 441-442), ს. წერეთლისა — თითქმის ყველგან სადაც საკითხი კანტის კატეგორიოლოგიას, ანდა ჰეგელს ეხება.

სარეცენზიო წიგნის საჯარო განხილვისას, რომელშიც ვ. ქვაჩახიაც მონაწილეობდა, მე ხაზგასმით ავღნიშნე, რომ ცნობილ ქართველ ფილოსოფოსთა ნააზრევზე დამყარებით, ვცდილობ ახალი პრობლემის დაყენებას, ან თავისებურად გადაჭრას. ესენია: ტრანსცენდენტალური აპერცეფციის სტრუქტურულობა, კანტის კატეგორიათა სისტემაში პოზიტიური დიალექტიკის საკითხი, კატეგორიათა კანტისეული სისტემა, როგორც კლასიკური გერმანული იდეალიზმის განვითარების სახელმძღვანელო ძაფი, ცნება „იდეალიზმის“ განსხვავება „წმინდა გონების კრიტიკის“ პირველ და მეორე გამოცემაში, კანტის მიერ „იდეალიზმის უარყოფა“ და სივრცის შესახებ მისი შეხედულებების ცვლილება. ჩვენ გვაინტერესებდა რეცენზენტის შეხედულება ამ საკითხებზე, იგი კი მათ გვერდს უვლის და გვაძალებს ისეთ საკითხებს, რომელთაც, როგორც დავინახეთ კანტის კვლევაში დღეს არავითარი გადამწყვეტი უპირატესობა არ გააჩნიათ.

ახლა შევეხოთ რეცენზენტის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ შენიშვნებს. იგი იწუნებს სარეცენზიო წიგნში ინტერპრეტაციის კრიტერიუმის საკითხის ანალიზს („მნათობი“, გვ. 186-187). მე არ ვამტკიცებ, რომ ჩემს წიგნში ეს საკითხი საბოლოოდაა გადაჭრილი, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ იგი სწორადაა დასმული. მე არ მესმის რატომ მიაჩნია რეცენზენტს საპირისპირო შეხედულებათა (ინტერპრეტაციათა) ბრძოლა უმნიშვნელოდ ამა თუ იმ მოაზროვნის სწორი გაგებისათვის? ან ტექსტთან თანხმობის მოთხოვნა რატომ მიაჩნდა ტრივიალურად? მე არ მეგონა თუ პატივცემული რეცენზენტისათვის დამჭირდებოდა შეხსენება, რომ არსებობენ მოაზროვნეები, რომლებიც ინტერპრეტაციისათვის ამას სავალდებულოდ არ თვლიან.

როგორ უნდა მოხდეს განვითარებაში მოაზროვნის ისტორიული და ლოგიკური ადგილის დადგენა, თუ არა ინტერპრეტაციით? კითხულობს რეცენზენტი („მნათობი“, გვ. 187). ცხადია ინტერპრეტაციით, ისევე როგორც ტექსტის დადგენა და ამოხსნა, რისთვისაც მიმდინარეობს საპირისპირო ინტერპრეტაციათა ბრძოლა. სწორედ ამ სიძნელეშია დანახული სარეცენზიო წიგნში ინტერპრეტაციის აპორია (გვ. 157). ამიტომ იქნა განსხვავებული საკითხისადმი აბსტრაქტული და კონკრეტული მიდგომა. ყოველივე ეს გამორჩა რეცენზენტს და ამიტომ დასვა კითხვა „პირველი ინტერპრეტაციის“ შესახებ. საინტერპრეტაციო თეორიის არსებობა უკვე გულისხმობს ამ თეორიის ღირებულების და სხვებთან მიმართების გარკვეულ გაცნობიერებას თვით ავტორის მიერ. ნუთუ რეცენზენტი ფიქრობს, რომ დამაჯერებელი იქნებოდა მაგ. ფიხტეს ფილოსოფიის „პირველი ინტერპრეტაცია“, რომელიც მას გერმანული იდეალიზმის ისტორიული და ლოგიკური განვითარებისაგან მოწყვეტით განიხილავდა? ამგვარ ინტერპრეტაციას ხომ უკვე დახვდებოდა ფიხტესავე შეხედულება საკუთარი ფილოსოფიის ადგილისა და არსების შესახებ? საკითხი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე რეცენზენტმა წარმოადგინა. იგი აცხადებს, რომ ინტერპრეტაციის კრიტერიუმია მისი აქტუალობა თანამედროვე მეცნიერებისათვის („მნათობი“, გვ. 187). მაგრამ განა ის, რაც დღეს მეცნიერებისათვის აქტუალურია, თავისთავად ცხადი რამ არის? მაგ. რეცენზენტს სულ სხვა რამ მიაჩნია აქტუალურად კანტის თანამედროვე კვლევისათვის ვიდრე მე და კანტის სხვა მკვლევარებს. სადაა კრიტერიუმი? პატივცემული რეცენზენტისათვის, რო-

გორც ჩანს უმაღლესი კრიტერიუმია მისი ღრმა რწმენა საკუთარ შეუმცდარობაში.

რეცენზენტს რატომღაც გამორჩა ის გარემოება, რომ სარეცენზიო წიგნში არის ცდა არა საერთოდ კანტის ფილოსოფიის ახალი ინტერპრეტაციის, არამედ ჩვენში დადგენილი ინტერპრეტაციის საფუძველზე კანტის ფილოსოფიის რიგი კონკრეტული პრობლემების ახლებური გაგების. ეს არაერთხელაა აღნიშნული წიგნში (გვ. 6., 157). აქვე ვცდილობ დავადგინო ის დებულებები, რომლებიც სავალდებულო უნდა იყოს კანტის ინტერპრეტაციის დროს (გვ. 157). თუ რეცენზენტს რომელიმე მათგანი საეჭვოდ მიაჩნია, ამის დასაბუთებაა საჭირო, მაგრამ მათი გვერდის ავლა ინტერპრეტაციის საკითხზე კამათის დროს, არ უნდა იყოს შესაბამისობაში კამათის ეთიკურ ნორმებთან.

ბ. რასელის კრიტიკაში რეცენზენტი სანახევროდ გვეთანხმება. იგი თვლის, რომ წიგნში რასელის პოზიცია საბოლოოდ დაძლეული არ არის. იგი გვსაყვედურობს კანტის მეთოდისა და მისი კვლევის შედეგის გათიშვას. ვფიქრობ, რეცენზენტი თავს შეიკავებდა ამგვარი დასკვნისაგან, რომ გახსენებოდა — თუ მეთოდს არ მივიღებთ მხედველობაში, შედეგის თვალსაზრისით კანტის პოზიციას ვერ გავარჩევთ ბერკლისეულისაგან. რასელი მხოლოდ შედეგს აქცევს ყურადღებას კანტთან. ვფიქრობ, კანტის მეთოდის არსებითობის ჩვენება სავსებით საკმაო საბუთია „კოპერნიკისებური გადატრიალების“ რასელისეული გაგების უარყოფისათვის. შედეგი ხომ მხოლოდ მეთოდიდან უნდა აიხსნას, სხვაგვარად მას მნიშვნელობა არ ექნება კანტის გაგებისათვის. რეცენზენტი არ ანსხვავებს ერთმანეთისაგან კანტის აღნიშნული ცნების რასელისეული გაგების უარყოფისათვის საკმაო საფუძველს და კანტის „კოპერნიკისებური გადატრიალების“ სრული შინაარსის გადმოცემას. ამიტომ ეჩვენება მას წინააღმდეგობა სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილ არგუმენტაციაში.

რეცენზენტი სარეცენზიო წიგნის არც ერთ საკითხს არ აკრიტიკებს მთელი ნაშრომის გათვალისწინებით. ამან საქმეში ჩაუხედავი მკითხველი შეიძლება დააბნიოს. რეცენზენტს წიგნის სათაურიც არ მოსწონს. თურმე მასში „კანტის ნააზრევი მთლიანად არ არის განხილული“ („მნათობი“, გვ. 168). საქმე ისეა წარმოდგენილი თითქოს კანტის ფილოსოფიის ვრცელ განხილვას მხოლოდ ეთიკისა და ესთეტიკის მოკლე განხილვა უსწრებდეს წინ. წიგნის სარჩევის უბრალო გადახედვაც დაგვარწმუნებს, რომ წიგნში განხილულია კანტის ფილოსოფიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა. ამას ეძლვნება სარეცენზიო წიგნის 153 გვ. რეცენზენტს შეიძლება თავისი აზრი ქოიდეს იმაზე თუ როგორაა განხილული ეს საკითხები, მაგრამ იმის უარყოფა, რომ ისინი წიგნში განხილულია, უბრალოდ უხერხულია. მე რომ წიგნისათვის მეწოდებინა „კანტის თეორიული ფილოსოფია“, როგორც ამას რეცენზენტი მთავაზობს, მაშინ მას თავისი წინასწარი განწყობის რეალიზაციისათვის გაცილებით მეტი საშუალება ექნებოდა. ამასთან მინდა შევახსენო რეცენზენტს, რომ თვით კანტის საზოგადოების ყოფილი პრეზიდენტის, გ. მარტინის წიგნი — „იმანუელ კანტი“ (ბერლინი, 1970) ეხება მხოლოდ კანტის ონტოლოგიას და მეცნიერების თეორიას.

რეცენზენტს არ მოსწონს წიგნის სტრუქტურა. იგი წერს, რომ ნაშრომში კანტის ეთიკური და ესთეტიკური ნააზრევის განხილვას მოსდევს თეორიულის განხილვა. აქაც ჩვენ შეიძლება მხოლოდ გაოცებული დავრჩეთ. სარჩევის უბრალო გადახედვაც დაარწმუნებდა რეცენზენტს, რომ წიგნში ჯერ განხილულია კანტის მიერ შემეცნების თეორიის დაფუძნება, შემდეგ კი ეთიკისა და ესთეტიკის. რეცენზენტმა ვერც ის შეამჩნია, რომ აღნიშნულს უშუალოდ არ მოსდევს წიგნის მესამე ნაწილი — „წმინდა გონების კრიტიკის პრობლემები“. მათ შუა განხილულია კანტის მოძღვრება სამარადისო მშვიდობაზე, როგორც ისტორიის მიზანზე და მისი ანთროპოლოგიური შეხედულებანი. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ რეცენზენტი, როგორც სოციოლოგიით გატაცებული პიროვნება, დაინტერესდებოდა ამ ნაწილებით, რადგან აქ საკითხები ჩვენს ლიტერატურაში აქამდე გავრცელებული მიდგომისაგან განსხვავებული ასპექტითაა დასმული.

რეცენზენტი, რომელიც ასეა დაინტერსებული თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური საკითხებით, გვეგონა ყურადღებას მიაქცევდა წიგნის უკანასკნელ პარაგრაფს — „კანტის ფილოსოფიის პრობლემები უკანასკნელ წლებში“, მაგრამ სამწუხაროდ, და ჩვენთვის გასაოცრად, იგი ისეა დარწმუნებული საკუთარი დებულებების სისწორეში, რომ მათი შემოწმება საჭიროდ არ მიაჩნია. როგორც დავინახეთ, იგი არც სარეცენზიო წიგნს აქცევს ყურადღებას მისი რეცენზირების დროს. ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ რეცენზენტს სულაც არ აინტერესებდა იმის დადგენა თუ რა არის სარეცენზიო წიგნისათვის, ან საერთოდ კანტის მოძღვრებისათვის არსებითი. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ რეცენზენტი არაა არც კანტის ფილოსოფიის სპეციალისტი და არც საერთოდ ფილოსოფიის ისტორიის სპეციალისტი. ამიტომ მან სარეცენზიო წიგნში დასმული პრობლემები მთლიანობაში ვერ აღიქვა.

გურამ თევზაძე

б 36/22

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ